Tempus

DOIT

Development of International Model for Curricular Reform
in Multicultural Education and Cultural Diversity Training

საკითხავი მასალა სალექციო კურსისთვის

მრავალეთნიკური და მრავალკულტურული საქართველო

Reader in

MULTIETHNIC AND MULTICULTURAL GEORGIA

თბილისი
2015

აღნიშნული კურსი შეიქმნა ტემპუსის პროექტის **„კურიკულუმის რეფორმის საერთაშორისო მოდელის განვითარება მულტიკულტურული განათლებისა და კულტურული მრავალფეროვნების სწავლებისთვის“** ფარგლებში: 530175-TEMPUS-1-2012-1-IL-TEMPUS-JPCR

The course was developed in the framework of TEMPUS project **“Development of an International Model for Curricular Reform in Multicultural Education and Cultural Diversity Training (DOIT)“:** 530175-TEMPUS-1-2012-1-IL-TEMPUS-JPCR

პროექტის ხელმძღვანელები:

დოქტ. რონდა სოფერი, გორდონის განათლების აკადემიური კოლეჯი, ისრაელი

იზაბელა პეტრიაშვილი, ასოც. პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნინო ჭიაბრიშვილი, ასისტ. პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

Project Managers:

Dr. Rhonda Sofer, Gordon Academic College of Education, Israel

Izabella Petriashvili, Associate Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Nino Chiabrishvili, Assistant Professor, Ilia State University

შედგენაზე მუშაობდნენ:

ნინო ჩიქოვანი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლია ახალაძე, პროფესორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დავით მალაზონია, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქეთევან კაკიტელაშვილი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თამარ შინჯიაშვილი, პროფესორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რუსუდან ფიფია, პროფესორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თამარ ჯოჯუა, პროფესორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Materials were developed by:

Nino Chikovani, Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Lia Akhaladze, Professor, Sokhumi State University

David Malazonia, Professor, Ilia State University

Ketevan Kakitelashvili, Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tamar Shinjiashvili, Professor, Sokhumi State University

Rusudan Pipia, Professor, Sokhumi State University

Tamar Jojua, Professor, Sokhumi State University

რედაქტორი: **გვანცა ბურდული**

Editor: **Gvantsa Burduli**

შინაარსი

თავი I. ძირითადი ცნებები და კანონმდებლობა **5**

თემა 1. ცნებები და მათი განსაზღვრება 5
თემა 2. სახელმწიფო პოლიტიკა სამოქალაქო ინტეგრაციის სფეროში 10
თემა 3. ინტერკულტურულ ურთიერთობათა ასპექტები კანონმდებლობაში 14
§1. საქართველოს კანონმდებლობაში ასახული ინტერკულტურულ ურთიერთობათა საკითხები 14
§2. საერთაშორისო კანონმდებლობაში წარმოდგენილი ინტერკულტურულ ურთიერთობათა საკითხები 25
თემა 4. ზოგადსაგანმანათლებლო სფეროს მარეგულირებელი კანონები და ნორმატიული აქტები საქართველოში 36

თავი II. დემოგრაფიული პროცესები საქართველოში **46**

§1. საქართველოს მოსახლეობა 46
§2. საქართველოს ეთნიკური რუკის ფორმირება 48

თავი III. მონოთეისტური რელიგიები **55**

§1. აბრაამისეული რელიგიები 55
§2. იუდაიზმი 56
§3. ქრისტიანობა 62
§4. იეჰოვას მოწმეები 75
§5. ისლამი 77
§6. იეზიდიზმი 86
§7. ბუდიზმი 91

თავი IV. რელიგიები საქართველოში **95**

§1. იუდაიზმი საქართველოში 95
§2. ქრისტიანობა საქართველოში 98
§3. სომხური ეკლესია საქართველოში 101
§4. კათოლიკური ეკლესია საქართველოში 102
§5. ლუთერანული ეკლესია საქართველოში 104
§6. იეჰოვას მოწმეები საქართველოში 105
§7. ისლამი საქართველოში 105
§8. იეზიდები საქართველოში 108
§9. ბუდიზმი და საქართველო 109

თავი V. საქართველო და ქართველები **110**

თემა 1. ქართული ტრადიციები და ადათები 110
თემა 2. საქართველოს მხარეები 117

თავი VI. საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ეროვნული ტრადიციები 133

§1. აფხაზები 133
§2. ოსები 138
§3. სომხები 143
§4. აზერბაიჯანელები 147
§5. ებრაელები 151
§6. ბერძნები 153
§7. ავარელები და სხვა დაღესტნელი ხალხები 155
§8. ვაინახები 157
§9. ქურთები 162

თავი VII. ქართული კულტურის ეთნიკურად არაქართველი მოღვაწეები 163

§1. აფხაზები საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში 163
§2. ოსები საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში 168
§3. სომხები საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში 169
§4. აზერბაიჯანელები საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში 171
§5. ებრაელები საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში 172
§6. ბერძნები საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში 175
§7. უკრაინელები და რუსები საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში 176
§8. ქურთები საქართველოს კულტურულ არენაზე 178

თავი VIII. საქართველოს მრავალეთნიკური/მრავალკულტურული რეგიონი: აფხაზეთი 180

§1. მდებარეობა და საზღვრები 180
§2. აფხაზეთის ეთნიკური რუკა; მოსახლეობა: ყოფა და ტრადიციები 181
§3. ენობრივი სიტუაცია აფხაზეთში: აფხაზეთში გავრცელებული ენები; აფხაზური ენის შესწავლისა და სწავლების საკითხები 201
§4. ქართულ-აფხაზური კულტურული ურთიერთობები 207

დანართი 1 227

დანართი 2 228

გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტ რესურსები 232

თავი I. ძირითადი ცნებები და კანონმდებლობა

თემა 1. ცნებები და მათი განსაზღვრება

ეთნიკური ჯგუფი (Ethnic Group) – ადამიანთა ერთობა, რომლის წევრებსაც აქვთ საერთო ისტორიული მეხსიერება და საერთო წარმომავლობის მითი. ეთნიკურ ჯგუფს აქვს სხვებისაგან განსხვავებული, სპეფიკური კულტურა.

80-იანი წლების შუა ხანებიდან, როცა გამოქვეყნდა ბრიტანელი სოციოლოგის ენტონი დ. სმიტის (Antony Smith) ნაშრომები, პოპულარული გახდა **ეთნიეს** (Ethnie) – ცნება. სმიტის აზრით, *ეთნიე* იგივეა, რაც *ეთნიკური ჯგუფი,* მაგრამ ამ ცნებით უფრო დიდ ერთობებს აღნიშნავენ. იგი შეიძლება მიჩნეულ იქნას ნაციის წინამორბედ ფორმად, ნაციის წინარე ეპოქის საკაცობრიო მრავალფეროვნების ძირითად კულტურულ ერთეულად. შესაბამისად, ნაცია ძველი ეთნიეს თანამედროვე ვერსიაა, რომელიც მისი განვითარების შედეგად ყალიბდება.

ეთნოსი (ბერძნული ტიყვა – Ethnos) ნიშნავს „ხალხს“. ის, ჩვეულებრივ, გამოიყენებოდა არაბერძენი ხალხის, უცხოელების აღსანიშნავად. მოგვიანო პერიოდის ლათინურ-კათოლიკურ სივრცეში მას დაემატა კიდევ ერთი მნიშვნელობა – წარმართები. მკვლევართა ნაწილი ეთნოსს განმარტავს როგორც განსაზღვრულ ტერიტორიაზე ისტორიულად ჩამოყალიბებულ მტკიცე ერთობას, რომელსაც აქვს საერთო, სტაბილური მახასიათებლები: ენა, კულტურა, ფსიქიკა, ერთიანობის განცდა. სხვები ეთნოსის მთავარ მახასიათებლებად ფსიქოლოგიურ მსაზღვრელებს მიიჩნევენ: თვითშეგნებას (იდენტობა) და ქცევის სტერეოტიპებს. ეთნოსი შეიძლება ასევე განისაზღვროს როგორც ინდივიდთა მტკიცე ერთობა, დამყარებული საერთო წარმომავლობაზე, ისტორიაზე, ენასა და კულტურაზე.

ნაცია (Nation) – **ერი** – სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ცნების მრავალი განსაზღვრება არსებობს. სიტყვა *ნაცია* ლათინური წარმოშობისაა და მომდინარეობს სიტყვიდან *native*. ფართო გაგებით, ნაცია – ეს არის იმ ხალხის ერთობა, რომელსაც აქვს საერთო ისტორიული მეხსიერება და საერთო წარმომავლობის მითი. მათ სწამთ, რომ აერთიანებთ საერთო სისხლი, ენა, კულტურა, რელიგია და სხვა ფაქტორები. როგორც უოლკერ კონორი (W.Connor) აღნიშნავს, „ნაციას საფუძვლად უდევს ფსიქოლოგიური კავშირები, რომელიც აერთიანებს ერთი ჯგუფის წევრებს და მიჯნავს მათ ყველა სხვა არაწევრისაგან“. ნაციის ი. სტალინისეული განსაზღვრების თანახმად, ეს არის ხალხის ისტორიული, სტაბილური ერთობა, რომელსაც ახასიათებს საერთო ენა, საერთო ტერიტორია, საერთო ეკონომიკური ცხოვრება, საერთო ფსიქოლოგია, რომელიც გამოიხატება საერთო კულტურაში. ნაცია არსებობს მხოლოდ მაშინ, თუ ერთდროულად არსებობს ყველა ეს ფაქტორი.

დღეს ბევრი მკვლევარი იზიარებს შეხედულებას ნაციაზე, როგორც წარმოსახვით საზოგადოებაზე, რომელსაც აქვს საერთო ტერიტორია, ენა და კულტურა (ე. გელნერი, ბ. ანდერსონი და სხვ.). ეს წარმოსახვითობა მიიღწევა საერთო კულტურის გავრცელებითა და გადაცემით (ჰომოგენიზაციის პროცესი), რომელიც წარმოშობს ნაციონალურ იდენტობას – ერთობისადმი მიკუთვნებულობის განცდას. ნაციას ხშირად განსაზღვრავენ როგორც „მეხსიერებაზე დაფუძნებულ ერთობას“ („community of memory“), ან „მნემონიკურ ერთობას“. ასეთი ერთობის სიმყა-

რე დამოკიდებულია წარსულის შეთანხმებულ, აღიარებულ ინტერპრეტაციაზე, რომელიც, ამავე დროს, დაკავშირებულია შესაძლო და სასურველი მომავლის სურათთან.

ქართულ ენაში *ნაციის* ცნება ხშირად **ერის** სინონიმური მნიშვნელობით გამოიყენება, რომელიც განიმარტება როგორც ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, დამყარებული საერთო წარმომავლობაზე, კულტურაზე, თანაცხოვრების გამოცდილებასა და კომუნიკაციაზე. ერი ყალიბდება კონკრეტული ეთნოსის (სატიტულო ერი) საფუძველზე, თუმცა შესაძლოა მოიცავდეს სხვა ეთნიკური ჯგუფებსაც. სამეცნიერო ლიტერატურაში და, განსაკუთრებით, მასობრივ ცნობიერებაში ერი ასოცირდება სახელმწიფოსთან და სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტთან. დამოუკიდებელი სახელმწიფო არის ერის განვითარების უმაღლესი ეტაპი და ყველა ნაცია მიილტვის სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისკენ. ეს შეხედულება, გარკვეულწილად, უკავშირდება „ერი-სახელმწიფოს“ ცნებას. ავტორთა ნაწილი არ მიიჩნევს გარდაუვალ აუცილებლობად ერის სახელმწიფოებრივ ფორმირებას და გამოყოფს ე.წ. კულტურულ ერებს, რომელთაც არ გააჩნიათ საკუთარი სახელმწიფოებრივი ერთეულები და არ ისწრაფვიან მისი შექმნისკენ. ერების ისტორიული სწრაფვა სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისკენ გამოიწვია როგორც მათი წარმომადგენლების სურვილმა, გათავისუფლებულიყვნენ უცხო ნაციონალური ჯგუფების ბატონობისგან, ასევე გარკვეული ეთნოსების მისწრაფებამ, განევრცოთ საკუთარი მმართველობა სხვა ეთნიკურ ჯგუფებზე.

ეთნიკურობა/ეროვნება[1] – ამ ტერმინით აღინიშნება ჯგუფები, რომელთაც აქვთ საერთო ნორმები, რწმენა-წარმოდგენები, შეხედულებები. ხშირად, როცა ამ სიტყვას უმრავლესობის წარმომადგენლები იყენებენ, იგი აღნიშნავს უმცირესობად მიჩნეულ ჯგუფ(ებ)ს, რომელთა მიმართ უმრავლესობას გარკვეული დამოკიდებულება აქვს. მეორე მხრივ, თავად უმცირესობის წარმომადგენლების მიერ აღნიშნული ტერმინის გამოყენება ასახავს საკუთარი განსხვავებულობის თვითაღქმას. შესაბამისად, ტერმინს შეიძლება თანაბრად ჰქონდეს როგორც გამაერთიანებელი (ჯგუფი, გაერთიანებული საერთო მახასიათებლებით), ასევე გამყოფი (ჯგუფი, რომელიც სხვებისგან განსხვავებულია) მნიშვნელობა. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ მიმართავს ამ ტერმინს, რისთვის და რა კონტექსტში. თუ პირველი მნიშვნელობით იგი ერთმანეთთან აკავშირებს კონკრეტული ჯგუფის წევრებს, მეორე შემთხვევაში იგი შეიძლება სტერეოტიპიზაციის საფუძველი გახდეს.

უმცირესობა[2] – სოციალური ჯგუფი, რომელიც რაოდენობრივად ნაკლებია საზოგადოების სხვა ჯგუფებთან შედარებით. არცთუ იშვიათად, ტერმინი აღნიშნავს ამ ჯგუფის დაქვემდებარებულ ან მარგინალურ მდგომარეობას, არათანაბარ უფლებებს, ძალაუფლების არქონას და სტერეოტიპულ წარმოდგენებს უმრავლესობის მხრიდან. მკვლევართა ნაწილი საუბრობს „უმრავლესობის ტირანიაზე“, რაც გულისხმობს უმცირესობის უფლებების დათრგუნვას „უმრავლესობის აზრის“ სახელით.

უმცირესობად ყოფნა ყოველთვის არ არის განპირობებული რიცხობრივი სიმცირით, ზოგჯერ ის შეიძლება ჯგუფის სპეციფიკური კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებებით იყოს გამოწვეული, რომელსაც ემყარება ფასეულობათა სისტემა და ცხოვრების წესი, რომელიც განსხვავებული ან, ზოგჯერ, შეუთავსებელიც კი არის გაბატონებული ჯგუფის კულტურასთან. სამეცნიერო ლიტერატურაში „უმცირესობის“ სახელით აღნიშნავენ 4 სხვადასხვა ჯგუფს: 1) ავტოქტონ, ადგილობრივ (ინდიგენურ) მოსახლეობას, რომელიც ქვეყნის უძველესი მოსახლეობის შთამომავალია; 2) ტერიტორიულ უმცირესობებს – კონკრეტულ ტერიტორიაზე ხანგრძლივად მცხოვრებ ჯგუფებს; 3) არატერიტორიულ უმცირესობებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული კონკრეტულ ტერიტორიასთან (მაგალითად, მომთაბარეები); 4) იმიგრანტებს.[3]

1 Cultural Theory. The Key Concepts. Andrew Edgar, Peter Sedgwick (eds.). Routledge, 2008, p. 114
2 Cultural Theory. The Key Concepts. Andrew Edgar, Peter Sedgwick (eds.). Routledge, 2008, p. 114
3 იუნესკოს გზამკვლევი ინტერკულტურული განათლებისათვის.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არ არის ადვილი ავტოქტონური/ინდიგენური მოსახლეობის განსაზღვრა. მის მახასიათებლებად მიიჩნევენ: ა) ჯგუფის წევრთა თვითიდნტიფიკაციას ინდიგენურ მოსახლეობად; ბ) ასეთად მათ იდენტიფიკაციას სხვების მიერ; გ) მჭიდრო კავშირს კონკრეტულ ტერიტორიასთან/მიწასთან და სპეციფიკურ დამოკიდებულებას გარემოსთან/ბუნებასთან; დ) ძირითადისაგან განსხვავებული სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური ინსტიტუტებისა და მათი მარეგულირებელი ტრადიციების არსებობა.[4]

განასხვავებენ ტრადიციულ და ახალ უმცირესობებს. პირველში იგულისხმება ჯგუფები, რომელთაც ამა თუ იმ ტერიტორიაზე/ქვეყანაში/სახელმწიფოში ცხოვრების ხანგრძლივი ტრადიცია და გამოცდილება აქვთ. ახალ უმცირესობებად კი იმ ჯგუფებს მიიჩნევენ, რომლებიც გლობალიზაციის თანამდევი მიგრაციის პროცესში ჩნდებიან სხვადასხვა ქვეყანაში.

უმცირესობის კულტურა – რიცხობრივად მცირე ან მარგინალიზებული ჯგუფის კულტურა, რომელიც განსხვავებულია გაბატონებული – უმრავლესობის კულტურისაგან. უმცირესობის კულტურის სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია თვით უმცირესობის სოციალურ და ეკონომიკურ სტატუსზე, რადგან კულტურული ფასეულობები იერარქიზებულია – ზოგი მათგანი გაბატონებულია, ზოგი – მარგინალიზებული.

დღეს საზოგადოებათა კულტურული კომპოზიცია სულ უფრო მრავალფეროვანი და რთული ხდება ერთი ქვეყნიდან მეორეში მიგრაციული პროცესების, სოფლებიდან ქალაქებისკენ მოსახლეობის მოძრაობის გამო. ეს ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს სხვადასხვა ქვეყნის საგანმანათლებლო პოლიტიკას და სისტემას.

მულტიკულტურალიზმი (მრავალკულტურულობა) აღნიშნავს საზოგადოების – ეთნიკურ, ნაციონალურ, ლინგვისტურ, რელიგიურ, სოციალურ, ეკონომიკურ მრავალფეროვნებას.

ინტერკულტურალიზმი – ეს ტერმინი აქცენტს აკეთებს არა მრავალფეროვნების არსებობის ფაქტზე, არამედ სხვადასხვა ეთნიკური, კულტურული, რელიგიური, ლინგვისტური ჯგუფის ურთიერთქმედებაზე და საერთო გამოცდილების დაგროვებაზე დიალოგისა და ურთიერთპატივისცემის გზით.

ამ ორი ტერმინის შესაბამისად, არსებობს ორი მიდგომა: **მულტიკულტურული** და **ინტერკულტურული განათლება**. **პირველი** ემყარება სხვა კულტურების შესწავლას მათდამი პატივისცემისა და ტოლერანტობის აღზრდის მიზნით. **მეორე** გულისხმობს ნაბიჯების გადადგმას პასიური თანაარსებობიდან მრავალკულტურულ საზოგადოებაში თანაცხოვრებისკენ, ურთიერთგაგების, პატივისცემის, სხვადასხვა კულტურულ ჯგუფს შორის დიალოგის გზით.

ინტერკულტურული განათლება არ არის სასწავლო პროგრამის უბრალო დანამატი, იგი მოიცავს მთლიანად სასწავლო გარემოს, სასკოლო და საუნივერსიტეტო გარემოს, მასწავლებელთა განათლებას და შემდგომ მომზადებას, სწავლების მეთოდებს, მოსწავლეთა/სტუდენტთა ჩართულობას, სასწავლო მასალებით უზრუნველყოფას, უმცირესობათა ენების, კულტურის, ისტორიის შესწავლას.

ინტერკულტურული განათლება 4 ძირითად პრინციპს ემყარება:

1. **ცოდნის სწავლება (Learning to know)** – ინფორმაციის მიღების გზით საბაზისო ცოდნისა და უნარების ჩამოყალიბება;
2. **სწავლება იმისა, თუ როგორ ვაკეთოთ (Learning to do)** – კონკრეტული ამოცანების თავის გართმევის უნარის ჩამოყალიბება, რაც შესაძლებელს ხდის კომუნიკაციას სხვადასხვა კულტურულ ჯგუფს შორის; ეს ხელს შეუწყობს ახალგაზრდებს, განსაზღვრონ საკუთარი ადგილი საზოგადოებაში;
3. **ერთად ცხოვრების სწავლება (Learning to live together)** – სხვა ხალხებისა და კულტურების გაგება, კულტურული მრავალფეროვნების, პლურალიზმის პატივისცემა; მოსწავლემ/

4 იუნესკოს გზამკვლევი ინტერკულტურული განათლებისათვის.

სტუდენტმა უნდა შეიძინოს ცოდნა, უნარები და ფასეულობები, რომლებიც ჩამოუყალიბებს სოლიდარობას სხვა ინდივიდებთან და ჯგუფებთან.

4. **არსებობის სწავლება (Learning to be)** – პიროვნების განვითარება, მისი ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის ჩამოყალიბება; განსხვავებულად ყოფნის უფლების აღიარება; იდენტობის გრძნობის გაძლიერება (იუნესკოს გზამკვლევი ინტერკულტურული განათლებისათვის).

ტოლერანტობა/შემწყნარებლობა:

1. განსხვავებული ეროვნული თუ ეთნიკური, ენობრივი თუ რელიგიური წარმომავლობის, რასისა თუ კანის ფერის, მოქალაქეობისა თუ სხვა ნიშნებით გამორჩეული ადამიანების მიმართ დამოკიდებულება, რომელიც გამორიცხავს რასიზმს, რასობრივ დისკრიმინაციას, სიძულვილს, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში არ ლახავს აღნიშნული ჯგუფების წარმომადგენელთა უფლებებსა და თავისუფლებებს.
2. ადამიანის შესაძლებლობა აღიაროს, პატივი სცეს ან გაითვალისწინოს სხვა ადამიანის რწმენა, ქცევა, ღირებულებები; განსხვავებული კულტურის, რასის, სქესისა და რელიგიის მქონე ადამიანებთან არაძალადობრივი, ეფექტური ურთიერთობის უნარი.
3. ნება/განწყობა, იყო სამართლიანი, მომთმენი სხვა ადამიანების მრწამსის, ინტერესების, ღირებულებებისა და მოსაზრებების მიმართ, მიიღო განსხვავებული ადამიანი, პატივი სცე მის ინდივიდუალურობას.

ტერმინი *ტოლერანტობა* XVI საუკუნეში ლათინურ და ფრანგულენოვან ლიტერატურაში დამკვიდრდა და კონფესიურ განხეთქილებას დაუკავშირდა. ამ კონტექსტში მან, უპირველეს ყოვლისა, სხვა რელიგიურ აღმსარებლობათა მიმართ შემწყნარებლობის ვიწრო მნიშვნელობა შეიძინა. XVI-XVII საუკუნეებში რელიგიური ტოლერანტობა უკვე სამართლებრივ ცნებად გვევლინება. მთავრობები გამოსცემენ საგანგებო აქტებს, რომლებიც სახელმწიფო მოხელეებსა და მართლმორწმუნე მოსახლეობას რელიგიურ უმცირესობებთან – ლუთერანებთან, ჰუგენოტებთან, პაპისტებთან მიმართებაში ტოლერანტულ ქცევას აკისრებდა.

„ტოლერანტობის პრინციპების დეკლარაციის“ თანახმად, რომელსაც **1995** წლის 16 ნოემბერს, **პარიზში,** ხელი მოაწერა იუნესკოს წევრმა 185 სახელმწიფომ, ტოლერანტობა „მსოფლიოს კულტურათა მდიდარი მრავალფეროვნების, თვითგამოხატვის ფორმებისა და ადამიანის ინდივიდუალობის გამოვლინების შესაძლებლობათა პატივისცემა, მიღება და მართებული გაგებაა. მას ხელს უწყობს ცოდნა, ღიაობა, ურთიერთობა და აზრის, სინდისისა და შეხედულებათა თავისუფლება. ტოლერანტობა – ესაა თავისუფლება მრავალფეროვნებაში. ეს არის არამარტო მორალური ვალი, არამედ პოლიტიკური და სამართლებრივი მოთხოვნილებაც, რადგან იგი შესაძლებელს ხდის მშვიდობას, ეხმარება ომის კულტურის მშვიდობის კულტურით შეცვლას“.[5]

როგორც მე-19 საუკუნის ამერიკელი იურისტი და მოაზროვნე ***რობერტ ინგერსოლი*** ამბობდა, **„ტოლერანტობა აძლევს ყველა სხვა ადამიანს ყველა იმ უფლებას, რომელთაც შენ შენთვის ითხოვ“**.

„გმირობის გამოცდას ვაბარებთ მაშინ, როცა უმცირესობაში ვართ, ტოლერანტობის გამოცდას კი – უმრავლესობაში ყოფნის დროს“ ***(რალფ ვაშინგტონ სოკმანი***, ამერიკელი პასტორი).

ტოლერანტობის პრობლემა უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოსათვის, რომელიც ისტორიულად ჩამოყალიბდა, როგორც ეთნიკურად, კულტურულად და რელიგიურად მრავალფეროვანი ქვეყანა. კულტურათა და ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე არსებული ხალხებისათვის,

5 ნოვიკი ბენიამინ, ტოლერანტობის რელიგიურ-ფილოსოფიური საფუძვლები. „სოლიდარობა“, საქართველოს სახალხო დამცველის ყოველთვიური ჟურნალი, 2006 წ. N 3'06.

რომელთაც საქართველოც მიეკუთვნება, მრავალკულტურული რეალობა არსებობის ჩვეულებრივი გარემო იყო. უძველესი დროიდან რეგიონში გადიოდა საზღვრები, რომლებიც ერთმანეთისაგან ყოფდა სხვადასხვა, არცთუ იშვიათად – დაპირისპირებულ კულტურულ-ცივილიზაციურ არეალებს. კავკასია წარმოადგენდა, ერთსა და იმავე დროს, ხიდსა და ბარიერს ჩრდილოეთსა და სამხრეთს, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. აქ მუდმივად მიმდინარეობდა კულტურული ნაკადების შემოდინებისა და გადინების პროცესი. განსხვავებული კულტურული ტრადიციების ურთიერთქმედება და თანაარსებობა, როგორც წესი, არ აღიქმებოდა დაპირისპირებისა და კონფლიქტის წყაროდ.

შუა საუკუნეებში თვითიდენტიფიკაცია გაცილებით მოქნილი და ინკლუზიური იყო, ვიდრე მოგვიანებით, ნაციონალურ პერიოდში. „უცხოს“ აღქმა მრავალ ფაქტორზე იყო დამოკიდებული – პოლიტიკურზე, ეკონომიკურზე, ფსიქოლოგიურზე, დემოგრაფიულზე. ძნელია განისაზღვროს ზოგადი კრიტერიუმები, რომლებიც განაპირობებდა „უცხოს“ ინტეგრაციას ან მიუღებლობას. ის ფაქტი, რომ საქართველოს ისტორიის საუკეთესო პერიოდში მრავალკულტურულ მემკვიდრეობას კი არ უარყოფდნენ ან ებრძოდნენ, არამედ უფრთხილდებოდნენ, სრულიადაც არ უკავშირდება მხოლოდ ქართველთა განსაკუთრებულ შემწყნარებლობას, არამედ ეს იყო სრულიად ბუნებრივი და ერთადერთი შესაძლებელი ფორმა მრავალეთნიკური და მრავალკონფესიური ქვეყნის არსებობისათვის. იგი ყალიბდებოდა როგორც ადაპტაციური მექანიზმი რთულ და ცვალებად ცივილიზაციურ გარემოში მცხოვრები ამგვარი საზოგადოებებისათვის. გარდა ამისა, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ნაციის, ნაციონალური მიკუთვნებულობის, პატრიოტიზმის გაგება შუა საუკუნეებსა და ახალ დროში ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავებულია. ეს ყველაფერი განაპირობებდა ზემოთნახსენებ მოქნილ და ინკლუზიურ თვითიდენტიფიკაციას.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი საქართველოში, ისევე როგორც ევროპის ბევრ ქვეყანაში, ნაციონალიზმის ჩამოყალიბების დასაწყისია. როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, სწორედ ნაციონალიზმის ეპოქიდან იჩენს თავს ე.წ. „კულტურული ნარცისიზმი“ – საკუთარი ეთნიკური ჯგუფის განსაკუთრებულობის, გამორჩეულობის განცდა, რომელიც განსაკუთრებით დამახასიათებელია „მცირე“ ერებისა და კულტურებისადმი.

სწორედ ნაციონალიზმის ეპოქიდან იღებს სათავეს ქართული მეცნიერული ისტორიოგრაფიაც. იგი ჩამოყალიბდა რუსეთის იმპერიულ პოლიტიკასთან დაპირისპირებაში. ასეთ ვითარებაში, ისტორია – წარსული – საფრთხის ქვეშ მდგარი ეთნიკური იდენტობის შენარჩუნების მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა. მას უნდა გამოეკვეთა ქართველთა განსხვავება როგორც „შიდა“, ასევე „გარე“ *სხვებისაგან*.

საბჭოთა პერიოდში ისტორიას უნდა შეექმნა საფუძველი ერთიანი საბჭოთა იდენტობის ჩამოყალიბებისათვის. ხაზი ესმებოდა საბჭოთა ხალხების „ისტორიულ ძმობასა და მეგობრობას“. ტოლერანტობის ცნებამ აქტუალურობა დაკარგა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დადგა ნაციონალური ისტორიის ხელახალი გააზრების ამოცანა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ახლად ჩამოყალიბებული სახელმწიფოები ცდილობდნენ ისტორიული წარსულის მოშველიებას თავიანთი პოზიციების განმტკიცებისათვის. ტოლერანტობა ცხადდებოდა სატიტულო ნაციის „თანდაყოლილ“ ეთნიკურ მახასიათებლად, რომელიც უცვლელი რჩებოდა მთელი ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში. ტოლერანტობის ცნება აღნიშნავდა არა ურთიერთაღიარებასა და პატივისცემას, არამედ სატიტულო ნაციის კეთილ ნებას სხვებთან – მოსულებთან, სტუმრებთან – მიმართებაში, რომელთა კეთილდღეობა სწორედ ამ ნებამ განაპირობა.

პოსტსაბჭოთა პერიოდის პირველი წლების ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გამოცდილებამ პოლიტიკოსებს ტოლერანტობის აღზრდის მნიშვნელობისა და ქვეყნის ისტორიაში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის მონაწილეობის გააზრებისაკენ უბიძგა.

თემა 2. სახელმწიფო პოლიტიკა სამოქალაქო ინტეგრაციის სფეროში

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეთნიკურმა, რელიგიურმა და კულტურულმა მრავალფეროვნებამ, რომელიც საქართველოსთვის, თავისი მდებარეობიდან გამომდინარე, ისტორიულად დამახასიათებელი რეალობა იყო, ახლებური გააზრება მოითხოვა. ჯერ კიდევ „პერესტროიკის“ წლებში „საბჭოთა ხალხთა ძმობისა და მეგობრობის“ რიტორიკამ თანდათან ადგილი დაუთმო ეთნიკურ დაპირისპირებებსა და წინააღმდეგობებს, რომლებმაც თავი იჩინა მაშინვე, როგორც კი სახელმწიფოს სადამსჯელო ფუნქცია შესუსტდა. 1990-იანი წლების დასაწყისიდან ეთნიკური ნაციონალიზმი ახალ რეალობასთან შეგუების საშუალებად იქცა, მაგრამ მრავალეთნიკურ ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოში, მან მრავალი პრობლემა წარმოშვა და ქვეყნის წარმატებული განვითარების შესაძლებლობა ეჭვქვეშ დააყენა. დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესი დრამატული და მტკივნეული აღმოჩნდა. მას შემდეგ, რაც ერთიანი საბჭოთა იდენტობა გაქრა, თავი იჩინა „იდენტობის კრიზისის“ სახელით ცნობილმა მოვლენამ, როცა ინდივიდებსა და ჯგუფებს მოუხდათ პასუხის მოძებნა კითხვაზე: „ვინ ვარ მე?“ „რომელი სახელმწიფოს მოქალაქედ მივიჩნევ თავს?“ კავკასიაში ვითარება გაართულა ერთმანეთის მიყოლებით აღმოცენებულმა ეთნოპოლიტიკურმა კონფლიქტებმა, რომელთაგან ორი საქართველოში – აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მიმდინარეობდა. მათ თან ახლდა ე.წ. „მეხსიერებათა ომები“: დაპირისპირებული მხარეები იხსენებდნენ ძველ წყენასა და გაუგებრობებს, დაიწყო ერთგვარი შეჯიბრი სიძველეში, ავტოქტონობაში, განსაკუთრებულ უფლებებში. კონფლიქტურმა მეხსიერებამ გადაფარა თანაარსებობის, დიალოგისა და საერთო წარსულის ხანგრძლივი გამოცდილება.

ახალი ვითარების გააზრებას გარკვეული დრო დაჭირდა. თანდათან გაცნობიერდა ეთნიკურიდან სამოქალაქო ნაციონალიზმზე გადასვლის, სამოქალაქო ინტეგრაციის აუცილებლობა, რაც გულისხმობს სახელმწიფოს ყველა მოქალაქის თანასწორობასა და ერთიანობას, მიუხედავად მათი ეთნიკური, რელიგიური და კულტურული იდენტობისა. 2000-იანი წლების დასაწყისში პოლიტიკური ელიტის მიერ შემოთავაზებული იქნა **„მრავალეთნიკური ქართველი ერის“** ცნება, ხოლო ლოზუნგი **„მრავალფეროვნება ჩვენი სიმდიდრეა“** საზოგადოებისადმი მიმართულ მთავარ გზავნილად იქცა.

2005 წლის აპრილში, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე, დაიწყო მუშაობა ***შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნულ კონცეფციაზე***. მუშაობაში ჩართული იყვნენ პარლამენტის წევრები, სახალხო დამცველი, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები. **2009 წლის 8 მაისს** საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა აღნიშნული კონცეფცია. მისი განხორციელების კოორდინაცია ევალებოდა რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრს, რომელსაც 2014 წლის 1 იანვრიდან სახელი შეეცვალა და, მთავრობის დადგენილებით, ეწოდა სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში.[6]

ძირითადი წყარო კონცეფციის ხორცშესხმისათვის არის სახელმწიფო ბიუჯეტი, თუმცა ხდება სხვა სახსრების მოძიებაც. კონცეფციის განხორციელება მიმდინარეობს მთელი ქვეყნის მასშტაბით და არ შემოიფარგლება მხოლოდ ეთნიკური უმცირესობების კომპაქტური დასახლების რეგიონებით.

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის მიზნებია:

ა) ტოლერანტობისა და ურთიერთპატივისცემის გარემოს შექმნა საქართველოში მცხოვრებ ყველა პირს შორის;

---

6 სახელმწიფო მინისტრის პაატა ზაქარეიშვილის განმარტებით, ამ უწყების დასახელებაში სიტყვა რეინტეგრაცია აფერხებდა აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებთან კონტაქტს, ახალი სახელწოდება კი ნეიტრალურია და ხელს შეუწყობს ურთიერთობათა განვითარებას (http://www.tabula.ge/ge/story/78762).

ბ) საქართველოს ყველა მოქალაქის უზრუნველყოფა თანაბარი შესაძლებლობით სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური უფლებებით სარგებლობისათვის;

გ) აუცილებელი პირობების შექმნა საქართველოს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში იმ პირთა ეფექტიანი მონაწილეობისათვის, რომლებიც ეროვნულ უმცირესობებს მიეკუთვნებიან;

დ) ეროვნული უმცირესობებისათვის განათლების ყველა საფეხურის თანაბარი ხელმისაწვდომობისა და ზოგადი განათლების სფეროში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების უზრუნველყოფა;

ე) აუცილებელი პირობების შექმნა ეროვნული უმცირესობების კულტურის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის, მათი თვითმყოფადობის ძირითადი ელემენტების, კერძოდ, რელიგიის, ენის, ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის.

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის პრინციპებია:

ა) საქართველოს ყველა მოქალაქის თანასწორობა, დისკრიმინაციის დაუშვებლობა და ტოლერანტობის ტრადიციის განმტკიცება;

ბ) ბალანსის შენარჩუნება სამოქალაქო ინტეგრაციასა და ეროვნული უმცირესობების იდენტობის დაცვას შორის, სამოქალაქო ინტეგრაციის ნებაყოფლობითობა და იძულებითი ასიმილაციის დაუშვებლობა;

გ) ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა თავისუფალი არჩევანის უფლება – ჩაითვალონ თუ არა ისინი ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებად;

დ) ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა უფლება, როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად განახორციელონ ის უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციასა და ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციიდან;

ე) ეროვნული უმცირესობების ეფექტიანი მონაწ;ილეობა ყველა იმ გადაწყვეტილების მიღებაში, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ეხება მათი იდენტობის დაცვასა და განვითარებას;

ვ) შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის პროცესში საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართულობის უზრუნველყოფა.

კონცეფცია ხორციელდება **6 ძირითადი მიმართულებით:** 1) კანონის უზენაესობა, 2) განათლება და სახელმწიფო ენა, 3) მედია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, 4) პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა, 5) სოციალური და რეგიონული ინტეგრაცია, 6) კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება.

ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრობლემა სამოქალაქო ინტეგრაციის გზაზე არის ეთნიკური უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის არცოდნა, რაც მათი მარგინალიზაციის საფუძვლად შეიძლება იქცეს. 2011 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავდა ეთნიკური უმცირესობებისათვის სახელმწიფო ენის სწავლების ახალი სტრატეგია, რომელიც ხორციელდება პროგრამის – **„ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის“** – ფარგლებში. იგი ითვალისწინებს ახალი სასწავლო მასალების შექმნას, ბილინგვური (ორენოვანი) სწავლების დანერგვას, მასწავლებელთა მომზადებას, ქართული ენის პედაგოგების გაგზავნას ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში. მასწავლებლად წასვლის უფლება აქვს ბაკალავრის ხარისხის მქონე ნებისმიერ სპეციალისტს, რომელიც გაივლის შერჩევის ეტაპს. მუშაობის დაწყებამდე ისინი სპეციალურ მომზადებას გადიან, რეგიონებში ადგილობრივ მცხოვრებთა ოჯახებში ცხოვრობენ, ერთი წლის მუშაობის შემდეგ კი, სამაგისტრო გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, იღებენ სწავლის სახელმწიფო დაფინანსებას. ამ პროგრამამ მუშაობა 2011-12 სასწავლო წელს დაიწყო და მასში ასობით მასწავლებელია ჩართული. გამოიცა ქართუ-

ლი ენის სახელმძღვანელოები ეთნიკური უმცირესობებისათვის. გათვალისწინებულია სწავლების 12 დონის შესაბამისი სახელმძღვანელოების.

განათლების სისტემამ ხელი უნდა შეუწყოს, ერთი მხრივ, სახელმწიფო ენის პოპულარიზაციას და მისი შესწავლის მოტივაციის გაზრდას, მეორე მხრივ, ეთნიკური უმცირესობების ლინგვისტურ თავისებურებათა დაცვას და ქართულ საზოგადოებაში მათ ინტეგრაციას.

სახელმწიფო უზრუნველყოფს უმცირესობათა ენებზე განათლების მიღების შესაძლებლობას. საქართველოში ფუნქციონირებს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული 123 სომხური, 94 აზერბაიჯანული, 23 რუსული, 1 უკრაინული სკოლა. 417 სკოლაში მუშაობს ორი ენობრივი სექტორი, 6 სკოლაში – 3.

ერთიანი სამოქალაქო ცნობიერების, საქართველოს, როგორც საერთო სამშობლოს მოქალაქეობის ჩამოყალიბებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ისტორიის სწავლებას სკოლებში. უკანასკნელ წლებში ბევრი რამ გაკეთდა იმისათვის, რომ წარმოჩენილი იყოს საქართველოს ისტორიაში ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობა, რადგან, როგორც ცნობილია, საერთო წარსული იდენტობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მსაზღვრელია.

კონცეფციის ძირითადი მიმართულებებიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა მე-6 თავი – „კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება“. ქვეყნის კულტურული ცხოვრებაში ეთნიკურ უმცირესობათა მონაწილეობის ხელშეწყობისა და მათი კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის გათვალისწინებულია სხვადასხვა სახის სამუშაოს ჩატარება:

ა) სახელმწიფოებრივი თვითშეგნების ჩამოყალიბების მხარდაჭერა;
ბ) ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების ხელშეწყობა;
გ) ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის დაცვა;
დ) ტოლერანტობის სულისკვეთების აღზრდა, ინტერკულტურული ურთიერთობებისა და დიალოგის ხელშეწყობა;
ე) საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობის წახალისება;
ვ) საზოგადოების ცოდნის გაღრმავება ეთნიკური უმცირესობების კულტურის, ისტორიის, რელიგიისა და ენის შესახებ; ყოველივე ამის, როგორც ქვეყნის კულტურული ფასეულობის წარმოდგენა და გააზრება.

რა **პრაქტიკული ნაბიჯებია** გადადგმული კონცეფციის განხორციელებისათვის? რომელი სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურები არიან მასში ჩართული?

- პარლამენტის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი, რომელიც იმუშავებს საკანონმდებლო აქტებს და ახორციელებს კონტროლს მათ მოქმედებაზე.
- 2005 წელს საქართველოს პრეზიდენტთან შეიქმნა **სამოქალაქო ინტეგრაციისა და ტოლერანტობის ეროვნული საბჭო,** რომლის ფუნქციები შემდეგნაირად განისაზღვრა: სფეროში არსებული სამეცნიერო და პრაქტიკული გამოცდილების შესწავლა და ანალიზი; პოლიტიკურ, ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს შორის დიალოგის ორგანიზება და ხელშეწყობა; მუშაობა პოლიტიკური, ფინანსური, ინსტიტუციური, საკანონმდებლო რესურსების მოძიების მიმართულებით; საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ანალიზი და არსებული ხარვეზების გამოსწორებისაკენ მიმართული წინადადებების შემუშავება.
- 2006 წელს სახალხო დამცველთან ჩამოყალიბდა ტოლერანტობის ცენტრი, რომელიც მოიცავს *ეთნიკური უმცირესობების საბჭოსა* და *რელიგიათა საბჭოს*. 2008 წელს ცენტრმა გამოსცა ორი მნიშვნელოვანი და საინტერესო ნაშრომი: **„ეთნოსები საქართველოში“** და **„რელიგიები საქართველოში“**.
- საქართველოს ტელევიზიის საზოგადოებრივი მაუწყებლობა (1-ლი არხი) საინფორმაციო გამოშვებებს გადასცემს ქართულად, რუსულად, აზერბაიჯანულად, სომხურად, აფხაზურად

და ოსურად. ტელევიზიასთან არსებობს ეთნიკურ უმცირესობათა რედაქციები, რომელთაც შეუძლიათ მოამზადონ რეპორტაჟები საინტერესო და საყურადღებო თემებზე. საქართველოს რადიომაუწყებლობას ასევე აქვს საინფორმაციო გადაცემები ეთნიკურ უმცირესობათა ენებზე, აგრეთვე ყოველკვირეული 45 წუთიანი გადაცემა „ჩვენი საქართველო“, რომელიც აშუქებს ეთნიკური უმცირესობების პრობლემებს.

- საზოგადოებრივ მაუწყებელზე კვირა დღეს ეთერში გადის გადაცემა „ჩვენი ეზო“, რომლის მონაწილენი არიან ხელისუფლების, მეცნიერების, ხელოვნების წარმომადგენლები, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი ახალგაზრდები, რომლებიც ეთნიკურ ურთიერთობათა საკითხებზე მსჯელობენ. ამ გადაცემას რამდენიმე წლის განმავლობაში ერქვა „იტალიური ეზო“. როგორც ცნობილია, ასე უწოდებენ ტრადიციულ ქალაქურ ეზოებს, რომლებიც ჯერ კიდევ შემორჩა თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში.
- ამავე მაუწყებლის მიერ, USAID მხარდაჭერით, მომზადდა 9 დოკუმენტური ფილმის კრებული საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების შესახებ (აზერბაიჯანელები, სომხები, ბერძნები, ებრაელები, ქურთები, ქისტები, უდები, უკრაინელები, ოსები). ფილები ჩაწერილია DVD დისკებზე, ისინი წარმოგვიდგენს დასახელებული ეთნიკური ჯგუფების ცხოვრებისა და ყოფის თავისებურებებს და ხელს უწყობს სამოქალაქო თვითშეგნების განვითარებას.
- www.diversity.ge წარმოადგენს პირველ სამენოვან (ქართული, ინგლისური, რუსული) ელექტრონულ ბაზას, რომელიც ეთნიკური უმცირესობების საკითხებს ეხება. იგი მოიცავს უმცირესობებთან დაკავშირებულ კანონმდებლობას, პროექტებსა და პროგრამებს, რომლებიც სახელმწიფოს ან სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით ხორციელდება, თავად ეთნიკური უმცირესობების ორგანიზაციების აქტივობებს. ამ ინფორმაციის მიწოდება ფართო აუდიტორიისათვის ხელს უწყობს კულტურული მრავალფეროვნების როგორც ფასეულობის აღქმას და ერთიანი სამოქალაქო თვითშეგნების ჩამოყალიბებას.[7]
- 2008 წელს დაფუძნებულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ „დემოკრატიისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ცენტრმა“, სახალხო დამცველთან არსებული ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოს მხარდაჭერითა და USAID დაფინანსებით, განახორციელა საინტერესო პროექტი სათაურით „საუბრები ტოლერანტობაზე“. მასში მონაწილეობდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 30 მოსწავლე – სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლები. ორი თვის განმავლობაში ისინი სტუმრობდნენ სხვადასხვა რელიგიის საკულტო დაწესებულებებს (სიონის ქრისტიანული მართლმადიდებლური ტაძარი, სუბ გევორქის სომხური ეკლესია, თბილისის სინაგოგა, თბილისის მეჩეთი, კათოლიკური ეკლესია და ევანგელისტურ-ლუთერული ეკლესია და სხვ.), ესაუბრებოდნენ სასულიერო პირებს. გარდა ამისა, მოსწავლეები შეხვდნენ საერო პირებს – სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს: პოეტ რატი ამაღლობელს, ფოტოხელოვან იური მეჩითოვს, სოციოლოგ ემზარ ჯგერენაიას, არქიტექტორ-ურბანისტ ლადო ვარდოსანიძეს, მომღერალსა და მსახიობ ვახტანგ კიკაბიძეს. საუბრებსა და დისკუსიებში განიხილებოდა ეთნიკური და რელიგიური შემწყნარებლობის საკითხები, ეთნიკური უმცირესობების ისტორიული და თანამედროვე როლი თბილისის ცხოვრებაში. პროექტთან დაკავშირებული მასალები გამოიფინა პროექტის მონაწილე ხუთ სკოლაში.

დიდი ყურადღება ექცევა ეთნიკური უმცირესობების კულტურის პოპულარიზაციას. 2012 წლის 2 ივნისს თბილისში ჩატარდა მრავალეთნიკური ხელოვნების ფესტივალი სახელწოდებით „ერთი ცის ქვეშ – კულტურათა დიალოგი“. მისი ორგანიზატორები იყვნენ რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.

7 სამწუხაროდ, დღეისათვის ეს ელექტრონული ბაზა მიუწვდომელია.

ფესტივალში მონაწილეობდნენ ხელოვნების სკოლების მოსწავლეები და ფოლკლორული ანსამბლები თბილისიდან და ეთნიკურ უმცირესობათა კომპაქტური განსახლების რეგიონებიდან, სულ მაყურებლის წინაშე წარდგა 175 მონაწილე.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ ინიცირებული საქართველოს ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის მხარდაჭერის პროგრამა ხორციელდება კავკასიური სახლის, დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის, მირზა-ფათალი ახუნდოვის სახელობის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმის, რუსული კულტურის ცენტრის, პეტროს ადამიანის სახელობის თბილისის სომხური თეატრის, ჰეიდარ ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანული თეატრის ბაზაზე. მიმდინარეობს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღწერა. 2010-2011 წლებში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მდებარე 24 მეჩეთს.

2011 წლის დეკემბერში პანკისის ხეობაში, სოფელ დუისში გაიხსნა ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომელშიც წარმოდგენილია ხეობაში მცხოვრები თუშების, ქისტების, ფშაველების, ოსების და სხვათა ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი მასალები.

2012 წლის აპრილში თბილისის ჰეიდარ ალიევის სახელობის აზერბაიჯანულმა თეატრმა ბოლნისში გასტროლზე წარმოადგინა ნოდარ დუმბაძის „თეთრი ბაირაღები“.

2012 წლის მარტში, „საქართველოს იეზიდთა სახლის“ ორგანიზებით, ჩატარდა ქურთული კულტურის დღეები, რომელიც გაიხსნა საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. გამოფენილ იქნა იეზიდთა მატერიალური კულტურისა და ყოფის უნიკალური ნიმუშები, რომლებიც მუზეუმის ფონდებში ინახებოდა.

2012 წლის მაისში საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოეწყო საქართველოში ბოშათა საერთაშორისო დღისადმი (აღინიშნება 8 აპრილს) მიძღვნილი სხდომა და წარმოდგენილი იქნა სპექტაკლი ოსკარ უაილდის პიესის „ვარსკვლავბიჭუნა“ მიხედვით, ბოშა ბავშვების მონაწილეობით.

თემა 3. ინტერკულტურულ ურთიერთობათა ასპექტები კანონმდებლობაში

§1. საქართველოს კანონმდებლობაში ასახული ინტერკულტურულ ურთიერთობათა საკითხები

ამ პარაგრაფში განვიხილავთ საქართველოში მოქმედი კანონებისა და კოდექსების იმ მუხლებს, მოთხოვნებსა და კანონით დადგენილ გარანტიებს, რომლებიც შეეხება განსხვავებული ეთნიკური და კულტურული იდენტობების მქონე პირებისა და ჯგუფების უფლებებსა და ამ უფლებათა დაცვის მექანიზმებს.

1921 წლის საქართველოს კონსტიტუცია[8]**.** 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ პირველი ქართული კონსტიტუცია, რომელიც ითვალისწინებდა ყველა დემოკრატიულ პრინციპს და გულისხმობდა ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებათა დაცვას. ქვემოთ წარმოდგენილია კონსტიტუციის შესაბამისი მუხლები:

თავი 3. ადამიანის უფლებები

მუხლი 31.

- ყოველი მოქალაქე სინდისის სრული თავისუფლებით სარგებლობს.

8 http://www.constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=248

- მოქალაქის დევნა და მის პოლიტიკურ თუ სამოქალაქო უფლებათა შეზღუდვა სარწმუნოების ან რწმენის გამო არ შეიძლება. ყველას შეუძლია აღიაროს ის სარწმუნოება, რომელიც სურს, ან სარწმუნოება გამოიცვალოს, ან და არც ერთ კულტს არ ეკუთვნოდეს.
- სარწმუნოებისა და რწმენის მომიზეზებით მოქალაქეობრივი და პოლიტიკური მოვალეობის ასრულებაზე უარის თქმა არავის შეუძლია, გარდა იმ შემთხვევის, რომელიც ცალკე კანონით იქნება განსაზღვრული.
- სარწმუნოებრივი ხასიათის აქტებს არავითარი გავლენა არა აქვს მოქალაქეობრივ უფლებასა და მდგომარეობაზე.

თავი 4. ეროვნულ უმცირესობათა უფლებანი

მუხლი 129.

- არ შეიძლება შეიზღუდოს საქართველოს რესპუბლიკის რომელიმე ეროვნული უმცირესობის თავისუფალი საციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება, განსაკუთრებით მისი დედა-ენით სწავლა-აღზრდა და ეროვნულ-კულტურულ საქმეთა შინაური მართვა-გამგეობა.
- ყველას აქვს უფლება სწეროს, ჰბეჭდოს და ილაპარაკოს დედა ენაზე.

მუხლი 130.

- ეროვნულ უმცირესობისაგან შემდგარი ადგილობრივ თვითმმართველობის ერთეულების (თემი, ერობა, ქალაქი) უფლება აქვთ შეერთდნენ და დააარსონ ეროვნული კავშირი თავის კულტურულ-განმანათლებელი საქმეების უკეთ მოსაწყობად და გასაძღოლად კონსტიტუციისა და კანონის ფარგლებში. ეროვნულ უმცირესობას, რომელსაც ასეთი თვითმართველობის ორგანოები არ მოეპოვება, შეუძლია ამის გარეშეც შეადგინოს ეროვნული კავშირი ამ მუხლში აღნიშნული უფლებითა და კომპეტენციით.
- ეროვნულ უმცირესობათა კულტურულ-განმანათლებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად სახელმწიფო და თვითმართველობათა ბიუჯეტიდან გადაიდება ფინანსიური საშვალებები პროპორციულად მცხოვრებთა რაოდენობისა.

მუხლი 131.

- არ შეიძლება შეიზღუდოს ვისიმე პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლება ეროვნულ კავშირში მონაწილეობისას.

მუხლი 132.

- ყოველ ეროვნულ კავშირს შეუძლია აღძრას და დაიცვას სასამართლოს წინაშე ის საქმე, რომელიც ეხება კონსტიტუციითა და კანონით მინიჭებულ ეროვნულ უმცირესობის უფლების დარღვევას.

მუხლი 133.

- საქართველოს რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს თანასწორი უფლება აქვს მიიღოს სახელმწიფო, სამოქალაქო, სამხედრო და საქალაქო თუ საერობო სამსახური.

მუხლი 134.

- ეროვნულად ნარევი ადგილობრივი მმართველობა ვალდებულია სწავლა–განათლებისათვის გადადებული თანხით დააარსოს საკმაო რიცხვი სკოლების და კულტურულ–განმანათლებელ დაწესებულებისა მოქალაქეთა ეროვნულ შედგენილობის პროპორციის მიხედვით.

მუხლი 135.

- ეროვნულ უმცირესობის სკოლაში სწავლება სწარმოებს ბავშვის სალაპარაკო ენაზე.

მუხლი 136.

- ადგილობრივ მმართველობის ფარგლებში, სადაც ერთი რომელიმე ეროვნული უმცირეოსბა აღემატება ყველა მოქალაქეთა 20 %–ს, ამ ეროვნულ უმცირესობის მოთხოვნით მსჯელობა

და საქმის წარმოება, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში შემოღებულ უნდა იქნეს სახელმწიფო ენასთან ერთად მის დედაენაზედაც

მუხლი 137.

- არა ქართველ დეპუტატს, რომელმაც სახელმწიფო ენა საკმაოდ არ იცის, შეუძლია პარლამენტში სიტყვა წარმოსთქვას დედა–ენით, რომლის სწორ თარგმანს წინასწარ წარუდგენს პარლამენტის პრეზიდიუმს. დაწვრილებით წესს განსაზღვრავს კანონი.

1995 წლის საქართველოს კონსტიტუცია.[9] საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით აღიარებულია ადამიანის თავისუფლებისა და თანასწორობის ფუნდამენტური პრინციპები. თავისუფლება და თანასწორობა არ შეიძლება შეიზღუდოს რაიმე განმასხვავებელი ნიშნით: რასით, კანის ფერით, ენით, სქესით, რელიგიით, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებით, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებით, წარმოშობით, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობით, საცხოვრებელი ადგილით და სხვა.

საქართველოს კონსტიტუცია საქართველოს მოქალაქეებს ანიჭებს შეუზღუდავ უფლებას, საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, შექმნან პოლიტიკური პარტია, სხვა გაერთიანება და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში (მუხლი 26).

კონსტიტუციის 38-ე მუხლი ასევე იცავს საქართველოს მოქალაქეების უფლებას, თანასწორობის პრინციპის დაცვით მიიღონ მონაწილეობა სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.[10] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულებრივ მოქმედებად არის განსაზღვრული ადამიანის თანასწორობის დარღვევა, რასობრივი, რელიგიური, ეთნიკური თუ სხვა სახის დისკრიმინაცია; ქმედება, რომელიც ხელს უშლის სხვა ადამიანს, კანონის საფუძველზე გამოხატოს საკუთარი რელიგიური მრწამსი და ა.შ.

სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლი „ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა“ დასჯად ქმედებად აფასებს ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევას მათი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური, რომელიმე წოდებისადმი ან საზოგადოებრივი გაერთიანებისადმი კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის ან ქონებრივი მდგომარეობის გამო. თანასწორობის დარღვევის ეს შემთხვევები საქართველოს კანონმდებლობით ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე. სასჯელი მძიმდება აღნიშნული კანონდარღვევის განმეორების შემთხვევაში.

სისხლის სამართლის კოდექსი განმარტავს რასობრივი დისკრიმინაციის ფორმებსა და შინაარსს და სასჯელის ზომად იღებს სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას. ამ კანონის 1412-ე მუხლით: რასობრივი დისკრიმინაცია, ესე იგი ქმედება, ჩადენილი ეროვნული ან რასობრივი მტრობის ან განხეთქილების ჩამოგდების, ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირების მიზნით, აგრეთვე რასის, კანის ფერის, სოციალური კუთვნილების, ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით ადამიანის უფლებების პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა, ანდა იმავე

9 http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68

10 http://www.tcc.gov.ge/uploads/kanonebi/sisxlis_samartlis_kodeqsi.pdf

ნიშნით ადამიანისათვის უპირატესობის მინიჭება, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

კანონით ასევე დასჯად ქმედებად ცხადდება რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა: „ღვთისმსახურების ან სხვა რელიგიური წესისა თუ ჩვეულების აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა ძალადობით ან ძალადობის მუქარით, ანდა თუ მას ახლდა მორწმუნის ან ღვთისმსახურის რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფა, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე“ (მუხლი 155). საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით იკრძალება „დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა“ (მუხლი 1443). ასეთ მოპყრობად მიჩნეულია ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა, მათი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის გამო.

სისხლის სამართლის კოდექსში ერთ-ერთ უმძიმეს დანაშაულად არის მიჩნეული გენოციდი (მუხლი 407). გენოციდად კვალიფიცირდება ქმედება, ჩადენილი შეთანხმებული გეგმის განსახორციელებლად რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური ანდა რაიმე სხვა ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსასპობად, რაც გამოიხატა ასეთი ჯგუფის წევრთა მკვლელობით, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებით, მათთვის ცხოვრების მძიმე პირობების განზრახ შექმნით, შობადობის ძალით შემცირებით ან ბავშვის იძულებით გადაცემით ერთი ეთნიკური ჯგუფიდან მეორეში. დანაშაული ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.

მძიმე დანაშაულთა კატეგორიას განეკუთვნება „დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ“ (მუხლი 408), რომელიც გულისხმობს ქმედებას, ჩადენილს სამოქალაქო მოსახლეობაზე ან პირებზე ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმის ფარგლებში, რაც გამოიხატა მკვლელობით, ადამიანთა მასობრივი განადგურებით, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებით, დეპორტაციით, თავისუფლების უკანონო აღკვეთით, წამებით, გაუპატიურებით, სქესობრივ მორჩილებაში ყოლით, პროსტიტუციის იძულებით, იძულებით ორსულობით, ძალადობითი სტერილიზაციით, პირთა ჯგუფის დევნით პოლიტიკური, რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური, კულტურული, რელიგიური, სქესობრივი ან სხვა ნიშნის საფუძველზე, აპარტეიდითა და სხვა არაჰუმანური ქმედებით, რომლებიც სერიოზულ ზიანს აყენებს ადამიანის ფიზიკურ ან/და ფსიქიკურ მდგომარეობას. ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულში მონაწილეობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.

საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“[11] (კანონი საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ იქნა 2014 წელს). კანონი კრძალავს დისკრიმინაციას როგორც საჯარო, ასევე კერძო სფეროში. დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფის საკითხებზე ზედამხედველობას სახალხო დამცველი ახორციელებს.

პირველ მუხლში დაკონკრეტებულია კანონის მიზანი – აღმოიფხვრას დისკრიმინაციის ყველა ფორმა და გარანტირებულ იქნას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.

11 http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1661.pdf

მე-2 მუხლი ეხება დისკრიმინაციის ცნების განმარტებას და დისკრიმინაციის უშუალო გამოვლინებების აკრძალვას. კანონში დაკონკრეტებულია, რომ აკრძალულია ნებისმიერი სახის, პირდაპირი თუ ირიბი დისკრიმინაცია. პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით, ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

ირიბი დისკრიმინაცია არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით, ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მდგომარეობა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

კანონში გაწერილია დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად განსახორციელებელ ღონისძიებათა ნუსხა (მუხლი 4). დისკრიმინაციის აღმოფხვრის ვალდებულება ეკისრება ნებისმიერ დაწესებულებას, რომელიც ვალდებულია:

ა) თავისი საქმიანობა, აგრეთვე სამართლებრივი აქტები და შიდა რეგულაციები, თუ ისინი არსებობს, შეუსაბამოს ამ კანონსა და სხვა ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობას;

ბ) მოახდინოს სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება სავარაუდო დისკრიმინაციის ნებისმიერ ფაქტზე;

გ) დისკრიმინაციის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების შესაბამისად, პასუხისმგებლობა დააკისროს მის დაქვემდებარებაში მყოფ დამრღვევ პირს და უზრუნველყოს დისკრიმინაციის შედეგების აღმოფხვრა მესამე პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეულახავად.

კანონის მე-6 მუხლი დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობის განხორციელების ვალდებულებას აკისრებს საქართველოს სახალხო დამცველს. სახალხო დამცველის უფლებამოსილებაა: განიხილოს იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის ან პირთა ჯგუფის განცხადება და საჩივარი, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს; შეისწავლოს დისკრიმინაციის ფაქტი როგორც განცხადების ან საჩივრის არსებობისას, ისე საკუთარი ინიციატივით და გამოსცეს შესაბამისი რეკომენდაცია; მოამზადოს და შესაბამის დაწესებულებას ან პირს გაუგზავნოს ზოგადი წინადადებები დისკრიმინაციის თავიდან აცილების და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე; მოიწვიოს დისკრიმინაციის მსხვერპლი და სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების განმახორციელებელი პირი და შეეცადოს საქმე მხარეთა მორიგებით დაასრულოს; ამასთან, სახალხო დამცველი უფლებამოსილია, როგორც დაინტერესებულმა პირმა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ან ქმედების განხორციელება, თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ მის რეკომენდაციას არ უპასუხა ან ეს რეკომენდაცია არ გაიზიარა და არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციას ადასტურებს და სხვა.

საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“[12] არეგულირებს წინასაარჩევნო შეკრებებისა და მანიფესტაციების გამართვის პროცედურებსა და პრაქტიკას (მუხლი 74). კანონი კრძალავს იმ სახის შეკრებებსა და მანიფესტაციებს, სადაც ადგილი აქვს მოწოდებებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფისა და დარღვევისაკენ, ეროვნული, ეთნიკური, კუთხური, რელიგიური და სოციალური შუღლის გაღვივებისაკენ, კონსტიტუციური წყობილების დამხობის და მისი ძალადობით შეცვლისაკენ, აგრეთვე, ომისა და ძალადობის პროპაგანდას.

ანალოგიური სახის შეზღუდვებია დაწესებული საარჩევნო სუბიექტებისა და მათი მხარდამჭერების მიმართაც.

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“.[13] კანონის მე-2 მუხლი საქართველოს მოქალაქეებს ანიჭებს უფლებას ა) აირჩიონ და არჩეულ იქნან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში, ამ კანონით და საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით; ბ) მიიღონ საჯარო ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსგან და თანამდებობის პირებისგან; წინასწარ გაეცნონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს გადაწყვეტილებების პროექტებს; მონაწილეობა მიიღონ მათ განხილვაში; გ) მოითხოვონ გადაწყვეტილებათა პროექტების გამოქვეყნება და საჯარო განხილვა.

საქართველოს ორგანული კანონი „რეფერენდუმის შესახებ“[14]. კანონის მიხედვით, დაუშვებელია რეფერენდუმში მონაწილეობა შეეზღუდოს საქართველოს მოქალაქეს (ვისაც შეუსრულდა 18 წელი) რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა თუ საცხოვრებელი ადგილის გამო.

საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“[15] კრძალავს პარტიის წევრობის შეზღუდვას რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (მუხლი 11).

საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“.[16] კანონის მე-4 მუხლის მიხედვით, დაუშვებელია შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზაციისას და ჩატარებისას მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობის ან ძალადობით შეცვლისაკენ, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ან ისეთი მოწოდება, რომელიც წარმოადგენს ომისა და ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს.

საქართველოს კანონში „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“[17] აღნიშნულია, რომ სახელმწიფო ცნობს და იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობებს. ყველას, ადმინისტრაციული ორგანოს გარდა, აქვს გამოხატვის თავისუფლება, რაც გულისხმობს:

ა) აზრის აბსოლუტურ თავისუფლებას;

გ) ნებისმიერი ფორმის ინფორმაციისა და იდეების მოძიების, მიღების, შექმნის, შენახვის, დამუშავებისა და გავრცელების უფლებას;

12 http://www.cesko.ge/ge/saarchevno-administracia-2-ge/samartlebrivi-aqtebi-27-ge/kanonebi-43-ge/saqartvelos-saarchevno-kodeqsi-813.page

13 http://static.mrdi.gov.ge/5326b29e0cf287919443293a.pdf

14 http://www.cesko.ge/files/2012/KANONEBI/SXVA%20KANONEBI

15 http://sao.ge/legislation/organic-law-of-georgia-on-political-unions-of-citizens

16 http://www.khobi.ge/files/files/new/30.pdf

17 http://idfi.ge/ge/freedom-of-expression

დ) ცენზურის დაუშვებლობას, მედიის სარედაქციო დამოუკიდებლობასა და პლურალიზმს, ჟურნალისტის უფლებას, დაიცვას ინფორმაციის წყაროს საიდუმლოობა და საკუთარი სინდისის შესაბამისად მიიღოს სარედაქციო გადაწყვეტილებები;

ე) სწავლის, სწავლებისა და კვლევის აკადემიურ თავისუფლებას;

ვ) ხელოვნების, შემოქმედებისა და გამოგონების თავისუფლებას;

ზ) ნებისმიერ ენაზე მეტყველების, ნებისმიერი დამწერლობის გამოყენების უფლებას;

კ) თავისუფლებას იძულებისაგან, გამოთქვას თავისი შეხედულება რწმენის, აღმსარებლობის, სინდისისა და მსოფლმხედველობის, ეთნიკური, კულტურული და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ოჯახური, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, აგრეთვე ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელიც შეიძლება გახდეს მისი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის საფუძველი (მუხლი 3).

საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“[18] საზოგადოებრივ მაუწყებელს შემდეგი სახის შინაარსობრივ ვალდებულებებს აკისრებს:

ა) უზრუნველყოს პროგრამების სარედაქციო დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა; სახელისუფლებო, პოლიტიკური, რელიგიური და კომერციული გავლენისაგან თავისუფლება;

ვ) ასახოს საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებათა პლურალიზმი;

თ) პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება;

ლ) ხელი შეუწყოს ქვეყნის თვითმყოფადობის, სულიერი ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას;

მ) სათანადო პროპორციით განათავსოს უმცირესობების ენაზე, უმცირესობების შესახებ და უმცირესობების მიერ მომზადებული პროგრამები (მუხლი 16).

დაწესებული შეზღუდვებიდან ჩვენ გამოვყოფთ ომისა და ძალადობის პროპაგანდის, რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვაგვარი შუღლის გაღვივების, რომელიმე ჯგუფის დისკრიმინაციის ან ძალადობისკენ წაქეზებისკენ მოწოდების აკრძალვას (მუხლი 56). დაშვება ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს მიზნად ისახავს არსებული შუღლის ილუსტრირებას.

საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“. ანტიდისკრიმინაციული და ტოლერანტული გარემოს ფორმირების პერსპექტივის თვალსაზრისით, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“.

კანონის მე-3 მუხლი განსაზღვრავს უმაღლესი განათლების მიზნებს. წარმოდგენილი მიზნებიდან გამოვყოფთ შემდეგს:

ა) ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტაცია, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის;

ბ) პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება;

გ) პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადება, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე პირთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, სტუდენტთა და ფართო საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება დაინტერესებული პირებისათვის;

18 http://www.gncc.ge/

ე) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის წახალისება.

ჩამოთვლილი მიზნები საკმარის საფუძველს ქმნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო და კვლევითი პროცესის იმ მხრივ დაგეგმვა-წარმართვისთვის, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა შორის კულტურული მრავალფეროვნების შესახებ ცოდნის გაღრმავებასა და პოზიტიური საურთიერთობო გარემოს შექმნას.

აღსანიშნავია, რომ უმაღლესი განათლების მიზნების მიღწევის პროცესში კანონი სახელმწიფოს ავალდებულებს, უზრუნველყოს ისეთი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა, რომელიც გარანტირებულს გახდის უმაღლესი განათლების სფეროში ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვას, მათ შორის აკადემიური, რელიგიური თუ ეთნიკური კუთვნილების ან/და შეხედულების, სქესის, სოციალური წარმოშობისა და სხვა ნიშნით.

„საქართველოს შრომის კოდექსი“[19] შრომით ურთიერთობებში კრძალავს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას. კანონის მე-2 მუხლში განმარტებულია იმ შეზღუდვების დიაპაზონი, რომლის გამოყენებაც ჩაითვლება შრომით ურთიერთობებში ჩართულ პირთა დისკრიმინაციად. ესენია: რასობრივი კუთვნილება, კანის ფერი, ენა, ეთნიკური და სოციალური კუთვნილება, ეროვნება, წარმოშობა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობა, საცხოვრებელი ადგილი, ასაკი, სქესი, სექსუალური ორიენტაცია, შეზღუდული შესაძლებლობი, რელიგიური ან რაიმე გაერთიანებისადმი კუთვნილება, ოჯახური მდგომარეობა, პოლიტიკური და სხვა შეხედულები.

კანონის მიხედვით, დისკრიმინაციად ჩაითვლება შრომით ურთიერთობებში ჩართული პირის პირდაპირი ან არაპირდაპირი შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისთვის ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით.

კანონში განმარტებულია ის ქმედებებიც, რომლებიც არ ჩაითვლება დიკრიმინაციად. მაგალითად, დისკრიმინაციად არ ჩაითვლება პირთა განსხვავების აუცილებლობა, რომელიც გამომდინარეობს სამუშაოს არსიდან, სპეციფიკიდან ან მისი შესრულების პირობებიდან, ემსახურება კანონიერი მიზნის მიღწევას და არის მისი მიღწევის თანაზომიერი და აუცილებელი საშუალება.

შრომით ურთიერთობებში ჩართული მხარეებისთვის სავალდებულო მოთხოვნად ითვლება მათ მიერ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებების განუხრელი დაცვა.

საქართველოს კანონი „კულტურის შესახებ“[20] ემსახურება ადამიანის კულტურული მოღვაწეობის უფლების უზრუნველყოფას (მუხლი 6). საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, კულტურული მოღვაწეობა საქართველოში არის ადამიანის შეუვალი უფლება. კანონის მიხედვით, საქართველოს მოქალაქენი თანასწორნი არიან კულტურულ ცხოვრებაში, განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა.

ამავე კანონის მე-9 მუხლით – „შემოქმედებითი მოღვაწეობის თავისუფლება და დამოუკიდებლობა“ – დაუშვებელად ცხადდება შემოქმედებით პროცესში ჩარევა, შემოქმედებითი საქმიანობის ცენზურა, შემოქმედებით ნაწარმოებზე ყადაღის დადება და მისი გავრცელების აკრძალვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ლახავს სხვა ადამიანის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, აღვიძებს ეროვნულ, ეთნიკურ, რელიგიურ და რასობრივ შუღლს, ქადაგებს ომსა და ძალადობას, პროპაგანდას უწევს პორნოგრაფიას.

19 https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567

20 http://meca.gov.ge/itst/index.php?module=Content-House&action=view&id=1628&lang=geo

კანონი „კულტურის შესახებ“ ასევე იცავს ადამიანის კულტურული თვითმყოფადობის უფლების ხელშეუხებლობას. მე-10 მუხლის მიხედვით, ყოველ ადამიანს აქვს კულტურული თვითმყოფადობის დაცვისა და მხატვრულ-ესთეტიკური ორიენტაციის თავისუფლად არჩევის უფლება.

საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კრძალავს პაციენტის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, აღმსარებლობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, დაავადების, სექსუალური ორიენტაციის ან პირადული უარყოფითი განწყობის გამო (მუხლი 6).

ანალოგიურ შეზღუდვას აწესებს საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“: პაციენტის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, გენეტიკური მემკვიდრეობის, რწმენისა და აღმსარებლობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, დაავადების, სექსუალური ორიენტაციის ან პირადული უარყოფითი განწყობის გამო აკრძალულია.

„საქართველოს საგადასახადო კოდექსის“[21] მე-11 მუხლი განმარტავს და არეგულირებს რელიგიურ საქმიანობას. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს დადგენილი წესით რეგისტრირებული რელიგიური ორგანიზაციის (გაერთიანების) საქმიანობა, რომლის მიზანია აღმსარებლობისა და სარწმუნოების გავრცელება, მათ შორის, ისეთი გზით, როგორიცაა:

ა) რელიგიური წეს-ჩვეულებების, ცერემონიების, ლოცვების, სხვა საკულტო მოქმედებათა ორგანიზება და ჩატარება;

ბ) მორწმუნეთათვის შესაძლებლობის მიცემა, ჰქონდეთ ან გამოიყენონ სამლოცველო შენობები და სარიტუალო ნაგებობები რელიგიურ მოთხოვნათა როგორც ერთობლივად, ისე ინდივიდუალურად დასაკმაყოფილებლად;

გ) რელიგიური დელეგაციების, მომლოცველების, სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლების მიღებისა და გამგზავრების ორგანიზება, ეროვნული და საერთაშორისო რელიგიური თათბირების, ყრილობების, სემინარების ორგანიზება, ამ ღონისძიებათა ჩატარების პერიოდში მათი მონაწილეების სასტუმროებით (სხვა საცხოვრებლით), ტრანსპორტით, კვებითა და კულტურული მომსახურებით უზრუნველყოფა;

დ) მონასტრების, სამონასტრო ეკლესიების, სასულიერო-სასწავლო დაწესებულებების შენახვა, ამ სასულიერო-სასწავლო დაწესებულებების მოსწავლეთა და მსმენელთა სწავლება, საქველმოქმედო ორგანიზაციების (საავადმყოფოები, თავშესაფრები, მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლები) შენახვა, აგრეთვე კანონიკური წესებით განპირობებული სხვა ანალოგიური საწესდებო საქმიანობა.

ამავე კანონის მიხედვით, რელიგიურ საქმიანობას უთანაბრდება იმ რელიგიური ორგანიზაციების (გაერთიანებების) საწარმოთა საქმიანობა, რომლებიც გამოსცემენ რელიგიურ (საღვთისმსახურო) ლიტერატურას ან აწარმოებენ რელიგიური დანიშნულების საგნებს; ამ ორგანიზაციების (გაერთიანებების) ან მათი საწარმოების საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია რელიგიური (საღვთისმსახურო) ლიტერატურის ან რელიგიური დანიშნულების საგნების რეალიზაციასთან (გავრცელებასთან); აგრეთვე ასეთი საქმიანობით მიღებული ფულადი სახსრების გამოყენება რელიგიური საქმიანობის განსახორციელებლად.

„შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია“[22] (დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის მიერ 2009 წელს). შემწყნარებლობისა და კონცეფციის ძირითადი მიზანია დემოკრატიული, კონსოლიდირებული და საერთო ღირებულებებზე დაფუძ-

21 https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717

22 http://www.smr.gov.ge/docs/doc173.pdf

ნებული სამოქალაქო საზოგადოების შექმნის ხელშეწყობა, რომელიც მრავალფეროვნებას თავისი ძლიერების წყაროდ მიიჩნევს და ყველა მოქალაქეს უზრუნველყოფს საკუთარი იდენტობის შენარჩუნებისა და განვითარების შესაძლებლობით.

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და კონცეფციის განხორციელების სამოქმედო გეგმა ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას და საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს. დოკუმენტის პროექტი მომზადდა საქართველოს პრეზიდენტთან არსებული შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული საბჭოს მიერ. შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია განსაზღვრავს სახელმწიფო სტრატეგიასა და ამოცანებს ექვსი ძირითადი მიმართულებით: კანონის უზენაესობა; განათლება და სახელმწიფო ენა; მედია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა; პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა; სოციალური და რეგიონალური ინტეგრაცია; კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება.

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის მიზნებია (II თავი):

ა) ტოლერანტობისა და ურთიერთპატივისცემის გარემოს შექმნა საქართველოში მცხოვრებ ყველა პირს შორის;

ბ) საქართველოს ყველა მოქალაქის უზრუნველყოფა თანაბარი შესაძლებლობით სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური უფლებებით სარგებლობისათვის;

გ) აუცილებელი პირობების შექმნა საქართველოს პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში იმ პირთა ეფექტიანი მონაწილეობისათვის, რომლებიც ეროვნულ უმცირესობებს მიეკუთვნებიან;

დ) ეროვნული უმცირესობებისათვის განათლების ყველა საფეხურის თანაბარი ხელმისაწვდომობისა და ზოგადი განათლების სფეროში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების უზრუნველყოფა;

ე) აუცილებელი პირობების შექმნა ეროვნული უმცირესობების კულტურის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის, მათი თვითმყოფადობის ძირითადი ელემენტების, კერძოდ, რელიგიის, ენის, ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის.

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის პრინციპებია (III თავი):

ა) საქართველოს ყველა მოქალაქის თანასწორობა, დისკრიმინაციის დაუშვებლობა და ტოლერანტობის ტრადიციის განმტკიცება;

ბ) ბალანსის შენარჩუნება სამოქალაქო ინტეგრაციასა და ეროვნული უმცირესობების იდენტობის დაცვას შორის, სამოქალაქო ინტეგრაციის ნებაყოფლობითობა და იძულებითი ასიმილაციის დაუშვებლობა;

გ) ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა თავისუფალი არჩევანის უფლება – მოექცნენ თუ არა მათ, როგორც ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს;

დ) ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა უფლება, როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად განახორციელონ ის უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციისა და ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციიდან;

ე) ეროვნული უმცირესობების ეფექტიანი მონაწილეობა ყველა იმ გადაწყვეტილების მიღებაში, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ეხება მათი იდენტობის დაცვასა და განვითარებას;

ვ) შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის პროცესში საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართულობის უზრუნველყოფა.

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნულ კონცეფციაში, განსაზღვრული მიმართულებების რეალიზების შესაბამისად, დაკონკრეტებულია დაგეგმილი ღონისძიებებათა ნუსხა და ის მოსალოდნელი შედეგები, რაც მათი განხორციელებით მიიღწევა (თავი IV).

1. კანონის უზენაესობა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულებაა, რომელიც მოიცავს შემდეგი ამოცანების განხორციელებას:

ა) საქართველოს კანონმდებლობის შემდგომი ჰარმონიზაცია საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებთან;
ბ) ეროვნული უმცირესობების მიერ მართლმსაჯულების სისტემის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
გ) დისკრიმინაციული მოპყრობისგან ეროვნული უმცირესობების ეფექტიანი დაცვის უზრუნველყოფა;
დ) საჯარო მოსამსახურეთა ცნობიერების ამაღლება ეროვნული უმცირესობების უფლებებსა და ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობასთან მიმართებაში.

2. განათლება და სახელმწიფო ენა. სამოქალაქო ინტეგრაციის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევაა ეროვნული უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის არცოდნა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მათ სრულფასოვან მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. საწყის ეტაპზე აუცილებელია ეროვნული უმცირესობების მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა, დაეუფლონ ქართულ ენას, და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების ინტეგრაციის მხარდამჭერი პროგრამების განხორციელება. ამ მიმართულებით დასახულია შემდეგი ამოცანები:

ა) ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთათვის სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
ბ) ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთათვის საშუალო განათლების მიღების ხელშეწყობა;
გ) ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთათვის უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
დ) სახელმწიფო ენის სწავლების ხელშეწყობა;
ე) განათლების სფეროში საჯარო დისკუსიისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა.

3. მედია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. ეს მიმართულება გულისხმობს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ ისეთი სატელევიზიო გადაცემების მომზადებას და ტრანსლირებას, რომლებიც მიზნად ისახავენ ეროვნული ეროვნული უმცირესობების ინფორმირებას. ამ კუთხით გარკვეული ნაბიჯი გადაიდგა საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ, რომლის ეთერშიც 2005 წლიდან გადის საინფორმაციო პროგრამები ეროვნული უმცირესობების ენებზე. უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით, საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამული ბიუჯეტის არანაკლებ 25% უნდა მოხმარდეს უმცირესობების ენებზე მომზადებული პროგრამების გადაცემას.

სახელმწიფო ენის ცოდნის დაბალი დონისა და ქართული სამაუწყებლო მედიის, ძირითადად, ქართულენოვანი მაუწყებლობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია სპეციალური ღონისძიებების გატარება ეროვნული უმცირესობების ჯეროვანი ინფორმირების უზრუნველსაყოფად. ამ მიმართულებით დასახულია შემდეგი ამოცანები:

ა) ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ეროვნული მაუწყებლობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
ბ) ეროვნული უმცირესობების ენებზე სამაუწყებლო პროგრამების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

გ) სამაუწყებლო პროგრამებში ეროვნული უმცირესობების გაშუქებისა და მონაწილეობის უზრუნველყოფა;

დ) ეროვნული უმცირესობების ენებზე ელექტრონული და ბეჭდვითი მედიის ხელშეწყობა;

ე) მედიაში ტოლერანტობისა და კულტურული პლურალიზმის დამკვიდრების ხელშეწყობა.

4. პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა. ეროვნული უმცირესობების პოლიტიკური ინტეგრაციისა და სამოქალაქო მონაწილეობის დონის ამაღლების მიზნით, ბოლო წლებში ტარდება საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებისათვის. ეროვნული უმცირესობების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური ჩართვა მეტწილად დამოკიდებული იქნება სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლებასა და საწყის ეტაპზე სახელმწიფოს მიერ მათ წახალისებაზე საჯარო სამსახურში მუშაობის დასაწყებად. აღნიშნული მიმართულებით დასახულია შემდეგი ამოცანები:

ა) ეროვნული უმცირესობების თანასწორი საარჩევნო უფლების უზრუნველყოფა;

ბ) გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობის გაუმჯობესება;

გ) ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის პოპულარიზაცია.

5. სოციალური და რეგიონალური ინტეგრაციის ხელშემწყობ ფაქტორად უნდა იქცეს ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და სხვა მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროექტები. ამ მიმართულებით დასახულია შემდეგი ამოცანები:

ა) ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება;

ბ) ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა პროფესიული გადამზადება და მათი დასაქმების ხელშეწყობა;

გ) ეროვნული უმცირესობების სოციალური და რეგიონული მობილობის ხელშეწყობა.

6. კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება. ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობისა და მათი კულტურული მემკვიდრეობის მხარდაჭერის მიზნით, სახელმწიფო გეგმავს შემდეგი ამოცანების განხორციელებას:

ა) სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

ბ) ეროვნული უმცირესობების კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების ხელშეწყობა;

გ) ეროვნული უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობის დაცვა;

დ) ტოლერანტობის სულისკვეთების მხარდაჭერა, კულტურათაშორისი დიალოგისა და კავშირების ხელშეწყობა;

ე) საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობის ხელშეწყობა;

ვ) ეროვნული უმცირესობების კულტურის, ისტორიის, ენისა და რელიგიის შესახებ საზოგადოების ცოდნის გაღრმავება და ქვეყნის კულტურულ ღირებულებებად მათი წარმოჩენა.

§2. საერთაშორისო კანონმდებლობაში წარმოდგენილი ინტერკულტურულ ურთიერთობათა საკითხები

პარაგრაფში განხილულია ის სამართლებრივი დოკუმენტები (აქტები, რეკომენდაციები), რომლებიც საერთაშორისო დონეზე უზრუნველყოფენ ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვას.

„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია“[23] **(**მიღებულ იქნა 1950 წელს). პრეამბულაში კონვენციის ხელმომწერი ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფო-

23 https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370

ების მთავრობები ადასტურებენ თავიანთ ერთგულებას იმ ძირითადი თავისუფლებებისადმი, რომელთაც ეფუძნება სამართლიანობა და მშვიდობა მსოფლიოში და რომელთა დაცვა ხორციელდება, ერთი მხრივ, ეფექტიანი დემოკრატიული პოლიტიკითა და, მეორე მხრივ, ადამიანის უფლებების საერთო გაგებითა და მათი უზრუნველყოფით, რასაც ისინი ემყარებიან.

კონვენციაზე ხელმომწერი მხარეები თანხმდებიან, რომ იკისრებენ და განუხრელად განახორციელებენ ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატივისცემის ვალდებულებებს.

კონვენციის I თავი ეხება ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. ამ თავის მე-2 მუხლში საუბარია ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებაზე – „სიცოცხლის უფლება". მე-3 მუხლით იკრძალება წამება, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა. მე-4 მუხლი კრძალავს მონობასა და იძულებით შრომას. მე-5 მუხლში განმარტებულია, თუ რას გულისხმობს ადამიანის „თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება" და, რომ ამ უფლების შეზღუდვის დაშვება შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს კანონიერი გადაწყვეტილების საფუძველზე.

მე-9 მუხლი – „აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება" – ადგენს, რომ ყველას აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება, რაც გულისხმობს რელიგიისა და რწმენის შეცვლის თავისუფლებას და აგრეთვე თავისუფლებას, როგორც ინდივიდუალურს ისე სხვებთან ერთად, საქვეყნოდ და განკერძოებით, გააცხადოს თავისი რელიგია და რწმენა აღმსარებლობით, სწავლებით, წესების დაცვითა და რიტუალების აღსრულებით.

მე-14 მუხლი – „დისკრიმინაციის აკრძალვა" – განმარტავს, რომ „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით" გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კოთვნილების, ქონებრივი მდგომარეობი, დაბადებისა თუ სხვა ნიშნისა".

იუნესკოს 2005 წლის კონვენცია "კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვა და ხელშეწყობა"[24] განამტკიცებს კავშირს კულტურას, განვითარებასა და დიალოგს შორის, ამასთანავე, ქმნის კულტურის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების მექანიზმებს. ამ მხრივ, იგი ადასტურებს სახელმწიფოს სუვერენულ უფლებას, შეიმუშაოს კულტურის პოლიტიკა „კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის" მიზნით, შექმნას „კულტურების აყვავებისა და თავისუფალი ურთიერთქმედების პირობები ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე" (კონვენციის პირველი მუხლი), უზრუნველყონ კულტურებს შორის მუდმივი გაცვლა და ურთიერთქმედება (მუხლი1,2), გაითვალისწინონ კულტურის პოტენციალის მნიშვნელობა სოციალური ერთობისათვის, საზოგადოების პროგრესის ინტერესებისათვის, უზრუნველყონ ისეთი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ინდივიდებსა და სოციალურ ჯგუფებს, რათა შექმნან, აწარმოონ, გაავრცელონ, გაანაწილონ და თავისთვის ხელმისაწვდომი გახადონ კულტურული თვითგამოხატვის საკუთარი ფორმები, ამასთან, სათანადო ყურადღება დაუთმონ ქალების, ასევე სხვადასხვა სოციალური ჯგუფების განსაკუთრებულ პირობებსა და მოთხოვნილებებს, იმ პირთა ჩათვლით, რომლებიც უმცირესობებსა და მკვიდრ ხალხებს განეკუთვნებიან (მუხლი7). კონვენცია ასევე ხაზს უსვამს კულტურის როლს მდგრადი განვითარების პროცესში (მე-13 მუხლი), მხარს უჭერს სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ მონაწილეობას მიზნების მიღწევის საკითხში (მე-11 მუხლი), ცენტრალურ ადგილს უთმობს საერთაშორისო თანამშრომლობისა და სოლიდარობის განმტკიცებას (მე-12-მე-19 მუხლები). დოკუმენტში ხაზგასმულია „ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა მნიშვნელობა კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების მხარდასაჭერად" და დადასტურებულია, რომ „აზრის, შეხედულებათა გამოხატვის და ინფორმაციის თავისუფლება, ისევე როგორც მედიის მრავალფეროვნება, ხელშემწყობ პი-

24 https://matsne.gov.ge/ka/document/view/1205118

რობებს უქმნის კულტურულ თვითგამოხატვას საზოგადოებაში“ (პრეამბულა). „კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ“ კონვენციის მიღების შემდგომ, იუნესკოს ხელთ არის კულტურის სფეროში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების კომპლექსური კრებული; შემუშავებულია შვიდი კონვენცია, რომლებიც არეგულირებენ კულტურული მრავალფეროვნების დაცვასა და ხელშეწყობას როგორც კულტურული მემკვიდრეობის (უძრავი, მოძრავი და არამატერიალური, მათ შორის კულტურული თვითგამოხატვის ტრადიციული ფორმები), ასევე თანამედროვე ხელოვნების სფეროში. კულტურის სფეროს სამი ძირითადი კონვენცია – მსოფლიო ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ (1972 წელი), არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ (2003 წელი) და კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ (2005 წელი) – წარმოადგენენ იუნესკოს მოღვაწეობის სამართლებრივ ბაზას კულტურული მრავალფეროვნების დაცვის სფეროში. ამგვარად, მიმდინარე ეტაპზე, იუნესკოს აქვს ორგანიზაციის წესდებით გათვალისწინებული ისეთი მიზნების მიღწევისათვის აუცილებელი ნორმატიული ბაზა, როგორიცაა, „კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნება“ და „ზეპირი და გამომსახველობითი გზით იდეების თავისუფალი გავრცელების ხელშეწყობა“.

„ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ჩარჩო კონვენციის[25] (მიღებულია 1995 წელს. საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულია 2005 წელს) ძირითადი პრინციპებია:

ნაწილი I.

მუხლი 1. ეროვნული უმცირესობებისა და იმ პირების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, რომლებიც მიეკუთვნებიან ამგვარ უმცირესობებს, წარმოადგენს ადამიანის უფლებების საერთაშორისო მასშტაბით დაცვის შემადგენელ ნაწილს და საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროს.

მუხლი 2. ამ ჩარჩო კონვენციის დებულებების გამოყენება მოხდება კეთილი განზრახვით, ურთიერთგაგებისა და ტოლერანტობის სულისკვეთებით და სახელმწიფოთა შორის კეთილმეზობლობის, მეგობრული ურთიერთობებისა და თანამშრომლობის პრინციპებთან შესაბამისობაში.

მუხლი 3. ყველა პირს, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, აქვს უფლება თავისუფლად აირჩიოს მას მოექცნენ თუ არა, როგორც ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელს და დაუშვებელია, რომ ამ არჩევანიდან ან ამ არჩევანთან დაკავშირებული უფლებებით სარგებლობიდან გამომდინარეობდეს რაიმე არახელსაყრელობა.

პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, შეუძლიათ ინდივიდუალურად, ისევე როგორც სხვებთან კავშირში, განახორციელონ ის უფლებები და ისარგებლონ იმ თავისუფლებებით, რომლებიც გამომდინარეობს წინამდებარე ჩარჩო კონვენციით უზრუნველყოფილი პრინციპებიდან.

ნაწილი II

მუხლი 4. მხარეები იღებენ ვალდებულებას, უზრუნველყონ ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირების კანონის წინაშე თანასწორობა და კანონის მიერ თანაბარი დაცვა. ამ მიმართებით, აკრძალულია ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილებაზე დაფუძნებული ნებისმიერი დისკრიმინაცია.

აუცილებლობის შემთხვევაში, მხარეები იღებენ ვალდებულებას მიიღონ ადეკვატური ზომები იმისათვის, რომ ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში ხელი შეუწყონ მთლიანი და ეფექტური თანასწორობის დამკვიდრებას იმ პირებს შორის, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობას და იმათ შორის, რომლებიც მიეკუთვნებიან უმრავლესობას. ამ მხრივ, ისინი სათანადოდ გაითვალისწინებენ იმ პირების სპეციფიკურ მდგომარეობას, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს.

25 http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1195.pdf

მუხლი 5. მხარეები იღებენ ვალდებულებას, შეუქმნან აუცილებელი პირობები იმ პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, მათი კულტურის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის და მათი თვითმყოფადობის ძირითადი ელემენტების, კერძოდ, რელიგიის, ენის, ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის.

მუხლი 6. მხარეები წაახალისებენ ტოლერანტობისა და კულტურათშორისი დიალოგის სულისკვეთებას და მიიღებენ ეფექტურ ზომებს მათ ტერიტორიებზე მცხოვრებ ყველა პირს შორის ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის მხარდასაჭერად, კერძოდ, განათლების, კულტურისა და მასმედიის სფეროში, მიუხედავად ამ პირების ეთნიკური, კულტურული, ლინგვისტური ან რელიგიური კუთვნილებისა.

მხარეები იღებენ ვალდებულებას, მიიღონ შესაბამისი ზომები იმ პირების დასაცავად, რომლებიც შეიძლება დაექვემდებარონ მუქარას ან დისკრიმინაციას, მტრულ დამოკიდებულებას ან ძალადობას მათი ეთნიკური, კულტურული, ლინგვისტური ან რელიგიური კუთვნილების გამო.

მუხლი 7. მხარეები უზრუნველყოფენ ყველა იმ პირის მშვიდობიანი შეკრების, გაერთიანების, გამოხატვის და აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლების პატივისცემას, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას.

მუხლი 8. მხარეები იღებენ ვალდებულებას აღიარონ, რომ თითოეულ პირს, ვინც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, აქვს უფლება გამოამჟღავნოს მისი რელიგია ან რწმენა და შექმნას რელიგიური დაწესებულებები, ორგანიზაციები და ასოციაციები.

მუხლი 9. მხარეები იღებენ ვალდებულებას აღიარონ, რომ თითოეული იმ პირის გამოხატვის თავისუფლება, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, ასევე მოიცავს თავისუფლებას ჰქონდეს მოსაზრებები და მიიღოს და გასცეს ინფორმაცია და იდეები უმცირესობის ენაზე სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად, მხარეები, მათი სამართლებრივი სისტემების ფარგლებში, უზრუნველყოფენ, რომ ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირები არ განიცდიდნენ დისკრიმინაციას მასმედიის მათთვის ხელმისაწვდომობის მხრივ.

მხარეები ხელს არ შეუშლიან იმ პირების მიერ ბეჭდვითი მასმედიის საშუალებების შექმნას და გამოყენებას, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს. რადიო და სატელევიზიო მაუწყებლობის სამართლებრივ ჩარჩოებში და 1-ლი პუნქტის გათვალისწინებით, ისინი მაქსიმალურად უზრუნველყოფენ, რომ იმ პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, მინიჭებული ჰქონდეთ მათი მასმედიის საშულებების შექმნისა და გამოყენების უფლება.

მხარეები მიიღებენ ადეკვატურ ზომებს იმ მიზნით, რომ უზრუნველყონ მასმედიისადმი ხელმისაწვდომობა იმ პირებისათვის, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, ხელი შეუწყონ ტოლერანტობას და დაამკვიდრონ კულტურული პლურალიზმი.

მუხლი 10. მხარეები იღებენ ვალდებულებას აღიარონ, რომ ყველა პირს, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, თავისუფლად და ყოველგვარი ჩარევის გარეშე, აქვს უფლება გამოიყენოს მისი უმცირესობის ენა კერძოდ და საჯაროდ, ზეპირად და წერისას.

იმ ადგილებში, სადაც ტრადიციულად ან დიდი რაოდენობით ცხოვრობენ ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირები, თუკი ეს პირები მოითხოვენ და სადაც ეს მოთხოვნა პასუხობს რეალურ საჭიროებას, მხარეები ეცდებიან მაქსიმალურად უზრუნველყონ ისეთი პირობები, რომლებიც შესაძლებელს გახდიან უმცირესობის ენის გამოყენებას ამ პირების და ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის ურთიერთობებში.

მუხლი 11. მხარეები იღებენ ვალდებულებას აღიარონ, რომ ყველა პირს, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, აქვს მისი გვარისა (პატრონიმი) და სახელის უმცირესობის ენაზე გამოყენების და მათი ოფიციალური აღიარების უფლება, მათი სამართლებრივი სისტემით დადგენილი პირობების შესაბამისად.

მხარეები ვლდებულებას იღებენ აღიარონ, რომ ყველა პირს, რომელიც მიეკუთვნება ერვნულ უმცირესობას, აქვს უფლება გამოიყენოს მისი უმცირესობის ენობრივი ნიშნები, წარწერები და სხვა პირადი ხასიათის ინფორმაცია, რომელიც შესამჩნევი იქნება საზოგადოებისათვის.

მუხლი 12. მხარეები, საჭიროების შემთხვევაში, მიიღებენ ზომებს განათლებისა და მეცნიერული კვლევის სფეროში თავიანთი ეროვნული უმცირესობებისა და უმრავლესობის კულტურის, ისტორიის, ენისა და რელიგიის ცოდნის გასაღრმავებლად.

ამ კონტექსტში, მხარეები უზრუნველყოფენ მასწავლებელთა პროფესიული მომზადებისა და სახელმძღვანელოებისადმი ხელმისაწვდომობის ადეკვატურ შესაძლებლობებს და ხელს შეუწყობენ კოტაქტებს სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის.

მხარეები ვალდებულებას იღებენ, უზრუნველყონ ყველა დონის განათლებისადმი თანაბარი ხელმისაწვდომობა იმ პირებისათვის, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს.

მუხლი 14. მხარეები იღებენ ვალდებულებას აღიარონ, რომ ნებისმიერ პირს, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, აქვს უფლება ისწავლოს მისი უმცირესობის ენა.

იმ ადგილებში, სადაც ტრადიციულად ან მნიშვნელოვანი რაოდენობით ცხოვრობენ ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირები და, თუკი არსებობს სათანადო მოთხოვნა, მხარეები თავიანთი განათლების სისტემის ფარგლებში ეცდებიან მაქსიმალურად უზრუნველყონ, რომ პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, ჰქონდეთ უმცირესობის ენაზე სწავლის ან ამ ენაზე ინსტრუქტაჟის მიღების ადეკვატური შესაძლებლობანი.

ეს პუნქტი განხორციელდება ოფიციალური ენის სწავლის ან ამ ენაზე სწავლებისათვის ზიანის მიყენების გარეშე.

მუხლი 15. მხარეები შექმნიან აუცილებელ პირობებს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების ეფექტური მონაწილეობისათვის კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებასა და იმ საზოგადოებრივ საქმეებში, რომლებიც მათ ეხებათ.

მუხლი 16. მხარეები თავს შეიკავებენ იმ ზომების მიღებისაგან, რომლებიც ცვლიან მოსახლეობის პროპორციას იმ ადგილებში, სადაც ცხოვრობენ ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირები და მიზნად ისახავენ წინამდებარე ჩარჩო კონვენციიდან გამომდინარე უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვას.

მუხლი 17. მხარეები იღებენ ვალდებულებას, არ ჩაერიონ ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირების უფლების განხორციელებაში, დაამყარონ და შეინარჩუნონ მშვიდობიანი ურთიერთობები საზღვარგარეთ იმ პირებთან, რომლებიც კანონიერად იმყოფებიან სხვა სახელმწიფოებში და, კერძოდ, იმათთან, რომლებთანაც მათ აკავშირებთ საერთო ეთნიკური, კულტურული, ლიგვისტური ან რელიგიური თვითმყოფადობა ან საერთო კულტურული მემკვიდრეობა.

მუხლი 18. მხარეები, აუცილებლობის შემთხვევაში, ეცდებიან დადონ ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებები სხვა სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით, მეზობელ სახელმწიფოებთან, რათა უზრუნველყონ იმ პირების დაცვა, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს.

მუხლი 19. მხარეები იღებენ ვალდებულებას, პატივი სცენ და განახორციელონ წინამდებარე ჩარჩო კონვენციიდან გამომდინარე პრინციპები და, საჭიროების შემთხვევაში, დააწესონ მხოლოდ ისეთი შეზღუდვები, რომლებიც დადგენილია საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებით, კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციით, იმ ზომით, რითაც შესაბამისობაში იქნებიან ზემოთ მოხსენიებული პრინციპებიდან გამომდინარე უფლებებსა და თავისუფლებებთან.

ოსლოს რეკომენდაციები ეროვნულ უმცირესობათა ენობრივ უფლებებთან დაკავშირებით[26] (1998 წელი) ეხება ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა უფლებას,

26 http://www.putkaradze.ge/cigni%20dasrulebuli/links/2.2.htm

საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, რელიგიურ, სამართალწარმოების, მედიის და სხვა ასპარეზზე საქმიანობისას გამოიყენონ მშობლიური ენა და ამ ენაზევე მიიღონ სათანადო ინფორმაცია.

ოსლოს რეკომენდაციებში დაკონკრეტებულია ეროვნული უმცირესობების მხრიდან მშობლიური ენის გამოყენების კონკრეტული სფეროები და დაშვებები.

1. გვარ-სახელები და სახელწოდებები

ა) ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს უფლება აქვთ ისარგებლონ თავიანთი სახელებითა და გვარებით მშობლიურ ენაზე, საკუთარი ტრადიციებისა და ლინგვისტური სისტემების შესაბამისად. ეს გვარ-სახელები ოფიციალურად უნდა იქნან აღიარებული და გამოყენებული ხელისუფლების ორგანოების მიერ.

ბ) ამგვარადვე, კერძო ორგანიზაციებს, როგორებიცაა ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების მიერ დაარსებული კულტურული ასოციაციები და საწარმოები, იგივე უფლება აქვთ მათ სახელწოდებებთან დაკავშირებით.

გ) იმ ადგილებში, სადაც რომელიმე ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებული პირების მნიშვნელოვანი რაოდენობა სახლობს და, როცა შესაბამისი მოთხოვნა არსებობს, ხელისუფლების ორგანოებმა უნდა იზრუნონ, რათა ადგილობრივი სახელები და სახელწოდებები, ქუჩების დასახელებები და საზოგადოებრივი დანიშნულების სხვა ტოპოგრაფიული ნიშნები ეროვნული უმცირესობის ენაზეც გამოიკრას.

2. რელიგია

ა) საკუთარი რელიგიური მრწამსის აღსრულების პროცესში, განურჩევლად იმისა, ინდივიდუალურად ხდება ეს თუ სხვა პირებთან ერთობლიობაში, თითოეულ პირს უფლება აქვს, ისარგებლოს ამა თუ იმ ენით ან ენებით, საკუთარი არჩევანის შესაბამისად.

ბ) იმ რელიგიური რიტუალებისა თუ აქტებისათვის, რომლებიც, იმავე დროს, სამოქალაქო მნიშვნელობისაა და, რომლებსაც მოცემულ სახელმწიფოში სამართლებრივი შედეგი აქვთ, სახელმწიფოს შეუძლია მოითხოვოს, რომ ამგვარი სტატუსის მოწმობები და დოკუმენტები სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე ან ენებზეც გამოიცეს. სახელმწიფოს შეუძლია მოითხოვოს, რომ სამოქალაქო მნიშვნელობის ჩანაწერები რელიგიურმა დაწესებულებებმა სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე ან ენებზეც აწარმოონ.

3. საზოგადოებრივი ცხოვრება და არასამთავრობო ორგანიზაციები

ა) ნებისმიერ პირს, მათ შორის, ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს, უფლება აქვთ დააფუძნონ და მართონ საკუთარი არასამთავრობო ორგანიზაციები, გაერთიანებები და დაწესებულებები. ამ ორგანიზაციებს შეუძლიათ ისარგებლონ იმ ენით (ენებით), რომელსაც თავად შეარჩევენ. სახელმწიფოს არ აქვს უფლება, ენის საფუძველზე დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ამყოფოს ასეთი ორგანიზაციები ან არამართლზომიერად შეზღუდოს ამ ორგანიზაციების უფლება, მოიძიონ დაფინანსების წყაროები სახელმწიფო ბიუჯეტიდან, საერთაშორისო წყაროებიდან ან კერძო სექტორიდან.

ბ) თუ სახელმწიფო, სხვებთან ერთად, სოციალურ, კულტურულ და სპორტის სფეროებსაც აქტიურად უჭერს მხარს, იგი ვალდებულია, საერთო სახსრების სამართლიანი წილი ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების ანალოგიური საქმიანობის დასაფინანსებლადაც გაიღოს. აღნიშნულ სფეროებში სახელმწიფოს მიერ ყველა იმ საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერა, რომლებიც ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების ენაზე ან ენებზე ხორციელდება, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე უნდა განხორციელდეს.

4. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები

ა) ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს უფლება აქვთ, დააარსონ და შეინახონ საკუთარი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები უმცირესობის ენაზე. მაუწყებლობის საშუალებების სახელმწიფო რეგულირება ობიექტურ, არადისკრიმინაციულ კრიტერიუმებს უნდა დაეყრდნოს და არ უნდა იქნას გამოყენებული უმცირესობის უფლებების შეზღუდვის მიზნით.

ბ) ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი მაუწყებლობის საშუალებების საეთერო დროით საკუთარ ენაზე სარგებლობაზე. როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე მოცემული ეროვნული უმცირესობის ენაზე მაუწყებლობის დროის ხანგრძლიობა და ხარისხი ამ ეროვნული უმცირესობის რაოდენობრივ და კონცენტრაციის მაჩვენებლებს, აგრეთვე მის მდგომარეობასა და მოთხოვნილებებს უნდა შეესაბამებოდეს.

გ) ეროვნული უმცირესობების ენაზე ან ენებზე სახელმწიფო ან კერძო ინფორმაციის საშუალებების პროგრამების დამოუკიდებელი ხასიათი დაცული უნდა იყოს. სახელმწიფო საინფორმაციო საშუალებების სარედაქციო საბჭო, რომელსაც პროგრამების შინაარსსა და ორიენტაციაზე მეთვალყურეობა ევალება, უნდა იყოს დამოუკიდებელი. ამ საბჭოების შემადგენლობაში ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირებიც უნდა შედიოდნენ, რომლებსაც დამოუკიდებლად მოქმედების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ.

გ) დაუშვებელია ინფორმაციის საშუალებების საზღვარგარეთიდან შემოსვლის არამართლზომიერი შეზღუდვა. ამ გზით ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა არ უნდა იქნას გამოყენებული სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფ საინფორმაციო საშუალებებში ეროვნული უმცირესობისათვის გამოყოფილი საეთერო დროის შემცირების საბაბად იმ სახელმწიფოში, სადაც მოცემული ეროვნული უმცირესობა სახლობს.

5. ეკონომიკური ცხოვრება

ა) ყველას, მათ შორის ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს, აქვთ უფლება მისდიონ კერძო მეწარმეობას იმ ენაზე ან ენებზე, რომლებსაც ისინი აირჩევენ. სახელმწიფოს შეუძლია მოითხოვოს ამ სახელმწიფოს ოფიციალური ენით ან ენებით დამატებით სარგებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შესაძლებელია იმის დემონსტრირება, რომ ამას მოითხოვს დასაბუთებული საზოგადოებრივი ინტერესები, მაგალითად მუშა-მოსამსახურეთა ან მომხმარებელთა დაცვასთან დაკავშირებული ინტერესები, ან ურთიერთობები საწარმოსა და სახელმწიფო ორგანოებს შორის.

6. ადმინისტრაციული ორგანოები და საზოგადოებრივი მომსახურება

ა) იმ რეგიონებსა და ადგილებში, სადაც რომელიმე ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებული პირების მნიშვნელოვანი რაოდენობა სახლობს და, სადაც ასეთი სურვილი გამოითქვა, პირებს, რომლებიც ამ ეროვნულ უმცირესობას მიეკუთვნებიან, უფლება აქვთ, რეგიონული და/ან ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოებისაგან სამოქალაქო დოკუმენტები და მოწმობები მიიღონ როგორც სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე ან ენებზე, ისე ეროვნული უმცირესობის ენაზეც. ამგვარადვე, რეგიონული და/ან ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოები ვალდებულნი არიან, აწარმოონ სამოქალაქო ჩანაწერები ეროვნული უმცირესობის ენაზეც.

ბ) ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობაში ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს უნდა ჰქონდეთ საკუთარი ენით სარგებლობის ადეკვატური შესაძლებლობა, განსაკუთრებით იმ რეგიონებსა და ადგილებში, სადაც ასეთი სურვილი გამოითქვა და სადაც მათი მნიშვნელოვანი რაოდენობა სახლობს. ამგვარადვე, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, როცა კი ეს შესაძლებელია, უნდა უზრუნველყონ საზოგადოებრივი მომსახურება ეროვნული უმ-

ცირესობის ენაზეც. ამ მიზნით მათ უნდა განავითარონ კადრების შერჩევისა და მომზადება-გადამზადების შესაბამისი პოლიტიკა და პროგრამები.

გ) იმ რეგიონებსა და ადგილებში, სადაც რომელიმე ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებული პირების მნიშვნელოვანი რაოდენობა სახლობს, სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები, რათა რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების არჩეულ წევრებს, მათი სამსახურებრივი საქმიანობის პროცესში, ეროვნული უმცირესობის ენითაც შეეძლოთ სარგებლობა.

7. დამოუკიდებელი ეროვნული ინსტიტუტები

ა) სახელმწიფოებმა, რომლებშიც ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების მნიშვნელოვანი რაოდენობა სახლობს, უნდა უზრუნველყონ, რომ ამ პირებს, თუკი ისინი ჩათვლიან, რომ მათი ენობრივი უფლებები შელახულია, მართლმსაჯულების ორგანოებში მიმართვის გარდა, ჰქონდეთ შესაძლებლობა, ისარგებლონ ისეთი დამოუკიდებელი ეროვნული ინსტიტუტების დახმარებითაც, როგორებიცაა ომბუდსმენის ინსტიტუტი ან ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიები.

8. მართლმსაჯულების ორგანოები

ა) ყველას, მათ შორის ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს, უფლება აქვთ, მათთვის გასაგებ ენაზე მიიღონ სათანადო ინფორმაცია მათი დაპატიმრების და/ან დაკავების მიზეზების შესახებ, აგრეთვე მათთვის წარდგენილი ბრალდების არსისა და ხასიათის შესახებ და დაიცვან თავი ამ ენაზე, თუ საჭიროა – თარჯიმნის უფასო დახმარებით, სასამართლომდე, სასამართლო პროცესის მსვლელობისას და განაჩენის გასაჩივრების შემთხვევაში.

ბ) იმ რეგიონებსა და ადგილებში, სადაც რომელიმე ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებული პირების მნიშვნელოვანი რაოდენობა სახლობს და, სადაც ასეთი სურვილი გამოთქმულია, ამ ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებულ პირებს აქვთ სასამართლო პროცესზე საკუთარ ენაზე გამოსვლის უფლება, თუ საჭიროა – თარჯიმნის და/ან მთარგმნელის უფასო დახმარებით.

გ) იმ რეგიონებსა და ადგილებში, სადაც რომელიმე ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებული პირების მნიშვნელოვანი რაოდენობა სახლობს და, სადაც ასეთი სურვილი გამოთქმულია, სახელმწიფოებმა გულდასმით უნდა განიხილონ იმის შესაძლებლობა, რომ ყველა სასამართლო პროცესი, რომელიც ასეთ პირებს ეხება, ეროვნული უმცირესობის ენაზე ჩატარდეს.

9. თავისუფლების აღკვეთა

ა) პენიტენციალური დაწესებულების ხელმძღვანელმა და თანამშრომლებმა უნდა იცოდნენ პატიმართა დიდი უმრავლესობის ენა ან ენები, ან ის ენა, რომელიც მათ დიდ უმრავლესობას ესმის. კადრების შერჩევისა და/ან მომზადება-გადამზადების პროგრამები ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს. აუცილებლობის შემთხვევაში, გამოყენებულ უნდა იქნას თარჯიმნის მომსახურება.

ბ) დაკავებულ პირებს, რომლებიც ეროვნულ უმცირესობებს მიეკუთვნებიან, უფლება აქვთ როგორც პატიმრებთან, ისე ნებისმიერ სხვა პირთან ურთიერთობაში იმ ენით ისარგებლონ, რომელსაც ისინი თავად აირჩევენ. სახელმწიფო ორგანოებმა, სადაც ეს შესაძლებელია, უნდა მიიღონ ზომები, რათა პატიმრებმა, კანონით გათვალისწინებული შეზღუდვების ფარგლებში, ზეპირი კომუნიკაციები თუ პირადი მიმოწერა საკუთარ ენაზე აწარმოონ. ამასთან დაკავშირებით, ნებისმიერი დაკავებული ან თავისუფლებააღკვეთილი პირი, როგორც წესი, უნდა განთავსდეს დაკავების ან თავისუფლების აღკვეთის იმ ადგილში, რომელიც მის საცხოვრებელ ადგილთან ახლოს მდებარეობს.

ლუნდის რეკომენდაციები საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების ქმედით მონაწილეობასთან დაკავშირებით (1999 წ.). დოკუმენტის პირველ თავში

ჩამოყალიბებულია ის ძირითადი პრინციპები, რომელთა გათვალისწინება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ფაქტორსა და წინაპირობას, რათა ეროვნულმა უმცირესობებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. კერძოდ, ლუნდის რეკომენდაციებში ხაზგასმულია, რომ:

1) საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების ქმედითი მონაწილეობა მშვიდობიანი და დემოკრატიული საზოგადოების აუცილებელი კომპონენტია. ევროპაში და მის ფარგლებს გარეთ არსებული გამოცდილება ცხადყოფს, რომ ამგვარი მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით მთავრობებს ხშირად სპეციალური ზომების მიღება მართებთ. წინამდებარე რეკომენდაციების მიზანია, ხელი შეუწყოს ეროვნული უმცირესობების ჩაბმას სახელმწიფო ცხოვრებაში, მისცეს მათ საკუთარი თვითმყოფადობისა და თავისებურებების შენარჩუნების შესაძლებლობა და, ამდენად, უზრუნველყოს სახელმწიფოს სწორი მმართველობა და მთლიანობა.
2) რეკომენდაციები ემყარება საერთაშორისო სამართლის ისეთ ფუნდამენტურ პრინციპებსა და ნორმებს, როგორებიცაა ადამიანის ღირსების პატივისცემა, თანასწორუფლებიანობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა, რამდენადაც ეს პრინციპები და ნორმები გავლენას ახდენს ეროვნული უმცირესობების უფლებებზე, მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში და ისარგებლონ სხვა პოლიტიკური უფლებებით. სახელმწიფოები მოვალენი არიან, პატივი სცენ საერთაშორისო დონეზე აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და კანონის უზენაესობას, რაც შემწყნარებლობის, მშვიდობისა და კეთილდღეობის პირობებში სამოქალაქო საზოგადოების ყოველმხრივი განვითარების საწინდარია.
3) როცა იქმნება სპეციალური ინსტიტუტები, რომელთა მიზანი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში უმცირესობების ქმედითი მონაწილეობის უზრუნველყოფაა, რაც შეიძლება ასეთი დაწესებულებების მიერ ხელისუფლების ან პასუხისმგებლობის განხორციელებალ მოიცავდეს. მათი მოვალეობაა პატივი სცენ ყველა იმ ადამიანის უფლებებს, ვისაც ეხება მათი საქმიანობა.
4) ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნების გარდა, ინდივიდების თვითიდენტიფიცირება მრავალი სხვა ფორმითაც ვლინდება. მიაკუთვნებს თუ არა თავს ესა თუ ის ინდივიდი უმცირესობას თუ უმრავლესობას, ან არცერთ მათგანს, თვით ამ ინდივიდის გადასაწყვეტია და არავის აქვს უფლება, თავს მოახვიოს მას ამგვარი გადაწყვეტილება. ამასთან, არავის უნდა მიადგეს ზიანი ამგვარი არჩევანის, ან არჩევანზე უარის თქმის გამო.
5) როცა საქმე ეხება ამ რეკომენდაციების შესაბამისად გარკვეული ინსტიტუტებისა და პროცედურების ჩამოყალიბებას, მნიშვნელოვანია როგორც შინაარსი, ისე პროცესიც. ურთიერთნდობის ატმოსფეროს შენარჩუნების მიზნით, სახელისუფლო ორგანოებმაც და უმცირესობებმაც უნდა აწარმოონ ღია, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებულებაზე აგებული კონსულტაციები. სახელმწიფოებმა უნდა წაახალისონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რათა მათ ხელი შეუწყონ კულტურებს შორის ურთიერთგაგებასა და უმცირესობათა პრობლემების ასახვას.

ლუნდის რეკომენდაციებში ადგილი ეთმობა ეროვნული უმცირესობების გარანტირებულ მონაწილეობას გადაწყვეთილებების მიღების პროცესში (თავი II). ამ პროცესის ხელშესაწყობად დოკუმენტი გვთავაზობს სათანადო მექანიზმებს. ამ მექანიზმების ნაწილის უზრუნველყოფა რეკომენდირებულია ცენტრალური ხელისუფლების დონეზე. ნაწილიც ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციად არის მიჩნეული.

ცენტრალური ხელისუფლების ვალდებულებად წარმოდგენილია უმცირესობებისათვის ხელისუფლების უმაღლეს დონეზე გადაწყვეტილებების მიღებაში ქმედითი მონაწილეობის შესაძ-

ლებლობა, მათ შორის, თუ საჭიროა, საგანგებო მექანიზმების შექმნის გზითაც. გარემოებათა შესაბამისად, ასეთ მექანიზმებში შეიძლება იგულისხმებოდეს:

- ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობის საგანგებო ფორმები, მაგალითად – პარლამენტის ერთ ან ორივე პალატაში ან საპარლამენტო კომიტეტებში გარკვეული რაოდენობის ადგილების დაჯავშნის გზით; აგრეთვე საკანონმდებლო პროცესში გარანტირებული მონაწილეობის სხვა ფორმები;
- ოფიციალური ან არაოფიციალური შეთანხმებები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებისათვის მთავრობაში, უზენაეს ან საკონსტიტუციო სასამართლოში, ან უფრო დაბალი ინსტანციის სასამართლოებში ადგილების და დანიშვნით სათათბირო ან სხვა მაღალი დონის ორგანოებში თანამდებობების გამოყოფის შესახებ;
- მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ უმცირესობათა ინტერესების გათვალისწინებას შესაბამისი სამინისტროების მიერ, მაგალითად, უმცირესობათა საქმეებზე პასუხისმგებელი პირების დანიშვნის, ან მუდმივმოქმედი დირექტივების გამოცემის გზით;
- საგანგებო ზომები სამოქალაქო სამსახურში უმცირესობათა მოსაზიდად, აგრეთვე საჯარო მომსახურებების უზრუნველყოფა ეროვნული უმცირესობის ენაზე.

ეროვნულ უმცირესობათა აქტიური მონაწილეობისათვის სახელმწიფოთა პოლიტიკურ ცხოვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აკისრია საარჩევნო გარემოსა და პოლიტიკას, რომლითაც ხდება მათი წახალისება მონაწილება მიიღონ არჩევნებში. ევროპაში და მის ფარგლებს გარეთ არსებული გამოცდილება ცხადყოფს საარჩევნო პროცესის დიდ მნიშვნელობას პოლიტიკურ ცხოვრებაში უმცირესობათა მონაწილეობის ხელშეწყობისათვის. სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ საჯარო საკითხების გადაწყვეტაში ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების მონაწილეობის უფლება, მათ შორის, ხმის უფლებით სარგებლობითა და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე არჩევით თანამდებობაზე კენჭისყრაში მონაწილეობით.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბებისა და საქმიანობის რეგულირება შეესაბამებოდეს გაერთიანების თავისუფლების საერთაშორისო სამართლებრივ პრინციპებს. ეს პრინციპები მოიცავს პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბების თავისუფლებას, როგორც რომელიმე ჯგუფთან იდენტურობის ნიშნით, ისე რომელიმე კონკრეტული ჯგუფის ინტერესებთან იდენტიფიცირების გარეშე.

რაც შეეხება რეკომენდაციებს, რომლებიც ადგილობრივი მმართველობების დონეზე უნდა წყდებოდეს, მდგომარეობს შემდეგში:

- რეგიონული და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების სტრუქტურა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესი თავისი გამჭვირვალეობითა და მისაწვდომობით ხელს უნდა უწყობდეს მასში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობას.
- შესაბამისი ინსტიტუციური სისტემის ფარგლებში სახელმწიფოებმა უნდა შექმნან სათათბირო ან საკონსულტაციო ორგანოები, რომლებიც სახელმწიფო ხელისუფლებასა და ეროვნულ უმცირესობებს შორის დიალოგის გამართვას მოემსახურება. ამგვარ ორგანოებში მოიაზრება საგანგებო დანიშნულების კომიტეტები ისეთ სფეროებში, როგორებიცაა საბინაო და მიწის საკითხები, განათლება, ენა და კულტურა. ამ ორგანოების შემადგენლობა მათივე მიზანს უნდა შეესაბამებოდეს და ხელს უნდა უწყობდეს უმცირესობათა ინტერესების უფრო ქმედით გამოვლენასა და დაკმაყოფილებას.
- ამ ორგანოებს უნდა შეეძლოთ გადაწყვეტილებების მიმღები ორგანოების წინაშე საკითხების დასმა, რეკომენდაციების მომზადება, საკანონმდებლო და სხვაგვარი ინიციატივების წარდგენა, მიმდინარე მოვლენების თვალყურის დევნება და მთავრობის მიერ შემოთავაზებულ ისეთი გადაწყვეტილებების პროექტებზე თვალსაზრისის გამოხატვა, რომლებსაც შეუძლიათ პირდაპირი ან არაპირდაპირი გავლენა იქონიონ უმცირესობებზე.

- თვითმმართველობის ორგანოები, არატერიტორიული თუ ტერიტორიული პრინციპით მოწყობილი, დემოკრატიულ პრინციპებს უნდა ეფუძნებოდნენ, რათა რეალურად ასახონ მოსახლეობის შესაბამისი ნაწილის შეხედულებები.
- მმართველობის არატერიტორიული ფორმები ხელს უწყობენ ეროვნული უმცირესობების თვითმყოფადობისა და კულტურის შენარჩუნება-განვითარებას. საკითხებს, რომლებიც ყველაზე უკეთ შეიძლება მოგვარდეს ამგვარი მექანიზმების მეშვეობით, მიეკუთვნება განათლება, კულტურა, უმცირესობის ენით სარგებლობა, რელიგია და სხვა სფეროები, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ეროვნული უმცირესობების თვითმყოფადობისა და ცხოვრების წესის შენარჩუნებაში.
- იმის გათვალისწინებით, რომ საგანმანათლებლო სტანდარტების დადგენა სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციას შეადგენს, უმცირესობათა დაწესებულებებს შეუძლიათ თავად დაადგინონ მათი ენების, კულტურის ან ორივეს სასწავლო პროგრამები.
- უმცირესობებს შეუძლიათ, დაადგინონ და ისარგებლონ საკუთარი სიმბოლოებითა და კულტურული თვითგამოხატვის სხვა ფორმებით.
- ადგილობრივმა, რეგიონულმა ან ავტონომიურმა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, რომლებიც ეროვნული უმცირესობების სპეციფიკური ისტორიული და ტერიტორიული მდგომარეობის შესაბამისად ჩამოყალიბდა, ამ უმცირესობების პრობლემების უფრო ეფექტიანად გადაწყვეტის მიზნით შეიძლება განახორციელონ რიგი ფუნქციებისა.
- ფუნქციები, რომლებზეც ასეთ ადმინისტრაციულ ორგანოებს წარმატებით გადაეცათ უპირატესი ან უმეტესი კომპეტენცია, მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორებიცაა განათლება, კულტურა, უმცირესობის ენით სარგებლობა, გარემოს დაცვა, ადგილობრივი დაგეგმვა, ბუნებრივი რესურსები, ეკონომიკური განვითარება, წესრიგის დაცვა ადგილებზე, აგრეთვე საბინაო საკითხები, ჯანდაცვა და სხვა სახის სოციალური მომსახურება.
- ადგილობრივი, რეგიონული და ავტონომიური ხელისუფლების ორგანოებმა პატივი უნდა სცენ და დაიცვან ყველა ინდივიდის უფლებები, მათ შორის, ნებისმიერი უმცირესობების უფლებები, რომელიც მათ იურისდიქციას ექვემდებარება.

ლუნდის რეკომენდაციებში საგანგებო პუნქტად არის გამოყოფილი ეროვნული უმცირესობების სამართლებრივი დაცვის მექანიზმების შექმნის საკითხი. ხაზგასმულია, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების ქმედითი მონაწილეობა კონფლიქტების თავიდან აცილებისა და დავების მოგვარების მიზნით საკონსულტაციო მექანიზმების არსებობას, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, საგანგებო ან ალტერნატიული მექანიზმების შექმნის შესაძლებლობასაც მოითხოვს. ასეთებია:

- კონფლიქტების სასამართლო წესით მოგვარება, კერძოდ, კანონმდებლობასა და ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებზე სასამართლო ზედამხედველობა, რაც სახელმწიფოში დამოუკიდებელი, ხელმისაწვდომი და მიუკერძოებელი სასამართლო ხელისუფლების არსებობასა და მისი გადაწყვეტილებების მიმართ პატივისცემას მოითხოვს;
- დავების მოგვარების დამატებითი მექანიზმები, როგორებიცაა მოლაპარაკებები, ფაქტების დადგენა, შუამავლობა, არბიტრაჟი, ეროვნულ უმცირესობათა საკითხებში ომბუდსმენის ინსტიტუტი, აგრეთვე, საგანგებო კომისიები, რომლებსაც შეეძლებათ მმართველობასთან დაკავშირებული საჩივრების მიღება, განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება.

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების ქმედით მონაწილეობასთან დაკავშირებით, ლუნდის რეკომენდაციების ამოსავალია ფუძემდებლური საერთაშორისო კონვენციები და დეკლარაციები. მათ რიგს მიეკუთვნება: „გაეროს დეკლარაცია უმცირესობათა შესახებ“ (1992 წ.), „კოპენჰაგენის დოკუმენტი“ (1990 წ.), ევროპის საბჭოს მიერ მიღებული ჩარჩო კონვენცია „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ (1994 წ.) და სხვა.

ეროვნულ ან ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების უფლებათა შესახებ გაეროს 1992 წლის დეკლარაციის („დეკლარაცია უმცირესობათა შესახებ“) პრეამბულაში აღნიშნულია, რომ უმცირესობებს მიკუთვნებული პირებისათვის ადამიანის უფლებების თანასწორუფლებიანი განხორციელებისათვის ყოველმხრივი შესაძლებლობების შექმნა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათ ქმედით მონაწილეობასაც გულისხმობს, რაც განსაკუთრებით ისეთ გადაწყვეტილებებს ეხება, რომლებსაც უშუალო გავლენის მოხდენა შეუძლია ამ უმცირესობებზე.

ადამიანური განზომილების შესახებ კოპენჰაგენის შეხვედრის დოკუმენტის (1990) („კოპენჰაგენის დოკუმენტი“) 35-ე პუნქტის თანახმად, ეუთოს მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების უფლებას, ქმედითი მინაწილეობა მიიღონ საჯარო საქმეებში, მათ შორის ისეთ საქმეებში, რომლებიც ამ უმცირესობების თვითმყოფადობის დაცვასა და წახალისებას ეხება.

ევროპის საბჭოს მიერ 1994 წელს მიღებული დოკუმენტის – ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ (ქვემოთ „ჩარჩო კონვენცია“) – მე-15 მუხლის თანახმად, წევრი სახელმწიფოები „ვალდებულნი არიან შექმნან ყველა აუცილებელი პირობა ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების ქმედითი მონაწილეობისათვის კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში და საჯარო საქმეებში, განსაკუთრებით ისეთებში, რომლებიც მათ ეხება“.

თემა 4. ზოგადსაგანმანათლებლო სფეროს მარეგულირებელი კანონები და ნორმატიული აქტები საქართველოში

თემაში განხილულია საქართველოს ის კანონები და დოკუმენტები, რომლითაც რეგულირდება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მართვა, პედაგოგიური საქმიანობა და სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი. ეროვნულ დონეზე ასეთი მარეგულირებელი დოკუმენტებია: „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები“, „საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ“, „ეროვნული სასწავლო გეგმა“, „მასწავლებელთა ეთიკის კოდექსი“, „სკოლის დირექტორის ეთიკის კოდექსი“ და „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი“.

ჩამოთვლილ საკანონმდებლო აქტებში ყურადღება გამახვილებულია იმ მოთხოვნებზე (უფლება-ვალდებულებები, სასწავლო გეგმები), რომლებიც კავშირშია მოსწავლეებში ინტერკულტურული განათლების ხარისხის ამაღლებასთან და განსხვავებული ეთნიკური და კულტურული იდენტობების მქონე ჯგუფების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებების გაუმჯობესებასთან.

ა) ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები (დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის მიერ 2004 წელს).[27] დოკუმენტის შესავალ ნაწილში ნათქვამია, რომ „საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის“. ამ მიზნის მიღწევა კი უკავშირდება განათლების სისტემის ისეთი შინაარსით ორგანიზებას, რომელიც მოსწავლეებს ჩამოუყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და დაეხმარება მათ, გააცნობიერონ საკუთარი უფლება-მოვალეობები ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები მოიცავს რამდენიმე, ერთმანეთთან დაკავშირებულ პრიორიტეტულ მიმართულებას. რაც შეეხება უშუალოდ ინტერკულტურული განათლებისა და სამოქალაქო ცნობიერების/აქტივობების გამომხატველ პუნქტებს, მათში აღნიშნულია, რომ „საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარ-

27 http://www.mes.gov.ge/old/index.php?module=text&link_id=196

დმა უნდა შეძლოს ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება; სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს უნარი, რომ სწორად განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები და მისცეს მას სასიკეთო გადაწყვეტილებათა მიღებისა და აქტიური მოქმედების შესაძლებლობა“.

ზოგადი განათლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზნად ასევე განსაზღვრულია კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქის აღზრდა. ამ მიზნის რაელიზაციის აუცილებლობის დასაბუთებაში ვკითხულობთ: „დღევანდელ დინამიურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები. სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. მოზარდს უნდა შეეძლოს ადამიანის არსებითი უფლებების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის განხორციელება და ამ პრინციპებით ცხოვრება“.

ბ) საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ.[28] კანონის მე-3 მუხლში განმარტებულია ზოგადი განათლების სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნები. მათგან ჩვენ შევარჩიეთ ისინი, რომლებიც ემსახურება მოსწავლეთა ეთნიკური და კულტურული იდენტობების დაცვას და, ამავე დროს, განაპირობს მოსწავლეებში ტოლერანტული, სამოქალაქო და სხვა ღირებულებებისადმი პოზიტიური დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას. ეს მიზნებია:

ა) მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა;

ბ) მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელის შეწყობა.

კანონი ასევე განმარტავს სახელმწიფოს ვალდებულებებს ზოგადი განათლების პოლიტიკის ძირითადი მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად, რაც გულისხმობს:

ა) ზოგადი განათლების ღიაობას და თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასთვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში;

ბ) საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის ჩართვას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში;

გ) საჯარო სკოლის დამოუკიდებლობას რელიგიური და პოლიტიკური გაერთიანებებისაგან, ხოლო კერძო სკოლის დამოუკიდებლობას პოლიტიკური გაერთიანებებისაგან;

ზ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ძალადობის აღმოფხვრას;

თ) ინკლუზიური განათლების დანერგვას და ა.შ.

„საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ“ სწავლების ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – ქართული და აფხაზური. ამავე დროს, საქართველოს იმ მოქალაქეებს, რომელთათვისაც ქართული ენა მშობლიური არ არის, უფლება აქვთ მიიღონ სრული ზოგადი განათლება მათ მშობლიურ ენაზე, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესით. არაქართულენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სავალდებულოა სახელმწიფო ენის, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – ორივე სახელმწიფო ენის (ქართულის და აფხაზურის) სწავლება.

28 http://www.mes.gov.ge/uploads/Licenzireba/kanoni%20zogadi%20ganatlebis%20shesaxeb.pdf

აღნიშნული კანონი ითვალისწინებს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უცხოურ ენაზე სწავლების განხორციელებასაც. ამ შემთხვევაშიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სავალდებულოდ რჩება სახელმწიფო ენის, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – ორივე სახელმწიფო ენის სწავლება (მუხლი 4).

კანონის მეორე თავი ეხება მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის ძირითადი უფლებებსა და თავისუფლებებს. მე-13 მუხლით – „ნეიტრალურობა და არადისკრიმინაციულობა" – ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში იკრძალება სასწავლო პროცესის პოლიტიზება; საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესის რელიგიური ინდოქტრინაციის, პროზელიტიზმის ან იძულებითი ასიმილაციის მიზნებისათვის გამოყენება. ამასთან, კანონი არ ზღუდავს საჯარო სკოლაში სახელმწიფო დღესასწაულებისა და ისტორიული თარიღების აღნიშვნას, აგრეთვე ისეთი ღონისძიების ჩატარებას, რომელიც მიმართულია ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებისაკენ.

კანონის ამავე მუხლით, დაუშვებელია სკოლაში განხორციელდეს მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა რაიმე სახის დისკრიმინაცია: „დაუშვებელია სკოლის მიერ საკუთარი უფლებამოსილებისა და რესურსების იმგვარად გამოყენება, რამაც შეიძლება პირდაპირ ან ირიბად გამოიწვიოს მოსწავლის, მშობლის და მასწავლებლის, აგრეთვე მათი გაერთიანებების რაიმე დისკრიმინაცია".

საყურადღებოდ მიგვაჩია კანონის ის ნაწილი, სადაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ერთ-ერთ ძირითად ვალდებულებად გაცხადებულია: ა) მოსწავლეებს, მშობლებს და მასწავლებლებს შორის შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის დამკვიდრების ხელშეწყობა, განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა; ბ) უმცირესობების წევრების ინდივიდუალურ და კოლექტიურ უფლების განუხრელი დაცვა. ეს კი ნიშნავს მათი ფუნდამენტური უფლების – თავისუფლად ისარგებლონ მშობლიური ენით, შეინარჩუნონ და გამოხატონ თავიანთი კულტურული კუთვნილება – ხელშეუხებლობას (მუხლი 13).

მე-18 მუხლი არეგულირებს „რწმენის თავისუფლების" საკითხებს. კანონით დაუშვებელია მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს დაეკისროთ ისეთი ვალდებულებების შესრულება, რომლებიც ძირეულად ეწინააღმდეგება მათ რწმენას, აღმსარებლობას ან სინდისს. რელიგიური სიმბოლოკის განთავსება საჯარო სკოლის ტერიტორიაზე შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ის ემსახურება გარკვეულ აკადემიურ მიზნებს. ამასთან, საჯარო სკოლის მოსწავლეებს უფლება აქვთ, სასკოლო დროისგან თავისუფალ დროს ნებაყოფლობით შეისწავლონ რელიგია ან ჩაატარონ რელიგიური რიტუალი, თუ იგი ემსახურება რელიგიური განათლების მიღებას.

გ) ეროვნული სასწავლო გეგმა (დამტკიცებულია 2011წ.),[29] ზოგადი განათლების საფეხურების მიხედვით, განსაზღვრავს აუცილებელ საგნობრივ ჯგუფებს, საგნების მიხედვით საათების განაწილებასა და რაოდენობას, სასწავლო გარემოს ორგანიზების პირობებსა და რეკომენდაციებს. ეროვნული სასწავლო გეგმით ასევე განისაზღვრება იმ შედეგების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალი, რომელთაც მოსწავლე უნდა ფლობდეს ყოველ საგანში თუ საგნობრივ ჯგუფში კლასის ან საფეხურის დამთავრებისას. ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებს აგრეთვე მოდიფიცირებულ სასწავლო გეგმებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის (მუხლი 5).

ეროვნული საწავლო გეგმის პირველი კარი ეხება სწავლა-სწავლების ძირითად პრინციპებს. კარის პირველი თავის „საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება" მე-5 მუხლში – „სკოლის საერთო კულტურა" განმარტებულია სკოლის ერთ-ერთი ძირითადი მისია – ზოგადსაგანმანათლებლო სკოლამ, სწავლა-სწავლების პროცესმა, ხელი უნდა შეუწყოს ურთიერთპატივისცემისა და თანას-

29 http://mes.gov.ge/content.php?id=3923

წორობის პრინციპების დაცვას, ასევე, შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნას სკოლის საზოგადოების წევრებისთვის.

VI თავში განხილული მეთოდიკური ორიენტირებიდან ინტერკულტურული განათლებისა და ურთიერთობების ხელშემწყობია 31-ე და 32-ე მუხლებით გათვალისწინებული „მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომა“ და „სწავლა-სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვა“.

„მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა“ გულისხმობს თითოეული მოსწავლის უნიკალურობის აღიარებას, რომელსაც აქვს სხვისგან განსხვავებული ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლები, ნიჭი, ემოციები, ინტერესები, პირადი გამოცდილება, აკადემიური საჭიროებები და სწავლის სტილი. ყოველივე ამ განსხვავების, ინდივიდუალური მახასიათებლის გათვალისწინება კი აუცილებელია სწავლა-სწავლების დროს.

ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა სწავლა-სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვა. კანონის ეს მუხლი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს ავალდებულებს მოსწავლეებს მისცეს განვითარების თანაბარი შესაძლებლობები, რაც მიიღწევა სწავლა-სწავლების პროცესში მრავალგვარი მეთოდის, მიდგომის, სტრატეგიის, პრობლემათა გადაჭრის გზებისა თუ აქტივობათა ტიპების გამოყენებით.

კანონის VIII თავში საუბარია „ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტულ გამჭოლ კომპეტენციებზე“. ასეთ კომპეტენციათა შორის გამორჩეული ფუნქცია ენიჭება მოსწავლის შესაბამის სოციალურ და სამოქალაქო კომპეტენციას, რაც გულისხმობს აღსაზრდელისთვის სამოქალაქო ცხოვრებაში ინტეგრირებისათვის აუცილებელი ისეთი უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას, როგორებიცაა: კონსტრუქციული თანამშრომლობა, პრობლემების მოგვარება, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, გადაწყვეტილების მიღება, შემწყნარებლობა, სხვისი უფლებების პატივისცემა, დემოკრატიული პრინციპების აღიარება და სხვა.

ეროვნული საწავლო გეგმის მე-3 კარში „საგნობრივი პროგრამები“ ხაზგასმულია სახელმწიფო ენის სწავლების მრავალმხრივი მნიშვნელობა საქართველოში მცხოვრები არაქართულენოვანი ჯგუფებისათვის. კერძოდ, მითითებულია, რომ სამოქალაქო ინტეგრაციის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევაა ეროვნული უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის არცოდნა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მათ სრულფასოვან მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამიტომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ეროვნული სასწავლო გეგმა არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეებისათვის ითვალისწინებს სახელმწიფო ენის სწავლებას.

სახელმწიფო ენის სწავლება მიზანად ისახავს, „ხელი შეუწყოს სასკოლო განათლების მთავარი სახელმწიფო მიზნის განხორციელებას. ეს არის ეროვნულ და საკაცობრიო ღირებულებებთან ნაზიარები, თავისუფალი პიროვნების აღზრდა, რომელიც შეძლებს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმას და საკუთარი წვლილის შეტანას სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში“.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში დეტალურადაა გაწერილი ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების მიზნები. მათგან ჩვენს ყურადღებას იქცევს ის მიზნები, რომლებიც უშუალო კავშირშია ინტერკულტურული განათლების დონის გაუმჯობესებასთან, შესაბამისი ცოდნის/ცნობიერების ამაღლებასა და ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესთან. ეს მიზნებია:

- წარმატებული კომუნიკაცია;
- ქართული ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობისა და ფასეულობების პატივისცემა;
- სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბება;

- სახელმწიფოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის სოციალურ-კულტურულ თავისებურებათა დაფასება და პატივისცემა; სოციალურ-კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების გამოვლენა და ა.შ.

ამ მიზნებიდან გამომდინარეობს ქართული ენის სწავლების ამოცანებიც. კერძოდ, მოსწავლემ უნდა:

1. აითვისოს როგორც ენობრივი, ისე კულტურული ინფორმაცია;
2. შეიძინოს სხვადასხვა ტიპის უნარ-ჩვევა:
- სამეტყველო უნარ-ჩვევები (მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი);
- განსხვავებული კულტურის გაგების უნარი;
- ენის სწავლის უნარ-ჩვევები (სწავლის სწავლა);
- სასიცოცხლო უნარ-ჩვევები (თანამშრომლობა, თავისუფალი არჩევანის გაკეთება, პრობლემის გადაჭრა, შემოქმედებითობა და სხვა).
3. ჩამოუყალიბდეს სხვადასხვა ტიპის დამოკიდებულება:
- პიროვნულ განსხვავებათა დაფასება და პატივისცემა;
- ენობრივ-კულტურული კუთვნილების განცდა;
- ენების სწავლის სურვილი და სხვა;
4. ჩამოუყალიბდეს ქვეყნის მოქალაქეობის *განცდა.*

ინტერკულტურული განათლებისა და განსხვავებული ეთნიკურ-კულტურული იდენტობებისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ფორმირების თვალსაზრისით, გამორჩეული მნიშვნელობა ენიჭება უცხოური ენების სწავლებას. სწორედ ამ საკითხს ეხება ეროვნული სასწავლო გეგმის XXIV თავი – „საგნობრივი პროგრამა უცხოურ ენებში“. პროგრამაში გაწერილია უცხოური ენების სწავლების პრიორიტეტული მიზნები, რაც ითვალისწინებს მოსწავლისათვის პლურილინგვური კომპეტენციის განვითარებას; სხვა კულტურის წარმომადგენლებთან წარმატებული კომუნიკაციის უნარის გამომუშავებას; ენობრივ-კულტურული მრავალფეროვნების მიმართ დადებითი განწყობის ჩამოყალიბებას; განსხვავებული კულტურული კონტექსტების გაგების უნარის გამომუშავებას; სხვადასხვა ენობრივ-კულტურული იდენტობის წარმომადგენლებთან მრავალმხრივი ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობას და ა.შ.

ჩამოთვლილი საგანმანათლებლო მიზნები ითვალისწინებს არა მხოლოდ სხვადასხვა ტიპის საგნობრივი ცოდნის შეძენას (მაგ., გრამატიკული, ლექსიკური ცოდნა...), არამედ უცხოენოვანი ქვეყნების კულტურის გაცნობას და ისეთი სამოქალაქო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, როგორიცაა თანამშრომლობა, თავისუფალი არჩევანის გაკეთება, თვითსრულყოფა, შემოქმედებითობა, ინტერაქცია განსხვავებულ სოციალურ-კულტურულ კონტექსტებში და სხვა. უცხოური ენების შესწავლის პროცესში ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება კულტურული, ინდივიდუალური მრავალფეროვნების მიმართ და მისი, როგორც სამყაროს მრავალფეროვნების კერძო გამოვლინების აღქმა.

უცხოური ენების საგნობრივი პროგრამის ერთ-ერთი მიმართულებაა „კულტურათა დიალოგი“. ეს მიმართულება გულისხმობს უცხო ენის/ენების სწავლების პროცესში შემდეგი შედეგების მიღწევას: მოსწავლე იცნობს სამიზნე ქვეყნის/ქვეყნების კულტურის რეალიებს; მოსწავლე იცნობს სამიზნე ქვეყნის/ქვეყნების სოციალურ-კულტურულ რეალიებს; მოსწავლე იჩენს ინტერესს და ავლენს ტოლერანტულ დამოკიდებულებას კულტურათა თავისებურებების მიმართ.

ჩამოთვლილი შედეგების მიღწევის ინდიკატორები კიდევ უფრო ნათელ წარმოდგენას გვიქმნის უცხოურ ენათა სწავლების მნიშვნელობაზე განსხვავებული ეთნიკურ-კულტურული იდენტობების მრავალფეროვან მახასიათებელთა გაცნობისა და მათ მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულების ფორმირების თვალსაზრისით. მაგალითად, უცხოურ ენათა სწავლებისას „კულტურათა დიალოგის“ კონტექსტში მოსწავლე:

- ასახელებს სამიზნე ქვეყანასთან/ქვეყნებთან დაკავშირებულ გეოგრაფიულ, დემოგრაფიულ მონაცემებს, მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებს;
- ცნობს ხელოვნებისა და არქიტექტურის ნიმუშებს;
- ცნობს ისტორიულ პირებსა და გამოჩენილ ადამიანებს, ასახელებს მათი მოღვაწეობის სფეროს, ეპოქას, დამსახურებას;
- ასახელებს დღესასწაულებსა და ზეიმებს;
- იცნობს ყოფით სიტუაციებში ქცევის წესებს;
- იცნობს სამიზნე ქვეყნების ტრადიციებს, ადათებს, ზნე-ჩვეულებებს;
- ავლებს პარალელს უცხოურ და მშობლიურ კულტურებს შორის, პოულობს მსგავსებებს, განსხვავებებს;
- კორექტულად გამოთქვამს საკუთარ აზრს, შეხედულებას, დამოკიდებულებას კულტურულ თავისებურებებზე მსჯელობისას;
- ინტერესდება თანაკლასელთა, სკოლელთა ენობრივ-კულტურული იდენტობით;
- იღებს ინტერვიუებს განსხვავებული კულტურული იდენტობის მქონე თანატოლებისაგან; მათთან თანამშრომლობით ამზადებს პრეზენტაციას განსხვავებულ საოჯახო ტრადიციებზე, დღესასწაულებზე, ზნე-ჩვეულებებზე, აღმსარებლობაზე და სხვა;
- ამოიცნობს ტექსტებში ასახულ სოციალურ-კულტურულ გარემოს და ავლებს პარალელს მშობლიურ სოციოკულტურულ გარემოსთან;
- ავლებს პარალელს უცხოურ და მშობლიურ კულტურებს შორის, პოულობს და აანალიზებს მსგავსებებს, განსხვავებებს;
- იჩენს ინტერესს ადამიანთა განცდების, დამოკიდებულების მიმართ, ავლებს პარალელებს, პოულობს და აღნიშნავს ანალოგიებს, განსხვავებებს საკუთარ და სხვათა სულიერ სამყაროებს შორის;
- განიხილავს ტექტში მოცემულ ინფორმაციას იმ კულტურის კონტექსტში, რომელშიც ის შეიქმნა;
- ამოიცნობს სტერეოტიპულ შეხედულებებს, აანალიზებს და წარმოადგენს მათ წარმომშობ მიზეზებს, მაგალითების მოშველიებით ასაბუთებს მათ უსაფუძვლობას;
- აანალიზებს კულტურულ თავისებურებათა გაუთვალისწინებლობით წარმოქმნილ კონფლიქტურ სიტუაციას, ამოიცნობს და ასახელებს მიზეზებს, განსაზღვრავს კონფლიქტის მოგვარების გზებს;
- იკვლევს გარშემომყოფთა ენობრივ-კულტურული იდენტობას, აგროვებს საინტერესო მასალებს მათი წარმომავლობის, ოჯახური ისტორიის, ზნე-ჩვეულებების შესახებ.

ინტერკულტურული განათლების თვალსაზრისით, განსაკუთრებული დატვირთვა აქვს საზოგადოებრივი მეცნიერებების ბლოკს. „საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს ინფორმირებული, აქტიური და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის აღზრდას; მიაწოდოს მოსწავლეს ინფორმაცია მშობლიური გარემოს შესახებ; დაეხმაროს მას, განსაზღვროს მშობლიური ქვეყნის ადგილი მსოფლიო ისტორიულ და გეოგრაფიულ პროცესებში; ჩამოაყალიბოს იგი პატრიოტ და ჰუმანურ ადამიანად. ამასთან, საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების სწავლებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეებში სამოქალაქო ღირებულებების გამომუშავებისთვის“ (მუხლი 41).

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი პროგრამის (თავი XXXV) მიზნები და ამოცანები ითვალისწინებს მოსწავლის აღჭურვას შესაბამისი ცოდნითა და უნარებით, რომელიც მას დაეხმარება, სამყარო აღიქვას ერთ მთლიანობად და მიმდინარე პროცესებში განსაზღვროს საქართველოს ადგილი. საზოგადოებრივ მეცნიერებათა ბლოკში შემავალი საგნების სწავლებამ

ასევე ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლის პატრიოტ და პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქედ ჩამოყალიბებას.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნობრივი პროგრამის შემდგენლები ისტორიის, სამოქალაქო განათლებისა და გეოგრაფიის სწავლების პროცესს უკავშირებენ საქართველოსთვის ისეთი პრობლემური საკითხის გადაჭრის პერსპექტივას, როგორიც არის ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან ქვეყანაში ტოლერანტული, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა, რაც ეფუძნება საზოგადოების ყოველი წევრის მიერ სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-ვალდებულებების გაცნობიერებას, განსხვავებულ იდენტობებთან მშვიდობიან თანაარსებობას, ზოგადად, მრავალფეროვნებისადმი სოლიდარულ განწყობასა და აქტიურ მოქალაქეობრივ პოზიციას. „დღევანდელ დინამიკურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთშემეცნება. სწორედ, საზოგადოებრივი მეცნიერებების შესწავლისას ხდება ცოდნის მიღება, რომელიც ეხმარება მოსწავლეს ადამიანის უფლებების დაცვასა და პიროვნების პატივისცემაში, საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შენარჩუნებაში... მოსწავლე უნდა აცნობიერებდეს თავს, როგორც საკუთარი ოჯახის, საზოგადოების, სასკოლო თემისა თუ კლასის, სამეზობლო თემის, რეფერენტული ჯგუფის (იქნება ეს ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობა თუ სატიტულო ნაცია და ა.შ.), ქართული საზოგადოების წევრად; იცნობდეს საკუთარი ქვეყნის, საზოგადოებისა და რეფერენტული თემის კულტურას; საქართველოში თუ მსოფლიოში მცხოვრები სხვა საზოგადოებების კულტურას; იაზრებდეს, რას ნიშნავს ზრუნვის ეთიკა, რატომ არის ის ღირებული და ა.შ.“

საგნობრივ პროგრამაში აქცენტი კეთდება მოსწავლეებში ინტერკულტურული განათლებისათვის ისეთი მნიშვნელოვანი ღირებულებების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ფორმირებაზე, როგორიცაა: ადამიანის სიცოცხლე, ღირსება, სხვისი უფლებების პატივისცემა, თანაგრძნობა, მზრუნველობა, სამშობლოს სიყვარული, თანასწორობა და ტოლერანტობა.

საზოგადოებრივი მეცნიერებები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ისწავლება სამივე საფეხურზე. დაწყებით საფეხურზე (V-VI კლასებში) ყურადღება მახვილდება საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის მხარეთმცოდნეობითი პრინციპით შესწავლაზე, რაც მოსწავლეებში განამტკიცებს იმ აზრს, რომ საქართველოს ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი მისი ბუნებრივი, ეთნიკური, რელიგიური და კულტურული მრავალფეროვნებაა.

საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლება დაწყებით საფეხურზე მიზნად ისახავს მრავალფეროვნებისადმი, როგორც ღირებულებითი საკითხისადმი სწორი მსოფლმხედველობრივი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის იმგვარად დაგეგმვა და წარმართვა, რომ მან „მოსწავლეებს განუვითაროს ადამიანის ღირსების, თავისუფლებისა და თანასწორობის პატივისცემა. ამ ღირებულებებზე დაყრდნობით ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეების ეთიკური და პასუხისმგებელი ქცევის ჩამოყალიბებას“.

საბაზო საფეხურზე (VII-IX კლასებში) ისტორიის (მსოფლიოს და საქართველოს ისტორია) სწავლების მიზნად განსაზღვრულია მოსწავლისათვის ისტორიული პროცესის სხვადასხვა კუთხით (პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური) წარმოდგენა. განსაკუთრებით ფართოდაა წარმოდგენილი სამოქალაქო განათლების მიზნები ინტერკულტურული განათლებისა და დამოკიდებულებების ფორმირების თვალსაზრისით: „ჰუმანურ ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო განათლება მოსწავლეს უნდა დაეხმაროს საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე თავისი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში და ადამიანის უფლებების, მმართველობისა და ეკონომიკის განვითარების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის ყოველდღიურ ცხოვრებასთან მისადაგებაში. საგნის სწავლებისას მას უნდა განუვითარდეს მნიშვნელოვანი სამოქალაქო უნარ-ჩვევები: საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბება და დაცვა; საკუთარი საქციელის კრიტიკულად შეფასება; განსხვავებული აზრის, ეროვნების, სარწმუნოებისა და კულტურის

მქონე ადამიანების პატივისცემა; საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში მონაწილეობა და კანონის პატივისცემა.

სამოქალაქო განათლება მოსწავლეს უნდა დაეხმაროს იდენტობის განვითარებაში, თვითგამორკვევაში. მოზარდმა უნდა შესძლოს საკუთარი თავისა თუ სხვების აღქმა სხვადასხვა კონტექსტის წევრებად და მათი პიროვნებებად გაცნობიერება; მან უნდა გაიაზროს თავისუფლება, როგორც უფლება და, ამავე დროს, პასუხისმგებლობა და შეძლოს საზოგადოების, როგორც განსხვავებული ინტერესების, ღირებულებების, მოთხოვნილებების მქონე სუბიექტების ურთიერთდაკავშირებული კომპლექსური მთლიანობის გააზრება.

სამოქალაქო განათლების სწავლების პროცესში მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს საქართველო, როგორც სახელმწიფო; აღიქვას საკუთარი თავი მის მოქალაქედ; შეისწავლოს საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის ფორმები და საშუალებები; გაიაზროს დემოკრატიის, კონსტიტუციის, ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის, როგორც სახელმწიფოს სამართლებრივი ბაზის მნიშვნელობა; გაიაზროს საკუთარ და სხვის უფლებებსა და პასუხისმგებლობებს შორის არსებული კავშირი და კონკრეტული ნაბიჯები გადადგას საკუთარი და სხვისი უფლებების დასაცავად; გაიაზროს ადამიანის/ბავშვთა უფლებების მნიშვნელობა და მათი დაცვისთვის განახორციელოს კონკრეტული ქმედება; გააცნობიეროს ადამიანთა სპეციფიკური ჯგუფების უფლებების დაცვის მნიშვნელობა და მათი დაცვისთვის გადადგას კონკრეტული ნაბიჯები“.

საშუალო საფეხურზე (X-XII კლასებში) ისტორიის სწავლებამ ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლის პატრიოტ და პოლიტიკურად განათლებულ მოქალაქედ ჩამოყალიბებას. გეოგრაფიის შესწავლით მოსწავლე გაეცნობა მსოფლიოს ქვეყნების ძირითად მახასიათებლებს, მათში მიმდინარე სხვადასხვა პროცესებსა და მოვლენებს; სამოქალაქო განათლების სტანდარტმა კი უნდა უზრუნველყოს მოსწავლის მიერ იდენტობის ისეთი ახალი ასპექტების შემეცნება როგორებიცაა „საკუთარი და სხვისი პიროვნული თავისებურებების ანალიზი; საკუთარი და სხვების ღირსებებისა და ნაკლოვანებების ანალიზი; საზოგადოებაში საკუთარი ადგილისა და მნიშვნელობის განსაზღვრა; საკუთარი მომავლის დაგეგმვა; მე-სა და ჩვენ-ის ინტერესების გათვალისწინებით დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება; პროფესიის, როგორც იდენტობის მიღწევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფეხურისა და მისი არჩევისთვის კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა; კონკურენტრუნარიანობა, დამოუკიდებლობა, გადაწყვეტილების მიღება, არჩევანის თავისუფლება როგორც ღირებულება და მის განვითარებაზე ზრუნვა.

სამოქალაქო განათლება დაეხმარება მოსწავლეს თანამედროვე სამყაროში მდგრადი განვითარების პროცესში საკუთარი როლის დანახვასა და შესაბამისი ნაბიჯების გადადგმაში; ეკონომიკურად აზროვნებასა და მისი მნიშვნელობის გააზრებაში; ინტერკულტურულ წიგნიერებასა და ურთიერთობებში; თანამშრომლობის კულტურის განვითარებაში; ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ ინტერესთა კონფლიქტებისა და მათი მოგვარების მექანიზმების საფუძვლების ცოდნაში.

საშუალო საფეხურზე სამოქალაქო განათლების დანიშნულებაა, დაეხმაროს მოსწავლეს საქართველოს, როგორც მრავალფეროვანი ქვეყნის გაცნობიერებაში; საკუთარი თავის საქართველოს მოქალაქედ გააზრებაში; მოქალაქეობით განპირობებული უფლებების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების დაცვა-შესრულებისთვის კონკრეტული ქმედებების განხორციელებაში; სამოქალაქო საზოგადოებისთვის საკუთარი და სხვისი უფლებების დაცვის მნიშვნელობის გააზრებასა და განხორციელებაში“.

საზოგადოებრივ მეცნიერებების ბლოკში შემავალი საგნების შინაარსისა და დიდაქტიკური ამოცანების მიმართებები ინტერკულტურული განათლების ძირითად საკითხებთან წარმოდგენილია საგნის სწავლის ცალკეული მიმართულებების მიხედვითაც. ჩვენ აქ საგანგებოდ შევჩერდებით მხოლოდ იმ მიმართულებებზე, რომლებიც შინაარსობრივად დაკავშირებულია მოსწავლეთა

ინტერკულტურულ განათლებასა და სხვადასხვა იდენტობებისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბების საკითხებთან. ეს მიმართულებებია:

1. *კულტურა და რელიგია* – მიმართულების მიზანია, მოსწავლეს დაანახოს დედამიწაზე ადამიანის მიერ შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის მრავალფეროვნება და დაეხმაროს მის კლასიფიცირებაში. ხელი შეუწყოს მოსწავლეს, ისტორიული ეპოქები და მხარეები განასხვავოს მათთვის დამახასიათებელი ეთნოგრაფიული ყოფისა და კულტურის მიღწევების საფუძველზე. დაეხმაროს მოსწავლეს რელიგიის რაობისა და მნიშვნელობის განსაზღვრაში. წარმოდგენა შეუქმნას მსოფლიოში არსებული რელიგიური სისტემების მრავალფეროვნებაზე.
2. *ადამიანი და საზოგადოება* – მიმართულების მიზანია მოსწავლეს დაანახოს, რომ ისტორიის მთავარ შემოქმედს ადამიანი წარმოადგენს, რომელსაც თავისი უფლებები და საზოგადოების წინაშე გარკვეული ვალდებულებები აქვს. მოსწავლემ უნდა იცოდეს, თუ როგორი იყო სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში სხვადასხვა სოციალური ფენის ადამიანების უფლებრივი მდგომარეობა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ჩართულობის ხარისხი.
3. *გარემო და სოციალური სისტემები* – მიმართულების შედეგები მოსწავლეებს ამყარებინებს კავშირს გარემოსა და საზოგადოებას შორის.
4. *პიროვნული განვითარება* – ინდივიდუალურ დონეზე პიროვნული განვითარება თვითგანვითარებისა და სხვების განვითარების პროცესია. იგი მოიცავს მიზნებს, გეგმებსა და ქმედებებს, რომლებიც მიმართულია შემდეგი ამოცანების შესრულებაზე:

- თვითანალიზის განვითარება
- თვითცოდნის განვითარება
- იდენტობის ძიება, მიგნება ან განახლება
- შესაძლებლობების ან ნიჭის განვითარება
- პოტენციალის განსაზღვრა და განვითარება
- ადამიანური კაპიტალის განვითარება
- ცხოვრების ხარისხის ამაღლება
- პიროვნული განვითარების გეგმის განსაზღვრა და შესრულება

დ) მასწავლებელთა ეთიკის კოდექსი[30] განსაზღვრავს პედაგოგთა ძირითად უფლება-მოვალეობებს, დისციპლინური გადაცდომების სახეებს და შესაბამისად მათი დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებულ სახდელებს.

მასწავლებელთა ეთიკის კოდექსში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის თანამშრომელთა (მასწავლებელთა) ერთ-ერთ ძირითად მოვალეობად მიჩნეულია ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიური მრწამსის, სქესის, აკადემიური მოსწრების, სოციალური წარმომავლობის ან პირადი შეხედულების მიხედვით მოსწავლეთა დისკრიმინაციის დაუშვებლობა; კოდექსი ადგენს დისციპლინარულ გადაცდომათა ჩამონათვალს. ასეთად ითვლება მოსწავლეთათვის საკუთარი ღირებულებებისა და ფასეულობების თავს მოხვევა (პოლიტიკური, რელიგიური, სოციალური, ეთნიკური უმცირესობების, გენდერული შეხედულებების).

ე) სკოლის დირექტორის ეთიკის კოდექსი[31] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის ქცევის წესებს, რომლითაც ფასდება დირექტორის პროფესიული კომპეტენტურობის ხარისხი და რომელთა დაცვა მას მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და სკოლაში დასაქმებული სხვა პირების მიმართ მოეთხოვება (თავი I. ზოგადი დებულებები/ მუხლი 1).

II თავის (სკოლის დირექტორის ქცევის წესები) მე-3 მუხლი ეხება სკოლის დირექტორის პროფესიულ კომპეტენტურობას. აქ, დირექტორის ერთ-ერთ კომპეტენციად მიჩნეულია მისი ვალდებულება, გამოიჩინოს თანაბარი ყურადღება მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლის ან სკოლაში

30 http://bntu.edu.ge/uploads/liceum/masc_etikis_kodeqsi.pdf
31 http://www.mes.gov.ge/

დასაქმებული სხვა პირის მიმართ, განურჩევლად მათი სქესის, რასის, ენის, რელიგიის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური და სხვა კუთვნილებისა.

ამავე მუხლის მიხედვით, სკოლის დირექტორმა უნდა უზრუნველყოს სასკოლო დისციპლინის დაცვა ისეთი მეთოდების გამოყენებით, რომლებიც არ ეწინააღმდეგება მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლისა და სკოლაში დასაქმებული სხვა პირების თავისუფლებისა და ღირსების პატივისცემას.

კოდექსის მე-5 მუხლი (მოსწავლეებთან ურთიერთობა) დირექტორის ვალდებულებად განსაზღვრავს, ხელი შეუწყოს მოსწავლეს დემოკრატიული, სამოქალაქო და პატრიოტული ღირებულებების ჩამოყალიბებაში. დირექტორი პატივს უნდა სცემდეს მოსწავლეთა აზრებს, უქმნიდეს მათ ყველა პირობას იდეებისა და შეხედულებების თავისუფლად გამოსახატად.

ვ) მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი[32] დამტკიცებულ იქნა 2008 წელს. სტანდარტის ძირითადი ნაწილი, გადამუშავებული სახით, ხელახლა დამტკიცდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ 2014 წლის მარტში. იგი საერთოა ყველა საგნის პედაგოგისათვის და შედგება სამი ნაწილისგან: პროფესიული მახასიათებლები, სასწავლო პროცესის მართვა და პროფესიული განვითარება. სტანდარტი, მასწავლებელთა საკვალიფიკაციო კატეგორიების მიხედვით, ადგენს აუცილებელად შესასრულებელ პირობებს და აღწერს პედაგოგთა პროფესიული ზრდის (განვითარების) სქემას.

პროფესიული სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად, მასწავლებელმა ისე უნდა დაგეგმოს და წარმართოს სასწავლო პროცესი, სააღმზრდელო აქტივობები, რომ მოსწავლეებს გაუღვივდეთ ინტერესი კულტურული და ეთნიკური მრავალფეროვნებისადმი, განუვითარდეთ ტოლერანტული დამოკიდებულება განსხვავებულობის მიმართ.

IV თავის მეექვსე მუხლით – „სასწავლო პროცესი, სასწავლო გარემო“ – პრაქტიკოსი მასწავლებელის ერთ-ერთ ვალდებულებად აღიარებულია სხვადასხვა კულტურის მოსწავლეებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა.

IV თავში განსაზღვრულია წარჩინებული მასწავლებელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ამ მოთხოვნების მიხედვით, აღნიშნული კატეგორიის მასწავლებელი მოსწავლეთა კულტურულ მრავალფეროვნებას უნდა იყენებდეს დადებითი სასწავლო გარემოს შესაქმნელად; იყენებდეს კონფლიქტის მოგვარების ეფექტურ სტრატეგიებს და უზრუნველყოფდეს კლასში მოსწავლეთა ინტეგრაციას (მუხლი 12).

ინტერკულტურული განათლების ამოცანებთან დაკავშირებული უფრო მაღალი მოთხოვნებია წაყენებული „მკვლევარი მასწავლებლის“ მიმართ (თავი IV; მუხლი 13.5), კერძოდ, მასწავლებელი იკვლევს კულტურული თავისებურებების გავლენას მოსწავლეთა ღირებულებების ფორმირებაზე; შეიმუშავებს რეკომენდაციებს პოზიტიური სასწავლო გარემოს შესაქმნელად; აყალიბებს მოსწავლეთა თვითრეგულირებად ქცევას ეფექტიანი სტრატეგიების გამოყენებით; ახორციელებს კონფლიქტის პრევენციაზე ორიენტირებულ ღონისძიებებს სკოლისა და სასკოლო თემის სპეციფიკასთან დაკავშირებული რისკფაქტორების გათვალისწინებით.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მიხედვით, „მენტორი მასწავლებელი“ არის სკოლასა და სასკოლო თემში ინტერკულტურული საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბებისათვის ხელშემწყობი საქმიანობების, სკოლაში ქცევის მართვასთან დაკავშირებული კვლევების ინიციატორი; კვლევის შედეგების საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლაში პოზიტიური გარემოს დასამკვიდრებლად (თავი IV. მუხლი 13.11).

32 http://www.tpdc.ge/?action=page&p_id=100&lang=geo

თავი II. დემოგრაფიული პროცესები საქართველოში[33]

§1. საქართველოს მოსახლეობა

მოსახლეობა არის მცხოვრებთა (ქვეყნის, ქალაქის, სოფლის და ა.შ.) ერთობლიობა. მოსახლეობის მახასიათებლებია: რიცხოვნობა (რაოდენობა), შობადობა, მოკვდაობა და ბუნებრივი მატება, სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, ეთნიკური და რელიგიური შედგენილობა, მიგრაცია, ცხოვრების დონე და სხვ.

მოსახლეობის რიცხოვნობის დადგენა მოსახლეობის აღწერით ხდება, რომელიც, ჩვეულებრივ, 10 წელიწადში ერთხელ ტარდება. საქართველოში მოსახლეობის აღწერა პირველად 1897 წელს, ბოლოს კი 2014 წელს ჩატარდა.

მოსახლეობის აღწერის მიზანია ქვეყნის ყველა მცხოვრების შესახებ დემოგრაფიული და სხვა სახის ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება, ანალიზი და გამოქვეყნება. აღწერის მასალები ბევრ საინტერესო და საჭირო ინფორმაცის იძლევა ქვეყნის მოსახლეობის შესახებ.



მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა. მოსახლეობის რიცხოვნობა ძირითადად ბუნებრივი მოძრაობის შედეგად იცვლება. ბუნებრივი მოძრაობა ადამიანების დაბადებისა და გარდაცვალების ერთობლიობა, თაობათა მუდმივი ცვლის პროცესია. დროის გარკვეულ მონაკვეთში (თვეში, წელიწადში) დაბადებულებსა და გარდაცვლილებს შორის სხვაობის აბსოლუტურ სიდიდეს ბუნებრივი მატება ეწოდება. ბუნებრივი მატება = შობადობა – მოკვდაობა.

33 სტატისტიკური ინფორმაცია მოპოვებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდიდან http://www.geostat.ge/

ამრიგად, თუ შობადობის კოეფიციენტი მეტია მოკვდაობის კოეფიციენტზე, მაშინ მოსახლეობის რიცხოვნობა მატულობს და პირიქით, თუ შობადობის კოეფიციენტი ნაკლებია მოკვდაობის კოეფიციენტზე, მოსახლეობის რიცხოვნობა კლებულობს.

საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა წლების მიხედვით (ათასი კაცი, მიახლოებითი მაჩვენებლები)			
წელი	დაიბადა	გარდაიცვალა	ბუნებრივი მატება
1933	37	18	19
1940	100	32	68
1950	83	27	56
1960	103	28	75
1980	89	43	45
1990	93	51	42
2002	47	46	1
2005	46	43	3

ბუნებრივი მოძრაობა მთელ რიგ ფაქტორებზეა დამოკიდებული, მათ შორის, ბუნებრივ პირობებზე, მოსახლეობის ტრადიციებსა და რელიგიაზე, ცხოვრების დონეზე, სამედიცინო მომსახურების ხარისხზე. მასზე ასევე მოქმედებს ომები, ეპიდემიები, სტიქიური მოვლენები და სხვა.

საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მატება განსხვავდება ქვეყნის რეგიონების მიხედვით. ბუნებრივი მატება ყველაზე ნაკლებია კავკასიონის ფერდობებზე განლაგებულ ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებში: რაჭაში, ლეჩხუმში, მთიულეთში, ხევში, ხევსურეთში, თუშეთსა და ფშავში. მცირემიწიანობისა და მკაცრი კლიმატური პირობების გამო, აქაური მოსახლეობის დიდი ნაწილი ბარში ჩასახლდა. შობადობის მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა შიდა აჭარის, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონები.

მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა. ბუნებრივი მოძრაობა დიდ გავლენას ახდენს მოსახლეობის სქესობრივ და ასაკობრივ სტრუქტურაზე. მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურა მამაკაცებისა და ქალების რიცხოვნობის თანაფარდობაა. იგი გავლენას ახდენს შობადობაზე, ბუნებრივ მოძრაობაზე, ქორწინებასა და სხვა ფაქტორებზე.

მამაკაცებისა და ქალების რიცხოვნობა (%-ში)		
წელი	რიცხოვნობა	
	მამაკაცები	ქალები
1887	53,4	46,6
1926	50,5	49,5
1939	49,9	50,1
1959	46,1	53,9
1979	46,8	53,2
1989	47,4	52,6
2002	47,2	52,8
2005	47,5	52,5

ბუნებრივი მოძრაობა ასევე დიდ გავლენას ახდენს მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაზეც: რაც მეტია ბუნებრივი მატება, მით უფრო მაღალია ახალგაზრდების ხვედრითი წილი და პირიქით. საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ასაკობრივი სტრუქტურა ერთმანეთისაგან განსხვავებულია. ხანდაზმულთა რიცხვი ჭარბობს კავკასიონის მთიან რეგიონებში (რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი), ხოლო ახალგაზრდების სიჭარბით გამოირჩევა აჭარის მთიანი რაიონები და ბარის ზოგიერთი რეგიონი (ქვემო ქართლი).

მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა. საქართველო მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქვეყანაა. სახელწოდება საქართველო ამ ქვეყნის ძირითადი მკვიდრი მოსახლეობის – ქართველების სახელიდან წარმოდგება.

ჩვენი ქვეყნის მოსახლეობაში ქართველების ხვედრითი წილი ყოველთვის ერთნაირი არ იყო. XIX საუკუნის დასაწყისისათვის ქართველების რაოდენობა საქართველოს მოსახლეობის 80%-ს აღწევდა. შემდგომ პერიოდში ეს მაჩვენებელი შემცირდა. XX საუკუნის 50-იანი წლებიდან დაიწყო ქართველების წილის მატება და 1989 წელს მან 70,1%-ს, 2002 წლის აღწერით კი 83,8%-ს მიაღწია.

საქართველო მრავალეროვანი ქვეყანაა. აქ საუკუნეების განმავლობაში, საცხოვრებლად თუ სამუშაოდ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები ჩამოდიოდნენ და მკვიდრდებოდნენ. ამჟამად ისინი ან მათი შთამომავლები საქართველოს ისეთივე სრულუფლებიანი მოქალაქეები არიან, როგორც ქართველები.

საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური სტრუქტურა
(2002 წლის მონაცემებით, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გამოკლებით)



ეთნოსი	რაოდ. (%)
ქართველი	83,8
აფხაზი	1,5
ოსი	0,9
სომეხი	5,7
აზერბაიჯანელი	6,5
ბერძენი	0,3
ებრაელი	0,1
ქურთი	0,1
სხვა	0,4

§2. საქართველოს ეთნიკური რუკის ფორმირება

პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გამო, საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში ერთგვაროვანი არ იყო. აღნიშნული ფაქტორების ზემოქმედების შედეგად ყალიბდებოდა მიგრაციული პროცესების გარკვეული მიმართულებები, რაც ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის რიცხოვნობის შეცვლასთან იყო დაკავშირებული. საქართველოს მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაში ცვლილებები ოთხ ძირითად ეტაპად იყოფა: შუა საუკუნეებიდან XVIII საუკუნის ბოლომდე, XIX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს

გასაბჭოებამდე, 1921 წლიდან საბჭოთა კავშირის დაშლამდე 1991 წელს საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე.

შუა საუკუნეებიდან XVIII საუკუნის ბოლომდე. შორეულ წარსულში საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ზუსტი ცნობები არ მოგვეპოვება. ძველი ბერძენი ისტორიკოსები მხოლოდ მიგვანიშნებენ, რომ აღმოსავლეთ საქართველო მჭიდროდ დასახლებული, ქალაქებითა და დაბებით დაფარული ქვეყანა იყო (სტრაბონი), ხოლო დასავლეთ საქართველოში ცხოვრობდა „კოლხების ურიცხვი ტომი“ (აპოლონიოს როდოსელი).

XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე საქართველოს სამეფო მეზობელი ხალხების მიწა-წყალსაც აერთიანებდა. აქ, ქართველების გარდა, ცხოვრობდნენ სომხები და კავკასიელი მუსლიმები. მიახლოებითი ცნობებით, მოსახლეობის საერთო რაოდენობა ცხრა მილიონს აღწევდა.

XIII საუკუნის შუა წლებში მონღოლებმა მთელ იმპერიაში აღწერეს მოსახლეობა. ეს საქართველოსაც შეეხო, რადგან ჩვენი ქვეყანა იმ დროს მონღოლთა მიერ იყო დაპყრობილი. აღწერის მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე დაახლოებით ხუთ მილიონ ადამიანს უნდა ეცხოვრა.

მომდევნო საუკუნეებში საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა თანდათან მცირდებოდა. ბევრი შეეწირა მტრის შემოსევებს. ცოცხლად დარჩენილთა ხვედრიც არ იყო სანუგეშო. დამპყრობლები ზოგს სამშობლოდან ასახლებდნენ, ზოგსაც, გაძარცვულ და დარბეულ ქვეყანაში, შიმშილი უღებდა ბოლოს. „მამები პურის ნატეხისათვის ჰყიდდნენ თავიანთ შვილებს სამუდამო მონობაში...“ – წერდა კავკასიის მთავარმართებელი ერმოლოვი XIX საუკუნის დასაწყისში.

არანაკლები მსხვერპლი მოსდევდა სტიქიურ უბედურებებს. აი, როგორ აღწერს „ქართლის ცხოვრება“ ერთ-ერთ მიწისძვრას: „საფუძვლითურთ შეიძრა ქვეყანა და შეძრწუნდა ესოდენ, დაიქცნენ საყდარნი და მონასტერნი, ეკლესიანი, ციხენი, სახლნი ნაშენნი მოოხრდეს... და მიწა განიპო, და შავი წყალი მსგავსი კუპრისა აღმოიჭრა... ურიცხვი სული მოსწყდა... იქმნა გლოვა და ტირილი უზომო...“

შუა საუკუნეებში საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ცვლილებაზე მთავარ ზეგავლენას ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესები ახდენდა. მაგალითად, XV-XVI საუკუნეებიდან მახლობელ აღმოსავლეთში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებების შედეგად აღმოსავლეთ საქართველოში ინტენსიური ხასიათი მიიღო თურქმანული მოდგმის (ქართული წყაროებით – თათრები, დღევანდელი აზერბაიჯანელების წინაპრები) ტომების ჩამოსახლებამ. XVII საუკუნის დამდეგს შაჰ აბას პირველმა ქართლის მეფე გიორგის «საჩუქარი» მოსთხოვა. შაჰმა «ნაჩუქარ» მიწაზე ლორეს სახანო შექმნა და იქ ბორჩალუს მუსლიმი ტომები ჩამოასახლა. XVII-XVIII საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოში ჩამოსახლდა ჰასანლუს ტომის ერთი ნაწილი. ისინი, ძირითადად, კახეთსა და ქვემო ქართლში (დღევანდელი მარნეულისა და გარდაბნის რაიონები) დანაწილდნენ. პირველ ხანებში ჩამოსახლებული ყიზილბაშები ირანის შაჰს ემორჩილებოდნენ და ქართლის სამეფოს აღწერებშიც არ გვხვდებიან. მოგვიანებით, თანდათანობით, ისინი ქართულ ფეოდალურ სისტემას შეერწყნენ და აქტიურად მონაწილეობდნენ ქართული სახელმწიფოს ცხოვრებაში. მაგალითად, ხუდია ბორჩალოელი ერეკლე II-ის ერთგული თანამებრძოლი იყო და გმირულად იბრძოდა ასპინძის ველზე. შაჰ-აბასის ლაშქრობების შემდეგ კაკ-ენისელის სასულთნოსა და კახეთში ჩამოსახლება დაიწყეს დაღესტნელებმა. მართალია, დაღესტნელთა ქართულ მიწა-წყალზე გადმოსვლა-დამკვიდრება მშვიდობიან პერიოდშიც ხდებოდა, მაგრამ ეს პროცესი გააქტიურდა მას შემდეგ, რაც აღმოსავლეთ კავკასია ირანის გავლენის ქვეშ მოექცა. შაჰ აბასის ლაშქრობებმა კი დაღესტნელ მოახალშენეებს საქართველოსკენ გაუხსნა გზა. ირან-თურქეთის მეტოქეობის პერიოდში (XVI ს.) აღმოსავლეთ საქართველოში (მესხეთში) გამოჩნდნენ ცალკეული ქურთული ტომებიც.

ეთნიკურ მიგრაციას ზოგჯერ ადგილობრივი მესვეურებიც მიმართავდნენ. კავკასიის სხვა რეგიონებიდან შემოყვანილ ეთნიკურ ჯგუფებს ქართული სამეფო კარი და ცალკეული ფეოდალები გაუკაცრიელებული ადგილების დასასახლებლად და საქალაქო ცხოვრების გამოსაცოცხ-

ლებლად იყენებდნენ. XVIII საუკუნის შუა ხანებში ერეკლე მეორემ ქართლში ოსები შემოიყვანა. მისივე ძალისხმევის შედეგია ბერძენთა პირველი მცირერიცხოვანი დასახლებების გაჩენა აღმოსავლეთ საქართველოში. ომან მდივანბეგ ხერხეულიძის ცნობით, სპილენძისა და ვერცხლის მოპოვების განვითარების მიზნით, ერეკლე II-მ ბერძნები ჩამოასახლა ახტალაში, სომეხი მელიქების მამულებში, სადაც სპილენძისა და ვერცხლის საბადოები იყო. მიგრანტებისათვის შეღავათები წესდებოდა, ამიტომ უკუმიგრაციას უმნიშვნელო მასშტაბები ჰქონდა.

მთლიანობაში, შუა საუკუნეებში არაქართველი მოსახლეობის შემოსვლა შედარებით შეზღუდული მასშტაბით მიმდინარეობდა. XIX საუკუნის დამდეგს საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ქართული მოსახლეობა უმრავლესობაში იყო და ქართველების ხვედრითი წილი 4/5-ს უახლოვდებოდა. XIX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს გასაბჭოებამდე ქართველი მოსახლეობის ხვედრითი წილი თანდათან მცირდებოდა და 1910-იანი წლების ბოლოსათვის აღარ აღემატებოდა მთელი მოსახლეობის 2/3-ს.

XIX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს გასაბჭოებამდე. საქართველოს მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა XIX საუკუნის პირველ მესამედში, როდესაც საზღვარგარეთის ქვეყნებისა და რუსეთის იმპერიის შიდა პროვინციებიდან ჩამოსახლდნენ სომხები, რუსები, ბერძნები და გერმანელები. ამის შედეგად ქართველების ხვედრითი წილი 79.4%-დან (1800 წ.) 75.9%-მდე შემცირდა (1832 წ).

საქართველოს ტერიტორიაზე ეთნიკური ჯგუფების კომპაქტური ჩასახლება რუსეთის იმპერიის მიერ ქართული სამეფო-სამთავროების დაპყრობის შემდეგ იწყება. რუსეთის იმპერიის პოლიტიკა სასაზღვრო რაიონებიდან ქართული მოსახლეობის გასახლებასა და, იმპერიის ხელმძღვანელების შეხედულებით, მათდამი უფრო ლოიალური ეთნიკური ჯგუფების ჩასახლებას ისახავდა მიზნად. საქართველოში გაბატონების პირველივე წლებში რუსულმა მმართველობამ სასურველი ეთნიკური სიტუაციის შესაქმნელად პრაქტიკული ღონისძიებების გატარება დაიწყო. 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტს თან ერთვოდა რესკრიპტი საქართველოს კოლონიზაციის თაობაზე. მასში იმპერატორი ალექსანდრე I საქართველოს მაშინდელ მთავარმართებელ კნორინგს მიუთითებდა, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ საზღვარგარეთიდან საქართველოში ქრისტიანი კოლონისტების მოზიდვისათვის. ამ მიზნით 1819 წლის 22 დეკემბერს მიიღეს საგანგებო დებულება, რომლითაც საქართველოში გადმოსახლებულ კოლონისტებს მთელი რიგი შეღავათები ენიჭებოდათ. სწორედ ამ შეღავათებით სარგებლობდნენ XIX საუკუნეში ცარისტული რეჟიმის ძალისხმევით გადმოსახლებულ მიგრანტთა ჯგუფები (რუსეთის ეკლესიასთან დაპირისპირებული რელიგიური ჯგუფები, სომხები, ბერძნები, გერმანელები და ა.შ.). საიმპერატორო კარი მიზნად ისახავდა რუსების, განსაკუთრებით, კაზაკების ჩამოსახლებას საქართველოსა და კავკასიაში. სამსახურის ვადის გასვლის შემდეგ რუსი ოფიცრებისა და ჯარისკაცთა ნაწილი მუდმივ საცხოვრებლად საქართველოს ტერიტორიაზე რჩებოდა. რუსი კოლონისტების ეს დასახლებები შემდგომში სოფლებად გადაიქცნენ.

რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომის დასრულების შემდეგ, იმპერიის მესვეურებმა სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები მუსლიმი ქართველების მნიშვნელოვანი ნაწილი აიძულეს ოსმალეთის იმპერიაში გადასახლებულიყვნენ. მათ მაგივრად, ცარიზმის ხელშეწყობით, 1829-1831 წლებში სამცხე-ჯავახეთში თურქეთიდან ათასობით სომეხი გადმოვიდა მუდმივ საცხოვრებლად. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომში თურქეთი დამარცხდა. 1829 წლის ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულების მეცამეტე მუხლის მიხედვით, მოსახლეობის გადასახლების პერიოდად 18 თვე განსაზღვრეს. ამ ხნის განმავლობაში მუსლიმური მოსახლეობა ერთმორწმუნე თურქეთში უნდა გადასახლებულიყო. ჯავახეთში თითქმის საერთოდ აღარ დარჩა ქართული მოსახლეობა. ახალმა ადმინისტრაციამ გამოიყენა ეს შესაძლებლობა და 1830 წელს აქ არზრუმიდან დევნილი დაახლოებით 35 ათასი სომეხი ლტოლვილი დაასახლა.

ადრიანოპოლის ზავის თანახმად, რუსეთის იმპერიის გენერლის, კავკასიის თავარმართებლის, პასკევიჩის მიერ აღძრული შუამდგომლობის საფუძველზე, ნიკოლოზ I-მა აღმოსავლეთ ანატოლიის ვილაიეთებში მცხოვრებ ბერძნებსაც მისცა საქართველოში დასახლების უფლება. ბერძნები, ძირითადად, ბორჩალოს მაზრის მიწებზე დასახლდნენ, რომელიც თურქ და ლეკ ფეოდალთა განუწყვეტელი შემოსევების შედეგად თითქმის გაუკაცრიელებული იყო. 1830 წლისათვის წალკის მიდამოებში უკვე 18 ბერძნული სოფელი არსებობდა. ამავე პერიოდში დასახლდნენ ჩრდილო-აღმოსავლეთის თურქეთის ვილაიეთებიდან გადმოსული ბერძნები დმანისის რაიონში.

1817-1818 წლებში საქართველოში ცარიზმის ხელშეწყობით ჩამოსახლდნენ ვიურტემბერგელი გერმანელები, რომლებმაც აღმოსავლეთ საქართველოში შექმნეს რამდენიმე კოლონია. გერმანელთა დასახლების მიზანი გაუკაცრიელებული ადგილების ათვისება და ეკონომიკის გამოცოცხლება იყო.

XIX საუკუნეში საქართველოში სახლდებოდნენ რუსი სექტანტები და დემობილიზებული რუსი ჯარისკაცები. 1865 წლისათვის საქართველოს ტერიტორიაზე 25 900 რუსი ახალმოსახლე ცხოვრობდა, რაც საქართველოს მთელი მოსახლეობის 2.0%-ს უდრიდა, 1886 წელს – 42 500 (2.6%), 1897 წელს კი მათი რაოდენობა 92 813 კაცამდე გაიზარდა (5.3%). საქართველოში მცხოვრები სლავური წარმოშობის მოსახლეობიდან 21 113 კაცი ანუ მთელი სლავური წარმოშობის მოსახლეობის 22.7% სამხედრო მოსამსახურე იყო. სლავური წარმოშობის მოსახლეობა დიდი რაოდენობით გადმოასახლეს როგორც თბილისსა და ზღვისპირა ქალაქებში, ისე საქართველოს ცალკეულ რეგიონებში.

საქართველოში ჩამოსახლებული რუსი მოსახლეობის ნაწილს წარმოადგენდნენ სექტანტები, ძირითადად დუხობორები და მალაკნები. 1841 წელს დუხობორები საქართველოს სამხრეთ-დასავლეთში, ახალქალაქის მაზრაში დაასახლეს. სამხრეთ კავკასიაში რუსული მოსახლეობის ჩასახლებით, ცარისტული მთავრობა სამხედრო-სტრატეგიული, პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის პრობლემების გადაწყვეტას ფიქრობდა, რადგან საქართველოში ჩასახლებული სექტანტები მთავრობის საიმედო დასაყრდენად მიიჩნეოდა. საქართველოში სექტანტური მოსახლეობა, ძირითადად, დასახლებული იყო ორ გეოგრაფიულ არეალში: სამხრეთ-დასავლეთში, ნინოწმინდის (ადრე ბოგდანოვკა) რაიონის რვა სოფელში და აღმოსავლეთში, საგარეჯოს, სიღნაღისა და ლაგოდეხის რაიონებში.

XIX საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო აფხაზთა იძულებითი მიგრაცია («მუჰაჯირობა») ოსმალეთის იმპერიაში. ვარაუდობენ, რომ იმ პერიოდში ოსმალეთში დაახლოებით 135 ათასამდე აფხაზი და აბაზი წავიდა.

XIX საუკუნეში მოვიდნენ საქართველოში მიგრანტთა შედარებით მცირერიცხოვანი ჯგუფები – ჩეხები, უკრაინელები. იმავე საუკუნის მეორე ნახევრიდან გამოჩნდნენ სამუშაოდ გამოგზავნილი ბალტიისპირელები, რომელთაც მოგვიანებით გამოქცეულნი და გადმოსახლებულნი შეემატნენ. ფიქრობენ, რომ XIX საუკუნეშივე უნდა გამოჩენილიყვნენ პირველად ბოშებიც.

I მსოფლიო ომისა და მის შემდგომ პერიოდში საქართველოში მასობრივად სახლდებიან ასურელები და ქურთები. ოსმალეთის იმპერიაში დევნის შედეგად საქართველოსა და სომხეთს თავი იეზიდური რელიგიის მიმდევარმა ქურთებმაც შეაფარეს. ისინი იძულებულნი იყვნენ თავიანთი საცხოვრებელი ადგილები მიეტოვებინათ, რადგან მათ რელიგიურ ნიადაგზე სდევნიდა ოსმალთა იმპერიის მუსლიმი მოსახლეობა, მათ შორის, მუსლიმი ქურთებიც.

ეთნიკური მიგრაციები XX საუკუნეშიც გაგრძელდა. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ 1918 წელს მიიღო იეზიდი ქურთები. ისინი თურქეთის მთავრობისა და მუსლიმი ქურთების ერთი ნაწილის მხრივ დევნას გამოექცნენ. XX საუკუნის 20-იან წლებში ყვარლის რაიონის სოფელ ოქტომბერში (ყოფილ ზინობიანში) აზერბაიჯანიდან, ნუხის ოლქის სოფ. ვართაშნიდან, გადმოსახლდნენ აზერბაიჯანელებისა და სომხების თავდასხმებით შეწუხებული უდიები, კავკასიის მცირერიცხოვანი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელნი.

1921 წლიდან საბჭოთა კავშირის დაშლამდე. საქართველოს მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაზე არსებითი გავლენა მოახდინა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ საქართველოში ასეულ ათასობით მიგრანტის ჩამოსახლებამ, რასაც თან მოჰყვა ქართველი მოსახლეობის ხვედრითი წილის შესამჩნევი შემცირება. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია რუსებისა და უკრაინელების რიცხოვნობის დაჩქარებული ზრდა, რაც გამოწვეული იყო მათი მასშტაბური ჩამოსახლებით XX საუკუნის 30-იან წლებში. აღნიშნულ პერიოდში ინტენსიური ხასიათი ჰქონდა აგრეთვე სომხებისა და ოსების ჩამოსახლებას. 1939 წლისთვის, პირველად თავისი ისტორიის მანძილზე, ქართველები აღმოჩდნენ თავის რესპუბლიკაში მთელი მოსახლეობის 2/3-ზე ნაკლები. ეს განაპირობა მძლავრმა მიგრაციულმა პროცესებმა, რომელთა დადებითი სალდო თავისი მასშტაბებით ბევრად აღემატებოდა მანამდე ან მის შემდეგ საქართველოში ჩამოსახლებულ მიგრანტთა ნაკადს.

XX საუკუნის 40-იან წლებში, ნაცისტურ გერმანიასთან ომის დროს, საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილიდან მოსახლეობის ევაკუაციის შემდეგ მრავალმა რუსმა, უკრაინელმა, ბელორუსმა თუ სხვა ეროვნების ადამიანმა საქართველოს შეაფარა თავი და აქვე დარჩა.

გარედან მოსული მოსახლეობის დამკვიდრება რესპუბლიკაში შემცირდა II მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, ხოლო 1957 წლიდან წასულთა რაოდენობა სჭარბობდა მოსულების რიცხვს. შედეგად დაიწყო ქართველების ხვედრითი წონის თანდათან ამაღლება, რადგან წასულთა შორის ბევრად ჭარბობდა არაქართველების რაოდენობა.

მიგრაციული პროცესები 1990-იანი წლებიდან დღემდე. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაში სერიოზული ცვლილებები მოხდა. თუ 1989 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, ეთნიკური უმცირესობები ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 30%-ს შეადგენდნენ, 2002 წლის აღწერის შედეგებით, საქართველოში (აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიების გამოკლებით) მათი ხვედრითი წილი 16%-მდე დაეცა.

ეთნიკური უმცირესობების რაოდენობის შემცირების უმთავრესი მიზეზი ემიგრაციაა. ემიგრაციის პირველ ტალღას ბიძგი მისცა 1990-იან წლებში საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და პოლიტიკური ვითარების მკვეთრმა გაუარესებამ. ემიგრაცია მოსახლეობის გადარჩენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგია გახდა და ამიტომაც მან მასობრივი ხასიათი მიიღო როგორც ქართველებში, ისე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს შორისაც.

განსაკუთრებით ინტენსიური ფორმები მიიღო სლავების ემიგრაციამ. მათ შორის ბევრი იყო საბჭოთა არმიის სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურე და მათი ოჯახის წევრები, რომლებიც 1990-იანი წლების დამდეგიდან, სამხედრო შენაერთის დისლოკაციის შეცვლასთან დაკავშირებით, მასობრივად ტოვებდნენ საქართველოს. ემიგრანტებს შორის სლავები 60%-ს აჭარბებდა. მათი უმეტესობა ქალაქის მკვიდრი იყო და ისინი თითქმის მთლიანად რუსეთის ფედერაციის ქალაქებში მიდიოდნენ საცხოვრებლად.

მათგან განსხვავებით, ემიგრანტთა შორის მეორე ადგილზე მყოფი აზერბაიჯანელების ძირითადი ნაწილი (60%) სოფლის მოსახლეობა იყო, მაგრამ ისინიც უპირატესად სხვა ქვეყნების ქალაქებში გეგმავდნენ ცხოვრებას. საქართველოდან 1992 წელს გასული აზერბაჯანელების მეოთხედზე მეტი რუსეთის ფედერაციაში მიდიოდა საცხოვრებლად, ხოლო დანარჩენი – აზერბაიჯანში.

ემიგრანტი სომხები რაოდენობრივად მესამე ადგილზე იყვნენ და მათი 71% ქალაქის მკვიდრი იყო. სომხების 56.2% რუსეთის ფედერაციაში გადასახლების მიზნით ამოეწერა საქართველოდან. საკუთრივ სომხეთში მხოლოდ მეოთხედი გეგმავდა ჩასახლებას.

1990-იანი წლების ემიგრაციის მთავარ ფაქტორად უმუშევრობა, ცხოვრების დონის გაუარესება და საკუთარი შესაძლებლობის რეალიზაციის შეუძლებლობა იქცა. ამ მიზეზთა გამო, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან ერთად, ემიგრაციაში ქართველებიც წავიდნენ.

ეთნიკური უმცირესობების მიგრაციისთვის ყველაზე მიმზიდველი ქვეყანა რუსეთის ფედერაცია იყო, რომელიც ლინგვისტური (საბჭოთა პერიოდში ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთობაში ძირითადი ენა რუსული იყო) და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ყველაზე ახლობელი იყო ემიგრანტებისთვის. რუსეთის შემდეგ, ეთნიკური უმცირესობებისთვის ყველაზე მიმზიდველი ქვეყნები იყო აშშ და საბერძნეთია. ზოგიერთი ეთნიკური უმცირესობა უპირატესობას ანიჭებდა ისტორიულ სამშობლოში ემიგრაციას, რასაც ხელს უწყობდა საქართველოში ცხოვრების უპერსპექტივობის განცდა და ისტორიული სამშობლოს მიზიდულობის ძალა. საქართველოს ორი ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნიკური უმცირესობიდან, სომხებიდან და აზერბაიჯანელებიდან, ეთნიკურად ორიენტირებული ემიგრაცია უფრო აზერბაიჯანელებისთვის იყო დამახასიათებელი.

ბოლო წლების კვლევებმა აჩვენა, რომ ემიგრაციის უმთავრეს მიზეზებად კვლავაც რჩება სოციალურ-ეკონომიკური სახის ფაქტორები. მათ შორის უმნიშვნელოვანესია უმუშევრობა, ცხოვრების დონის დაცემა, საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების დაბალი ხარისხი, ხვალინდელი დღისადმი რწმენის დაკარგვა, პოლიტიკური არასტაბილურობის განცდა. ემიგრაციულ განწყობებზე ნაკლებ გავლენას ახდენს ე.წ. დისკრიმინაციული ხასიათის ფაქტორები: ხელისუფლებისა და მოსახლეობის ნეგატიური დამოკიდებულება მათი ეთნიკური წარმოშობისადმი, მშობლიური ენისა და კულტურის განვითარების შეუძლებლობა, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობისათვის რელიგიური გრძნობების დაკმაყოფილების დაბალი ხარისხი.

მეორე მხრივ, ეთნიკური უმცირესობების ემიგრაციის შემაფერხებელი ფაქტორია მათი ინტეგრაციის მაღალი ხარისხი ქართულ საზოგადოებაში, მიგრაციისათვის საჭირო ფინანსური რესურსების არარსებობა, ან შერეულ ოჯახებში ყოფნა. სოციოლოგიური გამოკითხვების თანახმად, ემიგრაციისაგან თავის შეკავების უმთავრესი მიზეზებია მატერიალური რესურსების არარსებობა და სურვილი – არ დატოვონ ნათესავები. შედარებით ნაკლები შემაფერხებელი ფაქტორია ჯანმრთელობის ცუდი მდგომარეობა და საკონსულო სამსხურების მიერ შექმნილი პრობლემები. საყურადღებოა, რომ აზერბაიჯანელებისათვის ასევე შემაკავებელ ფაქტორებს წარმოადგენს სურვილი, არ მიატოვონ წლების განმავლობაში შექმნილი მეურნეობა, პატრიოტული გრძნობები და არსებული ვითარებით კმაყოფილება.

2002 წლის აღწერის შედეგების მიხედვით, ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნიკური უმცირესობა აზერბაიჯანელები არიან. ისინი საქართველოში ძირითადად კომპაქტურად არიან დასახლებულნი ქვემო ქართლში, კახეთში და შიდა ქართლში. ქალაქებიდან ისინი, ძირითადად, თბილისსა და რუსთავში ცხოვრობენ. დანარჩენი არაქართველი მოსახლეობისაგან განსხვავებით, აზერბაიჯანელებს შორის XIX-XX საუკუნეებში არ ჰქონია ადგილი მნიშვნელოვან მიგრაციას. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან კი აზერბაიჯანელების რაოდენობა ძალზედ დაჩქარებულად იზრდებოდა და მატების ტემპით საქართველოს მოსახლეობის ყველა დანარჩენ ეთნიკურ ჯგუფს უსწრებდა. მაგალითად, თუ 1989 წელს ყოველ ათას ქართველზე 16 ბავშვი დაიბადა, ყოველ ათას აზერბაიჯანელზე – 28.6 ბავშვი.

2002 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგების მიხედვით, აზერბაიჯანელთა რაოდენობა შემცირდა და ამჟამად საქართველოში 284.761 აზერბაიჯანელი ცხოვრობს, თუმცა მათმა პროცენტულმა მაჩვენებელმა, სხვა ეთნიკური ჯგუფების აქტიური ემიგრაციის ფონზე, საქართველოს მთელ მოსახლეობაში 6.5%-მდე მოიმატა. თუკი 1989 წლის აღწერის მიხედვით, აზერბაიჯანელები საქართველოში, რაოდენობის მიხედვით, ეთნიკურ უმცირესობებს შორის სომხებისა და რუსების შემდეგ მესამე ადგილზე იყვნენ (307.556, რაც მთელი მოსახლეობის 5.7%-ია), ამჟამად ისინი ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნიკური უმცირესობაა.

აზერბაიჯანელები უმრავლესობას შეადგენენ ქვემო ქართლის სამ რაიონში. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა მარნეულის რაიონი, სადაც მოსახლეობის 83% აზერბაიჯანელები არიან, შემდეგ მოდის დმანისი – 67%, ბოლნისი – 66%, გარდაბანი – 44%. კახეთში, საგარეჯოს რაიონში, მოსახლეობის 32% აზერბაიჯანელია, ლაგოდეხის რაიონში კი 22%.

2002 წლის აღწერის მიხედვით, 248 929 ადამიანამდე შემცირდა სომხური მოსახლეობის რაოდენობაც, რაც ქვეყნის მთელი მოსახლეობის 5.7%-ს შეადგენს. 1989 წლის აღწერით, საქართველოში 437 211 სომეხი ცხოვრობდა, რაც მთელი მოსახლეობის 8.1%-ს შეადგენდა. 1990-იანი წლების დასაწყისში სომხებმა რუსეთსა და სომხეთს მიაშურეს.

სომხები უმრავლესობას შეადგენენ სამცხე-ჯავახეთის ორ მუნიციპალიტეტში: ახალქალაქისა (94%) და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში (96%), ქვემო ქართლში წალკის მუნიციპალიტეტში (55%). ასევე მათი დიდი განსახლებაა ახალციხის მუნიციპალიტეტში (36%), თბილისში კი ქართველების შემდეგ ყველაზე მრავალრიცხოვანია ეთნიკური ჯგუფია (8%). სომხები, აზერბაიჯანელებისაგან განსხვავებით, საქართველოს უფრო მეტ მუნიციპალიტეტში არიან განსახლებულნი, თუმცა მათი რაოდენობა აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში პროცენტული შეფარდებით შედარებით მცირეა. მაგალითად, ასპინძის მუნიციპალიტეტში – 17%, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში – 10%, ბორჯომის მუნიციპალიტეტში – 10%, მარნეულის მუნიციპალიტეტში – 8%.

1989 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად შემცირდა სლავების, მათ შორის, რუსებისა და უკრაინელების რაოდენობა. 1989 წელს საქართველოში 341.2 ათასი რუსი ცხოვრობდა. 2002 წლის აღწერის შედეგების მიხედვით, რუსების რაოდენობამ მკვეთრად იკლო და 68 ათასი შეადგინა, მათგან ნახევარი თბილისშია განსახლებული.

სხვა ეთნიკური უმცირესობისაგან განსხვავებით, რუსები თავიდანვე, ძირითადად, ქალაქებში, დისპერსულად ცხოვრობდნენ; გამონაკლისის გარდა, საქართველოში მათი კომპაქტური დასახლებები არ გხვდება. ამჟამად რუსული მოსახლეობის დიდ ნაწილს ხანდაზმულები შეადგენენ. ასევე შემცირდა უკრაინელთა რაოდენობაც. თუ 1989 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა 52,4 ათასი უკრაინელი, 2002 წლის აღწერის მიხედვით, მათი რაოდენობა 7039-მდე შემცირდა. მათგან ნახევარი განსახლებულია თბილისში, ასევე მნიშვნელოვანი რაოდენობაა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

მასობრივად შემცირდა ბერძნების რაოდენობა. 1989 წელს საქართველოში 100 ათასი ბერძენი ცხოვრობდა, რაც მთელი მოსახლეობის 1.9%-ს შეადგენდა. ისინი უმრავლესობას შეადგენდნენ წალკის მუნიციპალიტეტში – 27 ათასი (61.0%). ამჟამად ქვეყნის მასშტაბით 15 ათასამდე ბერძენია, რაც მთელი მოსახლეობის 0.3%-ს შეადგენს.

1989 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოში 6.2 ათასი ასურელი ცხოვრობდა. 2002 წლის აღწერის მიხედვით კი, საქართველოში 3.299 ასურელი ცხოვრობს, რაც მთელი მოსახლეობის 0.1%-ს შეადგენს. საქართველოში ასურელები ძირითადად ცხოვრობენ თბილისში (მათი კომპაქტური დასახლებებია დედაქალაქის ორ რაიონში: ვაკესა და კუკიაზე), ქუთაისში, გარდაბანში, სოფ. ძველ ქანდაში, ბათუმში, სენაკში, ზუგდიდსა და ქუთაისში.

1989 წლის აღწერის მიხედვით, ქვეყანაში 33.3 ათასი (0.6) ქურთი ცხოვრობდა. 2002 წლის მონაცემების მიხედვით, ქურთების რაოდენობა შემცირებულია – 20.8 (0.4%). ამჟამად ქურთები ძირითადად თბილისში (ქალაქის რამდენიმე უბანში ისინი კომპაქტურად არიან დასახლებულნი: ისანი-სამგორი, გლდანი-ნაძალადევი, ლოტკინი), რუსთავსა და თელავში ცხოვრობენ. მცირე რაოდენობით დარჩნენ ქურთები ქუთაისში, მცხეთის, გარდაბნის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტებსა და აჭარის ტერიტორიაზე.

თავი III. მონოთეისტური რელიგიები[34]

გავრცელებულ რელიგიათა მიმდევრების რაოდენობა მსოფლიოში:

1. ქრისტიანები – 2.1 მილიარდი
2. ისლამის აღმსარებელნი – 1.5 მილიარდი
3. ინდუიზმის აღმსარებელნი – 900 მილიონი
4. ჩინური ხალხური რელიგიების მიმდევარნი – 394 მილიონი
5. ბუდიზმის აღმსარებელნი – 376 მილიონი
6. არატრადიციული რელიგიების მიმდევარნი – 121 მილიონი
7. გვარტომობრივი რელიგიების მიმდევარნი – 111 მილიონი
8. სიქჰიზმის მიმდევარნი – 19 მილიონი
9. იუდაიზმის აღმსარებელნი – 14 მილიონი
10. სპირიტუალისტები – 15 მილიონი
11. ბაჰაის მიმდევარნი – 7 მილიონი
12. ჯაინიზმის მიმდევარნი – 4.2 მილიონი
13. არარელიგიურები – 641 მილიონი
14. ათეისტები – 220 მილიონი

წყარო – ენციკლოპედია „ბრიტანიკა“, 2001 *წელი*

§1. აბრაამისეული რელიგიები

საერთო ძველსემიტური ტრადიციიდან აღმოცენებულ სამ მონოთეისტურ რელიგიას – იუდაიზმს, ქრისტიანობასა და ისლამს – ერთი აბრაამული საწყისი აქვს. მათი წარმომავლობა სემიტური ტომის ლეგენდარულ პატრიარქ აბრაამს (არაბულად იბრაჰიმ) უკავშირდება.ისინი აღიარებენ წინასწარმეტყველებსა და ძველ აღთქმას (თორას, თაურუ), რომელიც ადამიანის ღვთაებრივ დანიშნულებაზე სწავლებას შეიცავს. ეს სამი რელიგია აღიარებს ერთ ღმერთს, როგორც სამყაროს შემოქმედსა და ყოველი ადამიანის მამას, როგორც ღმერთს სიკეთისა, სიყვარულისა და სამართლიანობისა.

აბრაამულ რელიგიებს გამოცხადებისეულ და წერილობით რელიგიებსაც უწოდებენ, რადგან მათი სწავლება საღვთო გამოცხადებაზეა დაფუძნებული – ღმერთი ადამიანს ეცხადება და თავის ნებას გადასცემს. ამ კონტექსტში წმინდა წერილი საღვთო გამოცხადების ფიქსაციაა. საღვთისმეტყველო ენაზე, გამოცხადება ადამიანისათვის შეუცნობელ, ღვთიურ საიდუმლოებაზე მიანიშნებს და ღვთაებრიობის გამოვლინებას წარმოადგენს.

მიიჩნევა, რომ ყველა აბრაამული რელიგია ძველი ებრაელების მონოთეისტური რელიგიის ნიადაგზე წარმოიშვა, რომელიც გავრცელებული იყო ისრაელის ტერიტორიაზე ძველი წელთაღრიცხვით პირველი ათასწლეულის დამდეგამდე.

ახალი წელთაღრიცხვით I საუკუნეში ამავე ტერიტორიაზე სათავე დაედო ქრისტიანობას, რომელმაც იუდაიზმის რელიგიური საფუძვლები გამოიყენა, მაგრამ მისი კარდინალური რეფორმირება მოახდინა და მსოფლიოს წინაშე ზენაციონალურ, ახალ მოძღვრებად წარდგა.

34 წინამდებარე თავი შედგენილია წიგნის – **„რელიგიები საქართველოში“** მიხედვით. წიგნი მომზადებულია საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ. თბილისი, 2008.

VII საუკუნეში არაბეთის ტერიტორიაზე აღმოცენდა ისლამი, რომელიც, გარკვეულწილად, იუდაიზმისა და ქრისტიანობის რელიგიურ მემკვიდრეობას ეყრდნობა, მაგრამ მათ ბუნებრივ გაგრძელებად და განვითარებად არ მოიაზრება.

აბრაამული რელიგიების პირველი წერილობითი წყაროა თორა. იგი ყველა ამ რელიგიის მიერაა აღიარებული, ოღონდ განსხვავებული ინტერპრეტაციით. ქრისტიანული ტრადიციის ძველი აღთქმა თითქმის მთლიანად შეესაბამება ებრაულ თანახს. ისლამი მხოლოდ თორას, დავითის ფსალმუნებსა (ზაბურ) და სახარებას (ინჯილ) მიიჩნევს საღვთო წიგნებად, იუდაიზმის მიმდევრებსა და ქრისტიანებს კი წიგნის ხალხად (ალჰ ქითაბ) მოიხსენიებს.

იესო ქრისტეს ისტორიულობისა და ღვთაებრიობის საკითხი სხვადასხვაგვარად განიმარტება ქრისტიანობაში, იუდაიზმსა და ისლამში. იუდაიზმი ქრისტეს მესიად არ მიიჩნევს, მით უმეტეს, არ აღიარებს მის ღვთაებრიობას. იუდაიზმში ქრისტე და სახარება უგულებელყოფილია. ქრისტიანებისათვის იესო ქრისტე ღვთის ძეა, მამის თანაარსი, სამების მეორე პირი, მესია – ცოდვების გამომსყიდველი და კაცობრიობის მხსნელი. ქრისტე ახალი აღთქმის ქრისტიანული ეკლესიების თავია, სახარება კი საღვთო უწყებად განიხილება. ისლამი აღიარებს ქრისტეს (არაბულად ისა) წმინდანობას, მის მესიანისტურ მიზანსა და ესქატოლოგიურ როლს და პატივს მიაგებს მას, როგორც ერთ-ერთ დიდ წინასწარმეტყველს. ისლამი ახალი აღთქმის რამდენიმე თეზისსაც იზიარებს, მაგრამ უარყოფს ქრისტეს ღვთაებრიობასა და მის თანასწორობას ალაჰთან. მუსლიმების წარმოდგენით, ქრისტეს მიეცა სახარება (ინჯილი), რომელიც ქრისტიანებმა უხეშად დაამახინჯეს.

§2. იუდაიზმი

უძველესი მონოთეისტური რელიგიის სახელწოდება იუდაიზმი მოგვიანებით ჩნდება, მაგრამ მისი ფესვები ორი ათასწლეულის მიღმა, ბიბლიურ წიგნებშია საძიებელი. იუდაიზმი იმთავითვე მჭიდროდ არის დაკავშირებული ებრაელი ხალხის ისტორიასთან, რომელიც ბიბლიურ წიგნებშია გადმოცემული. ამდენად, იუდაიზმი ისტორიული და ნაციონალური რელიგიაა, რომელმაც გამოხატა ებრაელთა სულისკვეთება, ყოფა, კულტურა, იმედები და მოლოდინი.

თავად ტერმინი „იუდაიზმი“ მომდინარეობს იუდას (იეჰუდა) ტომის სახელწოდებიდან, რომელიც თორმეტი ტომიდან (ბენიამინის მცირერიცხოვან ტომთან ერთად) გადაურჩა ძვ. წ. 722 წლის კატასტროფას, როცა აშურის მეფემ ებრაელთა ჩრდილო სამეფო დაიპყრო და ხალხი აშურის სხვადასხვა ქალაქში გადაასახლა. ამიერიდან ებრაელმა ხალხმა არსებობა ერთი ტომის – იუდას – სახით განაგრძო. აქედან მოდის თანამედროვე ებრაელების სახელწოდება ევროპულ ენებზე – იუდეველი, რომელიც აღნიშნავს როგორც ეროვნებას, ასევე რელიგიურ აღმსარებლობას.

იუდაიზმი ეფუძნება ბიბლიურ წიგნებს – თანახს (ქრისტიანული ტრადიციით – ძველი აღთქმის წიგნები). სხვადასხვა ქვეყანაში გაფანტული ებრაელობის რელიგიურ, საოჯახო და საზოგადოებრივ ცხოვრებას, გარდა რჯულის ფუძემდებლური წიგნისა (თორა), აწესრიგებს თაობიდან თაობამდე ზეპირად გადმოცემული აგადა (ლეგენდები ბიბლიურ პერსონაჟებზე, იგავები და შეგონებები, ფილოსოფიურ-თეოლოგიური მოსაზრებანი...) და ჰალახა (ავტორიტეტული ნორმატიული დებულებები). აგადა და ჰალახა, საბოლოოდ, ჩაწერილ იქნა და მათ შეადგინეს თალმუდის ერთი ნაწილი.

თანახი ისრაელის ღმერთს სამყაროს ერთადერთ შემოქმედთან აიგივებს. სამოთხედაკარგულმა კაცობრიობამ იგი ნელ-ნელა დაივიწყა. მონოთეისტური მრწამსი სათავეს იღებს გამოცხადებიდან, რომელიც ებრაელთა მამამთავარმა აბრაამმა მიიღო ჯერ კიდევ მაშინ, როცა ის მესოპოტამიის ქალაქში, ხარანში ცხოვრობდა. უკვე ქანაანში დასახლებულ აბრაამს ღმერთი კვლავ გამოეცხადა და აღუთქვა, რომ მისი წიაღიდან დიდი ხალხი გამოვიდოდა და ქანაანის მიწაზე

დამკვიდრდებოდა. ისიც იყო ნაწინასწარმეტყველევი, რომ მისგან გამოსული მოდგმა უცხო ქვეყნის მონობაში მოექცეოდა, მერე თავს დააღწევდა მონობას და მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლებოდა ქანაანს დამკვიდრება. ეს უცხო ქვეყანა ეგვიპტე იყო. ეგვიპტეში ხალხი, მართალია, გამრავლდა, მაგრამ აბრაამის ღმერთიც თითქმის დავიწყებული ჰყავდათ, მოსეს (დახლოებით XIII ს. ძვ. წ.) რომ არ შეეხსენებინა მათთვის აბრაამის, ისააკის და იაკობის – მათი წინაპრების ღმერთი.

თანახი გვაუწყებს, რომ მოსეს წინამძღოლობით და ამ ღმერთის ხელშეწყობით, რომელშიც მოსემ შეიცნო არა მხოლოდ თავისი მამა-პაპის ღმერთი, არამედ სამყაროს შემოქმედი, აბრაამის მოდგმა სასწაულებრივად გამოვიდა ეგვიპტიდან და უდაბნოს გზით ქანაანისკენ გაემართა. მაგრამ ვიდრე ქანაანში შევიდოდა, სინაის მთის ძირას ხალხმა მიიღო ღვთისგან რჯული – კონსტიტუცია, რომლის თანახმად უნდა ეცხოვრა მას ქანაანში და ყველგან, სადაც კი მოუწევდა ცხოვრება. პირველ რიგში, ეს იყო ათი მცნება, რომელთაგან ოთხი ადამიანების ღმერთთან ურთიერთობას აწესრიგებდა.

ასე მკაფიოდ არც ერთი ხალხის კანონმდებლობაში არ განსაზღვრულა ადამიანის პასუხისმგებლობა ღვთისა და თავისი მოძმის, მერე კი საკუთარი თავის წინაშე. იუდაიზმის მიმდევრებს სწამთ, რომ ღმერთმა უფრო მეტი დააკისრა ამ ხალხს. სინაის მთიდანვე გამოუცხადა, რომ იგი „მღვდელთა სამეფო და წმიდა ხალხი იქნებოდა“, ანუ ღმერთმა ეს ხალხი არა მხოლოდ იხსნა მონობიდან, არამედ გამოარჩია კიდეც სხვა ხალხებს შორის. მაგრამ ეს არ იყო აღზევება. რჩეულობა და სიწმიდე დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდა მათ. წმიდა ნიშნავდა, რომ ისინი არ უნდა შერეოდნენ მრავალღმერთიანობის აღმსარებელ ხალხებს, რათა არ შეებღალათ ერთი ღმერთის რწმენა. მათ უნდა ეცხოვრათ იმ კანონებისა და წესების მიხედვით, რომელთაც ღმერთი უწესებდა.

ამგვარად, ეგვიპტიდან ამოსული „ჭრელი“ ხალხისგან (ასეა ნათქვამი თანახში) სინაის მთის ძირას და შემდეგ უდაბნოში მოძრაობისას ქანაანისკენ მიმავალ გზაზე შეიქმნა არა მხოლოდ ერი, ერთიანი ხალხი – ეს საკმარისი არ იყო – არამედ ერთი ღმერთის მოწამე რელიგიური ერი.

რაკი იუდაიზმს მიაჩნია, რომ ის ღმერთი, რომელიც ებრაელთა მამა-პაპას გამოეცხადა მათი ისტორიის გარიჟრაჟზე, მთელი კაცობრიობის ღმერთია, სამყაროს შემოქმედი, მესიაც, რომელსაც ისინი ყოველდღიურად მოელიან, არა მხოლოდ ისრაელის მხსნელი იქნება, არამედ მთელი კაცობრიობისა. საბოლოოდ, ყოველი ხალხი აღიარებს მის ერთდერთობას და მისი თაყვანისმცემელი გახდება. საბოლოო ადგილი, სადაც ხალხები უნდა შეეგებონ ღმერთს, სიონის მთაა, სადაც იქ ერთ დროს დავით მეფემ (ძვ. წ. XI ს.) თავისი სამეფო რეზიდენცია დააარსა.

დავითი იყო ისრაელის ერთიანი სამეფოს მეფე. მისი სიკვდილის შემდეგ მეორე თაობაში სამეფო გაიხლიჩა და ეს დარჩა ხარვეზად ებრაელი ხალხის ისტორიას. გამთლიანების მოლოდინი დავითის სახელს დაუკავშირდა. მის შთამომავლობაში დაიბადებოდა მესია („ცხებული“), რომელიც ისრაელს ძველ დიდებას დაუბრუნებდა, დედამიწის ზურგზე გაფანტულთ შემოიკრებდა, ჭრილობებს შეუხვევდა მათ, დაფხრეწილ კარვებს შეუკეთებდა. სრულყოფილებით აღადგენდა რჯულს (რელიგიას), რომელსაც ზურგი შეაქციეს.

დღესდღეობით იუდაიზმის ძირითადი მიმდინარეობებია: ორთოდოქსული იუდაიზმი, კონსერვატიული იუდაიზმი, რეფორმირებული იუდაიზმი, ხასიდიზმი, ნეტურეი კართა. არ არსებობს იუდაიზმის ერთიანი და საყოველთაოდ გაზიარებული დოგმატიკა. თალმუდში განსხვავებული თვალსაზრისები ჩვეულებრივი მოვლენაა.

მიუხედავად განსხვავებებისა, იუდაიზმის ყველა მიმართულების (მიმდინარეობის) ცენტრალურ თეოლოგიურ და ეთიკურ თემებად რჩება: შენდობა, შაბათი, ისრაელის მიწა, თანახი (თალმუდთან ერთად), მესიანური იდეა.

იუდაიზმის მრწამსი ასეთია: არსებობს არარაობისგან სამყაროს შემოქმედი ღმერთი, რომელიც ერთია, უსხეულო, უხილავი, მარადიული; ღმერთი ხედავს თითოეული ადამიანის ფიქრებს და საქმეებს; ყოველი ადამიანის ლოცვა უშუალოდ მისკენ არის მიმართული, იგი სახელით ცნობს

თითოეულ ადამიანს; ღმერთი წყალობს კეთილთ და სჯის უკეთურთ; არსებობს უკანასკნელი სამსჯავრო; მოვა მესია და მკვდრები აღდგებიან.

იუდაიზმის თანახმად, მსოფლიო ისტორია, ებრაელი ხალხის ისტორიის ჩათვლით, არ არის დაუსრულებელი პროცესი. ისტორიას აქვს მიზანი, მაშასადამე, დასასრული. ბიბლიურ წინასწარმეტყველთა ქადაგებებში ქვეყნის დასასრულის ორი პერსპექტივაა გაცხადებული – იმის მიხედვით, თუ როგორი მორალური სახით შეეგებება ადამიანი განკითხვის დღეს („უფლის დღეს“). წინასწარმეტყველი ამოსი (ძვ. წ. VIII ს.) ამბობდა: „ვაი, უფლის დღის მონატრულთ! რისთვის გსურთ უფლის დღე? ბნელია იგი და არა ნათელი!.. წყვდიადია და შუქის ნატამალი არ არის მასში“. მაგრამ ესაია ხალხს აიმედებდა: „ვინც კურთხეული იქნება ამ ქვეყანაზე, ჭეშმარიტი ღვთისგან იქნება კურთხეული. ვინც მოფიცარი იქნება ამ ქვეყანაზე, ჭეშმარიტი ღვთის მოფიცარი იქნება. რადგან დავიწყებული იქნება წარსული სალმობანი და ჩემს თვალებს მიეფარება... რადგან, აჰა, შევქმნი ახალ ცას და ახალ მიწას, აღარ გაიხსენება წინანდელნი და ფიქრადაც არავის მოუვა... დღისით მზე აღარ გექნება მანათობლად და არც მთვარის ბრწყინვალება გაგინათებს: უფალი გეყოლება საუკუნო მნათობად და შენი ღმერთი – შენს დიდებად...“ ადამიანის მართალი ცხოვრება, მისი ცხოვრებისეული ზნეობრივი აქტები მომავლის ჰარმონიას განაპირობებს, რომელიც სამოთხის ბაღში ადამის შეცოდების მიზეზით დაირღვა: „დადგება მგელი ცხვართან ერთად და ვეფხვი დაბინავდება ციკანთან ერთად. ხბო, ლომი და ნასუქალი პირუტყვი ერთად იქნებიან და ჩვილი ბავშვი წარუძღვება მათ...“

იუდაიზმში დამკვიდრდა ტრადიცია, არ გამოიყენონ ღმერთის სახელი ჩვეულებრივ მეტყველებაში. მას ცვლიან სიტყვით ადონაი (უფალი). ამ წესის დასამკვიდრებლად, წმიდა ტექსტების მცველები თანხმოვან ასოებს აწერდნენ სიტყვა იაჰვეს – ეს იყო გახმოვანების ნიშანი სიტყვისათვის ადონაი. აქედან გავრცელდა ტრანსკრიფცია იეჰოვა, დამახინჯებული ფორმა სიტყვისა იაჰვე. მრწამსის ფორმულა გამოხატულია სიტყვებით: *შმა ისრაელ* („ისმინე, ისრაელ“). *შმა ისრაელ* მონოთეისტური იდეის გამომხატველი სიტყვებია თორიდან. ასე იწ-ყება ფრაზა: „შმა ისრაელ, უფალი, ჩვენი ღმერთი, ერთი უფალია“. შმა-მ ებრაულ სულიერ ცხოვრებასა და ლიტურგიაში ერთ-ერთი ცენტრალურ ადგილი დაიკავა. მისი კითხვა რელიგიურ მოვალეობად ჯერ კიდევ ახ. წ. III საუკუნეში იყო გამოცხადებული. ზეპირი კანონი ამ ბიბლიურ მოწოდებას ერთ-ერთ აღთქმად მიიჩნევს და ამის საფუძველზე მის წარმოთქმას ყოველ დილასა და საღამოს აწესებს.

ადამიანი შექმნილია ღვთის ხატად და მსგავსებად. ეს დებულება ფუძემდებლურია იუდაური ანთროპოლოგიისთვის. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი ისევე თავისუფალია თავისი ნების/უფლების) აღსრულებაში, როგორც ღმერთი. უფრო კონკრეტულად, ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი თავისუფალია არჩევანში კეთილსა და ბოროტს შორის, რომელთა გარჩევის უნარი მას მიეცა სამოთხეში ცოდვით დაცემის შემდეგ. მართალია, – ამბობს იუდაიზმი, – რომ ადამიანის გარკვეული ასპექტები (თვისებები, ნიჭი, პოტენცია, ინტელექტუალური შესაძლებლობები და სხვ.) დაბადებიდანვე განსაზღვრულია გამჩენი ღვთის მიერ, მაგრამ ამ მონაცემთა წრეში ადამიანი სავსებით დამოუკიდებელია ზნეობრივ არჩევანში. ამიტომ იუდაიზმი თვლის, რომ ყოველი ადამიანი პასუხისმგებელია თავის საქციელზე.

იუდაიზმისთვის სინამდვილე ერთფეროვანი არ არის: უფალო, ჩვენო ღმერთო, —ლოცულობს იუდეველი შაბათის გასვლის ჟამს, – შენ ბრძანე, რომ გაიმიჯნოს ერთმანეთისგან წმიდა და სადაგი, ნათელი და ბნელი, ისრაელი და სხვა ხალხები, მეშვიდე დღე და საქმიანობის ექვსი დღე. როგორც გამოგვაცალკევე, უფალო, ღმერთო ჩვენო, ქვეყნიერების ხალხებისგან, ისევე გვიხსენი ბოროტი სატანისგან... ჭეშმარიტ იუდეველს ევალება გაარჩიოს (ე. წ. ჰავდალას ანუ გამიჯვნის პრინციპი) ყველა სფეროში წმიდა რიოშისგან, ყოველდღიურისგან, – ეს რელიგიური თვალსაზრისით, ხოლო ზოგადად, მთავარი და მნიშვნელოვანი მეორეხარისხოვანისგან და უმნიშვნელოსგან.

იუდეველს სწამს, რომ თუ მან მკაცრად დაიცვა ჰავდალას წესი, უფალი მოავლენს მესიას და ხსნას. ნათქვამია: მესია მაშინ მოვა, თუ მთელი ებრაელობა ორ შაბათს ერთმანეთის მიყოლებით დაიცავს.

ბიბლიური ეპოქიდან მოკიდებული, არ შეწყვეტილა მესიის მოსვლისა და მესიანური ჟამის მოლოდინი. ეს არის ებრაელ წინასწარმეტყველთა ძირითადი თემა, რომელიც განაგრძობს არსებობას იუდეველის რელიგიურ და, თუნდაც, ყოფით ცნობიერებაში. მესიის მოსვლასთან დაკავშირებული ხსნა გამოიხატება წმიდა მიწაზე ისრაელის დაბრუნებითა და იერუსალიმის ტაძრის აღდგენით, რითაც უფალი განასრულებს ყველა აღთქმას, რაც თავის რჩეულ ხალხს დაუდო.

დაბრუნება (თეშუვა) იუდაიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მორალურ-რელიგიური კატეგორიაა. სიტყვა „დაბრუნება“ გააზრებულია როგორც პიროვნების საყოველთაო აღდგენა, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ მის აწმყოს, არამედ მის წარსულს და მომავალს ერთჟამობაში. საბოლოოდ, დაბრუნების ჟამი უფლის მეუფების დამკვიდრების ჟამია. გარკვეული აზრით, იუდაიზმი ამ ჟამის განუწყვეტელი მოლოდინია.

ამქვეყნიური ცოდვებისთვის ადამიანს საიქიოში სასჯელი მოელის, მაგრამ სასჯელი უფრო განწმედის პროცესია, ვიდრე საბოლოო დასჯა. იუდაიზმში მიუღებელია სამუდამო ჯოჯოხეთის არსებობა. იუდაიზმი მიიჩნევს, რომ ადამიანს არ ძალუძს ისეთი ცოდვის ჩადენა, რომლისთვისაც მარადიულ სასჯელს დაიმსახურებს. ცოდვილის სული სალხინებელში იწმიდება, რათა ღმერთთან სიახლოვის ღირსი შეიქნას. ყველა ადამიანი თავისი ამქვეყნიური ცხოვრებით ღმერთთან სიახლოვეს იმსახურებს. ამგვარად, სასჯელი სასურველიც კი არის ცოდვილი ადამიანისთვის – იგი გზას უხსნის მას სასუფეველში.

იუდაიზმი მკვდრეთით აღდგომას აღიარებს, რომლის წინასწარმეტყველებას ის იუდეველთა წმინდა ტექსტებში კითხულობს. დასამარებული, გახრწნილი და გაცამტვერებელი ძვლები სულთან კვლავ შეერთებას მოელის, თუმცა ამ თემაზე გარკვევით ჩამოყალიბებული აზრი იუდაიზმში არ არსებობს.

ამ რელიგიის უნიკალურობას ორი ურთიერთსაპირისპირო იდეა განსაზღვრავს: ეროვნული რჩეულობა და უნივერსალიზმი. სწორედ რჩეულობის შესახებ მოძღვრება გახდა დამაბრკოლებელი ფაქტორი იუდაიზმის გავრცელებისათვის სხვა ხალხებში, თუმცა ყოფილა შემთხვევები სხვა ეროვნების ადამიანთა და ზოგჯერ მთელი ეთნიკური ჯგუფების მიერ იუდაიზმის აღიარებასა.

აღთქმულ ქვეყანაში საბოლოო დაბრუნების (ალია) რწმენა, რომელიც ვლინდება ყოველდღიურ ლოცვასა და პასქალურ სურვილში – „შემდეგ წელს იერუსალიმში!“ სიონიზმის საფუძველს წარმოადგენს. სიონიზმი ისტორიულ სამშობლოში – პალესტინაში დაბრუნებისა და იქ ებრაული სახელმწიფოს აღორძინების იდეით გამსჭვალული ნაციონალურ-პოლიტიკური მოძრაობა იყო და არის. მისმა ფუძემდებელმა თეოდორ ჰერცლმა (1860-1904) 1896 წელს გამოსცა წიგნი „ებრაული სახელმწიფო“, ხოლო 1948 წელს, სიონისტური ორგანიზაციის აქტიური მოქმედების შედეგად, შეიქმნა კიდეც სახელმწიფო ისრაელი.

ისრაელში იუდაიზმი სახელმწიფო რელიგიად არ არის აღიარებული (ანუ ის არ მიიჩნევა მოქალაქეთათვის სავალდებულოდ), თუმცა იგი სახელმწიფოსგან ბოლომდე არ არის გამიჯნული. მთელი რიგი საკითხებისა (ქორწინება, გაყრა, გარდაცვალება) უშუალოდ რელიგიურ უწყებათა პრეროგატივის სფეროში შედის.

ებრაელთა ყველაზე დიდი ჯგუფი ევროპელი ებრაელები – აშკენაზები – არიან. ისინი ევროპის მრავალ ქვეყანაში, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებში, ლათინურ ამერიკაში, სამხრეთ აფრიკაში სახლობენ. აშკენეზთა წიაღში აღმოცენდა სალაპარაკო ებრაული ენა იდიში. ებრაელთა მეორე მნიშვნელოვან ჯგუფს სეფარდები შეადგენენ. 1492 წელს სეფარდები ესპანეთიდან განდევნეს და ისინი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, თურქეთსა და ბალკანეთში დასახლდნენ. მათ შეინარჩუნეს ესპანეთში შეთვისებული წეს-ჩვეულებები და ენა ლადინო, რომელიც ძველი ესპანური ენის ბაზაზე შეიქმნა. მოგვიანებით ევროპელი ებრაელების საპირწონედ აზიურ ქვეყ-

ნებში მცხოვრები ყველა ებრაელი სეფარდად იწოდა. აღმოსავლეთში ჩამოყალიბდა სხვა თემებიც: ფალაშები – ეთიოპიაში, „შავი ებრაელები“ – ინდოეთში, ესელონები – ჩინეთში და ირანელი ებრაელები.

სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემით, ებრაელთა რაოდენობა მსოფლიოში 13-დან 14 მილიონამდე მერყეობს, მათგან 4,6 მლნ. ისრაელში ცხოვრობს, ერთ მილიონზე მეტი – ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. იუდაური ორგანიზებული თემები 80-ზე მეტ ქვეყანაშია.

იუდაიზმის მიმდევრები მისიონერობას არ ეწევიან. იუდეველად მიიჩნევა ყველა ადამიანი, რომელსაც ჰყავს ებრაელი დედა ან სწამს იუდაიზმი რელიგიური ადათ-წესების დაცვით, ანუ სხვა სარწმუნოების ადამიანისათვის იუდაიზმის მიღება შესაძლებელია, თუმცა ეს საკმაოდ რთულია.

არაებრაელი, რომელიც იუდაიზმს მიიღებს, მოქცევის რიტუალის გავლის შემდეგ ხდება ებრაელი და მას თავის არაებრაულ წარმომავლობაზე საუბარი ეკრძალება. გარდა ამისა, არსებობენ ეთნიკური ჯგუფები, რომლებიც იუდაიზმს აღიარებენ, მაგრამ, ამავე დროს, აცნობიერებენ ებრაელთაგან თავიანთ განსხვავებულობას. ესენი არიან სამარიტელები და ყარაიმები, ასევე იუდაიზმის მიმდევრები აფრიკაში (ეთიოპია, ზამბია, ლიბერია), ინდოეთში, ჩინეთში, ბირმაში, აშშ-სა და სხვა ქვეყნებში.

რელიგიური დღესასწაულები. ყოველკვირეულ სადღესასწაულო დღედ ითვლება შაბათი. „აკურთხა ღმერთმა მეშვიდე დღე და წმიდა ჰყო იგი, რადგან ამ დღეს დაისვენა ყოველი თავისი საქმისაგან“, – ნათქვამია თორაში. შაბათის დადგომა აღინიშნება სანთლების დანთებით, განსაკუთრებული კურთხევით და სადღესასწაულო ტრაპეზით პირველი სამი ვარსკვლავის ამოსვლისას პარასკევ საღამოს. შაბათს იკრძალება ყოველგვარი შრომა (ცეცხლის დანთებაც კი), ტრანსპორტით გადაადგილება და სიმშვიდის ყველანაირი დარღვევა. შაბათი იუდეველმა ლოცვებსა და თორის კითხვას უნდა მიუძღვნას.

ებრაული წელიწადის სამი მთავარი დღესასწაულია ფესახი, შავუოთი და სუქოთი, რომელთაც ტრადიციულად მომლოცველობის დღესასწაულები ეწოდება, რადგან მოსეს რჯული ყოველ ისრაელიანს ამ დღესასწაულებზე იერუსალიმის მოლოცვას და ტაძარში მსხვერპლის შეწირვას ავალებდა.

ფესახი, რომელიც გაზაფხულის პირზე აღინიშნება, ებრაელი ხალხის ეგვიპტიდან გამოსვლის ხსოვნისადმი მიძღვნილი დღესასწაულია. გრძელდება ერთ კვირეულს. პირველი და მეშვიდე დღეები უქმეა, ისინი გათანაბრებულია შაბათთან (მხოლოდ საჭმლის კეთებაა დაშვებული), დანარჩენ დღეებში შეიძლება საქმიანობა, ოღონდ მცირეოდენი შეზღუდვებით. სადღესასწაულო დღეებში საფუარიანი საკვები აკრძალულია. ფესახის ძირითადი რიტუალური წესია 7 დღის განმავლობაში მაცას ჭამა; ეს არის განსაკუთრებული ბურღულეულით დამზადებული პური, ეგვიპტური მონობის მოსაგონებლად. 7 დღის განმავლობაში იკრძალება სახლში საფუარის შემცველი საკვების შენახვაც კი. პირველ და მეორე დღეს განსაკუთრებული იშლება ტრაპეზი— სებერი, რომლის განმავლობაში ყოველმა ზრდასრულმა ებრაელმა 4 ჭიქა ღვინო უნდა იხმიოს. დღესასწაულის წინა საღამოს, როცა საზეიმო სუფრა გაწყობილია, ბავშვის კითხვაზე, თუ რას ნიშნავს ყოველივე ეს, ოჯახის უფროსი კითხულობს აგადას, სადაც ეგვიპტიდან გამოსვლის ამბავია მოთხრობილი.

შავუოთი (კვირეული) პასექიდან შვიდი კვირის თავზე სივანის (მაის-ივნისი) თვეში იდღესასწაულება. ტრადიციულად იგი ეძღვნება პურის მკის დასაწყისს, როცა პირველი თაველები შეიწირებოდა უფლისათვის. ამავე დროს, ეს დღეები დაუკავშირდა რჯულის (თორის) მიღებას სინაის მთის ძირას, სადაც ეგვიპტიდან ამოსული ისრაელიანები დროებით დაბანაკდნენ.

სუქქოთის (კარვობის) ასევე შვიდდღიან დღესასწაულს ორმაგი დატვირთვა აქვს: ამ დროს აღინიშნება მოსავლის აღება და იმ ისტორიული პერიოდის გახსენება, როცა უდაბნოში მოხეტიალე ისრაელიანები კარვებში ცხოვრობდნენ (ამის აღსანიშნავად ყოველი ებრაელის ოჯახი შვიდი

დღით ნედლი შტოებისგან გაკეთებულ კარვებში ცხოვრობს). მედღესასწაულენი პირველ დღეს უქმობენ, დანარჩენი დღეები სადაგია.

ახალი წელი როშ ჰაშანა (წლის სათავე) აღინიშნება ებრაული კალენდრის პირველი თვის – თიშრის (სექტემბერ-ოქტომბერი) პირველ ორ დღეს. ამ დღეებში ღმერთი განსჯის ადამიანს გასული წლის ქმედებებისთვის, ჩაწერს ან არ ჩაწერს მის სახელს სიცოცხლის წიგნში და განსაზღვრავს მის ბედს დამდეგი წლისთვის.

ახალი წლის დღეებს მოსდევს მარხვისა და მონანიების ათი დღე, რომლის კულმინაცია არის იომ კიფური ანუ „შენდობის დღე“, როცა შესაძლებელია ახალი წლის დღეს გამოტანილი განაჩენის შეცვლა.

ხანუქა (სატფურება, განახლება) აღინიშნება ქისლევის (ნოემბერ-დეკემბერი) თვეში, ბერძნებისგან შეურაცხყოფილი ტაძრის განახლებისა (ძვ. წ. II ს.) და იმ სასწაულის გასახსენებლად, როცა ტაძარში აღმოჩენილი ერთი დღის სამყოფი წმიდა ზეთი რვა დღის განმავლობაში ენთო. დღესასწაულისას რვა დღის განმავლობაში სასანთლეზე (მენორა) თითო სანთელი ინთება.

როგორც ზემოთ ითქვა, იუდაიზმში მიღებულია მარხვა და, როგორც წესი, ის ებრაული ისტორიის მძიმე ფურცლების გახსენებას უკავშირდება. მარხვის წესი დღის განმავლობაში, მზის ჩასვლამდე, სასმელსა და საკვებზე მთლიანად უარის თქმას გულისხმობს. ყველაზე მნიშვნელოვან მარხვებად მიიჩნევა თიშა ბე-ავ – პირველი და მეორე ტაძრის დანგრევის დღე, ცომ გედალია – გედალიას, იუდეის ბოლო ებრაელი მმართველის, მკვლელობის დღე (ძვ. წ. 186 წ.), ასაბა-ბეთევეთ – იერუსალიმის დაცემის დღე (ძვ. წ. 586 წ.) და შივა-ასარ-ბე-თამუ – რომაელთა მიერ იერუსალიმის დანგრევის დღე (ახ. წ. 70 წ.).

იუდაიზმში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქაშრუთს – საკვების აკრძალვის წესს. აკრძალულია ღორის ხორცის, არაწყვილჩლიქოსანი (ცხენი, ვირი) და უჩლიქო (კურდღელი) ცხოველების, მტაცებელი ფრინველების, უფარფლო თევზის საკვებად გამოყენება. სუფთა საკვებად მიიჩნევა ცხვარი, თხა, ძროხა, ოღონდ ხორცი განსაკუთრებული წესით უნდა იყოს მომზადებული: სისხლისგან მთლიანად უნდა გაიწმინდოს. არსებობს აგრეთვე აკრძალვა ხორცისა და რძის პროდუქტების, ბურღულეულისა და ბოსტნეულის შერეულ მიღებაზე.

თალმუდის ეპოქაში ებრაული ქორწინების წესიც ჩამოყალიბდა, რაც ნიშნობის (კიდუშინ), საქორწინო კონტრაქტისა (ქთუბა) და საქორწინო ცერემონიის რიტუალებს მოიცავს. ქორწინებას რაბინი აღასრულებს ორი მოწმის თანდასწრებით.

მსახურება. იერუსალიმის ტაძრის დანგრევამდე სატაძრო ღვთისმსახურების (რომლის ძირითადი კომპონენტი მსხვერპლშეწირვა იყო) უფლება მხოლოდ აარონიდების, აარონის (მოსეს ძმის) შთამომავლებს ჰქონდათ. აარონიდები სამღვდელოების უმაღლესი კატეგორიის კოჰანიმები (მღვდელმთავრები) იყვნენ. მათ ლევიტელები – ლევის შთამომავლები – ემსახურებოდნენ. იერუსალიმის ტაძრის მსახური საზოგადოების გამორჩეულ კატეგორიას განეკუთვნებოდა. დღესაც მსახურთა შთამომავლები განსაკუთრებულ რიტუალურ ფუნქციებს ასრულებენ და გარკვეულ აკრძალვებს იცავენ. მაგალითად, კოჰანიმი არ უნდა იმყოფებოდეს იმ სახლში, სადაც მიცვალებულია, არ უნდა დაქორწინდეს ქვრივზე ან ქმარგაყრილზე და ა.შ.

იერუსალიმის პირველი ტაძრის დანგრევის (ძვ. წ. 686) შემდეგ ღვთისმსახურება კარდინალურად შეიცვალა. თუ ტაძრის არსებობის პერიოდში ღვთისმსახურების ძირითადი სახე მსხვერპლშეწირვა იყო, ამიერიდან, უტაძრობის პერიოდში, აქცენტმა წმიდა წერილის შესწავლაზე, კომენტირებასა და წიგნების კოდიფიკაციაზე გადაინაცვლა. ეს პროცესი განსაკუთრებით გაღრმავდა მეორე ტაძრის დანგრევის შემდეგ (ახ. წ. 70 წ.). ებრაელობამ ამ კატასტროფის შედეგად დაკარგა ტაძარი, აღთქმული მიწა, მიწასთან ერთად – სახელმწიფოებრიობა და იერუსალიმის ტაძართან დაკავშირებული კულტი.

ტაძრის დანგრევის შემდეგ რელიგიური და საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრად სინაგოგა იქცა. სინაგოგაში აუცილებლად უნდა იყოს სპეციალური სათავსო, რომელშიც თორის გრაგნილები ინახება, იგი ემიჯნება კედელს, რომელიც იერუსალიმისაკენ იყურება. დარბაზის ცენტრში არის ბიმი, ამაღლებული ადგილი მაგიდით თორის საკითხავად. სინაგოგის ატრიბუტებია: მენორა – შვიდსანთლიანი შანდალი, რომელიც იერუსალიმის ტაძრის შანდლის სიმბოლოა, ლომისა და არწივის გამოსახულებიანი კიდობანი თორის გრაგნილით, ქვის დაფები ათი მცნების საწყისი სიტყვებით და დავითის ექვსქიმიანი ვარსკვლავი – მოგენდავიდი, რომელიც გადმოცემის თანახმად, მეფე დავითის ფარზე იყო აღბეჭდილი. რამდენადაც იუდაიზმში ღმერთს ხატება არ გააჩნია, საკრებულოში ღმერთისა და ასევე ადამიანის გამოსახვა აკრძალულია.

§3. ქრისტიანობა

ქრისტიანობა ჩაისახა ჩვ. წ. I საუკუნეში პალესტინაში, როგორც იუდაიზმის ერთ-ერთი მცირე განშტოება, რომელიც რამდენიმე ათეული ადამიანისგან შედგებოდა. თავდაპირველად ქრისტიანობა პალესტინასა და ხმელთაშუა ზღვის რეგიონში, ძირითადად, ებრაულ დიასპორებში ვრცელდებოდა, მაგრამ მოკლე ხანში, პავლე მოციქულის ქადაგების წყალობით, მან მიმდევრები სხვა ე.წ. წარმართ ხალხებშიაც გაიჩინა. V საუკუნემდე ქრისტიანობა უმთავრესად რომის იმპერიასა და მისი კულტურული გავლენის არეალში დამკვიდრდა (სომხეთი, საქართველო, სირია, ეთიოპია), შემდეგ (ძირითადად, პირველი ათასწლეულის მეორე ნახევარში) ანგლო-საქს და სლავ ხალხებში, უფრო გვიან კი (XIII-XIV სს.) ბალტიელ და ფინელ ხალხებშიც შეაღწია. ახალ და უახლეს პერიოდებში ევროპის მიღმა ქრისტიანობის გავრცელება კოლონიაური ექსპანსიისა და სამისიონერო მსახურების შედეგად გახდა შესაძლებელი. დღეს ქრისტიანობა მსოფლიოს ყველა სახელმწიფოსა და ეროვნებაშია წარმოდგენილი. ქრისტიანთა რაოდენობა მთელ მსოფლიოში 2 მილიარდს აჭარბებს, მათგან ევროპაში 400-დან 550 მილიონამდე ქრისტიანი ცხოვრობს, ლათინურ ამერიკაში – 380 მლნ., ჩრდილოეთ ამერიკაში – 180-250 მლნ., აზიაში – 300 მლნ., აფრიკაში – 300-400 მლნ., ავსტრალიაში – 14 მლნ.

წარმოშობა და გავრცელება. სახარებისეული გადმოცემით, ქრისტიანობის დამაარსებელი იესო ქრისტე დაიბადა ბეთლემში, დავით ისრაელის მეფის შორეული შთამომავლის, ნაზარეთელი დურგლის იოსებ მართლისა და ასევე დავითის შთამომავლის, ქალწული მარიამის ოჯახში. ქრისტე თორმეტ მოწაფესთან ერთად მიმოდიოდა გალილეას, იუდეისა და იორდანიის გაღმა დაბა-სოფლებში და ქადაგებდა მოახლოებულ ღვთის სასუფეველზე, სინაგოგებში რჯულის მასწავლებლებსა და მწიგნობრებს შეახსენებდა წმიდა წერილის წინასწარმეტყველებებს მესიაზე, თავს აცხადებდა ღვთის ძედ და მესიად, რომელსაც უნდა ეხსნა ისრაელი. იესომ სახელი გაითქვა როგორც მკურნალმა; ყველგან, სადაც კი მივიდოდა, სნეულები, დავრდომილები, ბოროტი სულით შეპყრობილნი მიჰყავდათ მასთან და ისიც კურნავდა მათ. ბოლოს ოთხი დღის მკვდარიც გააცოცხლა. მისი ავტორიტეტი დღითიდღე იზრდებოდა, საშიში ხდებოდა იერუსალიმის სამღვდელოებისთვის და მათაც აიძულეს იუდეის პროკურატორი პილატე, რომის ხელისუფლების მტრობისთვის, სასიკვდილო განაჩენი გამოეტანა იესოსთვის. ქრისტე ოცდაცამეტი წლის ასაკში ჯვარს აცვეს ორ ავაზაკს შორის, რომელთაგან ერთმა ირწმუნა მისი და მასთან ერთად მოხვდა სამოთხეში.

ქრისტიანებად პირველად ანტიოქიაში იწოდნენ ქრისტეს მორწმუნეები, რომლებიც ინახავდნენ იესო ქრისტეს პიროვნებისა და საქმეთა ცოცხალ ხსოვნას და ხალხში ქადაგებდნენ. ამ დროს ჯერ კიდევ არც ერთი სახარება არ იყო დაწერილი.

ქრისტიანულ თემებში, რომლებიც მრავლად წარმოიშვა ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ, როგორც პალესტინაში, ისე მის გარეთ, მთელ რომის იმპერიაში, თანდათანობით გაჩნდა საჭიროება

წერილობით აღნუსხულიყო ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების ეპიზოდები და, რაც მთავარია, საქვეყნოდ გაცხადებულიყო მისი მოვლინების მისია.

პირველი, რაც ქრისტიანულმა სამყარომ წაიკითხა, პავლე მოციქულის ეპისტოლეები იყო (48-63 წწ.), რომელთაც იგი სხვადასხვა ქრისტიანულ თემებს (ეკლესიებს) უგზავნიდა მათი დამოძღვრისა და ქრისტეს ჭეშმარიტ გზაზე წარმართვის მიზნით. მხოლოდ მოგვიანებით, ჯვარცმიდან ორმოციოდე წლის შემდეგ, გამოჩნდა სახარებები, რომელთაგან საბოლოოდ ოთხი შეირჩა.

ადრეული ქრისტიანები „ახალ ერად“ იწოდებოდნენ და, მართლაც, ისინი თავიანთი ქცევით განსხვავდებოდნენ ყველა ქვეყნის ხალხისგან, სადაც მათ ცხოვრება უხდებოდათ. „ქრისტიანები, – ვკითხულობთ „დიოგნეტესადმი ეპისტოლეში“, – თავიანთ სამშობლოში ცხოვრობენ როგორც მწირნი... მათთვის ყოველი უცხო ქვეყანა სამშობლოა და ყოველი სამშობლო – უცხო ქვეყანა... მყოფობენ დედამიწაზე, მაგრამ ცის მოქალაქენი არიან“.

ქრისტიანობა ერთ, ყოვლისშემოქმედ ღმერთს, აბრაამის, ისააკისა და იაკობის პიროვნულ ღმერთს აღიარებს. ამავე დროს, ქრისტიანს სწამს (და ამით განსხვავდება ქრისტიანობა სხვა მონოთეისტური რელიგიებისგან), რომ ღმერთი არა მხოლოდ ერთია, არამედ სამსახოვანიც არის. ქრისტიანი თაყვანს სცემს მამას, ძესა და სულიწმიდას, ანუ სამებას. სამება არ არის სამი ღმერთი, არამედ ერთი ღმერთი სამ პიროვნებაში (ჰიპოსტასში), ანუ სამი პირი ერთი ღვთიური არსებაა. ქრისტიანობა აღიარებს სამებას, მაგრამ ამავე დროს აღიარებს მის შეუცნობლობას ადამიანის გონების შეზღუდულობის გამო. სამების სულიერი გამოცდილება სიტყვით ძნელად გადმოიცემა, მისი წარმოდგენა ისევ და ისევ ბუნების მოვლენების ანალოგიით ხდება შესაძლებელი: წმიდა მამებს სამების არსის წარმოსაჩენად ხილული ბუნებიდან მაგალითად მოჰყავდათ მზე, რომელიც არსებობს თავისთავად, მაგრამ იმავე დროს იძლევა სხივებს, ანათებს და არ იყოფა ნაწილ-ნაწილად. ღვთაებრივ სამებაში მამა შეუქმნელია, ძე – მარადიულად შობილი (მრწამსით: „უწინარეს ყოველთა საუკუნეთა“), სულიწმიდა – მამისაგან (კათოლიკეთა მრწამსით: და ძისაგან) გამომავალი და ძის მეშვეობით მოვლენილი ამქვეყნად.

ქრისტიანობა არის ხსნის რელიგია. ბუდიზმსაც მიაჩნია, რომ იგი ხსნის რელიგიაა. ორივე რელიგია აცხადებს, რომ აუცილებელია და შესაძლებელია კიდეც ხსნა. ხსნა რისგან? ბუდიზმი ამბობს, რომ ამქვეყნიური ცხოვრება სატანჯველია, რისგანაც ადამიანი უნდა გათავისუფლდეს. ამისთვის კი აუცილებელია, რომ მან ყოველგვარ სურვილზე უარი თქვას, რადგან სწორედ სურვილები იწვევენ ტანჯვას, ქმნიან ამ წუთისოფლის სახეს, სადაც ყველაფერი წარმავალია. ეს არის, რისგანაც ადამიანმა უნდა დაიხსნას თავი და ბუდიზმი კარნახობს ადამიანს ხსნის მეთოდებს და გზას.

ქრისტიანობისთვისაც ეს სოფელი წარმავალია, სატანჯველია და სურვილები, ვნებები ქსოვენ წუთისოფლის სახეს. ქრისტიანობაც სთავაზობს ადამიანს ხსნას, მაგრამ ხსნას არა უბრალოდ სურვილებისგან, არამედ ცოდვებისგან, რომლებმაც ადამიანი მოსწყვიტეს ღმერთს და ნამდვილ ცხოვრებას ღმერთთან ურთიერთობაში.

ამრიგად, ქრისტიანობის მთავარი სიტყვა-ცნება არის ცოდვა. ადამმა, კაცობრიობის წინაპარმა, რომელიც „ღვთის ხატად და მის მსგავსებად“ იყო გაჩენილი, დაარღვია აღთქმა – იგემა აკრძალული ნაყოფი იმ იმედით, რომ ღმერთივით სრულყოფილი გახდებოდა. იგი დაჰყვა სატანის ნებას, რომელიც გველის პირით ლაპარაკობდა და არად ჩააგდო ღვთის ნება. ერთადერთი სიკეთე ამ საქციელში ის იყო, რომ ადამმა გამოიყენა, თუმცა უკუღმართად, თავისუფალი ნება, რომელიც მიემადლა მას. ამით მან დაამტკიცა, რომ იგი ნამდვილად ღვთის ხატად იყო შექმნილი, ღმერთთან იმ მსგავსებით, რომელიც სწორედ თავისუფალი არჩევანის უნარში მდგომარეობდა. მაგრამ ამის სანაცვლოდ ადამმა და მისმა მოდგმამ მიიღო სატანჯველი ამ სოფელში და, საბოლოოდ, სიკვდილი. თავისუფალი ნების პირველივე დემონსტრაციამ ადამი ცოდვაში ჩააგდო, ხოლო „ცოდვის საზღაური სიკვდილია“, – ამბობს პავლე მოციქული. ამრიგად, ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, ცოდვა ღვთის ნების საწინააღმდეგოდ ადამიანის ნებით არის გამოწვეული. ღმერთს

სიკვდილი არ შეუქმნია, მან ადამიანი არა სიკვდილისთვის, არამედ სამარადისო სიცოცხლისთვის შექმნა, რის საბუთსაც ქრისტიანობა სამოთხეში დანერგილ „სიცოცხლის ხეში“ ხედავს.

ქრისტიანობა ამბობს, რომ პირველჩადენილმა ცოდვამ იბარტყა კაცობრიობაში, ცოდვა ცოცხლობს ყველა ადამიანში, თითოეული ადამიანი ნაზიარებია ადამის ცოდვას, რადგან ის ადამის სისხლი და ხორცია, მისი სული და სამშვინველია. ადამმა დატოვა სამოთხე, ანუ ჭეშმარიტი ცხოვრება და გავიდა წუთისოფელში, რომელიც მის მიერ ჩადენილი ცოდვის გამო ბოროტებას დაემონა. ქრისტიანული მოძღვრება ერთ უწყვეტელ ჯაჭვზეა აგებული, რომლის თითოეული რგოლი მეორეს განაპირობებს:

1. ყველანი ცოდვილნი ვართ, რამდენადაც ერთი წინაპრიდან, ადამიდან, მოვდივართ, რომელმაც შესცოდა,
2. ცოდვამ დაგვაშორა ღმერთს,
3. იესო ქრისტე ჩვენი ცოდვების გამოსასყიდად განკაცდა და ეცვა ჯვარს, მისი სიკვდილი იყო ჩვენი ცოდვების სასყიდელი,
4. გამოსყიდული აღდგება უკეთეს მდგომარეობაში,
5. ვისაც სწამს ქრისტე, როგორც მხსნელი, ის მიიღებს ხსნას; ხსნა, ისევე, როგორც ცოდვით დაცემა, ნებაყოფლობითი აქტია.

ქრისტიანობა ამბობს, რომ ღმერთმა სამოთხიდან ურჩობისთვის გაძევებული ადამიანი საბოლოოდ არ გაწირა. სიკვდილიც, რომელიც დაცემის შემდეგ შევიდა ადამის ბუნებაში, ისევ და ისევ მის სასიკეთოდ შევიდა: დაცემულ ადამს, რომელიც ერთგვარად სატანის ტყვეობაში ჩავარდა, არ უნდა ეგემნა სიცოცხლის ხის ნაყოფი, რათა ამგვარად ცოდვილი არ გაუკვდავებულიყო. სიკვდილმა სამანი დაუდო ცოდვას და, თუმცა უკვდავებას ადამი ვერ ეზიარა, მისი მოდგმა, ევას მეოხებით, რომლის სახელი „სიცოცხლეს“ ნიშნავს, დაუსხლტა სიკვდილს, ღვთის ქმნილება გადაურჩა ტოტალურ გადაშენებას. თუმცა სამოთხის მისადგომებს მრისხანე ქერუბიმი ცეცხლოვანი მახვილით ხელში იცავს, ადამის მოდგმას მიეცა იმედი ედემის ბაღისკენ ანუ უკვდავებისკენ სხვაგვარად, სხვა გზით, დაბრუნებისა.

ქრისტიანობა ამბობს, რომ რაკი კაცობრიობაში ცოდვა ერთი ადამიანის (ადამის) მეშვეობით შემოვიდა, კაცობრიობის ხსნა ასევე ერთი ადამიანის მეშვეობით უნდა მომხდარიყო. ეს ადამიანი იესო ქრისტეა, გალილეველი, ბეთლემში შობილი. მაგრამ იესო რომ მხოლოდ ადამიანი ყოფილიყო, იგი ვერ შეძლებდა კაცობრიობის ცოდვების გამოსყიდვას. მისი სიკვდილი არ იქნებოდა საკმარისი სასყიდელი მთელი ქვეყნიერების ცოდვებისთვის (1 იოან. 2:2).

ყოფით ენაზე რომ გადმოვთარგმნოთ, კაცობრიობის ვალების (თანანადებთა) გასტუმრება მხოლოდ მას შეუძლია, ვისაც ამისთვის ამოუწურავი მარაგი აქვს. მაგრამ გამომსყიდველმა სიცოცხლის გაცემა რომ შეძლოს, იგი მოკვდავი არსება უნდა იყოს. და მხოლოდ ღმერთს შეუძლია სიკვდილი ხსნის იარაღად გამოიყენოს, მაგრამ ღმერთი უკვდავია. ღმერთი რომ მოკვდეს, ჯერ უნდა განკაცდეს, ანუ შეიმოსოს მოკვდავი ადამიანის ხორცი. ამრიგად, ღვთის განკაცების საიდუმლო იგივე ხსნის საიდუმლოა. ეს არის ქრისტიანობის თავი და თავი, რითაც იგი აბსოლუტურად განსხვავდება სხვა რელიგიებისგან და, კერძოდ, იუდაიზმისგან, საიდანაც გამოვიდა, როგორც ერთ-ერთი მიმდინარეობა.

ქრისტიანობა ამბობს, რომ კაცთა მოდგმის ხსნა წმიდა სამების ჩანაფიქრში გადაწყდა, რომელმაც, ბიბლიისავე თანახმად, კაცთა წინაპარი შექმნა („შევქმნათ ადამი ჩვენს ხატად...“. დაბ. 1:26). ადამიანი უნდა ეხსნა საკუთრივ მას, ვის ხატადაც იგი შეიქმნა. ეს იყო წმიდა სამების მეორე წევრი, ძედ წოდებული. მამამ, რათა ეხსნა თავისი ქმნილება, გაწირა თავისი მხოლოდშობილი ძე. ეს არის ღვთის უსაზღვრო სიყვარულის დასტური თავისი ქმნილებისადმი. ერთ-ერთი მორალური სენტენცია, რომელსაც სახარებაში ვკითხულობთ, საღვთისმეტყველო საიდუმლოს შეიცავს: „მე ვარ მწყემსი კეთილი, მწყემსი კეთილი თავის სულს (სიცოცხლეს) გაწირავს ცხვართათვის“ (იოან.

10:11), და მეორე: „იმაზე დიდი სიყვარული არავის აქვს, როცა ვინმე თავს წირავს თავისი მეგობრებისათვის. თქვენ კი ჩემი მეგობრები ხართ...“ (იოან. 15:13-14ა). ამ სიყვარულისთვის გაწირა მამამ მხოლოდშობილი ძე. „ღმერთი თავის სიყვარულს ჩვენდამი ამტკიცებს იმით, რომ ქრისტე მოკვდა ჩვენთვის...“ (რომ.5:9).

ქრისტიანული მოძღვრების არსი თავად ქრისტიანობის დამაარსებლის, იესო ქრისტეს პიროვნებაშია გამოხატული, თავად ქრისტეა მოძღვრება, როგორც ის ამბობს: „მე ვარ გზა და ჭეშმარიტება“ (იოან. 14:6). ყველაზე დიდი საიდუმლო ქრისტეს პიროვნებაში მისი ღმერთკაცობის საიდუმლოა, რაც გულისხმობს, რომ ქრისტე არის სამების მეორე პირის (ძის) განხორციელება. მრწამსი ამბობს, რომ სამების მეორე წევრი ქრისტე არის „მამისაგან შობილი უწინარეს საუკუნეთა“, მაგრამ როგორც კაცი, იგი გარკვეულ დროს იშვა. ამრიგად, მის პიროვნებაში ერთმანეთს შეხვდა უჟამო და ჟამიერი, მარადიული და დროული, ღვთიური და ადამიანური. იგი თავის პიროვნებაში მოიცავს ორ ბუნებას – ღვთისას და კაცისას, იგი არის სრული კაცი და სრული ღმერთი. სრული კაცი ნიშნავს, რომ მას ჰქონდა ხორცით შემოსილი ადამიანური სხეული, ადამიანის სამშვინველი და სული, ადამიანური თვისებები (თანაგრძნობა, სიყვარული, მრისხანება...). არაფერი ადამიანური, გარდა ცოდვისა, ქრისტესთვის უცხო არ უნდა ყოფილიყო, რადგან სხვისი ცოდვების ტვირთვა მხოლოდ მას შეეძლებოდა, ვისაც საკუთარი ცოდვები არ დაამძიმებდა.

ქრისტე მოვიდა მხსნელად, როცა ადამიანს, ცოდვებით უზომოდ დატვირთულს, უკვე აღარ შეეძლო თავისი თავის შველა. ქრისტე მოვიდა და მოკვდა არა მართალთათვის და უცოდველთათვის, არამედ სნეულთათვის და ცოდვილთათვის, უპოვართათვის, მათთვის, ვისაც სასყიდელის გაღება არ შეუძლია. ქრისტე მოვიდა იმ ერთი დაკარგული ბატკნისთვისაც, ანუ ქრისტე თითოეული ადამიანის მოსაძებნად და გადასარჩენად მოვიდა. ქრისტემ, რომელიც პიროვნულად ცნობს თითოეულს, დაფარა ყოველი ადამიანის ვალები. მაგრამ არ არის საკმარისი ვალების დაფარვა და ადრინდელი მდგომარეობის აღდგენა. ღვთის განკაცების, ღმერთკაცობის დოგმატის მეორე საზრისია: ღმერთი კაცი გახდა, რათა კაცი ღმერთი გამხდარიყო და უკვდავებას, რომელიც ცოდვის გამო სამოთხეში დაკარგა, ზიარებოდა. ქრისტემ შეიმოსა დაცემული ადამიანის ხორცი, რათა ნაკისრი ცოდვები ჯვარზე ასვლისას თავის მოკვდავ ადამიანურ ბუნებასთან ერთად მოეკლა, ჯვარზე გაეკრა ისინი. ქრისტე ჯვარზე მოკვდა როგორც კაცი, მაგრამ მისმა ღვთაებრივმა ბუნებამ სძლია სიკვდილს და ჯვარცმიდან მესამე დღეს ქრისტე აღდგა, აღდგა არა ძველი სხეულით, რომელიც მას ემოსა, არამედ განახლებული, გაუკვდავებული სხეულით.

ქრისტეს ცხოვრების გზაზე მნიშვნელოვანი აქტებია:

შობა. სახარება ზუსტად ათარიღებს ქრისტეს შობას: იგი დაემთხვა აღწერას, რომელიც ჩატარდა მთელ რომის იმპერიაში ავგუსტუს კეისრის ბრძანებით. აღწერის წესის თანახმად, ყველა ადამიანი, იმპერიაში მცხოვრები, იმ ადგილზე უნდა აღწერილიყო, საიდანაც მისი წინაპრები იყვნენ წარმოშობილი. ამიტომაც იმხანად ნაზარეთში მცხოვრები იოსები და მარიამი ჩავიდნენ ბეთლემში, რათა იქ აღწერილიყვნენ. ბეთლემში ღამის სათევი რომ ვერ ნახეს, ბაგაში მოუხდათ ღამის გათევა. სწორედ იქ დაიბადა იესო.

იესოს ტაძრად მიყვანება. ებრაელთა ჩვეულებისამებრ, ორმოცი დღის შემდეგ, როცა გასრულდა მათი – მარიამისა და ახალშობილის – განწმედის დღეები, ჩვილი იესო მიიყვანეს იერუსალიმის ტაძრად და იგი მიირქვა სიმეონ მოხუცებულმა. მან ჩვილში გამოიცნო ყრმა, რომლის მოლოდინს იგი ატარებდა მრავალი ათეული წლის განმავლობაში.

ნათლისღება. იოანე ნათლისმცემლის მიერ იესოს მონათვლა მდინარე იორდანეში.

ეშმაკის მიერ გამოცდა უდაბნოში. იესომ, როგორც კაცმა (არა ღმერთმა), სძლია ეშმაკის სამ საცთურს.

ფერისცვალება. უდაბნოში ეშმაკის პირისპირ ქრისტე გამოჩნდა როგორც სრული კაცი, თაბორის მთაზე კი თავის სამ მოწაფეს – პეტრეს, იაკობსა და იოანეს – გამოეცხადა როგორც სრული ღმერთი, რომლის შეუქმნელმა ნათელმა მისი სამოსელი განასპეტაკა.

უკანასკნელი ლოცვა გეთსიმანიაში. სერობის შემდეგ იესოს იგივე სამი მოწაფე (პეტრე, იაკობი და იოანე) თან ახლდა ფერისცვალების დროს, ისინი დაესწრნენ მის უკანასკნელ ლოცვას ზეთისხილის მთაზე, გეთსიმანიაში. თაბორის მთაზე იესო მათ თავისი მარადიული დიდებით, შეუქმნელი ნათლით შემოსილი, ეჩვენა, აქ კი მათ იხილეს მუხლმოყრილი კაცი, მამის წინაშე მხურვალედ მლოცველი, რომელსაც შუბლიდან სისხლის ოფლი სდიოდა. მისი ადამიანური სული სატანჯველის მოლოდინში მწუხარებდა. ამ დროს წარმოთქვა მან სიტყვები, რითაც დაადასტურა, რომ მისი მსხვერპლი ნებაყოფლობითია: „მამაო ჩემო, თუ შესაძლებელია, ამარიდე ეს სასმისი. მაგრამ არა როგორც მე მსურს, არამედ როგორც შენ“ (მათე, 26:36-46; ლუკა, 22:39-46).

გაცემა. ქრისტეს სიტყვები „ძე კაცისა მიდის, როგორც დაწერილია მასზე, მაგრამ ვაი იმ კაცს, ვის მიერაც გაიცემა ძე კაცისა“ (მათე, 26:24) გამოხატავს ტრაგიზმს, რომელშიც მოექცა კაცობრიობა ცოდვით დაცემის შემდეგ. სოფელში (ადამიანის ცხოვრებაში) შემოვიდა სიკვდილი, მაგრამ ვაი მას, ვისი ხელითაც მოკვდება ადამიანი. ვაი კაენს, ვისი ხელითაც გზა ნახა პირველად სიკვდილმა! ძე ღვთისას წასვლა გარდაუვალია, თუნდაც იმიტომ, რომ იგი იშვა როგორც მოკვდავი, როგორც ერთი ჩვენგანი. მაგრამ რატომ გაიცა იგი და რატომ აღმოჩნდა გამცემი მისი მოწაფე?

პასუხი: ქრისტე უნდა მომკვდარიყო სწორედ იმიტომ, რომ ასეთია კაცი (მკვლელი, გამცემი...), სხვანაირად, როგორც პავლე მოციქული ამბობს, ქრისტეს გაღებულ გამომსყიდველ მსხვერპლს აზრი არ ექნებოდა: „ქრისტე... განწესებულ ჟამს მოკვდა უკეთურთათვის. ძნელად თუ ვინმე მოკვდება მართლისათვის“ (რომ. 5 : 6ბ-7ა).

გამცემი რომ ქრისტეს თორმეტ მოწაფეს შორის აღმოჩნდა, ეს ერთი და უკანასკნელი წვეთია სასწორის იმ პინაზე, რომელსაც მისი ამგვარი წასვლა უნდა გადაეწყვიტა.

ჯვარცმა. ქრისტე ჯერ მისმა მოწაფემ გასცა, მერე სამღვდელოებამ და მწიგნობრებმა გადასცეს რომის ხელისუფლებას, ბოლოს ხალხმა გაწირა, როცა პილატეს საბოლოო შეკითხვაზე – ვინ გსურთ გაგითავისუფლოთ, ბარაბა თუ იესო? – მან ერთხმად აირჩია ავაზაკი ბარაბა, ქრისტესთვის კი ჯვარცმა მოითხოვა. ამრიგად, ქრისტეს რომის ხელისუფლებამ ხალხის სახელით გამოუტანა განაჩენი და რომისავე სასჯელით – ჯვარზე გაკვრით დაისაჯა, როგორც ავაზაკებს სჯიდნენ.

აღდგომა. მკვდრეთით აღმდგარი სხეული, სამებაში დაბრუნებამდე, ანუ ამაღლებამდე, კიდევ ორმოცი დღის განმავლობაში ეცხადებოდა მოწაფეებს.

ქრისტეს მეორედ მოსვლა და მკვდრეთით აღდგომა. ქრისტიანს სწამს მკვდრეთით აღდგომა, ადამიანთა მკვდრეთით აღდგომა, რომელიც მოხდება ქრისტეს მეორედ მოსვლისას. მკვდრები აღდგებიან იმ სულიერ (ნათლის) სხეულში, როგორიც მათ ჰქონდათ სამოთხეში ცოდვით დაცემამდე. ამავე დროს ეს იქნება არა სხვა სხეული, არამედ მათი კუთვნილი ინდივიდუალური სხეული, რომლითაც ისინი მიწიერ ცხოვრებაში იყვნენ შემოსილნი. მკვდრეთით აღმდგარი სხეული თავისუფალი იქნება ხრწნადობისგან და სიკვდილისგან.

ისტორიული ეპოქები. ქრისტიანობის ისტორიაში რამდენიმე მნიშვნელოვანი ეპოქაა: დევნილობის ხანა, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება რომის იმპერიაში, მსოფლიო საეკლესიო კრებების ეპოქა და დიდი სქიზმა. 1054 წელი ითვლება (თუმცა პირობით) ერთიანი ეკლესიის გახლეჩის თარიღად, რისი შედეგიც არის დღევანდელი მართლმადიდებელი და რომის კათოლიკე ეკლესიების ურთიერთდაპირისპირებულობა. მაგრამ რადგან არსებითად ქრისტეს ეკლესია განუყოფელია, თითოეული მათგანი თავს ერთიან ეკლესიად მიიჩნევს, მეორეს კი მისგან ჩამოცილებულად თვლის. რეფორმაციის ხანაში (XVI ს.) კათოლიკურ ეკლესიას გამოეყო ლუთერანული, კალვინისტური, ანგლიკანური ე. წ. პროტესტანტული ეკლესიები, რომელთაგან, თავის მხრივ, სხვადასხვა დენომინაციები (მიმდინარეობები) წარმოიშვა.

XIX-XX საუკუნეებში ევროპას სეკულარიზაციის, ხოლო რუსეთის იმპერიას კომუნისტური რევოლუციის ტალღამ გადაუარა, რამაც ქრისტიანობის პოლიტიკური, საზოგადოებრივი და კულტურული გავლენა შეასუსტა. ამავე დროს, საფუძველი ჩაეყარა ეკუმენურ მოძრაობას, რომელიც, იესო ქრისტეს მოწოდების თანახმად, ქრისტიანული ეკლესიების ხელახალ გაერთიანებას ისახავს საბოლოო მიზნად.

უმთავრესი ქრისტიანული კონფესიების დაახლოებითი რაოდენობრივი მაჩვენებელი დღეისათვის ასე გამოიყურება: 1 მილიარდი კათოლიკე, 400 მილიონი პროტესტანტი და 70 მილიონი ანგლიკანი, მართლმადიდებლებისა და ძველაღმოსავლური ეკლესიების მიმდევრების რაოდენობა (არაქალკედონიტური ეკლესიები და ნესტორიანელები) 240 მილიონია.

მართლმადიდებლობა

მართლმადიდებლობა, ბერძნულად ორთოდოქსია, ეწოდება ქრისტიანობის იმ მიმართულებას, რომელიც ინახავს ქრისტიანულ პრაქტიკას და მოძღვრებას, როგორც ის ჩამოყალიბდა მწვალებლებთან ბრძოლაში შვიდ მსოფლიო კრებაზე (325-787), სადაც მიღებულ იქნა ქრისტიანობის ძირითადი დოგმატები.

მართლმადიდებლობა, ქრისტეს მოძღვრების მართალი აღმსარებლობა, თვითშეფასებით, დასაბამს მოციქულთა ხანიდან იღებს და დღემდე შეურყვნელად და მრთელად ინახავს მას. ამიტომაც იგი თავის თავს მიიჩნევს იმავე ეკლესიად, რაზედაც მრწამსშია ნათქვამი: „ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქული ეკლესია“.

რაც შეეხება სხვა ეკლესიებს, რომლებთანაც მას არა აქვს ევქარისტიული კავშირი, ისინი გაიაზრებიან არა ერთი, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის განშტოებებად (ერთი არასოდეს დაშლილა), არამედ მისგან ჩამოშორებულებად (განდგომილებად).

მართლმადიდებლური მოძღვრება, ბიბლიის (ძველი და ახალი აღთქმების) გარდა, ეფუძნება ზეპირ თუ წერილობით ტექსტებს საერთო სახელწოდებით – წმიდა გადმოცემა, რომელიც შეიცავს: „მოციქულთა წესებს“, სადაც აღნუსხულია მოციქულთა ხანის საეკლესიო პრაქტიკა; მსოფლიო და ზოგიერთი ადგილობრივი კრებების დოგმატურ და პრაქტიკულ გადაწყვეტილებებს; წმ. მამათა და ეკლესიის მოძღვართა ქმნილებებს; ლიტურგიულ ტექსტებს, რომელთაგან ბევრი სამოციქულო წარმოშობისაა; მოწამეთა აქტებს, რომლებიც შედგენილია მათი ტანჯვის უშუალო მოწმეთა მიერ. თავდაპირველად, გარდა ძველი აღთქმისა, ქრისტიანული მოძღვრების შემცველი ტექსტები (ეპიზოდები ქრისტეს ცხოვრებიდან, ქადაგებები, იგავები და სხვ.) ზეპირად ვრცელდებოდა, მაგრამ პირველი საუკუნის მეორე ნახევარშივე მათ წერილობითი სახე მიიღეს.

საღვთო საიდუმლონი. მართლმადიდებელ ეკლესიაში შვიდი ძირითადი საიდუმლო სრულდება:

1) *ნათლისღება*. ძირითადი აქტი, რომლის ძალითაც ადამიანი ქრისტიანად ანუ ქრისტეს ეკლესიის შვილად ითვლება, არის ნათლობა, მაგრამ ნათლობის რიტუალს უძღვის კათაკმევლობის პერიოდი, რომლის განმავლობაში ახლადმოქცეული ემზადება ნათლისღებისთვის, ეცნობა ძირითად ქრისტიანულ ჭეშმარიტებებს (მოძღვრებას წმიდა სამებაზე, ეკლესიაზე და სხვ.), სწავლობს მრწამსს („მწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისა...“), ესწრება საკვირაო ლიტურგიას, ოღონდ არა ბოლომდე. კათაკმევლობის პერიოდის ხანგრძლივობა არ არის განსაზღვრული, ასევე განუსაზღვრელია ასაკი ადამიანისა, რომელიც ინათლება.

ნათლისღება ხდება წყალში სამგზის ჩაღრმავებით ან, თუ ამის საშუალება არ არის, წყლის სამგზის სხურებით, იმ შემთხვევაში, თუ წყალი არსად არის, ხოლო ნათლისცემა გადაუდებელია (სიკვდილის სარეცელზე), ქვიშის მეშვეობით.

ნათლისღებისას ნათელღებული ღვთის წყალობით განიწმიდება ადრე ჩადენილი ცოდვებისგან და ამიერიდან იგი ქრისტეს ეკლესიის შვილად (წევრად) ითვლება, მაგრამ ნათელღებულმა

ქრისტიანული წესით ცხოვრებით უნდა შეინარჩუნოს ეს სიწმიდე. ნათლისღება მეორედ დაბადებაა, სულიერი შობაა და იგი მხოლოდ ერთხელ ხდება ადამიანის ცხოვრებაში (მრწამსში ნათქვამია: „აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა მოსატევებელად ცოდვათა...“).

2) *მირონცხება*. წმ. მირონის ცხება ხდება ნათლობის შემდეგ, რაც ანიჭებს ნათელღებულს სულიწმიდის მეშვეობით სასიცოცხლო ძალას, სულიერ ზრდასა და განმტკიცებას ღვთის რწმენაში. მირონცხება უშუალოდ მოსდევს ნათლობას და აღიქმება ნათლობის შემადგენელ ნაწილად, თუმცა ის დამოუკიდებელი საიდუმლოა.

3) *ზიარება ანუ ევქარისტია*. ყოველი ქრისტიანი – სამღვდელო და ერისკაცი – ეზიარება ქრისტეს ხორცსა და სისხლს პურისა და ღვინის სახით, ამით იგი მისტიკურად მონაწილეობს საიდუმლო (უკანასკნელ) სერობაში, როცა ქრისტემ გაუნაწილა მოციქულებს თავისი უკვდავი სიცოცხლე.

4) *აღსარება*. ქრისტიანი პერიოდულად აღიარებს ცოდვებს მღვდლის წინაშე, რომელიც მას მიუტევებს იესო ქრისტესა და მისი ეკლესიის სახელით.

5) *ქორწინება*. წყვილის შეუღლება რომ სულიერად კანონიერი იყოს, იგი საჭიროებს კურთხევას, რომლის პრეროგატივა ეკლესიას ეკუთვნის: მღვდელი, ეკლესიის სახელით, აკურთხებს საქორწინო გვირგვინს. რასაც ის შეკრავს, ზეცაშიც შეკრული იქნება.

6) *ზეთის კურთხევა*. ეს საიდუმლო აღსრულდება მძიმე სნეულებაში მყოფი ქრისტიანის სულისა და სხეულის საკურნებელად და იმ ცოდვების მისატევებლად, რომლებიც უღიარებელი დარჩა სიკვდილის სარეცელზე მწოლარეს.

7) *მღვდლობა*. საიდუმლო, რომელსაც ასრულებს მღვდელმთავარი რომელიმე პირის მიმართ, რომელიც განწესებულია საეკლესიო იერარქიის რომელიმე საფეხურისთვის (საეპისკოპოსოდ, სამღვდელოდ თუ სადიაკვნოდ). სულიწმიდის მადლით პირი სულიერად უფლებამოსილი ხდება, ასწავლოს ქრისტიანული ჭეშმარიტებები, აღასრულოს საეკლესიო საიდუმლოებები და ზნეობრივად დამოძღვროს მრევლი, ქრისტეს სამწყსო.

ეკლესია და ტაძარი. მართლმადიდებლური მოძღვრებით, ეკლესია არის ყველა წმიდის და ცოდვილის თავშესაფარი ამ სოფელში, როგორც ნოეს კიდობანი. ეკლესია ხომალდია, რომელიც დაცურავს წუთისოფლის აბობოქრებულ ზღვაში და იფარებს თავის წიაღში მორწმუნეებს, რომელთაც თავისუფალი ნებით აირჩიეს თავიანთი ხვედრი, რათა ასულიყვნენ ხომალდში. ამიტომაც ადრექრისტიანული წარმოდგენით, ეკლესიის შენობის არსის განმსაზღვრელი ტიპი ბაზილიკაა, რომელსაც გემის ფორმა აქვს იმის ნიშნად, რომ ის მიაპობს ამაოების ტალღებს. ის არსად მკვიდრობს, მისი მკვიდრობა მხოლოდ გზაშია და გზას აქვს მიზანი – ღვთის სასუფეველი და თავად არის, საბოლოო აზრით, თვითმიზანი (რადგან ის დაუსრულებელია, გრძელდება სასუფეველშიც, როგორც ამას ასწავლიდა გრიგოლ ნოსელი), როგორც ქრისტე ამბობს: „მე ვარ გზა“ (გზა ეწოდებოდა ქრისტიანობას მის საწყის ხანაში).

წმიდანების თაყვანისცემა. ეკლესია წმიდანებად შერაცხავს სარწმუნოებისთვის წამებულთ და ეკლესიისთვის განსაკუთრებულად ღვაწლმოსილ ადამიანებს – მათი ნეშტები თაყვანისცემის საგნებია, ისინი დაცულია ეკლესია-მონასტრებში საგანგებო ლუსკუმებში ან საკურთხევლის ტრაპეზის ქვეშ.

ხატების თაყვანისცემა. მართლმადიდებელი ეკლესია წარმოუდგენელია ქრისტეს, ღვთისმშობლისა და სხვა წმიდანების ხატების გარეშე. ისევე, როგორც სახარებები სიტყვიერად გადმოსცემენ იესოს, ღმერთკაცის მიმოსვლას მიწაზე, მის მიწიერ ცხოვრებას, ასევე ხატები სახიერად წარმოგვიდგენენ მას.

ლოცვა. ლოცვას წმიდა მამები „ჭეშმარიტ ღვთისმეტყველებას“ უწოდებენ, ანუ ლოცვა ქრისტიანული მოძღვრების ერთგვარი გამოხატულებაა.

მონასტრები და ბერმონაზვნობა. ბერმონაზვნური და სამონასტრო ცხოვრება მართლმადიდებლობის მუდმივი თანამდევია. მისი ტრადიციულობა და ერთგულება ადრექრისტიანული ხანისადმი ამაშიც გამოიხატება. ბერმონაზვნობის განსაკუთრებით განდეგილური სახე გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომელიც შეიქნა ეკლესიაში ქრისტიანობის ლეგალიზაციისა და მისთვის პრივილეგიების მინიჭების შემდეგ და, საზოგადოდ, მისი ტრიუმფის პირობებში. ჭეშმარიტ რწმენასთან ნაკლებად დაკავშირებული მოტივებით ერობა მოაწყდა ეკლესიას და სეკულარიზაციის საფრთხე შეუქმნა მას. აზრიც გავრცელდა, რომ წუთისოფელში ხსნა შეუძლებელი იყო და მორწმუნე უნდა გასცლოდა ამ სოფელს. გაჩნდა ამ წუთისოფლის ცოდვილობის გამძაფრებული განცდა.

ადამიანს, ადამიანთა ჯგუფს, გაუჩნდა მოთხოვნილება, მიეძღვნა მთელი თავისი ცხოვრება ასკეტური და მჭვრეტელობითი მოღვაწეობისთვის განდგომილებასა და მარტომყოფობაში. ისინი ტოვებდნენ მშობლიურ სახლს, ქალაქს, მშობლებს, ნათესავ-მეგობრებს და უკაცრიელ ადგილებში, უდაბნოებში, გადახვეწილნი, მთელ ცხოვრებას თავიანთი სულისა და ყველა ადამიანის სახსნელად ლოცვა-ვედრებაში ატარებდნენ.

ბერ-მონაზვნობა რამდენიმე ტიპისაა. არიან განდეგილნი და მარტომყოფნი, დაყუდებულნი; არიან საზოგადოებებად გაერთიანებულნი, რომლებიც ემორჩილებიან სამონასტრო ცხოვრების კანონს. ასკეტიზმი აქ ნაკლებია, სამაგიეროდ, ისინი ეწევიან როგორც ფიზიკურ, ისე ინტელექტუალურ-შემოქმედებით შრომას (ხელნაწერთა გადაწერა, ხატწერა და სხვ.), ასევე ქველმოქმედებას. დროთა ვითარებაში მონასტრები კულტურულ ცენტრებად გადაიქცა.

სომეხთა წმიდა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია

სომეხთა წმიდა სამოციქულო ეკლესია ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ეკლესიაა, რომელიც მთელი რიგი არსებითი ნიშნებით განსხვავდება როგორც მართლმადიდებელი, ასევე რომის კათოლიკე ეკლესიებისგან. რელიგიათმცოდნეები მას არაქალკედონური აღმოსავლური ეკლესიების ჯგუფს მიაკუთვნებენ. მისი აღმსარებლობა წარმოადგენს სომეხი ხალხის ეროვნულ სარწმუნოებას.

სომეხთა წმიდა სამოციქულო ეკლესია დაარსდა გრიგოლ განმანათლებლის (IV ს.) მოღვაწეობის შედეგად. დაარსების თარიღად, ტრადიციულად, მიიჩნეულია 301 წელი. დოგმატურად ეფუძნება პირველი სამი მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილებებს.

სომეხთა წმიდა სამოციქულო ეკლესია 551-554 წლებში ჩამოშორდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსა და მსოფლიო მართლმადიდებელ ეკლესიას, რაც საბოლოოდ გააფორმა 726 წელს მანასკერტის კრებაზე.

დღესდღეობით სომხეთში 8 ეპარქია მოქმედებს. ეპარქიებითაა წარმოდგენილი ეს ეკლესია ამერიკის, აზიის, ევროპისა და ოკეანეთის მთელ რიგ ქვეყნებში.

საქართველოში მოქმედებს სომეხთა ეკლესიის საქართველოს ეპარქია, საეპისკოპოსო რეზიდენციით თბილისში.

იერარქია. სრულიად სომეხთა ეკლესიის უმაღლესი ხარისხებია: 1. უმაღლესი პატრიარქი და კათალიკოსი, აგრეთვე, კილიკიის კათალიკოსი – შეუძლიათ ეპისკოპოსების ხელდასხმა, 2. კერძო პატრიარქი ან კათალიკოსი – არა აქვთ ეპისკოპოსების ხელდასხმის უფლება, 3. არქიეპისკოპოსი ან მიტროპოლიტი, 4. ეპისკოპოსი.

სომხური სამოციქულო ეკლესიის სამღვდელოება შედგება სამი ხარისხისაგან: 1. ეპისკოპოსი – შეუძლია საიდუმლოს აღსრულება და სამღვდელოთა ხელდასხმა, 2. მღვდელი – შეუძლია საიდუმლოს აღსრულება, 3. დიაკვანი – ემსახურება მღვდელს საიდუმლოს აღსრულებისას.

სომხური ეკლესიის სამღვდელოება იყოფა შავ (დაუქორწინებელ) და თეთრ (დაქორწინებულ) სამღვდელოებად. ეპისკოპოსებს ირჩევენ შავ სამღვდელოთაგან, რომელთაც აქვთ ვარდაპეტის (მოძღვრის) ხარისხი. ვარდაპეტის ხარისხს შავ სამღვდელოთა შორის თეოლოგიური შრო-

მებით გამორჩეულ მღვდელს ანიჭებს ისეთი ეპისკოპოსი, რომელიც თვითონ ფლობს უმაღლესი ვარდაპეტის ხარისხს.

მოძღვრება. სომხური ეკლესია ცნობს მხოლოდ პირველ სამ მსოფლიო კრებას და მათ მიერ დადგენილ დოგმატებს. ესენია: ნიკეის (325 წ.), კონსტანტინოპოლის (381 წ.) და ეფესოს (431 წ.) კრებები.

სრულიად სომეხთა ეკლესია იყენებს სამ სარწმუნოების სიმბოლოს (მრწამსს): მოკლეს, საშუალოსა და ვრცელს. მოკლე და საშუალო ისეა შედგენილი, რომ არ ჩანს განსხვავება ქალკედონის IV მსოფლიო საეკლესიო კრების (451 წ.) სიმბოლოსაგან. ვრცელი კი შეიცავს ფრაზას, რომელიც არსებითად განასხვავებს სომხური სარწმუნოების სიმბოლოს ქრისტეს ბუნებათა საკითხში: „ერთი პირი და გაერთიანებული ერთი ბუნება“.

სომეხ ღვთისმეტყველთათვის ძე ღვთისა, განხორციელებამდე, ორი ბუნებისაგან შედგება, ხოლო განხორციელების შემდეგ, ბუნებათა შერწყმის შედეგად, ვიღებთ ერთ, ღვთაებრივ ბუნებას. ქალკედონის კრების სარწმუნების სიმბოლოს მიმდევარი ღვთისმეტყველებისთვის კი განხორციელების შემდეგ ძე ღვთისას ბუნებათა შერწყმა არ მომხდარა, ამიტომ ქრისტეს ორი ბუნება გულისხმობს სრულ ღმერთს და სრულ კაცს: ორი ბუნება და ერთი ჰიპოსტასი (სახე).

საბოლოო სახით სომხური ეკლესიის დოგმატური ხედვა ჩამოაყალიბა კათალიკოსმა ნერსეს შნორალიმ (მადლმოსილმა) თავის ეპისტოლეში ბიზანტიის კეისრის მანუილ კომნენოსისადმი – „გარდამოცემა სომხური ეკლესიის სარწმუნოებისა“ (1166 წ.):

1. ძე ღვთისას განხორციელება გამოიხატა ღვთაებრივ და კაცებრივ ბუნებათა გაერთიანებით,
2. იესო ქრისტეს ხორცი თანაარსია ღვთისმშობლის ხორცისა,
3. განხორციელების შემდეგ მივიღეთ ერთი ბუნება ისე, რომ კაცებრივმა ბუნებამ შეინარჩუნა ყველა თავისი თვისება.

საღვთისმეტყველო საკითხებში სომხური ეკლესიისა და სამწყსოსათვის სახელმძღვანელოდ უკვე VII საუკუნიდან შედგენილი იყო სპეციალური კრებულები („ეპისტოლეთა წიგნი“ და „სარწმუნოების ბეჭედი“, ანუ „სარწმუნოების საფუძველი“), რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ივსებოდა ახალი მასალით. ამ კრებულებში მოთავსებული იყო, სრულად ან შესაბამისი ფრაგმენტების სახით, ადგილობრივი და საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე მამათა ეპისტოლეები, ქადაგებები, კითხვა-მიგებანი ან სხვა დოგმატურ-პოლემიკური ხასიათის თხზულებები.

ღვთისმსახურება. სომხურ ეკლესიაში ღვთისმსახურება აღესრულება ძველ სომხურ ენაზე. სომხური ეკლესიის საიდუმლოებებია: ნათლისღება, მირონცხება, ზიარება, ქორწინება, სინანული, მღვდლობა, ზეთის კურთხევა.

სომხური ეკლესია ზიარებისას იყენებს უსაფუარო პურსა და წყალგაურეველ ღვინოს. ქრისტეშობასა და ნათლისღებას იგი აღნიშნავს ერთად – 6 იანვარს. პირჯვარს იწერენ სამი თითით მარცხნიდან მარჯვნივ. სომხური ეკლესიის თავისებურებაა სამკვირიანი მარხვის შენახვა დიდმარხვის წინ. სომხური საეკლესიო ნაგებობებისთვის დამახასიათებელია შედარებით მაღალი საკურთხეველი და ფრესკულ მოხატულობათა არარსებობა.

საეკლესიო მწერლობა. სომხური საეკლესიო მწერლობა სათავეს უდებს სომხური ლიტერატურის ისტორიას. V საუკუნიდან მოკიდებული, სომხურ ენაზე ითარგმნება არა მარტო წმინდა წერილები (ძველი და ახალი აღთქმა, მათი კომენტარები), არამედ გამოჩენილ საეკლესიო მამათა (იოანე ოქროპირის, გრიგოლ ნაზიანზელის, ეფრემ ასურის, ათანასე დიდის, ბასილი დიდის, კირილე ალექსანდრიელისა და სხვათა) თეოლოგიური და საეკლ;ესიო (ევსები კესარიელის, სოკრატე სქოლასტიკოსისა და სხვათა) თხზულებები.

სომხურ ენაზე შემონახულია უმდიდრესი ორიგინალური და თარგმნილი საღვთისმეტყველო და პოლემიკური ლიტერატურა, რომელთა ავტორები, მთარგმნელები ან სპეციალურ კრებულთა შემდგენლები არიან იოანე ოძუნელი (სიბრძნისმოყვარე), სტეფანე სივნიელი, კომიტასი, იოანე

მაირაგომელი, ანანია ნარეკელი, ანანია მოკელი, ნერსეს შნორალი (მადლმოსილი), იოანე ვოროტნელი, გრიგოლ ტათეველი და სხვანი.

სომხური მწერლობის გამორჩეული დარგია ისტორიოგრაფია. უმეტეს შემთხვევაში, სომეხი ისტორიკოსები საეკლესიო მოღვაწეები იყვნენ, ხოლო მათი თხზულებები, საეროსთან ერთად, საეკლესიო ისტორიასაც ასახავს. მაგალითად, აგათანგელოსის „ისტორია“, რომელიც სომხეთში ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადების ისტორიას გადმოგვცემს, მონაზონ ლაზარე ფარპეცისა და მალაქია აბელას, ეპისკოპოსების სებეოსის, უხტანესის, სტეფანოს ორბელიანის, ვარდაპეტების (მოძღვრების) ვარდან დიდის, თომა არწრუნის, კირაკოს განძაკელის, კათალიკოს იოანე დრასხანაკერტეცისა და სხვათა საისტორიო თხზულებები.

სომხური მწერლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია ჰაგიოგრაფია, ანუ წმინდანთა ცხოვრება და მოწამეობა. სომხური ეროვნული ჰაგიოგრაფიის უმთავრესი მახასიათებელია ქრისტიანობისათვის მოწამეობისა და ღვაწლის შერწყმა ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლასთან.

IX საუკუნიდან მოყოებული სომხეთსა და დიასპორაში (უპირატესად კილიკიის სომხეთში) ვითარდებოდა და XII-XIII საუკუნეებში განსაკუთრებით მაღალ დონეს მიაღწია საეკლესიო ხელნაწერი წიგნის კალიგრაფიამ, ტექსტისა და ყდის მხატვრულმა გაფორმებამ.

ისტორია. სომხეთში ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად IV საუკუნის დამდეგს გამოცხადდა. ამ აქტის თარიღად საეკლესიო ტრადიცია 301 წელს ასახელებს, ხოლო ბოლო ხანების სამეცნიერო გამოკვლევები 313 წლის უშუალოდ მომდევნო წლებს უჭერენ მხარს. სომხეთში სახელმწიფო სარწმუნოებად ქრისტიანობა გამოცხადდა თრდატ მესამის დროს, გრიგოლ განმანათლებლის (პართელის) მოღვაწეობისა და ქადაგების შედეგად. ამავე ხანაში გამოჩნდნენ სომხეთის პირველი ქრისტიანი მოწამენი – რომიდან ლტოლვილნი გაიანე, რიფსიმე და მათი მოყვასნი. გრიგოლ განმანათლებელი ლეონტიოს კაპადოკიის კესარიის ეპისკოპოსის ხელდასხმით გახდა სომხეთის პირველი ეპისკოპოსი. მანვე საეპისკოპოსო საყდარი დაარსა ვაღარშაპატში. კათედრალს ეწოდა ეჩმიაძინი. გრიგოლ განმანათლებლის დროსვე შეიქმნა რამდენიმე ეპარქია არსებული სანახარაროების (სამთავროების) შესაბამისად.

VI საუკუნის მეორე ნახევარში მზადდებოდა, ერთი მხრივ, სომხურ მონოფიზიტურ ეკლესიასა და, მეორე მხრივ, ქართლისა და ალბანეთის ეკლესიებს შორის დიდი საეკლესიო განხეთქილება, რომელიც VII საუკუნის დამდეგს, 609 წელს, მოხდა კიდეც: სომხეთის მონოფიზიტური ეკლესიის საპირისპიროდ ქართლმა და ალბანეთმა აშკარად გამოხატული დიოფიზიტობა (ქალკედონიტობა) აირჩიეს.

კათოლიკური ეკლესია

კათოლიკე (კათოლიკური) ეკლესიის მეთაურია რომის პაპი. წმიდა მოციქული პეტრე, რომის პირველი ეპისკოპოსი, კათოლიკეთა თვალსაზრისით, თავის მყოფობას აგრძელებს რომის ყველა შემდგომი ეპისკოპოსის, ანუ რომის პაპის სახით.

კათოლიკეებს სწამთ, რომ ეკლესია დაარსებულია იესო ქრისტეს მიერ და თავად მეთაურობს მას. მან დააკისრა კათოლიკე ეკლესიას კაცობრიობის ხსნა და სწორედ და მხოლოდ ამ ეკლესიაშია დაცული მხსნელ საშუალებათა მთელი სისავსე (სარწმუნოების სწორი და სრული აღიარება წმიდა წერილისა და წმიდა გადმოცემის ურყევი ერთგულებით, ყველა საიდუმლოს აღსრულება იესო ქრისტეს მიერ დაწესებულ განჩინებათა თანახმად, სამღვდელო მსახურება ხელდასხმის გზით მოციქულთა მემკვიდრეობითობის შენარჩუნებით). კათოლიკეებს მიაჩნიათ, რომ იესო ქრისტე მართავს თავის ეკლესიას რომის პაპისა და იმ ეპისკოპოსთა დასის მეშვეობით, რომლებიც პაპთან კანონიკურ თანაზიარებაში იმყოფებიან.

თავად სიტყვა „კათოლიკე“ ბერძნული წარმოშობისაა, რაც ნიშნავს „ყოვლისმომცველს“, „საყოველთაოს“, „მსოფლიოს“ და ეს განსაზღვრება ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანი იყო ქრისტიანუ-

ლი ეკლესიისათვის უძველესი დროიდან. ეკლესიას იმიტომ ეწოდება კათოლიკე, რადგან მასში დაცულია მხსნელ საშუალებათა მთლიანობა, მაგრამ, გარდა ამისა, ის თავადაა საყოველთაო და მოწოდებულია მთელ მსოფლიოში გასავრცელებლად. მისი მიზანი და სწრაფვაა, ეკლესიის ერთიანობაში მთელ კაცობრიობას მოუყაროს თავი იესო ქრისტეს წინამძღოლობით.

ქრისტიანული სამყაროს დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად თანდათანობითი გაყოფის შემდეგ, ტრადიციულად, „კათოლიკე ეკლესიის“ სახელწოდება შეინარჩუნა საქრისტიანოს იმ ნაწილმა, რომელიც თანაზიარებაში იმყოფება რომის პაპთან.

კათოლიკეების რწმენით, იესო ქრისტემ წმიდა პეტრეს, როგორც მოციქულთა მეთაურს, მიანდო, ყოფილიყო მთელი ეკლესიის საფუძველი და მოძღვარი, პეტრეს მსახურებას კი აგრძელებენ და ქრისტეს მეორედ მოსვლამდე გააგრძელებენ მოციქულთა მეთაურის უშუალო, უწყვეტი და კანონიერი მემკვიდრენი – რომის ეპისკოპოსები, ანუ რომის პაპები, რომლებსაც კათოლიკეები ქრისტეს ამქვეყნიურ ნაცვლად მიიჩნევენ. კათოლიკე ეკლესია ყველაზე მრავალრიცხოვანი ეკლესიაა მსოფლიოში. ამავე დროს, კათოლიკური კონფესია ყველაზე მრავალრიცხოვანია, საერთოდ, მსოფლიოში არსებულ რელიგიურ აღმსარებლობათა შორის. კათოლიკეთა რაოდენობა ერთ მილიარდ ორას მილიონ ადამიანს უახლოვდება. კათოლიკე ეკლესია გავრცელებულია მთელი დედამიწის ზურგზე. არც ერთ კონტინენტზე არ არსებობს სახელმწიფო, სადაც არ ცხოვრობდნენ კათოლიკეები ან არ მოქმედებდეს კათოლიკური საკრებულო. ევროპის, ჩრდილოეთ თუ სამხრეთ ამერიკის, აზიის, აფრიკისა და ოკეანიის მრავალ სახელმწიფოში მოსახლეობის უმრავლესობა კათოლიკეა.

კათოლიკე ეკლესია ერთიანი, მთლიანი, საერთაშორისო, ცენტრალიზებული დაწესებულებაა, რომელი, მოქალაქეობის, ეროვნების, ენისა და კულტურის მიუხედავად, დედამიწის ყველა ქვეყნის კათოლიკეს აერთიანებს. როცა ცალკეულ ადგილას ადგილობრივი საკრებულო ან ადგილობრივი ეკლესია არსებობს, ის მაინც სავსებით კათოლიკურია, თუკი ის თანაზიარებაში იმყოფება რომის ეპისკოპოსთან.

მოძღვრება. კათოლიკეებს მიაჩნიათ, რომ ეკლესიის მოძღვრება ემყარება ღვთაებრივ გამოცხადებას, ესე იგი, იმ ჭეშმარიტებებს, რომელიც თავად ღმერთმა გამოუცხადა ადამიანებს მათი ხსნისათვის. ამ ჭეშმარიტებებს ეკლესია აყალიბებს მოძღვრების სახით, გადასცემს მას მორწმუნეებს და იცავს მის შეუბღალაობას. კათოლიკე ეკლესიის მოძღვრებას კათოლიკეები „მართლმადიდებელ სარწმუნოებად“ მიიჩნევენ.

ღვთაებრივი გამოცხადება – ადამიანისათვის ღმერთის გაცხადება – სხვადასხვა საშუალებებით ხორციელდება. პირველ ყოვლისა, თავად სამყაროს შეთანხმებულობა, მოწესრიგებულობა და სიდიადე ადასტურებს, რომ უეჭველად არსებობს მისი შემქმნელი – უმაღლესი შემოქმედი გონება. ამასთანავე, ღმერთი ადამიანებს ელაპარაკება მათს გულებში და სწორედ ამ ღვთაებრივი ხმის გამოვლინებაა სინდისი, რომელიც ზნეობის საფუძვლების გაცნობიერებისა და, შესაბამისად, ზნეობრივი ქცევის საშუალებას იძლევა. მაგრამ ყველაზე უფრო სრული და პირდაპირი სახით ღმერთმა საკუთარი თავი ადამიანებს გაუცხადა ზებუნებრივ გამოცხადებაში, ამ გამოცხადებას კაცობრიობა ეზიარა ღმრთის მიერ გამოგზავნილ წინასწარმეტყველთა ქადაგებების საშუალებით და ცალკეულ ისტორიულ მოვლენათა გზით, რომლებშიც ღმერთის განსაკუთრებული მონაწილეობა გამოვლინდა. მაგრამ ღვთაებრივმა გამოცხადებამ უმაღლესი და საბოლოო სისავსე ქვეყნად მოვლენილი ღმერთის ძის – იესო ქრისტეს ქადაგებასა და საქმიანობაში შეიძინა. სწორედ იესომ დააკისრა მოვალეობად თავის მოწაფეებს, ესე იგი, ეკლესიას, უქადაგოს მისი მოძღვრება ყველა ხალხს და გაავრცელოს ის მათ შორის.

ეკლესიის მოძღვრება ეფუძნება წმიდა წერილსა და წმიდა გადმოცემას. წმიდა წერილი, ანუ ბიბლია, შედგება ძველი და ახალი აღთქმის წიგნებისაგან, რომელთა ტექსტები შექმნილია ღმრთაებრივი შთაგონებით, რის გამოც მათ ღმრთივშთაგონებული ეწოდება.

სამყაროს ყველა ქმნილებათა შორის ღმერთთან განსაკუთრებული მსგავსებითა და სიახლოვით გამოირჩევა ადამიანი, რომელსაც ღმერთმა მთელი სამყარო მიანიჭა სამფლობელოდ. ადამიანი თავდაპირველად შექმნილი იყო ნეტარი ცხოვრებისა და ღმერთთან სრულყოფილი ურთიერთობისათვის, თუმცა პირველმა ადამიანებმა ბოროტად ისარგებლეს თავისუფლებით და დაარღვიეს საღმრთო აღთქმა, ჩაიდინეს პირველი ცოდვა, რაც ეშმაკისეული ცდუნების შედეგი იყო (ეშმაკი ღმრთისაგან განდგომილი და მის მტრად ქცეული ანგელოზია). პირველ ცოდვას შედეგად მოჰყვა მრავალი ტანჯვა და უბედურება, რაც ადამიანის ხვედრად იქცა, მათ შორის – სიკვდილის გარდაუვალობა. პირველ ცოდვას დაერთო სხვა ცოდვებიც, რამაც კიდევ უფრო დაამძიმა ადამიანის მდგომარეობა. ცოდვის მონობისაგან ადამიანს აღარ შეეძლო თავად დაეხსნა საკუთარი თავი. ამისათვის აუცილებელი იყო საგანგებო ღვთაებრივი შემწეობა – მადლი, რომელსაც ღმერთი ანიჭებს ადამიანს, თავად ადამიანის მხრივ რამე დამსახურებათა მიუხედავად და დამოუკიდებლივ.

ევანგელურ – ლუთერანული ეკლესია

ევანგელურ-ლუთერანული ეკლესია ერთ-ერთი უდიდესი პროტესტანტული ეკლესიაა. დღეს მსოფლიოში არსებული 220-ზე მეტი ლუთერანული ეკლესია, მისია და დამოუკიდებელი სამრევლო სათავეს იღებს იმ რეფორმატორული მოძრაობიდან, რომელიც გვიანი შუასაუკუნეების კათოლიკური ეკლესიის წიაღში აღმოცენდა და XVI საუკუნეში მოღვაწე გერმანელი თეოლოგის, მარტინ ლუთერისა და მისი მიმდევრების სახელთანაა დაკავშირებული.

სახელი ევანგელური რეფორმაციის პერიოდიდან მოდის და ხაზს უსვამს რწმენის ძირითად საფუძვლად სახარების გამოყენების პრინციპს. ტერმინ ლუთერანულს თავდაპირველად კათოლიკეები იყენებდნენ და ამით ისინი ლუთერის მიმდევრებს მწვალებლებად ახასიათებდნენ. მოგვიანებით თავად ლუთერანებმაც დაიწყეს ამ ტერმინით საკუთარი თავის აღნიშვნა.

მარტინ ლუთერი და ლუთერანები. მარტინ ლუთერი კათოლიკე ბერი და ღვთისმეტყველების დოქტორი იყო. იგი დიდ დროს უთმობდა წმიდა წერილის შესწავლას. კვლევის პროცესში მას კრიტიკული დამოკიდებულება ჩამოუყალიბდა კათოლიკურ ეკლესიაში გავრცელებული ზოგიერთი წესის მიმართ. თავდაპირველად მარტინ ლუთერს კათოლიკური ეკლესიის რეფორმა სურდა და მიზნად არ ისახავდა ეკლესიის გაყოფას. ლუთერის პირველი რეფორმატორული ნაბიჯი კათოლიკურ ეკლესიაში გავრცელებული ინდულგენციებით ვაჭრობის წინააღმდეგ გალაშქრება იყო. ეს წესი ეკლესიისთვის შემოწირულობის ხარჯზე ცოდვის გამოსყიდვას ან შემსუბუქებას გულისხმობდა. 1517 წლის 31 ოქტომბერს ლუთერმა 95 თეზისი გააკრა ვიტენბერგის ტაძრის კარზე, რომლითაც ხალხს მოუწოდა ინდულგენციებით ვაჭრობის მართებულობაზე დაფიქრებულიყო. 95 თეზისით ლუთერმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა რომის პაპის ავტორიტეტი, რწმენის უმთავრეს და ერთადერთ ავტორიტეტად კი ბიბლია გამოაცხადა.

კათოლიკური ეკლესიის მხრიდან, უკმაყოფილების მიუხედავად, ლუთერი აქტიურად ქადაგებდა და აქვეყნებდა კრიტიკულ თხზულებებს შერყვნილი დოქტრინის თაობაზე. ინდულგენციებით ვაჭრობის კრიტიკა რომის პაპის კრიტიკად იქნა აღქმული და ამით დაიწყო დიდი დაპირისპირება, რომელიც ეკლესიის გაყოფით დამთავრდა. ლუთერს ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა, თუმცა გავლენიანი მტრებიც არ აკლდა. რომის პაპმა მას მოუწოდა უარი ეთქვა თავის იდეებზე. ლუთერმა დაწვა პაპის ბულა, რასაც მისი და მისი მომხრეების ეკლესიიდან განდევნა მოჰყვა.

1521 წელს ლუთერი ვორმსში წარდგა სამსჯავროს წინაშე, სადაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მხოლოდ წმიდა წერილს ეყრდნობოდა და არა პაპის ავტორიტეტს. მოგვიანებით გამოიცა ვორმსის ვერდიქტი, რომელმაც ლუთერი და მისი მომხრეები კანონგარეშედ გამოაცხადა.

ლუთერის იდეები სწრაფად გავრცელდა. ლუთერი თარგმნიდა ბიბლიას გერმანულად, ურთავდა წინასიტყვაობას, განმარტებებს, აქვეყნებდა თავის ქადაგებებს. გერმანული მთავრების

ნაწილმა გაიზიარა ლუთერის ნააზრევი და მოგვიანებით, როცა მისი ნაწერების გავრცელება აიკრძალა, მათ ეს ახალი დადგენილება გააპროტესტეს. მათ, ვინც ვორმსის ედიქტს აპროტესტებდა, პროტესტანტები ეწოდათ. მოგვიანებით ეს სახელი შეერქვა იმ რელიგიურ მოძრაობებს, რომლებიც XVI საუკუნეში რომაულ-კათოლიკურ ტრადიციას ეწინააღმდეგებოდნენ. ამჟამად დაახლოებით 82.6 მილიონი ლუთერანია მთელ მსოფლიოში.

ორგანიზაცია. ლუთერანული ეკლესიის ორგანიზაციული სტრუქტურა ნაკლებად იერარქიულია. ლუთერის მიხედვით, ყოველი მორწმუნე სასულიერო პირია, ამიტომ წაშლილია განსხვავება სამღვდელო და საერო პირებს შორის. შესაბამისად, ორდინაცია არის არა წმიდა საიდუმლო, რომლითაც მღვდლად კურთხევა ხდება, არამედ მღვდლად დასახელება მრევლის მიერ.

სამრევლოს რელიგიური ხელმძღვანელი არის პასტორი. მას უმეტესად მრევლი ირჩევს. იგი აუცილებლად უნდა იყოს თეოლოგი. ეპისკოპოსი, ისევე როგორც პასტორი, ლუთერანული ეკლესიების უმეტესობაში შეიძლება იყოს ქალიცა და მამაკაციც.

რიტუალები. წმიდა საიდუმლოებებთან მიმართებით ლუთერანული ეკლესია განსხვავდება სხვა ეკლესიებისგან. ლუთერისთვის წმიდა საიდუმლოს იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც იგი რწმენის გამყარებას უწყობს ხელს. მხოლოდ ორი საკრამენტი ითვლება წმიდა საიდუმლოდ: ნათლობა და ზიარება.

ლუთერანული ეკლესია უარყოფს მარიამ ღვთისმშობლის და წმინდანების თაყვანისცემას, საეკლესიო იერარქიას და ბერმონაზვნობას. ამქვეყნიური ცხოვრებაც ღვთის ძღვენია და ადამიანის აქტიური მონაწილეობა აუცილებელია ღვთის ქმნილების შესანარჩუნებლად და გასაგრძელებლად. აქედან გამომდინარეობს ოჯახისადმი და ქორწინებისადმი დამოკიდებულებაც. პასტორებს შეუძლიათ იქორწინონ. თავად ლუთერიც ყოფილ მონაზონზე, კატარინა ფონ ბორაზე იყო დაქორწინებული და ცოლ-ქმრულ კავშირს ამქვეყნიურ სიქველედ მიიჩნევდა.

საეკლესიო წელი სამ მთავარ პერიოდად იყოფა: შობის პერიოდი, აღდგომის პერიოდი, სამების პერიოდი. საეკლესიო წლის უმთავრესი დღესასწაულებია: შობა, რომელსაც წინ უძღვის ადვენტი (შობის მოლოდინი) და მოსდევს ეპიფანია (ქრისტეს გამოცხადება), აღდგომა, რომელსაც წინ უძღვის ვნების კვირა, აღდგომის შემდეგ ამაღლება და სულთმოფენობა. სამების პერიოდის დღესასწაულებიდან გამოსაყოფია მოსავლის დღესასწაული და რეფორმაციის დღე.

ლუთერანულ მიმდინარეობას დიდი კულტურული და ინტელექტუალური გავლენა ჰქონდა ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებზე. მძლავრი იყო ლუთერანობის გავლენა მუსიკოსებზე: იოჰან სებასტიან ბახზე, მიხაელ პრეტორიუსზე, ჰაინრიხ შიუტცზე; არანაკლები გავლენა მოახდინა ფილოსოფიაზე. ლუთერანული „წარმომავლობის“ მოაზროვნეები, როგორებიც იყვნენ: კანტი, ფიხტე, ჰეგელი და კირკეგორი თავიანთი იდეების ჩამოყალიბებისას ითვალისწინებდნენ ლუთერანულ ტრადიციას.

კალვინისტური ეკლესია

კალვინიზმი – ეს არის პროტესტანტობის ერთ-ერთი მიმართულება, რომელსაც სათავე დაუდო ფრანგმა თეოლოგმა და მქადაგებელმა ჟან კოვენმა (ლათინიზებული ფორმით – კალვინუს) (1509-1564).

აღნიშნული მიმართულება წარმოიშვა 1530-იან წლებში, ქალაქ ჟენევაში. კალვინიზმს აღიარებს შვეიცარიისა და ჰოლანდიის მოსახლეობის უმრავლესობა. იგი საკმაოდ არის გავრცელებული დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, აშშ-ში, კანადაში, ავსტრალიასა და სამხრეთ კორეაში. კალვინისტთა საერთო რაოდენობა, დღესდღეობით, 35 მილიონია.

ისტორია. თუკი მარტინ ლუთერმა XVI საუკუნეში პროტესტანტული რეფორმაცია დაიწყო პრინციპით, რომლის მიხედვითაც ეკლესიაში უნდა გაუქმებულიყო ყოველივე ის, რაც ეწ;ინააღმდეგებოდა ბიბლიას, ფრანგი იურისტი, ჟან კალვინი უფრო შორს წავიდა – მან ეკლესი-

აში გააუქმა ყოველივე ის, რასაც არ ითხოვდა ბიბლია. ლუთერთან პოლემიკის ძირითადი საგანი ნათლობისა და ზიარების განსხვავებული აღქმა იყო. კალვინი, ლუთერისგან განსხვავებით, მათში მხოლოდ სიმბოლურ შინაარსს დებდა.

გამოდიოდა რა ყველაზე მძაფრად კათოლიციზმის წინააღმდეგ, კალვინიზმი თავად იყო განმსჭვალული კათოლიციზმის შუასაუკუნეობრივი პრინციპებით: შეუწყნარებლობით, უსიტყვო მორჩილების მოთხოვნით ეკლესიის ცალკეულ პირთა მხრიდან. შემდგომში კალვინიზმი მჭიდროდ დაუკავშირდა პოლიტიკურ მოძრაობებს, რის შედეგადაც მან პოლიტიკური პრინციპები გამოიმუშავა. ხელისუფლებასთან კონფრონტაციისას კალვინიზმმა სახალხო, ანტიმონარქიულ ხასიათი მიიღო, დაუახლოვდა რესპუბლიკურ და კონსტიტუციურ პარტიებს. „ღმერთის მორჩილება უფრო გვმართებს, ვიდრე ადამიანებისა“ – ამ პრინციპიდან გამომდინარე კალვინისტები ქადაგებდნენ ტირანული ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას. კალვინიზმი შვეიცარიიდან, სადაც თავის თანამოაზრეებთან ერთად მოღვაწეობდა კალვინი, ვრცელდება გერმანიაში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, შოტლანდიასა და პოლონეთში. მაგრამ ჟენევა დიდხანს იყო კალვინიზმის ცენტრი.

მოძღვრება. კალვინიზმის ცენტრალური დოქტრინა, რომლიდანაც რაციონალურად გამომდინარეობს მისი ყველა სხვა სწავლება, არის ღმერთის სუვერენიტეტი, ანუ ღმერთის უზენაესი ძალაუფლება ყველაფერში. ეს დოქტრინა წარმოადგენს სხვა ქრისტიანული ეკლესიებისგან კალვინიზმის განმასხვავებელ ძირითად ნიშანს.

ლუთერისგან განსხვავებით, კალვინი ამტკიცებდა, რომ სახელმწიფო ვალდებულია არა მხოლოდ ითანამშრომლოს ეკლესიასთან საზოგადოების მართვის პროცესში, არამედ იგი (სახელმწიფო) უნდა დაემორჩილოს ეკლესიის დადგენილებებს და ამით აღასრულოს ღვთის სამართალი. კალვინიზმისთვის ნიშანდობლივია აგრეთვე სწავლება წინასწარგანსაზღვრულობის შესახებ, რომლის თანახმად, რჩეულობის ნიშანია საერო საქმეებში წარმატებულობა.

კალვინის მიერ წარმოდგენილმა საერო ასკეტიზმის ეთიკურმა იდეალმა, რომელიც გმობდა ფუფუნებისა და პარაზიტიზმის გამოვლინებებს, დიდი როლი შეასრულა კაპიტალიზმის ფორმირების პროცესში.

§4. იეჰოვას მოწმეები

„იეჰოვას მოწმეები“ არ იზიარებენ ზოგადქრისტიანული მოძღვრების ძირითად პრინციპს – ერთარსება სამების დოგმატს.

მსოფლიოში იეჰოვას მოწმეების რიცხვი ამჟამად, მათივე ინფორმაციის მიხედვით, შვიდ მილიონს აღწევს. საკრებულოები თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს, მათ შორის საქართველოშიც.

მათ სულიერ ცხოვრებასა და მოღვაწეობას კოორდინაციას უწევს ცენტრი, რომელიც ნიუ-იორკის გარეუბანში, ბრუკლინში, მდებარეობს. იქ არის უზარმაზარი შენობა, რომელსაც ასევე, საგუშაგო კოშკს უწოდებენ. იქვეა პრეზიდენტის რეზიდენცია, რომელიც ამ მოძღვრების რაც შეიძლება ფართოდ გავრცელებისა და ფილიალების (ეკლესიების) მისიონერული პრაქტიკის წახალისებისათვის ზრუნავს. ეს ზრუნვა გამოიხატება როგორც ცოდნის გაზიარებაში, ისე მატერიალურ დახმარებაში, ხელის შეწყობაში ბიბლიის ტექსტის დაზუსტების, დადგენისა და გამოცემათა ხარისხის გაუმჯობესებისათვის, სარწმუნოებრივი შინაარსის სხვა ლიტერატურის მომზადებისა და გავრცელებისათვის, დიდი მასშტაბის კონფერენციებისა და კონგრესების მოწვევისათვის. ხსენებული ჟურნალები დღეისათვის მსოფლიოში ყველაზე მასობრივ ჟურნალებს წარმოადგენს. ისინი გინესის რეკორდების წიგნშია შეტანილი. მათი საერთო ყოველთვიური ტირაჟი ამჟამად 62 მილიონს აღწევს და 158 ენაზე გამოდის.

სახელწოდება. სახელები „იეჰოვა“ და „მოწმეები“ (ძვ. ქართ. „მოწამენი“) მომდინარეობს ბიბლიიდან. პირველი მათგანი ძველ აღთქმაში გაცხადებული ღმერთის თვითსახელია, მეორე – ზედსართავი, რომელიც ღვთის ერთგული ადამიანების მიმართ იხმარება. გამოსვლათა წიგნის მე-3

თავში გადმოცემულია გამოცხადება, რომელიც ისრაელიანთა წინამძღოლმა და წინასწარმეტყველმა მოსემ იხილა. მან, როდესაც ცხვარს მწყემსავდა, დაინახა მაყვლის ბუჩქი, რომელსაც ცეცხლი ეკიდა, მაგრამ არ იწვოდა. ამ დროს ღმერთმა მას დაავალა, რომ საღვთო ერი, ისრაელიანები, მონობის ქვეყნიდან გამოეყვანა და საკუთარი სახელიც გამოუცხადა: „მე ვარ, რომელი ვარ...“. საღვთისმეტყველო თვალსაზრისით ეს ბიბლიის ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილია. აქ ღმერთი წუთისოფელს არა მარტო გამოეცხადა, არამედ თავისი სახელიც გააგებინა. სახელი, და ისიც ღვთის სახელი, არაა უბრალო ნიშანი, ერთი საგნის მეორისაგან მექანიკურად განმასხვავებელი. ღვთის სახელში ღვთის არსებაა არეკლილი. შესიტყვება „მე ვარ, რომელიც ვარ“ არის თარგმანი ებრაული შესიტყვებისა: „ეჰიე აშერ ეჰიე“. ამ სიტყვების შეკუმშული ფორმაა ტეტრაგრამატონი (ოთხასოედი) „ჲჰვა“, რომელიც ასე გამოითქმის: ჲაჰვე.

„იაჰვე“ გამოხატავს ცნებებს: არსებული, მყოფი, ჭეშმარიტი. ამდენად, „იაჰვე“ არის ატრიბუტი, განსაზღვრება და ეპითეტი, რომელიც ღვთის თვისებას და არსებას ყველაზე ზუსტად და ადეკვატურად გადმოსცემს: ღმერთი არის თვითარსებობა, თავისთავადი ნება, აბსოლუტური და უსაზღვრო თავისუფლება, ერთი სიტყვით, – ჭეშმარიტება თავისთავად. ამასთანავე: იაჰვე არა მარტო ღვთის ყველაზე სრულყოფილი და აღმატებული ეპითეტია, არამედ – საკუთარი სახელი. აი, რა უთხრა უფალმა მოსეს: „ეს არის ჩემი სახელი უკუნითი უკუნისამდე, ეს არის ჩემი სახსენებელი თაობიდან თაობამდე“ (გამ. 3:15).

ხალხი, რომელიც შემოქმედ ღმერთს იეჰოვად მოიხსენიებს და ამას წესად ამკვიდრებს, საკუთარ თავს მოწამეს ანუ, ახალი ქართულით, მოწმეს უწოდებს.

მოძღვრება. იეჰოვას მოწმეები თავიანთი სარწმუნოების, რელიგიური და ზნეობრივი ცხოვრების ერთადერთ ავტორიტეტად საღვთო წერილს (ბიბლიას) ასახელებენ. ისინი თვლიან, რომ მათი ყველა დებულება, რაც დღემდე შეუმუშავებიათ (ანდა შეიმუშავებენ) უსათუოდ ბიბლიას, და მხოლოდ ბიბლიას, უნდა ემყარებოდეს. ამასთანავე (რაც არსებითია) აღიარებენ, რომ შესაძლებელია, ამ დებულებათა ცალკეული საკითხები დროდადრო, ბიბლიის გულმოდგინე კვლევისა და წინასწარმეტყველებათა აღსრულების კვალდაკვალ, შეიცვალოს, ანდა დაზუსტდეს და დაკონკრეტდეს.

იეჰოვას მოწმეთა მოძღვრების სპეციფიკური ნიშანი, რითაც ისინი ქრისტიანთა დანარჩენ ნაწილს უპირისპირდებიან, იესო ქრისტეს პიროვნების მათეული დეფინიციაა. მათაც, ისევე როგორც ყველა ქრისტიანს, სწამთ, რომ იესო ღვთის მხოლოდშობილი ძეა, შობილი (დაბადებული) მამისაგან ხილული და არახილული (ე.ი. ანგელოზური) სამყაროს გაჩენამდე. იგი სრულყოფილი და ცოდვისაგან თავისუფალია. მამამ (ღმერთმა, იაჰვემ) შვილი წუთისოფელში კაცთა მოდგმის წუთისოფლისაგან გამოხსნისათვის, გამოსყიდვისათვის მოავლინა. მან პირნათლად მოიხადა ვალი და მისია აღასრულა: ივნო, ძელს ეცვა, მოკვდა და დაიმარხა, ყველას ნაცვლად გაიღო მსხვერპლი და ამ მსხვერპლს გამომსყიდველი ძალა აქვს, იგი მკვდრეთით აღდგა, ამაღლდა და მამის მარჯვნივ დაჯდა. ამდენად, იესო არის მაცხოვარი, რომელმაც კაცი ღმერთს შეარიგა. იგი ქრისტიანთა საკრებულოს (ეკლესიის) თავია და ამ საკრებულოდ „იეჰოვას მოწმეები“ თავიანთ თავს მოიაზრებენ.

იეჰოვას მოწმეებს სწამთ, რომ არსებობს სულიწმიდა, რომელიც არის ღვთის ყოვლისშემძლე მოქმედი ძალა – ღმერთი სიკეთეს ამ ძალის მეშვეობით იქმს. ამდენად, ისინი აღიარებენ ღვთის ძესაც და მის წმიდა სულსაც, მაგრამ არც ერთს მიიჩნევენ ბუნებით, ე.ი. ჭეშმარიტ ღმერთად. უფრო რომ დავაზუსტოთ, არც ერთსა და არც მეორეს ისინი მამის (ე.ი. ჭეშმაერიტი, ბუნებითი ღმერთის) თანაარსად არ რაცხენ. ამდენად, იეჰოვას მოწმეები ზოგადქრისტიანულ დოგმატს ღვთის ერთარსება-სამებობის შესახებ არ ცნობენ. იესო ქრისტეს ისინი ქმნილებად (პირველქმნილებად, მაგრამ მაინც ქმნილებად) რაცხენ. ასევე დარწმუნებული არიან, რომ იგი (იესო) ბოძზე (ძელზე) გააკრეს და არა ჯვარზე. მაშასადამე, მათთვის ბერძნული სიტყვა „სტავროს“ მხოლოდ

და მხოლოდ ძელს (ბოძს) ნიშნავს და არავითარ შემთხვევაში – ორ ერთმანეთზე გადაჭდობილ ძელს, ანუ ჯვარს.

იეჰოვას მოწმეები ამბობენ, რომ ადამიანს არა აქვს უკვდავი სული, სული (ერთეულის მნიშვნელობით) თავად ადამიანია. ამიტომ საყოველთაო აღდგომისა და განკითხვის დროს ღვთის სამეფოში მხოლოდ მართალი ადამიანები შევლენ. ცოდვილთა სულები, მათ სხეულთან ერთად, გაქრება. თუ ასეა, ცხადია, სამოთხე და ჯოჯოხეთი არ არსებობს. სამოთხე იგივე იაჰვეს სამეფოა, რომელიც ქვეყნიერების განკითხვის შემდეგ დამყარდება.

იაჰოვას მოწმეთა მოძღვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბრძოლას ქრისტესა და ლუციფერს შორის. უკანასკნელი კეთილი ანგელოზი იყო, მაგრამ ამპარტავნების სენი შეეყარა და ზეციურ მამასთან გათანაბრება მოისურვა. მან აცდუნა ადამი და ევა და, რადგან ღვთის უძლურების ილუზია შექმნა, ყოვლისშემოქმედს ომი გამოუცხადა. ეს ომი დღემდე გრძელდება. მან უმძაფრესი სახე მას შემდეგ მიიღო, რაც სატანის ამქვეყნიური სამეფო – საბჭოთა კავშირი და სოციალისტური ბანაკი – შეიქმნა. 1918 წელს დედამიწაზე იესო ქრისტე დაბრუნდა და აღნიშნული ომის ახალი ფაზა – არმაგედონი – დაიწყო. მისი მიზანი ყველა სატანისეული სახელმწიფოს დამსხვრევაა, რის შედეგადაც მოისპობიან ურწმუნონი და შეიქმნება ერთიანი, თეოკრატიული, იეჰოვას მოწამეთა ღვთაებრივი სახელმწიფო, შეიმუსრება ლუციფერი და მისი არმია. მაგრამ სანამ არმაგედონი დამთავრდება, მანამდე მთელი წუთისოფელი და, შესაბამისად, ყველა სახელმწიფო ცოდვის ტყვედ რჩება.

იეჰოვას მოწმეები, რადგან თავს ჭეშმარიტ ქრისტიანებად რაცხენ, თვლიან, რომ ისინი, ისე როგორც ქრისტე, სულით და გონებით ამა ქვეყნის ნაწილი არ არიან. ესაა მიზეზი, რომ იეჰოველები არც პოლიტიკურ ბრძოლებსა და არც სახელმწიფოთაშორის კონფლიქტებში არ მონაწილეობენ, არც კონფესიათაშორის ურთიერთობებში (ინტერკონფესიურ მოძრაობაში) და ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრებიც არ არიან.

პრაქტიკა. იეჰოვას მოწმეთა ღვთისმსახურება პროტესტანტული ეკლესიების ღვთისმსახურებისაგან არსებითად არ განსხვავდება. მათ კრებებზე ცენტრალური ადგილი ბიბლიის კითხვა-შტუდირებას, ე.ი. კითხვა-კომენტირებას უჭირავს.

დღესასწაულების რიცხვი მცირეა. მათ კალენდარში განსაკუთრებული ყურადღება ქრისტეს ვნებას და დასაფლავებას ეთმობა. ამ დღეს (ვნების პარასკევს) მორწმუნეები ერთმანეთს ხელიდან ხელში გადასცემენ უფუარ პურსა და ღვინიან თასს, როგორც ქრისტეს სიმბოლურ ხორცსა და სისხლს. სახლი, სადაც ეს და მსგავსი რიტუალები იმართება, „სამეფო დარბაზად“ იწოდება.

იეჰოვას მოწამეთა სარწმუნოებრივი პრაქტიკის შემადგენელი ნაწილია ინტენსიური მისიოლოგია, ანუ სარწმუნოების მიღმა მყოფ ხალხთან ინდივიდუალური მუშაობა, ოჯახებში მისვლა და რელიგიურ-საგანმანათლებლო საუბრების მშვიდ ვითარებაში წარმართვა. ცნობილია ისიც, რომ იეჰოველები ზნეობრივი კოდექსისა და ოჯახის სიწმინდის მიმართ დიდ ყურადღებას იჩენენ. ცდილობენ იყვნენ კანონმორჩილნი, შრომისმოყვარენი და გადასახადების კეთილსინდისიერად გადამხდელნი, ეწევიან ქველმოქმედებას.

§5. ისლამი

ისლამი სამიდან ერთ-ერთი აბრაამული, მონოთეისტური მსოფლიო რელიგიაა, რომელიც იუდაიზმისა და ქრისტიანობის შემდეგ წარმოიშვა (VII ს.). გარკვეულწილად, ორივე წინა რელიგიის წერილობითსა და ზეპირ ტრადიციებს მოიცავს. ეს ტრადიციები, მუსლიმთა რწმენით, შევსებულია ახალი გამოცხადებით და, შესაბამისად, ახალი საღვთო ლიტერატურით. ესაა, პირველ ყოვლისა, ყურანი, რომელიც, თვითშეფასების თანახმად, მანამდე არსებულ ყველა საღვთო გამოცხადებას ავსებს, აზუსტებს და აგვირგვინებს.

ისლამი არაბულ გარემოში, ერთ-ერთი არაბული ტომის წიაღში ჩამოყალიბდა. გამოცხადება მოციქულსაც არაბულ ენაზე ეუწყა და საღვთისმეტყველო და საღვთისმსახურო ლიტერატურაც ამ ენაზე დაიწერა, მაგრამ იგი ასპარეზზე მსოფლიო რელიგიის ნიშნით გამოვიდა და სხვადასხვა რელიგიური და კულტურული ტრადიციების ქვეყნებსა და ხალხებში სწრაფად გავრცელდა.

დღეისათვის ისლამი დედამიწის თითქმის ყველა რეგიონშია წარმოდგენილი. ბევრგან იგი, ოფიციალურად თუ არაოფიციალურად, სახელმწიფო ინსტიტუტის რანგშია აყვანილი და პოლიტიკურ-სოციალური და კულტურული გარემოს ხასიათს განსაზღვრავს. მსოფლიოში მუსლიმთა საერთო რიცხვი ამჟამად მილიარდს აღემატება.

ისლამის წარმოშობის ისტორია. ისლამი არაბეთის ნახევარკუნძულზე VII საუკუნის შუა წლებში ჩამოყალიბდა. იმ დროს ეს მხარე, უპირატესად, არაბებით იყო დასახლებული. ისინი პოლითეისტები იყვნენ და სხვადასხვა ღმერთს ეთაყვანებოდნენ. წარმართობა იქ წარმოდგენილი იყო როგორც ადგილობრივი, ისე ირანიდან და რომის იმპერიიდან შემოტანილი კულტებით. არაბეთის ნახევრაკუნძულზე გადასახლებულთა შორის იყვნენ ებრაელებიც და ქრისტიანებიც, – უმეტესად ის ქრისტიანები, რომელთა მრწამსი საეკლესიო კრებებმა ერესად შეაფასა და, რომლებსაც ბიზანტიის იმპერატორები სდევნიდნენ. როგორც მკვლევარები ამბობენ, იქ სარწმუნოებათა და კონფესიათა ქაოსი იყო. მით უმეტეს, რომ ამ ნახევარკუნძულზე არ არსებობდა ცენტრალიზებული სახელმწიფო და თითქმის არ ვრცელდებოდა რომელიმე ქვეყნის რეჟიმი.

არაბთა შორის ყველაზე მეტად ყურეიშელთა (კურაიშის) ტომი დაწინაურდა, რომელთა ღვთაებას ალლაჰი ერქვა. ეს სახელი ეტიმოლოგიურად, სავარაუდოდ, კავშირშია ებრაელთა უზენაესი ღმერთის სახელთან – ელოაჰ. საქმე ისაა, რომ ებრაელი ხალხი და მათი რელიგია არაბებისათვის ძველთაგანვე იყო ცნობილი. გასათვალისწინებელია, რომ ორივე სემიტი ხალხია და მათ ენებს საერთო ფუძე აქვთ. არაბთა ტომებმა ებრაელებისაგან ისტორიული კონტაქტების შედეგად შეითვისეს მოსეს რჯულის ზოგიერთი ელემენტი, რაც ყურეიშელების კულტმსახურებაშიც უნდა ასახულიყო, კერძოდ, ღვთაების სახელსა და შინაარსში.

ყურეიშელთა წარმომადგენელი იყო ვაჭარი მუჰამედი (მუჰამმადი), რომელმაც კაცობრიობას ახალი რელიგიური სისტემა შესძინა. მუჰამედი (მუჰამმად იბნ აბდ ალლაჰ) 570-632 წლებში ცხოვრობდა. იგი ქალაქ მექაში, ჰაშიმის გვარში, ღარიბი ვაჭრის, აბდალაჰის, ოჯახში დაიბადა. მუჰამედი ადრე დაობლდა. მისი აღზრდა ბიძამ იკისრა. მუჰამედმა ბავშვობა მოჯამაგირეობაში გაატარა. იყო მწყემსი, შემდეგ – ქარავნის გამყოლი (აქლემთა გამრეკავი). გადმოცემის თანახმად, იგი იმდენად კეთილშობილი ბავშვი ყოფილა, რომ მას „ალ-ამანი“, ანუ „სანდო“ შეარქვეს.

დაახლოებით 595 წელს მუჰამედმა მდიდარი ქალი ხადიჯა (ჰადიჯა) შეირთო და ვაჭარი გახდა. მათ შვიდი შვილი შეეძინათ, მაგრამ ვაჟები (კასიმი და აბდ ალაჰი) ჩვილობის ასაკში გარდაიცვალნენ. ამ ტრაგედიამ მუჰამედში შინაგანი გარდატეხა მოახდინა – მის არსებას ყოფნა-არყოფნის კითხვები დაეუფლა.

მექა და მისი შემოგარენი ერთგვარ რელიგიურ ცენტრს წარმოადგენდა. წარმართი არაბების გვერდით ებრაელები და ქრისტიანები ცხოვრობდნენ. აქ ყველას თავისი სალოცავი ჰქონდა, მაგრამ ყურადღებას, პირველ ყოვლისა, ტაძარი ქააბა იპყრობდა. ტაძარში ესვენა შავი ქვა. არაბული გადმოცემის მიხედვით, ალლაჰმა სამოთხიდან გამოძევებულ ადამს, წყალობის ნიშნად, ეს ქვა გარდამოუვლინა, რომელიც თავდაპირველად თეთრი იაგუნდი იყო, მოგვიანებით კი ადამიანთა ცოდვების გამო გაშავდა, რათა ვეღარ დაენახათ სამოთხე, მის სიღრმეში რომ ჩანდა. მექელებს მიაჩნდათ, რომ ადამის შვილმა შისმა (სეთმა) მისთვის ტაძარი ქააბა ააგო.

მუჰამედი ქააბას მომლოცველი იყო. იგი ებრაელთა სინაგოგებში და ქრისტიანთა ეკლესია-მონასტრებშიც დადიოდა. ხშირად უდაბნოშიც, მთებსა და გამოქვაბულებში, ბერმონაზვნების მსგავსად, განმარტოვდებოდა და ლოცვებს აღავლენდა. ყურანის თანახმად, როდესაც მუჰამედი ორმოცი წლის იყო, მას ანგელოზი გამოეცხადა და ალაჰის სიტყვა აუწყა. ყურანის 53-ე სურაში

აღნიშნულია: მან (მუჰამედმა) იხილა ქმნილება, რომელიც მის პირდაპირ, ცის კიდეზე დადგა. შემდეგ მოუახლოვდა და დაეშვა. როდესაც უფრო ახლოს მოვიდა, ორი მშვილდის მანძილზე, „ზეშთააგონა თავის მონას, რაც ზეშთააგონა“. მუსლიმური ტრადიციით, ეს „ქმნილება“ მთავარანგელოზი ჯიბრაილია (გაბრიელი). ჯიბრაილს ხელში გრაგნილი ეჭირა და ტექსტს კითხულობდა, მუჰამადი კი იმეორებდა და იმახსოვრებდა. პირველ გამოცხადებას მეორე მოჰყვა და ა.შ. თითოეული სიტყვა, ე.ი. გამოცხადება, მთავრდებოდა მოწოდებით: „მოჰყევ!“ ანუ: სხვასაც უამბე, რაც მოისმინე! მუჰამადი მოხმობას დაჰყვა და ამიერიდან იგი წინასწარმეტყველი (ნაბი) და ერთი ღმერთის – ალაჰის – მოციქული (რასულ) გახდა.

მუჰამედის გამოცხადებისეული მოძღვრება თავდაპირველად მისმა ახლობლებმა, მეგობრებმა და ნათესავებმა ირწმუნეს, პირველ ყოვლისა, ხადიჯამ და ბიძაშვილმა, რომელიც, იბნ ისჰაკ ალ-მუტალიბის (VIII ს.) ცნობით, ქრისტეს რჯულს იცნობდა ან სულაც ქრისტიანი იყო. სწორედ მან დაარწმუნა მუჰამედი, რომ მას ის შეემთხვა, რაც მოსემ სინას მთაზე იხილა და განიცადა.

მალე ხადიჯა გარდაიცვალა და მუჰამედმა ორი ცოლი შეირთო. მათგან უმცროსი ერთ-ერთი პირველი თანამორწმუნის, აბუ ბაქრის ქალიშვილი იყო. ოჯახურ გარემოს მუჰამედის მისიისათვის ხელი არ შეუშლია. მან ალაჰის ნების შესრულება გადაწყვიტა. გავიდა ხალხში და ალაჰის სიტყვა – ყურანი – გამოაცხადა.

მუჰამედის ქადაგება იყო მარტივი. ის მექელებს ასაკის, სქესის, სოციალური ფენისა და ეთნიკური წარმომავლობის განუსხვავებლად, მოუწოდებდა, მრავალღმერთიანობის რწმენაზე უარი ეთქვათ და თაყვანი ეცათ ერთი და ერთადერთი ღმერთისათვის, რომელმაც სამყარო და ადამიანი შექმნა.

მუსლიმთა ჯგუფმა, როდესაც მისი წევრების რიცხვმა სამ ათეულს გადააჭარბა, საზოგადო ლოცვა ასაფის ბორცვზე, ახალგაზრდა მუსლიმის არკამის სახლში მოაწყო, რამაც საყოველთაო რეზონანსი გამოიწვია. ეს, ფაქტობრივად, ახალი რელიგიური თემის პირველი საჯარო მსახურება იყო. მმართველმა ელიტამ და საზოგადოების ზედაფენამ საშიშროება იგრძნო და მექაში მუსლიმთა დევნა დაიწყო. საქმე იქამდე მივიდა, რომ მუჰამედის მოკვლაც განიზრახეს და ამიტომ 622 წელს მან მექა დატოვა და ქალაქ იასრიბში გადასახლდა. ამ ემიგრაციას, არაბულად – ჰიჯრას, მუსლიმთა, ანუ ალაჰის მორჩილთა პირველი დიდი თემის ჩამოყალიბება მოჰყვა – აიგო მეჩეთი და ღვთისმსახურების ახალი წესი დაფუძნდა. ამის გამო ჰიჯრას მუსლიმები იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, რომ წელთაღრიცხვას იქიდან, ახ. წ. 622 წლის 24 სექტემბრიდან იწყებენ.

ახალ რჯულზე თითქმის მთელი ქალაქი მოექცა, რის გამოც მას, იასრიბს, მედინა (მადინა) ანუ „წინასწარმეტყველის ქალაქი“ ეწოდა. მედინას თემი შედგებოდა მუჰაჯირებისაგან, ანუ ჰიჯრის დროს მუჰამადთან ერთად გადასახლებულთაგან და ანსარებისაგან ანუ იასრიბ-მედინას მკვიდრი მოსახლეობისაგან, რომლებიც მუჰაჯირებს ნებაყოფლობით დაეხმარნენ და მოციქულის ქადაგება ირწმუნეს. მუსლიმებს არა სისხლით ნათესაობა, არა პოლიტიკური მოქალაქეობა და სოციალური წარმომავლობა, არამედ სარწმუნოება აერთიანებდა. მუჰამედი იუდაიზმსაც და ქრისტიანობასაც გაემიჯნა და ახალ რელიგიას დაუდო სათავე.

630 წელს, ჰიჯრიდან 8 წლის შემდეგ, მუჰაჯირები (ლტოლვილები) მუჰამადის წინამძღოლობით მექაში დაბრუნდნენ, ბრძოლით აიღეს ქალაქი და ზარ-ზეიმით შევიდნენ. ასე შეიქმნა მუსლიმური სახელმწიფო, რომლის რელიგიური და საერო მმართველისა და მთავარსარდლის მისია ისლამის ფუძემდებელმა მუჰამედმა იკისრა.

მუჰამედს ისლამის გავრცელების ფართომასშტაბიანი გეგმა ჰქონდა და დიდი სამხედრო ექსპედიციისათვის ემზადებოდა, მაგრამ 632 წლის 8 ივნისს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, ალაჰის წმინდა შუამავალი მექაში გარდაიცვალა.

არსებობს გადმოცემა, რომლის თანახმად მუჰამედი იერუსალიმსაც ეწვია და წმინდა ადგილები მოილოცა. ამიტომ მექა, მედინა და იერუსალიმი მუსლიმთა წმინდა ქალაქებია.

დღეს, XXI საუკუნის დასაწყისში, ისლამი მილიარდზე მეტ მიმდევარს ითვლის. არაბეთი და მისი მიმდებარე ქვეყნები (ეგვიპტე, სირია, ერაყი, ირანი, თურქეთი და სხვ.), ოფიციალურად თუ არაოფიციალურად, მუსლიმური სახელმწიფოებია. არაბები მუსლიმთა საერთო რაოდენობის 20%-ს შეადგენენ. აზიის ბევრ ქვეყანაში (ინდონეზიაში, პაკისტანში, ბანგლადეშში და სხვ.), ასევე აფრიკასა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ზოგიერთ ნაწილში მუსლიმები უმრავლესობაში არიან.

არაბული ენა, რომელზედაც მუჰამედს ყურანი ეუწყა, ისლამის წმინდა ენად რჩება და მუსლიმები ლოცვებს ამ ენაზე წარმოთქვამენ, თუმცა ნაციონალური ენების საზოგადოებრივ-კულტურულ მნიშვნელობას არავინ უარყოფს.

მიმართულებები (სუნიზმი და შიიზმი). მოციქულის გარდაცვალებიდან ოცდახუთი წლის შემდეგ მუსლიმთა საკრებულოს ერთიანობა დაირღვა. დაისვა კითხვა, თუ ვის უნდა რგებოდა მოციქულის მემკვიდრის, ე.ი. ხალიფას, პატივი. მორწმუნეთა უმრავლესობა პიროვნულ ღირსებას ანიჭებდა უპირატესობას, ნაწილი კი – შთამომავლობას. გაიმარჯვა პირველმა პარტიამ და მოციქულის მოსაყდრედ ჯერ აბუ ბაქრი გამოცხადდა, შემდეგ ომარი და შემდეგ – ოსმანი.

როდესაც მეოთხე ხალიფას არჩევის დრო დადგა, ის პარტია გააქტიურდა, რომელიც მემკვიდრეობითობის პრინციპს გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა. ამ პარტიამ მაშინ წარმატება მოიპოვა. რადგან მუჰამედს ვაჟი არ დარჩა, ხალიფად მისი ბიძაშვილი და სიძე, ქალიშვილ ფატიმას ქმარი, ალი იბნ აბი ტალიბი გამოაცხადეს. დაიწყო სისხლისმღვრელი ომი, რომელმაც ალი შეიწირა: 661 წლის 21 იანვარს ერთ-ერთმა თანამებრძოლმა ქუფის საკრებულო მეჩეთში იგი სასიკვდილოდ განგმირა. ალი მოწამედ გამოაცხადეს და იქვე დაკრძალეს. ეს საფლავი (ქ. ნაჯიფი) დღემდე ალის სულიერ მემკვიდრეთა (შიიტთა) სათაყვანებელი ადგილია.

აღნიშნული (661) წლიდან მუსლიმთა სამყარო ორ ბანაკად გაიყო: სუნიტებად და შიიტებად. ორივე არაბული სიტყვაა: „სუნა“ წმ. გადმოცემას (ტრადიციას) ნიშნავს, „შია“ – პარტიას, ამხანაგობას (მხარდამჭერთა კრებულს), უფრო ზუსტად – მეგობართა პარტიას. პირველნი თავიდანვე უმრავლესობას წარმოადგენდნენ, მეორენი დღესაც უმცირესობაში არიან. შიიტები კანონიერ ხალიფად მხოლოდ მუჰამედის ასულის, ფატიმას, და მისი მეუღლის, ალის შთამომავლებს მიიჩნევენ. ისინი დღესაც აღიარებენ ალისა და მისი შთამომავალი 12 იმამის (ალიდების) კანონიერ ხელისუფლებას და უკანონოდ აცხადებენ არაბეთის პირველ ხალიფებს – აბუ ბაქრს, ომარს, ოსმანსა და სხვებს. ამ უკანასკნელთა გვერდით მუჰამედის საყვარელი ცოლი აიშა იდგა. ალის მიმდევრებმა (შიიტებმა) არ ირწმუნეს „სუნას“ ის ვერსია, რომელიც პირველი სამი ხალიფას მომხრეებმა ჩამოაყალიბეს და სახელმძღვანელოდ გამოაცხადეს. შიიტებმა შეიმუშავეს „ბიდა“ (სიახლე), რომელსაც ისინი „მართებულ სუნად“ მიიჩნევენ. ანტაგონიზმმა შიიტებსა და სუნიტებს შორის მწვავე ხასიათი მიიღო, რაც არაერთხელ გადაზრდილა რელიგიურ ომებში.

1996 წლის მონაცემებით, სუნიტები მსოფლიო მუსლიმური მოსახლეობის 83%-ს შეადგენენ, შიიტები – 16%-ს. შიიტები უმრავლესობა სამ ქვეყანაში არიან – ირანში, აზერბაიჯანსა და ერაყში. მძლავრი შიიტური თემებია ლიბანში, ინდოეთში, პაკისტანში, ავღანეთში, იემენსა და თურქეთში, აგრეთვე – დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში.

მოძღვრება. ისლამი საღვთო მოძღვრებისა და საღვთო მსახურების ერთობლიობაა, რომელსაც მყარი წერილობითი ტრადიცია აქვს. მუსლიმური მოძღვრებისა და ღვთისმსახურების პირველწყაროა ყურანი. მუსლიმთა რწმენით, ესაა „ღვთაებრივი ზეშთაგონებების“ კრებული. სახელწოდება, ტრადიციული განმარტებით, „ხმამაღლა წართქმით კითხვას“, „დეკლამაციას“ ნიშნავს. ახალი (მეცნიერული) თვალსაზრისით, სიტყვა მომდინარეობს სირიული ზმნისაგან „ყარა'ა“, რაც „კითხვასთან“, „დარიგებასთან“ არის დაკავშირებული.

მუსლიმთა რწმენით, ყურანი ზეცაში დაწერილი წიგნია, რომელიც ალაჰმა თავის მოციქულს მექასა და მედინაში გამოუცხადა. მოციქულმა ზეპირად დაისწავლა ტექსტი და თანამოძმეებსაც უამბო, რომლებსაც ასევე უნდა დაემახსოვრებინათ იგი.

მუსლიმთა რწმენით, ყურანი ალაჰის წმინდა უწყებაა და მასში არც ანგელოზებისა და არც მუჰამედის სიტყვები არ არის გადმოცემული. აქედან გამომდინარეობს რწმენა იმისა, რომ ყურანის ტექსტი, ანუ „დედა წიგნისა“ ზეცაშია (ყურანი 43:3). ნაწყვეტები ამ წიგნიდან მუჰამედამდე სხვა წინასწარმეტყველებსაც გამოეცხადა, მაგრამ გამოცხადების სისავსე მხოლოდ მუჰამედს მიემადლა.

ყურანი 114 სურის (რიგის, თავის) და 6226 აიასაგან (აიათისაგან, მუხლისაგან) შედგება. ჯერ მოცემულია გრძელი, შემდეგ კი მოკლე სურები. გამონაკლისებია პირველი სურა (ფათიჰა), რომელიც, ფაქტობრივად, ლოცვაა, და 113-ე და 114-ე სურები, რომლებშიც არის შელოცვა, მკითხველებსა და მსმენელებს ეშმაკისაგან (არაბულად – შაიტანისაგან), მისი მორჩილი ბოროტი სულებისაგან და ადამიანთა ხრიკებისაგან რომ იცავს.

ყურანის გვერდით დგას, მაგრამ მას ვერ უთანაბრდება სუნა. ეს სიტყვა (არაბ. „ასსუნნა“) თავდაპირველი აზრით „გზას“, „მიმართულებას“ ნიშნავს, გადატანითი მნიშვნელობით – ადათს, ჩვეულებას, გადმოცემას. სუნას მიზანია ყურანის ამა თუ იმ ადგილის დაზუსტება და განმარტება. თავიდან იგი ზეპირად გადაეცემოდა თაობიდან თაობას, მაგრამ IX საუკუნეში მას წიგნის სახე მისცეს. სუნას საფუძველია ჰასიდები, ანუ გადმოცემები, ისტორიული მოთხრობები მუჰამედსა და მუსლიმთა პირველ საკრებულოებზე, ომებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებზე. სუნა ასევე მუჰამედის ოჯახის წევრებისა და თანამოღვაწეების ახსნა-განმარტებებსა და მემუარებსაც მოიცავს.

„ისლამი“ არაბული სიტყვაა და ნიშნავს „ერთი და საყოველთაო ღმერთის მორჩილებას“ („ალ-ისლამ“ – „ალაჰისადმი თავის მიცემა“, „მორჩილება“). ყურანში აღნიშნულია: „ჭეშმარიტი რელიგია ალაჰის წინაშე ისლამია“. სიტყვა „ისლამი“, თავისი მნიშვნელობით, ახლოს დგას სიტყვებთან „იმან“ (რწმენა) და „დინ“ (რელიგია). ამიტომ ყურანში სიტყვები „იმანი“ და „ისლამი“ ხშირად ერთმანეთის ნაცვლად იხმარება და განუყოფელი ნაწილებია ცნებისა რელიგია – „დინ“.

მუსლიმური ღვთისმეტყველების თანახმად, რელიგიას სამი ძირითადი ელემენტი განსაზღვრავს: 1. ალაჰის, მისი წერილისა და მოციქულების ჭეშმარიტებათა სიტყვიერი აღიარება, 2. შინაგანი რწმენა, ანუ ალაჰის ჭეშმარიტებათა გულით (არა მხოლოდ გონებით) გაცნობიერება (გულწრფელობა) და 3. კეთილი საქმეები, ანუ რელიგიური ვალდებულებებისა და ისლამის მითითებების შესრულება.

მუსლიმური ღვთისმეტყველება დაფუძნებულია ექვს ძირითად თეზისზე (დოგმატზე):

1. *ერთი ღმერთის რწმენა*. ისლამი მკაცრად და თანმიმდევრულად მონოთეისტური და თეოცენტრული რელიგიაა. იგი ქადაგებს ერთ ღმერთს, როგორც ყოვლისშემოქმედს, ყოვლისმპყრობელსა და ყოვლადმოწყალეს. მისი სახელია ალაჰ (არაბ. ალლაჰ, ალ-ილლაჰ – „ღვთაება“). ისლამი კატეგორიულად უარყოფს ტრიადას – ერთარსება სამების დოგმატს. მუჰამადის თქმით, ქრისტიანები სამ ღმერთს ეთაყვანებიან: ალაჰს, ისას და მარიამს, რაც მისთვის ყოვლად მიუღებელია, რადგან ასეთი ღვთისმეტყველება წარმართობის ელემენტებს შეიცავს.

ალაჰი აბსოლუტია; არსებობს თავის თავში, თავისთავად და სამყაროზე; არ შობს და არ შობილა; არ ჰყავს შვილები, ამხანაგები და მოზიარეები. ის განსაზღვრავს ადამიანთა ბედს და ადამიანები მას უნდა ემორჩილებოდნენ. იმის მიუხედავად, რომ ალაჰი არის უსხეულო სული, ყურანში გვხვდება ფრაზები, რომლებიც მკითხველებს მის შესახებ ანთროპომორფულ წარმოდგენებს უქმნიან: ის ლაპარაკობს, ზის ტახტზე და ა.შ., რაც მეტაფორებია. რწმენა და მოძღვრება ალაჰის ერთობისა და ერთადერთობის შესახებ (ალ-თავჰიდ) იმდენად მძლავრია, რომ ალაჰის რომელიმე ქმნილებასთან მიმსგავსება ან შედარება უდიდეს და უპატიებელ ცოდვად ითვლება – შირქად, იგივე მრავალღმერთიანობად, „ვინმეს მიჩნევად ალაჰის თანამონაწილედ“.

2. *ანგელოზების რწმენა*. მუსლიმთა აზრით, არსებობენ უამრავი უსხეულო და გონიერი ქმნილება – ანგელოზები (არაბ. მალაიქა; მხოლობით რიცხვში – მალაქ), რომლებსაც ალაჰსა და ადამიანს შორის შუალედური ადგილი უჭირავთ. ისინი უსქესონი არიან (ჰარუთისა და მარუთის

გარდა); ცხოვრობენ ზეცაში, დგანან ალაჰის ტახტის გარშემო და ხოტბას ასხამენ მას, იცავენ ადამიანებსა და წინასწარმეტყველებს ალაჰის სიტყვას გადასცემენ, თვალყურს ადევნებენ ადამიანებს და აღნუსხავენ ყველაფერს, რასაც ისინი სჩადიან.

ყურანი ანგელოზთა რამდენიმე კატეგორიას ასახელებს. უმაღლესი რანგისანი ის ანგელოზები არიან, რომლებიც ალაჰის ტახტთან დგანან – ჯაბრაილი, მიქაილი, ისრაფილი და იზრაილი. ჯაბრაილი (ჯაბრილ, ჯიბრაილ, იგივე გაბრიელი), ყურანის მიხედვით, მუჰამედის მფარველია, გამოგზავნილი ალაჰისაგან ყურანის ზეშთაგონებისათვის. მიქაილი (მიქალი, იგივე მიქაელი, მიხაილი) ემსახურებოდა ალაჰს, როდესაც მიწისაგან ადამიანს ქმნიდა და იცავდა მუჰამედს ურწმუნო ხალხისაგან. ისრაფილი (სხვაგვარად სარაფილ) კითხულობს რჯულის ფიცარზე ნაწერ გადაწყვეტილებებს ადამიანთა და სამყაროს ბედის შესახებ, აქვს საყვირი, რომელსაც ჩაბერავს იერუსალიმის წმინდა კლდეზე მაშინ, როდესაც საყოველთაო აღდგომისა და განკითხვის დღე მოახლოვდება. იზრაილი არის სიკვდილის ანგელოზი, რომელმაც დედამიწაზე მოიპოვა თიხა, რისგანაც ღმერთმა ადამი შექმნა.

3. *საღვთო წერილის რწმენა*. საღთვო წერილი (ყურანის გარდა) გულისხმობს წიგნებს, რომლებიც იუდეველებსა და ქრისტიანებს გამოცხადების გზით ებოძათ. ასეთად ყურანში სამი წიგნია დასახელებული: თავრათი (თორა, მოსეს ხუთწიგნეული), ზებური (ფსალმუნნი დავითისი) და ინჯილი (სახარება). ამის გამო იუდეველებსა და ქრისტიანებს, ყურანის მიხედვით, დანარჩენ ხალხთა შორის გამორჩეული ადგილი უჭირავთ. ისინი არ არიან ურჯულოები და ურწმუნოები, არამედ არიან წერილის – წმინდა წიგნის ხალხი. მართალია, ეს წიგნები, მუსლიმ ღვთისმეტყველთა აზრით, სრულყოფილ ცოდნას არ შეიცავს, რადგან არც შესაბამისი (ე.ი. ყურანამდელი) გამოცხადებანი იყო სრულყოფილი და არც ჩაწერა მომხდარა სრულყოფილად, მაგრამ მათ სტრიქონებში უხვადაა სიბრძნე და ჭეშმარიტი მეცნიერება. გამოცხადებათა გვირგვინი არის ყურანი, როგორც მარადიული, ალაჰისაგან განუყრელი ფენომენი, ალაჰის მარადიული ნებასურვილი, რომელსაც მთავარანგელოზი ჯაბრაილი მუჰამადს უკითხავდა და აწერინებდა. ხილული ყურანის დედანი ზეცაშია. იგი შეუქმნელი და მარადიულია.

4. *წინასწარმეტყველთა რწმენა* (*რასულ და ნაბ*). ყურანი და სუნა მუსლიმს ალაჰის ყველა მოციქულისა (რასულ) და წინასწარმეტყველის (ნაბი) აღიარეისკენ მოუწოდებს. წინასწარმეტყველთა რიცხვი, ჰადისების მიხედვით, 124 000-ს უდრის, მაგრამ ყურანში დასახელებულია მხოლოდ 28. მათგან განსაკუთრებით საპატიოა ცხრა: ნუხი (ნოე), რომელსაც ალაჰისაგან მომავალი წარღვნის ამბავი ეუწყა და რომელმაც კიდობანი ააგო; იბრაჰიმი (აბრაამი) – არაბებისა და ებრაელების მამათმთავარი, რომელსაც ალაჰისაგან წერილის გრაგნილი ებოძა და რომელმაც შვილთან, ისმაილთან ერთად მიწიერი ქააბა ააგო; მუსა (მოსე), რომელსაც თავრათი (თაირი, თორა) ებოძა; დაუდი (დავუდი, დავითი), რომელმაც ალაჰისაგან ზებური (ფსალმუნნი) მიიღო და რომელმაც გოლიათი (ჯალუთი) დაამარცხა; იაკუბი (იაკობი); იუსუფი (იოსები); აიუბი (იობი); მარიამის ძე ისა (იესო) – მერვე წინასწარმეტყველი, რომელსაც ალაჰმა ინჯილი (სახარება) გარდამოუვლინა, რის გამოც იგი ცნობილია როგორც, „რუჰ ალაჰ“ (ალაჰის სული). წინასწარმეტყველთა რიგს აგვირგვინებს უკანასკნელი წინასწარმეტყველი და „წინასწარმეტყველთა ბეჭედი“ მუჰამედი, რომელსაც ალაჰმა ყურანი უკარნახა. წინასწარმეტყველთა (ნაბი) შორის იხსენიებიან აგრეთვე ალისქანდარ (ალექსანდრე მაკედონელი), ჯირჯისი (წმ. გიორგი) და სხვა ქრისტიანი წმინდანები.

ყურანისა და ძველი მუსლიმური ტრადიციის თანახმად, ისა (იესო) არ მომკვდარა, ის ალაჰმა აიყვანა თავისთან და კვლავ მოვა საყოველთაო განკითხვის დღეს. მუჰამედის საფლავის პირდაპირ არის ცარიელი ადგილი, გამზადებული ისასათვის, რომელსაც იქ მეორედ მოსვლის შემდეგ დაკრძალავენ. მოციქულმა ისამ მოციქულ მუჰამედის საქმე უნდა გააგრძელოს, ქვეყნიერებას აღსასრულის მოახლოება უნდა აუწყოს, დაჯალი (მაცდური სული, ცრუ მესია, ანტიქრისტე) უნდა გაანადგუროს და სამართლიანობა აღადგინოს.

5. *საყოველთაო აღდგომისა და უკანასკნელი სამსჯავროს რწმენა – მაადი.* ესაა მოძღვრება, რომელიც გულისხმობს მომავალი სამყაროსეული კატასტროფის, საყოველთაო აღდგომის, განკითხვის დღის, ჯოჯოხეთისა და სამოთხის რწმენას.

6. ბედისწერის რწმენა. მუსლიმური ღვთისმეტყველების თანახმად, ყველაფერი, რაც მომხდარა, ხდება ან მოხდება, ალაჰის ნებაზეა დამოკიდებული. ყურანში ნათქვამია: „არაფერი დაგვემართება იმის გარდა, რაც დაგვიწერა ალაჰმა"; „არც ერთი სული ისე არ მოკვდება, თუ არ იქნება ალაჰის ნება, ჟამი წინასწარ განსაზღრული და დაწერილი". მართალია, ადამიანებს თავიანთი ზრახვები და საქციელი ღმერთმა წინასწარ განუსაზღვრა, მაგრამ ცუდ საქციელსა და დანაშაულზე პასუხისმგებლობაც დააკისრა. ბუნებრივად დაისმის კითხვა: რატომ ან როგორ უნდა აგოს პასუხი ადამიანმა მასზე, რაც მის არსებაში მისი ნების გარეშეა განსაზღვრული? ესაა ანტინომია – წინააღმდეგობა ბედისწერასა და ნების თავისუფლებას შორის, რაც მუსლიმურ წრეებში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს: იყვნენ ჯიბრიტები, რომლებიც უარყოფდნენ ნების თავისუფლებას და ცნობდნენ აბსოლუტურ ბედისწერას და იყვნენ კადარიტები, რომლებიც აღიარებდნენ ადამიანის თავისუფალ ნებას და არჩევანის უნარს კეთილსა და ბოროტს შორის.

ღვთისმოსაობა. მუსლიმთა რწმენისმიერ ცხოვრებას, ანუ მუსლიმურ სათნოებას „ხუთი ბურჯი" განსაზღვრავს. ესაა მუსლიმთა ხუთი მცნება, ხუთი ძირითადი მოვალეობა:

ერთადერთ ღმერთად ალაჰის აღიარება – შაჰადა („მოწმობა").

ყოველდღიური ხუთგზის ლოცვა – სალათი (არაბ. ალ-სალათ, სპარს. ნამაზი). ყოველ ასეთ (წესისმიერ) ლოცვას წინ უძღვის განბანვა (ვუდუ). ლოცვა შესაფერის პირობებში სრულდება – ნოხზე დადგომით და დაჩოქებით, პირით მექასაკენ.

3. მოწყალება – ზაქათი (სიტყვასიტყვით: განწმენდა, გასუფთავება). ყურანის თანახმად, მორწმუნე ვალდებულია მოწყალება გაიღოს და გაჭირვებულებს დაეხმაროს. მუსლიმთა თვალსაზრისით, ყველა ამქვეყნიური სიკეთე (ფული, ქონება, დიდკაცობა) უწმინდურია. მათი მოპოვება და გამოყენება ნებადართულია მხოლოდ განწმენდისა და ღმერთისათვის ნაწილობრივი დაბრუნების პირობით. ვინც უპოვარს ხელს უმართავს, ის საკუთარ სულს ასუფთავებს.

4. სავალდებულო მარხვა – საუმი. ესაა მუსლიმთა კალენდრის მეცხრე თვე. გადმოცემის თანახმად, ალაჰმა სწორედ ამ თვეში შთააგონა მუჰამედს წინასწარმეტყველისა და მოციქულის მისია და ყურანის პირველი გამოცხადებაც მიმადლა.

მარხვა მორწმუნე მუსლიმს სულისა და გონების მობილიზაციას ავალდებულებს. მან დღის საათებში ყოველგვარი ფიზიკური სიამოვნებისაგან – ჭამისაგან, სმისაგან და ინტიმური ცხოვრებისაგან – თავი უნდა შეიკავოს. ამ აკრძალვებისაგან იგი თავისუფლდება მზის ჩასვლის შემდეგ. თუმცა მორწმუნეს ღამის საათებშიც მხოლოდ სიკეთის ქმნა მართებს. მარხვა 30 დღეს გრძელდება და სამდღიანი ზეიმით მთავრდება.

5. მომლოცველობა – ჰაჯი. ზოგადი აზრით, ჰაჯი ნიშნავს პილიგრიმობას (წმ. ადგილების მოლოცვას), მაგრამ ამ სიტყვას (ალ-ჰაჯჯ) კონკრეტული შინაარსი აქვს და მექაში პილიგრიმობას გულისხმობს. ყურანის თანახმად, მექაში მოგზაურობა და ქააბას მონახულება სავალდებულოა ყველა მუსლიმისათვის, ვისაც ეს ძალუძს. ეს აქტი მორწმუნემ ცხოვრებაში ერთხელ მაინც უნდა განახორციელოს.

ვინც ამას ავადმყოფობის გამო ვერ ახერხებს, შეუძლია, წარმომადგენელი გააგზავნოს. ჰაჯისაგან მხოლოდ ფსიქიკური პრობლემების მქონე, უპოვარი და მონა თავისუფლდება. ჰაჯი მთვარის კალენდრის უკანასკნელ თვეში სრულდება. მორწმუნეს პილიგრიმობის უფლება ყოველთვის აქვს, მაგრამ ალ-ჰაჯჯი მხოლოდ წელიწადის აღნიშნულ მონაკვეთში უნდა შესრულდეს. ამ დროს მუსლიმები მუჰამედის „გამოსათხოვარ ჰაჯის (პილიგრიმობას)" იხსენებენ. მორწმუნეები, როდესაც არაბეთის წმინდა მიწას (მექას) მიუახლოვდებიან, იჰრამით (თეთრი უნაკერო სამოსლით) იმოსებიან და განწმენდის წესებსაც ასრულებენ – შემოუვლიან ქააბას და შავ ქვას ეამბო-

რებიან. ჰაჯის დამთავრების დღეს ქააბას ტაძარში სრულდება ქადაგება და საღამოს ან მეორე დილით პილიგრიმები მექას ტოვებენ.

ჯიჰადი. ჯიჰადს ისლამის მეესვსე ბურჯად და მუსლიმთა მეექვსე მოვალეობადაც მიიჩნევენ. სიტყვა არაბულია და „გულმოდგინებას“, „მონდომებას“, რწმენაში სიმტკიცეს ნიშნავს. ჯიჰადის იდეა და იდეოლოგია ემყარება რწმენას ისლამის უნივერსალურობის შესახებ, რაც მორწმუნეებს სარწმუნოებრივ შეუპოვრობას ჰკარნახობს.

VIII საუკუნეში, როდესაც მუსლიმური დოგმატიკა ჩამოყალიბდა და ყურანის კომენტარებიც დაიწერა, ჯიჰადის შინაარსი დაზუსტდა. იგი ნიშნავს სარწმუნოებისათვის ბრძოლაში თავგამოდებას, რაც შეიარაღებულ დაპირისპირებას არ გულისხმობს, თუმცა არც გამორიცხავს, როდესაც ამის გარდაუვალი აუცილებლობა არსებობს.

ყურადღება, ძირითადად, გამახვილებულია პიროვნების საკუთარ თავთან ბრძოლაზე თვითაღზრდისა და თვითგაუმჯობესებისათვის, სულიერი და ზნეობრივი სრულყოფისათვის, ასევე – ქვეყანაში სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების გაჯანსაღებისათვის. თუკი სარწმუნოებას საფრთხე დაემუქრება, მაშინ შესაძლებელია გამოცხადდეს ღაზავათი („თავდასხმა“), ანუ ომი სარწმუნოებისათვის სარწმუნოების მტრებთან. ოღონდ ესაა ჯიჰადის უკიდურესი გზა და მისი გამოცხადება მხოლოდ უმაღლეს სასულიერო ავტორიტეტს შეუძლია, თუკი დაასაბუთებს, რომ სხვა გზა აღარ დარჩა (ღაზავათის მაგალითია კავკასიელ მთიელთა ომი რუსეთის წინააღმდეგ). ასეთ ომში დაღუპული მუსლიმი ხდება შაჰიდი (მოწამე), რომელიც უცილობლად ცხონდება და მისი სულისთვის საგანგებო ლოცვების თქმა და რიტუალების შესრულება საჭირო აღარ არის.

ღვთისმსახურება. მუსლიმური ღვთისმსახურების ენად არაბული დამკვიდრდა. ღვთისმსახურება და ღვთისმოსაობა კონცენტრირებულია რწმენის ფორმულაში შაჰადა, ანუ მოწმობა. იგი ასე ჟღერს: „ლა ილა-ჰა ილლა ლლაჰუ ვა მუჰამადუნ რასულულლაჰ“ („არ არის ღმერთი გარდა ალლაჰისა და მისი შუამავალი მუჰამედია“). ესაა ყველაზე მნიშვნელოვანი ლოცვა, რადგან მასში ისლამის ორი მთავარი თეზისია გაცხადებული: 1) ერთი ღმერთის აღიარება და 2) მის მოციქულად მუჰამედის გამოცხადება.

ღვთისმსახურება შეიძლება ნებისმიერ ადგილზე შესრულდეს, მაგრამ საზოგადო მსახურება, თუკი ექსტრემალური ვითარება არ არის, უნდა შედგეს საკრებულო ტაძარში, რომელსაც მეჩეთი, მასჯითი, მიზგითი (სიტყვა არამეულია და „ღვთის თაყვანისცემის ადგილს“ ნიშნავს), ანდა – ჯამე (ჯამაათის, ე.ი. მუსლიმთა თემის შესაკრებელი. არაბ.) ეწოდება.

პირველი მეჩეთი მუჰამედმა მედინაში, თავისი სახლის გვერდით, 623 წელს ააშენა. მექას დაკავების შემდეგ მეჩეთად ქააბა გადაკეთდა. მეჩეთის არქიტექტურული ტიპი VII-VIII საუკუნეებში ომაიანების დროს ჩამოყალიბდა. მეჩეთის აუცილებელი ატრიბუტებია: მიჰრაბი (ნიშა კედელში, რომელიც მექასაკენ მიმართულებას მიუთითებს. მლოცველნი სახით მისკენ დგანან), მინბარი (კათედრა დიდ მეჩეთში კიბითურთ, მიჰრაბის მარჯვენა მხარეს, საიდანაც იმამი ან სხვა სასულიერო პირი ქადაგებას წარმოთქვამს), მინარეთი (ადგილი, საიდანაც აზანს აცხადებენ, ე.ი. ლოცვისაკენ მოუწოდებენ. ესაა კოშკი, რომელზეც ადის მუეძინი, რომელიც მორწმუნეებს ლოცვის დროის დადგომას ამცნობს და მათ სალოცავად მოუხმობს), წიგნსაცავი, სათავსო და აუზი, სადაც ლოცვისწინა განბანვა ხდება. მეჩეთის იატაკი მოფენილია ხალიჩებით და მასში შესვლისას სავალდებულოა ფეხზე გახდა. მორწმუნე მეჩეთში შედის მარჯვენა ფეხით და გამოდის მარცხენით. დიდ მეჩეთებს, სადაც პარასკევის ლოცვა სრულდება, ეწოდება პარასკევის მეჩეთი (მასჯიდ ალ ჯუმა) ან საკრებულო მეჩეთი (მასჯიდ ალ-ჯამი, აჭარაში: ჯამე).

სასულიერო იერარქია და განათლება. მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო პირი არის შეიხი. პიროვნება, რომელიც მუსლიმთა თემს, საკრებულოს (ერთს ან რამდენიმეს) ხელმძღვანელობს, სალოცავ სახლს ემსახურება, რიტუალებს ასრულებს და ქადაგებას წარმოთქვამს, სხვადასხვა

ქვეყანაში სხვადასხვა სახელითაა ცნობილი: იმამი, ახუნდი, მოლა და ხოჯა. ამასთანავე, ერთი და იმავე დასახელების სასულიერო პირს სასულიერო იერარქიაში (სხვადასხვა გარემოში) სხვადასხვა რანგი და თანამდებობა უჭირავს: იმამი ზოგან ზედამხედველი ღვთისმსახურია, ზოგან – რიგითი ახუნდი (სპარს. მასწავლებელი) ზოგან მაღალი თანამდებობის რჯულის მეცნიერია, ზოგან – მეჩეთის მსახური.

ისტორიული თვალსაზრისით, ყველაზე გავრცელებული სახელწოდებაა იმამი, რაც სიტყვასიტყვით „წინამდგომელს“, „ხელმძღვანელს“ ნიშნავს. არსებობს „დიდი იმამი“ და „მცირე იმამი“. პირველი მოცემული ქვეყნის ან სახელმწიფოს მუსლიმთა სასულიერო და პოლიტიკური ლიდერია (მაგ. იმამი შამილი), მეორე კი ერთი რომელიმე ან (აუცილებლობის შემთხვევაში) რამდენიმე საკრებულოს წინამძღოლია.

სალოცავ სახლებთან, ბევრ შემთხვევაში, მოქმედებს დაწყებითი, საშუალო ან უმაღლესი სასულიერო-საგანმანათლებლო სასწავლებელი – მაქთაბი და მადრასა. მაქთაბი ნიშნავს ადგილს, სადაც წერა-კითხვის პროცესი მიმდინარეობს. განათლების სისტემაში მას დაწყებითი სკოლის (პირველი საფეხურის) შინაარსი აქვს. მადრასა საშუალო ან უმაღლესი სასწავლებელია, სადაც მუსლიმი ულემები (ალიმები: მცოდნენი, სწავლულები, მეცნიერები) პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევიან. ასეთი სასწავლებლები ისლამის ქვეყნებში X საუკუნიდან არსებობს. ძველი ტრადიციის მიხედვით, მადრასის სტუდენტები ცხოვრობენ პანსიონში და იღებენ სტიპენდიას. ძირითადი საგნებია: ყურანი, ჰადისები (სუნა), თეოლოგია, სამართალი (ფიკჰ), არაბული ენა და ლიტერატურა და სხვა დისციპლინები. მუსლიმური თეოლოგიის ფაკულტეტები უნივერსიტეტებთანაც არსებობს.

სიმბოლო. მუსლიმები მთვარის კალენდრით სარგებლობენ. ამის გამო მათი რელიგიის სიმბოლოდ ახალი ნამგალა მთვარე იქცა. ეს ბუნებრივია, რადგან მუსლიმთა მთავარი და სავალდებულო მარხვის დაწყება და დამთავრება ახალმთვარეობაზეა დამოკიდებული. ისლამის სიმბოლოდ ნახევრადმთვარე პირველად ხალიფა ომარ I-მა (634-644) გამოიყენა – მან ის ქააბაზე მიამაგრა და ამით მთელ მუსლიმურ სამყაროს მაგალითი მისცა. მოგვიანებით ნახევარმთვარემ მუსლიმთა სალოცავ სახლებში ის ადგილი დაიკავა, რაც ჯვარმა ეკლესიაში. XIX საუკუნის დასაწყისიდან ეს სიმბოლო მუსლიმური ტრადიციის ქვეყნებში (პირველად ოსმალურ თურქეთში) ჰერალდიკის (დროშებისა და გერბების) განუყოფელ ნაწილად იქცა.

დღესასწაულები. მუსლიმთა მთავარი მარხვა და დღესასწაულია რამადანი (რამაზანი). იგი რამადანის თვეში სრულდება: იწყება სავსე მთვარის გამოჩენისთანავე და 29 ან 30 დღეს გრძელდება (თარიღი მოძრავია). ეს მარხვა მთავრდება დღესასწაულით, რომელსაც ურაზა-ბაირამი ჰქვია (სხვანაირად: იდ ალ-ფიტრი ან ქუჩუკ-ბაირამი, შექერ-ბაირამი). დღესასწაულს, ზოგადად, არაბულ ენაზე უწოდებენ „ყიდუნ“-ს, რაც „გახსენებას“ ნიშნავს. რამაზანის მარხვით და დღესასწაულით მუსლიმები იმ დღეებს იხსენებენ, როდესაც ალაჰმა მუჰამედს ყურანი გარდმოუვლინა.

სხვა დღესასწაულებია:

1. ყურბან-ბაირამი (ურაზა-ბაირამიდან 70 დღის შემდეგ). ესაა მექაში მოსალოცად მგზავრობის აღსანიშნი დღე – დუ ლ-ჰიჯჯა, რომელიც მსხვერპლშეწირვით მთავრდება. ამის გამო მას „ცხვრის დღესასწაულსაც“ უწოდებენ. ამით მუსლიმები იბრაჰიმის მიერ შვილის ნაცვლად ცხვრის დაკვლას მოიხსენიებენ;
2. მავლიდი (მავლუდი) – მუჰამედის დაბადების და გარდაცვალების დღე;
3. მიჰრაჯი – მუჰამედის ზეცად ამაღლების დღე;
4. აშურა, ანუ შაჰ-სეი, ვაჰ-სეი და სხვა. აშურა შიიტების სამგლოვიარო დღეა. ამით ისინი მესამე (მუჰამედის შემდეგ) იმამის, ალის ვაჟის, ჰუსეინის, მოწამებრივ ღვაწლს მოიხსენიებენ. იგი ჰიჯრიდან 61-ე წელს, 10 ოქტომბერს, თავის ძმასთან, აბასთან და 70 თანამებრძოლთან ერთად ერაყში დაიღუპა. ესაა სამგლოვიარო მისტერია, რომელიც ათ დღეს გრძელდება.

მორწმუნეები შედიან აღმაფრენაში, რასაც თვითგვემა ახლავს. ისმის შეძახილები: „შაჰ-სეი, ვაჰ-სეი!“ ანუ: შაჰიდ (მოწამე) ჰუსეინ, ვაჰ (ვაი) ჰუსეინ! ეს დღე სუნიტ მუსლიმებში ზოგადად გადარჩენის დღედ მოიხსენიება. მუსლიმური გადმოცემების თანახმად, ამ დღეს შექმნა ალაჰმა ადამი, ამ დღეს გადარჩნენ ებრაელები ფარაონთა ლაშქრისგან, ნოეს კიდობანი ამ დღეს გავიდა ხმელეთზე და სხვ.

ისლამი და არამუსლიმები. მუსლიმებს, ისე როგორც სხვა რელიგიების მიმდევრებს, სწამთ, რომ ჭეშმარიტებას სრულყოფილად მხოლოდ ისინი ფლობენ. დანარჩენი კაცობრიობა, ალაჰთან მიმართების თვალსაზრისით, ორ ნაწილად იყოფა: 1. ხალხი, რომელსაც წერილობითად ჩამოყალიბებული რჯული არა აქვს. მათი სახელია მუშრიქ; ეს ადამიანები წარმართები და კერპთაყვანისმცემლები არიან და 2. ხალხი, რომელსაც წერილობითად ჩამოყალიბებული რჯული აქვს და ეს რჯული საღვთო გამოცხადების ნაყოფია. მათი სახელია აჰლ ალ-ქითაბ („საღვთო წერილის მქონე ხალხი“).

ისლამის მიხედვით, ერთ დროს ადამიანები ერთიან უმას („უმა“ არაბული სიტყვაა და ერს, ხალხს ნიშნავს) შეადგენდნენ, რადგან ერთი რელიგიით იყვნენ გაერთიანებული. შემდეგ მოხდა მათი დაშლა. მუსლიმური თვალთახედვით, კაცობრიობის ისტორია რელიგიურ თემთა თანმიმდევრული მონაცვლეობაა. დედამიწაზე ჭეშმარიტების მოსატანად ალაჰმა თავისი მოციქულები (რასულ), წინასწარმეტყველები (ნაბი), გამაფრთხილებლები (ნაზირ) და მაცნენი (მუბაშშირ) გამოგზავნა. მათი მეშვეობით შეიქმნა „საღვთო წერილის ხალხი“ – იუდეველთა და ქრისტიანთა უმები. ის უმა, რომელიც ალლაჰის მთავარმა მოციქულმა მუჰამედმა მედინაში შექმნა, წერილის ხალხებსაც მოიცავდა, მაგრამ მათ, ისლამის მტკიცებით, ჭეშმარიტებას თვალი ვერ გაუსწორეს და ახალი უმის მიღმა აღმოჩნდნენ. ამდენად, ახალი უმა მხოლოდ მართლმორწმუნე მუსლიმებს აერთიანებს.

ძველი მუსლიმური ტრადიციის თანახმად, მუსლიმთა ლაშქრობისა და გამარჯვების შემთხვევაში, მუშრიქების (ე.წ. წარმართების) მოქცევა სავალდებულო იყო, აჰლ ალ-ქითაბის წარმომადგენლების (ე.ი. იუდეველებისა და ქრისტიანების) გამუსლიმება კი – არა, თუკი ისინი თავს მუსლიმი ხელმწიფის ქვეშევრდომად აღიარებდნენ და გადაიხდიდნენ სულადობრივ გადასახადს – ჯიზიას. სავალდებულო გამუსლიმება ძალმომრეობას არ გულისხმობდა, რადგან ყურანში პირდაპირაა ნათქვამი: „არანაირი იძულება სარწმუნოებაში!“.

§6. იეზიდიზმი

იეზიდიზმი (ეზიდიზმი), ანუ ქურთულად ეზდიატი, ტრადიციულ და ნაციონალურ რელიგიათა რიცხვს მიეკუთვნება. ითვლება, რომ მას დასრულებული სახე შეიხ ადი იბნ მუსაფირმა XII საუკუნეში მისცა.

ამ რელიგიის მიმდევრები იეზიდებად იწოდებიან და წარმოადგენენ სუბეთნოსს დიდ ქურთულ ეთნიკურ ჯგუფში. მათი სუბეთნოსად ჩამოყალიბება მრავალსაუკუნოვანი დევნით არის განპირობებული.

გავრცელების არეალი და ისტორია. სხვადასხვა წყაროს თანახმად, იეზიდების რიცხვი მილიონს აღწევს. მათი ძირითადი ნაწილი ისტორიულ სამშობლოში – სამხრეთ ქურთისტანში (ერაყში), დოჰუკის მიდამოებში, შეიხანის ოლქსა (ყაზა) და შანგალის მთიან რაიონებში ცხოვრობს. სამხრეთ-დასავლეთ ქურთისტანში (სირიაში) ეზიდები კომპაქტურად ყამიშლისა და ჰასაქას მიდამოებში ცხოვრობენ. მათი სოფლები აგრეთვე აფრინის (ალეპო) ოლქში არის მიმოფანტული. ჩრდილოეთ ქურთისტანში (თურქეთში) იეზიდთა დასახლებები დიარბაქირის, ბატმანის, მარდინის, სერტის, ვერანშაჰარის პროვინციებშიც გვხდება. იეზიდთა დიდი სათვისტომოები უკრაინაში, რუსეთის ფედერაციასა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიც (ძირითადად, გერმანიაში) არსებობს. იეზიდები ცხოვრობენ სომხეთსა და საქართველოში. ისინი აქ ვანის ვილაიეთიდან,

ბაიაზიდის სანჯაყის, სურმალის მაზრისა და ყარსის ოლქიდან გადმოსახლდნენ. ეს პროცესი ოსმალეთის იმპერიაში მუსლიმი მოსახლეობის მიერ იეზიდების დევნამ განაპირობა.

ქურთისტანის ტერიტორიაზე, ადრეული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული XIX საუკუნის ჩათვლით, დამოუკიდებელი (ძირითადად, ნახევრად დამოუკიდებელი) ქურთული სამთავროები არსებობდა, რომლებიც დიდ გავლენას ახდენდნენ ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ისტორიულ პროცესებზე. XIII-XIV საუკუნეებში ზოგიერთ სამთავროში, ძირითადად, ეზიდური რელიგიის მიმდევარი ქურთები ცხოვრობდნენ.

ქურთული ტომები X საუკუნემდე ებრძოდნენ ისლამის გავრცელებას ქურთისტანში. თუმცა ამ პროცესის შეჩერება, სხვადასხვა მიზეზის გამო, ვერ მოახერხეს და უკვე X საუკუნეში ქურთთა ნაწილმა ისლამი მიიღო.

ქურთი უფლისწული და მემატიანე შარაფ ხან ბიდლისი (XVI ს.) მოწმობს, რომ ჩრდილოეთ ქურთისტანის დიდგვაროვნები – ბოჰტანის, ჰაქარის, ბაჰდინანის, დას-ნის, და ა.შ.— მმართველები იეზიდური რელიგიის მიმდევრები იყვნენ. ომაიანთა დინასტიის ხალიფების დროს იეზიდები და სხვა არამუსლიმი მოსახლეობა გაცილებით ნაკლებად იდევნებოდა, ვიდრე აბასიანთა ბაღდადის სახალიფოში. აბასიანებმა მიზნად დაისახეს ძველი რელიგიის მიმდევარ ქურთთა საბოლოოდ გამუსლიმება და სადამსჯელო ექსპედიციები მოაწყვეს. იეზიდთა წინაპრები, რომლებიც დასნებად მოიხსენებიან, დამარცხდნენ. მათ დაკარგეს თავიანთი წმინდა ადგილები, რომლებსაც მუსლიმები და ადგილობრივი ნესტორიანელები (ერთ-ერთი ქრისტიანული მიმდინარეობა) დაეპატრონენ.

XII საუკუნეში იეზიდებმა მოახერხეს გაერთიანება შეიხ ადი იბნ მუსაფირის მეთაურობით, რომელიც უაღრესად განათლებული პიროვნება იყო და სირიაში ერთ-ერთ გამოჩენილ ღვთისმეტყველად ითვლებოდა. იეზიდებმა შეიხი ადი ღმერთის მოგზავნილად აღიქვეს, მხსნელად აღიარეს და მისი მიმდევრები გახდნენ. შეიხმა ადიმ მოახერხა იეზიდთა წმინდა ადგილების, კერძოდ, უძველესი ტაძრის – ლალიშის დაბრუნება. შეიხი ადის გარშემო მრავალი მოსწავლე შეიკრიბა, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ იგი ქვეყანას მათ დასახსნელად მოევლინა.

შეიხი ადი 90 წლის ასაკში გარდაიცვალა და ლალიშში არის დაკრძალული, სადაც ყოველ წელს მრავალი იეზიდი პილიგრიმი ჩადის. ცნობილია, რომ შეიხი ადი ასკეტურ ცხოვრებას ეწეოდა, იგი არ დაოჯახებულა. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, შეიხ ადიმ ეზიდიზმში გარკვეული ცვლილებები შეიტანა და მას იეზიდური რელიგიის რეფორმატორს უწოდებენ.

შეიხ ადის შემდეგ იეზიდთა დევნა ისევ განახლდა, რამაც მათი რაოდენობის შემცირება გამოიწვია. არაბების, თურქებისა და სპარსელების გარდა, იეზიდებს გამუსლიმებული ქურთებიც ავიწროებდნენ.

იეზიდიზმის წარმომავლობა. იეზიდიზმის წარმომავლობისა და ჩამოყალიბების შესახებ ჯერ კიდევ არ არსებობს ერთიანი აზრი მეცნიერებს შორის. ზოგიერთი მეცნიერი სიტყვა იეზიდს და იეზიდების წარმომავლობას ირანულ ქალაქ იეზდს უკავშირებს, ზოგი კი ძველ ირანულ სიტყვას – იაზატას, ზოგი ომაელ ხალიფა იაზიდ იბნ მუავის და ა.შ. ცხადია ის, რომ იეზიდიზმი ერთ-ერთი ძველი აღმოსავლური რელიგიაა, რომლის ფესვები შუამდინარეთის უძველეს კულტებთან ჩანს დაკავშირებული. იგი ერთბაშად არ გაჩენილა და მრავალი საუკუნის განმავლობაში, საკუთრივ ქურთულ სივრცეში, უძველესი ხალხური წარმოდგენების საფუძველზე ვითარდებოდა და ყალიბდებოდა.

როგორც ჩანს, თავდაპირველად, იეზიდთა წინაპრები მზეში, მთვარესა და ვარსკვლავებში, აგრეთვე ბუნების ოთხ სტიქიონში ხედავდნენ ღვთაებრივ ძალას. მათ ცეცხლი, წყალი, მიწა და ჰაერი სიწმინდეებად მიაჩნდათ.

მრავალსაუკუნოვანი განვითარების შედეგად, იეზიდიზმი მონოთეისტურ რელიგიად ჩამოყალიბდა. იეზიდები მიიჩნევენ, რომ მხოლოდ ერთი ღმერთი არსებობს, რომელმაც შექმნა სამყარო

და მის გარეშე არაფერი ხდება ქვეყნად. ღმერთი – ხუდე ან იაზდანი (ეზიდი) არის ყველგან და ყველაფერში, ის არის სიყვარული და სინათლე, რომელიც სხადასხვანაირად ევლინება ადამიანებს. მაგალითად, მზის სითბოსა და სხივებში ეზიდები ღვთის სინათლეს ხედავენ და ამიტომ ლოცვისას მზის მიმართულებით იყურებიან.

იეზიდები ღმერთს და მის ანგელოზებს ეთაყვანებიან და მიიჩნევენ, რომ ანგელოზები ღვთის ნებას აწვდიან მათ. ანგელოზებს სათავეში მალაქ ტაუსი უდგას, რომელიც ღმერთის ნებით მართავს სამყაროს (ანგელოზთა სიმბოლოდ ეზიდიზმში ფარშევანგი ითვლება, რომლის სპილენძის გამოსახულება ეზიდთა რელიგიური ნიშანია).

მკვლევართა უმრავლესობა იეზიდიზმსა და ზოროასტრიზმს შორის ბევრ საერთოს ხედავს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ფუნდამენტური განსხვავებაც არსებობს. იეზიდიზმის თანახმად, ღმერთი ერთია და ის ყოვლისშემძლეა. კეთილიც და ბოროტიც, ბნელიც და ნათელიც, დღე და ღამეც და ა.შ., მისი ნებით არსებობს. იეზიდები თვლიან, რომ ყველაფერი მისი ნებით ხდება და შეუძლებელია, რომ ბოროტების ღმერთი ან ღვთაება არსებობდეს, რომელიც ყოვლის შემოქმედ ღმერთს წინ აღუდგება. მაგრამ ღმერთმა ეს სამყარო მრავალფეროვანი შექმნა, რათა ადამიანს შეეძლოს კარგისა და ცუდის გარჩევა. ამის საპირისპიროდ, ზარატუშტრა (ზოროასტრი) ქადაგებდა, რომ არსებობს ნათელი ღვთაება ახურა მაზდა და ბნელი ღვთაება ანხრა მანიუ, რომლებიც ერთმანეთს ებრძვიან.

როცა ქურთისტანის ტერიტორია არაბთა სახალიფოს საზღვრებში მოექცა, იეზიდები იძულებულნი გახდნენ, ახალ რეალიებს მორგებოდნენ და ამ მისიის შესრულება შეიხმა ადი იბნ მუსაფირმა შეძლო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XII საუკუნეში შეიხმა ადიმ მოახერხა იეზიდთა გაერთიანება, ხოლო მისმა მიმდევრებმა იეზიდური საზოგადოების რეფორმირება მოახდინეს და ისეთი სისტემა შექმნეს, რომელიც სხვადასხვა რაიონში დასახლებულ იეზიდებს ერთმანეთთან დააკავშირებდა (შეიხი ადი წმინდა ტრიადაში შედის და ის მთავარანგელოზის გამოვლენად ითვლება: მალაქ გაუსი, ეზიდი, შეიხი ადი).

შეიხი ადი ცნობილი სუფიების თანამოაზრე იყო, რამაც გავლენა მის მიმდევრებზეც იქონია. იეზიდები სუფიებში თავიანთ მოკავშირეებს ხედავდნენ მათდამი მტრულად განწყობილი ორთოდოქსი მუსლიმების წინააღმდეგ.

წმინდა ტექსტები. იეზიდური რელიგია წმინდა რელიგიურ ტექსტებს – ყავლებს (სიტყვა), ანუ ღვთაებრივ მეცნიერებას ეფუძნება, რომელთა ავტორიტეტი ურყევია მორწმუნე ეზიდისათვის. იეზიდთა მსოფლმხედველობა, კოსმოგონია, მცნებები, ზნეობრივი კოდექსი, ისტორია და სხვა ამ ტექსტების მეშვეობით არის წარმოდგენილი. ეს ტექსტები, ძირითადად, ზეპირად გადაეცემოდა მცოდნე ოსტატებისაგან მომდევნო თაობას. თუმცა ირკვევა, რომ ისინი წერილობითი ფორმითაც არსებობდნენ, მაგრამ იეზიდებზე ხანგრძლივი თავდასხმების შემდეგ ხელნაწერები განადგურდა და XIII საუკუნიდან ზეპირი გადმოცემა ტრადიციად იქცა. ამ ტექსტებს არაერთი ავტორი ჰყავს, რომელებიც იეზიდთა წმინდანები არიან. მაგალითად, დარვეშ ყათანი, შეიხ ფახრი, ფირ რაშე ჰაირანი, პესე ჯამი, ჰასად თაური და ა.შ.

ესენი, ძირითადად, შეიხ ადის მოსწავლეები არიან, რომლებმაც მდიდარი პოეტური ხასიათის რელიგიური ლიტერატურა შექმნეს, სადაც შეიხ ადის და სხვა წმინდანთა ცხოვრება არის აღწერილი. მათ მოახდინეს, აგრეთვე, უძველესი ტექსტების რედაქტირება და ისინი იმდროინდელი მკითხველისთვის ხელმისაწვდომი ფორმით გამართეს. იეზიდური ტექსტები, ძირითადად, ქურთულად (კურმანჯიზე) არის შექმნილი. ისინი ინფორმაციას გვაწვდიან ქურთი ხალხისა და, საერთოდ, ძველი მესოპოტამიის მოსახლეობის რელიგიურ წარმოდგენებზე.

მაშასადამე, იეზიდიზმის ძირითად წყაროს ყავლები წარმოადგენს, სადაც ნათქვამია, რომ ეზიდმა მხოლოდ სიკეთე უნდა დათესოს თავისი ხანმოკლე ცხოვრების განმავლობაში. იეზიდიზმ-

ში, როგორც სხვა რელიგიებში, ძირითადი მცნებებია: არა კაც კლა, არ იმრუშო, არ მოიტყუო და ა.შ.

„თუ ნახე ვინმე
და სიკეთე გააკეთე,
ნუ ჰკითხავ, რა რჯულის ხარ.
თუ გააკეთე სიკეთე,
წყალს გაატანე იგი
და არ დაიკარგება ის ღმერთთან“
(ნაწყვეტი ეზიდთა წმინდა ტექსტიდან).

ერთ-ერთი მცნება ის არის, რომ იეზიდმა ყველა გაჭირვებულ ადამიანს, მისი რჯულისა და აღმსარებლობის მიუხედავად, დახმარების ხელი უნდა გაუწოდოს. იეზიდებს სწამთ, რომ ყველა სხვა რელიგია ღმერთის ნებით არსებობს, მაგრამ ისინი მხოლოდ ჭეშმარიტი ცოდნის ცალკეული ნაწილებია. ღვთის სრულყოფილი ცოდნა მხოლოდ იეზიდთა წმინდანებმა მიიღეს ღმერთისგან ყავლების სახით.

იეზიდები პატივისცემით ეპყრობიან სხვა რელიგიის მოციქულებსა და დამაარსებლებს: აბრაამს, მოსეს, იესოსა და ა.შ., თუმცა მათი ცხოვრების შესახებ თავიანთი ვერსიები აქვთ. ისინი თვლიან, რომ იეზიდთა ღმერთმა (ხუდემ) ეს მოციქულები გაუგზავნა სხვადასხვა ხალხს, რომ ისინი ჭეშმარიტ გზაზე დააყენოს.

უაღრესად საინტერესოდ არის აღწერილი იეზიდთა წმინდა ტექსტებში სამყაროს შექმნა. მათი მოძღვრების თანახმად, ღმერთი არის შემოქმედი, რომელმაც შვიდი დღის განმავლობაში შექმნა სამყარო. თავისი არსიდან ჯერ შექმნა მარგალიტი, რომელიც სამყაროს თესლს, ანუ დასაბამს წარმოადგენდა. შემდეგ ის თვითონ მოთავსდა მარგალიტში, რომელიც მისი დიდებული მზერისაგან გასკდა და უსაზღვრო ზღვად იქცა. შექმნა ზეცა, მნათობები და ა. შ. ღმერთი ყოველდღე თავისი სინათლისგან ქმნიდა თითო ანგელოზს – სულ შვიდი ანგელოზი შექმნა. უფალმა სამყაროს მმართეველობა მათ ჩააბარა.

ღმერთმა (ხუდე) გაგზავნა ანგელოზები ზღვის ზედაპირზე და მისი ბრძანებით მათ ხმელეთი შექმნეს, რის შემდეგაც ოთხი ელემენტი (ჰაერი, მიწა, წყალი და ცეცხლი) ერთმანეთში შეაზავეს და პირველი ადამიანი (ადამი) გამოძერწეს. შემდეგ მისი ნეკნიდან მეგობარი არსება – ქალი შექმნეს. მიუხედავად იმისა, რომ იეზიდური ვერსია თორაში ნახსენებ ადამის და ევას სახელებს იმეორებს, ის მნიშვნელოვნად განსხვავდება იუდეური და მუსლიმური ვერსიებისაგან. როგორც ჩანს, ამ სახელებმა ჩაანაცვლა ძველი იეზიდური სახელები.

იეზიდური კოსმოგონიის თანახმად, ადამიანის გამრავლება თავიდანვე იყო გათვალისწინებული და ის არ უნდა ყოფილიყო ადამისა და ევას მიერ ცოდვის ჩადენის შედეგი.

იეზიდიზმში არსებობს ბიბლიასა და ყურანისთვის დამახასიათებელი მოტივები წარღვნის შესახებ. სჯერათ მკვდრეთით აღდგომისა და მხსნელის მოსვლისა, რომელსაც შარფადინს უწოდებენ. ჯერ ქვეყანაზე არეულობა, მკვლელობები და სტიქიური უბედურებები დაისადგურებს, შემდეგ აღმოსავლეთიდან ტირანი მოვა და როცა დასავლეთიდან ამოვა მზე, მოვა შარფადინი და გაანადგურებს მას (ტირანს). ასევე მხსნელი გაანადგურებს ყველა ეკლესიას, მონასტერს, მეჩეთს და ხალხი, ყველა ერთად, ერთ ღმერთს იწამებს.

ვალდებულებები და მცნებები. იეზიდიზმში, სხვა მრავალი რელიგიის მსგავსად, არსებობს ვალდებულებები, რომლებიც ორი სახისაა: ფარზე თარიყატე და ფარზე ჰაყიყატე.

ფარზე თარიყატე მრავალ ვალდებულებას მოიცავს: ლოცვას (დუა), მარხვას (როჟი), სიცოცხლეში ერთხელ მაინც ლალიშში ჩასვლას (ზიარატ ან ჰაჯი), წინადაცვეთას (სუნატ), ორი სახის ნათლობას (ბისკ) და სალოცავში წმინდა წყაროს წყლის სხურებას (მორკერენ), შეწირულებას

(ხერატ, ფეტუ, რესმ, ზაქათ), საკლავის შეწირვას (სარბერ, ყურბან, ხერ), აკრძალული საკვების მიუღებლობას (ღორის ხორცი, კომბოსტო, სალათი) და ა.შ.

იეზიდიზმში მხოლოდ მშრალი მარხვა არსებობს, რაც იმას გულისხმობს, რომ ადამიანმა დღისით არ უნდა ჭამოს. ყოველი ეზიდი ვალდებულია დეკემბრის პირველ პარასკევამდე (აღმოსავლური კალენდრით) მარხვა სამ დღეს დაიცვას. მეოთხე დღეს კი (პარასკევს) დღესასწაულს აღნიშნავენ, რომელსაც უწოდებენ აიდა ეზიდ. ეს დღესასწაული მზის კულტთანაა დაკავშირებული.

ასევე არსებობს სამდღიანი მარხვა თებერვლის მეორე ნახევარში, რომელიც ორ წმინდანს – ხიდირ ნაბისა და ხიდირ აილასს – ეძღვნება. ამ მარხვის დაცვა აუცილებელია მათთვის, ვისაც ხიდირი ან აილასი ჰქვია.

გარდა ამ ორი მარხვისა, უმაღლესი სასულიერო პირები და ის იეზიდები, რომლებიც ასკეტურ ცხოვრებას მისდევენ, წელიწადში ორჯერ (ზამთარსა და ზაფხულში) ორმოცდღიან მარხვას იცავენ, რაც ისევ ასტრალურ კულტებს უკავშირდება.

ერთ-ერთი უმთავრესი დღესასწაულია ახალი წელი – ჩარშამა სორ (ოთხშაბათის დღესასწაული) ან სარსალ (ახალი წელი), რომელიც აპრილის პირველ ოთხშაბათს (აღმოსავლური კალენდრით) უნდა დაემთხვეს. ამ დღეს იეზიდები კვერცხებს ღებავენ ნაირფრად და მათ ნაჭუჭებს მოხნულ მინდორში ფანტავენ. სახლში შემოსასვლელ კარს თავს გარედან მინდვრის წითელი ყვავილებით მორთავენ და ქადებს აცხობენ. ამ დღეს ქალები საფლავზეც გადიან. ახალი წლის ღამეს მრავალი იეზიდი ლალიშის ტაძარში ხვდება, სადაც დაბნელებისთანავე სასულიერო პირები ღვთაებრივ ცეცხლს გამოიტანენ ტაძრიდან და მრავალი ეზიდი ზეთით გაჟღენთილ ფითილებს უკიდებს ცეცხლს. აღსანიშნავია ისიც, რომ აპრილის თვე წმინდა თვედ ითვლება, რის გამოც აპრილში დაქორწინება იკრძალება.

ოქტომბრის შუა რიცხვები პილიგრიმობის დღეებია (ჯამაია შიხადი). სხვადასხვა ქვეყნიდან იეზიდები ლალიშში ჩადიან, სადაც მრავალი რელიგიური რიტუალი იმართება.

არსებობს სხვადასხვა კუთხის იეზიდებისთვის დამახასიათებელი მრავალი სხვა ადგილობრივი დღესასწაული. მაგალითად, საქართველოსა და სომხეთის ეზიდები მარტში აღნიშნავენ გაზაფხულის დღესასწაულს (კლოჩ) და ივნისში – მიცვალებულთა ხსენების (როჯა მაზალ, ანუ სასაფლაოზე გასვლის) დღეს.

მამაკაც იეზიდს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ულვაში, უნდა ეცვას თეთრი პერანგი, რომლის საყელო მრგვლად უნდა იყოს ამოჭრილი. საყელოზე თეთრი კანტი ეკერება, რომელიც მორჩილების სიმბოლოა. იეზიდებს ეკრძალებათ ლურჯი ფერის ტანისამოსის ჩაცმა, ვინაიდან ეს ზეციური ფერია და, ამავე დროს, შუა საუკუნეებში ახლო აღმოსავლეთში სამგლოვიარო ფერად ითვლებოდა.

იეზიდიზმში არსებობს სამი ბურჯი (სამი მცნება) და ერთი მათგანის დარღვევის შემთხვევაში, ეზიდი ავტომატურად კარგავს ეზიდობას. მათ ეწოდებათ: შარიათ, თარიყათ, დარბა ხარყა.

შარიათ გულისხმობს, რომ იეზიდმა არ უნდა იქორწინოს სხვა რჯულის ადამიანზე. თარიყათ კასტებს შორის ქორწინების აკრძალვას გულისხმობს. დარბა ხარყა გულისხმობს სასულიერო პირებისადმი პატივისცემას. ამ სამი პრინციპიდან ერთის დარღვევაც კი საშინელ ცოდვად ითვლება, რასაც დამრღვევის გარიყვა მოსდევს.

იეზიდური საზოგადოების სტრუქტურა. ეზიდები რელიგიურ საზოგადოებას წარმოადგენენ და იეზიდის ყოველდღიური ცხოვრება რელიგიასთან არის დაკავშირებული. უპირველეს ყოვლისა, იეზიდებს ეკრძალებათ სხვა სარწმუნოების ადამიანთან ერთად ოჯახის შექმნა. ეზიდური რელიგიის თანახმად, ეზიდი დედითაც და მამითაც იეზიდი უნდა იყოს.

იეზიდები სამ შტოდ („კასტად“) იყოფიან: შეიხები, ფირები და მურიდები (მურიდი მიმდევარს ნიშნავს). ინდური კასტებისაგან განსხვავებით, იეზიდური „კასტები“ რელიგიის წინაშე თა-

ნასწორნი არიან. აქ არ მოქმედებს სოციალურ-ეკონომიკური პრინციპი და იეზიდური საზოგადოება მხოლოდ სულიერ კავშირებზეა აგებული.

შეიხები და ფირები სასულიერო ფენას მიეკუთვნებიან, ხოლო მურიდების ძირითადი ნაწილი ერისკაცები არიან. ერთი კასტიდან მეორეში გადასვლა შეუძლებელია. იეზიდური რელიგიის თანახმად, ყოველი იეზიდი თავისი შეიხისა და ფირის მურიდია, ანუ მიმდევარია. ეს შეიხებსა და ფირებზეც ვრცელდება, რაც გულისხმობს იმას, რომ ისინიც თავიანთი შეიხისა და ფირის მურიდები არიან. უბრალო მურიდებისაგან განსხვავებით, მათ კიდევ თავიანთი მურიდები ჰყავთ. რელიგიის თანახმად, ამ სამი შტოს წარმომადგენელთა შორის ქორწინება იკრძალება, ვინაიდან მათ მხოლოდ სულიერი კავშირი აქვთ ერთმანეთთან. მათ შორის ქორწინება დისა და ძმის ერთმანეთზე ქორწინების ტოლფასია (ეს შეიძლება შევადაროთ ნათელ-მირონობით დაკავშირებულ ადამიანებს შორის ქორწინების აკრძალვას ქრისტიანობაში).

§7. ბუდიზმი

ბუდიზმი სამოძღვრო-ასკეტური პრაქტიკა, მისტიკური ფილოსოფია და სპირიტუალური თვითშემეცნების სისტემაა. იგი მსოფლიო რელიგიაა, რომელსაც შემოქმედი ღმერთის ცნება არ გააჩნია. მას „შინაგან რელიგიას“, ანუ „შინაგანი სამყაროს რელიგიას“ უწოდებენ, რადგან მედიტაციის (ლოცვის) მეშვეობით მორწმუნე არა ღმერთს, არამედ საკუთარი სულის სიღრმეს უკავშირდება. ამ იდეალის მიღწევისათვის საჭიროა დრო და უნარი, პიროვნული მონდომება და ასკეტიზმი. ამ აზრით, ბუდისტების მოძღვრება და პრაქტიკა უფრო ფილოსოფიაა, ვიდრე სარწმუნოება. მისთვის უცხოა საღვთო მოძღვრება და საღვთო გამოცხადება, შესაბამისად, საღვთო წერილი, როგორც შეუვალი ავტორიტეტი. ამის გამო ბუდისტების თეორიასა და პრაქტიკას არ ახასიათებს მკაცრი დოგმატიზმი და არ გააჩნია წეს-განგებათა უნიფიცირებული ნიმუში, ე.წ. ტიპიკონი. ბუდისტების ქვეყნებში, არამცთუ ოლქებსა და ქალაქებს, არამედ სოფლებსა და უბნებსაც კი ერთმანეთისაგან შესამჩნევად განსხვავებული აღმსარებლობითი ტრადიცია აქვთ.

სახელწოდება დაკავშირებულია დამაარსებელთან – სიდჰარტა გაუტამასთან, რომელიც გახდა ბუდა – გასხივოსნებული. ამიტომ ბუდას მიმდევრები და თაყვანისმცემლები ბუდისტებად (გასხივოსნებულებად) იწოდებიან.

ბუდიზმი წარმოიშვა ძვ. წ. VI-V საუკუნეების მიჯნაზე. მისი სამშობლოა ინდოეთი, მაგრამ ფართო ასპარეზი ამ ქვეყნის გარეთ პოვა, განსაკუთრებით ჩინეთში, ჩინეთის გზით კი – იაპონიაში, კორეასა და შორეული აღმოსავლეთის ბევრ სხვა ქვეყანაში. ბუდიზმის ძლიერი კერა არსებობდა ტიბეტში, სადაც ტიბეტურ ენაზე შეიქმნა უმდიდრესი ბუდისტური ლიტერატურა. ტიბეტის გავლენით ბუდიზმი მონღოლებს შორისაც გავრცელდა. ბუდისტთა თემები ყველა კონტინენტსა და ქვეყანაშია.

ბუდისტების საერთო რიცხვი დღეს 359 მილიონს აღემატება. ამ თვალსაზრისით, ბუდიზმი მეოთხე მსოფლიო რელიგიაა ქრისტიანობის, ისლამისა და ინდუიზმის შემდეგ.

ისტორია. სიდჰარტა გაუტამა ბუდას ბიოგრაფია თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემოდა და მხოლოდ რამდენიმე ასწლეულის შემდეგ მისი მიმდევრების მიერ იქნა ჩაწერილი. მისი ცხოვრების ყველაზე ცნობილი ეპიზოდები თავმოყრილია კრებულში ჯატაკა, რომელიც პალიზეა (ერთერთი უძველესი ინდური ენა) შედგენილი ძვ. წ. II საუკუნეში. თანამედროვე მეცნიერების მონაცემებსაც თუ გავითვალისწინებთ, ამ ბიოგრაფიის ძირითადი შტრიხები ასეთია: სიდჰარტა (რაც ნიშნავს: „მიზანს მიღწეული“) გაუტამა ძვ. წ. VI საუკუნეში დაიბადა ქალაქ კაპილავასტუში, რომელიც ჰიმალაის მთის ძირში, თანამედროვე ნეპალის სამხრეთში მდებარეობს. მისი მამა შუდჰოდანა, გაუტამას საგვარეულოს შაკიების ცნობილი კლანის წარმომადგენელი იყო და მეფე-მეომრების უმაღლეს კასტას მიეკუთვნებოდა. სიდჰარტას შობიდან შვიდი დღის თავზე დედა გარდაიცვალა. ჩვილის გაზრდა დეიდამ იკისრა. იგი მეფემ ცოლად შეირთო.

გადმოცემის მიხედვით, ერთმა წინასწარმეტყველმა მეფე შუდჰოდანას ამცნო, რომ მისი ვაჟი ოთხ საგანს იხილავდა, რაც უფლისწულის ცხოვრებას სრულიად შეცვლიდა – ისიც მეფე გახდებოდა, ოღონდ არა ამ ქვეყნისა. ამის გამო მამამ ვაჟიშვილი გარესამყაროსაგან სრულ იზოლაციაში მოაქცია, ცდილობდა მემკვიდრეს არ ეხილა ცხოვრების სიმძიმე და ტრაგიზმი, არ დაენახა მათხოვრები, სნეულები, ხეიბრები და მოხუცები, არ განეცადა ადამიანის სიკვდილით მოგვრილი ტკივილი.

უფლისწული სასახლიდან გაუსვლელად, სრულ ფუფუნებაში ცხოვრობდა, მაგრამ მან მალევე იგრძნო ამგვარი ყოფის ამოება. 29 წლის გაუტამამ მსახურთან ერთად სასახლის გალავანს გადააბიჯა. გარეთ მან ოთხი „სიახლე“ იხილა, რამაც შეძრა იგი და მისი ცხოვრება შეცვალა. „ოთხი წამიერი ხილვის“ ამბავში გადმოცემულია, თუ როგორ შეიტყო სიდჰარტამ, რომ ადამიანთა ცხოვრება ტანჯვითაა აღსავსე. მან ნახა სიბერე (დაუძლურებული მოხუცი), ავადმყოფობა (დასნეულებული ადამიანი), სიკვდილი (მკვდარი სხეული) და ბოლოს სრული სიმშვიდე (მოხეტიალე თავგადაპარსული გლახაკი ბერი). ნანახისა და განცდილის სიმძაფრემ გაუტამას საბოლოოდ გადააწყვეტინა განდგომისა და შინაგანი სრულყოფის გზაზე სიარული.

უფლისწულმა დატოვა სახლი და შეუდგა «დიად გზას» ხსნის საძებნელად. პირველად იგი შეუერთდა ინდუისტ ასკეტ ბერებს, იმ იმედით, რომ სხეულის დათრგუნვა სიმშვიდეს მოუტანდა და ტანჯვას დააძლევინებდა. ექვსწლიანი უკიდურესად ასკეტური ცხოვრების შემდეგ იგი მიხვდა, რომ თავის მიზანს ვერ მიაღწია. გაუტამამ „ოქროს შუალედის“, ანუ „შუა გზის“ პრინციპი ჩამოაყალიბა. მან უარი თქვა როგორც სრულ ასკეტიზმზე, ასევე „მიშვებულ“ ცხოვრებაზე და ღრმა მედიტაციას მიეცა.

ერთხელ სიდჰარტა გაუტამა, რომელიც უკვე 35 წლისა იყო, მდინარე საიას ნაპირას, ლეღვის ხის ძირას დაჯდა და დადო აღთქმა, რომ ადგილს არ მოიცვლიდა, სანამ გასხივოსნებას არ მიაღწევდა. ორმოცდამეცხრე დღეს ოთხი ჭეშმარიტება გამოეცხადა და ამის შემდეგ დაერქვა ბუდჰა, რაც „გასხივოსნებულს“, „გამოღვიძებულს“ ნიშნავს, ხოლო ხეს, რომლის ქვეშაც ის იჯდა, ეწოდა ბოდჰი (სიბრძნის ხე). ბუდას პირველი ზრახვა იყო ხალხისათვის გაეცხადებინა ეს ჭეშმარიტებანი, როგორც ტანჯვისგან დახსნის გზა, მაგრამ სიკვდილის ღმერთი, მარა შეუჩნდა მას და ოთხი თუ შვიდი კვირის განმავლობაში ცდილობდა აეძულებინა, ამ მისიაზე უარი ეთქვა. ამის მიუხედავად ბუდამ დაძლია შიში, ცდუნება და თავისი მოძღვრების ქადაგებას შეუდგა.

ბუდამ პირველი ქადაგება ბენარესის მახლობლად, ცხოველთა ბაღში წარმოთქვა. გადმოცემის თანახმად, მისი პირველი მსმენელები ხუთი ადამიანი და ორი ირემი იყვნენ. ქადაგება ასე დაიწყო: „ბჭენი ხსნისა დაე, გაცხადდეს ყველასათვის! ადამიანებო, განიხვენით ყურნი თქვენი და მისმინეთ მე: გზა ხსნისა ნაპოვნია! მე გმოძღვრავთ თქვენ და, თუ ჩემი სწავლის თანახმად იცხოვრებთ, მიიღებთ იმას, რისი გულისთვისაც კეთილშობილი ჭაბუკნი ტოვებენ სამშობლოს და მიდიან უცხო ქვეყნებში გასანათლებლად. თქვენ იხილავთ ჭეშმარიტებას“. ამის შემდეგ, მომდევნო 45 წლის განმავლობაში, ბუდამ თითქმის მთელი ინდოეთი მოიარა, მრავალი მიმდევარი შეიძინა, დააარსა ბუდისტთა საკრებულოები და მამათა მონასტრები. ბუდას მოძღვრება მისმა მოწაფეებმა მთელ ჩრდილოეთ ინდოეთში გაავრცელეს.

ბუდა ღრმად მოხუცებული, 80 თუ 85 წლისა, გარდაიცვალა. გარდაცვალების მიზეზი გამხდარა სოკოს კერძი, რომლითაც ერთმა ნალბანდმა უმასპინძლა. დაბეჯითებით ვერავინ ამბობს, ბუდა მოწამლეს თუ მოიწამლა. ცნობილია გიგანტური ქანდაკებები, რომლებზეც მისი უკანასკნელი დაძინებაა აღბეჭდილი. შემორჩენილია გადმოცემა, რომლის მიხედვით მან სიკვდილის წინ ლოტოსის ფორმა მიიღო,

მოძღვრება. ბუდას მოძღვრება არ იცნობს ყოვლისშემძლე და ყოვლისშემოქმედ ღმერთს და არც მსოფლიო სულს. მისთვის უცხოა როგორც მონოთეიზმი, ისე პოლითეიზმი. ესაა მოძღვრება მორალის, მედიტაციისა და ჭეშმარიტების შესახებ. ავტორმა იგი არა ღვთაებრივი გამოცხადე-

ბის, არამედ მედიტაციის მეშვეობით შეითვისა. მისი გასხივოსნება საკუთარი სულის აქტივობის საფუძველზე მოხდა.

ჭეშმარიტება არის ოთხი:

1. არსებობს ტანჯვა – დუკკა. ყველაფერი ტანჯვაა წუთისოფელში. მთელი სიცოცხლე გადის მორალურ, სულიერ ან ფიზიკურ ტანჯვაში. დაბადება არის ტანჯვა, სნეულება არის ტანჯვა, სიყვარული არის ტანჯვა, სიყვარულის საგანთან განშორება არის ტანჯვა, სიყვარულის ვერმიხვდომა არის ტანჯვა, სიბერე, სიკვდილი არის ტანჯვა...
2. არსებობს ტანჯვის მიზეზი – სამოდაია. ეს არის წყურვილი ყოფნისა, არსებობისა, სიცოცხლისა, რასაც ადამიანი მიჰყავს დაბადებიდან დაბადებისკენ. ტანჯვას იწვევს სურვილები, ვნებები, სწრაფვანი სურვილთა დასაკმაყოფილებლად და სხვ.
3. არსებობს განკურნება – ნიროდჰა: გათავისუფლება ყოველი სურვილისგან.
4. არსებობს გზა განკურნებისა და ხსნისა – მაგგა, რომელიც რვა საფეხურისგან, ბილიკისაგან შედგება:

1) მართალი სარწმუნოება ანუ, რწმენა, რომ სიცოცხლე ტანჯვაა,
2) მართალი განზრახვა, რათა მოვიქცეთ ამ ოთხი ჭეშმარიტების შესაბამისად,
3) მართალი სიტყვა, ანუ მართალი განზრახვის გამოხატვა მართალი სიტყვით,
4) მართალი საქმე, ანუ მართალი ქცევა, როგორც მართალი სიტყვის რეალიზაცია, რათა ერთი იყოს სიტყვა და საქმე იმ ოთხი ჭეშმარიტების შესატყვისად,
5) მართალი ცხოვრება: არავის ავნო, არ მიაყენო ზიანი ცოცხალ არსებას,
6) მართალი სწრაფვა: მისწრაფებანი, ტენდენციები იმ ოთხი ჭეშმარიტების კვალდაკვალ,
7) მართალი მეხსიერება: ადამიანს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, თუ კიდევ რა რჩება გაუკეთებელი ჭეშმარიტი ცხოვრების გზაზე,
8) მართალი თვითდაუნჯება: მეხსიერებაში, ხსოვნაში აღარ უნდა ინახებოდეს მიწიერი ცხოვრების შთაბეჭდილებები, რადგან მიწიერი ცხოვრება ილუზიაა.

ტანჯვათა მოსპობის გზა მოიცავს ხუთ მცნებას:

1. არ მოკლა არც ერთი კაცი, არც ერთი ცხოველი, არც ერთი ცოცხალი არსება,
2. არ მოიპარო, არ მიითვისო, რაც შენ არ გიმუშაკია,
3. პატივი ეცი სხვას და არ იმრუშო,
4. არ იცრუო და არ გაკიცხო სხვა,
5. თავი აარიდე ალკოჰოლსა და ნიკოტინს, რადგან ისინი გონებას აბნელებენ.

ბუდისტების რელიგიური იდეალი არის ნირვანა. ესაა სრული სიმშვიდე: არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ – თავისებური ყოფნა, უფრო – ზეყოფნა, როცა ყოველი შეგრძნება ნულოვან წერტილშია მოქცეული.

მოკვდავთაგან პირველი, ვინც ნირვანას მიაღწია, იყო ბუდა, რომელიც ისე არ მომკვდარა, როგორც მოკვდავნი კვდებიან. არსებობს ძველი გადმოცემა, რომელიც გვაუწყებს, რომ თავისი მომავალი რეინკარნაციის წრებრუნვიდან გასვლის შესახებ ბუდამ თვითონვე იწინასწარმეტყველა. როდესაც იგი დაიბადა, შვიდი ნაბიჯი გადადგა და წარმოთქვა: „მე მსოფლიოს თავი ვარ, ეს ჩემი უკანასკნელი დაბადებაა. ამიერიდან მეტი არსებობა მე აღარ მომეცემა“. და მართლაც, ბუდისტებს სწამთ, რომ ორმოცი წლის ხეტიალისა და ჭეშმარიტებათა ქადაგების შემდეგ, ოთხმოცდახუთი წლის ასაკში, ბუდა ნირვანაში წავიდა, რასაც ისინი ასე უწოდებენ: მაჰა-პარი-ნირვანა („დიდი გადასვლა ნირვანაში“). გადმოცემით, ბუდას უკანასკნელი სიტყვები ყოფილა: „ახლა კი, ბერებო, მეტს ვერაფერს გეტყვით გარდა იმისა, რომ ყოველი ქმნილება დასაღუპად არის განწირული. მთელი ძალით ესწრაფეთ ხსნას“. ხსნა სწორედ ნირვანაშია.

ბუდიზმის მიხედვით, ზნეობრივი ცხოვრების ხარისხი განაპირობებს ხელახალი დაბადების სახეს. ჩვენ, წინარე ცხოვრებაში მოპოვებული მადლის კვალდაკვალ, შეიძლება დავიბადოთ მცე-

ნარედ, ცხოველად, ასეთ ან ისეთ ადამიანად. იდეალი კი დაბადება-სიკვდილთა ციკლიდან გასვლა და ნირვანას მიღწევა, ე.ი. ბუდად გარდასახვაა.

ბუდიზმი პასუხს არ სცემს კითხვას, თუ როგორ წარმოიშვა სამყარო. ყველაფერი, რაც არსებობს, მუდამ არსებობდა, ყველაფერი მუდმივ ცვალებადობაშია. სამყარო მხოლოდ ილუზიაა. ამიტომ ბუდისტები არ სვამენ კითხვას, როდის და როგორ წარმოიშვა სამყარო. ერთადერთი რეალური, ჭეშმარიტი არსებობა აქვს ნირვანას, რისკენაც უნდა მიისწრაფვოდეს ადამიანი. ამისათვის, პირველ რიგში, კარმის გაუმჯობესებაა საჭირო, რათა წუთისოფელს მომავალში უფრო და უფრო მაღალი რეგისტრის არსებად მოევლინო, დაძლიო სამსარა და ნირვანას ეზიარო. ნირვანას გზა სიმშვიდისა და ნეტარების მდგომარეობას გულისხმობს. ბუდა ამბობს: „მწუხარების სამეფოში ნირვანა არ არსებობს, ნირვანა მწუხარების უარყოფაა. მე, სიდჰარტა გაუტამა, ზნეობის თვითგაუმჯობესებას ვწირავ ჩემს თავს, რათა უმაღლეს ზნეობრივ სიმშვიდეს, ნირვანას მივაღწიო“.

ბუდიზმი კატეგორიულად უარყოფს ბოროტების წინააღმდეგ ძალისმიერ ბრძოლას და უმაღლეს ზნეობრივ პრინციპად მტრის სიყვარულს მიიჩნევს. ბუდა ამბობს: „ვაი მას, ვინც ძალადობას ძალადობით ებრძვის!... მტრობა არასდროს მოსპობილა მტრობით. ნუ გძულს, ვისაც ეზიზღები. მოიკალი გულში მტრობის გრძნობა... განრისხება სიკეთით დაამარცხე, ბოროტება – სიქველით“. ასევე: „მან გამლანძღა, მან მტანჯა!... ვინც ასე გოდებს, მტრობის გრძნობა დაიხშოს გულში, რადგან მტრობა მტრობითვე ვერ მოისპობა. მისი დაძლევა არამტრობით თუ მოხერხდება. ამგვარი წესია უკუნისიდან“. თუ რა გზით შეიძლება წუთისოფლის დაძლევა, ამაზე პასუხს ერთ ბუდისტურ იგავში ვპოულობთ: ახალგაზრდა და მდიდარ ქალს, კასაგოტამის, მოულოდნელად მხოლოდშობილი ძე გარდაეცვალა. დედამ ფიქრადაც არ გაიკარა ჩვილის სიკვდილი. მკერდზე მიიკონა იგი და კარდაკარ სიარულს შეუდგა: ავადაა ბავშვი და წამალი შემაწიეთო. – მხოლოდ ბუდა თუ გიშველისო... კარგიო, – უთხრა ბუდამ, მხოლოდ მდოგვის მარცვალი მომიტანე იმ ოჯახიდან, სადაც არავინ მომკვდარა. კასაგოტამი დავალების შესრულებას შეუდგა, მაგრამ ამაოდ, რადგან ყველა ოჯახს ჰყავდა მკვდარი: ზოგი შვილს მისტიროდა, ზოგი – დედ-მამას, ზოგი – მეგობარს. პასუხიც ასეთი იყო: ცოცხლები ცოტანი არიან, მკვდრები ბევრიო. მაშინ განათდა მშობლის გონება და მან მოიწმინდა ცრემლი, რადგან დარწმუნდა, რომ მისი ვაჟი მოკვდა. გოდება ამის გამო უქმი იყო, მწუხარება – უგუნურება. ბუდამაც უთხრა: უგუნურებაა გიყვარდეს ის, რაც წარმავალია, რაც ჩვენს ხელთ არ არის და, რაც საპნის ბუშტივით იკარგება.

ცხოვრების წესი და მსახურება. ბუდისტი მლოცველის საბოლოო მიზანი გასხივოსნება, ანუ სატარის მიღწევაა, რისთვისაც მედიტაციას მიმართავენ. ამ დროს ისინი, მეტწილად, ლოტოსის ფორმას იღებენ: ფეხებს გადაიჯვარედინებენ, დასხდებიან და სიჩუმეში ჩაიძირებიან.

ბუდისტები გაერთიანებული არიან სანგებში (მორწმუნეთა თემი). არსებობს საკრებულო ტაძრებიც და მონასტრებიც. ფართოდაა გავრცელებული ბერობის ის სახე, რომელსაც მწირ-მონაზვნობა ჰქვია. იგულისხმება, რომ ბერებმა ამქვეყნიური ცდუნებანი დაამარცხეს, ისინი არა მარტო ზემოთ ჩამოთვლილ მცნებებს იცავენ, არამედ უფრო ღრმა ასკეზებსაც: 1. მარხვა (შუადღის შემდეგ), 2. გართობა-სანახაობებზე (ცეკვაზე, სიმღერაზე, თეატრზე) უარის თქმა, 3. მორთვა-მოკაზმულობაზე ხელის აღება, 4. რბილი საწოლის უარყოფა, 5. ოქრო-ვერცხლის საჩუქრად მიუღებლობა.

თავი IV. რელიგიები საქართველოში[35]

საქართველო, ეთნიკურთან ერთად, რელიგიური მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა. ეს რეალობა ისტორიულად ჩამოყალიბდა. საქართველოში მოსახლეობის კონფესიური სტრუქტურა პირველად 2002 წელს დადგინდა[36]. საბჭოთა კავშირში მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობა არ აღირიცხებოდა, რის გამო ოფიციალური სტატისტიკა აღმსარებლობის შესახებ არ არსებობდა. აღწერის თანახმად, მოსახლეობის 88,6% ქრისტიანული აღმსარებლობისაა, 9,9% მაჰმადიანია, 0,1% – იუდეველი, სხვები 0,8% შეადგენენ, 0,6% არც ერთ აღმსარებლობას არ მიაკუთვნებს თავს.

საქართველოს მოსახლეობის ძირითადი აღმსარებლობა მართლმადიდებლობაა. ქართველი მართლმადიდებლები მოსახლეობის 65% შეადგენენ, მუსლიმები – 11%, რუსი მართლმადიდებლები – 10%, სომეხი გრიგორიანელები – 8%, სხვები – 6%.

2002 წლის მონაცემებით, მორწმუნე ქართველების 94% მართლმადიდებელია, 3,8 % – მუსლიმი, 0,3% – კათოლიკე. სხვა აღმსარებლობათა მიმდევრების რაოდენობის შესახებ მონაცემები არ არის. 28 ათასი კაცი არ აღიარებს არც ერთ რელიგიას.

საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნებებიდან **ქრისტიანობას** აღიარებენ რუსები (ძირითადად – მართლმადიდებლობას, ნაწილი სექტანტებია – მალაკნები, დუხობორები, სტაროვერები), სომხები (ძირითადად მონოფიზიტი-გრიგორიანელები, მცირე ნაწილი – კათოლიკები), ბერძნები (მართლმადიდებლები), ასირიელები (ნესტორიანელები და კათოლიკები), პოლონელები (კათოლიკეები), გერმანელები (პროტესტანტი-ლუთერანები).

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მცხოვრები არც ერთი ეროვნება არ არის მონოკონფესიური. გარდა საკუთარი ტრადიციული აღმსარებლობისა, ყველა ეთნიკურ ჯგუფში გვხვდებიან სხვა ძველი თუ ახალი აღმსარებლობის მიმდევრები.

§1. იუდაიზმი საქართველოში

იუდეველები, ანუ ებრაელები საქართველოში პირველად ძვ.წ. VI საუკუნეში გამოჩნდნენ. ისინი ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორის აგრესიას და ოკუპაციას გამოექცნენ, მოვიდნენ მცხეთაში და ქართლის სხვადასხვა კუთხეში დასახლდნენ. მეტ-ნაკლები მასშტაბის შემოსახლებები შემდგომაც ხდებოდა, განსაკუთრებით ახ. წ. I საუკუნისთვის, იერუსალიმის წარტყვევნისა და სოლომონის ტაძრის დაქცევის შემდეგ.

„მოქცევაი ქართლისაის“ მიხედვით, მცხეთელი ებრაელი ქალი სიდონია ქართული ეკლესიის პირველი წმინდანია, ხოლო ქართველი ებრაელი ელიოზ მცხეთელი – ქრისტეს კვართის ჩამომტანი საქართველოში. ამავე ქრონიკაში ნათქვამია: წმ. ნინომ, როდესაც ქართლში მოვიდა, პირველად ებრაელთა სინაგოგას, ბაგინად წოდებულს, მიაკითხა, რადგან მათი ენა, არამეული, იცოდა. იმავე წერილობითი ძეგლიდან ჩანს, რომ მოციქულთა სწორმა წმინდა ნინომ პირველად ებრაელები გააქრისტიანა.

35 წინამდებარე თავი შედგენილია წიგნის **„რელიგიები საქართველოში“** მიხედვით. წიგნი მომზადებულია საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ. თბილისი, 2008.

36 საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი საყოველთაო ეროვნული აღწერის ძირითადი შედეგები. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბ., 2004.

26-საუკუნოვანმა მშვიდობიანმა თანაცხოვრებამ შექმნა ქართველი ებრაელის ფენომენი. იგი სიმბოლურად ორი ერის შვილია: ქართულ მიწას ამუშავებს, ქართულად მეტყველებს, ქართულ სახლს აშენებს და, ამავე დროს, მტკიცედ იცავს იუდაური ცხოვრების წესს. ებრაული, მათი მშობლიური ენა, რომელზეც დაწერილია ბიბლიის წიგნები, განაგრძობდა არსებობას სწავლულ რაბინთა წრეებში. ამ ენაზე სრულდებოდა ღვთისმსახურება ებრაულ სალოცავებში. ბეით ქნესეთი და მისი ეზო ყველა ჭირთათმენისა და სიხარულის ადგილი იყო ებრაელთათვის. ჯამაათის (ებრაული თემი, კეჰილა) ზრდასთან ერთად, ქალაქებსა თუ სხვა სახის დასახლებებში მატულობდა სალოცავების რიცხვიც.

IX საუკუნეში საქართველო აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით ხაზართა სამეფოს ესაზღვრებოდა, რომლის ელიტამაც, როგორც ჩანს, VIII საუკუნის 40-იან წლებში მიიღო იუდაიზმი. საქართველოში იუდაიზმის გავრცელებაში ხაზართა წვლილზე ზუსტი ცნობები არ შემორჩა. IX საუკუნის მიწურულს საქართველოში იუდაური ჯგუფი წარმოიქმნა, რომელიც გალახას ზოგიერთ პუნქტს უარყოფდა, მათ შორის სქესობრივ ცხოვრებასთან და საკვების აკრძალვასთან დაკავშირებულ დებულებებს. ჯგუფის დამფუძნებელი აბუ-იმ-რან მუსა (მოშე) თბილისში ბაბილონიდან ჩამოსულა. მისი მიმდევრების რელიგიური თემი, რომელმაც 300 წელზე ოდნავ ნაკლები იარსება, ებრაულ წყაროებში „თბილისურ სექტად“ არის მოხსენიებული. საბოლოოდ ქართველი ებრაელები თალმუდისტური იუდაიზმის ერთგულნი დარჩნენ.

ადრე შუა საუკუნეებში საქართველოს ებრაელები, როგორც ჩანს, ძირითადად ირანის ებრაულ თემთან იყვნენ დაკავშირებული, რომლის მეშვეობითაც აღმოსავლეთის ებრაელობის რელიგიურ ცენტრთან, ბაღდადთან, ინარჩუნებდნენ ურთიერთობას.

ბენიამინ ტუდელი XII საუკუნის 70-იან წლებში წერდა: საქართველოდან ებრაელები ჩამოდიან ხოლმე ბაბილონში, ექსილარხთან, „რათა მისგან ხელდასხმა და მფარველობა მიიღონ და მისთვის ძღვენიც მოაქვთ“.

მარკო პოლო თბილისში იმ დროს შემოვიდა (1272 წელს), როცა ქალაქი მონღოლების უღელქვეშ იყო მოქცეული. მოგზაური გადმოგვცემს, რომ ის აქ ებრაელთა მცირერიცხოვან ჯგუფს შეხვდა. ამ დროისთვის ებრაელების ნაწილი მონღოლთა მიერ დაპყრობილ აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოდან უფრო თავისუფალ დასავლეთ საქართველოში გადასულა და იქ ახალი თემები ჩამოუყალიბებია. XIV საუკუნეში ებრაული თემი მომძლავრებულა ქალაქ გაგრაში, რაბი იოსებ თბილისელის თაოსნობით. ამ პერიოდში გაგრაში ცხოვრობდა სწავლული რაბი იეჰუდა ბენ იაკობიც, ებრაული გრამატიკის ავტორი (ან უფრო გადამწერი). უნდა ვივარაუდოთ, რომ მონღოლების ზეწოლის გამო ებრაელების ნაწილი აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოდან სხვადასხვა ქვეყნებში გადასახლდა. XIV საუკუნის დამდეგს ქალაქ თავრიზში (ჩრდილო-დასავლეთ ირანი) მოღვაწეობდა იუდაიზმის კანონების მცოდნე იეშაიაჰუ ბენ იოსებ თბილისელი, რომელსაც 1330 წელს „სეფერ გან ედენ“ („სამოთხის წიგნი“) დაუწერია.

ამ ეპოქიდან ჩვენამდე უმნიშვნელოვანესმა ებრაულმა ხელნაწერებმა მოაღწია. X საუკუნით თარიღდება ლაილაშის (ლეჩხუმი) სინაგოგის თორის ცნობილი ხელნაწერი, რომელიც იქ 1930 წლებამდე ინახებოდა. მას, ქართველ ებრაელებთან ერთად, ქრისტიანული მოსახლეობაც სასწაულმოქმედ ძალას მიაწერდა. გარდა ამისა, ჩვენამდე შემორჩენილია ე. წ. ბრეთის ანუ ავალიანთ (ავალიშვილების) ბიბლია (გადაწერილია ქ. სალონიკში, 1513 წელს, სულთან სელიმ I-ის მეფობის დროს, იეჰუდა გედალიას ოჯახში).

გვიანფეოდალურ ხანაში აღმოსავლეთ საქართველოში ებრაელთა ძირითად სამოსახლო პუნქტებს წარმოადგენდა: სურამი, ახალდაბა, ალი, ბაზალეთი, არაგვისპირი, ცხინვალი, ატენი, თამარაშენი, ძეგვი, ზანავი, ხერკი, მეტეხი, კასპი, მუხრანი, კავთისხევი და მთელი ტერიტორია არაგვისა და მტკვრის შეყოლებით; სამცხე-ჯავახეთში – ფანასკერტი, არტანუჯი, ახალქალაქი, ახალციხე; კახეთსა და ქიზიყში – ბოდბისხევი, ზემო ხოდაშენი, ველისციხე, ურიათუბანი, საგარეჯო; დასავლეთ საქართველოში: იმერეთში – ქუთაისი, ვანი, კულაში; სამეგრელოში – ფოთი,

ბანძა, სენაკი; რაჭა-ლეჩხუმში – ონი, ლაილაში, ხოტევი; გურიაში – ოზურგეთი. ებრაელთა ეპიგრაფიკული ძეგლები ებრაულ და არამეულ ენებზე (III-IV სს.) აღმოჩენილია ურბნისსა და მცხეთაში, მაგრამ გვიანფეოდალურ ხანაში ისინი აღარ ჩანან. ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის განსახლების ადგილებში შემორჩა მხოლოდ ტოპონიმები („უბანი ურიათა“, „ურიათუბანი“, „ნაურიები“, „ურია“).

XIX ს. დამდეგს საქართველოში თურქეთიდან არამეელი ებრაელები (ლახლუხები) შემოსულან. ამავე პერიოდში ებრაელები ირანიდან და ერაყიდანაც გადმოდიან. ევროპელი ებრაელები (აშკენაზები) აქ პირველად 1804 წლიდან გამოჩნდნენ.

ქართული ეთნოგრაფიული მონაცემებით ცნობილია, რომ საქართველოს ცალკეული რეგიონის კლიმატურ-გეოგრაფიულ პირობებს შეესაბამებოდა დასახლების გარკვეული ფორმა და საცხოვრებელი ნაგებობა. უბნური დასახლების ხასიათს, გეოგრაფიული ადგილ-მდებარეობის, ებრაელთა სპეციფიკური საქმიანობის (ვაჭრობა, ხელოსნობა) ან კუთხური ნიშან-თვისებების გარდა, რელიგიური ფაქტორიც განსაზღვრავდა. ებრაელთა კონცენტრაციას, ძირითადად, სამლოცველოს ახლომდებარე უბნებში ვხვდებით, რადგან სამლოცველო წარმოადგენდა როგორც რელიგიურ-კულტურული, ისე საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრს.

ებრაელები, როგორც წესი, ამა თუ იმ ქალაქში ერთად სახლდებოდნენ და ცდილობდნენ საკუთარი სინაგოგა დაეფუძნებინათ. ჩვეულებრივ, ასეთი ჯგუფი დიდი ოჯახებისგან შედგებოდა, რომლებიც სამ-ოთხ თაობას აერთიანებდნენ.

ჯგუფში ოჯახების რაოდენობა შეზღუდული იყო. მათ არჩეული გაბაი თავკაცობდა, რომელიც პასუხისმგებელი იყო სინაგოგაში საქმეთა წარმოებაზე. თემის რელიგიურ ცხოვრებას ხახამი უძღვებოდა, რომელიც ადგენდა რაბინის, ხაზანის (მლოცველი სინაგოგაში), შეხოტის (ძღვენის ადამიანი, რომელიც კლავს შეწირულ ფრინველსა და ცხვარს) და ხედერას (მედრესის მასწავლებელი) ფუნქციებს. სოფლებიდან წამოსულები ერთმანეთთან ახლოს სახლდებოდნენ, რის გამოც ქალაქებში ებრაული დასახლებები იქმნებოდა. თბილისშიც ებრაელთა უბანს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა ებრაელებმა ჩაუყარეს საფუძველი. ზ. ჭიჭინაძის ცნობით, ეს უბანი „სიონის მახლობლად, ფეთხაინის ეკლესიის ძირას ყოფილა“. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ებრაელებმა თხოვნით მიმართეს გუბერნატორს, რათა მას დედაქალაქში მათთვის ახალი სამლოცველოს აშენების ნება დაერთო. 1905-1906 წლებში ახალი სინაგოგის მშენებლობა დასრულდა და ებრაული მოსახლეობაც, ძირითადად, მის მახლობლად განსახლებულა. ისინი კომპაქტურად ცხოვრობდნენ დღევანდელი კოტე აფხაზისა (ყოფილი ლესელიძის) და ვერცხლის ქუჩების მიდამოებში.

მიუხედავად იმისა, რომ ებრაელთა საცხოვრებელი კომპლექსი, ძირითადად, ქართული ეროვნული საცხოვრებლის ტრადიციას ემყარება, მასში მაინც მკაფიოდ ჩანს ებრაელი ხალხის სულიერი კულტურის სპეციფიკასთან დაკავშირებული დეტალები. ყოველი ებრაელის სახლს ჰყავდა თავისი მფარველი, მშვიდობისა და დოვლათიანობის მცველი, რომელსაც მეზუზა ჰქვია. ამავე დროს, მეზუზა – ოთხკუთხა, თავდახურული თხელი ყუთია, რომელშიც ჩასვენებულია სოფერის (წმიდა ტექსტის გადამწერის) მიერ პერგამენტის ქაღალდზე ნაწერი თორიდან „მეორე სჯულის“ ფრაგმენტი და მიმაგრებულია შესასვლელი კარის მარჯვენა მხარეს. დღესაც ოჯახის ყველა წევრი სახლიდან გასვლისას და დაბრუნებისას ასრულებს გარკვეულ რიტუალს, რათა მშვიდობიანი დღისთვის მადლობა უთხრას გამჩენს.

ებრაული სამზარეულო განსაზღვრავდა ებრაელთა პურობის ხასიათს, მაგრამ როგორი შინაარსის ან სიდიდისაც არ უნდა ყოფილიყო სუფრა, მას ყოველთვის სამი საკრალური ელემენტი ახლდა: მარილი, პური, ღვინო. მარილზე დაწებული პურის ნატეხის – ხამოცის და კიდუშის – ღვინის კურთხევის – რიტუალით პურობის დაწყების აუცილებლობა ეტიკეტის სავალდებულო წესი იყო. ქართველ ებრაელთა კვებაში არსებული აკრძალვები ზოგადებრაულია. მკვლევართა

აზრით, ამ აკრძალვების დაცვა არის სწორედ ებრაელი ხალხის მორალური და ფიზიკური სიმტკიცის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი.

გასაბჭოების შემდეგ, ათეიზმის მძვინვარების მიუხედავად, იუდაიზმის ტრადიციების რღვევის საქმეში კომუნისტურმა ხელისუფლებამ მნიშვნელოვან წარმატებას ვერ მიაღწია. 1960-70-იან წლებში ქართველ ებრაელთა უმრავლესობა განაგრძობდა სინაგოგაში სიარულს, სრულდებოდა ქორწინება და დასაფლავება რელიგიური წესების დაცვით. ბავშვები 13 წლის ასაკამდე სწავლობდნენ არალეგალურ ხედერებში. მართალია, მათი არსებობის შესახებ ხელისუფლებამ იცოდა, მაგრამ ამჯობინებდა ამ ფაქტისათვის ყურადღება არ მიექცია.

XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით გაჩაღდა ბრძოლა ალიასთვის (ისრაელში ასვლისთვის). ქართველი ებრაელებიც ჩაებნენ ამ მოძრაობაში. დღემდე ლეგენდად რჩება ქართველ ებრაელთა 18 ოჯახის მიერ 1967 წლის 9 აგვისტოს გაგზავნილი მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელზე და მათი ბრძოლა ისრაელში ასვლის უფლების მოსაპოვებლად. პირველმა სწორედ საქართველოს ებრაელობამ შეძლო საბჭოური „რკინის ფარდის“ გარღვევა. ეს დიდი ალიის დასაწყისი იყო. საქართველოდან ებრაელთა გადინებამ კულმინაციას 1991-1994 წლებში მიაღწია.

სადღეისოდ საქართველოს ებრაული თემი მნიშვნელოვანი მხარდაჭერით სარგებლობს საერთაშორისო ებრაული ორგანიზაციების მხრიდან, რომელთა შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამერიკის ებრაელთა გაერთიანებული კომიტეტი «ჯოინთი» (დაარსდა 1914 წ.). „ხესედები“, საქველმოქმედო ცენტრები მოქმედებს თბილისში, ქუთაისში, გორში, ბათუმში, რუსთავსა და ონში. ფუნქციონირებს ებრაული კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდი, რომლის მხარდაჭერით გამოიცემა ჟურნალი „ნაბიჯი თორისაკენ“. საქართველოს თანამედროვე ებრაული თემის არსებობასა და განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ებრაული სააგენტო ისრაელისათვის („სოხნუთი“). იგი საერთაშორისო ებრაული ნებაყოფლობითი ორგანიზაციაა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მსოფლიო ებრაელობის შეკავშირებასა და ისრაელის სახელმწიფოსთან თანამშრომლობას (გაიხსნა 1989 წ.).

კარგა ხანია მოქმედებს ებრაული სკოლა, საბავშვო ბაღი, რელიგიური აკადემია – იეშივა. მისივე ინიციატივით 1999 წლის ივნისში დაარსდა მსოფლიო ქალთა ორგანიზაციის „ემუნა“-ს (რწმენა) თბილისის ფილიალი, რომელიც მორწმუნე ქალების მოძრაობაა და თორის მიხედვით ცხოვრების პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.

2008 წლისათვის საქართველოში დაახლოებით 4 ათასამდე ებრაელი ცხოვრობდა. მათი დიდი ნაწილი (დაახ. 80%) სეფარდები, დანარჩენნი კი, ე.წ. ევროპელი ებრაელები (აშკენაზები) არიან. სინაგოგები მოქმედებს თბილისში, გორში, ბათუმში, ქუთაისში, ონში, ახალციხესა და სურამში.

§2. ქრისტიანობა საქართველოში

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მოგვითხრობს, რომ მცხეთელმა ებრაელებმა – ელიოზმა და ლონგინოზმა, რომლებიც ქრისტეს გასამართლებას დაესწრნენ, მაგრამ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმნენ, საქართველოში ქრისტეს კვართი ჩამოიტანეს. საეკლესიო გადმოცემით, სამოციქულო ქადაგებისთვის საქართველო ღვთისმშობელს წილისყრით ერგო, მაგრამ ხანდაზმულობის გამო მან ამ მხარეში მოსვლა ვერ მოახერხა. მისი თხოვნით, ეს მისია მოციქულებმა ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა იტვირთეს. მათგან მეორე აფხაზეთში, ნიკოფსიაში, გარდაიცვალა. ამის შემდეგ საქართველოში ქრისტეს მოძღვრება მოგზაურებს, ვაჭრებს, ტყვეებსა და გადმოსახლებულებს შემოჰქონდათ. III საუკუნის შუა წლებში ქართლის ტახტს განაგებდა მეფე რევი, რომელსაც ქრისტიანული ტრადიციის ისტორიოგრაფია „მართალს“ უწოდებს და დასძენს: მართალია, იგი წარმართი იყო, მაგრამ „იყო მოწყალე და შემწე ყოველთა ჭირვეულთა, რამეთუ

სმენილ იყო მისდა მცირედ რამე სახარება უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესი და აქვნდა რამე სიყვარული ქრისტესი“. არქეოლოგიური გათხრებით დასტურდება, რომ ქრისტიანული ეკლესიები (თემები) როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში IV საუკუნემდეც მოქმედებდა. ამის მიუხედავად, ფაქტია, რომ ამ ეკლესიებმა ქვეყნის იმდროინდელ სულიერ და მატერიალურ კულტურაზე თვალსაჩინო გავლენა ვერ მოახდინეს. ქართლისა და ეგრისის (დასავლეთ საქართველოს) სრულმასშტაბიანი ევანგელიზაცია რომის იმპერიის გაქრისტიანების შემდეგ მოხერხდა (IV-V სს.) და ეს მისია აღმოსავლეთ საქართველოში კაპადოკიელმა ქალწულმა, ნინომ, განახორციელა, რისთვისაც იგი, ქალი, მოციქულთა სწორად და ქართველთა განმანათლებლად იწოდება.

ქრისტიანობამ საქართველოში ბევრ კულტურულ ინიციატივას დაუდო სათავე. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი საღვთო წერილისა და ლიტურგიის ქართულ ენაზე ამეტყველებაა, რამაც ენა გაამდიდრა და დახვეწა. ამას კი შედეგად ქართული ქრისტიანული მწერლობის წარმოშობა და აღმავლობა მოჰყვა (არსებობს თვალსაზრისი, რომ ქართული დამწერლობა და მწერლობა ქრისტიანობამდეც არსებობდა, რომ ქართული ანბანი ძვ.წ. III ს-ში მოღვაწე ქართლის პირველი მეფის, ფარნავაზის, კულტურული რეფორმის ნაყოფია). ქრისტიანული საქართველო მძლავრი სამონასტრო კერებითა და ბერ-მონაზონთა სიმრავლით გამოირჩეოდა. ეს ინსტიტუტი ქართლსა და კახეთში სირიიდან შემოვიდა (ცამეტი მამის მეშვეობით), ეგრისსა და აფხაზეთში კი – ბიზანტიიდან.

IV-V საუკუნეებიდან როგორც საქართველოში, ისე საქართველოს საზღვრებს გარეთ ასპარეზზე გამოვიდნენ მწერლები, რომელთა მეშვეობით ქართველების საღვთისმეტყველო ცოდნა და შემეცნება მაღალ საფეხურზე ავიდა. ამ პერიოდიდან ქართველი ქრისტიანები თვალყურს ადევნებენ საღვთისმეტყველო დისკუსიებს, რაც მსოფლიო მასშტაბით მიმდინარეობდა და ასეთ ფორუმებში ხშირად მონაწილეობენ კიდეც. ამის პირველი მაგალითია იერემია იბერიელი (კათალიკოსი), რომელიც მცირე აზიაში გაემგზავრა და ეფესოს მსოფლიო კრების (431 წ.) ანტინესტორიანელ მონაწილეებს დაუჭირა მხარი. დღემდე კამათობენ მეცნიერები, თუ რა პოზიცია დაიკავა მცხეთის საკათალიკოსომ 451 წლის ქალკედონის ანტიმონოფიზიტურ კრებასთან მიმართებაში. საფიქრებელია, რომ ერთსულოვნება არ იყო. ამასთანავე, ფაქტია, რომ VI საუკუნის მიწურულიდან ქართლის ეკლესიამ (კოლხეთ-ეგრისისა იმხანად კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ექვემდებარებოდა) გეზი ქალკედონიტობისაკენ (დიოფიზიტობისაკენ) აიღო. ამ კურსის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი კირიონ ქართლის კათალიკოსს მიუძღვის.

IX-XI საუკუნეებში კონსტანტინოპოლისა და რომის ეკლესიები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, რაც 1054 წლის დიდი სქიზმით დამთავრდა: დასავლეთისა და აღმოსავლეთის მართლმადიდებელმა, ე.ი. შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილებათა მაღიარებელმა ეკლესიებმა ერთმანეთთან ევქარისტიული (ლოცვითი) კავშირი გაწყვიტეს. რა პოზიციაზე იდგა საქართველოს ეკლესია იმხანად, დოკუმენტურად ცნობილი არ არის. ფიქრობენ, რომ ათონის მთის ქართველთა მონასტრის წინამძღვარმა მაშინ, გარკვეულწილად, რომის ეკლესიის პოზიცია დაიჭირა. ამას ადასტურებს გიორგი მთაწმინდელის საჯარო სიტყვა, რომელიც ბიზანტიის იმპერატორის, დარბაზის ერისა და სტუმრების წინაშე 1065 წელს, დიდი სქიზმის ოფიციალურად გაფორმების შემდეგ, წარმოითქვა. წმ. მამამ განაცხადა: რომს, საბერძნეთისაგან განსხვავებით, არასდროს გადაუხვევია ჭეშმარიტებიდან, ხოლო ის, რაშიც მას ედავებიან (უფუარი პურით და წყალშეურეველი ღვინით ზიარება), არის არა სიახლე, არამედ ეკლესიის ძველი ტრადიცია, იესო ქრისტესა და მისი მოციქულების მიერ გამყარებული. ამ სიტყვას, აგიოგრაფ გიორგი მცირის ცნობით, ლათინები იმდენად აღუფრთოვანებია, რომ მათ წმ. მამის რომში ჩაყვანისა და წმ. პაპის წინაშე წარდგენის სურვილი გამოუთქვამთ (დაეთანხმა თუ არა ათონელი ბერი ამ წინადადებას, ცნობილი არ არის. რამდენიმე დღის შემდეგ იგი გარდაიცვალა). ამის მიუხედავად, საქართველოს ეკლესიამ, ისე როგორც ბერძნული ტრადიციის ყველა სხვა ეკლესიამ აღმოსავლეთში, რომის ეკლესიის სპეციფიკური (კათოლიკური) დოგმატები და ჩვეულებები არ გაიზიარა და დარჩა მართლმადიდებ-

ლურ მოძღვრებასა და წეს-განგებაზე. მისმა წარმომადგენლებმა ფერარა-ფლორენციის კრებაზე (1438-1439) რომთან სარწმუნოებრივი გაერთიანების საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავეს და უნია უარყვეს.

საქართველოს ეკლესიამ IX-X საუკუნეებში ძველი საღვთისმსახურო ტრადიცია, რომელიც იერუსალიმურ-ანტიოქიური ტიპიკონის სახელითაა ცნობილი, შეცვალა და ბიზანტიურ-კონსტანტინოპოლურ წესზე გადავიდა. რეფორმის მიზანს მსოფლიო ეკლესიასთან სრული თანხმობა წარმოადგენდა, რათა ეს ეკლესია, როგორც ამას მოგვიანებით (XVIII საუკუნეში) კათალიკოს-პატრიარქი ანტონ I იტყვის, „არა სხვად მედღესასწაულედ“ გამოჩენილიყო. აღნიშნულ ეპოქაში იერუსალიმური წარმოშობის ლიტურგიკული წიგნები (ჟამისწირვისა და კურთხევათა ტექსტები) აია სოფიის (ე.ი. კონსტანტინოპოლის) ტიპიკონის სტილსა და თარგზე გაწყობილმა კრებულებმა ჩაანაცვლა. ეს დრო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში ელინოფილურ ხანადაა ცნობილი, რაც XVII-XVIII საუკუნეებში რუსოფილობამ შეცვალა. საეკლესიო-საღვთისმსახურო წიგნების ქართული ვერსიები სლავურ ვერსიებს მიუსადაგეს. ამ პროცესს დასრულებული სახე დეკანოზმა ალექსი მესხიშვილმა და კათალიკოს-პატრიარქმა ანტონ I-მა მისცეს. თანამედროვე საღვთისმსახურო პრაქტიკაშიც ეს რედაქციები გამოიყენება. ამასთანავე, როგორც რუსულ, ისე ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიებში ლიტურგიის ენად დღემდე ძველი ენები რჩება (სლავური და ძველი ქართული), რადგან ისინი მეტი მადლის მქონე ენებად მიიჩნევა (თუმცა არსებობს განსხვავებული თეორიები და პოზიციები).

IX-XI საუკუნეებში ბერძნები და სხვა ერების წარმომადგენლები სკეპტიკურად უყურებდნენ მორწმუნე ქართველების ეკლესიოლოგიურ და საღვთისმეტყველო შესაძლებლობებს, არ მიიჩნევდნენ მათ ავტოკეფალიის ღირსად და მათ მიერ თარგმნილი თუ ორიგინალური ლიტერატურის კანონიკურობაში ეჭვი შეჰქონდათ.

ასეთი შეხედულებების გასაქარწყლებლად ყველაზე ავტორიტეტული სიტყვა გიორგი მთაწმინდელმა (1065 წ.) და ეფრემ მცირემ (1101 წ.) თქვეს. ამის შემდეგ ქართველების მისამართით ახალი ბრალდება წამოაყენეს: ისინი არ ემორჩილებიან პენტარქიის (ხუთმთავრობის) საყოველთაო კანონს, რომლის მიხედვით, კათოლიკე ეკლესია ხუთ საპატრიარქოდაა დაყოფილი (რომის, კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის) და ყველა სხვა ადგილობრივი ეკლესია ხუთიდან ერთ-ერთს უნდა დაექვემდებაროს. ბრალმდებელთა სიტყვით, ქართველები „არა რომლისა პატრიარქისა ხელმწიფებასა ქვეშე არიან... და თვით დაისვამენ კათალიკოსთა და ეპისკოპოსთა და არა სამართალ არს ესე, რამეთუ ათორმეტთა მოციქულთაგანი არავინ მისრულ არს ქვეყანასა მათსა...“. ლაპარაკია ავტოკეფალიაზე, რომელიც, ძველი ტრადიციის მიხედვით, მხოლოდ მოციქულისაგან დაარსებულ ეკლესიას ეკუთვნის. საქართველოს ეკლესიას, ანტიოქიის სამღვდელოებისა და თვით პატრიარქის თქმით, ეს პატივი „თვითრჩულობით და ქედფიცხლობით“, ე.ი. თვითნებობის (კაპრიზის, აკვიატების) და ამპარტავნების გამო აქვს მითვისებული, რადგან მათ მიწაზე არცერთ მოციქულს არ უქადაგიაო. საქართველოს ეკლესიამ დაიმოწმა წიგნი „ანდრია მოციქულის მიმოსვლა“, რომლის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე პირველი ეკლესიები ანდრია პირველწოდებულმა დააარსა. თუმცა არსებითი და მთავარი ის იყო, რომ იმ დროისათვის (XI საუკუნე) საქართველოს ეკლესიას უკვე შეძენილი ჰქონდა საკუთარი თავის დამოუკიდებლად მართვის უნარი და გამოცდილება; ქართულად თარგმნილი იყო ქრისტიანული მოძღვრებისა და პრაქტიკის ყველა პირველხარისხოვანი ძეგლი; არსებობდნენ კვალიფიციური ღვთისმეტყველები და კანონისტები, რაც მომავალშიც ამ ეკლესიის მართებულ პოზიციაზე მყარად დგომის იმედს იძლეოდა.

საქართველოში, მისი ისტორიის ოქროს ხანაში, ქალის სამოციქულო და სამეფო უფლებათა შესახებაც მსჯელობდნენ. როგორც არაქართველები, ისე ქართველები ხშირად სვამდნენ ასეთ კითხვას: საქართველოს (და მხოლოდ საქართველოს) გასანათლებლად რატომ აირჩია ღმერთმა ქალი? ეს კითხვა აქტუალური თამარის გამეფებასთან დაკავშირებით გამხდარა. ამ დროს მას

მეორე კითხვაც დაერთო: საღვთო წერილის მიხედვით, გამართლებულია თუ არა ქალის მეფედ კურთხევა? მაშინდელმა კათალიკოსმა ნიკოლოზ გულაბერისძემ ასეთი თეორია და პასუხები ჩამოაყალიბა: 1. საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და მისი მოქცევა ქალს შეშვენოდა, 2. ვინაიდან ჩვენ, ქართველები, ყველაზე "ქედფიცხელნი" და შეურიგებელნი ვიყავით, ღმერთმა, თავისი სიძლიერის გამოსაჩენად, აირჩია არა ძლიერი, ენამჭევრი და შეუდრეკელი მამაკაცი, არამედ სუსტი ქალი: „...ამისათვისცა უძლურისა ბუნებისა დედაკაცისა მიერ მოალბო ქედფიცხელობაჲ ულმობელთა მათ და უგლიმთა ნათესავთაჲ", 3. ღვთის წინაშე ქალი და მამაკაცი თანასწორია. ამიტომაა, რომ ღმერთი მოციქულის საქმეს ზოგჯერ ქალსაც მიანდობს: მაცხოვრის აღდგომა პირველად დედაკაცებს ეუწყათ და მათ მიერ სხვებსაც (მათე; მარკოზი; ლუკა; იოანე).

§3. სომხური ეკლესია საქართველოში

საქართველოში სომხური საეპისკოპოსოს სრული სახელწოდებაა „სომხეთის სამოციქულო ეკლესიის საქართველოს სომეხთა ეპარქია". არქიეპისკოპოსის რეზიდენცია მდებარეობს თბილისში. კათედრალური საყდარია წმიდა გიორგის კათოლიკე ეკლესია.

მძიმე საგარეო ურთიერთობების გამო სომეხთა სწრაფვა საქართველოსკენ თავშესაფრის საძებნელად ძალიან ადრე დაიწყო. ირანის წინააღმდეგ 451 წლის სომხეთის აჯანყების დამარცხების შემდეგ მამიკონიანთა საგვარეულოს გადარჩენილი წარმომადგენლები დიდი ამალით შეიფარა გუგარეთის (ცურტავის) პიტიახშმა არშუშამ. მართალია, ზოგი მათგანი მოგვიანებით სომხეთში დაბრუნდა, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოში დარჩა.

გუგარეთი სომხეთსა და საქართველოს შორის სასაზღვრო რეგიონი იყო და სავარაუდოა, რომ კომპაქტურად დასახლებული სომხური თემი აქ ადრიდანვე არსებობდა, თუმცა იგი პირველად მხოლოდ VII საუკუნის დამდეგს იხსენიება. გუგარეთის სომხური თემი შედიოდა ცურტავის საეპისკოპოსოში, რომელსაც განაგებდა ეპისკოპოსი, ეთნიკურად ქართველი ან სომეხი, რომელსაც მღვდელმსახურების აღსრულება როგორც ქართულ, ისე სომხურ ენაზე შეეძლო. გუგარეთის სომხური თემი კიდევ უფრო გაძლიერდა მამიკონიანთა და მათი ამალის აქ გადმოსახლების შემდეგ. წმ. შუშანიკის საფლავზე აშენებული სამარტვილე საქართველოში სომხური მრევლის გამაერთიანებელ ცენტრად იქცა. ქართლის კათალიკოსმა კირიონ I-მა ქართული ენა ცურტავის საეპისკოპოსოში ღვთისმსახურების ერთადერთ ენად გამოაცხადა.

ცხადია, კომპაქტურად დასახლებულ სომხურ თემებს თავიანთი ეკლესიები და სამღვდელოება ჰყავდათ არა მარტო სასაზღვრო ზონებში. X საუკუნის მეორე ნახევრის სომეხი ისტორიკოსი უხტანესი იხსენიებს თბილისში მოღვაწე სომეხ მღვდელ კირაკოზს, რომელმაც „ძალიან კარგად იცოდა ქართული ენა და მწიგნობრობა".

XI-XIII საუკუნეებში სომეხ-ქართველთა რამდენიმე ერთობლივი კრება შედგა: 1046 წელს ღრტილაში, 1197 წელს თბილისში, 1204 წელს კვლავ თბილისში. საქართველოს ეკლესია ცდილობდა ერთიან სახელმწიფოში სომხური ეკლესიის სრული შეერთებისთვის თუ არა, მისი დოგმატურ-საწესო დაახლოებისთვის მაინც მიეღწია. სომხური საეკლესიო წესებისა და კალენდრის ქართულთან დაახლოების მიზნით, ზაქარია მხარგრძელმაც მოიწვია ორი საეკლესიო კრება: ლორეში 1205 წელს და ანისში 1207 წელს. სომხეთის ტერიტორიაზე შეიქმნა ვალაშკერტის დიოფიზიტური საეპისკოპოსო და აშენდა ქართული ეკლესიები.

ძველ სომეხ ისტორიკოსებში დიდი ემოციები გამოიწვია დავით აღმაშენებლის მიერ თურქსელჩუკთაგან შევიწროებული მოსახლეობის (უპირატესად ვაჭარ-ხელოსნების) გადმოსახლებამ გორში და მათთვის პროფესიული თუ რელიგიური საქმიანობისათვის ყველა პირობის შექმნამ.

ერეკლე მეორემ 1780 და 1787 წლებში ერევნიდან ქართლ-კახეთში 7 000 სული სომეხი გადმოასახლა, რომელთა ნაწილი შემდეგ განჯაში გადასახლდა. 1826-28 წლებში რუსეთ-ირანის ომის დროს 35 000 სული სომეხი გადმოასახლეს ქვემო ქართლში, ხოლო რუსეთ-თურქეთის ომის

(1828-29) შემდეგ, დაახლოებით 90 000 სული გადმოსახლდა ჯავახეთში. ცხადია, საქართველოს ტერიტორიაზე ასეთი დიდი რაოდენობით დამკვიდრებულ სომხურ მოსახლეობას თავისი ეკლესიები და სკოლები ესაჭიროებოდა და აშენებდა კიდეც.

1655 წელს თბილისში ხოჯივანქის ეკლესია აშენდა და მასთან სომეხთა სასაფლაო გაიხსნა, რომელიც თანდათან თბილისელ სომეხ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დასაკრძალავ ადგილად იქცა. აქ განისვენებენ გამოჩენილი სომეხი მწერლები, სომხური მწერლობის კლასიკოსები: რაფი, მურაცანი, ნარდოსი, პ. პროშიანი, გ. სუნდუკიანი, ჰ. თუმანიანი და მრავალი სხვა. საქართველოს სომეხთა სამწყსოს იერარქები ხშირად სომხეთის ეკლესიისა და სომხური კულტურის გამოჩენილი მოღვაწეებიც იყვნენ. რამდენიმე მათგანი შემდეგში სრულიად სომეხთა კათალიკოსიც გახდა. 1824 წელს არქიეპისკოპოსმა (1843-1857 წლებში სრულიად სომეხთა კათალიკოსმა) ნერსეს აშტარაკელმა ე.წ. ნერსესიანის სკოლა დააარსა, რომელმაც დიდხანს იარსება. ამ სკოლაში აღიზარდა სომხეთის კულტურისა და მეცნიერების მრავალი მოღვაწე.

XIX საუკუნეში და XX საუკუნის დამდეგს თბილისსა და საქართველოს სხვა ადგილებში, სომხებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, ბევრი ეკლესია აშენდა. საბჭოთა მმართველობის ხანაში, რა თქმა უნდა, მრავალი მათგანი, ისევე როგორც ქართული ეკლესიები, მოიშალა ან განადგურდა.

ამჟამად საქართველოში შემდეგი სომხური ეკლესიები მოქმედებს: თბილისში – წმ. გიორგის კათოლიკე ეკლესია და ეჩმიაძინის წმ. გიორგის ეკლესია, ახალქალაქში – სურბ ხაჩის (წმ. ჯვრის), ნინოწმიდაში – სურბ სარგისის (წმ. სარგისის), ახალციხეში – წმ. გრიგოლ განმანათლებლის, ბათუმში – მაცხოვრის, მარნეულში – ღვთისმშობლის ეკლესიები და სხვ.

§4. კათოლიკური ეკლესია საქართველოში

ისტორიულ წყაროთა თანახმად, ქართველების სარწმუნოებრივი კავშირი რომთან ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადებისთანავე დამყარდა: ქართველთა განმანათლებელმა წმიდა ნინომ, მეფე მირიანმა და მთემა ქართლის ერმა რომის პაპისაგან, წმ. სილვესტრე I-ისაგან (314-335) მიიღო კურთხევის წერილი, რომელიც მცხეთაში ვინმე „ბრანჯმა“ მთავარდიაკონმა ჩამოიტანა. 596 წელს, მართლმადიდებლობას დაბრუნებულ ნესტორიანელთა ხელახალი მონათვლის საკითხის გადასაწყვეტად, ქართლის კათოლიკოსმა კირიონ I მსაჯულად და განმსჯელად რომის ეპისკოპოსს მიმართა და სამოციქულო საყდრიდან წმიდა პაპის, გრიგოლ დიდის (590-604), სამოძღვრო წერილი მიიღო.

XIII საუკუნიდან საქართველოში მოღვაწეობას იწყებს ლათინური წესის სამღვდელოება. 1240 წელს პაპმა გრიგოლ IX (1227-1241) რუსუდან მეფესთან ფრანცისკელი მოძღვრები გამოგზავნა. მათ მალე დომინიკელებიც შეუერთდნენ, რომლებმაც თბილისის შუაგულში მონასტერი ააგეს. 1328 წელს პაპმა იოანე XXII (1316-1334) დააფუძნა თბილისის ლათინური წესის საეპისკოპოსო, ხოლო 1230 წელს ამ სამღვდელმთავრო კათედრის მმართველად – თბილისის პირველ ლათინ კათოლიკე ეპისკოპოსად – დაინიშნა ფლორენციელი დომინიკელი იოანე, რომელსაც, როგორც ჩანს, მანამდე გარკვეულ ხანს უცხოვრია საქართველოში და ქართულ ენასაც დაუფლებია. ამ კათედრამ 1507 წლამდე იარსება და მას თანმიმდევრობით 12 ეპისკოპოსი მართავდა.

სარწმუნოების გავრცელების კონგრეგაციის 1632 წლის დეკრეტის საფუძველზე, საქართველოს კათოლიკეები დაექვემდებარნენ ისპაჰანის ლათინური წესის ეპისკოპოსს, ხოლო შემდგომში თბილისში დაწესდა სამოციქულო სავიკარიუსო. XVII საუკუნეში ქართული სამეფო-სამთავროებისაკენ რომიდან წარმოგზავნილი მისიონერები – ავგუსტინელი და იეზუიტი მოღვაწეები – გამოემართნენ. 1626 წელს პაპი ურბანუს VIII (1623-1644) საქართველოში აგზავნის თეატინელთა ორდენის წევრებს, რომლებიც ქვეყანაში 1700 წლამდე იმყოფებოდნენ. მალე მათ გვერდით

გაჩნდნენ კაპუცელებიც, რომელთა საქმიანობა გრძელდებოდა 1661 წლიდან 1845 წლამდე – იმ დრომდე, სანამ ისინი საქართველოდან რუსეთის ხელისუფლებამ გააძევა.

ამ დროს კათოლიკეებმა მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნიეს ქართულ კულტურას. მათი მეურვეობით რომში დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნები: ლორეტას ლიტურგია, ქართულ-იტალიური ლექსიკონი, ქართული ენის გრამატიკა; მათ პირველად ჩაიწერეს ქართული ზღაპრები, შეადგენის ქვეყნის სხვადასხვაგვარი აღწერილობები, შეკრიბეს ქართული სინამდვილის ამსახველი წყაროებსი.

ქართველ მეფეებსა და კათალიკოსებს ინტენსიური მიმოწერა ჰქონდათ რომის საყდართან. კათოლიკე სამღვდელოება ჩანს მეფეთა და დიდებულთა კარზე. ქვეყანაში არსდებოდა კათოლიკური სასკოლო-საგანმანათლებლო და სამკურნალო კერები. 1628 წელს პორტუგალიელმა ავგუსტინელმა მოღვაწეებმა მეფე თეიმურაზ I-ს ჩამოუტანეს დედამისის, ქეთევან დედოფლის, ნეშტის. სამადლობელოდ, მეფემ ჩამოსულებს მიწა აჩუქა გორში, სადაც შემდგომში კათოლიკური ტაძარი აშენდა. საქართველოში კათოლიკე ეკლესიის საქმიანობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სულხან-საბა ორბელიანი (1758-1725), რომელიც 1714 წელს რომში გულთბილად მიიღო პაპმა კლემენტი XI-მ. XVIII საუკუნეში თბილისში კათოლიკური საეპისკოპოსო კათედრის აღდგენის მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა. მეფე თეიმურაზ II-ის დროს კათოლიკობაზე მოქცევაში ბრალდებული კათალიკოს ანტონ I-ის (1720-1788) გადაყენებას ქართლში კათოლიკეთა დევნა მოჰყვა. კათოლიკეებს ჩამოერთვათ ყოველგვარი ქონება, ხოლო კათოლიკე სამღვდელოება საქართველოდან გააძევეს. თუმცა შემდგომში, ერეკლე II-ის დროს, კათოლიკე ეკლესიის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. კათოლიკეები ისევ ჩნდებიან ქართულ სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივ თუ კულტურულ ასპარეზზე.

XIX საუკუნის დასაწყისიდან, მას შემდეგ, რაც ქართული სამეფო-სამთავროები რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდნენ, კათოლიკე მოღვაწეთა საქმიანობა უფრო მეტად კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროსაკენ გადაიხარა. XIX საუკუნის განმავლობაში საქართველოში აშენდა კათოლიკური ტაძრები: თბილისში – წმიდა მარიამის ზეცად აღყვანებისა (ამჟამინდელი საკათედრო ტაძარი) და წმიდა მოციქულთა პეტრესი და პავლესი, ქუთაისში – წმიდა მარიამის უბიწოდ ჩასახვისა, ბათუმში – წმიდა მარიამის შობისა და სხვ.

XIX საუკუნის შუა წლებიდან კათოლიკე სამღვდელოება მთელ საქართველოში ადგილობრივი იყო. წიგნიერების განვითარებას, ეროვნული ცნობიერების გაღვივებას, ქართული კულტურის გავრცელებასა და გაღრმავებას დიდად უწყობენ ხელს ქართველი კათოლიკე მოძღვარნი პეტრე ხარისჭირაშვილი, იოანე გვარამაძე, იოსებ ხუციშვილი, ანდრია წინამძღვრიშვილი, მიქელ თამარაშვილი, დომინიკე პაწაძე, ალფონს ხითარიშვილი, ანსელმ მღებრიშვილი, დამიანე სააკაშვილი, გაბრიელ ასლანიშვილი, მიხეილ თარხნიშვილი და სხვ.

ბოლშევიკური რუსეთის მიერ 1921 წელს საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის შემდეგ საქართველოს კათოლიკეებს დიდი დევნა დაატყდათ თავს. ამ დროს საქართველოში 50 000-მდე კათოლიკე ცხოვრობდა. დაიხურა და დაინგრა ტაძრები: საქართველოში მანამდე მოქმედი 60 კათოლიკური ტაძრიდან კომუნისტური რეჟიმის ხანაში მოქმედებდა ერთადერთი – თბილისის წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ტაძარი. ფაქტობრივად, განადგურდა მთელი ქართველი კათოლიკე სამღვდელოება. არქიმანდრიტი შიო ბათმანიშვილი (1885-1937), რომელიც პაპმა პიუს XI-მ რომში პირადი შეხვედრის შემდეგ საქართველოს კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორად დანიშნა, სოლოვკის საკონცენტრაციო ბანაკში, ხანგრძლივი პატიმრობის შემდეგ, 1937 წელს დახვრიტეს. უკანასკნელი ქართველი მღვდლები, რომელთაც მრავალი დევნა-პატიმრობა გადაიტანეს და რომლებიც თბილისში საბჭოთა პერიოდში მსახურებდნენ, იყვნენ ემანუელ ვარდიძე (1886-1966) და კონსტანტინე საფარიშვილი (1887-1973). მათ შემდეგ საქართველოში ადგილობრივ კათოლიკე მღვდელს აღარ უმსახურია.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დაიწყო საქართველოში კათოლიკური ეკლესიის განახლების ხანა. აღორძინდა ლათინური, სომხური და ასირიულ-ქალდეური წესის კათოლიკური საკრებულოები. დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობანი წმიდა საყდარსა და საქართველოს შორის, რის შედეგადაც დაარსდა წმიდა საყდრის სამოციქულო სადესპანო საქართველოში და საქართველოს საელჩო წმიდა საყდართან. საქართველოში კათოლიკე ეკლესიის საქმიანობის წარმართვისათვის შეიქმნა ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრაცია. 1997 წელს სამოციქულო ადმინისტრატორად დაინიშნა სტიგმელთა კონგრეგაციის წევრი, მღვდელი ჯუზეპე პაზოტო, რომელიც 2000 წელს ეპისკოპოსად იქნა ხელდასხმული. ამოქმედდა კათოლიკური ტაძრები და საკრებულოები თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, გორში, ახალციხეში, სამცხე-ჯავახეთში, იმერეთში, გურიაში, კახეთში. აშენდა რამდენიმე ახალი ტაძარი.

§5. ლუთერანული ეკლესია საქართველოში

საქართველოში ევანგელურ-ლუთერანული ეკლესიის აღმოცენება XIX საუკუნის დამდეგს კავკასიაში გერმანელების ჩამოსახლებას უკავშირდება. 1817-1818 წლებში ვიურტემბერგიდან, შვაბიიდან მრავალი ოჯახი დაიძრა აღმოსავლეთისკენ. მათი აყრის მიზეზი მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა იყო, რომელსაც რელიგიური მოსაზრებებიც დაემატა: შვაბების ერთი ნაწილი XVII-XVIII საუკუნეებში მოღვაწე იოჰან ალბრეხტ ბენგელის პიეტისტური თეოლოგიის მიმდევარი იყო. ბენგელმა გამოთვალა, რომ 1836 წლისათვის ქრისტეს მეორედ მოსვლა უნდა ყოფილიყო. მორწმუნეები ეძებდნენ ადგილს, სადაც ყველაზე მეტად დაცულები იქნებოდნენ მეორედ მოსვლამდე და გადაწყვიტეს კავკასიაში, არარატის მთასთან ახლოს დასახლებულიყვნენ, ნოეს კიდობნის ბიბლიურ ნავთსაყუდელთან. ამას დაემატა ალექსანდრე I-ის მოგზაურობა შვაბიაში 1809 წელს და იქაური ოჯახების მოპატიჟება კავკასიაში.

ასეულობით შვაბური ოჯახი დათანხმდა ალექსანდრე I-ის წინადადებას და კავკასიაში გადმოსახლდა. 1818 წლის ბოლოს საქართველოში ექვსი შვაბური კოლონია დაარსდა: ალექსანდერსდორფი (დღევანდელი დიდუბე), ელიზაბეტტალი (ასურეთი), პეტერსდორფი (იორზე), ანენფელდი (შამქორი აზერბაიჯანში), ჰელენენდორფი (ქანლარი აზერბაიჯანში) და კატარინენფელდი (ბოლნისი). მეშვიდე კოლონია, მარიენფელდი (სართიჭალა), 1817 წელს შვაიკჰაიმიდან ჩამოსახლებულმა კოლონისტებმა დააარსეს. ამ კოლონიებს მოგვიანებით კიდევ რამდენიმე დასახლება დაემატა, მათ შორის ნოი-ტიფლისი.

კავკასიაში დასახლებულმა შვაბებმა, დიდი შრომისმოყვარეობის წყალობით, კეთილდღეობას მიაღწიეს და მთელი ქვეყნისთვის სამაგალითონი გახდნენ. ისინი მტკიცედ იცავდნენ ლუთერანულ ტრადიციებს. ყველა დასახლებაში (გარდა მარიენფელდისა) გაიხსნა სამლოცველო სახლი. მრევლს ჰყავდა თავისი სასულიერო ხელმძღვანელი, რომელიც ქადაგებას კითხულობდა კვირაობით და დღესასწაულებზე, უძღვებოდა ნათლობას, ქორწინებას, ქრისტიანულად მარხავდა მიცვალებულებს.

პირველი პასტორი, იოჰან ბერნჰარდ სალტეტი, მისიონერი ბაზელიდან, 1824 წელს ჩამოვიდა საქართველოში. მისი მოღვაწეობის პერიოდში გაცხოველდა სამრევლოების ცხოვრება და დაიწყო ეკლესიის მშენებლობა. კომუნისტურ პერიოდამდე პასტორები საქართველოში, ძირითადად, ვიურტემბერგიდან გამოგზავნილი განსწავლული თეოლოგები იყვნენ. პასტორებს გასამრჯელოს სახელმწიფო უხდიდა, მრევლი უზრუნველყოფდა მათ ბინით, შეშითა და სამეურნეო მიწით, საძოვრით ან ვენახით.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ აქაც გავრცელდა 1929 წლის 8 აპრილის დეკრეტი რუსეთში არსებული ყველა ეკლესიისა და რელიგიური გაერთიანების ქონების სახელმწიფოს მფლობელობაში გადაცემის შესახებ. თანდათანობით აიკრძალა რელიგიის გაკვეთილები, ღვთისმსახურება. 1931 წელს პეტრე-პავლეს ეკლესიის პასტორი და, ამავე დროს, ამიერკავკასიის ლუთერა-

ნული სამრევლოების მთავარი პასტორი რიხარდ მაიერი დააპატიმრეს და მოგვიანებით მოკლეს. ასე, თანდათან ჩაქრა ლუთერანული ცხოვრება გერმანელ კოლონისტებში. ეკლესიები კინოებად, თეატრებად, საწყობებად და სპორტულ დარბაზებად გადააკეთეს ან, სულაც, დაანგრიეს. 1941 წლის 8 ოქტომბერს გამოიცა ბრძანება საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრები გერმანელების გასახლების შესახებ. ოფიციალური მონაცემებით, საქართველოდან გაასახლეს 23 580 გერმანული წარმოშობის მოქალაქე და მათი ოჯახის წევრები. 1945 წელს გერმანელ სამხედრო ტყვეებს დაანგრევინეს თბილისის ლუთერანული ეკლესია – კირხეს. საქართველოში შემორჩენილ მცირერიცხოვან გერმანელებს მხოლოდ 1991 წლიდან მიეცათ თავისუფლად შეკრების უფლება.

§6. იეჰოვას მოწმეები საქართველოში

საქართველოში ამ მიმდინარეობის ისტორია XIX საუკუნის მიწურულიდან იწყება. ამ დროს თბილისში იეჰოვას მოწმეების რუსულენოვანი თემი მოქმედებდა, რომელმაც არსებობა საბჭოთა ეპოქაშიც განაგრძო, თუმცა კონსპირაციულად. ხოლო ამერიკული მიმართულების ქართულენოვანი ქადაგება 1953 წლიდან დაიწყო.

1970 წელს ენგურჰესზე თორმეტი პროზელიტი (ახლადმოქცეული) მოინათლა, რაც უშიშროების სამსახურს შეუმჩნეველი არ დარჩენია და მქადაგებელთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეებიც აღიძრა. მიუხედავად ამისა, მქადაგებელთა რიცხვი არ შემცირებულა. საქართველოში „ჰოვას მოწამეთა პირველი თავყრილობა 1973 წელს მოეწყო. ამ დღეს სოხუმში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან 130 „მოწმე“ ჩავიდა – შედგა კონგრესი და 45 კაცი მოინათლა (სხვადასხვა ეროვნებისა). 1976 წლიდან ქართველი იეჰოვას მოწმეების ცენტრად თბილისი ითვლება.

„საქართველოს იეჰოვას მოწმეთა კავშირი“ (ეს მათი ოფიციალური სახელწოდებაა) დღეს 17.000-მდე მონათლულ წევრს აერთიანებს. საქართველოში ამჟამად იეჰოვას მოწმეთა“150 გაერთიანება და ერთი ცენტრალური ორგანიზაცია არსებობს – „პენსილვანიის (აშშ) საგუშაგო კოშკის ბიბლიისა და ტრაქტატების ფილიალი“ (რეგისტრირებულია 2003 წლიდან).

იმის მიუხედავად, რომ ამ მიმდინარეობის ისტორია საქართველოში ნახევარ საუკუნეზე ოდნავ მეტს ითვლის, ამ ქვეყნის მოსახლეობას არამართლმადიდებელ აღმსარებლობებს შორის ყველაზე მეტი მის შესახებ სმენია. ამას ორი მიზეზი განაპირობებს. პირველი იეჰოვას მოწმეთა განსაკუთრებული ენთუზიაზმია, რის გამოც ისინი ყოფით ცხოვრებაში სხვებზე მეტად ჩანან. მეორე (და უფრო სერიოზული) მიზეზი მათ მიმართ განხორციელებული რეპრესიებია, რასაც დიდი რეზონანსი მოჰყვა როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

იეჰოვას ქართველი მოწმეების ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს მოვლენად ბიბლიის თარგმნა შეიძლება ჩაითვალოს. ეს თანამედროვე ქართულ ენაზე საღვთო წერილის სრული ტექსტის მესამე თარგმანია, გამოიცა 2006 წელს სათაურით: „ბიბლია (ახალი ქვეყნიერების თარგმანი)“.

§7. ისლამი საქართველოში

ძველ ქართულ წყაროებში ისლამს მაჰმადის რჯული („სჯული მოჰამედისა მიერ ქადაგებული“) ეწოდება.

საქართველოში ისლამის გავრცელება არაბობის ხანიდან (VII-IX სს-იდან) დაიწყო. ამ ხანას კი დასაბამი ხალიფატის, ანუ არაბთა ისლამური იმპერიის დაარსების პირველსავე წლებში მიეცა. ერაყში, სირიასა და დარუბანდში მუსლიმთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სახელგანთქმულმა სარდალმა ჰაბიბ იბნ მასლამა ალფიჰრიმ სომხეთი და საქართველო დაიკავა (644-655). თბილისის მოსახლეობას მან მისცა „დაცვის სიგელი“, ანუ ზავისა და შეუვალობის წიგნი, რითაც განისაზღვრა ურთიერთობა მუსლიმ არაბებსა და ქრისტიან თბილისელებს შორის.

ანალოგიური დოკუმენტები VII-VIII საუკუნეებში ფორმდებოდა გამარჯვებულ არაბ მუსლიმებსა და სხვა აღმსარებლობის დამარცხებულ ხალხს შორის, როდესაც ეს უკანასკნელნი უომრად, წინააღმდეგობის გარეშე მორჩილებას აცხადებდნენ. ასეთ შემთხვევაში, არაბთა სარდალი ადგილობრივ ადმინისტრაციას უგზავნიდა „დაცვის სიგელს“, რომელიც, ისე როგორც მუსლიმთა ყველა საქმიანი დოკუმენტი, ბასმალათი იწყებოდა, რასაც ზავის ძირითადი პირობები მოჰყვებოდა: ან ისლამის აღიარება, ან ხარკი (ჯიზია), ნაცვლად კი – მშვიდობა და ხელშეუხებლობის გარანტია. იბნ მასლამას აღნიშნული სიგელი, რომლის ტექსტი დაცულია VIII-XIII საუკუნეების არაბულენოვან ისტორიკოსთა თხზულებებში და ზოგიერთი სხვა წყარო გვაფიქრებინებს, რომ ქართველებმა აღიარეს მორჩილება ხარკის (ჯიზიას) გადახდის პირობით. ისლამის ისტორიის მხრივ, პირველ რიგში, საყურადღებოა ის, რომ ამ დოკუმენტში, პირველადაა მკაფიოდ ჩამოყალიბებული შაჰადა – ალაჰის ერთადერთობა და წმინდა მუჰამედის სამოციქულო მისია. ხსენებულ დოკუმენტს, ცხადია, ქართულადაც თარგმნიდნენ, რისი მეშვეობითაც ადრესატები არა მხოლოდ მათი ქონებისა და სარწმუნოების ხელშეუხებლობის გარანტიებს მოისმენდნენ, არამედ ისლამის ძირითად დებულებებსაც და ციტატებსაც ყურანიდან.

არაბ სარდალს ქართველებთან წარუგზავნია ყურანის საუკეთესო მცოდნე და რჯულის მეცნიერი აბდ ჯაზ ას-სულამი, რომელსაც მათთვის ისლამი უნდა ექადაგა და მისიონერის ფუნქცია შეესრულებინა. ამ მისიის კვალი ქართლის სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მალე აღიბეჭდა. ამას ადასტურებს ის მონეტები (დირჰამები), რომლებიც ჰიჯრიდან 85-ე ანუ ქრისტეს შობიდან 704-ე წელს თბილისშია მოჭრილი და, რომლებზეც ალაჰის სადიდებელი სიტყვებია ამოტვიფრული.

აღმოსავლეთ საქართველოში ისლამის გავრცელების საქმეს ის ადმინისტრაციული ერთეულები უმაგრებდნენ ზურგს, რომლებიც აქ არაბებმა შექმნეს: ჯერ პროვინცია არმინია, რომელიც მოიცავდა ქართლსაც (გურზან), შემდეგ კი თბილისის საამირო, რომელიც კავკასიაში მურვან-ყრუს ლაშქრობათა შემდეგ (VIII ს-ის 30-იანი წწ.) შეიქმნა. იგი მთელ აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს მოიცავდა. ცენტრად თბილისი გამოცხადდა და ეს სტატუსი მან საამიროს გაუქმებამდე შეინარჩუნა. საამირო კი მაშინ გაუქმდა, როდესაც დავით აღმაშენებელმა თბილისი გაათავისუფლა (1122) და ტახტი ქუთაისიდან ამ ქალაქში გადმოიტანა. მუსლიმთა შიში, რომ ქრისტიანი მეფე მათ სარწმუნოებრივ უფლებებს შელახავდა, არ გამართლდა. პირიქით, საბრძოლო ოპერაციების დასრულებისთანავე მეფემ გამოსცა ბრძანება, რომელიც მუსლიმთა ყოველგვარი დისკრიმინაციის აღკვეთას ითვალისწინებდა. ამასთან დაკავშირებით, XII-XIII საუკუნეების არაბი და თურქი ისტორიკოსები იბნ ალ-აზრაქ ალ-ფარიქი და იბნ ალ-ჯაუზი შემდეგ ინფორმაციას გვაწვდიან: გამარჯვებულმა მეფემ დედაქალაქის მუსლიმ მოქალაქეებს საგადასახადო სისტემაში გარკვეული პრივილეგიებიც კი მიანიჭა, მუსლიმთა უბანში ღორის დაკვლა აკრძალა, მუსლიმთათვის მოჭრილ მონეტებზე ალაჰის, მისი მოციქულისა და ხალიფას სახელების ამოკვეთა დაიწყო, ქართველებს, ებრაელებსა და სომხებს მუსლიმთა აბანოში შესვლა აუკრძალა. იგი, „მეფე აფხაზთა და ქართველთა“, ყოველ პარასკევს შედიოდა მეჩეთში, მასთან ერთად იყო ხოლმე მისი შვილი დიმიტრი; ისმენდა ხუტბასა (ქადაგებას) და ყურანის კითხვას და აძლევდა ხატიბსა და მუეძინებს მრავალ ოქროს. XII საუკუნის ერთი სირიელი ანონიმი ავტორი და XIII საუკუნის არაბი ისტორიკოსი მოჰამად ალ-ჰამაფი აღნიშნავენ, რომ მეფე დავითი ყურანს კარგად იცნობდა.

VIII-XIII საუკუნეების არაბულენოვან მწერლობაში ბევრი ავტორი მოხსენიებულია როგორც ათ-თიფლისი, რაც თბილისელს ნიშნავს. ესენი არიან ღვთისმეტყველები, იურისტები, მწერლები, ექიმები და ა.შ. ალბათ, მათგან არა ერთი და ორი ეთნიკურადაც ქართველი იყო. ეს არაა გასაკვირი: როგორც VIII საუკუნის ჰაგიოგრაფი იოანე საბანისძე გვაუწყებს, ჩვენი თანამემამულეების ნაწილი, სხვადასხვა მიზეზის გამო, მუსლიმი (სარკინოზი, ისმაიტელი, აგარიანი) გახდა. ცხადია, მათგან ბევრი შემოქმედებითი ნიჭით იყო დაჯილდოებული, ბევრმა შეისწავლა არაბული ენა და მუსლიმურ კულტურაში საკუთარი წვლილი შეიტანა.

სამხრეთ საქართველოს (აჭარის, ტაო-კლარჯეთისა და სამცხე-ჯავახეთის) ინტენსიური ისლამიზაცია XVI-XVIII საუკუნეებში მიმდინარეობდა. ამავე პერიოდში ისლამი ოსმალეთის მიერ დაპყრობილ აფხაზეთშიც გავრცელდა. იქ, ისე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ისლამს უფრო მეტად თავადაზნაურები იღებდნენ, დაბალი ფენა კი ადგილობრივი რელიგიური ტრადიციების ერთგული რჩებოდა. ანალოგიური ვითარება იყო ოსეთშიც, რომელსაც ეკლესიურად და კულტურულად საქართველოსთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა. იმხანად ქართლ-კახეთის სამეფო ტახტიც, მეტწილად, მუსლიმ მეფეთა ხელში იყო. მაშინდელ მეფეებს შორის არაერთი იყო გულწრფელი მუსლიმი. მართლმორწმუნეობით გამოირჩეოდნენ კონსტანტინე I, როსტომ ხანი, ვახტანგ V შაჰნავაზი, დავით იმამ-ყულიხანი, კონსტანტინე II მაჰმადყულიხანი და სხვ. მათგან როსტომი და ვახტანგ V დაკრძალული არიან ირანის უდიდეს რელიგიურ ცენტრში, ყუმში, დიდ შიიტ წმინდანთა გვერდით. ქართველი მუსლიმების რიცხვს ის კახელებიც შეემატნენ, რომლებიც შაჰ-აბასმა ირანში გადაასახლა და მათი შთამომავალნი დღესაც იქ ცხოვრობენ (ფერეიდნელი ქართველები), ასევე – ინგილოები, რომლებიც დღევანდელი აზერბაიჯანის ორ რაიონში მოსახლეობენ: ზაქათალასა და ბელაქანში.

XIX საუკუნის დასაწყისში გაჩნდა ტერმინები „ოსმალეთის საქართველო“ და „სამუსლიმანო საქართველო“, რაც საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ პროვინციებს („ზემო ქართლს“) გულისხმობდა. აღნიშნული საუკუნის 30-იანი წლებიდან რუსეთის ჯარებმა ამ ტერიტორიების დაკავებისა და შემოერთების დიდი კამპანია წამოიწყეს, რაც საქართველოსათვის მათ დაბრუნებას ნიშნავდა. მაგრამ, ვინაიდან ეს პროცესი ქრისტიანული იმპერიის მიერ ხორციელდებოდა, ადგილობრივ მოსახლეობას ისლამის დაკარგვის შიში გაუჩნდა – ცარისტული რეჟიმი ისლამის მოწინააღმდეგე ძალად იქნა აღქმული. ამის გამო ამ კუთხეების მუსლიმებმა თურქეთში ემიგრაცია დაიწყეს (ქართველთა მუჰაჯირობა). 1878 წლიდან, აჭარის შემოერთების შემდეგ, ეს პროცესი გაღრმავდა, მაგრამ მაშინდელი ქართველი ინტელიგენციის, განსაკუთრებით კი ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოსაგრეების ძალისხმევის შედეგად, ბევრი მუჰაჯირი მამაპაპეულ კერას დაუბრუნდა.

ისლამმა კვალი ქართული კულტურასა და ეთნოგრაფიულ ყოფაშიც დატოვა. „ოქროს ხანასა“ და „მცირე აღორძინების“ პერიოდებში (XI-XIII და XVI-XVIII სს.) ქართულ ენაზე მუსლიმური სიტყვაკაზმული მწერლობის თითქმის ყველა პირველხარისხოვანი ძეგლი ითარგმნა. უეჭველია, რომ გამუსლიმებულ ქართველთა შორის ბევრი სწავლისმოყვარე და ნიჭიერი პიროვნება იყო. მათგან ზოგიერთი მშობლიურ ენაზე აგრძელებდა მოღვაწეობას, მაგალითად, XVII საუკუნის ისტორიკოსი და ლექსიკოგრაფი ფარსადან გორგიჯანიძე, პოეტი იასე და სხვა, უმრავლესობა კი არაბულ, სპარსულ და თურქულენოვან გარემოს შეესისხლხორცა. მათი სახელების გამოვლენა და წარმოჩენა აღმოსავლეთმცოდნეების კვლევა-ძიების ერთ-ერთი საგანია. ცნობილია ქართული წარმოშობის ათობით სპარსელი პოეტის სახელი (მავჯი, მირზა მოჰამედ თაჰერ ნასრაბატი, ქაიხოსრო-ხანი, ზეინალ-ბეგი,ზურაბ-ბეგი, ქუჩუკ-ბეგი, მირზა ახმად გორჯი, იუსუფ გორჯი და ბევრი სხვა), რომელთა არაერთი სტრიქონი მსოფლიო პოეზიის შედევრთა შორის დგას. საყურადღებოა მუსლიმური არქიტექტურა საქართველოში. 1785 წელს შედგენილ თბილისის გეგმაზე ხუთი მეჩეთია დატანილი. XXI საუკუნეში მათგან მხოლოდ ერთი დარჩა. ბევრი მეჩეთი, ჯამე და მედრესე, რომელთაგან ზოგიერთი ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენდა, საბჭოთა რეჟიმის დროს განადგურდა.

გამუსლიმებული ქართველები, შუასაუკუნეობრივი ეროვნულ-პოლიტიკური ხედვისა და მენტალიტეტის თანახმად, ქართველებად აღარ ითვლებოდნენ. ამ გაუგებრობისაგან მოსახლეობის დიდი ნაწილი გათავისუფლებული დღესაც არ არის, რაც ეროვნული ერთიანობის მიღწევას ხელს უშლის. ქართველი მოღვაწეები ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი და სხვანი თანამემამულეებს თითოეული მოქალაქის სინდისისა და სარწმუნოების პატივისცემისაკენ მოუწოდებდნენ, ითვალისწინებდნენ იმ ფაქტს, რომ რელიგიური პლურალიზმი ცივილიზებული მსოფლიოს სტანდარტია და ამ მოვლენაში სახიფათო არაფერია.

ი. გოგებაშვილმა, მაგალითად, მუსლიმი ბავშვებისათვის „დედაენის“ საგანგებო ვარიანტი ჩამოაყალიბა, ხოლო ი. ჭავჭავაძემ და ზ. ჭიჭინაძემ ქართველ მუსლიმებთან ეროვნულ-საგანმანათლებლო მუშაობის ისეთი პროგრამები და მეთოდები შეიმუშავეს, რაც სარწმუნოებრივ აქცენტებს გამორიცხავდა. იმდროინდელი პრესა („დროება“, „ივერია“, „ცნობის ფურცელი“ და სხვა) ყოველდღიურად აქვეყნებდა მასალებს მუსლიმთა სულიერი და ყოფითი პრობლემების შესახებ.

ვრცელი თემაა საქართველოს მორწმუნე მუსლიმთა თანამონაწილეობა საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმეში. ამ მხრივ, თვალსაჩინოა აჭარაში მცხოვრები ქართველი მუსლიმების აქტიურობა. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მემედ და ჰაიდარ აბაშიძეებმა, პატრიოტი მუსლიმი ქართველის, სანჯაყ-ბეგ აბაშიძის შთამომავლებმა, „ქართველ მუსლიმთა საქველმოქმედო საზოგადოება“ და „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“ ჩამოაყალიბეს. 1919-1921 წლებში გამოდიოდა გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“. ქართველი მუსლიმების დიდი ნაწილი მიესალმა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენასა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას. 1919 წელს ჩატარდა ქართველ მუსლიმთა ყრილობა, რომელმაც თანამორწმუნეებს ქვეყნის წინაშე მდგომი პრობლემების მოგვარებაში ძალისხმევის გააქტიურებისაკენ მოუწოდა. დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პარლამენტში წარმოდგენილი იყო ქართველ მუსლიმთა პარტია (მ. აბაშიძის მეთაურობით), რომელსაც საქართველოს მუსლიმი მოსახლეობის ინტერესების გამოხატვა ევალებოდა. მ. აბაშიძემ ერთ-ერთ ოფიციალურ სხდომაზე განაცხადა: „ნურავინ იფიქრებს, რომ სარწმუნოება და ეროვნება ერთი და იგივეა! გახსოვდეთ, რომ ჩვენი ხსნა, ჩვენი ბედნიერება საქართველოს ერთიანობაშია. გაუმარჯოს მთლიან საქართველოს!“.

ისლამისადმი კეთილგანწყობის მაგალითად საქართველოს მთავრობის ოფიციალური განცხადება გამოდგება, რომელიც 1920 წელს გაკეთდა: „...ნურავინ იფიქრებს, რომ სარწმუნოება ხელს შეუშლის ქრისტიან და მაჰმადიან ქართველების ერთობას. რჯული რჯულია, მაგრამ სისხლი და ეროვნება კიდევ სხვაა... ყოველი ქრისტიანი ქართველი ყოველთვის პატივს უნდა სცემდეს მაჰმადის რჯულს, რომლის აღმსარებელია მრავალი მილიონი სხვადასხვა ხალხი და რომელსაც მისდევს ჩვენი ღვიძლი ძმებიც. მაჰმადის რჯული ჩვენი ძმების რჯულია და მუდამ განსაკუთრებული ყურადღებით უნდა ვეპყრობოდეთ მას. პატივს უნდა ვსცემდეთ ყოველი ადამიანის რჯულს, მით უფრო, ძმისას. უნდა გავიმეოროთ კიდევ ერთხელ: რჯული სხვადასხვა გვაქვს მაჰმადიან და ქრისტიან ქართველებს, მაგრამ ორივენი ერთი საქართველოს შვილები ვართ. ერთი ენა, ერთი სისხლი, ერთი ხასიათი გვაქვს. ჩვენი ძალა შეერთებაშია. ბედნიერებას მხოლოდ ერთობა და ძმობა მოგვიტანს“.

§8. იეზიდები საქართველოში

კავკასიაში მრავალი ქურთული ტომი სახლობდა და გამორიცხული არ არის, რომ მათში იეზიდებიც ყოფილიყვნენ. ისტორიული დოკუმენტები მოწმობენ ქართულ-იეზიდურ გულთბილ ურთიერთობებს. ცნობილი ფაქტია, რომ ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ს მიწერ-მოწერა ჰქონდა ეზიდ დიდებულ ჩობან აღასთან, ვისთან ერთადაც იგი ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ გალაშქრებას აპირებდა, რაც, საბოლოოდ, სხვადასხვა მიზეზის გამო, ვერ განხორციელდა. გარდა ამისა, იეზიდები ვანის ვილაიეთიდან, სურმალიდან და ბაიაზეთიდან თბილისში ჩამოდიოდნენ სამუშაოდ.

იეზიდთა პირველი ნაკადი რუსეთის იმპერიაში XIX საუკუნის 20-იან წლებში, რუსეთ-თურქეთის ომის დროს გამოჩნდა. საქართველოში იეზიდების ძირითადი მასა 1918 წლიდან იწყებს შემოსვლას. იეზიდები იძულებულნი იყვნენ, თავიანთი საცხოვრებელი ადგილები მიეტოვებინათ, რადგან მათ წინააღმდეგ რელიგიური დევნა დაიწყო ოსმალთა იმპერიის მუსლიმმა მოსახლეობამ,

მათ შორის, მუსლიმმა ქურთებმა. იმ დროს დევნილ იეზიდებს სათავეში ვანელი დიდგვაროვანი ჯანგირ აღა ედგა, რომელმაც ისინი სომხეთსა და საქართველოში გადმოიყვანა.

იეზიდები საქართველოში, ძირითადად, თბილისის ძველ უბნებში დასახლდნენ: სოლოლაკში, ვერაზე, ზემელზე, დიდუბეში, მეიდანზე, ვორონცოვზე და ა.შ. თბილისის გარდა, იეზიდების რამდენიმე კომლი დასახლდა კახეთში (თელავში, წნორში, ყვარელში), თიანეთში (ერწოში, სიონში), ოზურგეთში (ნასაკირალში, გურიანთაში) და ბათუმში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ (1991 წ.), მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის გამო, იეზიდური მოსახლეობის ნახევარზე მეტი რუსეთში, უკრაინასა და ევროპის ქვეყნებში გადავიდა. რაკი საზღვრების გადალახვა გამარტივდა, იეზიდებს თავიანთი წმინდა ადგილების, კერძოდ, ლალიშის (ერაყის ქურთისტანი) მონახულების საშუალება მიეცათ, თუმცა საქართველოს იეზიდთა ძირითადი ნაწილი, ხელმოკლეობის გამო, მაინც ვერ ახერხებს იქ სალოცავად ჩასვლას. დღეისათვის იეზიდებს საქართველოში საკულტო ნაგებობა არ გააჩნიათ და იძულებულნი არიან, მსახურება და სხვა რელიგიური დღესასწაულები ოჯახებში აღასრულონ.

საქართველოში იეზიდების რაოდენობა, 1989 წლის აღწერის მიხედვით, 30 300 იყო, ხოლო 2002 წლის მონაცემებით ეს რიცხვი მნიშვნელოვნადაა შემცირებული – 19 200.

§9. ბუდიზმი და საქართველო

ძველ საქართველოში ბუდისტთა თემის არსებობა არ დასტურდება და არც ქართული კულტურის ბუდისტურ სამყაროსთან ცოცხალი კონტაქტებია სავარაუდებელი. ამასთანავე, ფაქტია, რომ ქართული საზოგადოების ელიტურ ნაწილს ადრეულ შუა საკუნეებში ბუდას ცხოვრებასა და სამქადაგებლო პრაქტიკაზე წარმოდგენა ჰქონდა. ბუდიზმთან გარკვეულ კავშირს ხედავენ იმ ასკეტურ და მისტიკურ მიმართულებაში, რომელსაც გიმნოსოფისტობა, ანუ შიშველმართალობა ეწოდება და, რაც ქართულ სასულიერო მწერლობაშიც ცნობილია.

ქართული კულტურის ბუდიზმთან კონტაქტის მაგალითია შუა საუკუნეების ქრისტიანულ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული წიგნის – „ვარლაამისა და იოასაფის“ ისტორია. ესაა ბუდას ცხოვრების ქრისტიანიზებული ვერსია, რომელშიც მოთხრობილია ინდოეთის გაქრისტიანების ამბავი. მეცნიერებაში დღემდე აზრთა სხვადასხვაობაა, თუ სად და რომელ ენაზე შეიქმნა ეს თხზულება. მკვლევრები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მის ქართულ ვარიანტს, რომელსაც „სიბრძნე ბალაჰვარისი“ ან „ბალავარიანი“ ეწოდება. ეს ძეგლი (რედაქცია) საქართველოში არაბობის დროს, VII-X საუკუნეებში ჩამოყალიბდა და, როგორც გიორგი მთაწმინდელი გვაუწყებს, X-XI საუკუნეებში ექვთიმე ათონელმა ბერძნულ ენაზე თარგმნა, ბერძნულიდან კი ლათინურად ითარგმნა და მთელ კულტურულ მსოფლიოში გავრცელდა.

ქართველები ინდუიზმითა და ბუდიზმით დაინტერესებული იყვნენ აღორძინების ხანაშიც და მომდევნო საუკუნეებშიც. ამას ადასტურებს XVII-XVIII საუკუნეების ზღაპრული შინაარსის მოთხრობა „დაფნის ქალაქის ამბავი“ და ის ლიტერატურული წყაროები, რომლებიც სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკთა კრებულსა და აღნიშნული ეპოქის სხვა დიდაქტიკურ ნაწარმოებებს უდევს საფუძვლად. ბუდისტურ ლიტერატურაზე, ცხოვრების წესსა და ფილოსოფიაზე ბევრს წერდნენ და მის მიმართ სიმპათიებს გამოხატავდნენ XIX-XX საუკუნეების ცნობილი ქართველი მოაზროვნეები და პუბლიცისტები არჩილ ჯორჯაძე, ივანე გომართელი და ივანე როსტომაშვილი. დღეს საქართველოში, თბილისში, ბუდისტების მცირე ჯგუფი არსებობს.

თავი V. საქართველო და ქართველები

თემა 1. ქართული ტრადიციები და ადათები

ოჯახი და ქორწინება. ძველი ქართული ოჯახი რამდენიმე თაობას აერთიანებდა. ჩვეულებისამებრ, მშობლებთან უფროსი ვაჟი რჩებოდა ცოლ-შვილთან ერთად. მთის ოჯახი მრავალრიცხოვანი იყო. სახნავ-სათესი მიწის სიმცირე ძმებს გაყოფის საშუალებას არ აძლევდა. დიდ ოჯახს ყველაზე ასაკოვანი მამაკაცი უძღვებოდა. ის უნაწილებდა სამუშაოს ახალგაზრდებს: ზოგს ცხვრის მწყემსვა ევალებოდა, ზოგსაც თიბვა, შეშის მოჭრა ან საჭირო ნივთის შესაძენად ქალაქში წასვლა. ოჯახის უფროსს მხოლოდ ასაკის გამო როდი სცემდნენ პატივს. მას მთელი სოფელი სამართლიან, შრომისმოყვარე, გამოცდილ კაცად იცნობდა.

მრავალსულიან ოჯახში „საქალებო“ საქმეს უფროსი ქალი ხელმძღვანელობდა. „საქალო საქმედ“ კი საქონლის პატრონობა (დაბინავება, მოწველა, ყველის, მაწონის, კარაქისა და ერბოს დამზადება), საჭმლის გაკეთება, კერვა, ქარგვა, ქსოვა და ქმარ-შვილის მოვლა ითვლებოდა.

შუაცეცხლზე მომზადებულ კერძს დიდი ჯამით დადგამდნენ ტაბლაზე. სუფრის თავში, ორნამენტებით დამშვენებულ ხის სავარძელზე ოჯახის უფროსი ჯდებოდა. სხვა მამაკაცები ხის გრძელ სკამს შემოუსხდებოდნენ. კუთხეში ქალებისა და ბავშვებისათვის იყო განკუთვნილი დაბალი სამფეხა სკამები იდგა.

ახალგაზრდები განსაკუთრებული რიდითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ ოჯახის უფროსს – ფეხზე ადგომით ესალმებოდნენ, მის საუბარსაც ფეხზე მდგომნი ისმენდნენ. მშობლისადმი უდიერად მომპყრობ შვილს სოფლის უხუცესები დაიბარებდნენ და სახალხოდ შეარცხვენდნენ. შერცხვენილს ხალხი ღორღს მიაყრიდა და გარკვეულ დრომდე ოჯახშიც არავინ მიიპატიჟებდა.

ქალ-ვაჟი ხშირად გარიგებით ქორწინდებოდა. შუამავლობა შემოდგომის დადგომისთანავე იწყებოდა. მაჭანკალი დასაქორწინებელ ახალგაზრდებს ერთმანეთს გააცნობდა. ურთიერთმოწონების შემთხვევაში ნიშნობისა და ქორწილის დღე ინიშნებოდა. გარიგების სანაცვლოდ მაჭანკალი გარკვეულ გასამრჯელოს იღებდა.

საქართველოს ზოგიერთ მხარეში ქორწილამდე სასიძო, ბიძაშვილების თანხლებით, პატარძლის ოჯახს ესტუმრებოდა. სტუმრების პატივსაცემად წვეულება იმართებოდა. მთელი სოფელი აქ იყრიდა თავს. მხოლოდ პატარძალს არ ჰქონდა გამოჩენის უფლება. სასიძოს სტუმრობა რამდენიმე კვირა გრძელდებოდა. ამ ხნის მანძილზე მას ყველასთვის უნდა დაემტკიცებინა, რომ შრომისმოყვარე, ზრდილობიანი და თავმდაბალი ადამიანი იყო. ქალის მშობლები მხოლოდ ამის შემდეგ იძლეოდნენ ქორწინებაზე თანხმობას.

ზოგჯერ ვაჟის მშობლები თვითნებურად არჩევდნენ სასურველ საპატარძლოს, ხანაც ქალის გათხოვება იქცეოდა სარფიან საქმედ. XVIII საუკუნის ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი ქართული ქორწინების ამ ტრადიციის შესახებ წერდა: „ქორწინებას ამ ქვეყანაში სავაჭრო ხელშეკრულება შეიძლება დაერქვას, რადგან ქალის მშობლები ევაჭრებიან ფასში იმას, ვისაც მათი შვილის შერთვა სურს... როდესაც საქმრო შეაგროვებს დაპირებულ თანხას, საცოლის მამა აწყობს საზეიმო ლხინს, რომელიც მეორე დღემდე გრძელდება... შემდეგ პატარძალი, უახლოესი ნათესავების, სტუმრებისა და მეგობრების თანხლებით, მიჰყავთ ქმრის სახლში. გზაზე მუსიკით და სიმღერით

მიდიან... მთელი ოჯახი, მეგობრები და ნათესავები დარბაზში იყრიან თავს. დედოფალიც აქ შემოდის და მორიდებულად ესალმება მათ... საქორწინო ლხინი სამი ან ოთხი დღე გრძელდება“.

პატარძლის ოჯახში საქორწინო თადარიგს ადრევე იჭერდნენ. ნელ-ნელა აგროვებდნენ მატყლსა და ბუმბულს. მათგან კი სამზითვო საბნებს, ლეიბებს, ბალიშებს კერავდნენ. ქალს მზითევში ავეჯს (საწოლს, კარადას, მაგიდას, სკამებს, სკივრს), ჭურჭელსა და პირუტყვს აძლევდნენ. შეძლებული ოჯახი ქალს მზითვში მიწის ნაკვეთსაც ატანდა. მას „დედული“ ეწოდებოდა. ქალს შეეძლო „დედული“ გაექირავებინა და მიღებული თანხა პირადად მოეხმარა. ქორწილში საცეკვაოდ გამოწვეულ პატარძალს ფულს ჩუქნიდნენ. ამას „შაბაში“ ეწოდებოდა. „შაბაში“, ისევე როგორც საქორწინო საჩუქრები, ქალის საკუთრებად ითვლებოდა.

მზითვის სიდიდე ოჯახის შეძლებაზე იყო დამოკიდებული. მაგრამ ზომიერებას ყოველთვის როდი იცავდნენ. მეზობლებისა თუ ნათესავების წინაშე თავმოსაწონებლად ზოგჯერ ოჯახი ვალსაც იღებდა და ქალს მდიდრულად გაისტუმრებდა. უფრო სადა წესი ჰქონიათ მთიელებს: „(ფშავში) ქალს ეძლევა მცირე მზითევი: ერთი ტყავი, ნაბადი, ფარდაგი, ერთი ხელი ტანისამოსი და ყველა ის, რაც ქალს საკუთარი შრომით მოუპოვებია, ან მშობლებს უჩუქებიათ... “ (ვაჟა-ფშაველა). ხევსურეთში მზითევი არ იცოდნენ და ქალს მხოლოდ სათავნო ეძლეოდა: მშობლები ხშირად სათავნოს (ერთ ან ორ ძროხას) ქალს პატარაობიდანვე მიუჩენდნენ და ის მისი შემოსავლით იძენდა ტანსაცმელს და საჭირო საგნებს. ქმარს არ შეეძლო მეუღლის სათავნოს დასაკუთრება.

ქორწილისათვის გულმოდგინედ ემზადებოდნენ. პატიჟებდნენ ნათესავებს, ქირაობდნენ მეზურნეებს, მეზობლებს საქმეს უნაწილებდნენ. გოგონები პატარძალს საქორწინოდ მორთვა-მოკაზმვაში ეხმარებოდნენ: ვარცხნიდნენ, სახეზე ფერუმარილს უსვამდნენ, ტანთ ლამაზ კაბას აცმევდნენ, ფეხზე მაღალქუსლიან ფეხსაცმელს, თავზე ჩიხტიკოპს ახურავდნენ. ნეფე-დედოფალს საქორწინო სუფრის შუაში დასვამდნენ, კალთაში ვაჟს ჩაუსვამდნენ და დალოცავენ: „ცხრა ვაჟი და ერთი ქალიო“.

სამცხეში ვაჟები ერთიმეორეზე გადაბმული ქამრებით ნეფე-დედოფალს სახლში შესასვლელ კარს გადაუღობავდნენ, მტრედებს აუფრენდნენ და ეტყოდნენ: „თქვენი გვირგვინი უცვლელი იყოს... ღმერთმა წყვილად დაგაბეროთო“. ამის შემდეგ ნეფის დედა სახლის შუაგულში ერბოიან და თაფლიან ქილებს დადგამდა. ნეფე-დოდოფალს ამ ქილებისთვის სამჯერ უნდა შემოევლოთ, დედა კი მათ ლოცავდა: „ასე ტკბილად, ასე მდიდრად დამიბერდითო“.

სახლში შესვლამდე ჯვარდაწერილ ნეფე-დედოფალს გადაჯვარედინებული ხმლების ქვეშ გაატარებდნენ, შემდეგ კი კართან გასატეხად თეფშს დაუდებდნენ. ჯვარდაწერილებს ოჯახის ზღურბლზე ნეფის დედა ეგებებოდა. მას ხელში თაფლ-ერბოიანი ჯამი ეჭირა. თაფლ-ერბოს კოვზით ამოიღებდა და ნეფეს პირთან მიუტანდა. ნეფე საჭმელს ეტანებოდა, მაგრამ დედა არ შეაჭმევდა, სამჯერ მოატყუებდა, მხოლოდ მეოთხე ცდაზე შეჭამდა ნეფე მიწოდებულს. იგივე მეორდებოდა პატარძლის მიმართაც. ამ ჩვეულებით დედა ახალდაქორწინებულებს შეახსენებდა, რომ სიტკბოების მოპოვება მრავალი წინააღმდეგობის გადალახვასთან იყო დაკავშირებული.

სუფრა. წარსულში ხალხის ზნე-ჩვეულებების, ადათ-წესების, სხვადასხვა კულტურის ურთიერთგავლენის შესახებ საინტერესო მასალას გვაძლევს სუფრასთან (პუროობასთან) დაკავშირებული ტრადიციების შესწავლა. ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი დეტალურად აღწერს ქართველი მეფის კარზე გამართულ ნადიმს: „მეფემ (ვახტანგ V – შაჰნავაზი) გამოგვიგზავნა შემწვარი ხოხობი, ორი კაკაბი და ირმის ფეშხო და შემოგვითვალა: თუმცა ნადირობის ხორცზე ღვინო კარგია, მაგრამ მე მაინც ვუბრძანე, ძალა არ დაგატანონო... საკვირველი წესიერება და დიდი მოკრძალება სუფევდა ამ შექცევის დროს... მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ღვინო ბევრი სვეს. გასაოცარი სიუხვე იყო ხორაგისა, სახსნილოც მოჰქონდათ და სამარხვოც...“

შარდენი აღწერს სუფრასთან ჯდომის წესსაც. მეფე სუფრის თავში იჯდა მაღალ ტახტზე. მეფის მარჯვნივ მის ვაჟებსა და ძმებს დაეკავებინათ ადგილი, ხოლო მარცხნივ – ეპისკოპოსებს. „მესაკრავეები“ კი სამეფო სუფრის ბოლოში განლაგებულან. მეფის თითოეულ სტუმარს წინას-

წარ ჰქონია სუფრასთან ადგილი მიჩენილი. სხვა შემთხვევაში კი, შარდენის ცნობით, მასპინძელი სუფრასთან, პირველ რიგში, ასაკით უფროსებს, უხუცესებს მიიწვევდა, შემდეგ კი ახალგაზრდებს მიუჩენდა ადგილს.

სავარაუდოა, რომ საქართველოში ქალები და კაცები სუფრასთან ერთად სხდებოდნენ. ასეთ ცნობას გვაწვდის XII საუკუნის მწერალი მოსე ხონელი. ნაწარმოებში „ამირანდარეჯანიანი“ ის ერთგან აღნიშნავს: „დასხდეს პურად მას ძოწეულისა კუბოსა (ტახტრევანი) შინა იგი ამირან დარეჯანის ძე და ხვარაშან ქალი...“ ხოლო XVII საუკუნის მეფე-პოეტი არჩილი ქართული ქორწილის აღწერისას ამბობს: „საერთაჭამოდ დამზადდნენ ქალთა და კაცთა კრებანიო“.

მაგრამ პურობის ეს წესი, დროთა ვითარებაში, ზოგიერთ ქართულ კუთხეში იცვლებოდა და გვხვდება შემთხვევები, მათ შორის დღესაც, როდესაც მასპინძელი „სავაჟკაცო“ და „საქალებო“ სუფრებს ცალ-ცალკე შლის. ასეთი ფაქტი შარდენსაც შეუნიშნავს: „ქართველებმა აუკრძალეს თავიანთ ქალებს კაცებთან ერთად ყოფნა (საუბარია სუფრასთან ყოფნაზე) მას აქეთ, რაც სპარსეთის მორჩილებაში არიან. ეს წესი ჯერ მხოლოდ ქალაქებშია გავრცელებული...“.

დღეს ქართული სუფრა წარმოუდგენელია „თამადის“ გარეშე. მკვლევრები ბოლომდე ვერ თანხმდებიან, თუ როდიდან დამკვიდრდა ჩვენში „თამადის“ ინსტიტუტი, კამათს იწვევს მისი წარმომავლობის საკითხიც. უნდა აღინიშნოს, რომ ძველ ქართულ მწერლობაში „თამადა“ არ არის მოხსენიებული, თუმცა არსებობს ცნობები მერიქიფეებისა და ღვინის მომწოდებელთა შესახებ. „თამადას“ არც ვახუშტი ბატონიშვილი იხსენიებს და არც კათოლიკე მისიონერები, რომლებმაც მრავალი საინტერესო ცნობა დაგვიტოვეს ქართველი ხალხის ადათებზე, მათ შორის, ნადიმის გამართვის წესებზეც.

XVIII საუკუნის ჩათვლით, არ იხმარებოდა სიტყვა „სადღეგრძელო“. აკაკი წერეთელს ჩაუწერია იმერეთის მეფის, სოლომონ მეორის, თანამედროვის მოგონება: „სოლომონ მეფემ ბრძოლის წინ ბრძანა ღვინის მიტანა, აავსო აზარფეშა და თქვა: „დიდება ღმერთსა! ღმერთო, გაუმარჯვე ჩემს ჯარს, საქრისტიანოს გამოხსნისათვის მსხვერპლად გამზადებულს!“ დაცალა და გადასცა პაპუნა წერეთელს, წერეთელმა თაყვანისცემით ჩამოართვა სასმისი, აავსო და დაილოცა“. ამ მოგონებიდან ჩანს, რომ ღვინის გადაცემა და მიღება დაკავშირებული იყო ლოცვასთან – დალოცვასთან. საინტერესოა, რომ სიტყვა „სადღეგრძელო“, ისევე როგორც „თამადა“ განმარტებული არა აქვს სულხან-საბა ორბელიანს თავის „სიტყვის კონაში“.

„სიტყვა „სადღეგრძელოს“ ვხვდებით მხოლოდ XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში, კერძოდ გრიგოლ ორბელიანთან ამავე სახელწოდების ნაწარმოებში: „სადღეგრძელო ანუ ომის შემდგომი ლხინი“... ამ დროიდან „ლოცვა“ და „დალოცვა“ – შეცვალა „სადღეგრძელომ“. თუმცა გამოთქმა „დაილოცე“ დღემდე შემორჩა ხმარებაში ქართულ სუფრასთან და იგი იმავე მნიშვნელობით იხმარება, როგორც სადღეგრძელო.

სუფრის ხელმძღვანელის სინონიმი „ტოლუმბაშიც“ პირველად გრიგოლ ორბელიანთან იკითხება. სიტყვა „თამადას“... პირველად ვხვდებით ლავრენტი არდაზიანთან... შემდგომში ანუ XIX საუკუნის ბოლოდან მოყოლებული უკვე მრავლად გვხვდება ლიტერატურაში სიტყვა „სადღეგრძელოც“ და „თამადაც“.[37]

ახალი წლის შეხვედრა. საქართველოს სხვადასხვა მხარეში რამდენადმე განსხვავებულად ეგებობოდნენ ახალი წლის დადგომას. ქართლში, გვალვას ნათესი და ნარგავები რომ არ გაენადგურებინა, ოჯახის უფროსი პირველად წყალს ულოცავდა ახალი წლის დადგომას: „მომილოცავს ახალი წელი, მრავალს დეესწარ მხიარულად, როგორც შენა ხარ უხვი და გამოულევი, ისე მოსავალი იყოს უხვი და ულევი, მოგვეცი ჯანმრთელობა, ღვთის ბარაქა და დოვლათი“.

ფშავში ახალ წელს მთელი სოფელი ერთად დღესასწაულობდა. შეზარხოშებული მამაკაცები განთიადისას ქუდებს მოიხდიდნენ, ერთ ადგილას დაყრიდნენ და ნაბადს გადააფარებდნენ. ხე-

37 სტურუა გ. ჩვენი სუფრა ქართული. თბ., 2006

ვისბერი ნაბდის ქვეშ ხელს შეჰყოფდა, ქუდებს აურევდა და ერთს გამოიღებდა. ქუდის პატრონი იღბლიან კაცად ითვლებოდა და მთელი სოფლის მეკვლეობაც მას ევალებოდა.

იმერეთში საახალწლო სამზადისი ახალი წლის წინა დღეს იწყებოდა. ხარშავდნენ ღორის ხორცს და დედლებს, აკეთებდნენ საცივს, აცხობდნენ ხაჭაპურებს, მჭადებს და ადამიანის ან მთვარის გამოსახულებიან კვერებს. დილას მეკვლე შეშით დატვირთულ ურემს ეზოში შემოიყვანდა და დაილოცებოდა: „ურემივით დამძიმებული, დატვირთული წელიწადი იყოს ამ ოჯახისთვისო“. შემდეგ ურმიდან ხარს გამოხსნიდა და სახლში შეუძღვებოდა. ხარი მშვიდი, ძლიერი და მუშა პირუტყვია. სჯეროდათ, რომ ხარის მეკვლეობით უხვმოსავლიანი და მშვიდობიანი წელი დაუდგებოდათ.

სამეგრელოში მეკვლეობა ოჯახის უფროსს, მამას ან ბაბუას ევალებოდა. დასრულდებოდა თუ არა საახალწლო სამზადისი, მეკვლე ხორაგით სავსე ხონჩას მარანში წაიღებდა. ღამეს იქ გაათევდა. ალიონზე მეკვლე კარზე დააკაკუნებდა და სამჯერ დაიძახებდა: „კარი გამიღეთო“. შიგნიდან უპასუხებდნენ: „ვინა ხარ, რა მოგაქვსო?“. მეკვლე ეტყოდა: „წყალობა, ოჯახის მშვიდობა, ოქრო, ვერცხლი, პირუტყვის გამრავლება, აბრეშუმის ჭიის ყოფნაო...“. დიასახლისი კარს გამოაღებდა და მეკვლეც ოჯახის წევრებს ახალი წლის დადგომას მიულოცავდა. ხალხის რწმენით, მეკვლეზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. მას ოჯახისათვის სიკეთის მოტანაც შეეძლო და უბედურებისაც.

ახალწლის მეორე დღეს „ბედობა“ აღინიშნება. სამცხე-ჯავახეთში ბედობა დილით მეკვლე ტკბილეულით სავსე ხონჩით ოჯახში შემოვიდოდა და იტყოდა: „ფეხი ჩემი – კვალი ანგელოზისაო, ეს ოჯახი პურითა და ღვინით ავსილიო“. დიასახლისი მეკვლეს ქერს მოუპნევდა ფეხებთან, შემდეგ მოხვეტდა და წიწილებს დაუყრიდა. ფიქრობდნენ, ამით ფრინველი მოგვიმრავლდებაო. ამ დღეს „ბედის კვერსაც“ აცხობდნენ, რომელშიც ვერცხლის ფული იყო ჩატანებული. სწამდათ, რომ ვისაც ეს ფული შეხვდებოდა, ბედნიერი წელიწადი ექნებოდა.

გურულები ახალი წელს „კალანდას“ ეძახდნენ, სწამდათ (და ეს რწმენა დღემდეა შემორჩენილი), რომ რასაც კალანდას „დაიბედებდნენ“, მომავალ წელს უსათუოდ აუხდებოდათ. მშვიდობიანი წელიწადის, უხვი მოსავალისა და ჯანმრთელობის „დასაბედებლად“ გურულები ახალი წლის დადგომას „აგუნას გადაძახებით“ ხვდებოდნენ:

„აგუნა, აგუნა გადმეიარე -
ბახვი, ასკანა გადმეიარეეე...
ჩვენს მამულში ყურძენიო,
მტრის მამულში ფურცელიო!...“

წინათ, დასავლეთ საქართველოში (განსაკუთრებით, გურიასა და სამეგრელოში) საახალწლოდ ჩიჩილაკს დგამდნენ. ჩიჩილაკს თხილის ან ძეძვის ტოტისაგან ამზადებდნენ. ტოტს ცეცხლზე გარუჯავდნენ, გარეკანს შემოაცლიდნენ და თლიდნენ. ნათალი გრძელი და ხუჭუჭა უნდა ყოფილიყო. ჩიჩილაკს ხილით და ტკბილეულით ამკობდნენ.

გვალვის საწინააღმდეგო რიტუალი. ქართლში გვალვისას ქალები დაირაზმებოდნენ და სიმღერა-გალობით სოფელს შემოივლიდნენ. შესაწირს აგროვებდნენ და ეკლესიაში მიჰქონდათ. მსვლელობაში უმეტესად ქვრივი ქალები და ობლები მონაწილეობდნენ. სწამდათ, რომ ღმერთი მათ სავედრებელს უფრო შეისმენდა. ზოგან წვიმის გამოსაწვევად სპეციალურ ქვას („ქალქვას“) წყალში აგდებდნენ. გადმოცემის მიხედვით, ერთ ქალს გზაში ლეკები დასხმია თავს. მოძალადეთა ხელში რომ არ ჩავარდნილიყო, ღმერთს ქალი, მისივე თხოვნით, გაექვავებინა. ხალხის რწმენით, „ქალქვას“ წვიმის მოყვანა და სხვა სასწაულების მოხდენაც შეეძლო. ზოგიერთ სოფელში გვალვის დროს ქალებშებმული გუთნით „წყლის მოხვნაც“ იცოდნენ.

გვალვისას ლეჩხუმელი ქალები ხვამლის მთაზე ადიოდნენ, თან წმინდა გიორგის ხატი მიჰქონდათ და ღმერთს წვიმას ევედრებოდნენ. ლოცვის შემდეგ ხატს სალოცავის გვერდით მდებარე

ტბაში განბანდნენ და წვიმით დაიმედებულნი შინ ბრუნდებოდნენ. ხვამლის მთის მიხედვით ლეჩხუმელები დღესაც ამოიცნობენ მოსალოდნელ ამინდს. ჩამავალი მზის სხივებისაგან თუ ხვამლს ვარდისფერი ან მოწითალო ფერი ადევს, მომდევნო დღე მზიანი იქნება, სხვა შემთხვევაში მოღრუბლული და წვიმიანი ამინდია მოსალოდნელი.

ძველი ლეჩხუმური გადმოცემის მიხედვით, ამინდის მბრძანებელი ელია ბრმა იყო და ცაზე ეშმაკს დაჰყავდა. ეშმაკი მას ხშირად ატყუებდა – სოფლის თავზე ჭექა-ქუხილსა და სეტყვას აშვებინებდა. ამიტომ, როცა ცა საავდროდ მოიქუფრებოდა, სოფელში ზარს რეკდნენ და თოფს ისროდნენ. სჯეროდათ, რომ ხმა ზეცამდე მიაღწევდა და ელია დედამიწაზე ჭექა-ქუხილის გამოშვებას გადაიფიქრებდა.

სამცხეში გვალვის დროს მოხუცი ქალები გოგონებს შეკრებდნენ, ერთ მათგანს „გვალვის პატარძლად“ აირჩევდნენ და მთელ სოფელს შემოივლიდნენ. „გვალვის პატარძალს“ თავზე ჩიხტას დაადგამდნენ, ჩიხტაში სპილენძის ჯამს ჩადგამდნენ, სახეზე ფერად ნაჭერს ჩამოაფარებდნენ და ხელჩაკიდებული დაატარებდნენ კარდაკარ. ეზოში შესვლისას კი სიმღერას შემოსძახებდნენ:

„... აღარ გვინდა გორახიო
ღმერთო მოგვე ტალახიო;
ცხრილი აგორებულია
წვიმა გაჩქარებულაო“.

ამ დროს ოჯახის დიასახლისი გამოიტანდა სანთელს, ყველს, ფქვილს, კვერცხს და წყალს. წყალს „გვალვის პატარძალს“ თავზე დადგმულ ჯამზე ასხამდნენ. ხოლო შეგროვებული სურსათით ეკლესიის ეზოში საერთო სუფრას შლიდნენ.

მკურნალობის წეს-ჩვეულებები. ძველად ექიმები ბალახებისგან, თხის, ირმის ან დათვის ქონისგან უებარ მალამოებსა და წამლებს ამზადებდნენ. აშუშებდნენ ჭრილობებს, ახორცებდნენ მოტეხილობას, აამებდნენ კბილისა და წელის ტკივილს. წინაპართა რეცეპტით დღესაც ამზადებენ მცენარეულ წამლებს.

არსებობდა სამკურნალო წიგნი – „კარაბადინი“. მასში აღწერილი იყო სხვადასხვა დაავადებები და მათი განკურნების საშუალებები. „კარაბადინი“ ორი სახის იყო – ექიმებისთვის განკუთვნილი „სამკურნალო“ და „საოჯახო“, რომლის გამოყენება ყველას შეეძლო. წამლებს სპეციალურ ადგილებში – აფთიაქებში ინახავდნენ. ერთ–ერთი ასეთი აფთიაქი აღმოჩენილია ვარძიაში. ქალაქებში და დიდ მონასტრებთან აგებული იყო საავადმყოფოები. ცნობილია, რომ მეფე დავით აღმაშენებელმა საავადმყოფო ააშენა გელათის მონასტერთან ახლოს. ისტორიკოსები თვლიან, რომ დავითის მიერ დაარსებულ გელათის აკადემიაში მედიცინაც ისწავლებოდა. მთელ საქართველოში ცნობილი ექიმი იყო ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი (XV საუკუნე). მან შეადგინა ვრცელი „სამკურნალო წიგნი – კარაბადინი“, სადაც თავი მოუყარა იმ დროის სამედიცინო ცოდნას.

ხალხის რწმენით, ზოგიერთი დაავადება წამლისა და ექიმის გარეშეც იკურნებოდა. მაგალითად, „ყვავილ-ბატონებიანს“ შეულოცავდნენ (ბატონები ინფექციურ დაავადებათა – წითელას, ყვავილის, ქუნთრუშას, ყივანახველას – საერთო ხალხური სახელწოდებაა), მისთვის წამლის მიცემა არ შეიძლებოდა – „ბატონები“ გაჯავრდებაო. ბატონების გაწყრომა ცეცხლს, ხმაურს და ტირილსაც შეეძლო, რაც ავადმყოფის მდგომარეობას დაამძიმებდა. იტყოდნენ, „ბატონებს სიმშვიდე უყვართ, ტირილი ანგელოზებს არ ესიამოვნებათ და გაწყრებიანო“. „ბატონებს“ გულს ულბობდა საერთო მხიარულება, ფერადი საჩუქრები და სიმღერა:

„იავნანა, ვარდო ნანა, იავ-ნანინაო,
ბატონები მობრძანდნენ, იავ-ნანინაო,
მობრძანდნენ და გაგვახარეს, იავ-ნანინაო,
წინ გავუშლი ხალიჩასა, იავ-ნანინაო.“

სნეულის განკურნების შემდეგ აკეთებდნენ წითელ ან თეთრ კაბაში გამოწყობილ „ბატონების დედოფალას“ და ამზადებდნენ „ბატონების სუფრას“. დედოფალას სუფრაზე დასვამდნენ და ეკლესიაში წააბრძანებდნენ.

საქართველოს ზოგიერთ მხარეში მძიმე ავადმყოფის მნახველები საწოლზე ვერცხლის ფულს ყრიდნენ. სჯეროდათ, რომ ამ ფულით ავადმყოფობის გამომწვევი ბოროტი სულის მოსყიდვას და სნეულის გამოჯანმრთელებას შესძლებდნენ.

ძველად სწამდათ, რომ შელოცვა არა მხოლოდ ადამიანს, არამედ შინაურ ცხოველებსაც იცავდა უძლურებისა და „ავი თვალისაგან“. რაჭასა და ლეჩხუმში საქონლის გამრავლებისა და ჯანმრთელობისათვის საგანგებო რიტუალს აწყობდნენ. ოჯახის უფროსი აიღებდა ლობიანს, ჭიქა ღვინოს, სანთელს, კისერზე შეისვამდა უმცროს ვაჟს და ბოსელს მიაშურებდა. აქ ხარ-ძროხებს სათითაოდ ჩამოუვლიდა და ტანზე კვერცხს გადააგორებდა. თან „საქონლის ანგელოზს“ ევედრებოდა, რომ პირუტყვი კვერცხივით სავსე (ანუ მსუქანი) შექმნილიყო.

სახალხო გასართობები. ადამიანს ყოველთვის, ნებისმიერ ასაკში სჭირდება რაიმე თავშესაქცევი. ბუნებრივია, ხალხს გართობის სურვილი წინათაც ჰქონდა და სანახაობებსაც თვითონვე იგონებდა.

„ბერიკაობა“ – განაყოფიერების კულტის სადიდებელი სანახაობა – ადრე გაზაფხულზე ეწყობოდა. მამაკაცები სოფლის მოედანზე იკრიბებოდნენ და ბერიკაობის მონაწილეებს ირჩევდნენ: მთავარ ბერიკას, ბერიკებს – ღორს, არაბს, ლეკს, თათარს, მღვდელს, ნათლიას, მებარგულებს, მეკალათეებს, მომღერლებს, მოცეკვავეებსა და სხვ. შემდეგ დღესასწაულის მონაწილენი საგანგებოდ მოირთვებოდნენ. ბერიკა ცხვრის ან თხის ტყავს იცვამდა, სახეზე ნიღაბს აიფარებდა, თავზე კი დიდ ყურებსა და რქებს დაიმაგრებდა. ზოგჯერ ბერიკა ნიღბის გაკეთების მაგიერ სახეს შავად იღებავდა, თხის წვერს იკეთებდა და თხისავე რქებს იმაგრებდა. ბერიკაობის მეორე მთავარი წევრი დედოფალი – „კეკელა“ იყო, რომელსაც, როგორც წესი, ვაჟი ასახიერებდა. საპატარძლო ტანსაცმელში გამოწყობილ დედოფალს თავზე გვირგვინი ედგა ან ფრინველის ფრთებით შემკული ქუდი ეხურა. ბერიკები კარდაკარ შემოივლიდნენ სოფელს. ყველა სიხარულით ეგებებოდა მათ. ოჯახის უფროსი მუხლმოდრეკილი აუწყებდა ბერიკას თავის გასაჭირს და შველას სთხოვდა, შემდეგ კი საჩუქრად სანოვაგეს მიართმევდა. ბოლოს დღესასწაულის მონაწილენი სიმღერითა და ცეკვა-თამაშით წავიდოდნენ დანიშნული ადგილისაკენ და შეგროვილი სურსათით მოილხენდნენ.

არანაკლებ გავრცელებული იყო „ყეენობა“. „ყეენობის“ დროს თბილისში დუქნებსა და სახელოსნოებს კეტავდნენ და საზეიმოდ რთავდნენ. დილით სახედარზე ან აქლემზე ამხედრებული, საგანგებოდ გამოწყობილი ყეენი ქალაქის ცენტრში გამოჩნდებოდა თავისი ამალით. ამ დროს ჩაჰბერავდნენ ზურნასა და საყვირებს. ყეენის მხლებლები ქუჩებს მოედებოდნენ, იჭერდნენ გამვლელებს და ყეენთან მოჰყავდათ თაყვანის საცემად და ხარკის გადასახდელად. ქალაქზე ყეენის ბატონობა შუადღემდე გრძელდებოდა. ამ დროს ქალაქი აჯანყებას იწყებდა. განრისხებული ყეენი თავის ხალხს მიუსევდა ურჩებს. შერკინებაში იყენებდნენ ხის ხმლებსა და შუბებს, იმართებოდა კრივი. გამარჯვებული ხალხი ყეენს შეიპყრობდა, ვირზე პირუკუ შესვამდა და ქალაქიდან აძევებდა (ზოგჯერ მტკვარში აგდებდა). ხალხი ქალაქში მეფეს მოიწვევდა. მეფე და მისი ამალა გვიანობამდე ზეიმობდა მოძალადეზე გამარჯვებას.

სახალხო სანახაობებს ისტორიული წყაროს ფუნქცია აქვთ, რადგან მათში იკვეთება ძველი სარწმუნოებრივი შეხედულებები, ხალხის განწყობა და სულისკვეთება, კულტურა, აისახება მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები.

სპორტული სანახაობები. საქართველოში ოდითგანვე პოპულარული იყო ცხენოსნობა და მხედართა შეჯიბრი. მათ უმრავლესობას სამხედრო დანიშნულებაც ჰქონდა და, გარკვეულწილად, ისტორიულ რეალობასაც ასახავდა.

1892 წელს ქართველი ცხენოსნები ინგლისს ესტუმრნენ. მხედართა ოსტატობამ, მათმა შეუდარებელმა ჯირითმა ლონდონელთა დიდი მოწონება დაიმსახურა. ქართველი ცხენოსნების გამოსვლით მოხიბლული კორესპონდენტი ერთ-ერთ გაზეთში წერდა: „საკვირველი ცხენოსნები არიან! ავსტრალიის და ამერიკის პრერიებში ვყოფილვარ, ასობითა და ათასობით ვიცნობდი ცხენოსნებს, მაგრამ მათი მსგავსიც კი არაფერი მინახავს“. ხმებმა ქართველ ცხენოსანთა ოსტატობის შესახებ ინგლისის სამეფო კარამდეც მიაღწია. უინძორის სასახლეში მიწვეულმა მხედრებმა დედოფალ ვიქტორიასა და ლორდთა პალატის წარმომადგენელთა მოხიბლვაც შეძლეს.

ერთ-ერთი საცხენოსნო შეჯიბრი იყო „ისინდი“. მასში მონაწილეობა მხედრისაგან მაღალ ოსტატობას, სიმარდეს, მახვილ თვალს, ალღოს, სისწრაფესა და სხვა იმ თვისებებს მოითხოვდა, რომლებიც მხოლოდ ბრძოლებში ნაწრთობ მხედარს თუ ექნებოდა.

„მხედარი მოწყდებოდა ხაზიდან, ის ძალიან ფრთხილად უახლოვდება მოწინააღმდეგის ბანაკს, აწარმოებს დაზვერვას, მიზანს რომ მიაღწევს, იერიში მიაქვს მტერზე, ისვრის ისინდს, შემდეგ ცხენს უცბად შემოატრიალებს და მთელი სისწრაფით გარბის უკან თავისიანებისაკენ, მაგრამ ამავე დროს მოწინააღმდეგეც ისეთივე ილეთებით ცდილობს დაამარცხოს მეტოქე, მისდევს მას, დაეწევა, მოემზადება და ესვრის ისინდს... წინა მხედარი მოხერხებულად ეფარება ცხენის თავს, აიწევა, გასროლილ ისინდს იჭერს ხელით და ესვრის მის მომდევარ მხედარს. იწყება კონტრიერიში... ყველაფერი ეს ხდება ისე სწრაფად, ლამაზად და მოხერხებულად, რომ მაყურებელთა აღტაცებას იწვევს“.[38]

არანაკლებ გავრცელებული სანახაობა იყო „ყაბახი“. მის შესახებ ცნობებს გვაწვდიან ვახუშტი ბატონიშვილი, სულხან-საბა ორბელიანი, თეიმურაზ მეორე, ხოლო იტალიელმა მისიონერმა კასტელიმ, „ყაბახის“ აღწერილობასთან ერთად, ამ ასპარეზობის ამსახველი ორი ნახატიც დაგვიტოვა. „მწკრივად დააყენეს ცხენები ყველამ ერთად, დაიჭყივლა თუ არა ზურნამ... (ცხენები) ჭიხვინ-ჭიხვინით გავარდნენ ჯეირანებივით. ცხენოსნებს უნდა ის მინდორი სიგრძისად გადაეჭრათ, მისულიყვნენ კიდემდე და მერე იქიდან სათითაოდ გამოეჭენებინათ ცხენი, რომ ყაბახი ჩამოეგდოთ. იმ დღეს ყაბახად ოქროს თასი იყო დასმული თვალუწვდომელ ჭადრის წვერზე.; თითო ჯირითი ყველამ შესტყორცნა, ზოგმა ახლოს მიიყვანა, ზოგმა ხეს გადაავლო თავზე. მაგრამ ვერც ერთმა ვერ შეანძრია ნიშანი. ბოლოს წამოვიდა ვიღაც შავცხენოსანი ისეთი სისწრაფით, რომ თითქმის აღარ ჩანდა ცხენზე, შორიდან შესტყორცნა ჯირითი, ჰკრა შუაგულში და მაღლა შეაგდო, თასი ბზრიალ-ბზრიალით ჩამოვიდა, მხედარმა მიაგდო ცხენი ხის ძირში, შეაყენა უკანა ფეხებზე და ჰაერშივე მოავლო ხელი თასს, დაბლა აღარ გაუშვა“ (ა. წერეთელი, „ბაში-აჩუკი“).

ერთ-ერთი უძველესი სპორტული სანახაობაა ლელო. აღდგომა დღეს ლელო ახლაც იმართება სოფელ შუხუთში (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი). შუხუთელები ორად იყოფიან: „ზემოურებად“ და „ქვემოურებად“. სოფლის ცენტრში სპეციალურად შეკერილ ბურთს აისვრიან და ლელოც გაჩაღდება. მოთამაშენი ცდილობენ ბურთი მოწინააღმდეგის მხარეს წაიღონ და დათქმულ ადგილამდე მიიტანონ. აქ ძალა, მოხერხებულობა და სიმამაცეა გამარჯვების მომტანი. რაიმე წესი და კანონი ლელოს თამაშისას არ არსებობს. ამიტომაც, არც თუ იშვიათად, ლელოს მონაწილენი დახეული ტანსაცმლით და კოჭლობით ტოვებენ ასპარეზობის ადგილს.

ნადირობა ბრძოლისთვის მომზადების საშუალებაც იყო. მისიონერ არქანჯელო ლამბერტის ცნობით, „წარჩინებულები საშინელ პაპანაქება სიცხეშიც სანადიროდ მიდიან... ამას იმიტომ სჩადიან, რომ შეეჩვიონ იმ გასაჭირს, რომელიც ომიანობას თან მოჰყვება“.

მონადირეები ტყეს სხვადასხვა მხრიდან დაუვლიდნენ და ხმაურით (საყვირით, დოლით, შეძახილებით) დამფრთხალ ცხოველებს იმ ადგილამდე ერეკებოდნენ, სადაც მეფე და მისი სტუმრები იყვნენ ჩასაფრებულები. ნადირობის ასეთ ხერხს „მორეკვას“ უწოდებდნენ. მთაში „მოჭირვის“ ხერხს იყენებდნენ. ამ დროს ცხოველებს ხევებსა და კლდეებზე გამავალ ვიწრო ბილიკებს

38 ნაჭყებია კ. ქართული ხალხური ცხენოსნური თამაშობანი. თბ., 1964.

უჭრიდნენ და უსაფრთებოდნენ. ყველაზე ხშირად კი ნადირს „კვალში უდგებოდნენ“. ძაღლები ცხოველის სუნს მიყვებოდნენ და ყეფით აიძულებდნენ მას გამოსულიყო საფრიდან (ბუნაგიდან, ბუჩქიდან).

ტახზე ნადირობა ვაჟკაცურ საქმედ ითვლებოდა. ნადირობისას თოფს არ ხმარობდნენ, წარმატება შუბის მარჯვედ ტყორცნაზე იყო დამოკიდებული. გამოცდილი მონადირეები ბილიკებზე უსაფრთებოდნენ კოლტს, ახალგაზრდები კი ტყეს შემოუვლიდნენ და ყვირილით გამოდევნიდნენ ღორებს. დაფეთებული კოლტი ჩვეული ბილიკით მიექანებოდა ბუნაგისაკენ. სწორედ აქ ელოდნენ მათ გამოჩენას შუბმომარჯვებული მონადირეები.

ზოგჯერ მტაცებელი ფრინველებითაც ნადირობდნენ. „...მსოფლიოში არ არსებობს სხვა ქვეყანა, – წერდა ჟან შარდენი, – სადაც ამდენი მტაცებელი ფრინველია: შევარდენი, მიმინო, მარჯანი... ეს ფრინველები კავკასიის მთებში ბუდობენ. ახლადგამოჩეკილი ბარტყები ქვევით, ტყეებში ვარდებიან. აქ მათ დიდი რაოდენობით იჭერენ და იშინაურებენ. სანადირო ძაღლებიც ბევრი ჰყავთ, მაგრამ ამჯობინებენ ნადირის ცხენდაცხენ დაჭერას. ნანადირევის მარჯვენა ბეჭი ბატონისაა, მარცხენა – ქალბატონის, დანარჩენს კი მონადირეები ჭამენ“.

ნადირის ტყუილუბრალოდ ხოცვა დანაშაულად ითვლებოდა. ფშავ-ხევსურეთში არსებობდა წესი, რომელიც მონადირეს უკრძალავდა ოჯახის გამოსაკვებად საჭიროზე მეტი ცხოველის მოკვლას. ზოგიერთ მხარეში ათას ცხოველზე მეტს ვინც მოკლავდა, ნადირობას თავს ანებებდა.

ნადირობისას სპეციალურად იკაზმებოდნენ. ფეხსაცმელს ხარის ან ძროხის ტყავისგან კერავდნენ. ღორის ტყავის გამოყენება არ შეიძლებოდა – „ნადირთა მფარველ ანგელოზს ეწყინებაო“. მოყინულ კლდეებზე ფეხი რომ არ დასხლტოდა, მონადირე ფეხსაცმელზე ხის ტოტებისაგან მოწნულ წრიაპს წამოიცვამდა. ხის ტოტებისგან წნავდნენ თხილამურსაც. ასეთი თხილამური ბრტყელია და მონადირეს ღრმა თოვლში სიარული აღარ უჭირდა. მონადირეს თან მიჰქონდა კეტი, ნიჩაბი, ხანჯალი, დანა, ნაჯახი და მშვილდ-ისარი. ცეცხლსასროლი იარაღის გამოგონების შემდეგ მის აღჭურვილობაში ძირითადი ადგილი თოფმა დაიკავა.

თევზაობა ყოველთვის როდი იყო შესაძლებელი. ადრე გაზაფხულზე თევზი ნაშიმშილები იყო, ამიტომ მისი დაჭერა ცოდვად ითვლებოდა. ასევე იკრძალებოდა თევზის დაჭერა ქვირითობისას. სათევზაოდ ხმარობდნენ ბადეს, გოდორს, ჩანგალს და ანკესს. გოდორს მდინარის პირას ჩქერში გადაკიდებდნენ. წყალს რომ არ წაელო გვერდებზე დიდ ქვებს შემოაწყობდნენ და ასე ტოვებდნენ. დილით მეთევზე გოდორს გასინჯავდა და შიგ მომწყვდეულ თევზებს ამოიყვანდა.

ჩანგალს ლოქოს დასაჭერად იყენებდნენ. მასზე ბაყაყს წამოაცმევდნენ, ბაწარს მოაბამდნენ და მდორე წყალში გადაისროდნენ. ლოქო ბაყაყს ჩაყლაპავდა და ჩანგალზე წამოეგებოდა. კალმახი კი მთის სწრაფი მდინარეებიდან ბადით ამოყავდათ.

თემა 2. საქართველოს მხარეები[39]

დედაქალაქი. თბილისი აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისის ქვაბულში, ზღვის დონიდან 380-600 მეტრ სიამღლეზე მდებარეობს. მდინარე მტკვარი ქალაქს ორ ნაწილად ყოფს. თბილისს ორი მხრიდან მთები აკრავს. მტკვრის მარჯვენა მხარეს აღმართულია „მთაწმინდა“ ანუ მამადავითის მთა, მთაწმინდის საპირისპიროდ, მტკვრის მარცხენა მხარეს კი მახათას მთაა. მთაგორიანი რელიეფის გამო თბილისი ტერასებზეა ანუ საფეხურებადაა გაშენებული.

დღეს თბილისში მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. მათი უმრავლესობა ქართველია. ქართველების გვერდით ცხოვრობენ სხვადასხვა ეროვნების და სარწმუნოების ხალხი: სომხები, აზერბაიჯანელები, ებრაელები, ქურთები, რუსები, ბერძნები და სხვ. მათი ნაწილი ქრისტიანია,

39 დამატებითი ინფორმაცია საქართველოს ქალაქებისა და რეგიონების დემოგრაფიული მდგომარეობის შესახებ იხილეთ დანართში

ნაწილიც მუსლიმი, იუდეველი ან იეზიდი. თბილისს მათი მშვიდობიანი თანაცხოვრების ისტორია ახსოვს.

თბილისი ცნობილი იყო აივნიანი სახლებით, აბანოებითა და ბაზრებით. რუსი პოეტი ალექსანდრე პუშკინი თბილისის აბანოების შესახებ წერდა: „არაფერი შემხვედრია არც რუსეთში და არც თურქეთში თბილისის აბანოებზე უფრო მშვენიერიო“. აბანოების ხშირი სტუმარი იყო ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა. „ეს (გოგირდის) წყაროები... არა მხოლოდ კურნავენ ადგილობრივებისა თუ სტუმრების ავადმყოფობებს, არამედ ყოველდღიური გართობისა და ფუფუნების ადგილს წარმოადგენენ“ (რობერტ პორტერი. ინგლისელი მოგზაური, XIX საუკუნე).

იმ დროს თბილისში რამდენიმე ბაზარი იყო. თათრის მოედანზე იყიდებოდა ტანსაცმელი, წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელი; ერევნის მოედანზე – შეშა და თივა; სარდაფ-აბაზის მოედანზე – ხორბალი, შვრია და ქერი. საუკეთესო ხილის შეძენა ავლაბრის ბაზარში შეიძლებოდა, ხოლო ცხენების, თევზის და მარილის – რიყეზე. ხალხმრავლობით გამოირჩეოდა სპარსული ბაზარი – „... გრძელი, განიერი გალერეა გადახურულია თაღით. აქეთ-იქით დახლებია. თვალს გჭრიან თავრიზული ნოხები, შემახას აბრეშუმი, შალები, ფარდები, დივნები, საწოლის გადასაფარებლები...“ (ინგლისელი მოგზაური ჯონ ტელფერი, XIX საუკუნე).

ბაზრებს სურსათ-სანოვაგით, ძირითადად, თბილისის გარშემო მდებარე სოფლები ამარაგებდნენ. კუმისელ, წყნეთელ, ტაბახმელელ, ოქროყანელ, დიღმელ, გლდანელ გლეხებს დილაადრიან შემოჰქონდათ ქალაქში ყოველგვარი ხილი, მწვანილი, ხორცი და რძის პროდუქტები.

ქალაქის სამხრეთით მტკვარი ორად იტოტებოდა და მოზრდილ კუნძულს ქმნიდა, რომელიც ჭალას დაეფარა. ამიტომ ამ ადგილს ორთაჭალას ეძახდნენ. ზაფხულის ცხელ დღეებში თბილისელები ორთაჭალის ბაღებს მიაშურებდნენ. აქ ისმოდა დუდუკის ხმა და ამ ხმაზე აწყობილი ქალაქელი აშუღების – საიათნოვას, იეთიმ გურჯის და სხვათა ლექსები. სეირნობა პურმარილით მთავრდებოდა. „ღარიბის ლუკმა გემრიელიაო, ხომ მოგეხსენებათ; ერთი ჭიქა ღვინო შეირგეთ...“ – ასე მიმართავდნენ მოქეიფენი გამვლელებს და საკუთარ მაგიდასთან იწვევდნენ. სუფრის წევრები რიგ-რიგობით მართავდნენ პურ-მარილს, რასაც „პურის რიგი“ ეწოდებოდა.

ქალაქის „მაღალი საზოგადოება“ უფრო „მუშტაიდის“ ბაღს ეტანებოდა. აქ უქმე დღეებში უკრავდა სასულე ორკესტრი და ეწყობოდა საცირკო წარმოდგენები. „გასაოცარია, თუ როგორ უყვართ ქართველებს გართობა და დასვენება... მიემართებით მუშტაიდისკენ, ყოველ ნაბიჯზე გხვდებათ სხვადასხვა კლუბი... ხალხმრავლობაა, ყოველმხრიდან ისმის მუსიკა და სიმღერის ხმა, სვამენ ღვინოს და ფანტავენ, ქარს ატანენ ფულს... გშურთ მათი ბედნიერება, უშუალობა, ეროვნული ხასიათი, რომელიც გამოიხატება თვითდავჯერებით, სიცოცხლით, დარდიმანდობით...“ (უცნობი ევროპელი მოგზაურის ჩანაწერი, XIX ს.).

თბილისის მოსახლეობის ნაწილს ყარაჩოხელები და კინტოები შეადგენდნენ. ყარაჩოხელი სიტყვასიტყვით შავჩოხოსანად ითარგმნება. „ყარა“ თურქულად შავს ნიშნავს, ჩოხა მამაკაცის ეროვნული ტანსაცმელია. ყარაჩოხელი ვაჟკაცის სახელით სარგებლობდა. ის დარდიმანდი, უსამართლობის მოძულე, ქვრივ-ობლების მფარველი და შრომისმოყვარე იყო. ყარაჩოხელური გამოთქმით, „კაცი ხერხი უნდა იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდეს; შენც ირგე და სხვასაც არგუნე და მიუწილადე“. უდარდელი და ზანტი კინტო კი ცხოვრებას ლაზღანდარობაში, ოინბაზობასა და ყალთაბანდობაში ატარებდა.

საახალწლოდ თბილისელები საგულდაგულოდ ალაგებდნენ სახლებს, ბერტყავდნენ ფერადფერად ნოხებსა და ფარდაგებს, გვიდნენ ეზოებს... ბავშვები ანთებდნენ კოცონებს და სახლიდან გამოტანილ ტკბილეულს ერთმანეთს უცვლიდნენ. ვაჭრები გამვლელებს ათასფერად მორთულ დუქნებში იწვევდნენ – იმ დღეს ვაჭრობა გვიანობამდე გრძელდებოდა.

მუსლიმები ახალი წლის დადგომას, „ნოვრუზ ბაირამობას“, გაზაფხულზე აღნიშნავდნენ. ისინი დილაადრიანად იკრიბებოდნენ მეჩეთში. ლოცვის შემდეგ სოლოლაკში – სპარსეთის კონსულის სახლისკენ მიემართებოდნენ ახალი წლის მისალოცად. „...შემდეგ ზოგი მუშტაიდის, ზოგი

ბოტანიკურ ბაღში გაემგზავრება სასეირნოდ... ყოველ ნაბიჯზე შეხვდებოდით პირ-მცინარესა და მორთულ-მოკაზმულ მუსულმანს," – წერდა გაზეთი „ივერია" (1886 წ.).

გაზაფხულზე თბილისელები „გვირილის დღეს" აღნიშნავდნენ. ამ დროს ქუჩებს, დუქნებს და საცხოვრებელ სახლებს გვირილებით რთავდნენ. გოგონები ლამაზ თაიგულებს კრავდნენ და გასაყიდად ქუჩა-ქუჩა დაატარებდნენ.

სამამაკაცო სანახაობად ითვლებოდა მუშტი-კრივი და ჭიდაობა. კრივი, ძირითადად, ავლაბარში, სიონის ქუჩაზე იმართებოდა. საჭიდაო მოედნები კი თბილისის ბევრ უბანში იყო მოწყობილი. ზურნის ხმაზე ხალხი წრეს შეკრავდა. წრეში მსაჯი ჩადგებოდა და ჩოხაში გამოწყობილ მოჭიდავეებს მოიწვევდა. ძველი თბილისის განთქმული ფალავნები იყვნენ მეტიველი დათა ხიზამბარელი, ივანე ყირიმელაშვილი (კულა გლდანელი), ნიკა მეტეხელი, ავლაბრელი სარგისა, შაშო ვერელი, დიღმელი ლევანა და სხვანი.

ბევრი მაყურებელი ჰყავდა ყოჩების შერკინებასაც. ყოჩად ძლიერ ცხვარს არჩევდნენ. საგანგებოდ წვრთნიდნენ და დათქმულ დროს ბაზრის მოედანზე გაიყვანდნენ სხვა ყოჩთან დასაჭიდებლად.

თბილისი თანდათან იცვლიდა ძველ იერს და ევროპულ ქალაქს ემსგავსებოდა. „მაღლიდან (მთაწმინდიდან) ქალაქი საღამოს ჟამს მშვენიერი სანახავია, ასე მეგონა, ეიფელის კოშკიდან გადავცქერი გაჩირაღდნებულ პარიზს-მეთქი... ჩვენს სასტუმროს („ინტურისტი") წინ ერთი ქუჩაა, პარიზის ბულვარივით ფართო (საუბარია დღევანდელ რუსთაველის გამზირზე), ხეებით და ევროპული მაღაზიებით შემკობილი... ევროპული სიცხოველე და მოძრაობა ტფილისს არ აკლია. ქუჩაში ათასნაირი ხალხი ირევა, რომელთა შორის გაარჩევთ... ქალებს, პარიზის უკანასკნელ მოდაზე მორთულთ..." (ფრანგი მოგზაური ემილ-ლევიე, XIX ს.).

XIX საუკუნის ბოლოს თბილისში გაიყვანეს „ცხენის რკინის გზა", იგივე „კონკა". კვლავ პოპულარულ ტრანსპორტად რჩებოდა ფაეტონი. XX საუკუნის დასაწყისიდან ამოქმედდა ფუნიკულორის რკინიგზა.

დღეს ქალაქში გადაადგილების ყველაზე მოსახერხებელი და იაფი საშუალება მეტროპოლიტენია. მეტროს 22 სადგური განლაგებულია ორ – დიდუბე-სამგორის და საბურთალოს ხაზებზე. მათი საერთო სიგრძე 26,4 კმილომეტრია. ქალაქს ემსახურება აეროპორტი და რკინიგზა. სამდინარო ტრანსპორტი კი თბილისში ჯერჯერობით არ არის განვითარებული.

თბილისში მრავალი კულტურული დაწესებულებაა: ოპერისა და ბალეტის, რუსთაველის, მარჯანიშვილის, ახმეტელის, გრიბოედოვის და სხვა თეატრები, საკონცერტო დარბაზები, სამხატვრო გალერეა, ბიბლიოთეკები, მუზეუმები...

ქალაქში ორასზე მეტი საჯარო სკოლაა, მათ შორის, რუსული, აზერბაიჯანული და სომხური. 1918 წელს ივანე ჯავახიშვილმა დააარსა საქართველოს პირველი უნივერსიტეტი – დღეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. დღეისათვის თბილისში რამდენიმე უნივერსიტეტია.

თბილსელთა საყვარელი დასასვენებელი ადგილებია მთაწმინდის, ვაკის, მუშტაიდის, ზოოლოგიური პარკები, ბოტანიკური ბაღი, თბილისის ზღვა, კუს ტბა, ლისის ტბა, ბევრი მნახველი ჰყავს ქალაქის ისტორიულ ადგილებს: ნარიყალას, აბანოთუბანს, დარეჯან დედოფლის სასახლეს, სიონის, მეტეხისა და ანჩისხატის ტაძრებს და ა.შ.

ქართლი ლიხის ქედის აღმოსავლეთით მდებარეობს. ქართლს მთელ სიგრძეზე, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, მდინარე Mმტკვარი კვეთს. თრიალეთის ქედი მას ორ ნაწილად ჰყოფს – შიდა და ქვემო ქართლად. შიდა ქართლი თრიალეთისა და ლიხის ქედებს შორისაა მოქცეული. თრიალეთის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს კი ქვემო ქართლი ეწოდება. შიდა ქართლის სამხარეო ცენტრია ქალაქი გორი, ქვემო ქართლის – რუსთავი.

შიდა ქართლის ადრინდელი სახელია ზენა სოფელი. იგი ისტორიულად მოიცავდა ტერიტორიას, რომელიც შემოფარგლული იყო აღმოსავლეთით – არაგვით, ჩრდილოეთით – კავკასიონის ქედით, დასავლეთით – ლიხის ქედით, სამხრეთით – თრიალეთის ქედით.

შიდა ქართლის მტკვრის სამხრეთით მდებარე ნაწილს გაღმამხარს უწოდებდნენ. მასზე გამავალი მდინარეები – ძამა, ტანა, თეძამი და კავთურა ქვედა წელში მცირე დაბლობებს ქმნიან, ხოლო მტკვრის ჩრდილოეთით დოღლაურის, ტირიფონის და მუხრანის ვრცელი ველებია, რომლებსაც სერავს მდინარეები ფრონე, ლიახვი, ლეხურა, ქსანი და არაგვი. ქვემო ქართლის უმეტესი ნაწილი თბილისიდან სამხრეთით მდებარეობს.

ქართლი მეტალურგიის ერთ-ერთი უძველესი კერაა. ძველი მცხეთის ერთ-ერთ უბანს „სარკინეს“ უწოდებდნენ. მჭედლობის ძველ ცენტრებს წარმოადგენდნენ საგურამო, მეჯვრისხევი, გორი, მერეთი, ცხინვალი, ხაშური, მუხრანი და კასპი. ქართლი მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით. ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა კაზრეთში მოიპოვებენ ოქროს და ტყვია-თუთიას.

რუსთავი ერთ-ერთი უძველესი და, ამავე დროს, ყველაზე ახალგაზრდა ქალაქია საქართველოში. ძველად მას „ბოსტან-ქალაქს“ უწოდებდნენ. მოგვიანებით, დამპყრობთა შემოსევების შედეგად, ქალაქი განადგურდა. რუსთავი ხელახლა გასულ საუკუნეში „დაიბადა“. დღეს ის საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამრეწველო ქალაქია.

ქართლში მოჰყავთ მარცვლეული კულტურები: ხორბალი, სიმინდი, ჭვავი, ქერი; ვრცელი ფართობები უჭირავს შაქრის ჭარხლის, კომბოსტოს და კარტოფილის ნათესებს, ხეხილის ბაღებს და ვენახს. მთაში სახნავ-სათესი ადგილები შედარებით ცოტაა, თუმცა ყუათიანი ბალახით მობინე მინდვრები მეცხოველეობის განვითარებას უწყობს ხელს. ამიტომაც მთაგორიან ადგილებში ძირითადად მესაქონლეობას მისდევენ.

ქართლის მოსახლეობა მრავალეროვანია. აქ, ქართველების გარდა, ოსები, აზერბაიჯანელები, სომხები, რუსები, უკრაინელები, ებრაელები, ბერძნები ცხოვრობენ. მათი წინაპრები ქართველების მხარდამხარ ეწეოდნენ მიწათმოქმედებას, ვაჭრობას და ხელოსნობას. ერთობლივი ძალით იცავდნენ ქვეყნის თავისუფლებას.

ქართლი საქართველოს პოლიტიკურ, კულტურულ და რელიგიურ ცენტრს წარმოადგენდა. აქ გადიოდა სავაჭრო გზა, რომლითაც კავკასიის ქალაქები და ქვეყნები ერთმანეთს უკავშირდებოდნენ. დიდი და მდიდარი ქალაქები იყო მცხეთა – ქართლის უძველესი დედაქალაქი, უფლისციხე და რუსთავი. მეხუთე საუკუნიდან ქართლის მთავარი ქალაქი თბილისია.

კახეთი აღმოსავლეთ საქართველოში მდებარეობს. კახეთის ბუნება მრავალფეროვანია: აქ არის კავკასიონის მთავარი ქედის თოვლიანი მწვერვალები, რთულად გადასალახი უღელტეხილები, ვრცელი ველ-მინდვრები და ნახევრად უდაბნო ადგილები. „ეს ქვეყანა არის ძალიან ნაყოფიერი ყოველგვარი მარცვლეულით, ვენახით, ხილით, პირუტყვით, ნადირით, ფრინველითა და თევზით, განსაკუთრებით ალაზნისა და იორის ველები. აბრეშუმით, ბამბით, ბრინჯით, ხურმითა და წაბლით ეს მხარე ყველას სჯობს. ხოლო კაცნი და ქალნი არიან მშვენიერნი, ჰაეროვანნი, ლაღნი, ამაყნი, მეხოტბენი, დიდმთქმელნი, მოჩხუბარნი, შემართებულნი, ერთგულნი...“ (ვახუშტი ბატონიშვილი).

კახეთს გომბორის ქედი ორ ნაწილად ყოფს: აღმოსავლეთი მხარე შიდა კახეთია (ალაზნის ველი), დასავლეთი კი – გარე კახეთი (ივრის ზეგანი). კახეთის უმთავრესი მდინარეებია იორი და ალაზანი. ორივე მდინარე ბორბალოს მთის კალთებზე იღებს სათავეს. ამ მდინარეებით ირწყვება კახეთის სახნავ–სათესი მიწები. ივრისა და ალაზნის ქვემო დინებაში ვრცელი საძოვრები – შირაქისა და ელდარის ველებია. მთიდან ზამთრობით სწორედ აქ მოერეკებიან ცხვარს.

ალაზნის ვაკე კავკასიონის მთიანეთსა და ცივგომბორის ქედებს შორის მდებარეობს. მას მთელ სიგრძეზე მდინარე ალაზანი კვეთს. ალაზნის ვაკე საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ადგილია. მის უდიდეს ნაწილზე ვენახია გაშენებული.

თითქმის მთელ კახეთში ნაყოფიერი ნიადაგია, რომელიც ჰავასთან ერთად საუკეთესო პირობებს ქმნის ვაზის გასაშენებლად. ამიტომ კახეთში ძველთაგანვე იყო დაწინაურებული მევენახეობა. აქაური ღვინო საქართველოსა და მსოფლიოშია განთქმული. კახეთში აღმოჩენილ ძველის-ძველ მარანში მიაგნეს მიწით დაფარულ ქვევრებს, ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს ფიალებს, ბრინჯაოს მოღუნული დანებს, რომლებსაც ვაზის სასხლავად იყენებდნენ. კახეთში აღმოჩენილია ვაზის ერთ-ერთი უძველესი ჯიში – უსურვაზი. ის ლიანა ან მიწაზე გართხმული ბუჩქი და მომჟავო-ტკბილი ნაყოფი აქვს. უსურვაზი ევროპის, ცენტრალური აზიისა და ირანის ტერიტორიებზეც ხარობს.

კახეთი ძველთაგანვე ითვლებოდა საქართველოს „პურის ბეღლად“. ვაკე ადგილებში: ალაზნის, იორის და შირაქის ველებზე დღესაც იღებენ ხორბლის უხვ მოსავალს. კახელები მეაბრეშუმეობასაც მისდევდნენ. მთიანი ტერიტორიები კი, განსაკუთრებით პანკისის ხეობა, მეცხოველეობის კერაა.

კახეთი ტურიზმის მნიშვნელოვანი კერაა. ღვინის ტურიზმის ცენტრად ქალაქი სიღნაღია მიჩნეული. აქ ყოველწლიურად ღვინის ფესტივალი იმართება. კახეთში მდებარეობს ვაშლოვნის, ბაწარა-ბაბანეულის, ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები. მხარეში ხელსაყრელი პირობებია შექმნილი ეკო და სათავგადასავლო ტურიზმის განვითარებისთვის.კახეთის ძველი ქალაქებია უჯარმა და ხორნაბუჯი. მათი დამაარსებელია მეფე ვახტანგ გორგასალი. თელავი, სიღნაღი, გრემი და სხვა ქალაქები მომდევნო საუკუნეებში წარმოიშვა. კახეთის სხვა ღირშესანიშნობებია ალავერდის, ბოდბეს, შუამთის, იყალთოს (დააარსდა VI საუკუნეში. XII საუკუნეებში აქ გაიხსნა სასწავლებელიც (აკადემია), სადაც, გადმოცემის მიხედვით, შოთა რუსთაველი სწავლობდა), ნეკრესის, დავით გარეჯის და სხვა ეკლესია-მონასტრები, ერეკლე მეფის სასახლე თელავში, ალექსანდრე ჭავჭავაძის მუზეუმი სოფელ წინანდალში, ფიროსმანის მუზეუმი სოფელ მირზაანში, ილია ჭავჭავაძის მუზეუმი ქალაქ ყვარელში და სხვა.

მთიულეთი საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. ამჟამად ის მცხეთა-მთიანეთის მხარეში შედის. მთიულეთის ცენტრია დაბა ფასანაური, რომელიც დუშეთის მუნიციპალიტეტში, საქართველოს სამხედრო გზაზე მდებარეობს.

მთიულეთი კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდობზე, თეთრი და შავი არაგვის ხეობაში მდებარეობს. იგი დაღარულია ხეობებით, რომლებშიც ჩქარი და ყინულივით ცივი მდინარეები მიედინებიან. „... მთიულეთი არს მოზღუდული მთითა, ამის გამო შეუვალი, უვენახო, უხილო, მცირე მოსავლიანი... ჰავით არის ფრიად კეთილი და მშვენიერი წყაროთა წყლითა. წყალთა შინა კალმახნი მრავალნი... კაცნი ჰაეროვანნი, მხნენი და მებრძოლნი, ერთგულნი, საჭურველთ-მოყვარულნი...“ (ვახუშტი ბატონიშვილი).

მნახველს იზიდავს მთიულეთის ლამაზი მთები და მუდმივი თოვლით დაფარული მწვერვალები, მობიბინე ალპური მდელოები, რთულად დასაძლევი კლდეები, სადაც საკუთარ ძალას სცდიან ალპინისტები. მთიულეთში ბევრია სანადირო ადგილი. ტყე-ველებში ბუდობს კაკაბი, გარეული ქათამი, ქედანი და სხვა ფრინველები. ცხოველებიდან გავრცელებულია: მგელი, დათვი, მელა, კურდღელი და ირემი.

მთიულეთის სამთო-სათხილამურო კურორტია გუდაური. ის კავკასიის სამხრეთ ფერდობზე, ზღვის დონიდან 1200 მეტრ სიმაღლეზე მდემარეობს. აქ გადის საქართველოს სამხედრო გზა.

მთიულების მთავარი საქმიანობა მეცხვარეობაა. მიწის სიმცირის გამო, მთიულები ხევსურეთის საზაფხულო საძოვრებით სარგებლობენ. გამოსაზამთრებლად კი ცხვარი შირაქში ჩაჰყავთ. აქაურებს მცირე რაოდენობით მოჰყავთ ქერი და ფეტვი. ამუშავებენ მატყლს და ქსოვენ ფარდაგებს.

ფშავი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი მხარეა. იგი მცხეთა-მთიანეთის მხარეში, დუშეთის მუნიციპალიტეტში, მდინარე „ფშავის არაგვის“ ხეობაში, მდებარეობს.

ფშავი მეზობელ თუშეთსა და ხევსურეთთან შედარებით დაბალია, ამიტომ აქ უფრო თბილა და მთის კალთებიც ტყითაა დაფარული. განსაკუთრებით ლამაზია მდინარე არაგვის ხეობა. არაგვისპირა ჭალებში ბინადრობს მგელი, დათვი, მელა, კურდღელი, მაჩვი, შველი. მდინარეში იჭერენ კალმახს, ორაგულსა და მურწას.

ფშავის ისტორიული სოფლები – მაღაროსკარი, ჩარგალი, შუაფხო, ბარისახო და წარმტაცი ბუნება ბევრ ტურისტს იზიდავს. ადგილობრივი მოსახლეობა კი ფშავში ცოტაა. მკაცრი კლიმატისა და რთული რელიეფის გამო, ფშეველთა უმეტესობა ბარში, კახეთის ტერიტორიაზე გადასახლდა.

ფშაველები, ძირითადად, მეცხვარეობას მისდევენ. შემოდგომის დადგომისთანავე ისინი სათიბში გადიან და ზამთარში სამყოფ თივას იმარაგებენ. აქაურები მიწასაც ამუშავებენ. თესავენ ქერს, ჭვავს, ფეტვს. ფშავში ზამთარი ნაადრევად დგება. ეს მარცვლეული კულტურები კი შედარებით სწრფად მწიფდება და მოსახლეობა მოსავლის აღებას თოვლის მოსვლას ასწრებს. ყანას მამაკაცები მკიან. ქალები და ბავშვები მომკილს ძნებად კრავენ და ერთმანეთს აყუდებენ. გომოშრობის შემდეგ ძნებს ბერტყავენ და თავთავს ბეღელში ინახავენ.

ფშავსა და ხევსურეთს ძველად „ფხოვს“, აქაურებს კი ფხოველებს ეძახდნენ. ფხოვი ქართლის და კახეთის ჩრდილოეთ საზღვარს იცავდა. ომიანობის დროს ეს მხარე ბარის მოსახლეობის თავშესაფრადაც იქცეოდა. ფშაველები სოფლებში გვარების მიხედვით ცხოვრობდნენ. თითოეულ გვარს ხევისბერი განაგებდა. ერთ ხეობაში მოსახლე გვარები თემს ქმნიდა. თემს სათავეში „თავხევისბერი“ (ხევისბერთა თავი) ედგა. ის მიუძღოდა სალაშქროდ მიმავალ ფშაველებს. ომისა და ზავის საკითხებს თემის ყრილობა წყვეტდა. მასში ხევისბერები და გვარის საპატიო მოხუცები მონაწილეობდნენ.

ხევსურეთი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ და სამხრეთ კალთებზე მდებარეობს. თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით, ხევსურეთის მთელი ტერიტორია მცხეთა-მთიანეთის მხარის დუშეთის მუნიციპალიტეტში შედის და ოთხ თემადაა გაყოფილი: ბარისახოს, გუდანის, შატილის და არხოტის.

ხევსურეთს კავკასიონის ქედი ორ ნაწილად ჰყოფს. ქედის ჩრდილოეთით მდებარე მიღმახევის, შატილის და არხოტის ხეობებს პირიქითა ხევსურეთს უწოდებენ. კავკასიონის სამხრეთით მდებარე პირაქეთა ხევსურეთი კი ხევსურეთის არაგვის ხეობის ზედა წელს მოიცავს.

ხევსურეთი მაღალმთიანი მხარეა, რომელიც ღრმა ხევებით არის დასერილი. მისი გეოგრაფიული სახელწოდებაც „ხევ-სურეთი“ ღრმა ხევებიან ადგილს ნიშნავს. მოსახლეობის რაოდენობა არათანაბრადაა განაწილებული. პირაქეთა ხევსურეთის მოსახლეობა თითქმის ორჯერ სჭარბობს პირიქითისას.

მდინარე არაგვის სიგრძე 112 კილომეტრია. მდინარის სისტემას ქმნის მდინარეები: მთიულეთის (თეთრი) არაგვი, გუდამაყრის (შავი) არაგვი, ხევსურეთის არაგვი და ფშავის არაგვი. გაერთიანებული მდინარე კი მცხეთასთან მტკვარს ერთვის. სწორედ არაგვის ხეობას მიუყვება საქართველო-რუსეთის დამაკავშირებელი სამხედრო გზა.

პირიქითა ხევსურეთში ცივი და ხანგრძლივი ზამთარი იცის. სიმაღლის გამო აქ მთის კალთები უტყეოა. ბევრია ალპური მდელო, სადაც ზაფხულობით პირუტყვს მიერეკებიან. შემოდგომაზე კი აქ მამაკაცები ბალახს თიბავენ, ზვინებად კრავენ და ზამთრის განმავლობაში საქონელს კვებავენ. პირაქეთა ხევსურეთი შედარებით დაბალია და ბუნებაც უფრო მრავალფეროვანია. მთები დაფარულია ხშირი ტყით. ხარობს მუხა, ვერხვი, წიფელი, ტირიფი, ცაცხვი, ფიჭვი და სხვა ჯიშის ხეები. მოსახლეობა მისდევს მიწათმოქმედებას, აშენებენ მსხლის, ვაშლის, ტყემლის, თხილისა და ბლის ბაღებს. ხევსურების ძირითად საქმიანობას ასევე შეადგენს მჭედლობა, ქსოვა, ქარგვა, ვერცხლის სამკაულების დამზადება და სხვა.თოვლი დადნება თუ არა მონადირეები მაღალ

კლდეებს მიაშურებენ. სწორედ აქ ბინადრობს ჯიხვი. ჯიხვის მონადირება კაცისთვის სასახელო საქმედ ითვლება, რადგან დიდ გამბედაობასა და სიმკვირცხლეს მოითხოვს.

ხევსურთა სოფლები მთის მაღლობებზეა შეფენილი. ერთი ხეობა რამდენიმე სოფელს აერთიანებს. ხეობას ციხე-კოშკებით ამაგრებდნენ. ომიანობის დროს მოსახლეობა მათ აფარებდა თავს. საცხოვრებელ სახლსაც კოშკის ფორმა ჰქონდა. პირველი სართული ბოსლის მაგივრობას სწევდა. მეორე და მესამე სართულები საცხოვრებლად გამოიყენებოდა. ბოლო სართულის კედლებს სათოფურები ჰქონდა დატანებული. მომხვდურს სწორედ აქედან უწევდნენ წინააღმდეგობას.

ხევსურეთის სოფლები – შატილი, მუცო, ბარისახო დიდი პოპულარობით სარგებლობენ ტურისტებს შორის. შატილი და მუცო პირიქითა ხევსურეთშია. შატილი მდინარე არღუნის მარცხენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 1400 მეტრზე მდებარეობს. მუცო მდინარე მუცო-არხოტის ხეობაშია, ზღვის დონიდან 1800 მეტრ სიმაღლეზე, დღეისათვის ეს ისტორიული სოფელი თითქმის დაცლილია. სოფელი ბარისახო კი პირაქეთა ხევსურეთის ცენტრად ითვლება.

ხევსურები ტანსაცმელს „ტალავარს“ ეძახიან, ხოლო კაბას – „სადიაცოს“. სადიაცოს შესაკერად შავ ან ლურჯ შალის ნაჭერს იყენებდნენ. ხევსურული კაბა მთლიანი და მოკლეა, გულისპირი ფერადი ძაფებითა და მძივ-ღილებითაა შემკობილი. კაბის ზემოდან იცვამდნენ „ქოქლოს“. „ქოქლო“ წელში გამოყვანილი, მოკლე მოსასხამია, რომელიც ლამაზი მორთულობით გამოირჩევა. ქალი გათხოვდებოდა თუ არა, მანდილს შემოიხვევდა. უმანდილოდ ყოფნა მას მხოლოდ მამისეულ სახლში შეეძლო. მამაკაცის ტალავარი ჩოხისაგან, ჩოხის შიგნით ჩასაცმელი პერანგისა და შარვლისაგან შედგებოდა. ფეხზე ყელიანი ქალამნებს ან მკვრივად მოქსოვილ წინდას ამოიცვამდნენ.

ხევი კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდობზე, მდინარე თერგის აუზის ზემოწელზე მდებარეობს. ხევის მთელი ტერიტორია მცხეთა-მთიანეთის მხარის სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტში შედის.

დაბა სტეფანწმინდას გარკვეული დროის განმავლობაში ყაზბეგი ერქვა. ყაზბეგი ცნობილი ქართველი მწერლის, ხევის მკვიდრის, ალექსანდრე ჩოფიკაშვილის ფსევდონიმია. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობებში გადმოცემულია მოხევეთა ცხოვრება, ზნე-ჩვეულებები, მათი ბრძოლები თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის.დაბა სტეფანწმინდის პირდაპირ მდებარეობს ხევის ერთ-ერთი უძველესი სოფელი გერგეტი. აქვეა გერგეტის სამების ეკლესია.

მაღალმთიანი ხევის მშვენებაა 26 კილომეტრზე გადაჭიმული ხოხის ქედი და ამ ქედზე მდებარე მყინვარწვერი. მასზე პირველად ინგლისელი მთამსვლელები ავიდნენ XIX საუკუნეში. მყინვარწვერის სიახლოვეს მდებარეობს ბეთლემის გამოქვაბული. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, აქ საეკლესიო სიწმინდეებს და განძს ინახავდნენ. წინათ გამოქვაბულში ბერები ცხოვრობდნენ, სადაც ისინი ჯაჭვის კიბით ადიოდნენ. ბეთლემის გამოქვაბულთან დაკავშირებული ლეგენდა აღწერილი აქვს ილია ჭავჭავაძეს პოემაში „განდეგილი“. სხვა გადმოცემის მიხედვით, მყინვარწვერზე იყო მიჯაჭვული ამირანი.

ხევის მთავარი მდინარეა თერგი, რომელმაც დარიალის ხეობა „შექმნა“. მდინარე თერგის სიგრძე 623 კილომეტრია, იგი სათავეს კავკასიონის ქედიდან იღებს და კასპიის ზღვას ერთვის. სახელწოდება დარიალი სპარსული სიტყვა „დარი ალანისაგან“ (ალანთა კარი) წარმოდგება. ხეობა ცნობილი იყო ჯერ კიდევ ძველი დროის გეოგრაფებისათვის: რომაელი პლინიუსი მას „კავკასიის კარს“ და „იბერთა კარს“ უწოდებს, არაბები და სპარსელები – ალანთა კარს. ძველ ქართულ წყაროებში იგი იხსენიება როგორც დარიალნი, არაგვის კარი, იბერიის კარი, კავკასიის კარი, ოვსთა კარი და სხვა.

ხევის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი ალპურ მდელოებს, ღორღიან კლდეებსა და მყინვარებს უჭირავს. ტყით ეს მხარე ღარიბია. მოხევეები ტყეს ძალიან უფრთხილდებიან, მას წმინდა ადგილად თვლიან და ამიტომ იკრძალება ტყეში ხის მოჭრა და საქონლის ძოვება.

თუშეთი კავკასიონის მთავარი ქედის გადაღმა, მის ჩრდილოეთ კალთაზე მდებარეობს. იგი ყოველი მხრიდან მაღალი ქედებითაა შემოსაზღვრული, ამიტომ ჰავა აქ ძალიან მკაცრია.

თუშეთში ორი მდინარეა: გომეწრის (თუშეთის) ალაზანი და პირიქითი ალაზანი თავისი მრავალი შენაკადით. ეს ორი მდინარე ერთმანეთს სოფელ შენაქოს მიდამოებში უერთდება და საქართველოს საზღვრის გადაკვეთის შემდეგ ანდის ყოისუს სახელწოდებით მიედინება.

ამჟამად, თუშეთის სოფლების უმეტესობა დაცლილია. აქაურთა დიდი ნაწილი კახეთშია ჩამოსახლებული, ხოლო თუშეთმა სეზონური საცხოვრისის ფუნქცია შეიძინა. თუშეთის ადმინისტრაციული ცენტრია სოფელი ომალო. ის ახმეტის მუნიციპალიტეტში, მდინარე პირიქითა ალაზნის მარჯვენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 1880 მეტრზე მდებარეობს.

თუშეთს ზოგჯერ მთათუშეთსაც უწოდებენ, რადგან თუშები ბარშიც სახლობენ, კერძოდ ახმეტისა და თელავის რაიონებში. მაგრამ „ბარის თუშეთი“ სინამდვილეში კახეთია, და არა ისტორიული თუშეთი.

თუშეთი საქართველოს სხვა კუთხეებს საუღელტეხილო გზებით უკავშირდება. დიდთოვლობისას უღელტეხილებზე მიმოსვლა ჭირს და თუშეთიც გარკვეული დროით გარესამყაროს სწყდება. ზაფხულობით კი თუშეთი ბევრ ტურისტს იზიდავს.

თუშეთის უმეტეს ნაწილში, სიმაღლის გამო, მხოლოდ ბალახი და მარადმწვანე ბუჩქნარი – დეკა იზრდება. დეკის ყავილობისას ეს ადგილები თეთრად არის გადაპენტილი. შედარებით დაბალი ადგილები ფიჭვისა და ნაძვის ტყეებს უკავია. თუშეთის კლდოვან ადგილებში ბინადრობს ჯიხვი, ნიამორი და არჩვი. მიუვალ ჭიუხებში ბუდობს შურთხი.

თუშეთის დაცული ტერიტორიები (სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, დაცული ლანდშაფტი) აღმოსავლეთ კავკასიონზე, თუშეთის ქვაბულში, ზღვის დონიდან 900-4800 მეტრზე მდებარეობს. ის 2003 წელს დაარსდა. თუშეთის ძველი ნასოფლარები, წეს-ჩვეულებები, ხალხური ხელსაქმის ნიმუშები: თუშური ფარდაგები, ჭრელი წინდები, ნაქსოვი ფეხსაცმელები ტურისტებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს.

მცირე მიწისა და მკაცრი კლიმატური პირობების გამო, თუშები ხვნა-თესვას ნაკლებად მისდევენ. მათი ძირითადი საქმიანობა მეცხვარეობაა. ცხვრის ხორცი, მატყლი და სახელგანთქმული თუშური (გუდის) ყველი აქაურთათვის შემოსავლის ძირითადი წყაროა. თუშეთში მწყემსობა საპატიო საქმედ ითვლება. „ცხვარში ყოფნა“ ყოველი ვაჟკაცის მოვალეობაა. მწყემსს აუცილებლად აქვს ნაბადი, საგზლის გუდა. მისი ერთგული მეგობარი მეცხვარე ძაღლი – კავკასიური ნაგაზია. თუშური ქუდი მთელ აღმოსავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული. იგი თბილია და მსუბუქი. თუშები მოხალულ ქერს ფქვავენ, მარილს აყრიან და გუდაში დებენ. გუდას ხელით სრესენ. ასე ამზადებენ ქუმელს, რომელიც თუში მეცხვარის ყოველდღიური საჭმელია.

იმერეთის აღმოსავლეთი საზღვარი ლიხის ქედია, რომელიც საქართველოს აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად ჰყოფს. იმერეთს ჩრდილოეთიდან რაჭის, სამხრეთიდან მესხეთის ქედები აკრავს, დასავლეთიდან კი შემოსაზღვრულია მდ. ცხენისწყლით.

აღმოსავლეთ საქართველოს მცხოვრებნი დასავლეთ საქართველოს „იმერად“ ანუ ლიხის ქედის იმიერ (იქითა) მხარედ მოიხსენიებდნენ. „იმერის“ საპირისპიროდ, იხმარებოდა სიტყვა „ამერი“, რასაც ლიხის ქედის ამიერ (აღმოსავლეთით) მდებარე ტერიტორიას უწოდებდნენ. ითვლება, რომ სახელწოდება იმერეთი სწორედ სიტყვა იმერიდან მომდინარეობს

იმერეთის მთავარი მდინარეა რიონი. მისი სიგრძე 330 კილომეტრია. რიონი სათავეს კავკასიონის ქედზე, ფასის მთაზე (რაჭა, ზღვის დონიდან 3000 მეტრი) იღებს და შავ ზღვაში ჩაედინება. ძველად მდინარე რიონს ფაზისი ერქვა. ეს სახელწოდება ლათინური სიტყვიდან „ფაიზადან“ მომდინარეობს, რაც ქართულად ხოხობს ნიშნავს. გადმოცემის მიხედვით, ეს უცხო ფრინველი საბერძნეთში არგონავტებს სწორედ კოლხეთიდან წაუყვანიათ.

იმერეთის სამხარეო ცენტრი ქუთაისი, თბილისის შემდეგ, სიდიდით საქართველოს მეორე ქალაქია. ქუთაისი მნიშვნელოვანი კულტურული და სამრეწველო ცენტრია. აქ მოქმედებს თეატრები და მუზეუმები, უნივერსიტეტი.

იმერეთი ორ ნაწილად – ზემო და ქვემო იმერეთად იყოფა. ზემო იმერეთი ლიხის ქედიდან იწყება და ქუთაისის აღმოსავლეთით იმ ადგილამდე აღწევს, სადაც მდინარეები ყვირილა და ხანისწყალი რიონს ერთვიან. ძველად ამ მხარეს არგვეთი ერქვა. არგვეთის საერისთავო იცავდა იმერეთსა და მთელ დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ საქართველოდან შემოჭრილი მტრისაგან. ქვემო იმერეთი ვრცელდება რიონისა და ყვირილის შესართავიდან მდინარე ცხენისწყლამდე.

ზემო იმერეთი მთაგორიანი მხარეა. აქაურები, ძირითადად, მევენახეობას და მესაქონლეობას მისდევენ. მოჰყავთ სიმინდიც. ეზოებში გაშენებული აქვთ ბაღ-ბოსტნები. ქვემო იმერეთი კოლხეთის დაბლობზე მდებარეობს და მეტწილად ვაკეა. აქ მოჰყავთ მარცვლოვანი კულტურები, თითქმის ყოველგვარი ხილი და ბოსტნეული.

წინათ მინდვრის სამუშაოები საქალოდ და საკაცოდ იყოფოდა. ხვნა და თოხნა კაცის საქმედ ითვლებოდა, თესვაში და მოსავლის აღება-დაბინავებაში ქალებიც მონაწილეობდნენ. მაგალითად, სიმინდს ქალები და კაცები ერთად ტეხდნენ, ჩალას კაცები ჭრიდნენ, სიმინდის ტაროებს კი ქალები ფშვნიდნენ.

იმერლები მისდევდნენ ხელოსნობას: მჭედლობას, დურგლობას, მეთუნეობას. აქ იყო რკინის, სამშენებლო ქვის და გიშრის საბადოები, მთის კალთები კი ძვირფასი სამასალე ჯიშის ხეებით ყოფილა დაფარული. არქანჯელო ლამბერტის ცნობით, „იმერეთის მთებში არის რკინის იმდენი მადანი, რომ ზოგ ადგილას ხალხი სხვა ხელობას არ ეტანება“. მთელს საქართველოში იყო განთქმული ოკრიბელ ხელოსანთა მიერ გამოჭედილი ცული. თიხის მრავალფეროვან ჭურჭელს დღესაც ამზადებენ შროშაში, ტყემლოვანში, ოკრიბასა და სხვა სოფლებში.

იმერეთი მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით. ჭიათურა მანგანუმის მოპოვებისა და გადამუშავების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრია მთელ ევრაზიის ტერიტორიაზე. ქალაქს საფუძველი ჩაეყარა XIX საუკუნის ბოლოს, როდესაც აკაკი წერეთლის ინიციატივით მანგანუმის მადნის მოპოვება დაიწყო. მხარის მნიშვნელოვანი წიაღისეული რესურსია ტყიბულის ქვანახშირის საბადო.

იმერეთში, განსაკუთრებით მთაგორიან ადგილებში, ჯერ კიდევ შემორჩენილია ხელშეუხებელი ბუნება. აქ არის სათაფლიის, აჯამეთის და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკები. იმერეთში ბევრია კარსტული მღვიმეები: ცუცხვათი, წყალტუბო, სათაფლია და ბუნების ცნობილი ძეგლი – კაცხის სვეტი – კირქვის სვეტისებრი კლდე, რომელიც ჭიათურის მულიციპალიტეტში მდებარეობს და 40 მეტრის სიმაღლისაა. სვეტის ზედა ბაქანზე მცირე ზომის ეკლესია დგას. წყალტუბოს მღვიმის სიგრძე ათასი მეტრია. მღვიმე ტურისტებს დაუვიწყარ სანახაობას სთავაზობს: დარბაზები, მიწისქვეშა მდინარეები და ტბები, გაქვავებული ჩანჩქერები.

იმერეთი მდიდარია სამკურნალო მინერალური და თერმული წყლებით. სამკურნალო დანიშნულების კურორტებია: წყალტუბო, საირმე, ნუნისი, ზვარე, ზეკარი და სხვა.

იმერეთის ტერიტორია ძველად კოლხეთის სამეფოში შედიოდა. შემდეგ ის ერთიანი ქართული სამეფოს შემადგენელი ნაწილი იყო. ქუთაისი გარკვეული დროის განმავლობაში საქართველოს სამეფოს დედაქალაქს წარმოადგენდა. ქვეყნის ერთიანობის დარღვევის შემდეგ იმერეთი დამოუკიდებელ სამეფოდ ჩამოყალიბდა.

იმერეთის მდიდარი წარსულის მაუწყებელია ხუროთმოძღვების ძეგლები: ეკლესია-მონასტრები, ციხესიმაგრეები და სასახლეთა ნაშთები. გელათის მონასტერი დავით აღმაშენებლის დროს აშენდა. მეფის ბრძანებით მის ეზოში დაარსდა უმაღლესი სასწავლებელი – აკადემია და საავადმყოფო. გეგუთის სასახლე ქუთაისის მახლობლად, მდინარე რიონის პირას მდებარეობს. ის თლილი ქვითაა ნაგები და შედგება მეფეთა სადგომი ციხე-დარბაზის, საწოლი ოთახის, საგანძურის, აბანოს და სხვა სათავსოებისაგან. სვერის ციხე შიდა ქართლს და ზემო იმერეთს შორის დამაკავ-

შირებელ ერთ-ერთ გზაზე მდებარეობს. ამ გზას სავაჭრო მნიშვნელობაც ჰქონდა და სამხედროც. აღმოსავლეთ საქართველოდან იმერეთში მტერი აქედან აღწევდა. არაბი ისტორიკოსის ცნობით „აფხაზთა საზღვრამდე ერთი ციხე იყო (სვერის). ამ ციხეს ისეთი მამაცი ჯარი იცავდა, რომლებსაც ხმლისა და შუბის არ ეშინოდათ და ომს არ გაურბოდნენ“.

რაჭა დასავლეთ საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარე რიონის და მისი შენაკადების ხეობაში მდებარეობს. დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით ის რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის მხარეში შედის. რაჭა ორ ნაწილად იყოფა. ზემო რაჭა – ონის, ქვემო რაჭა კი ამბროლაურის მუნიციპალიტეტებს მოიცავს. წინათ რაჭა, ლეჩხუმთან ერთად, „თაკვერად“ იწოდებოდა.

რაჭა შემოზღუდულია მაღალი მთებით. მათი კალთები ტყით არის შემოსილი. ტყის საზღვარს მიჰყვება ალპური ზოლი, სადაც ზაფხულობით საქონელს მიერეკებიან. სულ ზევით შიშველი კლდეები და თოვლიანი მწვერვალებია. რაჭის ჰავა საკმაოდ მკაცრია, ზამთარი ხანგრძლივი და ცივი იცის, ზაფხული კი ხანმოკლე და თბილი. სახნავ-სათესი მიწები ცოტაა, ამიტომ რაჭველების დიდი ნაწილი ბარშია ჩასახლებული. რაჭაში, ქართველების გარდა, მცირე რაოდენობით ცხოვრობენ ოსები, რუსები და ებრაელები.

რაჭა მდიდარია სამკურნალო წყლებით. ცნობილი კურორტებია შოვი და უწერა. შოვი ონის მუნიციპალიტეტში, მდინარე ჭანჭახის ხეობაში, ზღვის დონიდან 1500 მეტრზე მდებარეობს. შოვის მინერალური წყალი ბევრ დაავადებას კურნავს. შოვთან ახლოსაა მამისონის უღელტეხილი, რომელიც საქართველოს ჩრდილოეთ კავკასიასთან აკავშირებს.

ზღვის დონიდან 1130 მეტრზე, შაორის ქვაბულში მდებარეობს შაორის წყალსაცავი. წინათ აქ ორი პატარა ტბა იყო: ხარისთვალი და ძროხისთვალი, ამჟამად ამ ტბების ადგილი, ისევე როგორც, მთელი ქვაბული, შაორის წყალსაცავს უკავია. წყალსაცავზე აგებულია ჰიდროელექტროსადგური.

რაჭის და მთელი საქართველოს მშვენებაა ნიკორწმინდის ტაძარი. აი რას წერდნენ ნიკორწმინდას შესახებ უცხოელები: „მე არ მინახავს ასე მდიდრულად მოჩუქურთმებული ეკლესია...“ (დიუბუა დე მონპერე, ფრანგი მეცნიერი და მოგზაური); „თქვენ გაოცებთ ნაირ-ნაირი ჩუქურთმების მასიურობა“ (პ. უვაროვი. რუსი მეცნიერი); საყოველთაოდ ცნობილია გალაკტიონ ტაბიძის ლექსი – „ქებათა-ქება ნიკორწმინდას“.

რაჭის მაღალმთიან სოფლებში მესაქონლეობას მისდევენ, შედარებით დაბლობ ადგილებში კი მიწათმოქმედებას: თესდნენ პურს და ქერს. ამჟამად, ძირითადად, მოჰყავთ სიმინდი, კარტოფილი და ლობიო. რაჭა მევენახეობის ერთ-ერთი უძველესი კერაა. რიონისპირა მზიურ ფერდობებზე გაშენებულია ალექსანდროული, საფერავი და ვაზის სხვა ჯიშები. განსაკუთრებით ცნობილია სოფელ ხვანჭკარის ზვრებიდან დაყენებული ამავე სახელწოდების ღვინო.

რაჭველები კარგი ხელოსნები იყვნენ. მჭედლები რკინის იარაღს ამზადებედნენ. აქაური დურგლების მიერ აგებულ სახლებს დღესაც შეხვდებით საქართველოს მრავალ მხარეში. რაჭველები საუკეთესო ხაბაზებადაც ითვლებოდნენ. მათ მიერ გამომცხვარი პური დღესაც დიდი მოწონებით სარგებლობს. რაჭის თითქმის ყოველ სოფელს მოჰქონდა თავი ხელოსნობის ამა თუ იმ დარგის ოსტატებით.

ლეჩხუმი დასავლეთ საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარეების რიონისა და ცხენისწყლის შუა წელზე და მდინარე ლავჯანურის ხეობაში მდებარეობს. ამჟამად იგი რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის მხარეში შედის. ლეჩხუმის ადმინისტრაციული ცენტრია ცაგერი.

ლეჩხუმი მთაგორიანია, მისი ტერიტორია ხევებითა და პატარა მდინარეებითაა დასერილი. ლეჩხუმის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მკაცრი ჰავაა, ხოლო სამხრეთ ნაწილში შედარებით თბილი და ტენიანი.

ლეჩხუმში სახნავ-სათესი მიწა ცოტაა. ძირითადად, მოჰყავთ სიმინდი და ლობიო, ეზოებში გაშენებულია ხეხილის ბაღები. მისდევენ მეცხოველეობას და მეფუტკრეობას. მდინარეთა ფერდობებზე გაშენებულია ვენახი. ლეჩხუმური ღვინოებიდან ცნობილია „უსახელაური“, რომელსაც ამავე სახელწოდების ჯიშის ყურძნისაგან ამზადებენ.

სვანეთი საქართველოს ყველაზე მაღალი ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა. იგი კავკასიონის ქედის სამხრეთით, მდინარეების ენგურისა და ცხენისწყლის ზემოწელზე მდებარეობს. სვანეთშია საქართველოს უმაღლესი და ულამაზესი მწვერვალები შხარა, უშბა და თეთნულდი. სვანეთში ხანგრძლივი და მკაცრი ზამთარი იცის.

სვანეთი საქართველოს სხვა მთიანი რეგიონებისაგან განსხვავებით თითქმის არ არის მოსახლეობისაგან დაცლილი. სვანები ქართულ და სვანურ ენებზე საუბრობენ. სვანურიც ქართველური ენაა, მაგრამ დროთა განმავლობაში ის თანამედროვე ქართულს დასცილდა. სვანურს უფრო ოჯახსა და სამეზობლოდ იყენებენ. სწავლება, სახელმწიფო საქმეები და საეკლესიო მსახურება აქ ქართულ ენაზე მიმდინარეობს.

ვახუშტი ბაგრატიონის დახასიათებით: „... (სვანი) ტანით წარმოსადეგია და საღი შეხედულება აქვს... თავსაბურავი სვანს ორგვარი აქვს: ზამთარში იხურავს მაღალსა და წვეტიან ნაბდის ქუდს, თეთრს ან შავს; ზაფხულში ხმარობს იმერულ ფაფანაკს, რომელიც ისე პატარაა, რომ საქოჩრეს ძლივს ჰფარავს. სვანს ტანისამოსზე უფრო უყვარს იარაღი: თოფი, დამბაჩა და ხანჯალი... სვანებს თავისი სამშობლო მეტისმეტად უყვართ. სვანი ძნელად დატოვებს თავის ქვეყანას მოკლე ხნობითაც კი...“.

სვანეთის ციცაბო და ყინულით დაფარული მწვერვალებით ალპინისტებს იზიდავს. მესტიის მკვიდრი მიხეილ ხერგიანი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მთამსვლელი იყო. ის ტრაგიკულად დაიღუპა იტალიის ერთ–ერთი მწვერვალის დალაშქვრის დროს. სტუმრები სვანეთის ისტორიული ძეგლებითაც იხიბლებიან. სვანური კოშკი თავდაცვითი ნაგებობაც იყო და საცხოვრებელიც. კოშკში გამაგრებულ ოჯახს ხანგრძლივი ალყის გაძლებაც შეეძლო. აქ პირუტყვის დასაბინავებელი ბაგაც იყო და საცხოვრებელი ოთახებიც. სპეციალურ საცავებში იმარაგებდნენ სურსათსა და წყალს. მშვიდობიანობს დროს სვანები ქვითკირის ორსართულიან სახლებში ცხოვრობდნენ.

სამეგრელო, დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში შედის. ის მდინარეებს რიონს, ცხენისწყალს, ენგურს და შავ ზღვას შორის მდებარე ტერიტორიას მოიცავს. სამეგრელოს უდიდესი ნაწილი კოლხეთის დაბლობზე მდებარეობს.

მეგრელები საუბრობენ ქართულ და მეგრულ ენებზე. მეგრული ქართველური ენაა, მაგრამ დროთა განმავლობაში ის თანამედროვე ქართულს დასცილდა. სწავლება, სახელმწიფო საქმეები და საეკლესიო მსახურება აქ ყოველთვის ქართულ ენაზე მიმდინარეობდა.

სამეგრელოს ჰავას შავი ზღვის სიახლოვე განაპირობებს. ამიტომ აქ ჰავა ტენიანია, ზამთარი შედარებით თბილი, ხოლო ზაფხული ცხელი იცის. სამეგრელოს ბარში ჩაისა და ციტრუსის, ყურძნისა და თხილის კარგი მოსავალი მოდის. მარცვლოვანი კულტურებიდან მოჰყავთ სიმინდი და ღომი. ღომისგან ამზადებდნენ ტრადიციულ კერძს – ღომს. მოგვიანებით, ამერიკიდან ევროპაში, იქიდან კი საქართველოში სიმინდი გავრცელდა. ღომთან შედარებით, სიმინდი მეტ მოსავალს იძლევა. ამიტომ, ღომის ნათესები თანდათანობით შემცირდა.

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ცენტრია ზუგდიდი. წინათ ზუგდიდი სამეგრელოს მთავრების, დადიანების რეზიდენცია იყო. ზუგდიდში, სამეგრელოს მთავრების ყოფილ სასახლეში, ახლა მუზეუმია გახსნილი. აქ ისტორიულ ნივთებთან ერთად ქრისტიანული სიწმინდეებიც ინახება. დადიანთა სასახლეს ამშვენებს ბოტანიკური ბაღი. მის გასაშენებლად საფრანგეთიდან სპეციალურად მოუწვევიათ გამოცდილი მებაღეები.

წინათ „დიდი აბრეშუმის გზის“ საქართველოზე გამავალი მონაკვეთი ფოთთან უერთდებოდა შავ ზღვას. სწორედ ამ გზით იყრიდნენ ქალაქში თავს სხვადასხვა ქვეყნის ვაჭრები. ისინი ჩამოტანილ საქონელს გემებზე ტვირთავდნენ და ევროპაში გაჰქონდათ. დღეს ფოთი საქართველოს მთავარი საპორტო ქალაქია.

სამეგრელო მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით, წყლის რესურსებით და სამკურნალო-მინერალური წყლებით. კოლხეთის დაბლობის ჭაობებში მოიპოვებენ ტორფს, რომელიც გამოიყენება ნიადაგის გასანოყიერებლად და საწვავ მასალად.

მდინარე ენგურზე მდებარეობს ჩვენი ქვეყნის ყველაზე მძლავრი ჰიდროელექტროსადგური ენგურჰესი. ენგურჰესის ელექტროსადგურები აფხაზეთის ტერიტორიაზეა განლაგებული, ხოლო კაშხალი კი სამეგრელოს სოფელ ჯვარში.

სამეგრელო-გურიის საზღვარზეა პალიასტომის ტბა. ის ქალაქ ფოთთან, კოლხეთის დაბლობზე მდებარეობს. ტბის მაქსიმალური სიღრმე 3 მეტრია. პალიასტომის ტბა სიდიდით მესამეა საქართველოს ტბებს შორის. წარსულში ის შავი ზღვის უბე იყო, ახლა ზღვას ხელოვნური არხით უკავშირდება. პალიასტომის ტბა სანაოსნო ტურიზმის ერთ-ერთი ცენტრია, ის კოლხეთის ეროვნული პარკის ნაწილია. სამკურნალო დანიშნულების კურორტებია ლუგელა, ლებარდე და მენჯი. სამეგრელოს სხვა ცნობილი კურორტებია ანაკლია, მალთაყვა და. განმუხური.

სამეგრელოში არაერთი ძველი ეკლესია-მონასტერია შემორჩენილი. მათ შორის, ჭყონდიდის (მარტვილის) და ცაიშის ტაძრები. სენაკის რაიონის სოფელ ნოქალაქევში, მდინარე ტეხურის ნაპირზე დგას უძველესი ნაქალაქარი – ციხე-გოჯი. ოდესღაც, მას სამმაგი გალავანი იცავდა. ნაქალაქარში შემორჩენილია ეკლესიების, სამეფო სასახლისა და აბანოების ნანგრევები. ციხესიმაგრიდან მდინარე ტეხურაზე გვირაბი ეშვებოდა, რომელიც ქალაქს სამდინარო გზით შავ ზღვასთან აკავშირებდა.

გურიის მხარეში სამი ადმინისტრაციულ–ტერიტორიული ერთეული – ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი შედის; მხარის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ოზურგეთი.

გურია დასავლეთ საქართველოში, კოლხეთის დაბლობსა და მიმდებარე მთიან ზონაში მდებარეობს. იგი ორ ნაწილად იყოფა: ბარისა და მთის. მთიანი ნაწილი მესხეთის ქედითა და მისი განშტოებებით არის წარმოდგენილი. გურიის მთავარი მდინარეებია სუფსა და ნატანები. ისინი სათავეს მესხეთის ქედიდან იღებენ და შავ ზღვაში ჩაედინებიან. ზღვის პირას ბევრია ჭაობი და პატარა ტბა.

გურიაში თბილი, ნოტიო ჰავა და ნაყოფიერი ნიადაგია. გურია სასოფლო–სამეურნეო მხარეა: აქ კარგად ხარობს ჩაი, ციტრუსი, ხეხილი. მიწების დიდი ნაწილი სიმინდის ყანებს უკავია. ბოლო დროს გაშენდა თხილის პლანტაციებიც.

გურიის ცნობილი ტურისტული ადგილებია ურეკი, ნაბეღლავი და ბახმარო. ურეკი შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ცნობილი კურორტია, რომლის მაგნიტური ქვიშა სამკურნალო თვისებებით ხასიათდება. ნაბეღლავი სამკურნალო მინერალური წყალია, რომელსაც ამავე სახელწოდების სოფელში ასხამენ. ბახმარო ჩვენს ქვეყანაში ყველაზე მაღალმთიანი სამთო-კლიმატური და სამკურნალო-დასასვენებელი ადგილია. იგი მესხეთის ქედზე, მდინარე ბახვისწყლის ხეობაში, ტყის ზონის ზემო ნაწილში, ზღვის დონიდან 1926-2050 მ-ზე მდებარეობს. ბახმაროს ჰაერის უნიკალური სამკურნალო თვისებები პირველად ამ მხარეში ზაფხულის საძოვრებზე ამოსულმა მწყემსებმა აღმოაჩინეს, როცა ჭლექით დაავადებული ერთ-ერთი მათგანი აქაურმა ჰაერმა სასწაულებრივად სწრაფად და საბოლოოდ გამოაჯანმრთელა.

გურია მდიდარია ისტორიული ძეგლებითაც. ბოლო დროს განახლდა და ამოქმედდა ჯიხეთის, ჯუმათის და სხვა ეკლესია-მონასტრები. გურიის მთავრების მიერ აგებული შემოქმედის მონასტერი კი საეპისკოპოსო ცენტრია. წინათ აქ წიგნთსაცავი იყო, სადაც მრავალი ქართული ხელ-

ნაწერი ინახებოდა. მათგან განსაკუთრებით ცნობილია „შემოქმედის გულანი“, რომელიც 1004 ფურცელს შეიცავს და 32 კილოგრამს იწონის.

აჭარა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, შავი ზღვის პირას მდებარეობს. მისი ტერიტორიის დიდი ნაწილი მთებსა და ღრმა ხეობებს, დანარჩენი – ზღვის სანაპირო ვაკეს უკავია. მესხეთის ქედი აჭარას ორად ყოფს: დასავლეთი – ზღვისპირა მხარე, რომელიც შედარებით დაბალია და აღმოსავლეთი – მთიანი. მთიან აჭარაში ხშირია მეწყერი, რაც მოსახლეობას დიდ ზიანს აყენებს. აჭარლების ნაწილი იძულებული გახდა სამცხე-ჯავახეთში გადასახლებულიყო.

აჭარაში ბევრი მდინარეა. მათგან ყველაზე დიდია ჭოროხი, რომელიც თურქეთში იღებს სათავეს. მისი შენაკადი – აჭარისწყალი კი აჭარის მაღალი მთებიდან მოედინება და ამ მხარეს მთელ სიგრძეზე (აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ) კვეთს.

შავი ზღვა მთელი საქართველოს და, კერძოდ, აჭარის უმნიშვნელოვანესი სიმდიდრეა. იგი დიდ როლს ასრულებს საზღვაო ტრანსპორტის, გემთმშენებლობის, თევზჭერის და საკურორტო-ტურისტული მეურნეობის განვითარებაში.

ბათუმი და ქობულეთი აჭარის ზღვისპირეთის ცნობილი საკურორტო ქალაქებია. დამსვენებლებს არანაკლებ იზიდავს სარფის, კვარიათის, ჩაქვის და სხვ. მშვენიერი პლაჟები. წარმტაცი ბუნება, ღრმა ხეობები, მთას შეფენილი სოფლები, ანკარა წყაროები და ჩქარი მდინარეები მთიან აჭარასაც მიმზიდველს ხდიან ქართველი თუ უცხოელი დამსვენებლებისათვის. ხულოს მუნიციპალიტეტში მდებარეობს სამკურნალო კურორტი ბეშუმი. აქაური ჰავა უხდება სისხლნაკლულებს, სასუნთქ ორგანოთა დაავადებებს, განსაკუთრებით სასარგებლოა ის სუსტი ჯანმრთელობის მქონე ბავშვებისათვის.

სითბო, ტენი და ნოყიერი ნიადაგი აჭარის შავიზღვისპირეთში მეჩაიეობის და მეციტრუსეობის განვითარებას უწყობს ხელს. მაღალმთიან აჭარაში სახნავ-სათესი მიწა ცოტაა. ამის მიუხედავად, შრომისმოყვარე აჭარლები რთულად მისადგომ ფერდობებსაც ამუშავებენ, მოჰყავთ მაღალი ხარისხის თამბაქო. აქ მოსახლეობა, ძირითადად, მეცხოველეობას მისდევს.

აჭარლები კარგი ხელოსნები არიან. ბევრმა იცის მჭედლობა, დურგლობა და მეთუნეობა. განთქმული იყო აჭარული თოფი „მაჭახელა“, რომელიც ამავე სახელწოდების სოფელში მზადდებოდა. ქალები ხელსაქმეს მისდევდნენ: კერავდნენ, ქსოვდნენ, ქარგავდნენ, მატყლს ჩეჩავდნენ, აბრეშუმს რთავდნენ. მათი მოქსოვილი ხალიჩები ძვირად ფასობდა.

ძველი გზების, ხიდების, ციხესიმაგრეების, ეკლესია-მონასტრების კვალი მოწმობს, რომ აჭარა ერთიანი და ძლიერი საქართველოს დაწინაურებული მხარე იყო. XVI საუკუნეში აჭარა და სამხრეთი საქართველო თურქეთმა მიიტაცა. სამასწლიანი ტყვეობის მიუხედავად, აჭარლებმა შეინარჩუნეს ქართველობა, მშობლიური ენა და ადათ-წესები.

არაფერი უნდა ითქვას იმაზე, რომ აჭარის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მუსლიმია? და რომ მოსახლეობა მრავალეთნიკურია?

აფხაზეთი საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკაა. ის ჩვენი ქვეყნის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. აფხაზეთს ჩრდილოეთით კავკასიონის მთავარი ქედი, სამხრეთით და დასავლეთით კი შავი ზღვა ესაზღვრება. აფხაზეთი მდინარეებს ენგურისა და ფსოუს შორის არის გადაჭიმული. აფხაზეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი მთაგორიანია, დაბლობი კი ვიწრო ზოლად გასდევს ზღვის სანაპიროს.

მდინარე ფსოუზე საქართველო-რუსეთის საზღვარი გადის. ფსოუ შავ ზღვაში ჩაედინება, სწორედ აქ მდებარეობს დაბა ლესელიძე, რომელიც საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ პუნქტს წარმოადგენს.

აფხაზეთში ბევრი მიწისქვეშა მდინარე და მღვიმეა, მათ შორის, საქვეყნოდაა ცნობილი ახალი ათონის მღვიმე. მღვიმის ბუნებრივი ჩასასვლელი, ფართოპირიანი და შვეულკედლებიანი უფსკრული ზღვის დონიდან 220 მ სიმაღლეზე იხსნება. მღვიმე შედგება ვერტიკალური და ჰორიზან-

ტალური სიღრუეებისაგან. ზოგიერთი მათგანი მდიდრულადაა მორთული სხვადასხვა სიდიდისა და ფორმის სტალაგმიტებით, ფარდებით, გაქვავებული ჩანჩქერებით. მღვიმის თავისებურებაა გიგანტური დარბაზები, რომლებიც ერთ-ერთი უდიდესია ევროპაში. მღვიმეში ჰაერის ტემპერატურა წლის განმავლობაში 12,6-14,4°C-ია.

აფხაზეთში მდებარეობს კრუბერის გამოქვაბული, რომელიც დედამიწაზე დღემდე აღმოჩენილ გამოქვაბულთაგან ყველაზე ღრმაა (სიღრმე – 2190 მ). ასევე აფხაზეთში მიედინება მსოფლიოში ყველაზე პატარა მდინარე რეპრუა, რომლის სიგრძე 18 მეტრია.

აფხაზეთში თბილი ჰავაა. თოვლი, ძირითადად, მხოლოდ მაღალ მთებში მოდის. ზღვისპირეთში კი წლის უმეტეს დროს მზე ანათებს და არემარე მწვანეშია ჩაფლული. აფხაზეთის ტყეებში ბევრი იშვიათი ჯიშის მცენარე ხარობს. მათი დაცვის მიზნით აქ მრავალი ნაკრძალი და ეროვნული პარკია შექმნილი.

აფხაზეთის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგებია მეჩაიეობა, მეციტრუსეობა და მევენახეობა. სასარგებლო წიაღისეულიდან აღსანიშნავია ქვანახშირი, რომელიც ქალაქ ტყვარჩელში მოიპოვება.

აფხაზეთი თავისი განუმეორებელი ბუნებით და ზღვისპირა კურორტებით მრავალ დამსვენებელს იზიდავდა. ახლა მდგომარეობა მკვეთრადაა შეცვლილი. აფხაზეთის ფაქტობრივი ხელისუფლების მცდელობა – რუსეთის დახმარებით საქართველოს ჩამოაცილოს ეს ისტორიული მხარე, ხელს უშლის აფხაზეთში ტურიზმის განვითარებას. წინათ კი აფხაზეთის ცნობილი კურორტები იყო სოხუმი, გაგრა, ბიჭვინთა, ოჩამჩირე, გუდაუთა და სხვა ქალაქები. მნახველი არ აკლდა ახალი ათონის მღვიმეს, რიწის ტბას და სხვა ღირშესანიშნავ ადგილებს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქი სოხუმი მნიშვნელოვანი სამრეწველო, სატრანსპორტო (საზღვაო პორტი, რკინიგზის სადგური, აეროპორტი), კულტურული და საკურორტო-ტურისტული ცენტრი იყო. სოხუმის მშვენებაა ბოტანიკური ბაღი. ის ერთ-ერთი უძველესია მთელ კავკასიაში (დაარსდა 1840 წელს).

სოხუმს ძველი ბერძნები დიოსკურიას ეძახდნენ. ზოგი ამ სახელს არგონავტების ლაშქრობის მონაწილე ტყუპ ძმებს – კასტორ და პოლიდევკეს დიოსკურებს უკავშირებს. სხვების აზრით, სახელი „დიოსკური“ კოლხური (ლაზ-მეგრული) წარმოშობისაა. „დიო“ –„დია“ – დედას (ასევე ქალღმერთს) ნიშნავს, ხოლო „სკური“ წყალს. ე.ი. კოლხურად დიოსკურია „წყლის დედა“ ანუ „მდინარის ქალღმერთია“ . ძველ ქართულ წყაროებში ქალაქს „ცხუმი“ ეწოდება. რაც, სავარაოდოდ, რცხილასაგან მომდინარეობს. თურქული ფორმა სოხუმი (სუხუმი) ქართული „ცხუმიდანაა“ მიღებული.

ბიჭვინთა გაგრის მუნიციპალიტეტში, შავი ზღვის სანაპიროზე, ლამაზ კონცხზე მდებარეობს. დღევანდელი ბიჭვინთის წიანაპარია ქალაქი პიტიუნტი, რომელიც ძველმა ბერძნებმა აქ დააარსეს. ქალაქის ბერძნული სახელწოდება პიტიუნტი და ქართული – ბიჭვინთა „ფიჭვიდან“ მომდინარეობს. ბიჭვინთის კონცხზე ახლაც არის ფიჭვის კორომები.

აფხაზეთის ისტორიული ღირშ ესანიშნაობებია მოქვის, დრანდის, ილორის, ბიჭვინთის, ჭყონდიდის და სხვა ტაძრები. XII საუკუნის ძეგლია ბესლეთის ხიდი. იგი სოხუმთან ახლოს, მდინარე ბესლეთზეა გადებული. ხიდთან მდგარა ციხე, რომელიც სოხუმის შესასვლელს იცავდა. გადმოცემის მიხედვით, ხიდი თამარ მეფეს აუგია, ამიტომაც მოიხსენიება თამარის ხიდად.

სამცხე-ჯავახეთი საქართველოს სამხრეთ ნაწილში მდებარეობს და ორ ისტორიულ მხარეს – სამცხესა და ჯავახეთს მოიცავს. ძველად ამ ტერიტორიას „ზემო ქართლი“ ეწოდებოდა. „ზემო ქართლში“ სხვა ქართული მხარეებიც შედიოდა: კოლა-არტაანი, შავშეთი, კლარჯეთი, აჭარა, ტაო, და ა.შ. ახლა ისინი, აჭარის გარდა, თურქეთის შემადგენლობაშია.

„ზემო ქართლის“ ტერიტორიის ნაწილი დღეისათვის თურქეთის შემადგენლობაშია. აქ მცხოვრები ქართველების საერთო სახელი „მესხი“ იყო. საცხოვრებელი კუთხის მიხედვით მესხებს ასევე მოიხსენიებდნენ ჯავახებად, კლარჯებად, შავშელებად და ა.შ. ტერიტორიის სახელწოდება

„სამცხე“ მესხიდან მომდინარეობს. სამცხეში შედის ადიგენის, ახალციხის, ასპინძის და ბორჯომის მუნიციპალიტეტები. აქაური მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ქართველია, ასევე ცხოვრობენ სომხები, ოსები და რუსები.

საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი ახალციხე სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ცენტრია. ის მდინარე ფოცხოვის წყლის ნაპირზე მდებარეობს. დანაწევრებული რელიეფის გამო, ქალაქის უბნები სხვადასხვა სიმაღლეზეა განლაგებული. ქალაქის ძველ ნაწილში შემორჩენილია სამცხის მთავრების, ჯაყელების ციხე, სასახლე და ქალაქის მუსლიმი მოსახლეობის სალოცავი – მეჩეთი, აგრეთვე სინაგოგა.

სამცხის რელიეფს ვულკანური მთები და გორაკ-ბორცვები ქმნიან. ჰავა აქ საკმაოდ მკაცრია – ზამთარი ცივი იცის. ეს მხარე მდიდარია წიწვოვანი ტყეებით, მინერალური წყლებით და მდინარეებით. მთავარი მდინარე მტკვარია, რომელსაც მრავალი შენაკადი აქვს.

სამცხე მდიდარია კურორტებით. მათ შორის აღსანიშნავია ბორჯომი, ბაკურიანი, ცემი, წაღვერი, აბასთუმანი და სხვ. ტუბერკულიოზით დაავადებულებზე საუკეთესოდ მოქმედებს აბასთუმნის ჰავა. აბასთუმნის მახლობლად, ყანობილის მთაზე, მსოფლიოში ცნობილი მეცნიერის ევგენი ხარაძის სახელობის ობსერვატორიაა, სადაც ციური სხეულების მოძრაობას აკვირდებიან და შეისწავლიან.

ჯავახეთი ახალქალაქის, ნინოწმინდისა და ასპინძის მუნიციპალიტეტებს მოიცავს. ჯავახეთის რელიეფი ვულკანური წარმოშობისაა. ჰავა საკმაოდ მკაცრია, ხანგრძლივი და ყინვიანი ზამთარი იცის. ჯავახეთის მოსახლეობის უმრავლესობა სომეხია. მცირე რაოდენობით ცხოვრობენ ქართველები და რუსები.

ნინოწმინდა საქართველოს საქალაქო პუნქტებს შორის ყველაზე მაღლა, ზღვის დონიდან 1940 მეტრზე მდებარეობს. ნინოწმინდა შედარებით ახალი დასახლებაა. ის XIX საუკუნეში დაარსდა ამ მხარეში გადმოსახლებული რუსების მიერ. მათი შთამომავლები ნინოწმინდაში დღესაც ცხოვრობენ.

ჯავახეთის მთავარი მდინარე მტკვარია. ამ მხარეში 56 ტბაა აღრიცხული. მათგან სიდიდით გამოირჩევა ფარავანი, კარწახი, ტაბაწყური, ხანჩალი და სხვ.

სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი საძოვრებსა და სათიბებს უკავია. მოსახლეობაც, შესაბამისად, მესაქონლეობას მისდევს. ადრე გაზაფხულზე საქონელს სოფლის სიახლოვეს – „ქვეშა მთაზე“ მიერეკებიან, ზაფხულობით კი ალპურ მდელოებზე, ანუ „ზედა მთაზე“. მოჰყავთ კარტოფილი, ბოსტნეულ-ბაღჩეული და მარცვლეული კულტურები: დოლის პური, დიკა, ქერი, ჭვავი, ასლი, თავთუხი... მზიურ ფერდობებზე გაშენებულია ვენახი.

წინათ ფერდობებზე კიბისებურ ტერასებს აკეთებდნენ. ტერასებზე ხილსა და ვენახს აშენებდნენ. ბერძენი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის ცნობით, „მესხები შრომის მოყვარულნი არიან; მათ ბევრი ვენახი აქვთ და თავიანთი ღვინო მიაქვთ სხვადასხვა ქვეყანაში გასაყიდად“.

სამცხეში აღმოჩენილია რამდენიმე ათასი წლის წინანადელი სამკალი იარაღი – სპილენძის ნამგალი. აქ დღესაც შეხვდებით ნავენახარ ადგილებს, ძველი ტერასების, ქვის საწნახელების, ჭურების და ხორბლის შესანახი ქვევრების ნაშთებს. სამცხე-ჯავახეთში განვითარებული იყო ხელოსნობა.

სამცხე-ჯავახეთს მჭიდრო კავშირი ჰქონდა საქართველოს სხვა მხარეებთან. აქ გადიოდა გზები გურიის, აჭარისა და იმერეთის მიმართულებით. მთავარ მაგისტრალს კი „ქართლის გზა“ წარმოადგენდა, რომელიც ბორჯომის ხეობით სამცხეს ქართლის ქალაქებთან – უფლისციხე-მცხეთა-თბილისთან აკავშირებდა. გადაადგილებისთვის იყენებდნენ მდინარე მტკვარსაც. მესხ ვაჭრებს თბილისში და სხვა მტკვრისპირა ქალაქებში ტივებით ჩაჰქონდათ სოფლის პროდუქტები და ხელოსნური ნაწარმი.

„ქართლის გზით“ მხოლოდ ვაჭრები როდი სარგებლობდნენ. ხშირად მტერიც ამ გზით აღწევდა საქართველოს ცენტრალურ ტერიტორიებამდე. ქართველი მეფეები ყოველთვის დიდ ყუ-

რადღებას აქცევდნენ სამხრეთ საზღვრის გამაგრებას. ამიტომაც გადმოგვყურებს სამცხე-ჯავახეთის მთა-გორაკებიდან ძველ სიმაგრეთა ნაშთები. სლესის, ასპინძის, აწყურის, ხერთვისის, თმოგვის, ტონთიოს, შაორისა და სხვა მიუდგომელი ციხესიმაგრეები კეტავდნენ ქართლისაკენ მიმავალ გზებს.

სამცხე-ჯავახეთში ბევრია ეკლესია-მონასტრი: საფარა, ბეითი, წუნდა, ფარავანი, ფოკა. მნახველზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს ვარძიის და სხვა ძველი ქალაქების ნაშთები. აქ ხშირად შეხვდებით კლდეში ნაკვეთ „ქვაბებსაც“. „ქვაბებს“ ორგვარი დანიშნულება ჰქონდათ. ზოგიერთი მათგანი, ომიანობის დროს, მოსახლეობის საიმედო თავშესაფარს წარმოადგენდა, ნაწილიც ბერების საცხოვრებელი იყო.

XVI საუკუნეში სამცხე–ჯავახეთი თურქეთმა მიიერთა და აქაური მოსახლეობა იძულებით გაამუსიმა. სარწმუნოების შეცვლის მიუხედავად, მესხები ჩუმად აღნიშნავდნენ ქრისტიანულ დღესასწაულებს. „მარიამობას“ მუსლიმი მესხები ვარძიაში იკრიბებოდნენ და ღვთისმშობლს შველას შესთხოვდნენ. აქაურები ძველქართული წესით ნიშნავდნენ პატარძალს და მაჰმადიანური ადათის საწინააღმდეგოდ, დაქორწინებულებს ღვინით ადღეგრძელებდნენ. აქ წმინდა ქართული ზნე-ჩვეულებები არსებობდა.

თავი VI. საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ეროვნული ტრადიციები[40]

§1. აფხაზები

ზოგადი ინფორმაცია. აფხაზები საქართველოს (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის) აბორიგენი მოსახლეობაა. 1989 წლის აღწერით, საქართველოში ცხოვრობდა 95,9 ათასი აფხაზი, აქედან, საკუთრივ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – 93,3 ათასი, ხოლო მთლიანად სსრ კავშირში – 105 ათასი. 2003 წელს აფხაზეთში ჩატარებული აღწერის მასალების მიხედვით, აფხაზთა რაოდენობა თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში 94,5 ათას კაცს უდრიდა. გარდა ამისა, მრავალრიცხოვანი აფხაზური დიასპორა (სავარაუდოდ, 400 ათას კაცამდე) განსახლებულია ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში (თურქეთი, სირია, იორდანია და სხვ.), ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოსა და აშშ-ში.

აფხაზური ენა, რომელიც იბერიულ-კავკასიურ ენათა ჩრდილო-დასავლურ, აფხაზურ-ადიღურ ჯგუფს ეკუთვნის, აფხაზეთში დღეს წარმოდგენილია ბზიფური და აბჟუური დიალექტებით. პირველი მათგანი გავრცელებულია, ძირითადად, ქ. სოხუმის ჩრდილო-დასავლეთით, მეორე კი – სამხრეთ-აღმოსავლეთით. აფხაზურ დიალექტებს შორის გარკვეული სხვაობაა ლექსიკაშიც, კერძოდ, აბჟუურში ვხვდებით მეგრულ და ქართულ ლექსიკურ ელემენტებს, მაშინ როდესაც ბზიფურში, რომელზე მეტყველთაც წარსულში მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდათ ჩერქეზულ ტომებთან, შესულია ადიღური სიტყვების გარკვეული რაოდენობა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ლექსიკური განსხვავებები მთლიანობაში ხელს არ უშლის აბჟუურ და ბზიფურ დიალექტებზე მეტყველთ ადვილად გაუგონ ერთმანეთს.

აფხაზურ სალიტერატურო ენას საფუძვლად უდევს აბჟუური დიალექტი. აფხაზურ ენასთან ძალიან ახლოს დგას ჩრდილოკავკასიელი აბაზების ენა. აფხაზური და აბაზური ენები, ფაქტობრივად, ერთ ენობრივ ერთეულს წარმოადგენენ. მხოლოდ ტერიტორიული დაცილებისა და სალიტერატურო ენის ორ სხვადასხვა საფუძველზე ჩამოყალიბების გამო არის მიღებული აფხაზური (სალიტერატურო) ენის გარჩევა აბაზური (სალიტერატურო) ენისაგან.

ჩრდილო კავკასიის ხალხებიდან ენითა და კულტურით აფხაზებს ენათესავებიან აგრეთვე ადიღები (ადიღეელები, ჩერქეზები, ყაბარდოელები) და უბიხები. აფხაზები მრავალი კულტურულ-საყოფაცხოვრებო თავისებურებით უახლოვდებიან ქართველებს, რომლებთან მრავალსაუკუნოვანმა ურთიერთობამ და თანაცხოვრებამ გავლენა იქონია მათ ენასა და ანთროპოლოგიურ ტიპზე.

აფხაზთა საკუთარი სახელწოდებაა აფსუა. ქართველები მათ „აფხაზებს“ უწოდებენ და ქართული ენიდან გავრცელებული ეს ეთნიკური ტერმინი დღეს ფართოდაა ცნობილი მსოფლიოში. თურქულ და ზოგიერთ ჩრდილო კავკასიელი ხალხის ენაში აფხაზების სახელწოდებაა „აბაზა“.

ისტორიული ექსკურსი. VIII საუკუნის 80-იან წლებში აფხაზთა მთავარმა ლეონ II-მ თავისი ხელისუფლება მთელს დასავლეთ საქართველოზე გაავრცელა, რომლის მოსახლეობა, ბიზანტიელი და არაბი დამპყრობლების თარეშით შეწუხებული, დაინტერესებული იყო ერთიანი, ძლიერი

40 წინამდებარე თავი შედგენილია წიგნის **„ეთნოსები საქართველოში“** მიხედვით. წიგნი მომზადებულია საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ. თბილისი, 2008.

სახელმწიფოს შექმნით. პირველ ხანებში ლეონ II ჯერ კიდევ ბიზანტიის ვასალად ითვლებოდა, მაგრამ VIII საუკუნის ბოლოს მან ისარგებლა ბიზანტიაში ატეხილი შინაური შფოთით და დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ლეონმა მიიღო „აფხაზთა მეფის“ ტიტული და მის მიერ შექმნილი სახელმწიფო ისტორიაში შევიდა აფხაზთა სამეფოს სახელწოდებით.

აფხაზთა სამეფოს დედაქალაქი ქუთაისი იყო, ხოლო მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ, რომელთა ხვედრითი წილი კიდევ უფრო გაიზარდა ლეონ II-ის მემკვიდრეების დროს, რომლებმაც თავისი ძალაუფლება აღმოსავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ნაწილზე გაავრცელეს. ყოველივე ამან განაპირობა ის გარემოება, რომ აფხაზთა სამეფო თავისი ჩამოყალიბებიდან მოკლე ხანში აქტიურად ჩაერთო ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური წარმონაქმნების სისტემაში.

აფხაზთა სამეფო მონაწილეობდა საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში და ამ საქმეში პოზიტიური წვლილი შეიტანა. საკუთრივ აფხაზები, რომლებიც ძირითადად სამეფოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ცხოვრობდნენ, მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სახელმწიფო პოლიტიკის გატარებაში. როგორც სამართლიანად აღნიშნავს აკად. ნ. ბერძენიშვილი: „აფხაზთა და ქართველთა ასეთი ერთიანობა... იყო შედეგი არა ურთიერთ დაპყრობის, არამედ აფხაზთა თანდათანი მშვიდობიანი შემოსვლისა ქართველთა კულტურულ სამყაროში“.

978 წელს აფხაზთა სამეფო ტახტზე ბაგრატ ბაგრატიონი ავიდა, რომელიც მამის მხრიდან სამხრეთ საქართველოს მფლობელი საგვარეულოს წარმომადგენელი იყო, ხოლო დედის მხრიდან – აფხაზთა მეფეების შთამომავალი. მან წარმატებით გააგრძელა წინაპართა გამაერთიანებელი პოლიტიკა და ისტორიაში შევიდა როგორც გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III (978-1014).

ერთიანი ქართული სამეფოს შემადგენლობაში აფხაზეთი შედიოდა, ძირითადად, აფხაზეთის საერისთავოს სახით, რომლის სათავეში XII საუკუნიდან შარვაშიძეთა (აფხაზურად ჩაჩბა) ფეოდალური საგვარეულო იდგა. აფხაზები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ერთიანი საქართველოს ცხოვრებაში. კერძოდ, აქტიურად მონაწილეობდნენ მის საგარეო ომებში, ხოლო როდესაც XIII საუკუნის 40-იანი წლებიდან საქართველო მონღოლებმა დაიმორჩილეს, აფხაზები განმათავისუფლებელ ბრძოლაში ჩაებნენ.

ერთიანი ქართული სამეფო XV საუკუნეში რამდენიმე დამოუკიდებელ ერთეულად დაიშალა. აფხაზეთის საერისთავო დასავლეთ საქართველოს, ანუ იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში მოექცა. დროთა ვითარებაში იმერეთის სამეფოში შემავალი საერისთავოებიც გადაიქცნენ სუვერენულ სამთავროებად (ოდიშის, გურიის, აფხაზეთის, სვანეთის), რომლებიც, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ ფორმალურად აღიარებდნენ იმერეთის მეფეთა უზენაესობას. აფხაზეთის სამთავრო, რომლის სათავეში შარვაშიძეთა საგვარეულო იდგა, თავდაპირველად ოდიშის მთავართა ვასალი იყო, მაგრამ XVI საუკუნის მეორე ნახევარში ფაქტობრივი დამოუკიდებლობა მოიპოვა.

XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ოსმალთა იმპერიის პოლიტიკური გავლენის სფეროში ექცევა. სანაპირო პუნქტებში (მათ შორის სოხუმში) ოსმალთა გარნიზონები დგებიან და ადგილობრივ პოლიტიკურ ერთეულებს ხარკს ადებენ. ოსმალური ხარკი აფხაზეთსაც ჰქონდა შეწერილი, მაგრამ აფხაზები მას იშვიათად იხდიდნენ. ოსმალთა პოლიტიკურ გავლენას თან სდევდა აფხაზეთში ისლამის გავრცელება. XVIII საუკუნის ბოლოსათვის უკვე საკმაოდ ბევრი აფხაზი გამუსლიმდა, განსაკუთრებით თავად-აზნაურთაგან. მიუხედავად ამისა, ქრისტიანობა აფხაზეთში არასოდეს ჩამკვდარა, რასაც ხელს უწყობდა ქართველებთან კულტურული ურთიერთობების შენარჩუნება. ამ პერიოდში აფხაზეთის სამთავრო აქტიურად მონაწილეობს აგრეთვე დასავლეთ საქართველოს შინაომებში. ამ ომების პროცესში XVII საუკუნის ბოლოსათვის აფხაზეთის მთავრებმა თავისი სამფლობელოები კოდორიდან ენგურამდე გააფართოვეს.

აფხაზები ხშირად გამოდიოდნენ ოსმალთა წინააღმდეგ (1725, 1728, 1733, 1771, 1806 წწ. და სხვ.). ზოგჯერ ეს გამოსვლები ქართველ მეფე-მთავრებთან იყო კოორდინირებული.

1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მიერ იქნა ანექსირებული. ამან შემდგომში საქართველოს სხვა ნაწილების რუსეთთან შეერთებაც განაპირობა. აფხაზეთში რუსეთის ჯარები 1810 წელს შეიჭრნენ და ხელთ იგდეს ქ. სოხუმი. მაგრამ აფხაზეთის დანარჩენ ნაწილს რუსები დიდხანს ვერ აკონტროლებდნენ. ამიტომ პირველ ხანებში შენარჩუნებულ იქნა აფხაზეთის მთავრების ხელისუფლება შეზღუდული ავტონომიის სახით. მხოლოდ მას შემდეგ, რაც რუსეთის არმიამ გატეხა კავკასიის მთიელთა წინააღმდეგობა და სრული კონტროლი დაამყარა აფხაზეთის მიმდებარე ტერიტორიებზე, პეტერბურგში მიიღეს გადაწყვეტილება აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შესახებ. უკანასკნელი მთავარი მიხეილ შარვაშიძე დააპატიმრეს და რუსეთში გადაასახლეს, აფხაზეთში კი უშუალო რუსული მმართველობა შემოიღეს (1864 წ.).

აფხაზი ხალხი რუსული კოლონიური რეჟიმის დამყარებას მედგარ წინააღმდეგობას უწევდა. ფართომასშტაბიან შეიარაღებულ აჯანყებები მოხდა 1821-1827, 1840-1842, 1866, 1877 წლებში. აჯანყებების სისხლში ჩახშობას თან სდევდა აფხაზთა იძულებითი მიგრაცია ოსმალეთის იმპერიაში. 1864 წელს კავკასიის მთიელი ხალხების დამარცხების შემდეგ რუსეთის მთავრობა შეუდგა ადრე შემუშავებული გეგმის განხორციელებას – მთიელთა განდევნას მშობლიური მიწა-წყლიდან, განსაკუთრებით შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროდან. მაშინ აიძულეს 700 ათასამდე ჩერქეზი, უბიხი, აფხაზი, ჩეჩენი, დაღესტნელი და სხვა მთიელნი ოსმალეთში გადასულიყვნენ. სამშობლოდან განდევნილებს „მუჰაჯირებს“ უწოდებდნენ, რაც არაბულად „გადასახლებულს“ ნიშნავს. 1864 წლის მუჰაჯირთა შორის აფხაზთა რაოდენობა 20 ათასს აღემატებოდა. დაახლოვებით ამდენივე აფხაზი გადასახლდა ოსმალეთში 1866 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ, ხოლო 1877 წლის აჯანყების შემდეგ აფხაზეთი დატოვა კიდევ 30-40 ათასმა ადამიანმა. მთლიანობაში ოსმალეთში გადასახლებული აფხაზებისა და აბაზების საერთო რაოდენობა დაახლოებით 135 ათას კაცს შეადგენდა.

ამრიგად, აფხაზეთში რუსეთის გაბატონებისა და აფხაზთა შეიარაღებული წინააღმდეგობის შედეგი იყო აფხაზური ეთნოსის დიდი ნაწილის სამშობლოდან გაძევება. საზღვარგარეთის აფხაზური დიასპორა (დსთ-ს ქვეყნებს გარდა), ძირითადად, XIX საუკუნის მუჰაჯირთა შთამომავალია.

აფხაზთა უკანასკნელი, 1877 წლის, აჯანყების ჩახშობის შემდეგ რუსეთის მთავრობამ სამშობლოში დარჩენილი აფხაზების სამაგალითოდ დასჯა გადაწყვიტა. პრაქტიკულად, მთელი აფხაზი ხალხი (მცირე გამონაკლისის გარდა) ოფიციალურად გამოცხადებული იყო „დამნაშავე მოსახლეობად“ და მისი უფლებები მნიშვნელოვნად შეიზღუდა. აფხაზებს აეკრძალათ აფხაზეთის ტერიტორიის დიდ ნაწილზე ცხოვრება: კერძოდ, ზღვისპირეთში, მაღალმთიან ზონასა და სოხუმის მიდამოებში – ქალაქიდან 25 კილომეტრის სიახლოვეს. „დამნაშავე მოსახლეობის“ სტატუსი აფხაზ ხალხს მხოლოდ 1907 წელს მოუხსნეს.

აფხაზური ენა ახალდამწერლობიანი ენაა. ადრეულ შუა საუკუნეებში აფხაზეთში ბერძნული ენა და დამწერლობა გამოიყენებოდა. აფხაზთა სამეფოს დროიდან მოყოლებული, გვიანდელ შუა საუკუნეებამდე მწიგნობრობის, სახელმწიფო კანცელარიისა და ეკლესიის ენა ქართული გახდა. ოსმალთა დომინირების პერიოდში, განსაკუთრებით XVIII საუკუნიდან, აფხაზეთში გავრცელდა თურქულ-ოსმალური დამწერლობა, თუმცა არც ქართული იყო დავიწყებული. XIX საუკუნის შუა ხანებიდან გავრცელებას იწყებს რუსული ენა და დამწერლობა. რუსულმა ადმინისტრაციამ, აფხაზეთში ქართული და ოსმალური კულტურული გავლენის შეზღუდვის მიზნით, საჭიროდ ჩათვალა შეექმნა რუსულ გრაფიკაზე დამყარებული აფხაზური ანბანი, რასაც მომავალში უნდა გაეადვილებინა აფხაზთა გარუსება. ასე იქმნება 1862 წელს პირველი აფხაზური ანბანი, რომელიც შემდგომ რამდენჯერმე შეიცვალა: 1926-1928 წლებში მოქმედებდა აკად. ნ. მარის მიერ შედგენილი ე.წ. ანალიტიკური ანბანი, 1928-1938 წლებში სარგებლობდნენ ლათინიზებული დამწერლობით, 1938-1954 წლებში მოქმედებდა ქართული გრაფიკის საფუძველზე შედგენილი ანბანი, ხოლო

1954 წლიდან კვლავ რუსული გრაფიკის საფუძველზე შემუშავებული ანბანი გამოიყენება. დამწერლობის ასეთი ხშირი ცვლა, რა თქმა უნდა, ნეგატიურ გავლენას ახდენდა აფხაზური კულტურის განვითარებაზე.

საცხოვრებელი გარემო და მეურნეობა. აფხაზურ სასოფლო თემს, რომელიც, როგორც წესი, რამდენიმე უბანს აერთიანებდა, დიდი ფართობი ეკავა – ზოგჯერ რამდენიმე ათეულ კვადრატულ კილომეტრამდე. სამოსახლოების გაფანტულობა აფხაზური სოფლისთვის დღესაც დამახასიათებელი ნიშანია. ძველებური ტიპის სახლი მრგვალი ან ოთხკუთხა ფორმის, ჩალით დახურული ფაცხა იყო. შეძლებული ოჯახების ეზოში, როგორც წესი, ორი სახლი იდგა: დიდი სახლი – სტუმრების მისაღებად და უფრო მცირე – ოჯახისათვის. გარდა ამისა, თუ ოჯახში ახლად დაქორწინებული შვილი იყო, მისთვის დამატებით პატარა ფაცხა იდგმებოდა. აფხაზური ეზოსათვის დამახასიათებელია აგრეთვე სამზადი სახლი მიწის იატაკითა და შუაცეცხლით. ფაქტობრივად, ოჯახის წევრები დროის დიდ მონაკვეთს სწორედ ამ სამზადში ატარებდნენ. პრივილიგირებული კლასის წარმომადგენელთა სახლები გლეხური ფაცხებისაგან ზომით, მასალითა და დაგეგმარებით განირჩეოდა. ყველაზე მსხვილი ფეოდალების სამოსახლოები კი ციხე-დარბაზული ტიპის ნაგებობებს წარმოადგენდა გამაგრებული კოშკითა და მტკიცე მესერით, რომელიც ღრმა თხრილით იყო გარშემორტყმული.

XIX საუკუნის შუა ხანიდან მოყოლებული, აფხაზურ სოფლებში დასავლურქართული ტიპის ოდა-სახლების მშენებლობა დაიწყო. თანამედროვე სოფელში უკვე ქვისა და აგურის ორსართულიანი და მრავალოთახიანი სახლები ჭარბობს.

აფხაზთა მეურნეობის ტრადიციული დარგებია ინტენსიური მიწათმოქმედება და მეცხოველეობა, დამხმარე – მეფუტკრეობა და მონადირეობა. სასოფლო-სამეურნეო კულტურებიდან წამყვანი ადგილი ეკავა სიმინდს, რომელმაც ნაწილობრივ დაჩრდილა ღომი, წარსულში დასავლეთ კავკასიის მოსახლეობის ძირითადი პურეული მარცვლოვანი. გარდა ამისა, მოჰყავდათ ქერი, ლობიო, მცირე რაოდენობით – ხორბალი.

მეურნეობის მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენდა მელვინეობა. ჯერ კიდევ XX საუკუნის დამდეგს მხოლოდ ბზიფის აფხაზეთში (ახლანდელი გუდაუთის რაიონი) – მელვინეობის ძირითად ზონაში – ყურძნის 30-ზე მეტი სხვადასხვა ჯიში იყო გავრცელებული, მთლიანად აფხაზეთში კი დაახლოებით ორჯერ მეტი. მაგრამ მას შემდეგ, რაც აქ ფართოდ დაინერგა ყურძნის ამერიკული მოსავლიანი ჯიში – იზაბელა (შემოიტანეს XIX საუკუნის ბოლოს), ადგილობრივი ჯიშების გავრცელება მნიშვნელოვნად შეიზღუდა, ზოგიერთი კი საერთოდ გაქრა.

აფხაზური სოფლები ხილის ბაღებით იყო მდიდარი, ხარობდა ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ატამი, გარგარი, თხილი, კაკალი, ლეღვი, ალუბალი და სხვ. მოჰყავდათ ბოსტნეული კულტურებიც, რომელთაც XIX საუკუნიდან კომბოსტო და კარტოფილი დაემატა.

ტექნიკური კულტურებიდან გავრცელებული იყო ბამბა, სელი, კანაფი, რომლებიც თითქმის ყველა ოჯახს მოჰყავდა, რაც ნატურალური მეურნეობის გადმონაშთი იყო. XX საუკუნეში აითვისეს მეთამბაქოეობა, მეციტრუსეობა, მეჩაიეობა.

აფხაზეთის მეურნეობის მეორე უმნიშვნელოვანესი დარგი იყო მეცხოველეობა. დიდი რაოდენობით ჰყავდათ მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი საქონელი (ძროხა, კამეჩი, თხა, ცხვარი), აგრეთვე ცხენი, სახედარი, ჯორი. ისლამის გავრცელებამდე ფართოდ მისდევდნენ მეღორეობასაც, რომელიც შემდეგ უფრო აფხაზეთის სამხრეთ ნაწილში შემორჩა. საქონელი ზამთარ-ზაფხულს, პრაქტიკულად, ღია ცის ქვეშ ატარებდა. გაზაფხულის ნაწილსა და მთელ ზაფხულს საქონელი მთაში ჰყავდათ. აფხაზები საზაფხულო საძოვრებად იყენებდნენ კავკასიონის როგორც სამხრეთ, ასევე ჩრდილოეთ ფერდობებს. წლის სხვა დროს სარგებლობდნენ ზღვისპირა და მთისწინა ზოლებში არსებული საძოვრებით.

აფხაზეთის ზღვისპირა რაიონებში XIX საუკუნეში გარკვეულ როლს ასრულებდა საზღვაო რეწვა. კერძოდ, ნადირობდნენ დელფინებზე, რომლის ქონს ბერძენი და თურქი ვაჭრები ყიდულობდნენ. დელფინზე სანადიროდ აფხაზები ზღვაში მთლიანი მორისგან გამოთლილი ნავებით გადიოდნენ. რუსი მოგზაური ფ. ტორნაუ, რომელმაც 1830-იან წლებში აღწერა დელფინების რეწვა აფხაზეთში, აღნიშნავს: „თევზაობის ეს წესი არც თუ უსაფრთხოა, რადგან ნავი ზოგჯერ იძირება დახოცილი თევზის სიმძიმისგან, ან ყირავდება დელფინის დაჯახებით, მაგრამ აფხაზებს ეს არ აშინებთ, ვინაიდან ისინი ისე ცურავენ, როგორც ველურები სამხრეთ ოკეანის კუნძულებიდან“.

აფხაზების ტრადიციული საკვებია ღომი, ლობიო, რძე, რძის პროდუქტები (განსაკუთრებით ყველი და მაწონი), მწვანილი, ხილი, ნიგოზი, თაფლი; ხორცეულიდან – საქონლის, თხის, ცხვრის, შინაური ფრინველის ხორცი. აფხაზური სუფრისთვის დამახასიათებელია აგრეთვე ცხარე საწებელი და „აფხაზური მარილი“ – აჯიკა.

ოჯახი და ოჯახური ყოფა. აფხაზებისათვის დამახასიათებელი იყო დიდი პატრიარქალური ოჯახები, მაგრამ XIX საუკუნეში უკვე მცირე მონოგამური ოჯახი ჭარბობდა. ამასთან, სამეზობლო თემში გამოიყოფოდა და დღესაც შემორჩენილია გვაროვნული გაერთიანებები.

აფხაზური წესებით, საქორწინო ურთიერთობებში მკაცრი ეგზოგამია იყო დაცული. ქორწინება იკრძალებოდა არამარტო ერთი გვარის წარმომადგენელთა შორის, არამედ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ორი სხვადასხვა გვარი, გადმოცემით, ერთი ძირიდან მომდინარეობდა. ეგზოგამური აკრძალვები ვრცელდებოდა დედისა და ბებიების გვარებზეც, თუმცა უკანასკნელ შემთხვევაში, ეს წესი ყოველთვის ზედმიწევნით არ სრულდებოდა. არ შეიძლებოდა აგრეთვე ქორწინება მამა და დედამძუძეობით დაკავშირებულ სახლებს შორის. საკმარისი იყო, ქალს ერთხელ მაინც მიეცა ძუძუ სხვა გვარის ბავშვისათვის, რომ ამ ოჯახებს შორის საქორწინო კავშირი დაუშვებელი ხდებოდა. ეგზოგამიური აკრძალვების დამრღვევებს, უპირატესად, გვარიდან გაძევებით სჯიდნენ.

ძველ აფხაზურ ოჯახში პატრიარქალური საწყისები იყო გაბატონებული. ყველა მნიშვნელოვან საქმეში საბოლოო გადაწყვეტილებას მხოლოდ ოჯახის მამა, უფროსი მამაკაცი იღებდა. ქონების გაყოფის დროსაც გარკვეული უპირატესობით ყველაზე უფროსი და უმცროსი ვაჟიშვილები სარგებლობდნენ. ქალის მდგომარეობა არ იყო თანასწორუფლებიანი. იგი მამისა და მეუღლის მორჩილი იყო, არ გააჩნდა მემკვიდრეობის უფლება. მაგრამ, ამავე დროს, ქალი ადათით დაცული იყო ქმრის მხრიდან რაიმე უსამართლო ქმედებისაგან. ასეთ შემთხვევაში, იგი თავისი ნათესავებისგან პოულობდა დაცვასა და დახმარებას.

აფხაზურ საზოგადოებაში ქალი (განსაკუთრებით ხანშიშესული) მნიშვნელოვან როლს თამაშობდა და ფრიად დაფასებულიც იყო. ქალი არასოდეს იფარავდა სახეს, მონაწილეობდა თანასოფლელთა თავყრილობებში, თავისუფლად იღებდა სტუმრებს. მისი თანდასწრებით დაუშვებელი იყო უხეში გამოთქმის ხმარება ან ჩხუბისა და აყალ-მაყალის ატეხვა. მამაკაცისთვის ქალზე შურისძიება სირცხვილად ითვლებოდა. სისხლის ძიების წესი ქალზე არ ვრცელდებოდა.

გაძიძების ტრადიცია (მამამძუძეობა). აფხაზებისა და ზოგი სხვა კავკასიელი ხალხის ტრადიციული კულტურის დამახასიათებელი ნიშანი იყო მამამძუძეობა (აფხ. ააძარა), რაც გულისხმობს ბავშვის გადაცემას აღსაზრდელად სხვა ოჯახისთვის, რომელიც, როგორც წესი, სოციალური „კიბის“ უფრო დაბალ საფეხურზე იდგა, ვიდრე ბავშვის ოჯახი. ამრიგად, პრივილეგირებული წოდების შვილები ძუძუმწოვრობიდან 8-13, ზოგჯერ კი 17-18 წლამდე, ქვემდგომი აზნაურებისა და გლეხების სახლებში იზრდებოდნენ. აღმზრდელი – მამამძუძე – აღსაზრდელ ვაჟს ასწავლიდა საზოგადოებრივი ქცევის ნორმებს, ცხენზე ჯდომას, იარაღის ხმარებას. მისი მეუღლე აღსაზრდელ გოგონას ასწავლიდა ხელსაქმეს, საოჯახო მეურნეობის გაძღოლას, ეტიკეტსა და სხვ. ახალგაზრდა ადამიანის მშობლიურ სახლში დაბრუნების შემდეგ აღმზრდელისა და გაზრდილის ოჯახებს შორის ახლო ურთიერთობა გრძელდებოდა. აღზრდილის ოჯახი ვალდებულად თვლიდა

თავს, მფარველობა გაეწია მამამძუძის ოჯახისა და მთელი მისი საგვარეულოსათვის. აფხაზეთში მამამძუძეობის ინსტიტუტი XX საუკუნის დამდეგამდე შემორჩა.

სისხლის აღება. მკვლელობის შემთხვევაში, სასამართლოს მხოლოდ ის ადამიანი მიმართავდა, ვისაც ძალა არ შესწევდა თვითონვე ეძია შური, ვინაიდან სისხლის აღების ძველი წესი მოკლულის ნათესავებისაგან მკვლელის ან რომელიმე მისი ნათესავის მოკვლას მოითხოვდა. ამ კანონის შეუსრულებლობა სირცხვილად ითვლებოდა. შურისძიებას ვადა არ ჰქონდა და ზოგჯერ იგი თაობიდან თაობაზე გადადიოდა. სისხლისღვრა განსაკუთრებით ფართო მასშტაბებს იძენდა, როდესაც მტრობა თავადურ სახლებს შორის ჩამოვარდებოდა. ასეთ შემთხვევებში ბრძოლაში ებმებოდნენ ამ თავადებზე დამოკიდებული აზნაურები და გლეხები. თუ დაუსრულებელი მტრობის შეწყვეტა სურდათ, არსებობდა სიტუაციიდან გამოსვლის გზებიც, მაგალითად, მიმართავდნენ საპატიო მოხუცთა შუამდგომლობას, რათა მათ დაეყოლიებინათ მოკლულის ნათესავები, სისხლის წილ მატერიალური ანაზღაურების მიღებას დათანხმებულიყვნენ. „სისხლის ფასი“ მოკლულის წოდებრივ კუთვნილებასა და საზოგადოებრივ მდგომარეობაზე იყო დამოკიდებული.

სტუმარ-მასპინძლობა. სტუმარმასპინძლობის კანონი წმიდათაწმიდად ითვლებოდა. ვახუშტი ბატონიშვილი წერს აფხაზებზე: „უყუართ სტუმარი და პატივსა უყოფენ, და შეიწყნარებენ ფრიად“. აფხაზის სახლი სტუმრისათვის ყოველთვის ღია იყო. ნებისმიერ მგზავრს, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, შეეძლო პირველივე ეზოში შესვლა და იქ მას დიდი პატივით მიიღებდნენ. სტუმარს არ ეკითხებოდნენ, ვინ იყო და რა საქმეზე მიდიოდა. მშვიდობით მოსულ მტერსაც კი ცუდს ვერ აკადრებდა მასპინძელი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ვალდებული იყო, თუნდაც საკუთარი სიცოცხლის ფასად, დაეცვა იგი. აფხაზებში, ისევე როგორც სხვა კავკასიელ მთიელებში, სტუმართმოყვარეობა სისხლის აღების კანონზე მაღლა იდგა.

ეპოსი და ხალხური ხელოვნება. აფხაზური ფოლკლორი მდიდარი და მრავალფეროვანია. უძველესი ეპიკური თქმულებები გვაროვნული წყობილების წიაღში იღებენ სათავეს. ასეთია, მაგალითად, თქმულება აბრსკილზე – სიკეთისა და სამართლიანობის ქომაგზე, რომელიც უცხოელთა შემოსევებისაგან იცავდა მშობლიურ მიწას, დევნიდა ბოროტ და მავნე ადამიანებს, მფარველობდა მშრომელ ხალხს. ამაყი აბრსკილი თვით ღმერთსაც არ ემორჩილებოდა. ამიტომ შეიპყრეს იგი ღვთის მსახურებმა და ღრმა გამოქვაბულში ჩაკეტეს.

აფხაზურ ზეპირსიტყვიერებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ნართების ეპოსს. ნართები იყვნენ ასი ძმა, რომელთა გმირული თავგადასავალი მრავალ სიმღერასა და პროზაულ თქმულებაშია გადმოცემული. ეპოსში განსაკუთრებით გამოირჩევა სასრიყვა, ყველაზე უმცროსი ნართი, მაგრამ საინტერესოდ არიან წარმოჩენილი სხვა პერსონაჟებიც. მათ შორის აღსანიშნავია ნართების დედა – სათანეი-გუაშა, რომლის მხატვრულ სახეში აშკარა მატრიარქალური ნიშნები იკვეთება.

არანაკლებ ძველია თქმულება ჯუჯა აწანების შესახებ, რომლებიც, ერთი ვერსიით, აფხაზეთის ტერიტორიაზე ნართებზე უფრო ადრე ცხოვრობდნენ, მეორე ვერსიით კი მათი თანამედროვენი იყვნენ.

აფხაზებში პოპულარულია სხვადასხვა სასიმღერო ჟანრები, ცეკვები, ეროვნული სპორტული თამაშობები.

§2. ოსები

ზოგადი ინფორმაცია. ოსებს სხვადასხვა სახელწოდებით იხსენიებენ ისტორიულ დოკუმენტებში: ბიზანტიურ, არაბულ, სპარსულ, სომხურ და დასავლეთევროპულ წყაროებში ისინი ზოგან ალანებად იწოდებიან, ზოგან – ასებად, რუსულ წყაროებში იასი ეწოდებათ, ქართულ წყაროებში – ოვსი ან ოსი. ქვეყანას, სადაც ოსები ცხოვრობდნენ, ქართველებმა ოვსეთი-ოსეთი შეარქვეს.

აქედან გავრცელდა თანამედროვე რუსული სახელწოდებები осетины, Осетия. თვითონ ოსები თავიანთ თავს ირონს (ирон) უწოდებენ, ხოლო თავიანთ ქვეყანას – ირისთონს (Ирыстон).

მეცნიერთა ერთი ნაწილი ოსებს სკვით-ალან-სარმატთა პირდაპირ შთამომავლებად მიიჩნევს. ოსური ენა განეკუთვნება ინდოევროპული ენების ჩრდილო ირანულ ჯგუფს. ოსები ლაპარაკობენ ორ დიალექტზე – ირონულსა და დიგორულზე. სალიტერატურო ენის საფუძველია ირონული დიალექტი.

განსახლება. ოსთა ჯგუფი, საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებს შორის, ერთ-ერთი მრავალრიცხოვანია. გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსთვის მათი რიცხვი მთელი ქვეყნის მასშტაბით შეადგენდა 164 ათასს და რაოდენობრივად მხოლოდ სომხებს, რუსებსა და აზერბაიჯანელებს ჩამორჩებოდა. საქართველოში ოსების რაოდენობის შემცირებაზე გავლენა მოახდინა 1990-იანი წლების დამდეგს სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე განვითარებულმა კონფლიქტმა.

1921 წლის საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ხელისუფლების დამხობისა და საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1922 წლის 20 აპრილს, საქართველოს შემადგენლობაში შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომლის დედაქალაქად გამოცხადდა ქ. ცხინვალი. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში შეყვანილ იქნა საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხეების ტერიტორიები.

1990-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლისა და საბჭოთა რესპუბლიკებში ნაციონალური მოძრაობების გაძლიერების ფონზე, საქართველოში ვითარება დაიძაბა, რასაც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის გაუქმება და კონფლიქტი მოჰყვა. კონფლიქტის შედეგად ოსთა გარკვეული ნაწილი საცხოვრებლად რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე გადავიდა.

2002 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგებით, ოსთა რაოდენობა 38 ათასი იყო, სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის მონაცემების გამოკლებით. საქართველოში მცხოვრებ ოსთა ძირითადი ნაწილი ცხოვრობს აღმოსავლეთ საქართველოში, უმეტესად შიდა და ზემო ქართლში, ნაწილობრივ – კახეთში (კერძოდ, პანკისის ხეობაში). ოსები კომპაქტურად არიან დასახლებული ზემო იმერეთსა და ზემო რაჭაში.

საქართველოში ოსთა დამკვიდრებას მეცნიერთა ერთი ნაწილი უძველეს დროს, III-IV ან VI-VII საუკუნეებს, უკავშირებს. საქართველოში ოსთა მასობრივი დასახლების პერიოდად ზოგიერთი მეცნიერი მონღოლთა შემოსევების ხანას – XIII-XIV საუკუნეებს ან შემდგომ პერიოდს მიიჩნევს. მკვლევართა ნაწილის აზრით, ოსები საქართველოში XVI-XVII საუკუნეებში დასახლდნენ, მათი ინტენსიური გადმოსახლება კი XVIII საუკუნეში ხდებოდა.

დასავლეთ საქართველოში ოსთა პირველჩასახლების ადგილია კუდარო, სადაც XVII საუკუნეში დაიწყო ოსთა ჩამოსახლება ჩრდილოეთ კავკასიიდან, ხოლო ზემო იმერეთსა და რაჭაში ოსები კუდაროდან გადავიდნენ XIX-XX სს.

ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ხალხსა და საქართველოს სახელმწიფოს შორის ეთნიკური და პოლიტიკური საზღვარი კავკასიონის ქედზე გადიოდა. იგივე ქედი ყოფდა საქართველო-ოსეთს, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ქართველთა და ოსთა ეკონომიკური, სამხედრო, კულტურული ურთიერთობისთვის. ეს კავშირები საუღელტეხილო გზებით ხორციელდებოდა, კერძოდ, ცენტრალურ კავკასიაში მნიშვნელოვანი იყო დარიალის ხეობის „არაგვის კარი“/ოვსთა კარი (ამჟამად საქართველოს სამხედრო გზა), უღელტეხილი „დვალეთის გზა“ – როკის უღელტეხილით, მამისონის გზა (რაჭაზე გადმომავალი) და სხვა გზა-ბილიკები.

საცხოვრებელი გარემო. საქართველოში ოსთა გადმოსახლების ძირითადი მიზეზები ეკონომიკური ხასიათის იყო – ოსები მიწის მწვავე სიმცირეს განიცდიდნენ და გამოსავალს მეზობელ ტერიტორიაზე ეძებდნენ. გარდა ამისა, მნიშვნელოვან მიზეზს წარმოადგენდა სისხლის აღების ტრადიციული წესი, რაც არცთუ იშვიათი იყო კავკასიელ მთიელთა შორის. საფრთხეს არიდებული მრავალი ოსიც მეზობელ ხალხებს აფარებდა თავს.

თავდაპირველად ოსები საქართველოს მთიანეთში სახლდებოდნენ. ძირითადად, ცალკეული ოჯახი გადმოდიოდა და სამოსახლოს რაციონალურად იყენებდა: საცხოვრებელ სახლს მაღლობზე იშენებდა, რათა ეკონომიურად გამოეყენებინა მიწის ფართობი (დაბლობს სამეურნეო დანიშნულება ჰქონდა) და საცხოვრებელიც მტრის მოსაგერიებლად მოხერხებული ყოფილიყო. ამ მიზნით პირველმოსახლე კოშკსაც აგებდა.

მიგრანტები ხშირად ქართველთაგან დაცლილ ნასოფლარებში სახლდებოდნენ და, უმეტესად, ძველ ტოპონიმებს უნარჩუნებდნენ სამოსახლოს. თავისუფალი ტერიტორიის ათვისების შემთხვევაში, დასახლება იწოდებოდა ოჯახის უფროსის სახელის ან გვარის მიხედვით. თანდათან გამრავლებული ოჯახი ნათესაურ წრეს ქმნიდა და დასახლებებიც ერთგვაროვანი იყო. ასეთ დასახლებას ანუ სოფელს ოსურად „ყაუ“ ეწოდებოდა. ამ ტერმინს ხშირად წინ უძღოდა სოფლის დამაარსებელი პიროვნების სახელი (მაგ., ზასეთაყაუ, ხუგათყაუ). სოფლის გამრავლების პირველ ეტაპზე განაყარი ოჯახები მამის სახლის ირგვლივ სახლდებოდნენ და დასახლება შეჯგუფულ ფორმას იღებდა. სოფლის ზრდის მომდევნო ეტაპზე ახალი განაყრები თავისუფალ სამოსახლოებს ითვისებდნენ და ახალი უბანი ჩნდებოდა, რომელიც სახელწოდებას რაიმე ნიშნით იღებდა – ზემო, ქვემო, გაღმა და სხვ. დროთა განმავლობაში სოფელს ახალი წევრებიც ემატებოდნენ – ჩასიძების, შვილად აყვანის, უცხო გვარის შემომატებისა და სხვ. შედეგად.

მთის დასახლებები მცირეკომლიანი იყო. საცხოვრებელი, ძირითადად, სწორი გადახურვის მქონე ნაგებობები, ქვისგან შენდებოდა. მაღალმთიანეთში საცხოვრებელი სახლი და სამეურნეო ნაგებობები ერთ ჭერქვეშ თავსდებოდა. პირველ სართულზე საქონელი იდგა და სასოფლო-სამეურნეო იარაღები ინახებოდა, მეორეზე – დიდ, ფართო საცხოვრებელში მთელი ოჯახი თავსდებოდა. მის გვერდით იყო შემოსასვლელი ფართი და საკუჭნაო.

ოჯახის წევრთა მატებისას სახლს ახალ ოთახს – „უათს“ მიაშენებდნენ ახალი წყვილისთვის და თანდათან ნაგებობა მოგრძო ფორმას იღებდა. მთაში გვხვდებოდა ციხე-სახლი, რომელიც საცხოვრებელი სართულის, საქონლის სადგომისა და ზემო – თავდაცვისთვის გამიზნული – სართულისგან შედგებოდა.

სოფლის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი იყო მამაკაცთა თავშეყრის ადგილი ნიხასი, რომელიც პირველმოსახლის ტერიტორიაზე ფუძნდებოდა და შემდგომაც საერთო-სასოფლო საკრებულოს ადგილად რჩებოდა. ნიხასზე მამაკაცები იკრიბებოდნენ თავისუფალ დროს სასაუბროდ, გასართობად და ხელსაქმობდნენ კიდეც, მაგალითად, ტყავს ქნიდნენ სპეციალური ხელსაწყოთი. ნიხასი იყო იმ შეკრებათა ადგილი, რომლებზეც ირჩეოდა საერთო-სასოფლო საჭირბოროტო საკითხები: საზღვრების დაცვა, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დაწყება-დამთავრება, ხიდების, გზების მოწესრიგება, ზნეობის დაცვა თუ დანაშაულში შემჩნეულთათვის სხვადასხვა სასჯელის განსაზღვრა. საკითხი ხმათა უმრავლესობით და უხუცესთა ავტორიტეტული გადაწყვეტილებით წყდებოდა. სოფელში ადათობრივი სამართალი მოქმედებდა.

მეურნეობა. საქართველოს მთიანეთში მეურნეობის ძირითადი დარგი მესაქონლეობა იყო. განსაკუთრებით მსხვილფეხა საქონელი ფასობდა. ძირითადად ქერი ითესებოდა, შეძლებისდაგვარად – ხორბალი, მისდევდნენ მეფუტკრეობასაც; მოყავდათ კარტოფილი, ჭარხალი, ხახვი, კომბოსტო, ბოლოკი, ლობიო, ნიორი. ოსები მისდევდნენ მეთევზეობას, მონადირეობას. დაბლობში ჩასახლებული ოსები მებაღეობასა და ზოგჯერ მევენახეობასაც ეწეოდნენ.

ოსები ამზადებდნენ ცნობილ ოსურ ყველს, რომელიც ძვირად ფასობდა, ქსოვდნენ ცნობილ ოსურ შალს, რომელსაც ჩერქეზულსაც კი ამჯობინებდნენ, გამოჰყავდათ ტყავეული, ქსოვდნენ ფარდაგებსა და სხვ. სამხრეთელი ოსები ხშირი სტუმრები იყვნენ საქართველოს ცნობილი ბაზრობებისა თბილისში, გორში, საჩხერეში, ონში და სხვაგან.

სამოსი. საქართველოში დაფუძნებულ ოსთა სამოსი ყოველი კავკასიელი მამაკაცისათვის, კერძოდ, მათი მამა-პაპისთვის დამახასიათებელი ჩოხა-ახალუხისა და შარვლისგან შედგებოდა, რომელიც ცნობილი ოსური შალისგან იკერებოდა.

საშინაო სამუშაო პირობებში სატარებელი ჩოხები უფრო მოკლე იყო (მუხლებამდე), გულზე ჯიბეები ჰქონდა და იაფფასიანი შალისაგან მზადდებოდა. მის შიგნით ახალუხს არ იცვამდნენ. საგარეო ჩოხა გრძელი იყო, გულზე სავაზნეებით გაწყობილი, სახელოებიც გრძელი და ფართე ჰქონდა. ახალუხი ჩოხაზე მოკლე იკერებოდა, ვიწრო სახელოებით, დამდგარი საყელოთი, რომელიც ღილებითა და თასმებით იკვრებოდა. მამაკაცის საგარეო კოსტიუმის აუცილებელი აქსესუარი იყო ვიწრო ტყავის ქამარი, ვერცხლის ან სპილენძის აბზინდით (ბალთით). მასზე ეკიდათ ხანჯალი. შარვალი უხეში, სახლში ნაქსოვი მაუდისგან იკერებოდა. ზამთარში ცხვრის ტყავის ქურქებს ატარებდნენ. ძალიან მიღებული იყო ნაბდის ტარება.

ოსები ფეხზე ზაფხულში მაუდის ან ტარსიკონის წუღებს იცვამდნენ, ზამთარში – ტყავისას; მამაკაცის სამოსს განეკუთვნება აგრეთვე ტყავის, მაუდის ან ნაქსოვი შალის მუხლისა თუ მუხლზემო სათბუნებლები. თავსაბურავად ოსი მამაკაცები ხმარობდნენ ნაბდის ცნობილ ოსურ ფართ ნაპირებიან ქუდებს, ფაფახებს, ყაბალახს.

ოსი ქალები იცმევდნენ ქვედა კაბას ზედა ჩასაცმელთან ერთად ან კაბას. საყოველდღეოდ ფართო „კოფთები“ გამოიყენებოდა, საგარეოდ – წელში გამოყვანილი, ღილებით და თასმებით შესაკრავი სამოსი. თავსაბურავად მხოლოდ თავშალს ან მანდილს ატარებდნენ. ფეხზე წაღები ეცვათ.

ოჯახი და ოჯახური ყოფა. საქართველოს მთიანეთში დამკვიდრებული ოსები, ჩამოსახლების პირველ ეტაპზე, ძირითადად, დიდ ოჯახებად, ანუ საოჯახო თემებად ცხოვრობდნენ შემდგომში – XIX საუკუნიდან – უკვე მცირე ოჯახები ჭარბობდნენ (განსაკუთრებით მთისწინეთში), თუმცა ტრადიციული საოჯახო თემები კვლავ შემორჩა სამხრეთელი ოსების ყოფაში. დიდი ოჯახები გაუყოფლად ცხოვრობდნენ 4-5 თაობის მანძილზე. საოჯახო თემი ცხოვრობდა ერთ სახლში, მოხმარებისა და ქონების ფლობის კოლექტიური პრინციპით.

ოჯახის მართვისა და საოჯახო საქმიანობის ორგანიზაციის სფეროში ოსები, ისევე, როგორც სხვა მეზობელი მთიელებიც, განმსაზღვრელ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ადამიანის სქესსა და ასაკს. გამოიყოფოდა, ერთი მხრივ, სამამაკაცო და სადედაკაცო, ხოლო, მეორე მხრივ, საუფროსო და საუმცროსო საქმეები. ბუნებრივია, რამდენიმე თაობისგან შემდგარი მრავალსულიანი სოციალური ერთეულის მართვა ტრადიციით შემუშავებული ნორმების დაცვის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა – ოჯახის ერთობას საფრთხე ემუქრებოდა. მთის მძიმე პირობებში ერთობის გარეშე ცხოვრება კი ძალიან ჭირდა.

როგორც საოჯახო თემში, ასევე ინდივიდუალურ ოჯახში, ყველაზე დიდი უფლებებით სარგებლობდა უხუცესი მამაკაცი – პაპა ან მამა, მისი გარდაცვალების შემდეგ, მომდევნო ასაკის მამაკაცი; ცხადია, იგულისხმება, რომ ის გონებრივად და ფიზიკურად ჯანმრთელი უნდა ყოფილიყო. საოჯახო თემისთვის უცხო იყო არჩევითობა. ოჯახის მეთაურად მთელი სიცოცხლის განმავლობაში რჩებოდა უხუცესი მამაკაცი. ოჯახის უფროსის ავადმყოფობის შემთხვევაში, იგი საპატიო უხუცესად რჩებოდა და ოჯახის მართვის სადავეები ასაკით მომდევნო წევრის ხელში გადადიოდა. უხუცესი მამაკაცის ავტორიტეტი გადამწყვეტი იყო არამარტო ოჯახის მართვის, არამედ საზოგადოებრივი ურთიერთობის სფეროშიც. თემის საერთო კრებაზე – ნიხასზე – ყოველი ოჯახის აზრს მისი უხუცესი წევრი წარმოადგენდა.

სამეურნეო სამუშაოებში მკაცრად იყო დაცული სქესობრივ-ასაკობრივი პრინციპი. სამამაკაცო საქმიანობას ანაწილებდა უხუცესი მამაკაცი, ხოლო სადედაკაცო საქმეების მოწესრიგება-განაწილებას ოჯახის უხუცესი დიასახლისი (афсин) ხელმძღვანელობდა, რომელიც ისევე პატივდებული იყო ოჯახში, როგორც მამაკაცი, თუმცა იგი „საკაცებო საქმეებში“ ოფიციალურად არ ერეოდა.

ოჯახის მამის სიცოცხლეში გაყრა, ოჯახის რღვევა დიდ სირცხვილად ითვლებოდა და პრაქტიკულად არც ხდებოდა. ოჯახის გაყრის შემთხვევაში (მამის გარდაცვალების შემდეგ), მიღებული იყო ქონების გაყოფა თაობებს შორის – საერთო საოჯახო ქონება იყოფოდა არა წევრთა

ან, თუნდაც, მუშახელის რაოდენობის გათვალისწინებით, არამედ ძმათა რაოდენობის მიხედვით. უფროსი ძმა დამატებით საუფროსო წილს იღებდა, რაც მიწის ნაკვეთისა და რამდენიმე სული საქონლისაგან შედგებოდა. უმცროს ძმასაც გამოეყოფოდა საუმცროსო წილი. ოჯახიდან გამოყოფილი ძმების სახლები მამის სახლის ირგვლივ ან სიახლოვეს შენდებოდა. მამის სახლი რჩებოდა ძმათა ოჯახების ცენტრად, მათი ერთობის გამოხატულებად. განაყარი ოჯახების შიგნით იგივე პროცესი გრძელდებოდა, კვლავ გამოიყოფოდა ახალი ოჯახები და მთელ ამ ერთობას ანუ ერთი მამის, წინაპრის შთამომავლებს აღნიშნავდნენ ტერმინით „фыдыфыртж“, რაც „მამის ვაჟებს“ ნიშნავს. ამ სანათესაოს ერთი ცეცხლიდან, კერიდან განაყრები ეწოდებოდა.

ნათესაური გაერთიანების წევრებს გარკვეული ურთიერთვალდებულებები ეკისრებოდათ. ისინი ერთმანეთს მხარში ედგნენ ჭირსა და ლხინში, როგორც ფიზიკურად, ისევე ნივთიერად. მტკიცედ იყო დაცული ეგზოგამია. ნათესავები იცავდნენ ერთმანეთის სიცოცხლეს და რომელიმე მათგანის მკვლელობის შემთხვევაში, სისხლის აღება ევალებოდათ. უწინარეს ყოვლისა, პირველი რიგის ნათესავი – მამა, შვილი, ძმა – იყო ვალდებული სისხლი აეღო, შემდეგ – ბიძაშვილობა.

ოსებისთვის ყველაზე ახლობლად სისხლით ნათესავი ითვლება, მაგრამ დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ეკიდებიან მოყვრობითა და ხელოვნური გზით შეძენილ ნათესავებსაც. მოყვრობითი ნათესაობა საქორწინო ურთიერთობებსა და ნორმებს ეფუძნება. ეს არის ორი ოჯახის, ორი გვარის დანათესავების შედეგად გაჩენილი უჯრედი. გამოიყოფა ქმრისა და ცოლის ნათესავთა კატეგორიები, რომელთაც თავისი მოვალეობები აკისრიათ ახალშექმნილი ოჯახის მიმართ.

ხელოვნური გზით წარმოქმნილი ნათესაური ურთიერთობები სხვადასხვა საფუძველს ემყარებოდა. ოსებში არსებულ ტრადიციათაგან აღსანიშნავია შვილად აყვანის წესი. ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ოსი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სისხლის სიწმინდეს და გვარის გაგრძელების აუცილებლობას, მაგრამ გარკვეულ ვითარებაში, უპირველეს ყოვლისა – უშვილობისას, ოჯახი შვილად იყვანდა ან ახლო ნათესავის ბავშვს (რაც უფრო სასურველად ითვლებოდა), ან უცხო გვარტომისას. ეთნოგრაფებს მრავლად აქვთ აღნუსხული შემოხიზნული უცხო პირის ოჯახში, გვარში მიღების მაგალითები (გამოსაცდელი პერიოდის შემდეგ). უფრო მეტიც, მესისხლეობის დროს, თუ მკვლელი მოახერხებდა მოკლულის დედის ძუძუს შეხებოდა, იგი ამ ოჯახში რძით დანათესავებულ ძმად და „რძით შვილად“ ითვლებოდა.

ოსებში ბევრს ჰყავდა ძმობილი როგორც ახლო გარემოდან, ისე მეზობელი კუთხეებიდან. დაძმობილება (ცეცხლით შეფიცული) გამყარებული იყო ერთგულებისა და მეგობრობის ფიცით, ხშირად არყის ან ლუდის შესმით (რომელშიც მტკიცე მეგობრობის ნიშნად ჩაგდებული იყო ვერცხლის ან სპილენძის ნივთი).

ქალებში მიღებული იყო დობილობა, ხოლო ქალსა და კაცს შორის – და-ძმობილობა. ხელოვნურად დანათესავებული ხდებოდა ახალშობილი ბავშვის მიმღები ბებიაქალის ან ბავშვის „მეორე დედის“ – რძით მკვებავის – ოჯახები. მეტად საპატიო ნათესაურ კავშირად ითვლებოდა ნათელმირონობა, რაც ოჯახებს შორის (რამდენიმე თაობაში) ეგზოგამიას ამყარებდა.

ქორწინება. ოსებში ახალი ოჯახის შექმნა მარტო ქალ-ვაჟის პასუხისმგებლობით არ ხდებოდა. თუ ახალგაზრდებს შეუბღალავი რეპუტაცია, ადათ-წესების დაცვა, შრომისადმი სიყვარული და სხვა პიროვნული ღირსებები მოეთხოვებოდათ, მათ ოჯახებს მრავალი პრობლემის გადალახვა უხდებოდათ, ვიდრე შვილების ბედი გადაწყდებოდა. ცხადია, ყოველი მშობლის სურვილი იყო ღირსეულ მოყვრებს დანათესავებოდნენ. გარდა ამისა, მეტად მნიშვნელოვანი იყო დაედგინათ მომავალი სასიძოსა თუ სარძლოს და, აგრეთვე, მათი ახლო სანათესაოს გენეტიკური წარსული ჯანმრთელობის მიხედვით. ამ მიზნით ხდებოდა, როგორც მთიელები იტყოდნენ, „ჯიშ-ჯილაგის“ გამოკვლევა. ამის შემდეგ იწყებოდა მზადება ქორწილისთვის. ქალის გასტუმრება ოჯახისთვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა – მას მზითევის სახით ატანდნენ ლოგინს და საოჯახო ნივთებს, ტანსაცმელს. სამხრეთელი ოსები (ჩრდილოელთაგან განსხვავებით) ქალს ერთ ძროხას ან რამდენიმე თხას თუ ცხვარსაც აძლევდნენ, რასაც ქართული ტერმინით – „სათავნო“ – აღნიშნავდნენ.

უფრო რთული ამოცანის წინაშე იდგა ვაჟის ოჯახი, რომელსაც გამოსასყიდი – ურვადი უნდა გადაეხადა – საქონელი, სპილენძის ჭურჭელი, ზოგჯერ ფულიც. ურვადს განსაზღვრავდა შეთანხმება, რაც ღარიბ ოჯახს მძიმე ტვირთად აწვებოდა (მითუმეტეს, თუ ქალი უფრო დაწინაურებული ოჯახიდან მოჰყავდათ), ურვადის რაოდენობა ნორმირებული არ იყო. მის გადახდაში ოჯახს ნათესავები, პირველ რიგში, ძმები ეხმარებოდნენ. იყო შემთხვევები, როდესაც უშვილობის გამო მეორე ცოლიც მოჰყავდათ. ქვრივის გათხოვება სასურველად არ ითვლებოდა, თუმცა იყო ლევირატის შემთხვევები, ანუ ქვრივს მაზლი ირთავდა. ბავშვების ინტერესების გათვალისწინებით, ზოგჯერ სორორატსაც ჰქონდა ადგილი – დაქვრივებული კაცი ცოლისდას თხოულობდა. საქართველოს ოსებში მკაცრად იყო დაცული ეგზოგამია. ქორწინება დაუშვებელი იყო არამარტო მოგვარეებში, არამედ დედის ხაზით ნათესავებს შორისაც.

დაკრძალვის წესი. ოსურ ტრადიციებს შორის მყარადაა შემორჩენილი მიცვალებულის კულტი – წინაპართა მიმართ პატივისცემა. ადამიანის გარდაცვალების ამბავს მაცნე ატყობინებდა არამარტო ნათესავებს, არამედ მთელ სოფელს. ყველა თანაუგრძნობდა ოჯახს გასაჭირში და ყოველი ნათესავი (თუ მეზობელი), ახლობლობის ხარისხის მიხედვით, ტრადიციულად დადგენილი ნორმების შესაბამისად ეხმარებოდა ნათესავ-მეგობარს.

შემორჩენილია ახლობლის დატირებისა და გლოვის წესები – ესეც ნათესაური ახლობლობის მიხედვით. შემორჩენილი წესის მიხედვით, ახლო ნათესავი ქალები კარის ზღურბლიდან მიცვალებულამდე მუხლებით მიდიოდნენ. მიღებულია მიცვალებულისთვის ღამისთევა. დაკრძალვის წესებიდან აღსანიშნავია ცხენის შეწირვის წესი (ადრეულ ხანაში პირდაპირი მნიშვნელობით, შემდგომ სიმბოლურად – ირგვლივ შემოტარებით). მაღალმთიანეთში მიცვალებულს მიწისზედა ან ნახევრად მიწისზედა საგვარეულო აკლდამაში კრძალავდნენ, XIX საუკუნის შუა ხანებიდან კი მიწაში მარხავდნენ.

§3. სომხები

ზოგადი ინფორმაცია. სომხები (თვითსახელი – ჰაი) წარმოადგენენ სომხეთის რესპუბლიკის ძირითად მოსახლეობას. სომხური ენა შედის ინდოევროპულ ენათა ოჯახში.

ამჟამად სომხები საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 6%-ს შეადგენენ. სხვადასხვა ოდენობით ცხოვრობენ ქვეყნის ქალაქებსა და რეგიონებში, განსაკუთრებით მრავლად არიან თბილისში, სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლში, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში.

ისტორიული ექსკურსი. სომხური მოსახლეობის პირველი ფენა საქართველოში ძვ. წ. II საუკუნის დამდეგს გაჩნდა, როდესაც სელევკიდური სირიის მეფის, ანტიოქ III-ის სარდლებმა არტაქსემ და ზარიადრმა სომხური სახელმწიფოები შექმნეს. ამის შემდეგ სომხურ-ქართული ურთიერთობა არ შეწყვეტილა და, ეპოქების შესაბამისად, სხვადასხვაგვარ ხასიათს ატარებდა.

ამ თვალსაზრისით, შეიძლება რამდენიმე ეტაპი გამოიყოს. VII საუკუნეში, საეკლესიო განხეთქილების შემდეგ, დიოფიზიტი სომხების ერთი ნაწილი, რომელმაც უარი თქვა მრწამსის შეცვლაზე, საქართველოში გადმოსახლდა.

უფრო მოგვიანებით სომხური ეთნიკური ჯგუფები გაუკაცრიელებულ ადგილებზე სახლდებოდნენ. მათ საქალაქო ცხოვრების გამოცოცხლებაშიც შეჰქონდათ მნიშვნელოვანი წვლილი. ამის მაგალითია დავით აღმაშენებლის მიერ გორში სომხების ჩამოსახლება. ასევე მრავლად იყვნენ სომხური წარმოშობის პირები საქართველოს მეფეთა სამსახურშიც.

გვიან შუა საუკუნეებში მრავალი სომეხი ტოვებდა ისტორიულ სამშობლოს, ვინაიდან იქ მათ ეროვნულ-პოლიტიკური თუ რელიგიური ნიშნით ავიწროებდნენ, ისინი სხვა ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოში, ეძებდა თავშესაფარს. სომხები, უპირატესად, მოსაზღვრე ქვემო ქართლში სახლდებოდნენ, იმ იმედით, რომ ხელსაყრელ შემთხვევაში თავიანთ სამშობლოში დაბრუნდე-

ბოდნენ. XV საუკუნის პირველ ნახევარში ლორის პატრონმა პეგინ ორბელიანმა ოსმალეთიდან დევნილი უამრავი სომეხი შეიფარა, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად თითქმის მთლიანად ამოჟლიტა 1440 წელს ლორეში შემოჭრილმა ყარა-ყოინლუს ფადიშაჰმა ჯეჰან-შაჰმა. იმ ხანებში ხშირი შემოსევებით გაუკაცრიელებული აღმოსავლეთ საქართველოს სოფლების დასახლებით ქართველი ხელისუფლებიც დაინტერესებული იყვნენ. XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე ქართლის მეფე კონსტანტინე II-ის ვაჟი ბაგრატ მუხრანბატონი ყარაბაღში ჩავიდა, ყმა გლეხები შეიძინა და მუხრანში დაასახლა, სადაც მათი შთამომავლობა დღემდე ცხოვრობს. სომეხმა მელიქებმა, აბოვმა და მეჯლუმმა, მეფე ერეკლე II-ს საქართველოში დასახლების ნება სთხოვეს. მეფემ შეიწყნარა აბოვის თხოვნა და თავისი ყმებიანად ქვემო ქართლში ჩამოასახლა, სოფელი ბოლნისი მისცა და კოლპის გზის დაცვა დაავალა. მეფე გიორგი XII-მ ქვემო ქართლში მელიქი ჯემშიდი ჩამოიყვანა გარკვეული პირობით: მას შეეძლო ეს ადგილი დაესახლებინა და მოეხმარა, „თუ არა და ისე სამეფო იყო, არა ჰქონდა ხელმწიფება გაყიდვისა“.

საქართველოს სამეფოს მმართველობა არათუ უპირისპირდებოდა სომეხ მიგრანტებს, არამედ პირიქით – ქმნიდა პირობებს ქართველი და სომეხი მოსახლეობის მშვიდობიანი თანაცხოვრებისათვის, ცდილობდა სომხური ეთნიკური ელემენტის ინტეგრირებას. ქართველი მეფეები (ერეკლე II, გიორგი XII) მათთვის შეღავათებს აწესებდნენ. სწორედ ამიტომ ჰქონდა უმნიშვნელო მასშტაბები უკუმიგრაციას.

ერთხანს ერეკლე II-ს სომხური კაპიტალის იმედი ჰქონდა და მისი საშუალებით ფიქრობდა ქვეყნის აღორძინებას. ამიტომ ფართოდ უღებდა კარს სომხებს. 1780 წელს ერევნიდან და 1787 წელს ყარაბაღიდან ერეკლემ 7000-ზე მეტი ადამიანი შემოიყვანა, თუმცა მათი ერთი ნაწილი მოგვიანებით განჯაში გადასახლდა. შემოდიოდნენ უფრო პატარა ჯგუფებიც, XVIII საუკუნის ბოლოს ირანელთა შემოსევებით შეწუხებული სომხების 50 ოჯახი ელიზავეტპოლიდან და შუშიდან სურამის „უბანში“ გადმოვიდა და სოფ. ვაკის საბატონო მიწაზე დასახლდა.

საქართველოში რუსეთის გაბატონების შემდეგ სომხური მოსახლეობის რაოდენობის გაზრდა ახალი მიგრაციების ხარჯზე მოხდა. 1804 წელს გენერალმა ციციანოვმა ქვემო ქართლში ერევნის სახანოდან 2000 ადამიანი ჩამოასახლა (მანამდე აქ 5000-მდე სომეხი ცხოვრობდა). ცარისტულმა მმართველობამ XIX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს ირანიდან და თურქეთიდან საქართველოში მრავალრიცხოვანი სომხური მიგრაციები განახორციელა. საქართველოში ირანიდან შემოსახლებული სომხები ქვემო ქართლში დაასახლეს, თურქეთიდან შემოყვანილნი კი, ძირითადად, სამცხე-ჯავახეთში.

1828-1829 წლებში რუსეთ-თურქეთს შორის დადებული ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულების ძალით, რუსებმა საომარი ოპერაციების დროს დაკავებული თურქეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი დატოვეს. იქ მცხოვრები სომხები მათ იარაღით უჭერდნენ მხარს, ახლა კი თურქების წინაშე მარტო დარჩენისა და ფიზიკური განადგურების საფრთხე დაემუქრათ. ამიტომ ისარგებლეს ადრიანოპოლის ხელშეკრულების იმ მუხლებით, რომელთა მიხედვითაც, მეომარი მხარეების მოსახლეობას უფლება ეძლეოდა, დაუბრკოლებლად გადასულიყო საცხოვრებლად ერთი ქვეყნიდან მეორეში და რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე გადმოსახლდნენ. 5 ათასი ოჯახი რუსეთის ხელისუფლებამ ახლად შემოერთებულ ქართულ მიწაზე, სამცხე-ჯავახეთში ჩაასახლა.

თურქეთიდან სომხური მიგრაცია საქართველოში მთელი XIX საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა. ამ პროცესმა განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათი მიიღო 1877-1878 წლებში რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ. იმ ხანებში საქართველოში უამრავი სომეხი ჩამოვიდა და, ძირითადად, შავი ზღვის სანაპირო რაიონებში დამკვიდრდა. 1895-96 წლებში თურქეთში მომხდარმა სომხების დევნამ ლტოლვილთა ახალი ნაკადი გამოიწვია. მთლიანად ამიერკავკასიაში შემოსული 25000 ლტოლვილიდან 19000 ქართულ რაიონებში დასახლდა. თურქეთიდან მრავალი სომეხი შემოვიდა 1915 წლის შემდგომაც, იქ განვითარებული ტრაგიკული მოვლენების შედეგად.

XIX საუკუნის 60-იანი წლებისათვის სომხები თბილისის გუბერნიის 267 დასახლებულ პუნქტში ცხოვრობდნენ. თითქმის ყველა სომხურ სოფელში იყო სომხური ეკლესია, ზოგან კი, მაგალითად, აგარაკში, ახპატში, სომხური სკოლებიც ჰქონდათ. მთლიანად სომხებით იყო დასახლებული მდ. დებედაჩაისა და ყაზახის მაზრას შორის მდებარე ველი. ძირითადად სომხებით იყო დასახლებული მდინარე დებედას აუზი და ლორეს სტეპი, თუმცა აქ ქართული, რუსული და ბერძნული სოფლებიც იყო. ნარევი – ქართული-სომხური – იყო ახტალის მოსახლეობა, ხოლო დებედას უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთით ქართული მოსახლეობა თითქმის არ დარჩა. მდინარე მაშავერასა და ქციის ზემოწელი, რომელიც ყაფლანიშვილებს ეკუთვნოდა, გაპარტახებული ყოფილა. აქ სომხურ მოსახლეობაში, მცირე რაოდენობით, ქართველებიც სახლობდნენ.

საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები. შენობა-ნაგებობების განლაგებით სომხური სოფლები ადგილობრივი ქართული დასახლებებისაგან თითქმის არ განსხვავდება. ტრადიციულად, სამცხე-ჯავახეთის სიმბიოზური, მიწათმოქმედება-მესაქონლეობით წარმოდგენილი მეურნეობისათვის დამახასიათებელი იყო კომპლექსური საცხოვრებელი და სამეურნეო, დარბაზული ტიპის ნაგებობები. დასახლებული პუნქტები ერთმანეთთან საიდუმლო ხვრელებით დაკავშირებული შენობებისაგან შედგებოდა, ეზოების უქონლობისა და ნაგებობების მაქსიმალური სიმჭიდროვის გამო, ასეთი დასახლება თითქმის შეუმჩნეველი იყო. სოფელს მტრის თვალისაგან ისიც იფარავდა, რომ სასოფლო სამეურნეო სავარგულები მოშორებით მდებარეობდა. მიწურბანიანი და სანახევროდ მიწაში ჩაფლული სოფლები ნაკლებად ზარალდებოდა მტრის თავდასხმისას.

სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა. ქალაქად მცხოვრები სომხები ხელოსნობასა და ვაჭრობას მისდევდნენ. საქალაქო ცხოვრების აღორძინებაში სომხურ ეთნიკურ ელემენტს დიდ როლს ანიჭებდნენ ქართველი მოღვაწენიც.

სოფლად მცხოვრები სომხები მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას მისდევდნენ. ისინი, ჩვეულებრივ, მტრის შემოსევებით გაპარტახებულ ქართულ სოფლებში სახლდებოდნენ.

სამოსი. სოფლად მცხოვრებ სომხურ მოსახლეობაში XX საუკუნის შუახანებამდე იყო შემონახული ტრადიციული კოსტიუმის ელემენტები, რომლებსაც თურქული და ქართული სამოსის გარკვეული გავლენა ეტყობოდა. ქალაქად კი XIX საუკუნეში ევროპულ ჩაცმულობაზე გადავიდნენ. მამაკაცები ეტანებოდნენ უსაყელო პერანგს („შაპიკ“), რომელზედაც გარედან მუხლებამდე სატინის სამოსს, ახლუხს, იცვამდნენ. ახალუხზე კი გრძელი ჩოხა ემოსათ. ჩოხაზე იკეთებდნენ ტყავის ვიწრო ქამარს. ზოგჯერ ეს ქამრები მასიური ოქროთი ან ვერცხლით იყო მოვარაყებული. ძვირფასი ქამრები განსაკუთრებით პოპულარული იყო თბილისელ კინტოებში. როგორც ამბობდნენ, ქამარი – ესაა „კაპიტალი დასაფლავებისათვის“. იცვამდნენ ფართო შარვალს, რომელსაც ჰქონდა ქამარი (ხვანჯარი – ხონჯარი).

ქალები გრძელი კაბის („ხალავ“) ქვემოთ ატარებდნენ გრძელ შარვლებს („ფოხან“). თბილისელ სომეხ ქალებს მდიდრულად მორთულ სამკერდიან პერანგზე („კრცკალ“) მთლიანი გრძელი კაბა ეცვათ. ქალები გამოირჩეოდნენ სამკაულებით, იყენებდნენ ნელსაცხებლებსა და ფერუმარილს. თურქეთიდან გადმოსახლებული სომხების ტანსაცმელი განსხვავდებოდა თურქული სამოსისაგან – მამაკაცები ახალუხის ნაცვლად ატარებდნენ ჟილეტის მსგავს სამოსს („ელაკ“), მასზე მოკლე (წელამდე) ქურთუკი ეცვათ. მათი შარვლებიც შედარებით ვიწრო იყო.

ოჯახი და ნათესაური კავშირ-ურთიერთობები. XX საუკუნის დამდეგამდე სოფლებში მცხოვრებ სომხებში გავრცელებული იყო მრავალთაობიანი ოჯახები. დიდი ოჯახებისათვის დამახასიათებელი იყო ოჯახის უფროსისადმი უსიტყვო მორჩილება, რაზეც სომხურ გარემოში მოხვედრილ არაერთ მოგზაურს გაუმახვილებია ყურადღება.

სომხური მოსახლეობა ნათესაობას აღნიშნავს ტერმინებით: „ჯინსი“ (არაბულად: ჯიში, გვარი, ეროვნება), „ტოჰმი“ (თურქულენოვანი ტერმინი) და „ცეღი“ (ტომი, ჯიში). ნათესავები ორ კატეგორიად იყოფოდნენ: ღვიძლ ნათესავებად, რაც აერთიანებდა ნათესავებს მესამე თაობამდე

და გარე ნათესავებად – მესამე თაობის ზემოთ. ნათესავებში განასხვავებდნენ მამის მხარის და დედის მხარის ნათესავებს. ცალკე გამოიყოფა ცოლის მხარის ნათესავებიც.

ცალკე უნდა გამოიყოს ნათლიობის. ორ ოჯახს შორის ნათლიობა თაობიდან თაობაზე გადადის. ერთი თაობის წარმომადგენელი მეორეო ოჯახის მეორე თაობის წარმომადგენლის ნათლიაა. ნათლული შემდგომში ნათლიის შვილის ნათლია ხდება და ა. შ. ამ ოჯახებს შორის მკაცრი ეგზოგამია მყარდებოდა.

ანალოგიური ვითარება სამცხე-ჯავახეთის ქართულ მოსახლეობაშიც ვლინდება, ოჯახი ოჯახს (ზოგჯერ გვარი გვარს) ედგა ნათლიად და ასე გრძელდებოდა თაობიდან თაობამდე, მაგრამ როლების შეცვლა, ე. ი. მირონის დაბრუნება, როგორც ეს სომხებში იყო მიღებული, არ შეიძლებოდა.

ქორწინება. ოჯახი და ნათესაური გარემო მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საქორწინო ციკლში. საპატარძლოსა და სასიძოს შერჩევას ქალ-ვაჟის ოჯახი, ტრადიციულად, დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა. მთავარი ყურადღება ექცეოდა სარძლოს ან სასიძოს ოჯახის სოციალურ და მატერიალურ მდგომარეობას, მათი მშობლების სანათესაო წრეს, თავად კანდიდატის პირად თვისებებსა და ჯანმრთელობას, შედარებით ნაკლები – საქმროს ან საცოლის გარეგნობას.

სარძლოს ძებნაში აქტიურობდნენ დასაქორწინებელი ვაჟის მშობლები, მათი ჩარევის გარეშე ახალგაზრდები ერთმანეთს ვერ დაუკავშირდებოდნენ. ცალკეულ შემთხვევებში, შეიძლება საქორწინო პარტნიორის კანდიდატურის შერჩევაში ქალ-ვაჟსაც მიეღო მონაწილეობა. ახალგაზრდებს შეიძლებოდა ერთმანეთი მოსწონებოდათ რელიგიური დღესასწაულების დროს (ყველიერი, აღდგომა, წყალკურთხევადა ა.შ.), რომლებიც სახალხო ზეიმის სახეს ატარებდა, თუმცა გადამწყვეტი სიტყვა თითქმის ყოველთვის მშობლებს ეკუთნოდა.

ნიშნობა უნდა გამართულიყო უქმე დღეებში, შაბათ-კვირას ან რომელიმე რელიგიურ დღესასწაულზე. ვაჟის მხრივ, მიდიოდა 4-5 კაცი, მათ შორის აუცილებლად უნდა ყოფილიყო ნათლია, ამ რიტუალს ასევე უნდა დასწრებოდა ქალის ნათლიაც. ვაჟის მხარე მიიტანდა ოქროს ბეჭედს, სამკაულებს, ყვავილების თაიგულს, სასმელს. სუფრასთან პირველად დასვამდნენ ვაჟის წარმომადგენლებს, შემდეგ – ქალის ნათესავებს. სარძლოს ნიშანს სადედამთილო გადასცემდა და თან დალოცავდა – „ერთ ბალიშზე დაბერდით და გამრავლდითო“. სომხურ ყოფაში, სრულწლოვანი წყვილის ნიშნობის გარდა, წინათ არსებობდა დაუბადებელ ბავშვთა ნიშნობა და აკვანში ნიშნობა. ნიშნობის შემდეგ სასიძო ესტუმრებოდა ხოლმე მოყვრებს, თან საჩუქრები მიჰქონდა ბოხჩით: თავსაფარი, ტკბილეული და ა.შ. მიღებული იყო საპატარძლოს მოიპატიჟებაც ვაჟის ოჯახში.

მომდევნო ეტაპი იყო ქორწილი ჯერ ქალის, ხოლო შემდეგ ვაჟის ოჯახში. აუცილებელი იყო ახალდაქორწინებულთა დასაჩუქრება. თანაც ხმამაღლა აცხადებდნენ, ვინ რა საჩუქარი მოიტანა. განსაკუთრებით ცდილობდნენ გამორჩეულიყვნენ ნათლიები. ვაჟის სახლში გამართულ ქორწილამდე ახალგაზრდები ეკლესიაში მიდიოდნენ ჯვრის დასაწერად. ახალგაზრდები პატარძლის ოჯახში ორ თეფშს მოიპარავდნენ, რომლებსაც ვაჟის სახლში შესვლის წინ ახალდაქორწინებულებს დაუდებდნენ ფეხქვეშ. წესით, ერთი თეფში პატარძალს, მეორე კი სიძეს უნდა გაეტეხა, რათა მომავალი თანაცხოვრებისას ორივეს თანაბრად შეძლებოდა გადაწყვეტილების მიღება.

მზითევის მომზადება და წესრიგში მოყვანა ქალიშვილის ოჯახისაგან მნიშვნელოვან მატერიალურ სახსრებსა და დროს მოითხოვდა, ამიტომ მისთვის მზადებას გოგონას მშობლები ხშირად მაშინ იწყებდნენ, როდესაც იგი ჯერ სულ პატარა იყო. მზითევში შედიოდა – ქვეშაგები, თეთრეული, სპილენძის ჭურჭელი, ძვირფასეული და ა.შ. ზოგიერთი სამზითვო ნივთი მემკვიდრეობითაც გადადიოდა დედიდან შვილზე.

დაკრძალვა. როდესაც ოჯახში ვინმე გარდაიცვლებოდა, პირველ ყოვლისა, მეზობლები მიივიდოდნენ სამძიმარზე, მიცვალებულს სამოსს გამოუცვლიდნენ. ადრე გარდაცვლილს მხოლოდ ერთ დღეს აჩერებდნენ შინ, მერე კი ეკლესიაში გადაჰყავდათ. წინათ მიცვალებულს მოკლე დრო-

ში კრძალავდნენ – დილით თუ გარდაიცვლებოდა, საღამოს დამარხავდნენ, საღამოს გარდაცვლილს კი – დილით.

მიცვალებულს სახლიდან მისი ახლო ნათესავები – შვილები, შვილიშვილები, მამა, სიძეები და ა.შ. გამოასვენებენ, გარეთ საგანგებოდ მოწყობილ ადგილას დაასვენებენ და გამოეთხოვებიან. შემდეგ ამ ადგილს სამჯერ შემოატარებენ და სასაფლაოზე წაასვენებენ. საფლავამდე მხოლოდ მამაკაცები უნდა მიჰყვნენ. აქ კიდევ ერთხელ მიუსამძიმრებენ ჭირისუფალს. სოფლებში საფლავის გაჭრაზე მეზობლები და ნათესავები მუშაობენ. ცდილობენ მიწის მიყრაში ყველამ მიიღოს მონაწილეობა.

ქელეხი შეიძლება მიცვალებულის ოჯახში ან სასაფლაოზე გაიმართოს. სასაფლაოზე ქელეხის ჩატარების წესი XX საუკუნის 90-იან წლებში გაჩნდა და ეკონომიკურ სიდუხჭირეს უკავშირდებოდა. ყველა ოჯახს არ ჰქონდა საშუალება, სუფრა ოჯახში გაეწყო და ამიტომ სასაფლაოზე გაშლილი შედარებით მწირი პურ-მარილით კმაყოფილდებოდნენ. სუფრაზე უნდა იყოს ლობიო, ხორცი და სხვა საჭმელები, ასევე სპირტიანი სასმელებიც. სადღეგრძელოებში მოიხსენიებენ გარდაცვლილსა და მის წინაპრებს. ახლობელ-ნათესავები და მეზობლები გარდაცვლილის ოჯახს მატერიალურადაც (ფულით) ეხმარებიან.

მიცვალებულის სულის მოხსენიება იციან გარდაცვალებიდან მეშვიდე და მეორმოცე დღეს და წლისთავზე. შეიკრიბებიან ახლობლები, წავლენ სასაფლაოზე, დაანთებენ სანთელს, მოიხსენებენ გარდაცვლილს და უკან ბრუნდებიან, სადაც მათ მიცვალებულის ოჯახი უმასპინძლდება. ითვლება, რომ გლოვა ორმოცისათვის მთავრდება. ორმოცს აკეთებენ არა მეორმოცე, არამედ გარდაცვალებიდან 39-ე ან მე-41 დღეს. ამ დღეს ჭირისუფალი წვავს შავ ტანსაცმელს, მამაკაცები იპარსავენ წვერს. ახლობელ-ნათესავებს რამდენიმე დღით ადრე მიიწვევენ. მიაჩნიათ, რომ მეორმოცე დღეს მიცვალებულის სული ოჯახს ტოვებს და ზეცაში მიემართება. სასაფლაოზე გადიან ყველა საოჯახო და ხალხურ დღესასწაულზე, მაგალითად, თუ სასიძოდ გამზადებულ ვაჟს მამა გარდაცვლილი ჰყავს, ქორწილის წინ მის საფლავზე გავა და სანთელს დაანთებს.

§4. აზერბაიჯანელები

ზოგადი ინფორმაცია. აზერბაიჯანელები (თვითსახელი – აზერბაიჯანლილარ) ცხოვრობენ სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში. კომპაქტურად არიან დასახლებული აგრეთვე საქართველოში (ქვემო ქართლში, კახეთში), დაღესტანში, ირანში. აზერბაიჯანელთა ფორმირებაში ადგილობრივ, ალბანურ ეთნიკურ სუბსტრატთან ერთად, მონაწილეობა მიიღო მოსულმა ირანულმა და თურქულენოვანმა, განსაკუთრებით ოღუზურმა და სელჩუკურმა ელემენტმა. აზერბაიჯანული ენა შედის ალთაურ ენათა ოჯახის თურქულ ჯგუფში.

სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში აზერბაიჯანელები დაახლოებით 7%-ს შეადგენენ, მათი საერთო რაოდენობის 19,2% ქალაქად ცხოვრობს, დანარჩენი – სოფლად. მათ საქართველოში ჩამოსახლების თავისებური ისტორია და ადაპტაციის მეტად რთული გზა განვლეს.

ისტორიული ექსკურსი. ადრეულ შუა საუკუნეებში თურქულენოვანი ტომების საქართველოში შემოსვლისა და დამკვიდრების შესახებ ცნობები არ მოიპოვება, მაგრამ მათი მოძრაობა მეზობელ სომხეთსა და ალბანეთში მიგვანიშნებს, რომ მეტ-ნაკლები ინტენსივობით მსგავს პროცესებს საქართველოშიც უნდა ჰქონოდა ადგილი. ზოგიერთი აზერბაიჯანელი ისტორიკოსი მიიჩნევს, რომ თურქულენოვანი ტომები (ბუნთურქები, საბირები) კავკასიაში და, კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს მიმდებარე ტერიტორიაზე ძვ. წ. IV საუკუნიდან ჩნდებიან.

თურქთა პირველი მასობრივი შემოსვლა-დამკვიდრება აღმოსავლეთ საქართველოში „დიდ თურქობას“ (XI საუკუნის 80-იანი წლებიდან) უკავშირდება. იქიდან მოკიდებული, სელჩუკები ყოველ წელიწადს მოდიოდნენ, უკან იშვიათად ბრუნდებოდნენ და აქვე სახლდებოდნენ. მომთაბარეთა ჩამოსახლება უფრო და უფრო ინტენსიურ ხასიათს ღებულობდა. დავით IV აღმაშენებლის

(1089-1125) მიერ ჩამოსახლებული ყივჩაყები ასევე თურქული მოდგმისა იყვნენ, მოგვიანებით მათი უმეტესობა კვლავ ჩრდილო კავკასიაში გაბრუნდა, ხოლო მეორე ნაწილი გაქართველდა.

XV-XVI საუკუნეებიდან მახლობელ აღმოსავლეთში მომხდარი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებების შედეგად აღმოსავლეთ საქართველოში დაიწყო თურქმანული მოდგმის ტომების ჩამოსახლება, მაგრამ XVII საუკუნემდე მომთაბარე თურქმანების ჩამოსახლებასა და დამკვიდრებას, ძირითადად, ფრაგმენტული ხასიათი ჰქონდა და ისინი ადვილად ახერხებდნენ ქართულ მოსახლეობასთან ინტეგრაციას.

XVII საუკუნის დამდეგს შაჰ-აბას პირველმა ქართლის მეფე გიორგის საჩუქარი მოსთხოვა, სანაცვლოდ კი ირანში რამდენიმე სოფელი და 300 თუმანი შესთავაზა. შაჰმა „ნაჩუქარ“ მიწაზე ლორეს სახანო შექმნა, იქ ბორჩალოს მუსლიმი ტომები ჩამოასახლა. ლორეს ხანად გამუსლიმებული ქართველი ფეოდალი დანიშნეს. შაჰ-აბასმა ანალოგიური პოლიტიკა გაატარა კახეთშიც. მან კახეთის მეფისაგან კაკ-ენისელი იჩუქა და მომთაბარეთა ჩასახლება დაიწყო, ადგილობრივი მოსახლეობა კი აყარა და ირანში გადაასახლა.

ერეკლე II-ის მეფობისას, ისტორიკოს პაპუნა ორბელიანის ცნობის თანახმად, „დაიცალა საბარათაშვილო, სომხითი, ორბელიანთ მამული და ზოგი გავიდა კახეთს, ზოგი ავიდნენ ზემო ქართლში...“. სწორედ ამ მოვლენებს უკავშირდება XVIII საუკუნეში ერეკლე II-ის მიერ ეთნიკურად არაქართველების მეშვეობით გაუკაცრიელებული მიწების შევსების მცდელობა. XVIII საუკუნის შუა წლებში ერეკლე II-ს მუღანის ველიდან გადმოუსახლებია სპარსელებისაგან შევიწროებული 250 თურქმენული ოჯახი, მათგან შეიქმნა სოფლები: მუღანლო, ყაფანახჩი და ყიზილჰაჯილი, რომლებიც დღეს მარნეულის რაიონში მდებარეობს. ქართლ-კახეთის მეფე მუდმივად აკვირდებოდა მიგრანტებს და არ აძლევდა მათ ქვეყნიდან წასვლის საშუალებას. 1755 წელს მან უკან დააბრუნა ერევნის სახანოსა და ყარა სუზე გადასახლებული ბორჩალოელები.

საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები. მომთაბარეთა ცხოვრების სტილი და ნაგებობა-დასახლებათა ფორმები ტრადიციული, მომთაბარე ცხოვრების უმკაცრეს კანონებთან იყო შეგუებული. მყარი, მკვიდრად ნაგები, სამეურნეო და საცხოვრებელი ნაგებობები ამგვარი ცხოვრების წესთან შეუსაბამო იყო, მომთაბარეობისათვის უფრო მოსახერხებელი იყო მარტივი კარვები. XVI საუკუნის ინგლისელი მოგზაური ანტონი ჯენკინსონი აღნიშნავდა, რომ თურქმანული ტომები ერიდებოდნენ დაპყრობილ ქალაქებსა და სოფლებში დაბინავებას და მათი გვერდის ავლით, სტეპებში მომთაბარეობდნენ. თითოეული ურდო ცალკე ჩერდებოდა და კარვებს ურდოს მეთაურის კარვის ირგვლივ დგამდა. იქვე აბინავებდნენ საქონლის ჯოგსაც, რომელსაც ტვირთის გადასაზიდი საჭაპანო ტრანსპორტით შემოზღუდავდნენ, რითაც მტრისგან თავდასაცავ გამაგრებულ პუნქტს ქმნიდნენ. საქართველოში შემოსახლებულ მომთაბარეებს მზა საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები დახვდათ, რადგან, ძირითადად, აყრილი მოსახლეობის ნაცხოვრებ ადგილებში მკვიდრდებოდნენ. დროთა განმავლობაში ხდებოდა მომთაბარე ელთა ადაპტაცია ადგილობრივ სამეურნეო-ეკოლოგიურ გარემოსთან, რასაც მათ მიერ ადგილობრივი საცხოვრებელი ტიპის ათვისება მოჰყვა. ჩამოსახლებულთა ერთი ნაწილის ადგილებზე დამაგრებასა და მკვიდრ საცხოვრებელ ნაგებობებში დაბინავებას ირანელი მოხელეებიც უწყობდნენ ხელს. მოჰამედ თაჰერის ცნობით, საქართველოში საცხოვრებლად გამოგზავნილ ელებს კალატოზებსაც აყოლებდნენ თან, რომელთაც მათთვის საცხოვრებელი სახლები უნდა აეგოთ. სავარაუდოდ, ეს სახლები ამიერკავკასიისათვის ტიპური გვირგვინიან-ერდოიანი სახლის ადგილობრივ ვარიანტს წარმოადგენდა.

საქართველოს აზერბაიჯანელთა შორის დიდხანს იყო გავრცელებული ტრადიციული მიწური ნაგებობა „ყარადამი“ (შავი სახლი). ყარადამი კომპლექსური ნაგებობაა, სადაც ერთ ჭერქვეშ რამდენიმე სათავსოა განლაგებული, მათ შორის – საქონლის სადგომი ბოსელიც. ყარადამის სახურავი წარმოადგენდა ყელისაკენ დავიწროებულ საფეხუროვან პირამიდას, რომელიც ოთხ

მსხვილ ხის ბოძს ეყრდნობოდა. ყარადამში ჰაერი და სინათლე გვირგვინის ყელიდან შემოდიოდა, აქედანვე გადიოდა შუაცეცხლის კვამლი. ყარადამი გარედან თითქმის არ ჩანდა და უფრო ყორღანს წააგავდა, რომელშიც ვიწრო ბნელი დერეფანი შედიოდა. ამგვარი ნაგებობის ავეჯი და დგამ-ჭურჭელი მეტად უბრალო იყო. იდგა ხის ყუთები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისათვის, ასევე სკივრები და ხის გრძელი ტახტები. აქვე იყო ფქვილის შესანახი თხის ტყავის ტომრები და ორმო ხორბლისათვის. ოთახის გასანათებლად იყენებდნენ ნავთის ლამპას ან ჭრაქს. იატაკი ნაწილობრივ ხალიჩებით იყო მოფენილი.

ბოლო დროს რადიკალურად შეიცვალა დასახლების სტრუქტურა და საცხოვრებელი ნაგებობები. მიწურბანიანი სახლების ადგილი დაიჭირა ერთ და ორსართულიანმა კაპიტალურმა ქვის ნაგებობებმა. დასახლებების ცენტრში გაჩნდა სავაჭრო, სასწავლო და კულტურული დაწესებულებები. XX საუკუნის ტიპური აზერბაიჯანული სოფლის ცენტრში იყო სალაყბო, სადაც წყდებოდა საჭირბოროტო საკითხები, იქვე ჰქონდათ წყარო პატარა აუზითურთ, საიდანაც სოფელი სასმელ წყალს ეზიდებოდა და საქონელს არწყულებდა. აზერბაიჯანული დასახლებები, უმეტესად, მდინარეებისა და სარწყავი არხების სანაპიროებზე იყო განლაგებული.

მეურნეობა. საქართველოში, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისაგან განსხვავებით, მომთაბარული ექსტენსიური მეურნეობისათვის საჭირო სამეურნეო ბაზა ნაკლებად იყო, ამიტომ აზერბაიჯანლებმა ადგილობრივ ტრადიციულ სიმბიოზურ მეურნეობაზე თანდათანობით გადასვლა დაიწყეს. ვახუშტი ბატონიშვილის თანახმად, უკვე XVIII საუკუნისათვის ისინი „სახლობენ ქციამდე ველსა ზედა, დასთესენ ყოველსა მარცვალსა“.

მესაქონლეობის შეზღუდვის ხარჯზე თანდათანობით გაიზარდა მიწათმოქმედების ხვედრითი წილი. XX საუკუნისათვის აზერბაიჯანელებით დასახლებულ სოფლებში განვითარებული იყო მემარცვლეობა (ხორბალი, სიმინდი), მებაღჩეობა (კომბოსტო, პომიდორიდა ა.შ.) და მევენახეობაც კი.

სამოსი. აზებაიჯანელი ქალის ტრადიციულ სამოსი XX საუკუნის შუა ხანებამდე იყო ქვედა და ზედა კაბა, სახეს იგი ჩადრით იფარავდა. მდიდარი ქალები ატარებდნენ ოქროს სამაჯურებს, ძვირფასი ქვების მძივებსა და საყურეებს. მამაკაცის სამოსს შეადგენდა საცვალი, კალსონი, ზემოდან შარვალი, ახალოხი და ჩოხა. ასევე აუცილებელი ატრიბუტი იყო ქუდი („ფაფახი“), რომლის ქვეშაც ატარებდნენ მოქარგულ ქუდს.

თანამედროვე აზერბაიჯანული სამოსი ევროპული ყაიდისაა, თუმცა რამდენიმე ნაციონალურ ელემენტსაც შეიცავს. ჩადრის ადგილი დაიჭირა თავსაფარმა, რომლის ტარებაც აუცილებელია ქალისა და სრულწლოვანებას მიღწეული გოგონასათვის. ასევე ნაწილობრივ შემონახულია ფაფახის ტარების ტრადიცია ხანდაზმულთა შორის.

ოჯახი და ქორწინება. აზერბაიჯანულ თემში ოჯახის შარიათის მოთხოვნათა საფუძველზე აგებას ხანგრძლივი ტრადიცია აქვს; დღესაც გვხვდება მრავალცოლიანობა, დროებითი ქორწინება, სყიდვითი ქორწინება, შედარებით დაბალი საქორწინო ასაკი, საქორწინო ურთიერთობისას ქალის სურვილის გაუთვალისწინებლობა და ა. შ.

ოჯახი წარმოადგენს სისხლით მონათესავე კოლექტივს, რომელსაც სათავეში უდგას ოჯახის უფროსი მამაკაცი, „აღსაკალი“. XX საუკუნის შუა ხანებამდე ჯერ კიდევ არსებობდა დიდი, მრავალთაობიანი პატრიარქალური ოჯახები. ამგვარ ოჯახებში ერთად ცხოვრობდა რამდენიმე თაობა და რამდენიმე დაქორწინებული წყვილი (გაუყრელი ძმები თავიანთი ცოლ-შვილით). პატრიარქალური ოჯახი ხასიათდებოდა ოჯახის უფროსის ძლიერი ძალაუფლებით. XX საუკუნის ბოლოსათვის ასეთი ოჯახები თითქმის აღარ დასტურდება.

საპატარძლოსა და სასიძოს შერჩევას ქალ-ვაჟის ოჯახი ტრადიციულად დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება. მექორწინეთა სავარაუდო წრე საკმაოდ ფართოა, რადგან, თეორიულად, შეიძლება დააქორწინონ ახალგაზრდები, თუ ისინი ახლო სისხლით ნათესავები ან ხელოვნური ნათე-

სავები არ არიან და ისლამს აღიარებენ. უცხო ოჯახების დამოყვრების ინიციატორად, ჩვეულებრივ, შუამავალი ქალი გვევლინება, რომელიც მოლაპარაკებას წარმართავს ქალ-ვაჟის მშობლებს შორის, რადგან ქორწინების დროს გადამწყვეტი სიტყვა მათ ეკუთვნით. ყურადღება ექცევა სარძლოს ან სასიძოს ოჯახის ქონებრივ მდგომარეობასა და რეპუტაციას, პრეტენდენტის მშობლების ნათესაურ წრეს, მათ ავტორიტეტს, თავად კანდიდატის პირად თვისებებს და ჯანმრთელობას. ამ დროს შედარებით უკანა პლანზე დგას საქმროს ან საცოლის გარეგნობა.

ნათესავების შეუღლება რეგულირებულია შარიათის ნორმებით. მუსლიმური სამართალი კრძალავს მხოლოდ პირველი მუხლის ნათესავებს (და-ძმების) და თაობებს (მშობლები და შვილები, შვილები და მშობლების დედმამიშვილები) შორის ქორწინებას. გარდა ამისა, ქმარს არ შეუძლია მომდევნო ცოლებად თავისი ცოლის ახლო ნათესავები მოიყვანოს, ვიდრე ცოლი ცოცხალია ან მასთან საბოლოოდ არ გაყრილა. არც ქალს შეუძლია ცოლად გაჰყვეს ქმრის ნათესავს, ვიდრე ქმარი ცოცხალია, მაშინ როდესაც ასეთი ქორწინება დაქვრივების შემთხვევაში ერთგვარ აუცილებლობასაც კი წარმოადგენს.

მუსლიმური ტრადიციით, დაქორწინება მხოლოდ სრულწლოვან ადამიანებს შეეძლოთ. სრულწლოვანად თხუთმეტი წლის ვაჟი და ცხრა წლის ქალი ითვლებოდა. სინამდვილეში, ცხრა წლის ასაკში გოგონას უიშვიათესად ათხოვებდნენ. შესაძლოა, უფრო მცირეწლოვანი წყვილიც დაენიშნათ, მაგრამ საქორწინო ასაკად ქალებში თორმეტი-ცამეტი, ხოლო ვაჟებში ჩვიდმეტი-თვრამეტი წელი იყო მიღებული.

საქორწინო მოლაპარაკებათა პირველ ეტაპზე (შერჩევა, გაკითხვა) აქტიურობას ქალები იჩენდნენ, შემდეგ საქმეში მამაკაცები ებმებოდნენ. საპატარძლოს სახლში მიდიოდნენ ვაჟის მამა, ბიძები ორივე მხრიდან და სასიძო. დიდი ყურადღება ექცეოდა დელეგაციის შემადგენლობის სოლიდურობას. ანდაზის თანახმად, „ცხენის საყიდლად ახალგაზრდები უნდა წავიდნენ, ქალის სათხოვნად კი – მოხუცები“. თავის უახლოეს ნათესავებს იწვევდა ქალის მამაც. ამ ცერემონიალში დაუპატიჟებლობას ახლო ნათესავები დიდ შეურაცხყოფად მიიჩნევდნენ და ასეთი პირი, როგორც წესი, ნიშნობა-ქორწილზე აღარ მივიდოდა. ქორწინების მნიშვნელოვან მატერიალურ წინაპირობას წარმოადგენს საქორწინო გამოსასყიდი „ყალიმი“. ყალიმის ოდენობის შესახებ მხარეები წინასწარ თანხმდებოდნენ.

შემდეგი ეტაპი საქორწინო ციკლში არის ნიშნობა. აზერბაიჯანელთა ყოფაში სრულწლოვანი წყვილის ნიშნობის გარდა, ადრე გვხვდებოდაა დაუბადებელ ბავშვთა ნიშნობა და აკვანში ნიშნობა. ნიშნობაში მუსლიმური რელიგიის გავლენა შეიმჩნეოდა. ეს განსაკუთრებით ეტყობოდა სუფრასა და ტრადიციული ხონჩის შემადგენლობას – ალკოჰოლური სასმელები იკრძალებოდა და საქორწინო ციკლის ეს ეტაპი მოლას მონაწილეობით მიმდინარეობდა. ნიშნობაზე იწვევდნენ მოლასა და უახლოეს ნათესავებს. თეორიულად, არსებობდა შესაძლებლობა, ნიშნობის დროს საპატარძლოს არასასურველი ქორწინება ჩაეშალა, რადგან მოლას არ ჰქონდა უფლება ქალის ნების გარეშე დაექორწინებინა იგი, მაგრამ პრაქტიკულად ასეთი შემთხვევა იშვიათია.

უკანასკნელ ხანებში ნიშნობის რიტუალში აღარ ხდება სასიძოსა და საპატარძლოს იზოლაცია ერთმანეთისგან. თუ XX საუკუნის 80-იან წლებამდე საპატარძლო მხოლოდ ქალებს შეეძლოთ ენახათ, ხოლო სასიძო თავის ნიშნობას არ ესწრებოდა, XX საუკუნის ბოლოსათვის, ცალკეულ შემთხვევაში (უფრო ქალაქად), მას შემდეგ, რაც საპატარძლოს სადედოფლო ტანსაცმლით შემოსავდნენ, იგი რიტუალის დანარჩენ მონაწილეებს უერთდებოდა, აქვე იმყოფებოდა სასიძოც.

ქორწინებამდე რამდენიმე თვით ან დღით ადრე აუცილებელი იყო სასულიერო პირს მკაფიოდ დაეზუსტებინა მხარეების თანხმობა ქორწინებაზე და შეედგინა დოკუმენტი, სადაც დაწვრილებით იქნებოდა აღნუსხული პატარძლის მზითევის შემადგენლობა და საქმროს მიერ გაღებული თანხა.

მუსლიმური სამართლის ნორმებით არსებული გაყრის ოთხი სახეობიდან ორი მამაკაცს უფლებას აძლევდა ცოლისათვის გაყრის საფასურად საჩუქარი მოეთხოვა. შარიათის თანახმად, ამ

საჩუქრის რაოდენობას არ უნდა გადაეჭარბებინა ქალის მზითევის საერთო ღირებულებისთვის, რადგან ქალს სხვა საკუთრება არ გააჩნდა. ქალი საჯაროდ წარმოთქვამდა ფორმულას: „უარს ვამბობ მაჰრზე, გაათავისუფლეთ ჩემი სული“. ამის შემდეგ იგი პირადად თავისუფალი იყო, მაგრამ ქმრის ოჯახიდან რაიმე წილის მოთხოვნა არ შეეძლო.

ქალიშვილისათვის სათანადო მზითევის გაწყობას აზერბაიჯანელები ოჯახის ღირსების საქმედ მიიჩნევენ, ამიტომ მზითევის შედგენილობის დაზუსტება წინასაქორწინო მოლაპარაკებისას ხდება, მას შემდეგ, რაც მხარეები გამოსასყიდის („ყალიმის“) რაოდენობაზე შეთანხმდებიან. ქალის მხარე მზითევის მეშვეობით ყალიმის გაზრდას ცდილობს, ვაჟის მხარე კი – მზითევში ქალის მამის წილის გაზრდას, რადგან მზითევის ნაწილი ქალიშვილის ოჯახის ხარჯებით იყო მომზადებული. მზითევი ქალის პირად საკუთრებად ითვლებოდა, მაგრამ იგი ქმრის ოჯახის კეთილდღეობას ხმარდებოდა.

მზითევის მომზადებაში მონაწილეობას ღებულობდა სასიძოს ოჯახი, რომელიც საპატარძლოს უგზავნიდა მატყლს სამზითვო ლოგინისათვის, სპილენძის ჭურჭელს და სხვ. მზითევს ხმარდებოდა ყალიმის გარკვეული ნაწილიც.

აზერბაიჯანელებში ბოლო დრომდე გვხვდებოდა მოტაცებით ქორწინებაც. უკანასკნელ ხანებამდე შემორჩენილი ქორწინების ამგვარი წესი განსხვავდება კავკასიის ქრისტიან ხალხებში გავრცელებული ანალოგიური მოვლენისაგან და შარიათის ნორმებით განპირობებულ ცალკეულ ნიშნებს შეიცავს. მოტაცებას ხალხი უარყოფითად ეკიდებოდა და იგი ხშირად კონფლიქტური სიტუაციების მიზეზი ხდებოდა.

დაკრძალვა. აზერბაიჯანელთა ყოფით რიტუალებში ყველაზე არქაულად მიჩნეულია დაკრძალვის ცერემონიალი, რომელიც მუსლიმურ ტრადიციაზეა აგებული და, ამასთანავე, უამრავ ისლამამდელ რიტუალსაც შეიცავს. მომაკვდავს აწვენენ ზურგზე ყიბლას (სამხრეთის) მიმართულებით. შემდეგ კითხულობენ შაჰადათის ლოცვას (სასურველი იყო ეს ლოცვა თავად მომაკვდავს მოესმინა). აუცილებელია გარდაცვლილის სამჯერ წყლით ან ქვიშით განბანვა. შარიათი კრძალავს გარდაცვლილის ტანსაცმლით დამარხვას, იგი თეთრი ტილოს სუდარაში გახვეული, რაც შეიძლება მალე უნდა დაიკრძალოს. საფლავს ოჯახის ახლობელი პირები ჭრიან. მისი სიღრმე დამოკიდებულია გარდაცვლილის სქესზე: ქალის საფლავი მკერდამდე, ხოლო მამაკაცის – წელამდე ითხრება.

მთელ სოფელს საერთო „ჯანაზა“ (მიცვალებულის საფლავამდე მისატანი ხის ან ლითონის ჭურჭელი) ჰქონდა. მიცვალებული არ უნდა შეხებოდა მიწას, ამიტომ საფლავს ქვით, აგურით ან ფიცრით ამოაშენებდნენ, ზემოდან ხის მასიურ ფიცრებს აწყობდნენ და ისე აყრიდნენ მიწას. დაკრძალვის შემდეგ, საღამოს, საფლავზე ცეცხლს ანთებდნენ, რომლითაც მიცვალებულს საიქიოსკენ უნდა გაეკვალია გზა. ეს რიტუალი ზოროასტრიზმის გადმონაშთად ითვლება. ქელეხისთვის საგანგებო რბილ ლავაშებს – „არატიჩ“-ს – აცხობდნენ, აუცილებელი იყო ასევე ჰალვა და ჩაი. დაკრძალვიდან სამი, შვიდი, ორმოცი და ორმოცდათორმეტი დღის შემდეგ, აგრეთვე ყოველ ოთხშაბათს შეკრებები იმართებოდა. ამ შეკრებებზე მოდიოდნენ უახლოესი ნათესავები და კითხულობდნენ ყურანს. აზერბაიჯანელებში გვხვდება როგორც მუსლიმურ ყაიდაზე – ნახევარმთვარითა და ვარსკვლავით მოწყობილი, ასევე მიცვალებულის სურათიანი სასაფლაოები.

§5. ებრაელები

ზოგადი ინფორმაცია. ებრაელები სემიტური მოდგმის უძველესი ხალხის საერთო ეთნიკური სახელია. ამ ერის ფორმირებასა და ისტორიაში გადამწყვეტი როლი მონოთეისტურმა რელიგიამ – იუდაიზმმა შეასრულა. ებრაელები სახლობენ სხვადასხვა ქვეყანაში და ჩაბმულნი არინ მათი მოსახლეობის საერთო ეკონომიკურ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვ-

რებაში. 1948 წელს, გაეროს გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით, შეიქმნა ებრაელთა სახელმწიფო ისრაელი, რომლის ოფიციალური ენაა ივრითი, რაც ებრაულ ენას ნიშნავს.

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოში დაახლოებით 4 ათასი ებრაელი ცხოვრობს. მათი ძირითადი რაოდენობა წარმოდგენილია თბილისში, ქუთაისში, გორში, ბათუმში, რუსთავში, ახალციხეში. სოფლები კი ებრაელებისაგან თითქმის მთლიანად დაიცალა. სინაგოგები მოქმედებს თბილისში, ბათუმში, გორში, ქუთაისში, ონში, ახალციხესა და სურამში.

ვაჭრობა და მეურნეობა. ებრაელები ქართველებთან მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი არამარტო საერთო ტერიტორიაზე ცხოვრებით, არამედ საერთო ეკონომიკური ცხოვრებითაც. ისინი ძველთაგანვე მისდევდნენ მიწათმოქმედებას – ოჯახის უფროსი მამაკაცი გუთნისდედა იყო. ის განაგებდა ხვნა-თესვასა და თიბვა-ლეწვასთან დაკავშირებულ საქმიანობას. ითესებოდა დოლის პური, დიკა, ქერი. პურეულს კალოზე ლეწდნენ. მესაქონლეობას, ძირითადად, საოჯახო დანიშნულება ჰქონდა. ებრაელები წარმატებით ეწეოდნენ მევენახეობა-მეღვინეობას.

სოფლის მეურნეობასთან ერთად, ებრაელთა ერთი ნაწილი ხელოსნობასა და შინამრეწველობას მისდევდა: მეთუნეობას, დურგლობას, მეწაღეობას, მექუდეობას, მღებრობას, მჭედლობას. ებრაელი ხელოსნები ქმნიდნენ საკუთარ სახელოსნოებს ან მცირე საწარმოო გაერთიანებებს – „ამხანაგობებს“, რომლებშიც ძირითადი პროფესიის მიხედვით 2-3 ხელოსანი ერთიანდებოდა.

ქართლში (გორში, ცხინვალში) ებრაელებს ჰქონდათ ღვინისა და არყის ჩამოსასხმელი ქარხნები, ჩაის შემფუთავი საამქრო, ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის სამკერვალოები და სხვ. ნიქოზში ებრაელების მფლობელობაში იყო აგურის მცირე ქარხნები, სადაც ამზადებდნენ აგურს, კრამიტს, ალიზს. ჰქონდათ სამხერხაოები, წისქვილები. რაჭაში ცნობილი იყვნენ ებრაელი მეთუნეები.

სოციალური ურთიერთობები და ყოფა-ცხოვრება. საუკუნეების განმავლობაში ქართველებისა და ებრაელების ერთად ცხოვრებამ გარკვეული გავლენა იქონია ორივე ხალხის ყოფასა და კულტურაზე. ებრაულმა ყოფამ გაითავისა მთელი რიგი ქართული წესებისა, რაც ნათლად ვლინდება ებრაული ქორწილის, დაკრძალვის, გლოვის რიტუალებში.

ებრაული თემის სიცოცხლისუნარიანობის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იყო მორალურად და ეკონომიკურად ძლიერი ოჯახის არსებობა. ებრაულ ოჯახში, როგორც ოჯახის წევრთა ურთიერთობაში, ისე მათ საქმიანობაში, ტრადიციის ძალით, მკაცრად იყო დაცული ასაკობრივ-სქესობრივი სეგრეცია. ოჯახის უფროსად მიიჩნეოდა მამაკაცი – ყოველგვარი საკაცო საქმიანობის წარმმართველი და გამანაწილებელი, გარე ურთიერთობის მომწესრიგებელი, ოჯახის ქონების გამანაწილებელი, საოჯახო საქმეებში რჩევა-დარიგების მიმცემი.

უფროსი მამაკაცის შემდეგ ოჯახში დიდი უფლება-მოვალეობები ეკისრებოდა უფროს ქალს (დედას). დედა ოჯახის იმედი და ბურჯია. საოჯახო საქმიანობის გარდა, მას მთელი რიგი რელიგიურ-სადღესასწაულო წესების დაცვა-შესრულება ევალება. ოჯახის დედა მეთვალყურეობდა ქალიშვილების აღზრდას: უზრუნველყოფდა მათ მიერ საოჯახო საქმიანობისა და ხელსაქმის შესწავლას, ზნეობრივი ნორმების, სტუმართმოყვარეობის, უფროსებისადმი მოკრძალების, ოჯახის წევრების პატივისცემისა და სხვა წესების დაცვას. დედა შვილებს, შრომისმოყვარეობასთან ერთად, პატიოსნებასა და თავდაჭერილობის ჩვევებს უნერგავდა. ამრიგად, ოჯახში სიწმინდის, ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების შემნახველი და დამცველი, ძირითადად, ქალი იყო.

ებრაელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ოჯახის შექმნასა და შთამომავლობაზე ზრუნვას. ტრადიციით, საქორწინო ასაკად ქალისათვის 14-16 წელი ითვლებოდა, ვაჟი კი 18 წლის შესრულების შემდეგ ოჯახდებოდა; ნიშნობა უფრო ადრეულ ასაკში ხდებოდა. სრულასაკოვანთა დანიშვნასთან ერთად, მცირეწლოვანთა და აკვანში დანიშვნის წესიც არსებობდა.

რელიგიური ტრადიციის ერთგულებამ განაპირობა ისიც, რომ ქართველ ებრაელებს შესისხლხორცებული ჰქონდათ საქველმოქმედო საქმიანობა: უსასყიდლოდ მომსახურება, სუსტთა,

ობოლთა, ღატაკთა დახმარება, ამიტომ საზოგადოებას თითქმის არ ჰყავდა უსახლკაროები და კარდაკარ მოხეტიალე მათხოვრები. ყველა ებრაელი ვალდებული იყო, დავრდომილისთვის ლუკმაპური გაენაწილებინა და თავშესაფარი მიეცა. გარდა ამისა, ებრაელებში მაღალ დონეზე იდგა თანადგომის კულტურა შრომაში, ლხინსა თუ ტირილში.

§6. ბერძნები

ზოგადი ინფორმაცია. ბერძენი ხალხის ჩამოყალიბება დაიწყო ძვ.წ. II ათასწლეულის დამდეგს, როდესაც ბალკანეთის ნახევარკუნძულზე პროტობერძნულმა ტომებმა – აქაველებმა და იონიელებმა, ხოლო ძვ.წ. XII საუკუნიდან – დორიელებმა ადგილობრივი მოსახლეობის (პელასგების და სხვ.) ასიმილაცია მოახდინეს. ბერძნული კოლონიზაციის ეპოქაში (ძვ.წ. VIII-VI სს.) შეიქმნა საერთო ბერძნული კულტურული ერთობა და გაჩნდა საერთო საკუთარი სახელი „ელინი“ (ასე ეწოდებოდა შუა საბერძნ. ოლქის, შემდეგ – მთელ ბერძნულენოვან მოსახლეობას). რომაელებმა ელინებს უწოდეს „გრეკო“, რაც შემდეგ ევროპის ხალხებმა შეითვისეს. ბერძნებმა შექმნეს მაღალი კულტურა, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ევროპისა და წინა აზიის ხალხთა კულტურულ განვითარებაზე.

ისტორიული ექსკურსი. საქართველოში ბერძნების პირველი დასახლებების გაჩენა შავი ზღვის სანაპიროების ინტენსიურ ბერძნულ კოლონიზაციას უკავშირდება. საქართველოში მცხოვრები თანამედროვე ბერძნები, უმთავრესად, ე. წ. პონტოს ბერძნები არიან, რომლებიც თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებიდან გადმოსახლდნენ. მათი პირველი დასახლებები საქართველოში XVIII საუკუნეში გაჩნდა, როდესაც ახტალის სპილენძის, ვერცხლისა და ოქროს საბადოების დასამუშავებლად ერეკლე მეორემ აღმოსავლეთ ანატოლიიდან ბერძენი მუშები და ხელოსნები მოიწვია.

რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომის შედეგად თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის ვილაიეთებიდან ქრისტიანული მოსახლეობის დიდი მასა – ქართველები, ბერძნები, სომხები – ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გადმოსახლდა. ამის ძირითადი მიზეზი ქრისტიანული რელიგიის დევნა იყო. დევნილები საქართველოში რამდენიმე ეტაპად შემოვიდნენ და, უმთავრესად, წალკის მუნიციპალიტეტში დასახლდნენ.

ენობრივად საქართველოში მცხოვრები ბერძნები იყოფოდნენ ბერძნულენოვნებად (ელინოფონები) და თურქულენოვნებად (ურუმები). ელინოფონები ლაპარაკობდნენ ბერძნული ენის პონტოს კილოკავზე, რომელიც VI-VII საუკუნეებში იღებს სათავეს. წალკის რაიონის ბერძნების ძირითად ნაწილს ურუმები (თურქულენოვანი ბერძნები) წარმოადგენდნენ.

ოჯახი. ურუმების ოჯახის გაბატონებული ფორმა ორი თაობისაგან შემდგარი მცირე ოჯახი იყო. ასეთი ოჯახის წევრთა რაოდენობა, საშუალოდ, სამიდან რვა კაცამდე მერყეობდა. ეს ოჯახები ბიძაშვილ-მამიდაშვილებისა და გარე ბიძაშვილების ერთ-ორ თაობას აერთიანებდა. წალკის რაიონში გადმონაშთის სახით დიდი ოჯახებიც იყო შემორჩენილი, რომლებიც ზოგჯერ ოთხ თაობას აერთიანებდა და 25 ან მეტი სულისაგან შედგებოდა.

საცხოვრებელი. ურუმების ძირითად ქონებას წარმოადგენდა საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, სხვადასხვა დანიშნულების მიწა, საქონელი. როგორც დიდი, ისე მცირე ოჯახის საქმიანობის დიდი ნაწილი საცხოვრებელ ოთახში – ოდაში – მიმდინარეობდა. აქ იკრიბებოდა თავისუფალ დროს ოჯახის ყველა წევრი. აქ ათევდნენ ღამეს, იკვებებოდნენ. ზოგჯერ ოჯახს გამოეყოფოდა ხოლმე საქორწინო წყვილი, თუმცა საერთო საოჯახო ქონება, კოლექტიური მეურნეობა და მოხმარება შენარჩუნებული იყო.

საცხოვრებელ კომპლექსში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი ეკავა სასადილო-საკუჭნაოს. აქ კეთდებოდა ურუმების ყველა საოჯახო საქმე. იქ იყო ტანდირი, რომელშიც პური ცხვებოდა, იქვე ამზადებდნენ საჭმელს.

საოჯახო ყოფის თვალსაზრისით, საცხოვრებელი სახლის მთავარ ნიშანს ერთკამერიანი საცხოვრებელი ფართი წარმოადგენდა, რომლის ყოველ ნაწილს თავისი დანიშნულება ჰქონდა. ჭამის, დასვენების, საქმიანობის დროს ოჯახის წევრთა ადგილის ასაკისა და სქესის მიხედვით განსაზღვრა პასუხობდა ოჯახის ისეთი ფორმის ინტერესებს, რომელშიც შენარჩუნებულია საოჯახო თემის ტრადიციები.

ოჯახის მთელი ცხოვრება ოჯახის უფროსის თვალწინ მიმდინარეობდა, რაც საოჯახო თემის ტრადიციის დამახასიათებელი ნიშანია.

სამეურნეო ყოფა. ურუმების მოძრავ ქონებას საქონელი წარმოადგენდა, რომელიც მთელი ოჯახის კოლექტიურ საკუთრებაში შედიოდა. ოჯახის წევრთა ქონებრივი უფლებები საქონლის მიმართ არავითარ პირობებს არ ექვემდებარებოდა, რაც ტიპურია დიდი ოჯახისათვის დამახასიათებელი საკუთრების ფორმისათვის. მესაქონლეობის პროდუქტებს, განსაკუთრებით იალაღიან სოფლებში, ძირითადი ადგილი ეჭირა ურუმების ეკონომიკურ ცხოვრებაში. ისინი ყიდდნენ რძის პროდუქტებს, ხორცს, მატყლს და, უპირველეს ყოვლისა, პურსა და პირველი მოხმარების საგნებს იძენდნენ.

ეკონომიკურად ძლიერ ოჯახებს, რომელთაც დიდი რაოდენობით მსხვილფეხა საქონელი ჰყავდათ, საკუთარი გუთანი ქონდათ, რომლითაც მიწას ამუშავებდნენ. ეკონომიკურად სუსტი, ძირითადად, მცირე, ინდივიდუალური ოჯახები ურთიერთდახმარების ფორმას — მოდგამს — მიმართავდნენ.

ოჯახის წევრებს შორის შრომითი ფუნქციების განაწილებისას ასაკი, სქესი, ინდივიდუალური მონაცემები იყო განმსაზღვრელი. ამ ნიშნების მიხედვით, ბერძნების ოჯახში გამოიყოფოდნენ ოჯახის უფროსი და დიასახლისი, ოჯახის დანარჩენ წევრებსაც თავიანთი ფუნქციები ჰქონდათ.

ოჯახის უფროსი ასაკითაც ყველაზე უფროსი იყო. მას ექვემდებარებოდა ოჯახის ყველა წევრი. მისი გარდაცვალების შემთხვევაში ოჯახის უფროსი მომდევნო ძმა ან შემდეგი თაობის ყველაზე უფროსი წარმომადგენელი ხდებოდა. ბერძნების ოჯახის უფროსი არამარტო შესანიშნავი ხელმძღვანელი და ორგანიზატორი იყო, არამედ მარჯვე მუშაკიც, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვან და რთულ საოჯახო საქმეს ასრულებდა. იგი ხელმძღვანელობდა ხვნას, მარცვლოვანი კულტურების თესვას, მოსავლის აღებას, ზრუნავდა საქონლის გამრავლებაზე, ქირაობდა საძოვრებს.

ოჯახის უფროსი დიასახლისის არჩევისას, უპირველეს ყოვლისა (მაგრამ არა ყოველთვის), ასაკს ითვალისწინებდნენ. დიდ ოჯახებში დიასახლისი ხელმძღვანელობდა ქალების შრომას, აცხობდა პურს, ამზადებდა საჭმელს. მცირე, ინდივიდუალურ ოჯახებში, დიდი ოჯახისაგან განსხვავებით, არ იყო შრომის ასეთი მკაცრი დანაწილება და, ფაქტობრივად, მთელ საოჯახო საქმეს დიასახლისი ასრულებდა. კერასთან იგი ოჯახის უფროსის პირისპირ იჯდა. სტუმრის შემოსწრებისას დგებოდა, უთმობდა მას ადგილს და გადიოდა ოთახიდან. დიასახლისი მინდვრის სამუშაოებში მონაწილეობას არ იღებდა.

კაცებსა და ქალებს შორის შრომითი ფუნქციების განაწილების დროსაც განმსაზღვრელი ასაკი იყო. სადაც მესაქონლეობა მეურნეობის წამყვან დარგს წარმოადგენდა, ქალთა შორის შრომის დანაწილებას უფრო გარკვეული და მკაფიო სახე ჰქონდა. აქ ქალების მოვალეობას შეადგენდა საქონლის მოვლა, წველა, რძის პროდუქტების დამზადება, იალაღებზე გამგზავრება. სადაც მეურნეობა სიმბიოზური იყო, ქალები, ძირითადად, შინაური საქმეებით იყვნენ დაკავებულნი და ნაკლებად ევალებოდათ მესაქონლეობასთან დაკავშირებული საქმიანობა.

ბერძნების ოჯახის ყველა შრომისუნარიანი მამაკაცი მონაწილეობდა მინდვრის სეზონურ სამუშაოში. ყველა მამაკაცს ევალებოდა საქონლის მოვლა, მაგრამ თითოეული მამაკაცის ნებისმიერი საქმიანობა დამოკიდებული იყო როგორც მის ასაკზე, ისე მის უნარზე გაძღოლოდა ამ საქმეს.

ხვნის დროს გუთანს ერთ-ერთი უფროსი მამაკაცი უძღვებოდა, ხარების დანარჩენ უღელს კი – საშუალო და უმცროსი თაობის წარმომადგენლები. მინდორში ოჯახის ყველა წევრი მუშაობდა, მაგრამ, ძირითად, ტვირთს მამაკაცები ზიდავდნენ.

ბერძნების როგორც დიდი, ისე მცირე, ინდივიდუალური ოჯახისთვის დამახასიათებელი იყო ოჯახის ყველა წევრს შორის მჭიდრო კონტაქტი, ყველა მნიშვნელოვანი საკითხის ერთობლივი გადაჭრა.

ოჯახის ბუნების განსაზღვრისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საკუთრებას, რომელიც ყველაზე უფრო სრულად გამოიხატებოდა ოჯახის წევრთა ურთიერთობის ქონებრივ-სამართლებრივ ნორმებში. ოჯახის გაყრისას იყოფოდა საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, მიწა, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, თესლის მარაგი. ქონების გარკვეული ნაწილი, კერძოდ, ქალის პირადი საკუთრება, არ იყოფოდა. ქალის პირადი საკუთრება ბერძნების ოჯახში შეიძლება ყოფილიყო საქონელი ან ფული.

ტანისამოსი. საქართველოში მცხოვრებმა ბერძნებმა (აფხაზეთსა და აჭარაში) შემოინახეს ძველი ტანისამოსის ელემენტები. მამაკაცის ტანისამოსიდან შეიძლება გამოვყოთ „ზიპუნი“ ან „ენტერი“ (ზედატანის სამოსი), „გელანი“ (თბილი ჟილეტი ან მოკლე თბილი პიჯაკი), ფართო შარავარები, ხოლო ქალის ტანსაცმელში – „ხიტონი“. წარსულში ურუმები პიჯაკის ნაცვლად არხალუხს, შარვლის ნაცვლად – ფართო შარავარებს ატარებდნენ; ფეხთ ემოსათ შალის მოხატული ნაქსოვი წინდები და მოქნილი ტყავის ფეხსაცმელი, თავზე ცხვრის ტყავის ფაფახი ეხურათ. მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა ქალების თავის, მხრის, მკერდის, ყურისა და ხელის მორთულობა.

სამზარეულო. საქართველოში მცხოვრები ბერძნების საკვებიც არაერთგვაროვანი იყო. მდიდრებს უფრო მეტი ჰქონდათ ხორციანი საჭმელი, ღარიბები კი ახალდაკრეფილი, საკვებად ვარგისი ველური ბალახით – ღიმითა და პავალიკით კმაყოფილდებოდნენ. ბალახებს იმარაგებდნენ და უხვად ინახავდნენ ზამთრისთვის. ბერძნები აცხობდნენ ხორბლის პურს ან სიმინდის მჭადს, წარსულში საკვებად გამოიყენებოდა ქერის ან ასლის პურიც (წალკა). აფხაზეთის ბერძნების ეროვნულ ნაციონალურ საკვებს წარმოადგენდა ფაფა – ხალისია.

§7. ავარელები და სხვა დაღესტნელი ხალხები

ზოგადი ინფორმაცია. 2002 წლის აღწერის მონაცემებით, დაღესტნის მოსახლეობა 2576 ათას ადამიანს შეადგენს; ისინი, ძირითადად, კავკასიურ, თურქულენოვან და ირანულენოვან ხალხებს მიეკუთვნებიან. დაღესტნურ ენებში სამი უმთავრესი ჯგუფი გამოიყოფა: ავარიულ-ანდიურ-დიდოური, ლაკურ-დარგოული და ლეზგური. სულ ცნობილია 26 დაღესტნური ენა. დაღესტნური ენების ნაწილი იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს მიუკუთვნება.

დაღესტანში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფებიდან საქართველოში, ძირითადად, ცხოვრობენ ავარელები, ლაკები, ლეზგები. მათ შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი ავარელები, იგივე ხუნძები არიან, რომლებიც კომპაქტურად სახლობენ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. ავარულ-ანდიურ-დიდოურ ენებზე მოლაპარაკე ეს ეთნიკური ჯგუფი დაღესტნის ხალხებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანია (650 ათასი). ის ავარელების სახელით, ძირითადად, რუსულ ლიტერატურაში არის ცნობილი, ქართულ ისტორიულ წყაროებში კი ამ ტომებით დასახლებული ქვეყანა ხუნძეთად მოიხსენიებენ, თუმცა ტერმინი *ავარელები* ქართულ საისტორიო ლიტერატურაშიც გვხვდება.

ისტორიული ექსკურსი. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოში 1996 ავარელი ცხოვრობს (1989 წელს – 4230 ცხოვრობდა), 210 ლაკი (1989 წელს – 426), 44 ლეზგი (1989 წელს – 720). მათგან მხოლოდ ავარელები არიან კომპაქტურად დასახლებულნი. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ყვარლის რაიონის სოფლებში – თივში, ჩანთლისყურეში, სარუსოსა და თხილისწყაროში ცხოვრობს.

საქართველოსა და დაღესტნელ ხალხებს შორის ურთიერთობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ ქართლის მეფე ფარნავაზი დაღესტნელ ხალხებთან ერთად იბრძოდა დამპყრობლების წინააღმდეგ. საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ დაღესტანში ქართველი მისიონერები გამოჩნდნენ. ქართველების მიერ ქრისტიანობის გავრცელების მცდელობად უნდა მივიჩნიოთ X-XI საუკუნეებში აშენებული ქრისტიანული ეკლესია სოფ. დათუნში, ავარიის ყოისუს ხეობაში. დაღესტანში აღმოჩენილია აგრეთვე ქვის ჯვრები ორენოვანი წარწერებით. ქრისტიანობის გავრცელება დაღესტანში, სავარაუდოდ, XIV საუკუნეში, თემურ-ლენგის ლაშქრობების დროს შეწყდა.

მომდევნო საუკუნეებში საქართველოსა და დაღესტანს შორის ურთიერთობები გართულდა. შედარებითი მშვიდობა კახეთის მეფის ლევანის პერიოდში (1520-1574) შეიმჩნეოდა, რომელმაც „მოიყვანა და დასხნა ლეკნი“ ფიფინეთში ანუ ჭარში. მათი მოვალეობა ზაფხულობით მთებიდან ყინულის ჩამოტანა იყო. ეს მიწები 1727 წელს ოსმალეთის სულთანმა საგანგებო ფირმანით დაუმტკიცა ჭარელ ლეკებს. ამით მათ გავაზისწყლამდე ვრცელი ტერიტორიები დაეთმოთ.

XVII საუკუნიდან იმდენად გახშირდა თავდასხმები საქართველოს ტერიტორიაზე დაღესტნის მხრიდან, რომ ამ მოვლენამ საქართველოში თავისი სახელიც კი შეიძინა – „ლეკიანობა“. დაღესტანიდან საქართველოში განხორციელებულ სამხედრო ექსპედიციებს დაღესტნელი ფეოდალები ხელმძღვანელობდნენ. ერთ-ერთი ასეთი მოლაშქრე კოხტა ბელადი იყო, რომელმაც 1757 და 1759 წლებში ილაშქრა საქართველოში. დარბევისა და გაძარცვის მიზნით მოწყობილმა ამ ლაშქრობებმა დიდი ზიანი მიაყენა აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობას.

დაღესტნელი ხალხები, კერძოდ კი ავარელები, საქართველოში დასახლებას ქვეყნის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ იწყებენ.

ოჯახი. კახეთის ავარელთა ოჯახები ინდივიდუალურია, მუსლიმური კულტურისათვის დამახასიათებელი მრავალცოლიანობა აქ ნაკლებად გვხვდება. თანამედროვე პერიოდში ქორწინების ძველი ტრადიციები თითქმის დავიწყებულია.

დასაშვებია გვარის შიგნით ქორწინება. ქალებს ან ერთმანეთში ათხოვებენ, ან დაღესტნიდან მოჰყავთ. ქართველებთან და სხვა ეთნოსის წარმომადგენლებთან შერეულ ქორწინებას, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ ვხვდებით. ქალის შეფასების კრიტერიუმები ყოველთვის ითვალისწინებდა მის შრომისმოყვარეობას, ოჯახის ავტორიტეტს და ძმათა სიმრავლეს. წინათ ქალის დაქორწინების გადაწყვეტილებას მისი მშობლები იღებდნენ, გასათხოვარს არავინ არაფერს ეკითხებოდა. დღეს უკვე ერიდებიან ადრეულ ასაკში დაოჯახებას, მომავალი მეუღლის შერჩევისას მეტ ინიციატივას იჩენენ თვითონ ახალგაზრდები. კვლავინდებურად დიდი ყურადღება ექცევა ქალის პატიოსნებას. საქორწინო ურთიერთობების ციკლი ორი ეტაპისაგან შედგება – ნიშნობისა და ქორწილისაგან. დღეს ავარელი ქალის მზითევი, წინანდელთან შედარებით, უფრო გამრავალფეროვნდა. საქორწინო რიტუალში შეიმჩნევა ქართული (ქრისტიანული) კულტურის გავლენა (მუსიკის თანხლება, სუფრის წესები და ა.შ.). აუცილებელია ქორწინების რელიგიურად გაფორმება. საქორწინო ტერმინოლოგიაში შესულია ქართული სიტყვები: „მაჭანკალი“, „მაყარი“, „მეჯვარე“.

რელიგიური რწმენა-წარმოდგენები. ავარელები ოფიციალურად მუსლიმი სუნიტები არიან, თუმცა მათი რწმენა არქაული მუსლიმური და ქრისტიანული (შედარებით მცირე დოზით) რელიგიების ელემენტთა ნაზავს წარმოადგენს. ქრისტიანული კულტურის კვალი კარგად ვლინდება ლეკების მიერ ქრისტიანული დღესასწაულების – ალავერდობისა და ნეკრესობის – ქართველებთან ერთად აღნიშვნის ტრადიციაში. მუსლიმური ტრადიციები ნათლად იკვეთება, მაგალითად, მიცვალებულის დაკრძალვის წესებში.

განსვენებულს ჯერ ბანენ, თეთრ სუდარაში ახვევენ და მარჯვენა გვერდზე მწოლიარეს ასაფლავებენ, პირით სამხრეთისაკენ, მზის ჩასვლამდე. დასაფლავების დღეს იკრძალება იარაღის სროლა, მიწის დამუშავება, სოფლიდან გასვლა. მიცვალებულის სულის მოსახსენიებლად იხ-

დიან ქელეხს. სუფრა ოჯახში იშლება დაკრძალვის დღეს, აგრეთვე, მესამე ან მეშვიდე პარასკევს, მეორმოცე დღეს და წლისთავზე. საერთო სუფრა კი ყურბან ბაირამის დღესასწაულზე იციან.

ქართული კულტურის გავლენა შეინიშნება სასაფლაოების დიზაინში (ქვის მოხატულობა, ქართული წარწერები – უმთავრესად ქართველი მეგობრებისაგან), ქვაზე მიცვალებულის სურათის დახატვა ან მოთავსება, რაც მუსლიმური წესით იკრძალება. ბოლო დროს დაიწყეს საფლავების შემოღობვა და ყვავილებით შემკობა, თუმცა თანამედროვე რეისლამიზაციის პროცესები აქაც იჩენს თავს – საფლავის ქვებზე ვხვდებით მუსლიმურ სიმბოლიკას – ნახევარმთვარეს, მიზგითების გამოსახულებას, არაბულ წარწერებს, თარიღებს (ჰიჯრის კალენდრით და ა.შ.). ავარელთა სოფლებში მოქმედებს მეჩეთი.

§8. ვაინახები

ზოგადი ინფორმაცია. ვაინახი ჩეჩნებისა და ინგუშების საერთო სახელწოდებაა და ნიშნავს „ჩვენს ხალხს“. ამ ეთნონიმით ეს მონათესავე ხალხები თავიანთ თავს ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ეთნოსებისაგან გამოაცალკევებდნენ. ვაინახები ცენტრალური კავკასიის ოდინდელი მკვიდრნი არიან. ჩეჩნების თვითსახელწოდებაა ნოხჩი, ხოლო ინგუშებისა – ღალღაი. ისინი ჩრდილო-კავკასიურ ენათა ოჯახის ნახურ ჯგუფში ერთიანდებიან.

ისტორიული ექსკურსი. ვაინახებს უშუალოდ ემეზობლება ჩრდილო-აღმოსავლეთ საქართველოს ერთი მონაკვეთი – თუშეთი და ხევსურეთი. ტერიტორიული სიახლოვე ხელს უწყობდა მეზობელ ქართულ თემებში ვაინახური მოსახლეობის ინფილტრაციას. XI საუკუნიდან, ვაინახების ის ნაწილი, რომელიც მთიან ზოლში ცხოვრობდა, საქართველოს პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცა. აქ საქართველოდან გავრცელდა ქრისტიანობა და, შესაბამისად, ქრისტიანული კულტურის ელემენტები. მართალია, ახალმა რელიგიამ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მსგავსად, ვაინახებშიც სრულყოფილად ვერ მოიკიდა ფეხი, მაგრამ ამ გარემოებამ მაინც, გარკვეულწილად, განაპირობა საქართველოსაკენ მათი ორიენტაცია.

მოსახლეობის დინება, ძირითადად, ბარისკენ ხდებოდა, მაგრამ იყო მთის პირობებში ახალი საცხოვრებელი ადგილების ძიების ფაქტებიც. ვაინახები ქართულ ტერიტორიაზე გადმოდიოდნენ და მკვიდრდებოდნენ ცალკეულ კომლებად და ზოგჯერ ერთდროულ მასობრივ დასახლებებსაც ქმნიდნენ. დროთა განმავლობაში ხდებოდა მათი ასიმილაცია.

ქართულ წერილობით წყაროებში თავდაპირველად ვაინახური ტომები კავკასიანებად ან დურძუკებად/ძურძუკებად მოიხსენიებიან, თუმცა მოგვიანებით ეს ეთნონიმი კონკრეტულად ჩეჩნების აღმნიშვნელად იქცა, ხოლო ინგუშების აღსანიშნავად გვხვდება ეთნონიმი ღლიღვი. გვიანფეოდალური ხანიდან ქართველთა ლექსიკონში მკვიდრდება ეთნონიმი ქისტი, რომელშიც ჩეჩნების გარდა ინგუშებიც იგულისხმებიან. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელები ეთნონიმ ქისტს დღესაც ორივე ხალხთან დაკავშირებით ხმარობენ. ამავე დროს, ქისტებად იწოდება საქართველოს მოსაზღვრე თემებიდან პანკისის ხეობაში გადმოსული და კომპაქტურად მოსახლე ჩეჩნური წარმომავლობის ეთნიკური ჯგუფი. ვაინახების საქართველოში მიგრაციის მიზეზად მკვლევრები მთიელთა ეკონომიკურ სიდუხჭირეს, მეტად მწირ მიწის სავარგულებს, სისხლის აღების ტრადიციას მიიჩნევენ.

ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე ვაინახური ეთნიკური ერთეულის შემოდინება თავდაპირველად III საუკუნეში მოხდა როდესაც ფარნავაზ მეფის ძემ, საურმაგმა, პოლიტიკური მოსაზრებით, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მასობრივად გადმოასახლა თავისი დედულნი – დურძუკები. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დასახლებული დურძუკები დროთა განმავლობაში გაქართველდნენ. ამის შემდეგ კავკასიონის ქედის სამხრეთით ვაინახთა გადმოსახლების პროცესი ინტენსიურ ხასიათს XIII საუკუნიდან იღებს, ხოლო XVIII საუკუნის მიწურულიდან XIX საუკუნის შუა წლებამდე განსაკუთრებული აქტივობით

გამოირჩევა. ერთეული შემთხვევები მოგვიანებითაც ხდება. XVII-XVIII საუკუნეებში ჩრდილოეთიდან საქართველოში გადმოსული ვაინახები, ძირითადად კი ქისტებად სახელდებული ჩეჩნები თიანეთისა და თელავის რეგიონებში ბინავდებოდნენ. ამათი ნაწილი ადგილობრივ მოსახლეობასთან ასიმილირდა, ხოლო ნაწილი პანკისის ხეობაში დასახლდა.

XIX საუკუნეში ქისტები პანკისში საქართველოს მოსაზღვრე მაისტის, მელხისტის, ტერლოის, ხილდიხაროსა და მაღალმთიანი ხეობის სხვა მცირემიწიანი სოფლებიდან ჩამოვიდნენ. ვაინახთა საქართველოში მიგრაციის ზემოხსენებული მიზეზების გარდა, ქისტების საქართველოში დასახლებას, როგორც ჩანს, პოლიტიკური საფუძველიც ედო. პანკისის ხეობაში მათი მასობრივი ჩამოსახლებით თავად მეფისნაცვალი იყო დაინტერესებული; ქისტებისათვის საქართველოში ცხოვრება რომ სახარბიელო გაეხადა, ხელისუფლება მათთვის გარკვეულ შეღავათებს აწესებდა: ათავისუფლებდა სახელმწიფო გადასახადებისაგან, აჰყავდა სახელმწიფო კმაყოფაზე და ა. შ.

სოფელი დუისი პანკისის ხეობაში ყველაზე ადრეული ქისტური დასახლება უნდა იყოს – სავარაუდოდ, იგი 1826 წლიდან არსებობს. სოფელ ჯოყოლოს დაარსების თარიღად 1855 წელი მიიჩნევა. 1854 წლისათვის ქისტების 54 კომლი, რომლებიც თიანეთის მაზრაში მიიღეს მაისტის საზოგადოებიდან, მათივე თხოვნის საფუძველზე, 1855 წელს პანკისის ხეობაში გადაიყვნეს. ასე შეიქმნა ქისტების მეორე დასახლება – ჯოყოლო. გაჭირვებისა და რთული საარსებო პირობების გამო, ჯოყოლოელმა ქისტებმა სამშობლოში დაბრუნება ორჯერ სცადეს (1855-1856 წწ.), მაგრამ რუსეთის მთავრობამ, თუშებისა და მილიციის დახმარებით, უკანვე მოაბრუნა და ხელმეორედ დაასახლა პანკისში. დაახლოებით ამავე პერიოდში ფიქსირდება სოფ. ომალო. არსებობს მოსაზრება, რომ იგი ჯოყოლოზე ადრინდელი დასახლებაა და დაარსებულია თუშეთში დიდი ხნის წინ გადმოსახლებული და ერთხანს იქ მცხოვრები მართლმადიდებელი ქისტების მიერ. ქისტების ოცდათორმეტამდე კომლი 1848 წელს პანკისის ხეობის ბალთაგორის მიდამოებში დაფუძნდა. მათ ჰქონდათ 1000 ჰექტარი სახნავ-სათესი სავარგული და მიწათმოქმედებას ეწეოდნენ. როდესაც ხელისუფლება ქისტების ახალი ნაკადის დასასახლებლად ადგილს არჩევდა, ომალოში ქისტები უკვე ბინადრობდნენ. 1858 წელს დაისვა ქისტების 75 ოჯახის ომალოში გადაყვანის საკითხი. იმავე წელს ალვანიდან ომალოში გადმოასახლეს ქისტების 37 ოჯახი, ხოლო 40 ოჯახის ჩამოსახლება შემდეგი წლის გაზაფხულისთვის იყო განზრახული.

ამრიგად, XIX საუკუნის პირველ ნახევარში პანკისში ქისტების კომპაქტური სამოსახლოები შეიქმნა – სოფლები დუისი, ომალო და ჯოყოლო. დროთა განმავლობაში ქისტები პანკისის ხეობის სხვა სოფლებშიც დასახლდნენ (ჩხათანაში, ხორაჯოში, ძიბახევში). XIX საუკუნის მეორე ნახევარში სოფ. ჯოყოლო პანკისის ხეობის კულტურული ცენტრი გახდა. 1888 წელს „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენმა საზოგადოებამ“ ჯოყოლოში არსებული ფიცრული ეკლესიის ნაცვლად ქვითკირის ეკლესია ააშენა, ხოლო ყოფილი ეკლესიის შენობაში სასულიერო სასწავლებელი გახსნა. ეს იყო განათლების პირველი კერა პანკისის ხეობაში. 1891 წელს, არქიმანდრიტ ლეონიდეს ინიციატივით, ჯოყოლოში სასოფლო სკოლა გაიხსნა, სადაც ბავშვები ქართულად სწავლობდნენ.

საცხოვრებელი გარემო. პანკისელი ქისტების დასახლების ერთეულია სოფელი – „იურთ“. ქისტების სოფლებს ხეობიდან ველისაკენ გასასვლელი უკავიათ. ხეობის ზემოწელზე მდებარე თავდაპირველი სოფლები ე.წ. „შექუჩული“ ფორმისა იყო, გაშლილ ადგილებზე მდებარე სოფლებისთვის კი დამახასიათებელი იყო შედარებით ფართო სწორი ქუჩები, შესახვევებითა და ერთმანეთთან დამაკავშირებელი პარალელური შიდა ქუჩებით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დუისელებს დასახლებისას არავითარი პრინციპები არ დაუცავთ და სახლებიც ადგილობრივი პირობების გაუთვალისწინებლად უშენებიათ. საკუთარ სამშობლოში ქისტების სოფლები სისხლით ნათესაობის ნიშნით, ანუ ერთი გვარის წარმომადგენლებით იყო დასახლებული – სოფლებს მონოგენური ხასიათი ჰქონდა. საქართველოში მოსვლისას კი ერთ სოფელში რამოდენიმე გვარი

ჩასახლდა, თუმცა თითოეულ გვარს ყველა სოფელში გამოკვეთილად ერთი უბანი ეჭირა. თავდაპირველი სოფლები ერთ ან ორუბნიანი იყო, თანდათანობით კი მათი რაოდენობა გაიზარდა, მაგალითად, თუ სოფ. დუისში თავიდან ორი უბანი იყო, მოსახლეობის მატების შედეგად, შვიდი უბანი გამოიკვეთა. მრავალრიცხოვანი ოჯახების განაყრებისა და საკარმიდამო ნაკვეთების სიმცირის გამოისობით, დროთა განმავლობაში, დასახლების ტრადიციული სტრუქტურა შეიცვალა და ახალ უბნებში გვარები შერეულად დასახლდნენ.

ქისტურ სოფლებში თითოეული მოსახლის კარ-მიდამო მეორე მეზობლის კარ-მიდამოს უშუალოდ ესაზღვრება. თავდაპირველად, ხეობაში მოსულმა ქისტებმა საცხოვრებლად, ტრადიციული სიპი ქვის სახლების ნაცვლად, წნული სახლების შენება დაიწყეს, რომელთაც კახეთის ნაგებობებისათვის დამახასიათებელი ნიშნები ჰქონდა. თუმცა ამ ტიპის საცხოვრებელმა აქაურ პირობებში ფეხი ვერ მოიკიდა და ქისტების ყოფაში თანდათან დამკვიდრდა ჯერ ფიცრული, შემდეგ კი ქვითკირის, ერთ ან ორსართულიანი სახლები. XX საუკუნის მეორე ნახევარში მასობრივად დაიწყო არქიტექტურული სტილით, ეზო-კარმიდამოთი და ინტერიერით კახურის ანალოგიური ქვითკირის სახლების მშენებლობა.

გვარები და ოჯახები. საქართველოში დასახლებისთანავე ქისტებმა მამის სახელს ქართული დაბოლოება – „შვილი“ – დაუმატეს და მათმა გვარებმა ქართული გაფორმება მიიღო. პანკისელმა ქისტებმა დღემდე შემოინახეს მშობლიური ენა. ისინი ჩეჩნური ენის ქისტურ დიალექტზე მეტყველებენ, თუმცა ქართული ენის გავლენის შედეგად მათ ლექსიკაში ბევრი ქართული სიტყვაა.

გადმოსახლების პერიოდისათვის პანკისელ ქისტებში გვხვდებოდა როგორც პატარა, ისე დიდი ოჯახები. დიდ ოჯახებში ერთიანდებოდნენ მშობლები, დაცოლშვილებული შვილები და შვილთაშვილები, რომლებიც ერთ საერთო კომლად ცხვრობდნენ.

დღეს ქისტებს ინდივიდუალური ოჯახები აქვთ. ოჯახში მკაცრად არის დაცული უფროს-უმცროსობის მამაპაპური წესი, რაც ყოფის ნებისმიერ სფეროში იჩენს თავს (მაგალითად, უფროსები და ახალგაზრდები სუფრასთან ერთად არ სხდებიან, მოხუცის თანდასწრებით ახალგაზრდები არ სვამენ, არც ეწევიან და სხვ.). ოჯახის უფროს მამაკაცს და უფროს დიასახლისს განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობიან. ქისტს უფროსის პატივისცემას ბავშვობიდან ასწავლიან.

ქისტებში მიღებული იყო სოფლის შიგნით ქორწინება. ყოველი ქისტის ოჯახი დაინტერესებული იყო მოყვრობითი ნათესაობა თავისსავე სოფელში დაემყარებინა. ყურადღება ექცეოდა სასიძოს ავტორიტეტს, ეკონომიკურ მდგომარეობას და გარეგნობას თუ წინათ ქალი 20 წლის, ხოლო ვაჟი 25-30 წლის ასაკში ქორწინდებოდა, დღეს ქალი 16-17 წლისა თხოვდება, ხოლო ვაჟი 18-19 წლისა ოჯახდება. ქისტებში ნათესაობის სამი ფორმა არსებობდა: სისხლით, მოყვრობითი და ხელოვნური.

სისხლით ნათესაობა შვიდ თაობაზე ვრცელდება და სისხლით ნათესავთა შორის ქორწინებას ადათი სასტიკად კრძალავს. ქორწინება დასაშვებია დედის მხრიდან მესამე და მეოთხე თაობათა წარმომადგენლებს შორის. ადათით, მამაკაცს ერთი ცოლის შერთვის უფლება ჰქონდა, გაყრის შემთხვევაში კი შეეძლო რამდენმეჯერ ექორწინა. აღსანიშნავია, რომ ქართული კულტურის გავლენით, პანკისელ ქისტებში შარიათით ნებადართული მრავალცოლიანობა აკრძალულია. ამ მხრივ, ქისტების ოჯახის ფორმა ჩეჩნურისა და ინგუშურისაგან განსხვავდება. ქმრის მიზეზით მშობლების ოჯახში ცოლის დაბრუნება შეურაცხყოფად არ ითვლებოდა. თანამედროვე პირობებში შეიცვალა ქორწინებასთან დაკავშირებული ძველი წესები. დღეს იმ ფორმებიდან ქალის დანიშვნით წაყვანა და ქალის ოჯახიდან გაპარვაა შემორჩენილი. კვლავ აქტუალურია მზითევი, რომელიც ქართული კულტურის გავლენით უფრო გამრავალფეროვნდა.

სამეურნეო ყოფა. ქისტები მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას მისდევენ. მთიანი ჩეჩნეთიდან გადმოსახლებულ ქისტებს მესაქონლეობის მეტი ცოდნა-გამოცდილება ჰქონდათ, მაგრამ საქართველოში მიწათმოქმედება პანკისელი ქისტების მეურნეობის წამყვანი დარგი გახდა. მარც-

ვლეული კულტურებიდან მათ მოჰყავთ სიმინდი, ხორბალი, ქერი, შვრია და სხვ. ქისტები მიწას, თავდაპირველად, ტრადიციულად აჩაჩა გუთნით ხნავდნენ, რომელიც XX საუკუნის ბოლომდე შემორჩა. პარალელურად ხმარებაში შემოვიდა რკინის გუთანი, რომელმაც ბარში ადგილი თანამედროვე ტექნიკას დაუთმო.

პანკისელმა ქისტებმა სოფლის მეურნეობის ადგილობრივ გავრცელებულ დარგებიც აითვისეს: მევენახეობა, მებოსტნეობა, მეხილეობა. მათი სამეურნეო საქმიანობა მთასა და ბარზე განაწილდა. მესაქონლეობას ალპური ხასიათი ჰქონდა (და ნაწილობრივ ახლაც აქვს). საქონელი ზაფხულობით მთაში, დანარჩენ დროს კი ბარში ჰყავდათ, ცხვარი მაღალმთიანი მდელოებიდან შირაქის საძოვრებზე ინაცვლებდა. ქისტებმა თუშებისაგან ისწავლეს ცხვრის ყველის წარმოება.

მეურნეობის ძირითად დარგებთან ერთად ვითარდებოდა დამხმარე სამეურნეო დარგები, რომელთაგანაც ზოგიერთი ქისტებმა ახალ გარემოში აითვისეს, ზოგიერთი კი მათ ოდინდელ საქმიანობას წარმოადგენს (მელვინეობა, მეფუტკრეობა, მეთევზეობა, მონადირეობა და სხვ.). კახეთში ისწავლეს არყის გამოხდა, რომელსაც, უმთავრესად, ხილისაგან ამზადებენ, ხოლო ქერის, ხორბლისა და ასკილისაგან ამზადებენ ლუდს. გარდა ამისა, პანკისში შინამრეწველობის დარგებიდან განვითარებულია ხელოსნობა, ხის ჭურჭლის, საფენი და წამოსასხამი ნაბდების, ქუდების დამზადება.

სამოსელი. ქისტების ტრადიციული სამოსი საქართველოში თანდათან კახეთში გავრცელებულმა ტანსაცმელმა შეცვალა. თანამედროვე პირობებში ქისტები ქალაქურ ყაიდაზე იცვამენ. ქალებს თმა გრძლად აქვთ დაყენებული და თავსაბურავი ახურავთ, რომლის გარეშე საზოგადოებაში არ გადიან. გოგონები ახლა უთავშლოდ დადიან. წინათ მამაკაცები თმას იპარსავდნენ და წვერს ატარებდნენ, ბოლო ხანებში კი თმას მოკლედ იჭრიან.

სამზარეულო. ქისტების ტრადიციული საკვები მრავალფეროვანებით არ გამოირჩევა. ისტორიულ სამშობლოში ყოფნისას ისინი, ძირითადად, ცხოველურ პროდუქტებს (რძეს, ხაჭოს, ერბოს, ხორცს) მოიხმარდნენ. პანკისში კი მათი კვების რაციონში მცენარეული საკვების წილი გაიზარდა. ქისტების ტრადიციული კერძებია: მოხარშული ხორცი ნივრიანი საწებლით, მოხარშული გალანა, სიმინდის ფქვილის ანტრიები, ერბო-კვერცხი, ხაჭო-ერბო, სვამენ თაფლისგან დამზადებულ ტკბილ წყალს. ქისტების ხინკალი ქართულის ანალოგიურია და განსხვავდება ჩეჩნების ხინკლისაგან. ქისტები დღეში სამჯერ იკვებებიან, მუსლიმი ქისტები კი მარხვის დროს – ორჯერ: საღამოს, მზის ჩასვლის შემდეგ და ღამის 4-5 საათზე.

რელიგია. მიგრირებული ქისტების ძირითადი ნაწილი იმ ადგილებიდან წამოვიდა, სადაც ისლამი ჯერ კიდევ არ იყო ფართოდ გავრცელებული. მათი რწმენა ვაინახთა უძველესი რწმენა-წარმოდგენებისა და ქრისტიანული რელიგიის მთის ვარიანტის სინთეზს წარმოადგენდა. ამიტომ პანკისის ხეობაში ქართველთა მიტოვებულ სამოსახლოზე დაფუძნებულმა ქისტებმა ადვილად გაითავისეს ადგილობრივი სამლოცველო ნიშები და ქრისტიანული ძეგლები. ქართველების უძველესი სალოცავები მათთვის წმინდა ადგილებად იქცა. პანკისში მიგრირებული ქისტების ნაწილი წარმართობას მისდევდა, მცირე ნაწილი ქრისტიანი იყო, ნაწილი კი (უფრო გვიან ჩამოსულები) – მუსლიმი. ხეობაში ქისტების ჩამოსახლების პირველი წლებიდანვე, ქრისტიანული ეკლესიის გაძლიერებული მისიონერული მოღვაწეობის შედეგად, ქისტი მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა ოფიციალურად ქრისტიანული სარწმუნოება მიიღო (თუმცა ამ პროცესს ერთგვარი იძულების ხასიათი ჰქონდა და მოსახლეობის პრაქტიკული დაინტერესებაც ედო საფუძვლად), რაც მეტნაკლებად ფორმალურ ხასიათს ატარებდა. 1886 წელს ქართული ქრისტიანული მისიონერული საზოგადოების მიერ ჯოყოლოელი ქისტები ქრისტიანებად მოინათლნენ. მიუხედავად იმისა, რომ პანკისის ხეობაში პარალელურად თანდათანობით ფეხი მოიკიდა ისლამმა (სოფ. დუისი გახდა ისლამის მიმდევართა ცენტრი), ქისტები სალოცავებში და ქრისტიანულ დღესასწაულებზე, ნაწილობრივ, დღესაც დადიან. ისინი კვლავინდებურად პატივისცემით ეპყრობიან ხეობაში არსებულ

ქრისტიანულ სალოცავებს და რელიგიურ დღესასწაულებს ზეიმობენ (აღდგომას, კვირაცხოვლობასა და სხვ.). აღდგომისთვის დღემდე საგანგებოდ ემზადებიან პანკისელი (ჯოყოლოელი, ომალოელი) ქისტები. მაგალითად, სოფ. ომალოს მოსახლეობა აღდგომას წმ. გიორგის ხატში აღნიშნავდა. ხატის კარზე ამ დღეს სოფელში მცხოვრები თუშებიც მოდიოდნენ (შემდეგ თუშები სოფ. ალვანში გადავიდნენ საცხოვრებლად). იკვლება საკლავი, ინთება სანთელი, მოაქვთ შესაწირი ქადები, სარიტუალო კვერები, სასმელი (ლუდი, არაყი), შლიან სუფრებს. აღდგომის მეორე დღეს ომალოელები ღვთისმშობლის სალოცავში იკრიბებოდნენ. ისინი ღვთისმშობელს შესთხოვდნენ ბავშვების კარგად ყოფნას.

პანკისელი ქისტები, ქართველებთან და ოსებთან ერთად, ქართულ ქრისტიანულ ეკლესიებშიც დადიოდნენ. აწყურის თეთრი გიორგისა და ალავერდობის დღესასწაულებისთვის სპეციალურად ემზადებოდნენ (ურემს ფარდაგით გადახურავდნენ, თივას მიაფენდნენ, ზედ საჭმელ-სასმელს დააწყობდნენ, საკლავს მოათავსებდნენ).

ეკლესიის ეზოში ქისტები ქართველებისგან მოშორებით შლიდნენ სუფრას, თუმცა ერთმანეთის გადაპატიჟება იცოდნენ. დღეობაზე ბაზრობა იმართებოდა – ქისტები ნაბდის ქუდებს ყიდდნენ და სანაცვლოდ ფართლეულსა და საოჯახო ნივთებს იძენდნენ.

დღეს პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტები, ერთეული შემთხვევის გარდა, სუნიტური ისლამის აღმსარებლები არიან. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ხეობაში ვაჰაბიზმი გავრცელდა. მისი მიმდევრები, ძირითადად, ახალგაზრდები არიან.

ტრადიციული ინსტიტუტები. ქართულ გარემოში მოხვედრილმა ქისტებმა ქართული კულტურის უშუალო გავლენა განიცადეს და მოხდა საერთო მახასიათებლების ფორმირება, რაც ყოფისა და კულტურის ყველა ასპექტში გამოვლინდა. მიუხედავად ამისა, მათში უძველესი ტრადიციები დღემდეა შემორჩენილი. მკაცრად არის დაცული სტუმარ-მასპინძლობის ეტიკეტი, სიცოცხლისუნარიანია დაძმობილების ინსტიტუტი, სისხლ-მესისხლეობის ტრადიცია, კვლავ აქტუალურია ადათობრივი სამართალი, საერთო საზოგადოებრივ და სამართლებრივ საკითხებს წყვეტს უხუცესთა საბჭო და ა.შ.

დაძმობილება ხდება როგორც ერთი ეთნოსის წარმომადგენლებს, ასევე განსხვავებული ეთნიკური ჯგუფის წევრებს შორისაც. ძმობილდებიან ერთმანეთის საფუძვლიანად გაცნობის შემდეგ. დაძმობილების ძირითადი საბაბი ურთიერთმოწონებაა, თუმცა ყოფილა შემთხვევები, როდესაც შერიგების შემდეგ მტრადმოკიდებულნიც დაძმობილებულან. დაძმობილება გარკვეულ ვალდებულებებს გულისხმობს: ჭირსა და ლხინში ერთმანეთის გვერდით ყოფნას, მოსაკითხით ერთმანეთთან მისვლა-მოსვლას, ძმობილისთვის შურისძიებასაც (ძველად) და ა.შ. დაძმობილების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული რიტუალი თითების დასერვითა და მათი ერთმანეთზე მიდებით ტარდება, რაც სისხლის სიმბოლურ შერევას ნიშნავს. გარდა ამისა, ცნობილია ფიცვერცხლით დაძმობილება, რომელიც ასე სრულდება: ხნიერი, დაფასებული მამაკაცი არყიან ჭიქაში (ყანწში) ვერცხლს ჩათლის (ქამრის ბალთიდან, მონეტიდან თუ სხვა რამ ვერცხლის ნივთიდან) და სალოცავებს მიმართავს, მფარველობა გაუწიონ მომავალ ძმობილებს, მისცენ მათ ერთურთის ნდობა და სიყვარული. მერე თითოეული ძმობილთაგანი სამ-სამჯერ მოასმევინებს ვერცხლჩათლილ სასმელს მეორეს, შეჰფიცავს ძმობას და ადღეგრძელებს.

საერთოდ, ძმადნაფიცი უახლოეს და სისხლხორცეულ მოკეთედ ითვლება. პანკისელი ქისტები დღემდე სათუთად უფრთხილდებიან ძმადნაფიცობის მადლს, ღალატი წარმოუდგენელია. ძმადგაფიცულნი არამხოლოდ ოჯახებით უახლოვდებიან ერთმანეთს, არამედ მათი ბიძაშვილები და სხვა ნათესავებიც ერთმანეთის მოკეთეებად ითვლებიან. გაჭირვების ჟამს, განსაცდელში ქისტი საკუთარ სიცოცხლეს ანაცვალებს ძმადნაფიცს და ამასვე მოელის მისგანაც. დაძმობილება, მსგავსად სისხლით ნათესაობისა, კრძალავდა ქორწინებას ძმობილებსა და მათ შთამომავლებს შორის.

§9. ქურთები

ზოგადი ინფორმაცია. ქურთები (თვითწოდება – ქურდი, კურმანჯი) წინა აზიის ერთ-ერთი უძველესი ხალხია. ცხოვრობენ ირანში, თურქეთში, სიარიაში, ერაყში (ამ ტერიტორიას ქურთები ქურთისტანად მოიხსენიებენ), ლიბანში, ავღანეთსა და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში (სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, ყაზახეთი, თურქმენეთი). ქურთების ეთნოგენეზში მონაწილეობდნენ ძველი მიდიელი და ირანული ტომები.

ქურთული ენა განეკუთვნება ირანული ენების დასავლურ შტოს და გამოიყოფა ორი ძირითადი დიალექტი: კურმანჯი (ჩრდილო-დასავლური) და სორანი (სამხრეთ-აღმოსავლური). ქურთები, ძირითადად, სუნიტი მუსლიმები არიან, მცირე ნაწილი – შიიტები, იეზიდები, ალი-ილაჰები და სხვ.

XVI საუკუნის დასაწყისში ქურთისტანი გაინაწილა ირანმა და თურქეთმა, ხოლო I მსოფლიო ომის (1914-1918 წწ.) შემდეგ გაიყო ოთხ სახელმწიფოს შორის (თურქეთი, ირანი, ერაყი და სირია). ამ დაყოფამ ქურთი ხალხი ჩაგრული უმცირესობის მდგომარეობაში ჩააყენა.

ქურთების საერთო რაოდენობა 10 280 000 ათასია. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში 20 843 ქურთი ცხოვრობს, რაც ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის 0.4%-ს შეადგენს. ქურთების ძირითადი ნაწილი თბილისში, ასევე რუსთავში, ბათუმსა და თელავშია დასახლებული.

ისტორიული ექსკურსი. ცალკეული ქურთული ტომები საქართველოში, კერძოდ, მესხეთში, XVI საუკუნიდან ჩნდებიან. XIX საუკუნის დამდეგს ქურთული მოსახლეობა ციხესიმაგრე ქველის მიდამოებში ბინადრობს. XIX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში თბილისის გუბერნიაში, რომელშიც ახალქალაქის, ახალციხისა და ბორჩალოს მაზრები შედიოდა, დაახლოებით 3000 ქურთი ცხოვრობდა. ისინი მისდევდნენ მეცხვარეობას, ყიდდნენ საქონელს, მატყლს, კარაქს, ყველს, მატყლიდან ამზადებდნენ მაუდს, ხალიჩებს, ფარდაგებს, ქეჩას, ხურჯინებს.

თანამედროვე ქურთების ძირითადი ნაწილი, კონფესიითი ეზიდები, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ 1918 წელს მიიღო, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ თურქეთის მთავრობისა და მუსლიმი ქურთების ერთი ნაწილის მხრივ მათი რელიგიურ-პოლიტიკურ ნიადაგზე დევნის გამო.

საცხოვრებელი გარემო და სოციალური დაყოფა. აჭარაში ქურთები ნახევრად მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ. ორასამდე კომლი ბინადრობდა იაილებზე შავ ტბასა და სარიჩაირის მთებს შორის, შავშეთწამუს გვერდით. მათი რძის პროდუქტები ადგილობრივ მოსახლეობაში დიდი მოთხოვნით სარგებლობდა.

სოფლად მცხოვრებ ქურთებს ორი ტიპის სახლი ჰქონდათ: ზამთრისა – მიწური ან გუმბათიანი, ნახევრად მიწური და საზაფხულო – კარავი. ქურთების კარვები ორად იყო გაყოფილი: ერთში ცხოვრობდნენ, მეორეში ყველსა და კარაქს ამზადებდნენ. საქონელი ცალკე იყო მოთავსებული. საზამთროდ ქურთები ბარში ჩადიოდნენ და ბათუმის ახლოს, კახაბერში სახლობდნენ.

თბილისში ჩამოსული ქურთი-ეზიდები იმის მიხედვით სახლდებოდნენ, როგორც თავის სამშობლოში ცხოვრობდნენ, ანუ თანასოფლელები ცდილობდნენ ერთად დასახლებულიყვნენ, უფრო მეტიც, ერთი ბარის (პატრონიმიული გაერთიანების) წარმომადგენლები ერთ ქუჩაზე სახლდებოდნენ. უმეტეს შემთხვევაში, იქვე ბინავდებოდნენ რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლები, რომლებიც ერისკაცებს ემსახურებოდნენ.

საქართველოში ჩამოსახლებული ქურთი-ეზიდები სასულიერო და საერო პირებად იყოფოდნენ. სასულიერო პირები, თავის მხრივ – შეიხებად და ფირებად. ქორწინება რელიგიურ ჯგუფებს შორის იკრძალებოდა. ეს წესი, ძირითადად, დღემდე მოქმედებს.

თავი VII. ქართული კულტურის ეთნიკურად არაქართველი მოღვაწეები

საქართველო მრავალეროვანი სახელმწიფოა. აქ საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობენ და ქართველებთან ერთად ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ძლიერებისთვის, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული წინსვლისთვის იღვწიან აფხაზები, ებრაელები, ოსები, სომხები, აზერბაიჯანელები, ბერძნები, რუსები და სხვები. სხვა ეროვნების წარმომადგენელთა მიმართ შემწყნარებლურ დამოკიდებულებას ჩვენში ხანგრძლივი ისტორია აქვს. ფრანგი მოგზაურის – ჟან შარდენის (XVI-XVII სს. მიჯნა) მოწმობით, საქართველოში „უფლება გაქვს იცხოვრო შენი სარწმუნოებით და ადათებით, იმსჯელო მასზე, დაიცვა თავი“. საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს დიდი წვლილი შეჰქონდათ ქვეყნის კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

§1. აფხაზები საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში

შუა საუკუნეებში, ახალ და უახლეს პერიოდში საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ არენაზე სხვა ეთნიკური წარმომავლობის არაერთ მოღვაწეს გამოუჩენია თავი. მათ შორის აფხაზებს განსაკუთრებით დიდი წვლილი მიუძღვით საქართველოს სამეფოს გაერთიანებისა და შემდეგ პერიოდში მისი ერთიანობისათვის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში. მიუხედავად, იმისა, რომ შუა საუკუნეებისა და ახალი დროის აფხაზები საკუთარ ეროვნულ იდენტიფიკაციას ქართულ სამყაროსთან ახდენდნენ და თავს ქართული სახელმწიფოს ნაწილად აღიქვამდენ, უახლეს დროში შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია წარმოვაჩინოთ აფხაზთა ღვაწლი ქართული სახელმწიფოსა და კულტურის განვითარების ისტორიაში. საგულისხმოა, რომ VIII საუკუნის 90-იან წლებში სწორედ მათ ჩაუყარეს საფუძველი დასავლურ ქართულ სახელმწიფოებრივ გაერთიანებას, რომელსაც ქართული საისტორიო წყაროები „აფხაზთასამეფოს“, სომხური ისტორიული თხზულებები ეგრისის სამეფოს, ხოლო თავად „აფხაზთა“ მეფეები, უბრალოდ, სამეფოს უწოდებდნენ. IX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაწყებული, X საუკუნის 70-იან წლებამდე ეგრის-აფხაზეთის მეფეები ისწრაფოდნენ ქართული მიწების გაერთიანებისაკენ. მათ გააერთიანეს დასავლეთ საქართველოს ყველა ისტორიული კუთხე, შეიერთეს ოძრხე, ქართლის დიდი ნაწილი და ჯავახეთი, სადაც აქტიურად შეუდგნენ კულტურულ-სახელმწიფოებრივ საქმიანობას: ამაგრებდნენ სახელმწიფო საზღვრებს, აგებდნენ ეკლესია-მონასტრებს, მეზობელ ხალხებში ავრცელებდნენ ქრისტიანობას, აერთიანებდნენ დასავლურ ქართულ ეკლესიას მცხეთის ავტოკეფალურ ეკლესიასთან და ა. შ. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეგრის-აფხაზეთის მეფეების **კონსტანტინე III-ის, გიორგი II-ის** და **ლეონ III-ის** მოღვაწეობა, რაც კარგად აისახა როგორც ქართულ, ასევე უცხოურ წერილობით წყაროებსა და აღნიშნულ მეფეთა დაკვეთით შესრულებულ წერილობით ძეგლებში, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა ქართულია. სწორედ ეგრის-აფხაზეთის სამეფო კარზე შემუშავდა საქართველოს გაერთიანების ის კონცეფცია, რომელიც ამავე სამეფოს ერთ-ერთმა (ქართლის) ერისთავმა იოანე მარუშისძემ გააცნო ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის ყველაზე ძლიერ ხელისუფალს – იმიერ ტაოს (ქართველთა საკურაპალატოს) მმართველს დავით III კურაპალატს. დავით კურაპალატისა და იოანე მარუშისძის თაოსნობით საფუძველი ჩაეყარა საქართველოს გაერთიანების პროცესს და 978 წელს დასავლეთ საქართველოში – ქუთაისში „აფხაზთა“ მეფედ ეკურთხა ბაგრატ III ბაგრატიონი,

აფხაზებმა საქართველოს გაერთიანების შემდეგაც არაერთხელ გამოიჩინეს თავი ქართული სახელმწიფოს მშენებლობის, გაძლიერებისა და საგარეო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ისინი

მონაწილეობდნენ შირინის, ერწუხის, დიდგორის, შამქორის, ბასიანის, განძის და სხვა ბრძოლებში. საქართველოს სახელმწიფოს დაშლის შემდეგაც აფხაზები არაერთხელ გამოსულან საერთო მტრის წინააღმდეგ საქართველოს სამეფო-სამთავროების დასაცავად. ქართული წყაროებში დიდებით მოიხსენიებიან ცნობილი სარდლები და მხედართმთავრები ოთაღო შერვაშიძე, დარდინ შერვაშიძე, ხუტუნია შერვაშიძე და სხვები.

ახალი და უახლესი პერიოდის საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში არაერთმა აფხაზმა მამულიშვილმა ითამაშა განსაკუთრებული როლი. მათ შორის გამორჩეულია გიორგი მიხეილის ძე შარვაშიძის, გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძის, დიმიტრი (არზაყან) ემხვარის, ვარლამ შერვაშიძის, დავით ანჩაბაძის, გრიგოლ შერვაშიძის, ასტამურ ინალიფას, დავით ჩქოტუას, პეტრე ანჩაბაძის, ზურაბ ანჩაბაძის, სოკრატ არშბას, რაულ ეშბას, ლორიკ მარშანიას და სხვათა ღვაწლი.

გიორგი მიხეილის ძე შარვაშიძე (1846-1918 წწ.) არის აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის **მიხეილ შარვაშიძისა** და **ალექსანდრა დადიანის** ვაჟი, XIX-XX საუკუნეების მიჯნის ქართული კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, რომელმაც თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი თბილისსა და ქუთაისში გაატარა.

აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი მიხეილი განთქმული იყო მხედრული სიმამაცით, მჭევრმეტყველებით, ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის ცოდნით. მიხეილ შარვაშიძის მთელი კანცელარია, საქმიანი თუ პირადი მიმოწერა ქართულად მიმდინარეობდა. ბუნებრივია, გიორგი შარვაშიძის დამოკიდებულება და დიდი სიყვარული ქართული კულტურისადმი ამ ფესვებიდან მომდინარეობს. იგი ღრმად ფლობდა ქართულ ლიტერატურას და თვითონაც შესანიშნავ ლექსებს წერდა ქართულ ენაზე. ეროვნებით აფხაზი გიორგი შარვაშიძე, წინაპრების მსგავსად, საქართველოს საზოგადო მოღვაწე, პოეტი, დრამატურგი და პუბლიცისტი, XIX საუკუნის 60-იანი წლების ქართველ თერგდალეულთა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, სერგეი მესხის და სხვათა თანამოაზრე იყო. წერდა ქართულ, აფხაზურ და რუსულ ენებზე. მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქართველოს საზოგადოებრივ და ლიტერატურულ ცხოვრებაში. კარგად იცნობდა საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობას, აფხაზეთის ისტორიასა და ფოლკლორს. აქტიურად იბრძოდა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის, საერთო ეროვნული ფასეულობების, ქართული ენისა და კულტურის განვითარებისთვის, ქართველი და აფხაზი ხალხების ისტორიის ფალსიფიკაციის გამოვლენისათვის, ორი მოძმე ერის ეროვნული ფესვებისა და მათი ურთიერთობების შენარჩუნებისთვის.

გიორგი შარვაშიძე-ჩაჩბა მთელი თავის არსებით ქართული კულტურის სამყაროს უკავშირდებოდა. მისთვის ქართული ენა იყო არა მარტო კულტურის მთავარი იარაღი, არამედ სიყვარულის საგანიც. ამის დასტურია წერილი „ქართული ენის გარშემო“, რომელშიც ქართული ენის სიწმინდის დაცვისკენ მოუწოდებს საზოგადოებას. ამ დამოკიდებულებას ქართული ენისადმი კვებავდა ძველი და ახალი მწერლობის ღრმა ცოდნა. ის ძალზე კარგად იცნობდა შოთა რუსთველს და მის „ვეფხისტყაოსანს“. საგულისხმოა, რომ საქართველოზე უზომოდ შეყვარებული კაცი, არც ერთი წუთით არ მოწყვეტია მშობლიურ კუთხეს -აფხაზეთს. ისე წმინდად ფლობდა აფხაზურ ენას, რომ მისი თანამედროვენი ამბობდნენ: ასე ეხლა არავინ ლაპარაკობს აფხაზურსო. სწორედ მშობლიური კუთხისადმი ეს დამოკიდებულება აისახა მის აფხაზურ სიმღერაში „ვარადა“. XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან გიორგი შარვაშიძის ლექსები, პუბლიცისტური წერილები და პოემები იბეჭდებოდა ქართულ პრესაში. აქტიურად მოღვაწეობდა თეატრალურ სფეროში. თბილისსა და ქუთაისში იდგმებოდა მისი პიესები, აქვეყნებდა თეატრალურ რეცენზიებს, რითიც დიდი ამაგი დასდო ქართული ეროვნული თეატრალური კულტურის განვითარებას.

გიორგი შარვაშიძის მოღვაწეობიდან აღსანიშნავია ქართული ენის, ქართული კულტურისა და ქართველი ხალხის ეროვნული ღირსებისა და ინტერესების დაცვა, აფხაზეთის საეპისკოპოსოს

საკითხის მოგვარება და XX საუკუნის დასაწყისში, მოსკოვის წაქეზებით დაწყებული აფხაზური სეპარატიზმის განეიტრალება.

გიორგი შარვაშიძის პუბლიცისტურ წერილებიდან ცნობილია ქართველთა და აფხაზთა ეროვნული ღირსების დაცვის მიზნით დაწერილი წერილი გერმანელი კორესპონდენტის, ვინმე ლორენცისადმი, რომელმაც საქართველოში, კერძოდ აფხაზეთში მოგზაურობის შემდეგ გაზეთ „ბერლინერ ტაგებლატში“ გამოაქვეყნა უდიერი კორესპონდენცია, სადაც ქართველი ხალხი „სპილენძის ხანის ხალხად“ მოიხსენია. „... კარგის სათქმელად საჭიროა მეტი ცოდნა და დაფიქრება, – წერდა გიორგი შარვაშიძე, – ხოლო ავისთვის მოსაზრება სულ უნიჭო რეპორტიორსაც ეყოფა... დიახ, ჩამოვრჩით ცივილიზაციას: არ გვყავს სუტენიორები, არც შანტაჟისტები, არც აფრიკული საქმოსნები და ასე შემდეგ და, წარმოიდგინეთ: თუმცა, ასეთი ჩამორჩენილობა შეიძლება ჩვენ გვხდის სპილენძის ხანის ადამიანთა მსგავსად. მაგრამ, ამაზე როდი ვწუხვართ, ვფიქრობთ, რომ არაა საჭირო, შევითვისოთ ის ნაგავი, რასაც ზოგიერთი პროგრესს უწოდებს, არამედ ვცდილობთ ევროპული ცივილიზაციიდან ამოვარჩიოთ, როგორც მარგალიტი, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო ნაწარმოებები. თვალყური ვადევნოთ აღმოჩენებს მეცნიერებაში... ასე, ყოველგვარი ეშმაკობის გარეშე ვცხოვრობთ და, ბატონ ლორენცს რომ უფრო ღრმად ჩაეხედა ქართველი ერის ცხოვრებაში, გაიგებდა, რომ ამ ხალხს, რომელიც მან ასე აბუჩად აიგდო, აქვს ბრწყინვალე ისტორიული წარსული... მაგრამ, გასაოცარი გმირობისა და დიდების წარსულის ფურცლები, ამ ხალხის სისხლითა და ცრემლებით განბანილი, არ შეიძლება, დაეტიოს ერთ საგაზეთო სტატიაში. ანდა, ღირს კი მარგალიტების ფრქვევა?..“

საყურადღებოა, გიორგი შარვაშიძის წერილი „სოციალიზმი საქართველოში“, რომელიც 1917 წლის 25-29 ივნისს გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველო“-ში. წერილში ავტორი საქართველოს „ჩემს სამშობლო ივერიას“ უწოდებს და იმ ისტორიულ პრობლემებზე საუბრობს, რომელთა გამოც ქვეყნის დიდება წარსულ საუკუნეთა მიღმა დარჩა: „მართალია, ჩვენს სამშობლო ივერიას ყოველგვარი დიდი კულტურული განცდა გამოუვლია, მაგრამ ჩვენი წარსული ისეთს ჟამს გაშეშდა, რომ დაგვებნა ბუნებრივი ევოლუციის შარა და კანონი. დიახ, ჩვენ შეგვიძლია თამამადაც ვთქვათ, რომ იღბალის უკუღმართობას რითიმე ხელი არ შეეშალა, ევროპის წინაც ვიქნებოდით ჩვენ დღეს... როგორც იყო ომით, მუდამ დავიდარაბით მივიტანეთ ჩვენი კულტურული ცხოვრება თამარ დედოფლის დრომდი, რომელიც იყო ივერიის ოქროს ხანა! შემდეგ კი უკუღმართად დატრიალდა ერის არსებობა, შემოსული მტრები არ გვაძლევდნენ საშველს და ხალხი დაიღალა. ნელ-ნელა ჩაქრა დიდებული გონებრივი და ქონებრივი რენტა ქვეყნისა და დაიშალა ცხოვრება თვითარსებობისა..... ამ დროს, როდესაც შეგნებული ნაწილი ივერთა დაკუწულ ხალხისა, ხელთგულდაკრეფილი, იდგა საფლავებზე თავის დავიწყებული, დამარხული დიდებისა, დღეს უეცრად გაისმა ხმა სიმართლისა და თავისუფლებისა.“

გიორგი შარვაშიძის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ და კულტურულ-პოლიტიკურ თვითშეგნებას ნათლად წარმოაჩენს მისი ბრძოლა აფხაზეთის ეპარქიის საქართველოს საერგზარქოსოს შემადგენლობაში შენარჩუნებისათვის. 1885 წლამდე აფხაზეთის საეპისკოპოსოს ქართველი მღვდელმთავრები განაგებდნენ, მაგრამ 1885 წლიდან აღნიშნულ საეპისკოპოსოს სოხუმის ეპარქია ეწოდა და მას ანტიქართული ორიენტაციის რუსი ეპისკოპოსები მართავდნენ, რომლებსაც რუსეთის უწმიდესი სინოდისა და ხელისუფლების წარმომადგენლების მხარდაჭერით აფხაზეთის ეპარქიის საქართველოდან ჩამოშორება სურდათ. ეს საკითხი 1916 წელს ოფიციალურად იქნა განხილული რუსეთის უწმინდესი სინოდის მიერ. იმავე წელს მეფისნაცვალთან სპეციალური პეტიციით თბილისში ჩამოვიდა აფხაზი პატრიოტებისა და სამღვდელოების დეპუტაცია, რომლებიც კატეგორიულად მოითხოვდნენ, სოხუმიის ეპარქია საქართველოს საეგზარქოსოდან არ გამოყოფილიყო. აფხაზების დეპუტაცია მეფისნაცვლიდან მოითხოვდა: ა)აფხაზეთში სწავლა ქართულ და აფხაზურ ენებზე უნდა ყოფილიყო, ბ) სოხუმის ოლქი ცალკე გუბერნიად გამოყოფილიყო და არ შეერთებოდა შავი ზღვის გუბერნიას და გ) თუ შეუძლებელი იყო სოხუმის ოლქის ცალკე გუ-

ბერნიად გამოყოფა, მაშინ იგი ქუთაისის გუბერნიას უნდა შეერთებოდა. აღნიშნული პეტიციის ტექსტის ავტორი გიორგი შარვაშიძე იყო.

გიორგი შარვაშიძის, როგორც საქართველოს დიდი პატრიოტისა და მშობლიური ქვეყნის ჭირ-ვარამზე დაფიქრებული კაცის, ეროვნული სატკივარი შესანიშნავადაა გადმოცემული ლექსში *„პასუხი ვ.ო.“-ს„* რომელიც მას დაუწერია ბათუმში. ამ ნაწარმოებით ავტორი გამოეხმაურა გაზეთ *„დროებაში“ 1883 წელს* გამოქვეყნებულ ვახტანგ ორბელიანის ლექსს – *„ამერ-იმერი“. „პასუხი ვ.ო.“-ს* ცენზურის ზეწოლის გამო ვერ დაბეჭდა *„დროებამ“, მაგრამ იგი ხელნაწერის სახით გავრცელდა ხალხში და ცნობილი გახდა მაშინდელი ქართული საზოგადოებისათვის.*

გიორგი შარვაშიძის ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსი კარგად იკითხება მის სიტყვაში, რომელიც 1917 წლის 8 ნოემბერს, აფხაზი სეპარატისტი ლიდერების მიერ მოწვეულ „აფხაზი ხალხის ყრილობაზე“ წარმოთქვა. ანტიქართულად განწყობილმა ძალებმა აფხაზი ხალხის მომავალი ე.წ. „კავკასიის გაერთიანებულ მთიელთა კავშირს“ დაუკავშირა. ყრილობის მკვეთრად გამოხატულმა ანტიქართულმა პათოსმა გიორგი შარვაშიძისა და ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა პროტესტი გამოიწვია. გიორგი შარვაშიძემ აფხაზურ ენაზე მიმართა ყრილობის მონაწილეებს, აუხსნა მათ რუსეთში განვითარებული მოვლენების არსი, მიულოცა თავისუფლების მოახლოება და ქართველ ხალხთან მეგობრობისა და თანამშრომლობისაკენ მოუწოდა: „თქვენ თქვენს ;უფროს ძმებს მიჰყევით, მათთან ერთად იმოქმედეთ და იბრძოლეთ თავისუფლების მოსაპოვებლად და შესანარჩუნებლად. ვიცი, ზოგიერთებს არ მოეწონებათ ჩემი ასეთი აზრი, რადგან ისინი მოსკოვისაკენ იყურებიან, მე კი – თბილისისაკენ. სხვა გზა არ არის და არც ყოფილა აროდეს აფხაზეთისათვის, გარდა საქართველოსთან მჭიდრო კავშირისა და მასთან ყოფნისა განუყრელად ჭირში და ლხინში“. ამ სიტყვების შემდეგ, გიორგი შარვაშიძემ ეს თავყრილობა გულნატკენმა დატოვა. ამ მოვლენიდან სამ თვეში, 1918 წლის 19 თებერვალს გიორგი შარვაშიძე გარდაიცვალა. დაკრძალულია მისი მეუღლის ელენე ანდრეევსკაიას გვერდით, „აფხაზთა“ მეფის ლეონ III -ის (957-967წწ) მიერ მეათე საუკუნეში აშენებულ მოქვის საკათედრო ტაძარში.

გიორგი შარვაშიძის გულისტკივილი და მაშინდელ აფხაზეთში შექმნილი ვითარება კარგად შეაფასა სოხუმის თავმა ნიკო თავდგირიძემ გამოსამშვიდობებელ სიტყვაში: „თამამად შემიძლია, შენს კუბოსთან გამოვთქვა, რომ შენისთანა რაინდული გრძნობით აღჭურვილი, შენისთანა ჩვენი ეროვნების ღირსების შემგნები, დამცველი და უანგარო მოყვარული, არათუ აფხაზეთს, მთელ საქართველოსაც, რომელიც რიცხვით და განათლებული საზოგადოებით უფრო ძლიერია, ამჟამადაც არ ჰყავს. რა უსამართლობაა, რა ირონიაა ცხოვრების: მთელი შენი მშვენიერი, მომხიბლავი ახალგაზრდობის ძალა, არაჩვეულებრივი განსაკუთრებული უპირატესობით აღსავსე გარემოება მსხვერპლად შესწირე იმას, რომ შენი პატარა, მაგრამ შენთვის ცხოვრებაში ერთ-ერთ საფასურგანძს – აფხაზეთს – თავისუფლება მოვლინებოდა და შენ უკანასკნელი თავის ძალით, როგორც ბიბლიური სიმონი მიგეებებოდი მას, მაგრამ შენმა საყვარელმა ხალხმა – აფხაზებმა, გვერდი აგიხვია. ვერ შეგამჩნია შენ და იმ რუს აღზრდა-აზროვნება-მიმართულებით გაჟღენთილ ადამიანებს მიჰყვა, რომელთან ბრძოლას შენი ხალხის დაჩაგვრისათვის მთელი შენი კაცთა შორის აღიარებული ბედნიერება შესწირე“. ცნობილმა ქართველმა მწერალმა გრიგოლ რობაქიძემ გიორგი შარვაშიძეს „ქართული რასსის ნამდვილი ვაჟი“ უწოდა.

გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძე (1847-1918) არის აფხაზეთის სამთავრო სახლის ერთერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, დიმიტრი (სეითბეი) შარვაშიძისა და ეკატერინე დადიანის ვაჟი, რომელიც ადრე დაობლდა და იზრდებოდა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ნ. კოლუბიაკინის კარზე. 1849 წელს გაამწესეს პეტერბურგის პანსიონატში სასწავლებლად, 1865-1869 წლებში სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. იგი არის პირველი აფხაზი პროფესიონალი იურისტი. მოსკოვის უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ საქართველოში გამოეშურა და მუშაობდა ტფილისში კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსის საგანგებო დავალებათა მოხელედ. მონაწილეობდა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის

ომში და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შემოერთებისათვის ბრძოლაში დიდი ღვაწლი დასდო. 1883 წელს გახდა ტფილისის ვიცე-გუბერნატორი, ხოლო 1889 წელს დაინიშნა ტფილისის გუბერნატორად. ამ თანამდებობაზე გიორგი შარვაშიძემ დაჰყო 1897 წლამდე და მიიღო კამერგერის წოდება და ნამდვილი ტიტულარული მრჩევლის ჩინი. შემდეგ გიორგი შარვაშიძე იმპერატორის კარზე. 1905-1913 წლებში იყო რუსეთის იმპერატრიცას კანცელარიის გამგე.

გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძე მონაწილეობდა სოფლის მეურნეობის კავკასიური საზოგადოების და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობაში. დიდი როლი შეასრულა საქართველოში სახალხო სკოლების გახსნაში, სიკვდილის წინ კი თავისი უნიკალური ბიბლიოთეკა საჩუქრად გადასცა ახლადგახსნილ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

არზაყან (დიმიტრი) ემხვარი (1880-1939 წწ). 1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდანვე აფხაზი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები აქტიურად იყვნენ ჩართული ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის საკითხებში. მათ შორის მნიშვნელოვანია ცნობილი აფხაზი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის არზაყან ემხვარის საქმიანობა. არზაყან (დიმიტრი) ყაზილბაქის (კონსტანტინეს) ძე ემუხვარი დაიბადა 1880 წლის 26 ოქტომბერს სამურზაყანოში, სოფ. ჩხორთოლში. მისი მშობლები სამურზაყანოელი თავადები იყვნენ: მამა – კონსტანტინე, იგივე ყიზილბაქ ემხვარი და დედა – ხამსეტ ომარის ასული მარღანია სოფ. რეფო-შეშელეთში ცხოვრობდნენ (ახლანდელი გალის მუნიციპალიტეტი). არზაყანის ნათლია იყო თავადი ოთარ მურზაყანის ძე დადეშქელიანი. არზაყანის მშობლები ადრე გარდაიცვალნენ და იგი ოთხ და-ძმასთან ერთად ძიძამ გაზარდა. სწავლობდა ოქუმის პირველდაწყებით სკოლაში, შემდეგ ახალსენაკის (ახლანდელი სენაკის მუნიციპალიტეტი) სასულიერო სასწავლებელსა და ქუთაისის სასულიერო სასწავლებლებში. 1896 წელს ჩაირიცხა ქუთაისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც 1902 წელს დაამთავრა, სწორედ აქ დაუმეგობრდა კონსტანტინე კანდელაკს (შემდეგში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი). სემინარიაში სწავლის დროს იყო „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების“ სტიპენდიანტი. ქუთაისში დაუახლოვდა „მესამე დასს“ და მალე გახდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. იყო აფხაზეთის მენშევიკური ორგანიზაციის დამფუძნებელი და ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1900-იან წლებში მისი წერილები იბეჭდებოდა ქართულ და რუსულ პრესაში. 1918 წ. სოხუმის ოლქის გლეხთა II ყრილობაზე (4-9 მარტი) გლეხთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს. მიაჩნდა, რომ აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო, ამიტომ აფხაზეთის საქართველოსთან მჭიდრო კავშირისა და საქართველოს შემადგენლობაში პოლიტიკური ავტონომიის მომხრე იყო და ამ მიმართულებით ბევრს იღვწოდა.

არზაყან (დიმიტრი) ემხვარი 1917-1918 წლებში იყო „აფხაზთა სახალხო საბჭოს“ წევრი, 1919-1920 წლებში არჩეული იქნა „აფხაზეთის სახალხო საბჭოს“ წევრად, ხოლო 1919 წლის მარტ-მაისში იყო აფხაზეთის სახალხო საბჭოს თავმჯდომარე. სწორედ მისი თავმჯდომარეობით აფხაზეთის სახალხო საბჭომ 1919 წ. 20 მარტს მიიღო „აქტი ავტონომიის შესახებ“, რომლის ძალითაც აფხაზეთი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში ავტონომიის უფლებით შევიდა; 1919 წლის მაისიდან 1921 წლის მარტამდე (აფხაზეთის გასაბჭოებამდე) არზაყან ემხვარი იყო აფხაზეთის კომისარიატის (მთავრობის) თავმჯდომარე. 1919-1921 წლებში არჩეული იქნა საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად. საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1919 წ. 12 მარტს დაამტკიცა 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომელსაც არზაყან ემხვარმაც მოაწერა ხელი. მას საქართველოს მენშევიკური ხელისუფლება „დემოკრატიის უმაღლეს ტიპად“ მიაჩნდა. 1921 წლის დასაწყისში, როდესაც საბჭოთა რუსეთის IX წითელი არმიის ნაწილები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრებს ჩრდილო-დასავლეთიდან მოადგნენ, არზაყანი აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა, მაგრამ 1921 წლის 4 მარტს რუსულმა წითელმა არმიამ სოხუმი აიღო და ამის შემდეგ არზაყანი ემიგრაციაში წავიდა, ცოლ-შვილი კი ქუთაისში სიმამრთან გახიზნა. იგი ერთხანს სტამბოლში

ცხოვრობდა, შემდეგ პრაღაში გადავიდა, სადაც 1927-1933 წლებში ქართულ კოლონიას ხელმძღვანელობდა. 1939 წლის მარტში, მეგობრების თხოვნით, საფრანგეთში, კერძოდ პარიზში, საცხოვრებლად გადავიდა. აქ მას დიდი სიხარულით შეხვდნენ კონსტანტინე კანდელაკი, აკაკი ჩხენკელი, გრიგოლ ურატაძე და სხვები. მაგრამ იგი მოულოდნელად, 1939 წლის 24 მარტს, სისხლის მოწამვლით გარდაიცვალა. დაკრძალულია პარიზში, ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

საგულისხმოა, რომ ცნობილი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცებაში“ მთავარი გმირის – თარაშ ემხვარის პროტოტიპი კონსტანტინეს სიყმის მეგობარი არზაყან ემხვარი გახდა, რასაც მოწმობს კ. გამსახურდიას წერილი არზაყანის ვაჟისადმი. ფაქტობრივად, არზაყან ემხვარმა, 1918-1921 წლებში, გაძლიერებული ანტიქართული პროპაგანდის პირობებში, სხვა აფხაზ პატრიოტებთან ერთად შეძლო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებში აფხაზეთის ავტონომიის შექმნა. არზაყან (დიმიტრი) ემხვარის და მისი მეგობრების აზრით, „ვინც საქართველოს და აფხაზეთის ისტორიას იცნობს მისთვის შეუძლებელია მათი განცალკევების თუნდაც უბრალოდ წარმოდგენაო“.

§2. ოსები საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში

ოსების გამოჩენა ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში ასახულია ძველ ქართულ საისტორიო წყაროებსა და ლიტერატურაში. ცნობილი ფაქტია, რომ ისინი დავით აღმაშენებლის მოწვევით მონაწილეობდნენ დიდგორის ბრძოლაში. ხოლო საქართველოს ოქროს ხანაში, ოსი უფლისწული – დედის ხაზით ქართველი ბაგრატიონების შთამომავალი – დავით სოსლანი თამარ მეფის მეუღლე და საქართველოს მხედართმთავარი გახდა. შალვა და ივანე ახალციხელებთან და ზაქარია და ივანე მხარგრძელებთან ერთად იგი ხელმძღვანელობდა ქართველთა ჯარს შამქორისა და ბასიანის ბრძოლებში. აღნიშნულ ბრძოლებში გამარჯვებამ საქართველო წინა აზიის უძლიერეს სახელმწიფოდ აქცია.

საქართველოში მცხოვრები ოსები აქტიურად მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში. ამ მხრივ საინტერესოა იოანე იაღლუზისძის, კოსტა ხეთაგუროვის, გრიგოლ კაბისოვის, რევაზ ასაევის, ნაფი ჯუსოითის, გიორგი ბესთაუთის, ვასილ აბაევის და სხვათა საქმიანობა.

კოსტა ხეთაგუროვი/კოსტანტინე ხეთაგათი (1859–1906) – ოსი პოეტი, მხატვარი და საზოგადო მოღვაწე; ითვლება ოსური ლიტერატურის ფუძემდებლად. დაიბადა ჩრდ. ოსეთში, სოფ. ნარში. 1871–81 წლებში სწავლობდა სტავროპოლის გიმნაზიაში, შემდეგ კი – პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში, თუმცა უსახსრობის გამო იძულებული გახდა სწავლა მიეტოვებინა და ოსეთში დაბრუნებულიყო, სადაც შეუდგა შემოქმედებით მოღვაწეობას. ანტიცარისტული ქმედებებისთვის პოეტი ორჯერ იყო გადასახლებული. 1903 წელს მძიმედ დაავადდა და შეწყვიტა შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

პოეტი რუსულსა და ოსურ ენებზე წერდა ლექსებს, მოთხრობებს, პიესებსა და სტატიებს. თუმცა იცოდა ქართულიც. კოსტა ხეთაგუროვი საქართველოში ხანგრძლივი დროით არ ცხოვრობდა, მაგრამ ცნობილია, რომ იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართველ ხალხთან. პირადად იცნობდა და მეგობრობდა ალექსანდრე ყაზბეგთან, დიმიტრი არაყიშვილთან, იოსებ იმედაშვილთან და სხვებთან. ხეთაგუროვმა შეისწავლა ქართულ ენა და განსაკუთრებულად უყვარდა ქართული ხალხური მუსიკა. უყვარდა ხატვა და ქმნიდა ფერწერულ ტილოებს. ისინი რამდენჯერმე იყო გამოფენილი ვლადიკავკაზსა და სხვა ქალაქებში. ქართული საზოგადოების განსაკუთრებული აღფრთოვანება გამოიწვია მის მიერ შექმნილმა წმინდა ნინოს ფრესკულმა პორტრეტმა.

ბეჭდვითი ორგანოს არარსებობის გამო, მისი ნაწარმოებები ხალხში ზეპირად ვრცელდებოდა. რუსულ ენაზე დაწერილი თხზულებები იბეჭდებოდა გაზეთებში „სევერნი კავკაზი“, რომლის ფაქტობრივი რედაქტორიც თავად გახლდათ, და „კაზბეკ“–ში. კოსტა ხეთაგუროვს ეკუთვნის პოემები „ყუბადი“, „მწყემსად“, „ფატიმა“ და სხვა. მან დაამკვიდრა ოსურ ლიტერატურაში რეალიზ-

მის პრინციპები. კოსტა ხეთაგუროვის თხზულებები თარგმნილია ქართულსა და მსოფლიოს სხვადასხვა ენებზე. დაკრძალულია ვლადიკავკაზში.

გრიგოლ არსენის ძე კაბისოვი (1914-1975 წწ) დაიბადა ქალაქ ცხინვალში, 1941 წელს დაამთავრა ლენინგრადის (ახლა სანკტ-პეტერბურგი) ნ. ოსტროვსკის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი. 1941 წლიდან მოღვაწეობდა ცხინვალის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ოსურ დასში, ჯერ როგორც მსახიობი, მოსკოვის სამხატვრო თეატრის ორწლიანი სარეჟისორო კურსების დამთავრების შემდეგ კი – რეჟისორი. ცხინვალის დრამატულ თეატრში დადგმული სპექტაკლებიდან აღსანიშნავია მიხეილ შოლოხოვის „სასიძო კაცი“, დ. თუაევის „ფასის ოცნება“ და „ობლების დედა“, გრიგოლ ბერძენიშვილის „მშვიდობის მტრედები“, ვალერიან კანდელაკის „მაია წყნეთელი“ და სხვა. დაჯილდოებულია მრავალი მედლით, 1967 წლიდან იყო საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

ნაფი გრიგოლის ძე ჯუსოითი (დაიბადა 1925 წელს ჯავის მუნიციპალიტეტში). იგი არის საბჭოთა ეპოქის ოსი მწერალი და ლიტერატურათმცოდნე. წერდა ქართულ, ოსურ და რუსულ ენებზე. პირველი ლექსი 1945 წელს გამოაქვეყნა, ხოლო პირველი ლექსების კრებული 1949 წელს. წლების მანძილზე იყო საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი. 1968 წელს გახდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, 1979 წელს მიენიჭა კოსტა ხეთაგუროვის სახელობის პრემია. მას ეკუთვნის ლექსების კრებული „სიტყვა გულისა“, რომელიც 1953 წელს გამოქვეყნდა. ამას მოჰყვა ლექსების 1960 წელს გამოქვეყნებული კრებული „მე დავიბადე მთებში“. არის რამდენიმე მოთხრობისა და რომანის ავტორი. 1969 წელს გამოიცა „წინაპართა სისხლი“, 1979 წელს „სირდონის ცრემლები“, ხოლო 1966 წელს ლიტერატურული-კრიტიკული სტატიების წიგნი „სიტყვის ხელოვნებისათვის“.

ნაფი ჯუსოითის კალამს ეკუთვნის მონოგრაფიული კვლევები ოსური კლასიკური ლიტერატურის წარმომადგენელებზე. მან რუსულიდან ოსურ ენაზე თარგმნა ა. პუშკინის, ტ. შევჩენკოს, ლ. ტოლსტოის, ა. ჩეხოვის ნაწარმოებები. ქართულიდან თარგმნა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და სხვათა შედევრები.

რევაზ ნიკოლოზის ძე ასაევი //რევაზ ასათი. ოსი პოეტი და საზოგადო მოღვაწე. დაიბადა 1923 წელს ახმეტის რაიონის სოფ. კუწახტაში. წერდა რუსულ. ოსურ და ქართულ ენებზე. 1947 წელს გამოქვეყნდა მისი ლექსებისა და პოემების პირველი წიგნი „მებრძოლის კალამი“, რომელიც მეორე მსოფლიო ომის თემას მიეძღვნა. ცნობილია მის ლექსებისა და თხზულებების კრებულები „სისხლის წვეთი“, „თხზულებები“, „ლექსები საზღვარგარეთზე“, „მოგზაურობა ევროპის გარშემო“, „მოუსვენარი გული“, „ლეგენდები და ლექსები“, „ოსი რაინდები“, „ჩემი ოსეთი“, „ხალხის სიკეთე“ და სხვა. ქართულ ენაზე გამოქვეყნდა მისი კრებულები: „გულის სიმღერა“, „ლექსები. პოემა“, „უცხოეთის გზებზე“, „სისხლის წვეთი“, „ოსური ლეგენდები“, „არა, სიცოცხლეს არ აქვს ზღვარი“ და სხვა. რევაზ ასაევი ეწეოდა აქტიურ მთარგმნელობით საქმიანობასაც. მან ოსურ ენაზე თარგმნა ქართველი კლასიკოსების ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა -ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგის, ნიკო ლომოურისა და გიორგი ერისთავის ნაწარმოებები. საქართველოს ხელისუფლებისაგან დაჯილდოვებულია „საპატიო ნიშნის ორდენით“.

§3. სომხები საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში

XIX საუკუნეში საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი სომეხ ვაჭრებსა და მრეწველებს ეკავათ. თბილისში ძმებმა მირზოევებმა გამართეს ბამბის საქსოვი ფაბრიკა, სადაც 500 მუშა იყო დასაქმებული. ასევე მნიშვნელოვან სამრეწველო ობიექტს წარმოადგენდა ადელხანოვის ტყავის დამამუშავებელი ქარხანა. მასვე ეკუთვნოდა ქეჩის, საპნისა და ზეთის სახდელი ქარხნებიც. წარმატებული მეწარმეები იყვნენ ასევე ენფიანჯიანი და ბოზარჯიანცი, რომლებმაც თამბაქოს ფაბრიკები ააგეს. იმ დროს ცნობილი მეღვინეები იყვნენ მამა-შვილი ანანოვები. მათ მიერ დამზადებული პროდუქცია დიდ მოწონებასა და საყოველთაო აღიარებას

იმსახურებდა. საყურადღებოა ისიც, რომ ანანოვის მიერ აშენებული ქარხანა დიდ სტიმულს აძლევდა ქართველ გლეხებს, რათა გაეზარდათ ყურძნის მოსავალი.

საქართველოშია დაბადებული სომხური კულტურის არაერთი თვალსაჩინო მოღვაწე. ისინი თავიანთი შემოქმედებით ქართულ კულტურასაც დიდ სამსახურს უწევდნენ. მათ რიგებს განეკუთვნება XVIII საუკუნეში მოღვაწე ცნობილი სომეხი პოეტი და აშუღი, საიათნოვა, რომელიც ქართულ ენას სომხურთან ერთად მშობლიურ ენად თვლიდა, ხოლო საქართველოს – სამშობლოდ. XIX საუკუნის მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ჰოვანეს თუმანიანმა დიდი ამაგი დასდო ქართველი და სომეხი ხალხების მეგობრობის, მათ შორის კულტურული კავშირის განმტკიცებას.

ქართველი ხალხის სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდნენ აქ დაბადებული სხვა სომეხი მოღვაწეებიც – მწერლები: გ. სუნდუკიანი, ხ. აბოვიანი, დ. დემირჭიანი; ცნობილი რეჟისორი სერგო ფარაჯანოვი და სხვები. საქართველოში დაიბადა თანამედროვეობის ერთ-ერთი ცნობილი მომღერელი, ამჟამად საფრანგეთში მცხოვრები, შარლ აზნავური. საქართველოში დაბადებული სომეხი ინტელიგენცია თავისი შემოქმედებით დიდ როლს ასრულებს ამ ხალხებს შორის ურთიერთობის განმტკიცების საქმეში. აგრძელებენ რა მოღვაწეობას საქართველოსა თუ მის ფარგლებს გარეთ, ისინი ყოველთვის გამორჩეული სითბოთი და სიყვარულით იხსენიებენ სამშობლოს.

საიათნოვა სომეხი პოეტი, აშუღი იყო. მამა – კარაპეტ საადიანი – ალეპოელი მნათე გახლდათ, დედა – ავლაბრელი სომეხი. საიათნოვა ფსევდონიმია. სეიდნოვა – ჰანგის უფალს, პატრონს ნიშნავს. სახელად, როგორც მისივე ლექსის სტრიქონებიდან ირკვევა, არუთინა ერქვა. მის ხელნაწერებში არსებული ორთოგრაფიული შეცდომები გვაფიქრებინებს, რომ პოეტს საფუძვლიანი განათლება არ მიუღია, თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ დაწყებითი განათლება მან სანაინში, ცნობილ სომხურ მონასტერთან არსებულ სკოლაში მიიღო. ლექსებს სომხურ, აზერბაიჯანულ, ფარსულსა და ქართულ ენებზე თხზავდა, ამასთან, ნიშანდობლივია, რომ სომხურ ლექსებს ქართული ასოებით წერდა, აზერბაიჯანულს კი – სომხური ასოებით. ყრმობაში სადურგლო ხელობა შეუსწავლია და თვითონ დაუმზადებია მოძრავი დაზგა. როგორც ჩანს, სწორედ ამ დაზგით შოულობდა ლუკმა–პურის ფულს.

საიათნოვა ჯერ თბილისში ცხოვრობდა, შემდეგ – თელავში. 1762–1765 წლებში ერეკლე მეფის კარზე მოღვაწეობდა, თუმცა 1765 წელს მეფეს, გაურკვეველი მიზეზების გამო, სასახლიდან გაუძევებია. ამის მიზეზად ზოგიერთი მკვლევარი საიათნოვას მწარე და სამართლიან ენას თვლის, ზოგი კი – მის ტრფობას ერეკლე II-ის დის, ანა ბატონიშვილისადმი. საიათნოვა ძალიან განიცდიდა სასახლიდან გაძევებას და მას ბედის უსამართლობას უწოდებდა. 1768 წელს ბერად შემდგარა ახპატაში, სადაც მას „სან ვარდაპედის“ (მეცნიერი ბერის) წოდება მიენიჭა.

საიათნოვას ლიტერატურული მემკვიდრეობა მრაფალფეროვანია. თხზავდა სატრფიალო და სახოტბო, დიდაქტიკურ–მორალისტურ ლექსებს. აქვს ავტობიოგრაფიული და სატირული ლექსებიც, თუმცა მისი შემოქმედების ძირითადი მოტივია მიჯნურობა. პოეტმა რამდენიმე სახოტბო ლექსი უძღვნა ერეკლე II-ს, ხოტბა შეასხა მის სახელმწიფოებრივ მო**ღ**ვაწეობას. საიათნოვას პოეზიაში თავი იჩინა აღმოსავლურმა სალექსო ფორმებმა და ლექსიკამ.

გადმოცემის თანახმად, საიათნოვა თბილისში ჩამოსულა, როცა აღა მაჰმად–ხანის შემოსევის ამბავი შეუტყვია და ერთ ეკლესიაში ლოცვად დამდგარა. როდესაც ქალაქში შემოვარდნილ მტერს მისთვის სარწმუნოების გამოცვლა მოუთხოვია, მას უარი უთქვამს და პოეტი სიკვდილით დაუსჯიათ.

ჰოვანეს თუმანიაინი დაიბადა 1869 წელს ლორეს მაზრაში. გარდაიცვალა 1923 წლის 23 მარტს ქალაქ მოსკოვში. სოფელში დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ თბილისის ნერსესის სემინარიაში განაგრძო სწავლა (ეს უკანასკნელი უსახსრობის გამო ვერ დაამთავრა). ჰოვანეს თუმანიაინი სამწერლო ასპარეზზე 1886 წელს გამოჩნდა. მისი ერთ-ერთი პირველი ნაწარმოებებია „ძაღლი და კატა“ და „უიღბლო ვაჭრები“ (ორივე 1886).

თუმანიანი მრავალმხრივი შემოქმედი იყო. წერდა ლექსებს, პოემებს, მოთხრობებს, ზღაპრებს, იგავებს, ბალადებს. ის თავის ნაწარმოებებში ასახავდა იმდროინდელი სომხეთის სინამდვილისთვის დამახასიათებელ სოციალურ კონფლიქტებს, ხალხის ზნე-ჩვეულებებს, სომეხი ხალხის წარსულსა და აწმყოს. მისი საუკეთესო პოემებია „ანუში“ (1890წ.), „მარო“ (1892), „თმოგვის ციხის აღება“ (1905). სომხების საგმირო თქმულებების საფუძველზე ჰოვანეს თუმანიანმა შექმნა პოემა „დავით სასუნცი“ (1902). ცნობილია თუმანიანის მიერ სომხური და აღმოსავლური ლეგენდების სიუჟეტებზე შექმნილი მრავალი ბალადა და ზღაპარი („ერთი წვეთი თაფლი“, „გულადი ნაზარა“ და სხვ.).

ჰოვანეს თუმანიანი ქართველი და სომეხი ერის მეგობრობის დამცველადაც გამოდიოდა. ამ თემაზე მან შექმნა მრავალი ლექსი – „შერიგება“, „საქართველოს შესახებ“, „საქართველოს სული“, „საქართველოს პოეტებს“ და სხვ.

ტიციან ტაბიძე მის შესახებ წერდა: „პირველი ადამიანი, რომელსაც ყველაზე უფრო აწვალებდა ფიქრი სომხეთისა და ქართველების ძმობაზე, იყო ოვანეს თუმანიანი. მისი გულწრფელობაც სწამდა ყველას საქართველოში და ამის მოწამე იყო ტფილისი მის 25 წლის იუბილეს დროს. დიდი პატრიოტობა არ უშლიდა ოვანესს ყოფილიყო ქართველების ორიენტაციისა. საქვეყნოდ ცნობილია, რომ ოსმალეთთან ომის დროს, სადაც დაიღუპა მისი უფროსი ვაჟი, ოვანეს თუმანიანმა შვიდი ქალიშვილი გაგზავნა ფრონტზე მოწყალების დებად, და როცა ქართველ-სომეხთა ომი დაიწყო, ზოგი მის შვილებთაგან მოხვდა ერევანში, ოვანეს თუმანიანმა უბრძანა შვილებს, არ მიეღოთ მონაწილეობა ომში, თორემ ის მათ დაწყევლიდა – ეს იყო დიდი სიყვარულის აქტი. აქვე უნდა ითქვას, რომ ოვანეს თუმანიანს ნამდვილი ძველი პატრიარქის გავლენა ჰქონდა სომხის ერზე. მას უსმენდა არა მარტო ხალხი, არამედ ხალხის მეთაურნიც. ოვანეს თუმანიანის ასეთი გავლენა თავის ხალხზე მე მაგონებდა ილია ჭავჭავაძის ავტორიტეტს... იშვიათი იყო აგრეთვე განწყობილება ოვანესისა ჩვენს პოეტებთან. არ ყოფილა არც ერთი ჩვენი გამოსვლა, რომ ოვანესი არ ყოფილიყო ჩვენთან და არ მოენახა საკუთარი სიტყვა. მე მახსოვს, ჩემს საღამოზე 1919 წელის 2 აპრილს მან წაიკითხა პოემა, რომელიც მთლიანად მიძღვნილი იყო საქართველოსა და ქართველი პოეტებისადმი. თუ იქნებოდა იუბილე ქართველი მწერლის, ოვანესს ვერავინ მოასწრებდა მოსვლას და უთუოდ მოიტანდა დაწერილ პერგამენტს. ოვანესს სურდა, რომ მეზობელ ერთა შორის ყოფილიყო ურყევი სულიერი კავშირი, მის სახლში ხშირად შეხვდებოდით მუსულმან პოეტებსაც, განსაკუთრებით უყვარდათ ამ უკანასკნელთაც ოვანესი“.

§4. აზერბაიჯანელები საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში

ცნობილია, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ერეკლე მეორის სამეფო კარზე მოღვაწეობდნენ აზერბაიჯანელი პოეტები ვაგიფი და ვიდადი, რომლებიც ლევან ბატონიშვილის მეგობრების წრეში შედიოდნენ და ქართველ პოეტებთან (ბესიკი, დავით რექტორი) ერთად დიდი მწუხარებით გამოეხმაურნენ ლევან ბატონიშვილის მოულოდნელ გარდაცვალებას. მათ შორის ვიდადი ითვლება აშუღური პოეზიის მწვერვალად და მან თავისი შედევრების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ქართლ-კახეთის სამეფო კარზე შექმნა.

XIX საუკუნეში, რუსული ოკუპაციის პირობებში, თბილისი გახდა აზებაიჯანული კულტურისა და ინტელექტუალური ცხოვრების აქტიური ცენტრი. XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოში არაერთი ცნობილი აზერბაიჯანელი მოღვაწე ცხოვრობდა, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს აზერბაიჯანული კულტურის განვითარების საქმეში. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მირზა ფათალი ახუნდოვი – მწერალი და დრამატურგი. ის პედაგოგიურ ასპარეზზეც წარმატებით მოღვაწეობდა და თბილისის გიმნაზიაში სპარსულ და თურქულ ენებს ასწავლიდა. სიცოცხლის თითქმის ნახევარი თბილისში გაატარა და იქვე გარდაიცვალა და დაკრძალეს 1878 წელს. გარდა ამისა, ქართულ-აზერბაიჯანულ კულტურულ ურთიერთობებში განსაკუთრებული

როლი შეასრულეს მუსიკოსებმა უზეირ ხაჯიბეკოვმა და რაშიდ ბეიბუთოვმა, მწერალმა ჯალილ მამედ-გული-ზადემ, ენათმეცნიერმა ვალეჰ ჰაჯიევმა და სხვებმა.

საინტერესოა, რომ XX საუკუნის დასაწყისიდან თბილისში რამდენიმე აზერბაიჯანული ჟურნალი გამოდიოდა. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდნენ სატირულ-იუმორისტული ჟურნალები „მოლა ნასრედინი“ (გამოსცემდა ჯალილ მამედ-გული-ზადე) და „თართან-ფართანი“. თბილისში დაფუძნდა პირველი აზერბაიჯანულენოვანი ჟურნალი „Sharqi Rus“ და ა. შ.

მირზა ფათალი ახუნდოვი (1812-1878 წწ.) აზერბაიჯანელი მწერალი, განმანათლებელი, ფილოსოფოსი, აზერბაიჯანული დრამატურგიის ფუძემდებელია. მას მიღებული ჰქონდა ტრადიციული სპარსულ-არაბული განათლება. ახუნდოვის ერთ-ერთი მასწავლებელი იყო ცნობილი პოეტი და მოაზროვნე მირზა შაფი ვაზეჰი, რომლის გავლენითაც მან უკუაგდო ადრინდელი გადაწყვეტილება, სასულიერო პირი გამხდარიყო. 1834 წლიდან მუშაობდა თბილისში, მეფისნაცვლის კანცელარიაში, აღმოსავლური ენების თარჯიმნად. ამასთან, თბილისის სამაზრო სასწავლებელში ასწავლიდა თურქულ და სპარსულ ენებს. თბილისში ურთიერთობა ჰქონდა მისი დროის მოწინავე ადამიანებთან, მათ შორის, კავკასიაში გადმოსახლებულ დეკაბრისტებთან. ახუნდოვმა ლიტერატურული მოღვაწეობა XIX საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო. წერდა ლექსებს, კრიტიკულ ნარკვევებს.

ახუნდოვის პირველი მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოები იყო ელეგიური ლექსი „პუშკინის გარდაცვალებაზე“ (1837). 1850-1855 წლებში დაწერა ექვსი კომედია, რომლებითაც აზერბაიჯანულ ლიტერატურაში კრიტიკული რეალიზმს ჩაუყარა საფუძველი. ახუნდოვი ასახავდა რელიგიური ფანატიზმით, ცრუმორწმუნეობითა და დრომოჭმული ტრადიციებით დაბეჩავებული ხალხის ცხოვრებას („მოლა იბრაჰამ ხალილი“, „ბოტანიკოსი მუსიე ჟორდანი“, „ყაჩაღის დამჯაბნელი დათვი“, „ლენქორანის ხანის ვეზირი“, „ძუნწის თავგადასავალი“ („ჰაჯი ყარა“)). ახუნდოვის „ლენქორანის ხანის ვეზირის“ დადგმით (1873 წ., ბაქო, აზერბაიჯანულ ენაზე) იწყება აზერბაიჯანული პროფესიული თეატრის ისტორია. ახუნდოვის კომედიები ცალკე წიგნად პირველად თბილისში გამოიცა: რუსულად და აზერბაიჯანულად. მოგვიანებით კი, 1875 წელს, სპარსულად გამოიცა ირანში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სპარსულ და აზერბაიჯანულ ენაზე დაწერილ ფილოსოფიურ ტრაქტატს „ქემალ-უდ დოვლეს წერილები“ (1864-1875), რომელმაც ახუნდოვს დიდი პოპულარობა მოუხვეჭა მთელს აღმოსავლეთში.

ახუნდოვის მოღვაწეობამ დიდი როლი შეასრულა აზერბაიჯანულ და ახლო აღმოსავლეთის ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში. მისი ნაწარმოებები თარგმნილია მრავალ ენაზე. ქართულად ახუნდოვის კომედია „ლენქორანის ხანის ვეზირი“ პირველად თარგმნა აკაკი წერეთელმა „ხანის ვეზირის“ სახელწოდებით (დაიბეჭდა 1898 წელს „კრებულში“ და იმავე წელს წარმოადგინეს ქართულ სცენაზე).

მირზა ფათალი ახუნდოვი ჩვენი ინტელექტუალური ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა იყო; მეგობრობდა ცნობილ ქართველ პოეტებთან და საზოგადო მოღვაწეებთან გრიგოლ ერისთავთან, ალექსანდრე ჭავჭავაძესთან, გრიგოლ ორბელიანთან და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ გრ. ორბელიანის აქტიური მეცადინეობით მირზა ახუნდოვი დაკრძალეს თბილისში, ახლანდელი ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე, ვინაიდან ქალაქის მუსლიმთა მეთაურები წინ აღუდგნენ მის დაკრძალვას მუსლიმთა სასაფლაოზე, ან მის მახლობლად.

§5. ებრაელები საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში

ქართველი საზოგადო მოღვაწეები ებრაულ მოსახლეობას ყოველთვის პატივისცემით ეკიდებოდნენ, ამის ნათელი დადასტურებაა საკუთრივ ტერმინი „ქართველი ებრაელი“, რითაც ქართველები საქართველოს ებრაელებს გამოარჩევდნენ სხვათაგან და საკუთრივ ებრაელებიც თვითიდენტობას ამ ტერმინით გამოხატავდნენ.

1905 წელს რუსეთში დიდი ანტისემიტური მოძრაობა დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილი იყო, საქართველოში ანტისემიტური მოძრაობა ფაქტობ-

რივად, არ არის შემჩნეული. 1912 წელს აკაკი წერეთელმა რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის დროს საგანგებო სიტყვით მიმართა ონელ ებრაელებს: „დადგება დრო, ერთა ჩაგვრა მოისპობა და თქვენც თავისუფლად ამოისუნთქებთო“.

ილია ჭავჭავაძე კი საგანგებოდ აღნიშნავდა: „ძვირად სადმე შეეთვისებიან ებრაელები სხვა ხალხს ისე, როგორც ქართველებს შეეთვისნენ... უკანასკნელ დროს და ახლაც არც ერთ უფლებას არ იყვნენ მოკლებულნი, რომელიც ქრისტიანებს ჰქონდათ მინიჭებული“.

საქართველოს პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიკურ ცხოვრებაში არაერთმა ქართველმა ებრაელმა პოეტმა, მეცნიერმა, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწემ დატოვა მნიშვნელოვანი კვალი. მათ შორის აღსანიშნავია დავით ბააზოვის (რაბინი), გერცელ ბააზოვის, ძმები იოსებ და მიხეილ ხანანაშვილების, იოსებ ელიგულაშვილის, მოსე დავარაშვილის, ბორის გაპონოვის, იცხაკ დავიდის, დავით ბააზოვის (მეცნიერი, ფიზიკოსი) ჯემალ აჯიაშვილის, შალომ კობოშვილის, იოსებ კრიხელის, ედუარდ გუფელდის, ჯამლეტ ხუხაშვილის და სხვათა საქმიანობა.

გერცელ ბააზოვი – ქართველი ებრაელი მწერალი და დრამატურგი, დაიბადა ცნობილი ებრაელი სასულიერო და საზოგადო მოღვაწის დავით ბააზოვის ოჯახში. ფლობდა ებრაულ, ქართულ და რუსულ ენებს, მაგრამ წერდა ქართულად, ამიტომ მისი ნაწარმოებები ქართული დრამატურგიის შედევრებად ითვლება. სწავლობდა თბილისის ჰუმანიტარულ ტექნიკუმში, შემდეგ კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიური ფაკულტეტის იურიდიულ განყოფილებაზე, რომელიც 1926 წელს დაამთავრა. თავიდან ადვოკატად მუშაობდა, შემდეგ იყო ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქციის პასუხიმგებელი მდივანი.

მისი პირველი ლექსები 1918 წელს ქუთაისის გაზეთ „ებრაელის ხმაში“ გამოქვეყნდა. მხატვარ უჩა ჯაფარიძესთან და თეატრმცოდნე დიმიტრი ჯანელიძესთან ერთად მონაწილეობდა ლიტერატურულ ჟურნალ „ონი“-ს გამოცემაში. 1920-იანი წლების დასაწყისიდან გერცელ ბააზოვი ცხოვრობდა თბილისში და აქაურ ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა მისი ლექსები, წერილები და თარგმანები. გერცელ ბააზოვის ინიციატივით დაარსდა ქართველ ებრაელთა თვითმოქმედი დრამატული დასი „კადიმა“.

ბააზოვის პირველი დრამატული ნაწარმოები იყო ალეგორიულ-სიმბოლური ხასიათის დრამა „დილლეამარი“, რომელიც ცალკე წიგნად გამოიცა 1929 წელს. დიდი აღიარება მოუტანა ბააზოვს ქართველ ებრაელთა ყოფა-ცხოვრების ამსახველმა პოემამ „მუნჯები ალაპარაკდნენ“, რომელიც 1931 წელს დაიდგა კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში და მალე ცალკე წიგნად გამოქვეყნდა. პიროვნების მორალური პრობლემები წარმოაჩინა გერცელ ბააზოვმა 1933 წელს გამოქვეყნებულ პოემაში „განურჩევლად პიროვნებისა“, რომელმაც დიდი აღიარება მოუტანა. მას ეკუთვნის პიესები „ხაგაი“, „შავი ზღვის პირას“, რომლებიც წარმატებით იდგმებოდა ქართულ სცენაზე, მაგრამ 1938 წლიდან რეპეტიციიდან მოიხსნა, რადგან მწერალი რეპრესირებული იყო. საინტერესოა საბავშვო პიესა „ჭინჭარი“, რომელიც დაიდგა თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრში და სხვ. 1931 წელს გამოქვეყნდა გერცელ ბააზოვის პროზაული ნაწარმოებები, მოთხრობები „შემარიას უკანასკნელი სიტყვა“ და „გელათის ქუჩის დასასრული“. 1934 წელს გამოქვეყნდა მისი რომანი „ფეთხაინი“, რომლის პირველი ნაწილი რუსულად 1936 წელს ითარგმნა და გამოიცა; ისტორიული ხასიათისაა პიესა „იცკა რიჟინაშვილი“, რომელიც 1936 წელს გამოქვეყნდა. 1938 წელს გერცელ ბააზოვი რეპრესირებული იქნა საბჭოთა ხელისუფლების მიერ. რეაბილიტირებულია სიკვდილის შემდეგ.

ბორის გაპონოვი იყო ცნობილი ებრაელი ლექსიკოგრაფი და მთარგმნელი. ივრითზე თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“. გაპონოვი დაიბადა ქ. ევპატორიაში, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დროს, 1941 წლიდან, ევაკუაციის შემდეგ, ოჯახთან ერთად ცხოვრობდა ქ. ქუთაისში. მისი ბაბუა რაბინი იყო და ბორისს ბავშვობიდან ასწავლიდა ივრითს. 1956 წლიდან სპარსულ ენას სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულ აღმოსავლეთმცოდნეობის უნივერსიტეტში, მაგრამ უსახსრობის გამო იძულებული გახდა, სწავლისთვის თავი დაენებებინა და ქუთაისში დაბრუნებული-

ყო, სადაც მუშაობდა გაზეთებში. 60-იან წლებში ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას რუსულ, ქართულ და ებრაულ ენებზე.

1969 წელს ისრაელში გამოქვეყნდა მის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც მაღალმხატვრულ, პოეტურ ენაზეა შესრულებული, ზუსტად ასახავს პოემის ხასიათს და შეესატყვისება პოემის ორიგინალს. იგი მაშინვე აღიარეს როგორც კლასიკური თარგმანის ნიმუში.

1971 წელს იგი ისრაელში გაემგზავრა. იმავე წელს გამოაქვეყნა მ. ლერმონტოვის რომანის „ჩვენი დროის გმირის“ თარგმანი, რომელმაც ასევე მაღალი შეფასება დაიმსახურა. ბორის გაპონოვი 15 წლის მანძილზე მუშაობდა ივრითის ფრაზეოლოგიურ ლექსიკონზე. მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 1972 წელს.

ჯემალ აჯიაშვილი დაიბადა 1944 წელს ქალაქ სენაკში, ტრადიციულ ებრაულ ოჯახში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. 1968-1971 წლებში სამსახურეობრივი მივლინებით წარგზავნილი იყო ირანში, სადაც მუშაობდა ეკონომიურ ურთიერთობათა სახელმწიფო კომიტეტის სახელმწიფო სისტემაში სპარსული ენის თარჯიმნად.

ჯემალ აჯიაშვილი იყო საქართველოს მწერალთა კავშირის მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარ სარედაქციო კოლეგიის უფროსი მეცნიერ-რედაქტორი, თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა კათედრის გამგე, ებრაული ღია უნივერსიტეტის რექტორი. იგი რამდენიმე წიგნის ავტორია, რომელთა ნაწილი გამოქვეყნებულია უცხო ენებზე.

მას თარგმნილი აქვს მსოფლიო კლასიკური პოეზიის არაერთი ნიმუში (ბიბლიური ფსალმუნები და ებრაელი პოეტები, ძველეგვიპტური საგალობლები და სპარსული პოეტური კლასიკა, შექსპირის, ჩიკამაცუს, კალდერონის, ტირსო დე მოლინას, კარლ გოცის დრამატული პოემები, დანტეს, პეტრარკას, მიქელანჯელოს, ვივალდის, რილკეს სონეტები, ნელი ზაქსის, მაიაკოვსკის, მანდელშტამის, პასტერნაკის და სხვების ლექსები) მის მიერ ნათარგმნი პიესები იდგმებოდა თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის, ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის და თბილისის მუნიციპალური თეატრების სცენაზე, წარმოდგენილი იყო მოსკოვის, პეტერბურგის, ტოკიოს და მსოფლიოს სხვა ქალაქების მაყურებელთა წინაშე.

ჯემალ აჯიაშვილი იყო საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, საბას, ილია ჭავჭავაძის და ივანე მაჩაბლის პრემიების ლაურეატი, დაჯილდოებული იყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი ჯილდოთი – ივანე ჯავახიშვილის მედლით.

ებრაული კლასიკური პოეზიის ქართულად თარგმნის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ჯემალ აჯიაშვილს 1998 წელს გადაეცა ისრაელის პრეზიდენტის ეზერ ვაიცმანის საპატიო სიგელი.

ის აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობასაც მისდევდა. 1992, 1995 და 1999 წლებში არჩეული იყო საქართველოს პარლამენტის დეპუტატად, იმავე დროს ასრულებდა „ისრაელის ფორუმის“ (ებრაული წარმომავლობის პარლამენტართა მსოფლიო გაერთიანება) ბიუროს წევრის მოვალეობას; იყო საქართველო-ისრაელის საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს პრეზიდენტთან არსებული შეწყალების კომისიის წევრი. 2004 წელს აირჩიეს თბილისის საპატიო მოქალაქედ.

ჯემალ აჯიაშვილი იყო მსოფლიო ებრაული კონგრესის, ამერიკის ებრაული კომიტეტის, ევრაზიული ებრაული კონგრესის, ებრაულ სათვისტომოთა ევროპული საბჭოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციათა გამგეობის წევრი. 2004-2008 წლებში მაღალ დიპლომატიურ თანამდებობაზე მუშაობდა საქართველოს საელჩოში ისრაელში. 2009 წლის 1 იანვრიდან დაინიშნა

საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის გენერალურ დირექტორად. ჯემალ აჯიაშვილი გარდაიცვალა 2013 წელს, ისრაელში.

იცხაკ დავიდი – ქართველი ებრაელი მეცნიერი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე. დაიბადა 1946 წლის 12 იანვარს ქ. თბილისში. 1964 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე სემიტოლოგიის განხრით, არაბულის სპეციალიზაციით. სტუდენტობის წლებშივე დაინტერესდა მეცნიერებით. თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე კითხულობდა სპეცკურსს არაბულ ენაში. 1968 წელს მუშაობა დაიწყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, 1969 წლიდან იყო ამ ინსტიტუტთან არსებული უცხო ენათა სექტორის გამგე. 1972 წელს ოჯახთან ერთად გაემგზავრა ისრაელში. თავიდანვე ჩაება ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში და სამეცნიერო კვლევით მუშაობაში. ამავე წელს მისი ინიციატივით თელ-ავივში დაარსდა ბორის გაპონოვის სახელობის ქართველოლოგიის კომიტეტი, შემდეგში „ისრაელის კავკასიოლოგიური ცენტრი“. 1973-1971 წლებში იერუსალიმის ებრაულ უნივერსიტეტში კითხულობდა სპეცკურსს კავკასიათმცოდნეობასა და ქართულ ენაში. 1974-1975 და 1976-1977 წლებში ჯერ თელ-ავივის, შემდეგ იერუსალიმის უნივერსიტეტებში მუშაობდა საქართველოს ებრაელთა ისტორიაზე, რის შედაგად 1976-1982 წლებში ქართულ ენაზე გამოაქვეყნა ორტომეული – „ნაწერები“,რომელიც საქართველო-ისრაელის ურთიერთობებს, ქართველ ებრაელთა სულიერ განცდებსა და საქართველოსადმი დამოკიდებულებას ეძღვნება. 1982-1992 წლებში რუსულ ენაზე გამოაქვეყნა ორტომეული „ებრაელთა ისტორია კავკასიაში“. წერს ებრაულ, ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. ფლობს ებრაულ, ქართულ, რუსულ, გერმანულ, ჰოლანდიურ, ძველ ბერძნულ, ესპანურ და სხვა ენებს.

იცხაკ დავიდი ავტორია შესანიშნავი პოეტური და პროზაული ნაწარმოებებისა, გამორჩეულია ქართულ ენაზე გამოქვეყნებული კრებულები „ლანდები“, „ზამთრის ყვავილები“, „ლამაზი ქრისტიანი გოგო უფლის საფლავთან“, „გამოცხადება“ და ა. შ.

1996 წელს არჩეული იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრად. 1999 წლის მარტში საქართველოს საპატიო მოქალაქის სტატუსი მიენიჭა. გარდა სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისა იცხაკ დავიდი აქტიურად არის ჩართული სახელმწიფოებრივ საქმიანობაშიც. 1983-1992 წლებში იყო ისრაელის მმართველი პარტიის „ხერუთის“ სარეპატრიაციო სექტორის უფროსი, ხოლო შემდეგ მთავრობის მეთაურის იცხაკ შამირის მრჩეველი გახდა. 1990-იანი წლებიდან მოყოლებული არაერთხელ იყო საქართველოში, როგორც საზოგადოებრივ-კულტურული და ოფიციალური დელეგაციების წარმომადგენელი.

§6. ბერძნები საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში

საქართველოში მცხოვრებ ბერძნებს ახლო დამოკიდებულება აქვთ ქართველ მოსახლეობასთან. მათ შორის ხშირია შერეული ქორწინებები. ბერძნებმა, განსაკუთრებით თბილისში მაცხოვრებლებმა, მშვენივრად იციან ქართული ენა და მათი უმრავლესობა ქართულს მშობლიურ ენადაც კი მიიჩნევს. ქართველ მოსახლეობასთან მჭიდრო ინტეგრაციის მიუხედავად, რასაც საერთო რელიგიაც უწყობდა ხელს, ბერძნებმა შეინარჩუნეს საკუთარი ზნე-ჩვეულებები და ეროვნული სახე, ამასთან, ქართულ სახელმწიფოს ერთგულ მოქალაქეობას უწევენ. სწორედ საქართველო გახდა არაერთი ბერძენი მოღვაწის სამშობლო. მათ შორისაა ცნობილი კომპოზიტორი **ოდისეი დიმიტრიადი.** ის XX საუკუნის დასაწყისში ბათუმში დაიბადა, თბილისის კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ მოღვაწეობა სოხუმში განაგრძო. სხვადასხვა წლებში დირიჟოროობდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრსა და საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრს. 1988 წელს ოდისეი დიმიტრიადი ათენის მუნიციპალურმა საბჭომ განსაკუთრებული ჯილდოთი – ოქროს მედლით დააჯილდოვა.

§7. უკრაინელები და რუსები საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში

საქართველოსთანაა დაკავშირებული ცნობილი უკრაინელი პოეტის **ლარისა კოსაჩის** მოღვაწეობა. ის 1871 წელს დაიბადა უკრაინაში, ჟიტომირის ოლქში, ხოლო 1913 წელს გარაიცვალა სურამში. დაკრძალულია კიევში. მკითხველისთის ლარისა კოსაჩი ცნობილია **ლესია უკრაინკას** ლიტერატურული ფსევდონიმით. იგი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი უკრაინელი პოეტი და მწერალია.

კოსაჩების ოჯახს ახლო ურთიერთობა ჰქონდა იმ დროს პროგრესულ საზოგადო მოღვაწეებთან. ათი წლისა იყო გოგონა, როცა განუკურნებელი სენი – ძვლის ჭლექი აღმოაჩნდა. მოგვიანებით ავადმყოფობა ფილტვებსა და თირკმელზე გადაუვიდა. მან რამდენიმე მძიმე ოპერაციაც გადაიტანა და ხშირად ლოგინადაც იყო ჩავარდნილი, თუმცა განსაცდელს თავდაუზოგავად ებრძოდა პოეზიით.

ლესიამ ოჯახში საფუძვლიანი განათლება მიიღო, მამა ძალიან განათლებული იყო და შვილებს ხშირად უკითხავდა კლასიკოსებს, გამორჩეულად ჰყვარებია სალტიკოვ-შჩედრინი, ხოლო დედამ ბავშვებს კითხვა მისთვის უსაყვარლესი მწერლის, ტარას შევჩენკოს „კობზარით“ დააწყებინა. ლესიას საოცარი ნიჭი აღმოაჩნდა, იოლად შეისწავლა ფრანგული, გერმანული, ინგლისური, იტალიური, ბერძნული, ლათინური, პოლონური, ბულგარული, რუსული და სხვა ენები. ლექსების წერა 9 წლისამ დაიწყო. მისი პირველი ლექსია „იმედი“. 1893 წელს ივან ფრანკოს ხელშეწყობით ლვოვში გამოიცა პოეტის პირველი კრებული „სიმღერების ფრთებზე“. მომდევნო წლებში ლესია ცხოვრობდა კიევში და ბიძასთან ბულგარეთში, მკურნალობდა ბერლინში. 1903 წელს კი იგი თავის მომავალ მეუღლესთან ერთად საქართველოში ჩამოვიდა.

1908 წლის ზამთარი პოეტმა თელავში გაატარა. მომდევნო წლების განმავლობაში იგი რამდენიმე ზამთარს იმყოფებოდა უცხოეთში, ხოლო დანარჩენ დროს ცხოვრობდა საქართველოში. მიუხედავად მძიმე სენისა და სარეცელს მიჯაჭვისა, ლესიამ ხანმოკლე სიცოცხლეში გამოსცა ნაწარმოებთა სამი წიგნი, ასევე, ჰაინეს თხზულებების უკრაინული თარგმანი. ჯერ კიდევ ყმაწვილმა ქალმა დაწერა სახელმძღვანელო „აღმოსავლეთის ძველი ხალხების ისტორია“, რომელშიც ვრცლად გააშუქა კავკასიისა და საქართველოს ისტორია. ლესია უკრაინკას ბიძა მ. დრაგამონოვს ახლოს იცნობდა ნიკო ნიკოლაძე. დრაგამონოვის მეუღლის წერილი „ხალხური კილოკავები და ადგილობრივი ელემენტები სწავლებაში“ ნიკო ნიკოლაძის მეშვეობით გაზეთმა „ობზორმა“ თბილისში გამოსცა. დრაგომანოვებთან ახლოს იყო ილია ჭავჭავაძის მეუღლე ოლღა გურამიშვილი.

ლესია და მისი მეუღლე კვიტკა დაუახლოვდნენ ზაქარია ფალიაშვილს. ცნობილია, რომ კვიტკამ და ზაქარიამ ერთად იმოგზაურეს სვანეთში, ხოლო 1904 წელს თბილისში ფალიაშვილმა დადგა ოპერა „ბორის გოდუნოვი“, რომელშიც როიალის პარტიას კვიტკა ასრულებდა. თავისი ცხოვრების უკანასკნელი წლები ლესიამ მეუღლესთან ერთად გაატარა თელავში, ხონში, ქუთაისსა და სურამში. პოეტი 1913 წელს გარდაიცვალა. მისი ნეშტი წასვენებული იქნა სამშობლოში და დაიკრძალა კიევში.

ლესია საქართველოს შესახებ წერდა: „რა საინტერესო, რა საუცხოო მხარეა საქართველო, რა სიმამაცე და გმირობა უნდა ჰქონოდა ერთ მუჭა ხალხს, რომ გადარჩენოდა ამდენ საშინელ ქარტეხილსა და უბედურებას. მე რომ უკრაინელი არ ვიყო, ვისურვებდი ქართველი ვყოფილიყავი... ქართველები კავკასიაში მუდამ პირველები იყვნენ თავიანთი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ბრძოლის სულისკვეთებით... თუ თვალს გადავავლებთ მსოფლიოს მეზობელ ხალხთა ურთიერთობებს, უსათუოდ დამეთანხმებით, რომ ქართველები, როგორც მეზობლები, ქვეყნად ერთ-ერთი საუკეთესონი არიან“.

ვლადიმერ მაიაკოვსკი (1893-1930 წწ.) საქართველოში დაბადებული რუსი პოეტი და დრამატურგია. მაიაკოვსკი ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა, ხოლო მამის გარდაცვალების შემდეგ ის თავის დებთან ერთად დედამ მოსკოვში წაიყვანა საცხოვრებლად და სწავლაც იქვე განაგრძო.

1908 წლიდან მაიაკოვსკიმ რევოლუციური მოღვაწეობა დაიწყო. ამ წელს შევიდა ის რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. რევოლუციური საქმიანობისთვის მაიაკოვსკი სამჯერ იქნა დაპატიმრებული. ლექსების წერა ციხეში ყოფნისას დაიწყო. მის შემოქმედებაში აისახა პირველი მსოფლიო ომი და რუსეთში შექმნილი რევოლუციური ვითარება.

1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ იგი თავის ტალანტს ხელისუფლების სამსახურში აყენებს, წერს პოემას – „ლენინი“, იდგმება „მისტერია-ბუფი“, რომელიც ეძღვნება რევოლუციის წლისთავს. ამავე პერიოდში მაიაკოვსკი წერს პოემას „150 000 000“, რომელშიც განავითარებს მსოფლიო რევოლუციის თემას. 1930 წელს მოსკოვში, საკუთარ ბინაში მაიაკოვსკიმ თავი მოიკლა, თუმცა არსებობს მკვლელობის ვერსიებიც. ვლადიმერ მაიაკოვსკი დაკრძალულია მოსკოვში.

მიუხდავად იმისა, რომ 1917 წლის რევოლუციით აღფრთოვანებულმა მაიაკოვსკიმ ჭეშმარიტი სოციალისტური მითი შექმნა პოეზიაში, ბევრი მკვლევარი ამტკიცებს, რომ 1920-იან წლებში პოეტს იმედგაცრუება დაეწყო სოციალისტური წყობის რეალურობის მიმართ. ამასთან, ის კოლექტივიზაციისა და სოციალისტური იდეალისადმი მიმართული ლექსების წერას სიცოცხლის ბოლომდე განაგრძობდა. ყოველივე აქედან გამომდინარე, მაიაკოვსკი ზოგისთვის უდიდესი ლირიკოსია, ზოგი კი მას პარტიის ინტერესების რუპორად მიიჩნევს.

ნიშანდობლივია, რომ მაიაკოვსკის პოეტურ სულსა და შემოქმედებაზე დიდი გავლენა იქონია საქართველომ, რაც მის ზოგიერთ ლექსში თავს მთელი სიმძარფით იჩენს. ერთ-ერთ ლექსში კავკასიის მთების კვლავ ხილვით აღფრთოვანებული პოეტი ამბობს: „როგორც კი დავადგი ფეხი კავკასიას, მყის გამახსენდა, რომ მე ქართველი ვარ!“

ბორის კუფტინი დაიბადა 1892 წელს რუსეთის ქალაქ სამარაში, რუსი არისტოკრატების ალექსი კუფტინისა და მარია ფეოდოროვას ოჯახში. სწავლობდა ორენბურგის რეალურ სასწავლებელში, რომლის დასრულების შემდეგ სწავლა გააგრძელა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო სპეციალობაზე. კარგად ფლობდა ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებს, სტუდენტობის დროს, 1910-1911 წლებში აქტიურად მონაწილეობდა რევოლუციურ გამოსვლებში, რისთვისაც იგი უნივერსიტეტიდან გარიცხეს და რუსეთიდან გაასახლეს. ემიგრაციაში ყოფნის დროს საფრანგეთში, შვეიცარიასა და იტალიაში ისმენდა ლექციებს ჰუმანიტარულ დისციპლინებში. მან მხოლოდ 1912 წელს შეძლო მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრება. 1916-1917 წლებში მოსკოვის უნივერსიტეტში ჩააბარა დამატებითი გამოცდები არქეოლოგიაში, ანთროპოლოგიასა და გეოგრაფიაში. 1918 წლიდან იგი მოსკოვის უნივერსიტეტში მოღვაწეობდა, ჩააბარა სამაგისტრო გამოცდები ანთროპოლოგიაში და კითხულობდა ლექციებს ეთნოლოგიასა და მატერიალური კულტურის ისტორიაში. პარალელურად მუშაობდა მსუ-ს ანთროპოლოგიის ინსტიტუტში და მატერიალური კულტურის ისტორიის აკადემიაში. 1924-1930 წლებში ეთნოგრაფიის ცენტრალურ მუზეუმში ხელმძღვანელობდა შუა აზიის, ციმბირისა და კავკასიის განყოფილებას. 1925 წელს გახდა საფრანგეთის ანთროპოლოგიური საზოგადოების ნამდვილი წევრი. მოსკოვში მოღვაწეობის დროს ბორის კუფტინი მონაწილეობდა ექსპედიციებსა და არქეოლოგიურ გათხრებში ჯერ რუსეთის, შემდეგ საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა მხარეში, მათ შორის იყო საქართველოშიც.

1933 წელს ბორის კუფტინი საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა და ამის შემდეგ მისი საქმიანობა თითქმის მთლიანად საქართველოს არქეოლოგიას მიეძღვნა. 1934 წელს პირველად საბჭოთა კავშირის ისტორიაში თბილისში, ივანე ჯავახიშვილის ინიციატივითა და ხელშეწყობით, ბორის კუფტისნმა მოაწყო არქეოლოგიური გამოფენა, რომელსაც ეწოდებოდა „წინაკლასობრივი საზოგადოება კავკასიაში არქეოლოგიური განყოფილების მასალების მიხედვით“. 1936 წელს, ივანე ჯავახიშვილის წინადადებით, კუფტინი სათავეში ჩაუდგა თრიალეთის არქეოლოგიურ გათხრებს, რომლის დროს მან გამოავლინა მტკვარ-არაქსისა და თრიალეთის კულტურები. ქართველოლოგიაში ბორის კუფტინის სახელი ასოცირდება ბრინჯაოს ეპოქის ერთ-ერთი ბრწყინვალე

კულტურის – თრიალეთის ბორცვულ-ყორღანული კულტურის აღმოაჩენასა და შესწავლასთან. 1941 წელს გამოქვეყნდა ბორის კუფტინის მონოგრაფია „არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში“, რომელიც ივანე ჯავახიშვილის ხსოვნას მიუძღვნა. აღნიშნული გათხრებისა და ნაშრომის საფუძველზე პირველად შეიქმნა საფუძვლიანი პერიოდიზაცია და ქრონოლოგია: ბრინჯაოს კულტურების განვითარების საფეხურები ენეოლითიდან რკინის ხანამდე. 1942 წელს ამ ნაშრომს სახელმწიფო პრემია მიენიჭა. 1944 წელს ბორის კუფტინი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1946 წელს ნამდვილ წევრად. საქართველოში ბორის კუფტინმა 53-ზე მეტი არქეოლოგიური ძეგლი შეისწავლა, მონაწილეობდა დაბლაგომის, საჩხერის, შიდა ქართლის, იმერეთის, აფხაზეთისა და კახეთის არქეოლოგიურ ექსპედიციებშიც. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმსა და სხვადასხვა დაწესებულებების აუდიტორიებში სისტემატურად ატარებდა ლექციების კურსს თემაზე „არქეოლოგიური კვლევის მეთოდი და ამოცანები“, ლექცია-ჩვენებებს არქეოლოგიაში, აქტიურად მონაწილეობდა მუზეუმის საქმიანობაში, ბეჭდავდა სტატიებს, მონაწილეობდა გამოფენებში, კითხულობდა საჯარო ლექციებს. 1951 წელს ბორის კუფტინი სამუშაოდ გადაიყვანეს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში, იმავე წელს იგი თურქმენეთში მიიწვიეს. 1953 წელს ბორის კუფტინი ისევ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაბრუნდა, მაგრამ მის მიერ წარმოდგენილ სამომავლო გეგმებს, სამწუხაროდ განხორციელება არ ეწერა – 2 აგვისტოს იგი ტრაგიკულად დაიღუპა ლატვიაში, რიგის მახლობლად. ანდერძის თანახმად, დასაფლავებულია თბილისში, ვაკის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

§8. ქურთები საქართველოს კულტურულ არენაზე

საქართველოში ქურთები პირველად XVI საუკუნეში, მესხეთში მოვიდნენ. XVIII საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართლ-კახეთის სამეფოს გაერთიანებისა და გაძლიერების კვალდაკვალ, თბილისში ჩამოდიოდნენ იეზიდ ქურთთა დელეგაციები, რომლებიც იმედოვნებდნენ ოსმალეთში განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს ერეკლე მეორის მხარდაჭერას. ძირითადად, ქურთები XIX და XX საუკუნის დასაწყისში მოვიდნენ და აქ იპოვეს ახალი სამშობლო. საქართველოში მცხოვრები ქურთების რელიგია – ეზიდიზმი, მათი თვითმყოფადობის შენარჩუნებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს, რიგ მიზეზთა გამო, ქურთების ნაწილი სხვა კონფესიის მიმდევარი გახდა. საქართველოში დღემდე არ არის საერთო აზრი იმის შესახებ, თუ როგორ მოიხსენიონ საქართველოში მცხოვრები ეზიდური რელიგიის მიმდევარი ქურთები – ქურთებად თუ ეზიდებად.

საქართველოს კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქურთებს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით. 1925 წელს თბილისში დაარსდა ქურთების კლუბი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქურთული კულტურის განვითარებაში. კლუბში მოქმედებდა ლიტერატურის, დრამატული, ხალხური ცეკვებისა და სიმღერების წრეები. ლიტერატურულმა წრემ დიდი როლი შეასრულა ქურთების მდიდარი ფოლკლორის შეგროვებაში, დრამატულმა წრემ პირველად დადგა ქურთული კლასიკური ლიტერატურის წარმომადგენლის აჰმად ხანის გალექსილი რომანის მიხედვით პოემა-ტრაგედია „მამე და ზინე“. ეს წრე სპექტაკლებს მართავდა სომხეთშიც. წრეების საქმიანობაში დიდი დამსახურება მიუძღვით ცნობილ ქურთ საზოგადო მოღვაწეებს აჰმადე შავეშს, სისიანს, შკოე ჰასანს, ბაღჩოე ისკო-სლოიანს, ჯალილე აჯოს, ტოგარ ბროევს, მოროფ მამედოვს და სხვ.

1926 წელს ბათუმში დაარსდა „კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება ქურთი ეზიდებისათვის“. 1981 წელს საქართველოში ჩატარდა ქურთთა კულტურის დღეები, საქართველოს ტელევიზიამ მოაწყო ტელეგადაცემა, რომელიც მიეძღვნა ქურთულ ფოლკლორს. გადაცემაში მოკლედ იყო მოთხრობილი ქურთების ისტორიის, მათი საქართველოში გადმოსახლებისა და დასახლების მიზეზების შესახებ, ნაჩვენები იყო ქურთული მუსიკალური საკრავები, შესრულდა ქურთული ხალხური სიმღერები. ამ პერიოდიდან ინტენსიურად გამოიცემა ქურთი პოეტებისა

და მწერლების მხატვრული ნაწარმოებები მშობლიურ ენაზე. იმდროინდელმა ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა შემოიღო ყოველკვირეული გადაცემები საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემაზე ქურთულ ენაზე.

საბჭოთა კავშირში ქურთების ერთადერთი სახალხო თეატრი საქართველოში, კერძოდ თბილისში არსებობდა. თბილისშივე გაიხსნა ქურთი ეროვნების მუშებისათვის სახალხო უნივერსიტეტი. ფუნქციონირებდა ქურთთა შემოქმედებითი სექციები მწერალთა და მხატვართა კავშირებში, მუსიკისა და ცეკვის ანსამბლები და ა. შ.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყანაში შექმნილი არასტაბილური ვითარების მიუხედავად, ქურთების კულტურული დაწესებულებები განაგრძობდნენ მუშაობას. 1991 წელს პარიზში მოღვაწე ქურთული ინსტიტუტის ხელშეწყობით, მოეწყო თბილისის ქურთული სახალხო თეატრის გასტროლებიც კი საფრანგეთში.

XX საუკუნის 90-იან წლებში, ქვეყანაში დაწყებული პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის გამო, ქურთულმა ფოლკლორულმა ანსამბლმა და ქურთულმა სახალხო თეატრმა არსებობა შეწყვიტა, 1998-2000 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან ქურთებისათვის გამოიყო თანხა ქურთული ენის შესასწავლად, თეატრის აღსადგენად, ქორეოგრაფიული ჯგუფებისა და ანსამბლებისათვის.

საქართველოში მცხოვრები ქურთებისათვის და, ზოგადად, ქართულ-ქურთული ურთიერთობებისათვის მნიშვნელოვანი მოვლენაა 2008 წელს ქურთულ ენაზე გამოქვეყნებული შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ცნობილმა ქურთმა პოეტმა ჯარდოე ასადმა თარგმნა. მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ასევე ქურთი მეცენატების დაფინანსებით, 2007 წელს გამოცემული საქართველოს ეროვნული მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდში დაცული ქურთული მატერიალური კულტურის ნიმუშების ალბომი, რომელიც საქართველოს ქურთი ინტელიგენციის კავშირისა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომლობის შედეგად გამოქვეყნდა. საქართველოში მოღვაწეობენ ქურთი მეცნიერები ლამარა ფაშაევა, ქერიმ ამოევი და სხვები.

ჯარდოე ასადი, იგივე ჯარდო ასადის ძე ოზმანიანი ქურთი პოეტი, მწერალი და თარჯიმანი, დაიბადა 1929 წელს სომხეთში, არაგაწოტნის პროვინციის სოფ. საბუნჩში. მისი მშობლები 1918 წელს ყარსიდან სომხეთში გადავიდნენ. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა, ხოლო 1950 წელს დაამთავრა ერევნის აბოვიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი. ჯარდოე ასადი სასკოლო ასაკიდანვე დაინტერესებული იყო ქურთული ფოლკლორული მასალის შეგროვებით და გატაცებული იყო პოეზიით. 1954 წელს სომხეთში პირველად დაიბეჭდა მისი ლექსები ქურთულენოვანი სკოლის მე-4 კლასის სახელმძღვანელოში. 1959 წელს გამოსცა ლექსების პირველი კრებული „ლექსები და პოემები“. შემდგომი წლების განმავლობაში მის მიერ სომხეთში დაიბეჭდა არაერთი კრებული და ალმანახი. 1966-1974 წლებში სომხეთში ქურთულ ენაზე გამოქვეყნდა მისი ნაწარმოებები „ცხოვრებისეულ გზაზე“, „გულის ჰანგები“, „სალამური“ და ა. შ.

1975 წელს ჯარდოე ასადი საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა და 1978 წელს ქართულ ენაზე გამოსცა წიგნი „ადამიანო, მე შენი მჯერა“. გარდა პოზიისა, ჯარდოე ასადი აქტიურად მუშაობდა თარგმანზე, მან თავის დროზე ქურთულ ენაზე გამოაქვეყნა სომეხი პოეტის ოგანეს შირაზის პოემა „ბიბლიური“. სიცოცხლის ბოლო წლები ასადიმ „ვეფხისტყაოსნის“ ქურთულად თარგმნას მიუძღვნა. ეს საქმე ასადის გარდაცვალების შემდეგ დაასრულა ქურთმა პროფესორმა ქერიმ ანყოსიმ. ქურთულ ენაზე თარგმნილი ვეფხისტყაოსანი 2007 წელს გამოიცა.

ასადი მუშაობდა მსოფლიო პოეზიის ანთოლოგიის ქურთულ თარგმანზეც. 2005 წელს, პოეტის გარდაცვალების შემდეგ, ქ. თბილისში გამოიცა ასადის ქურთული იგავების კრებული, რომლებიც ქერიმ ზაქარის ძე ანკოსის მიერ იყო რედაქტირებული.

ჯარდოე ასადი დაუღალავად მუშაობდა ეთნოგრაფიის დარგშიც, ქურთი ხალხის ზნე-ჩვეულებისა და ტრადიციების საკითხებზე. პოეტმა შეაგროვა სხვადასხვა ჟანრის ხალხური ზეპირსიტყვიერების უმდიდრესი მასალა და ეთნოგრაფიული ექსპონატების მდიდარი კოლექცია: სამკაულები, ეროვნული სამოსი, მუსიკალური ინსტრუმენტები, სახლის ავეჯეულობა/ჭურჭელი და ა.შ.

თავი VIII. საქართველოს მრავალეთნიკური/ მრავალკულტურული რეგიონი: აფხაზეთი

აფხაზეთი მდებარეობს საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მდ. ენგურსა და ფსოუს შორის. დღეს მისი ფართობია 8,7კვ.კმ, მოიცავს ძველი საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციების აფხაზეთის და, ნაწილობრივ, სამეგრელოს ტერიტორიას. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქია სოხუმი, ძველი ისტორიული წყაროების თანახმად ცხუმი. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში შედის 6 ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული: სოხუმის, გულრიფშის, გალის, ოჩამჩირის, ტყვარჩელის, გაგრისა და გუდაუთის მუნიციპალიტეტები.

1992 წლიდან, რუსეთის ფედერაციის წაქეზებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე დამყარებულია სეპარატისტული რეჟიმი, რომელმაც 1992 წელს ე.წ. „აფხაზეთის რესპუბლიკის“ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. 2008 წლის 26 აგვისტოს, საქართველო-რუსეთის ომის შემდეგ, რუსეთმა სცნო აფხაზეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო, ხოლო 2014 წლის 24 ნოემბერს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა და აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის ხელმძღვანელმა რაულ ხაჯინბამ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს საერთო სამხედრო ძალების შექმნას, ფსოუზე საზღვრის გაუქმებას და ენგურზე ადმინისტრაციული საზღვრის გაძლიერებას. აღნიშნული ხელშეკრულებით რუსეთმა ფაქტობრივად დააკანონა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სრული ანექსია.

§1. მდებარეობა და საზღვრები

უძველეს დროს აფხაზეთს შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთი სანაპიროს მიმდებარე ტერიტორია (მდ. გუმისთიდან მდ. ბზიფამდე) ეჭირა. აფხაზეთი გაერთიანებული იყო ჯერ კოლხეთის, შემდეგ კი ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს შემადგენლობაში.

ტოპონიმ „აფხაზეთის“ გეოგრაფიული საზღვრები საუკუნეების მანძილზე იცვლებოდა: ძველი ქართული და უცხოური ისტორიული წყაროები VIII საუკუნიდან „აფხაზეთს“ ჯერ დასავლეთ საქართველოს, ხოლო მოგვიანებით მთელ საქართველოსაც უწოდებენ. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია გაერთიანებულ ქართულ სამეფოში აფხაზთა საერისთავოს, ცხუმის საერისთავოსა და ოდიშის საერისთავოს ნაწილს მოიცავდა. მოგვიანებით, XV საუკუნეში საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგ, აფხაზთა საერისთავო იმერეთის სამეფოს ემორჩილებოდა, ხოლო ცხუმსა და მის შემოგარენს ოდიშის ერისთავთ ერისთავი და იმერეთის კარის მანდატურთუხუცესი დადიანები აკონტროლებდენ. XVI საუკუნის 50-იან წლებში, ოდიშის სამთავროს ჩამოყალიბების შემდეგ, თანამედროვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ოდიშის სამთავროს შემადგენლობაშია. მოგვიანებით, XVII საუკუნის 80-იან წლებში, აფხაზეთის სამთავროს გაძლიერებულმა ხელისუფლებმა შეძლეს აფხაზეთის სამთავრო საზღვრების გაფართოება ჯერ მდინარე კოდორამდე, შემდეგ ღალიძგამდე, ბოლოს კი საზღვარი მდინარე ენგურამდე გადმოიტანეს.

თანამედროვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი შავი ზღვის სანაპიროზე, მდ. ფსოუს შესართავთან იწყება. ჩრდილო-დასავლეთითა და ჩრდილოეთით მას რუსეთის ფედერაცია ემიჯნება. ამ ქვეყანასა და აფხაზეთს შორის საზღვრის სიგრძე 220 კმ-ს, ანუ საერთო საზღვრის 40 %-ს, შეადგენს. აღმოსავლეთი

საზღვარი ადმინისტრაციულია და ავტონომიურ რესპუბლიკას დანარჩენი საქართველოსაგან გამოყოფს. საქართველოს დანარჩენ ნაწილსა და აფხაზეთს შორის სახმელეთო ადმინისტრაციული საზღვრის სიგრძე 131 კმ-ია, ხოლო ქვეყნის ტერიტორიული წყლების გასწვრივ საზღვარი 204 კმ-ზეა გადაჭიმული. ამ საზღვრებში მოქცეული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის ფართობი 8664,5 კვადრატულ კილომეტრს, ანუ საქართველოს ფართობის 12,5 %-ს შეადგენს.

აფხაზეთს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს: მისი დიდი ნაწილი შავი ზღვის სანაპიროს მიჰყვება, ვაკე და გორაკები სუბტროპიკული ჰავის პირობებშია მოქცეული, უფრო მაღლა მუდმივი თოვლის საბურველი, ალპური ველები და მყინვარებია. აფხაზეთი სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალებით უშუალოდ უკავშირდება ჩრდილოეთ კავკასიას – რუსეთის რეგიონებს, შავი ზღვით გასასვლელი აქვს საერთაშორისო სანაოსნო გზებზე, მისი ზღვისპირა მდებარეობა და ბუნებრივი პირობები ძველთაგანვე იპყრობდა სხვა ქვეყნების ყურადღებას.

§2. აფხაზეთის ეთნიკური რუკა; მოსახლეობა: ყოფა და ტრადიციები[41]

ეთნიკური რუკა.

1926 წლის აღწერის მიხედვით აფხაზეთში ცხოვრობდა: 71954 (35,8%) ქართველი, 51458 (25,6 %) აფხაზი, 25677 (2,6%) სომეხი, 12553 (1,8%) რუსი, 14045 (3,1%) ბერძენი და სხვ. სულ მოსახლეობა შეადგენდა 201016 კაცს.

ძირითადი ცვლილებები აფხაზეთის მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობაში 1926-1939 წლებში მოხდა – მნიშვნელოვნად შემცირდა ქართველებისა და აფხაზების წილი, სამაგიეროდ, თვალსაჩინოდ გაიზარდა რუსებისა და სომხების წილი მთელ მოსახლეობაში. ეს გამოიწვია აფხაზეთში რუსებისა და სომხების დიდი რაოდენობით მუდმივ საცხოვრებლად გადმოსვლამ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებიდან. ეს ტენდენციები შემდეგ წლებშიც შეიმჩეოდა. 1959 წელს რუსების წილი აფხაზეთის მთელს მოსახლეობაში 21 პროცენტი შეადგინა, ნაცვლად 1926 წელს დაფიქსირებული 1,8 პროცენტისა, ხოლო სომხების წილი, შესაბამისად, 1,6 პროცენტიდან 15,9 პროცენტამდე გაიზარდა. 1970 წლიდან რუსების რაოდენობა აფზახეთში როგორც აბსოლუტურად, ისე შეფარდებით შემცირდა, სომხებისა კი დაახლოებით უცვლელი დარჩა. ამავე დროს, 1959-1989 წლებში ქართველებისა და აფხაზების რაოდებობა თანაბრად იზრდებოდა – 1,5-ჯერ.

1989 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებით იყო დასახელებული: ქართველი, აფხაზი, ოსი, რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, აზერბაიჯანელი, სომეხი, ებრაელი, ასირიელი, ბერძენი და ქურთი. დასახელებული ეროვნებებიდან რაოდენობრივად ყველაზე მეტნი იყვნენ ქართველები – 239 872 (45,7%); აფხაზები – 93 267 (17,8%); სომხები – 76 541(14,6%) და რუსები – 74 914 (14,3%).

1992-1993 წლის საომარი მოქმედებების დროს აფხაზეთი იძულებით დატოვა საკუთარი საცხოვრებელი ადგილებიდან გამოდევნილმა 300,000 ადამიანმა, ანუ მოსახლეობის უმრავლესობამ, მათ შორის 250,000 ეთნიკურად ქართველი იყო. 2002 წლის საქართველოს მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, რომელიც არ მოიცავს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის (კოდორის ხეობის გარდა) მცხოვრებთა რაოდენობას, დანარჩენ საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობს 3,527 ათასი აფხაზი. ხოლო 2003 წელს აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობის მიერ ჩატარებული აღწერის მიხედვით, „რესპუბლიკაში“ 94,5 ათასი აფხაზი ცხოვრობს.

---

41 **ს. ბახია-ოქრუაშვილი,** აფხაზთა ეთნიკური ისტორიის პრობლემები, თბ., 2010.
სალომე ბახია-ოქრუაშვილი, აფხაზთა ეთნოლოგია, თბ., 2011.
რ. გუჯეჯიანი, დალის ხეობის ტრადიციული ყოფა, აფხაზეთი ჩემი სამშობლოა, პროექტი 2008-2015 (ხელნაწერი);

	1926		1939		1959		1970		1979		1989	
	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%	აბს.	%
ქართველი	71954	35,8	91967	29,5	158221	39,1	199595	41,0	213322	43,9	239772	45,7
აფხაზი	51458	25,6	56197	18,0	61193	15,1	77276	15,9	83097	17,1	93267	17,8
სომეხი	25677	1,6	49705	15,9	64425	15,9	74860	15,4	73350	15,1	76541	14,6
რუსი	12553	1,8	60210	19,3	86715	21,4	92889	19,1	79730	15,4	74914	14,3
ბერძენი	14045	3,1	34621	11,1	9101	2,2	13114	2,7	13642	2,8	14664	2,8
სულ მოსახლეობა	201016	100,0	31185	100,0	404738	100,0	486959	100,0	48082	100,0	525061	100,0

ყოფა და ტრადიციები

ა) აფხაზები

საცხოვრებლისა და სამეურნეო ნაგებობის თავდაპირველი ტიპი. XIX საუკუნის ქართველი ეთნოგრაფი, პედაგოგი და მწერალი პეტრე ჭარაია წერდა: XIX საუკუნის ბოლომდე აფხაზეთში გაბატონებული იყო ხის, წნული, ფიცრული და ძელური ტიპის საცხოვრებელი ნაგებობები. ამათგან პირველად ფორმას წარმოადგენდა წრიული მოხაზულობის „დაწნული ფაცხა“, რომელიც გადახურული იყო თივით ან ჩალით.

დასავლეთ კავკასიის ყოფაში საცხოვრებლისა და სამეურნეო ნაგებობის თავდაპირველი ტიპი – ხალხური მსუბუქი ნაგებობა მხარის გეოგრაფიულმა, კლიმატურმა, რელიეფურმა და სამეურნეო საქმიანობამ შექმნა. ეს იყო მრგვალი, მოგვიანებით სწორკუთხა, წნული ხის, მიწაზე მდგარი, ერთოთახიანი, უსარკმელო, კონუსურ სახურავიანი ნაგებობა. ადიღები მას კ(ოც), აფხაზები და აბაზები აკვაცვ უწოდებდნენ. ოთახი თბებოდა კერიის საშუალებით. კერია ერთი მთლიანი თლილი ქვისაგან კეთდებოდა, რომელიც შეშის დასაწყობადაც გამოიყენებოდა. კერიის თავზე დაწნული (ხის წვრილი ტოტებისაგან) მილი იყო გაკეთებული ბოლისთვის. უმეტესად კვამლი წნული კედლებისა და გვიმრიანი სახურავიდან გადიოდა. ზამთარში ხის წნული კედლები თიხით ილესებოდა.

„ფაცხა აფხაზისა ... მრგვალი და ოთხკუთხიანი... კედელი ფაცხისა გეზად ამაღლებული და თხილის მომსხო წნელებით განით დაწნულია უფრო მოწვრილოთი. სახურავის კაკუტები ამ დაწნულ კედელს ეყრდნობა. თავები ერთ-ერთმანეთზეა მიკრული წირეხით... დახურულია თივით ან გვიმრით, ჩალით ან ისლით... სახურავს კონუსისებრი ფორმა აქვს; მეორე გვარის ფაცხა... უსწორო ოთხკუთხაა, წინა კარებთან აქეთ-იქით ორი წაბლის ხის პალო აქვს ჩარჭობილი, რომელიც ცოტათი დახრილია, ორთითიანი წვერები ერთმანეთს უერთდება, რომლებიც... მაკრატელს მიაგავს... სახურავი ფაცხას უფრო ჩამოშვებული და მობრტყელო, იმერული (ქართული) ფორმისა აქვს... ფაცხას წინ დიდი დერეფანიც აქვს, რომელშიც სხვადასხვა ნივთები აწყვია. ზამთრობით აქ საქონელსაც აბინავებენ.“

აფხაზური საცხოვრებელი სახლის თავდაპირველი სახელია **ამჰარა** (არ მოსმენა, არ გაგონება), იგი დიდი საერთო სახლიდან (ავენ დუ) 10 მეტრის მოშორებით იდგმებოდა, განკუთვნილი იყო ახლადდაქორწინებულთათვის. ჩერქეზების მსგავსად, ყველა დაქორწინებული აფხაზი წყვილი შემდგომშიც ამჰარაში ცხოვრებას განაგრძობდა, რადგანაც ჩვეულების თანახმად მათი ოჯახთან ერთად, ერთ ჭერქვეშ ყოფნა იკრძალებოდა. დიდი სახლის ეზოში იმდენი ამჰარა იყრიდა თავს, რამდენი დაქორწინებული წყვილიც იყო ოჯახში.

აფხაზები საცხოვრებლად იყენებდნენ მეორე ტიპის ნაგებობას, რომელსაც „აბცა – თძ“ და „ამასარ – თძ“ ანუ „აფაცხა“ ეწოდებოდა. ეს იყო ოთხკუთხედი წნული, მიწური, უსარკმლო ნაგე-

ბობა იყო, რომელსაც თივის, გვიმრის ან ყავრის ორფერდა სახურავი ჰქონდა. სახლს გარშემო თხრილს ავლებდნენ, სადაც სახურავიდან წვიმის წყალი ჩადიოდა. კერია შუა ადგილზე იმართებოდა.

ამ ნაგებობის განვითარებული სახეა *„ამასარ-თძ“* – *„ფაცხა“*. ნაგებობა მიწური, ოთხკუთხა და უსარკმლოა, მაგრამ ბევრად უფრო მოხერხებული ცხოვრებისათვის და ფართობიც უფრო მეტი ეჭირა. იგი ქართული (კერძოდ, მეგრული) ფაცხის მსგავსი იყო. საფუძვლად გამოყენებული იყო გათლილი მორები. მათ სწორკუთხა ფორმა ჰქონდათ და კუთხეებით ერთმანეთს უკავშირდებოდნენ. ეს დაწოლილი მორები კედლის დატანებას დალპობისაგან იცავდა. მორებზე პერპენდიკულარულად ერთმანეთში მყარად ჩასმული 10-12 სმ. წაბლის ფიცრები იყო, სიმაღლით 2,5 მ. სწორედ ამ ფიცრებში იყო როდოდენდრონის, თხილის ან იელის ტოტებით მყარად დაწნული ლატანები ჩატანებული. საცხოვრებლად ეს ნაგებობა უფრო მყარი და ვარგისი იყო. 1,5მ. ორთითა ფიწლები ეყრდნობოდა კოჭებს და გადახურვაც უფრო მყარი იყო. სახურავი ოთხფერდა ფორმის იყო, კიდურებზე ლატანი იგებოდა, რომელიც წირეხით მაგრდებოდა, ხოლო ზედ თივით, ჩალით ან გვიმრით იფარებოდა. წვიმისა და ქარისაგან დასაცავად ზემოდან თივა ან სხვა საფარი მორებით მაგრდებოდა. ფაცხის სახურავი უფრო ჩამოშვებული და მობრტყელო იყო ქართული (კერძოდ, იმერული) ფორმის. ზამთარში ფაცხას თიხით ლესავდნენ ან გვიმრას შემოაკრავდნენ.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან აფხაზებში ხის ბოძებზე შემდგარი საცხოვრებელი ნაგებობა გავრცელდა, რომელსაც აფხაზებმა „აკუასკია“ უწოდეს. დასავლეთ საქართველოში ეს ნაგებობა „კოლხური ოდის“, „კოლხური ოდა-სახლის“ სახელწოდებით იყო ცნობილი. მას იატაკი, ჭერი, გადახურვა, სარკმლები და საცხოვრებლისათვის საჭირო ყველა ატრიბუტი ჰქონდა. საცხოვრებელთან ერთად ტერმინმა „ოდა“-მ და მასთან ერთად ნაგებობამ საყოველთაო გავრცელებას საქართველოში XVIII-XIX სს-ში. მიაღწია. თუმცა, ჯერ კიდევ XII-XIII საუკუნეებში (შესაძლებელია უფრო ადრეული პერიოდიდანაც) დასავლეთ საქართველოს ქართულ მოსახლეობაში ამ საცხოვრებლის გარკვეული სახეებია დადასტურებული. ოდა სახლს აფხაზებში დიდი გავრცელება არ ჰქონია. იგი მხოლოდ ფეოდალებში იყო დადასტურებული.

ოდა-სახლს ოსტატები აგებდნენ. ისინი წაბლის, მუხის, ფიჭვის, თელის ხეებს ჭრიდნენ და მათგან ფიცრებს ამზადებდნენ. სამშენებლო მასალა იხერხებოდა და ლურსმნებით იჭედებოდა.

აფხაზეთის ფეოდალებს როგორც საზამთრო, ისე საზაფხულო სასახლეები ჰქონდათ. მსგავსი საცხოვრებელი წაგრძელებულ სწორკუთხედ, დერეფნიან სახლს წარმოადგენდა, რომელიც მთლიან კვადრატს ქმნიდა. იგი შედგებოდა ორი ნაწილისაგან – კედლებით შემოსაზღვრული საცხოვრებელი და აივანი. აივანი დამოუკიდებელი, ცალკე მდგომი ნაგებობა იყო, რომელსაც საზაფხულო სამყოფადაც იყენებდნენ. მას საცხოვრებელი სახლის, სვეტებიანი სხვადასხვა ფორმა ჰქონდა, რომელსაც უმეტესად სტუმრების მისაღებად – სასტუმროდ მოიაზრებდნენ. სულხან-საბა ორბელიანი აივნიან საცხოვრებელს „ფარღია სახლს“ უწოდებს. აფხაზები ღია აივანს „აშაფას“ უწოდებენ. აფხაზეთის ტერიტორიაზე ოდა-სახლის ხუთი ძირითადი ტიპია დადასტურებული: ერთოთახიანი, ოროთახიანი, სამოთახიანი, ოთხოთახიანი და რვაოთახიანი. ეს ტიპური ოდები დროთა განმავლობაში, მასალისა და კონსტრუქციული თვალსაზრისით, იცვალებოდა. ორ და მეტ ოთახიანი საცხოვრებლები ორსართულიანიც იყო, რომლის პირველი სართული შედგებოდა პალატისაგან (მარანი და საჯალაბო), ხოლო მეორე სართული სტუმრის მისაღები დარბაზისა და საცხოვრებლისაგან. საინტერესოა, რომ ზემოთა სართულის დარბაზსა და მეზობელ ოთახს შორის მსუბუქი და მარტივი კონსტრუქციის ტიხრული კედელი იყო, რომელიც ლხინისა თუ ჭირის შემთხვევაში იშლებოდა და ერთ დიდ დარბაზად იქცეოდა. ზედა სართულის წინა კედელი პალატის კედელს არ ემთხვეოდა, იგი უფრო უკან იყო გადაწეული და მეორე სართულზე ღია დერეფანს, ანუ აივანს ქმნიდა. აივნის სვეტების თავებთან, ჭერთან ახლოს, ფიცრები ამოტვიფრული ჩუქურთმიანი მხატვრული მოტივებით იყო დამშვენებული.

აკუასკიას ნიმუში დგას საქართველოს ეთნოგრაფიულ მუზეუმში, სადაც საქართველოს ყველა ისტორიული კუთხის საცხოვრებელი ნაგებობებია წარმოდგენილი. აფხაზური სახლი საქართველოს ეთნოგრაფიულ მუზეუმში 1974 წლის მარტში ჩამოიტანეს. ეს არის აფხაზი თავადის შმაფ აჩბას (ანჩაბაძე) კუთვნილი საცხოვრებელი ოდა-სახლი „აკუასკა“ სოფ. ტყვარჩელიდან (ოჩამჩირის რაიონი). იგი აგებულია 1911 წელს ლაზი ოსტატების მიერ. შმაფ აჩბას სახლი ანდერძით დაუტოვებია თავისი გამზრდელისათვის (მორდუსათვის), რომლის შვილიშვილისაგან, ალიოშა კვარჩიასგან ის 1970-იან წლებში მუზეუმმა შეიძინა. აფხაზური ოდა-სახლი „აკუასკა“ ქართველი და აფხაზი მეცნიერებისა და არქიტექტორების (აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია, პროფესორები ლონგინოზ სუმბაძე, შალვა ინალ-იფა, ივანე აჯინჯალი, ნ. შონია, არქიტექტორი შ. მოსულიშვილი, და სხვა...) ერთობლივად მოპოვებული და სამუზეუმოდ შერჩეული ექსპონატია.

XIX ს. დასასრულს აფხაზური ფაცხა მთლიანი ხისაგან გაკეთებულმა საცხოვრებელმა შეცვალა, რომელსაც ჯარგვალური ოდა – აჯარგვალ-ვნ ეწოდებოდა. სიტყვა ჯარგვალი ქართულიდან (მეგრულიდან) არის ნასესხები და მრგვალ ხეს ნიშნავს. გარდა მეგრელებისა, ეს სახლები დამახასიათებელი იყო იმერლებისა და გურულებისათვისაც, ე.ი. დასავლეთ საქართველოში მცხოვრებთათვისაც. ჯარგვალი ფაცხისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ მისი კედლები გამოჩორკნილი გრძელი მთლიანი ხის მორებით იყო ნაგები. ჯარგვალიც მიწური იყო, ოთხკუთხედი ფორმის. სახურავი ოთხფერდა იყო, გვიმრით, თივით დახურული, შუაში კერიით. მორები თავებით მაგრდებოდა მეორე, ნახევრად ამოჭრილ მორში. ამ საცხოვრებელზე სხვა სამაგრი არ იხარჯებოდა. ნაგებობას ორი კარი უკეთდებოდა, ერთი წინა და მეორე მის მოპირისპირე მხარეს. დასავლურ ქართულ ჯარგვალს ორფერდა სახურავი ჰქონდა.

ჯარგვალური მიწური, ფიცრულმა სახლმა შეცვალა. XIX ს. მიწურულს ნ. ალბოვი წერდა – „ქართველების მსგავსად ხის საცხოვრებლის გამოყენება აფხაზებმა მხოლოდ ახლახან დაიწყეს. ისინი მეგრელების, იმერლებისა და გურულებისათვის დამახასიათებელ სახლებს აშენებენ. ჩვეულებრივ, ეზოებში რამოდენიმე საცხოვრებელი დგას: ერთში ოჯახის უფროსი თავის ჯალაბით ცხოვრობს, მეორე-სამზადია, ხოლო მესამე, ბოსლის ფუნქციას ასრულებს. თხებისათვის წნული, მაღალ ბოძებზე შემდგარი გოდორი გააჩნიათ, რომელშიაც თხები კიბის საშუალებით ადიან. აქვთ საქათმეც. ფიცრულ საცხოვრებლებს აფხაზებს ქართველი (მეგრელი, რაჭველი, იმერელი) ხელოსნები უკეთებდნენ“.

XIX ს. დასასრულსა და XX ს. დასაწყისში აფხაზებში გავრცელდა განში გაზრდილი სახლი **– აგან-ვნ, აფსუა-ვნ.** საქორწინო სახლებიდან – ამჰარიდან – დაქორწინებული წყვილები უკვე დიდი სახლის კედელზე მიშენებულ ოთახებში იყრიდნენ თავს. ყველა წყვილს თავისი ოთახი ჰქონდა, ინდივიდუალური შესასვლელი კარით. აგან-ვნ ქართული (მეგრული) „განიშ ყუდეს“ წარმოადგენდა, რომელიც აფხაზებმა ტერმინთან ერთად ნაგებობაც ქართველებთან კულტურული ურთიერთობებისა და მათთან ინტეგრაციის შედეგად გაითავისეს. აფხაზებმა საცხოვრებლისათვის ქვის გამოყენება მხოლოდ XX ს. 20-იანი წლებიდან დაიწყეს. ჩამოყალიბდა სრულიად განსხვავებული ტრადიცია **ქვის სახლებისა –** ამ პერიოდიდან შენდებოდა ორსართულიანი ქვის ან აგურის სახლები.

აფხაზებში, ისევე, როგორც ქართველებში, საყურადღებო და მნიშვნელოვანი ადგილი იყო **მარანი – ავნაცარა –** სიტყვა „ავნაცარა“ აღნიშნავს ადგილს, სადაც ღვინო იქცევა, იღვრება (ავნ=ღვინო; აცარა=გადმოდინება, დაღვრა). მარნები სამეურნეო ეზოში, საცხოვრებელთან ახლოს, მის უკანა მხარეს ან სამზადი სახლის გვერდით იდგმებოდა. იგი მთლიანი ან დაჩეხილი ძელისაგან იყო გაკეთებული. მოგვიანებით ფიცრული მარანიც ვრცელდება. ნაგებობას ორფერდა ან ოთხფერდა, გვიმრით, ჩალით ან მოგვიანებით ყავრით დახურული სახურავი ჰქონდა. სახურავის დაშვებული ნაპირების პირდაპირ, მიწაზე, შენობის გარშემო თხრილი ითხრებოდა იმისთვის, რომ შიგნით წვიმის წყალს არ შეელწია. როგორც ნაგებობა, ისე შიდა ინტერიერი ქართული (მეგრული, იმერული, გურული და სხვ) მარნის მსგავსი იყო: საწნახელით, მიწაში ჩაფლული ქვ-

ევრებით (აჰაფშა), სხვადასხვა ზომის დოქებით, გეჯებითა და სახაპავებით; მარნის კედლებზე ხის, გამხმარი გოგრის ან თიხის ჭურჭელი, ქვევრებისა და საწნახელის სარეცხი და საშრობი საგნები იყო ჩამოკიდებული. ავნაცარა უმეტესად აბჟუის აფხაზებისათვის, ხოლო ბზიფში უმეტესად გააფხაზებული მეგრელებისთვის იყო დამახასიათებელი. ბზიფელები ქვევრებს ეზოში, ამაღლებულ ადგილას, ღია, მაგრამ გადახურული ფარდულის ქვეშ მარხავდნენ, რომელსაც სიმბოლურად ავნაცარას უწოდებდნენ.

XIX საუკუნეში, აფხაზეთში რუსეთის დამკვიდრებასა და თამბაქოს კულტურის გავრცელებასთან ერთად, აფხაზებში ვრცელდება სამეურნეო ნაგებობა – აყაზარმა. აყაზარმა – ფარდული – სწორ ადგილზე მდგარ მოგრძო ტიპის, მიწაში ჩაფლულ, თანაბრად დაშორებულ ძელებზე დაყრდნობილ, ყავრით დახურულ ღია ფარდულს წარმოადგენდა. სახელწოდება და ნაგებობაც რუსულ „კაზარმა“-სთან არის დაკავშირებული.

საყურადღებოა თხის სადგომი – აჯმათრა – მრგვალი ან ოთხკუთხა ფაცხის ტიპის ნაგებობა, კონუსურ სახურავიანი, გვიმრით ან ჩალით დახურული. მისი მთლიანი სიმაღლე 4 მეტრს, ხოლო კედლის 1 მეტრს. აღწევდა. ნაგებობის დიამეტრი 3-3,5 მეტრი იყო. რადგანაც თხებისათვის ნესტი მავნეა, ნაგებობა მიწიდან 60 სმ-დან 1,5 მ-მდე ხის ბოძებზე იდგა. თხები სადგომში ხის კიბეებით ხვდებოდნენ. იატაკად აუცილებლად ლატანს იყენებდნენ.

საქათმე – აკუტწრა – სამეურნეო ეზოს ბოლოში შინაური ფრინველისათვის ხის წნულ საქათმეს დგამდნენ, რომელსაც ხის კიბეები ჰქონდა და მაღალ ფეხებზე იდგა. სახურავი ჩალით ან გვიმრით იყო დაფარული.

აჟიირა ნხა – სამჭედლო სალოცავი – ღია ფარდული აბარწა, რომლის სახურავის ქვეშ სიმბოლური სამჭედლო იმართებოდა. მსხვილ, ხის კუნძზე გრდემლი და მჭედლისათვის საჭირო სამუშაო იარაღი ინახებოდა. ეს სალოცავი აფხაზების ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ძმათა ოჯახები (ახლო ნათესაური გაერთიანება) ღვთაება შაშვისადმი მიძღვნილ ლოცვას ახალი წლის ღამეს აღავლენდნენ. პატრონიმიის ყველა მამაკაც წევრზე მამალი, ხოლო ქალ წევრზე დედალი ქათამი იკვლებოდა. კეთდებოდა სარიტუალო ყველიანი კვერებიც. სამჭედლოს სალოცავი დანაშაულის გამოსავლენად, ჩვეულებით სამართალში, დაფიცების დროსაც გამოიყენებოდა. სალოცავი იმართებოდა ეზოში არსებულ მცირე ტყეში, ან ეზოში შემოსასვლელი ჭიშკრის გვერდით, მრავალწლიანი ხეების ქვეშ.

მესაქონლეობა, მიწათმოქმედება. აფხაზეთის მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედება იყო, კავკასიის მთის მოსახლეობის მოწოლის შემდეგ ადგილობრივთა შორის მესაქონლეობაც გავრცელდა. წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში გაბნეული მასალის მიხედვით, თავდაპირველად ოჯახის საკუთრებაში არსებული პირუტყვის რაოდენობა თანდათანობით მცირდებოდა და მიწათმოქმედების როლი იზრდებოდა.

მოსახლეობის სიმდიდრე იმ დროისათვის შინაური ცხოველების სიმრავლით იზომებოდა. პირუტყვი გამოიყენებოდა სისხლ-მესისხლეობის, ყაღმის (მამაკაცისათვის საქორწინო გადასახადი), ურთიერთდახმარების დროს მატერიალური ანაზღაურების დასაფარავად. მესაქონლეობასთან ერთად, ადრეულ ეტაპზე მნიშვნელოვანი როლი მეურნეობაში მონადირეობასა და მეფუტკრეობასაც ეკავა. ნ. დუბროვინი (XIX ს. რუსი სამხედრო ისტორიკოსი, გენერალი, პეტერბურგის აკადემიის აკადემიკოსი) წერდა, რომ „აფხაზს წარმოდგენა არა აქვს, რა არის გუთანი. საკუთარი ნაკვეთის დამუშავებას უბრალო ბარით, კავით და თავისებური ხის სახნისით ახერხებს... ხის მოჭრილი, გამოთლილი, მოხრილი ... მორი წამახვილებული სოლით, რომელსაც ბოლოში თოკებისაგან გაკეთებული სამარჯვი ჰქონდა მიმაგრებული, კამეჩის გამწევ მოწყობილობას წარმოადგენდა. აფხაზები ვაჭრობას არ მისდევენ, მათ იგი სამარცხვინო საქმედ მიაჩნიათ“. თანამედროვე აფხაზების ზეპირ მეტყველებასა და ფოლკლორში მესაქონლეობასთან დაკავშირებით მრავლად მოიპოვება გამონათქვამები, მისალმებები და ლოცვები. მსხვილ მესაქონლეებს საქონელი სეზონურად ჩრდილო კავკასიის მთების საძოვრებზე გადაჰყავდათ, რადგანაც საქართველოში საძოვრები ნაკლები

იყო. ჩამოსახლებულებს ჩრდილო კავკასიაში მამა-პაპათა სათემო და ზოგჯერ კერძო მფლობელობაში არსებული საძოვრები ჰქონდათ. ქართველ ხალხთან ტერიტორიულ-კულტურულ-ისტორიულმა ურთიერთობამ თანდათან მიწათმოქმედების როლი გაზარდა. თავიდან მიწათმოქმედებით უმეტესად ქალები იყვნენ დაკავებული. მიწათმოქმედებას ექსტენსიური ხასიათი ჰქონდა. მალე მათ, ქართველების მსგავსად, ღომის-ღომის, ხორბლის, ქერის, ფეტვის, სიმინდის და სხვ. მარცვლეულის თესვა დაიწყეს. აითვისეს მეურნეობის სხვადასხვა დარგები – მემინდვრეობა, მეხილეობა-მევენახეობა, მებოსტნეობა. შეისწავლეს მარცვლეული კულტურის მონაცვლეობა; ნასვენი, ყამირი და ახოს გატეხვის სისტემები. მოსავალი ოჯახის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა.

მევენახეობა. მევენახეობა-მელვინეობის გავრცელება თანამედროვე აფხაზებში ქარ-თულ-აფხაზური კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის შედეგია. ყურძნის ჯიში აუსრხუა, იგივეა რაც მეგრულ-იმერული კრახუნა; ამლახვ – ქართველი თავადის ამილახვრის გვარსახელის პატივსაცემად ეწოდა, რომელმაც ერთ-ერთი კახური ჯიშის ვაზი აფხაზეთში მოამრავლა. აბყურზენ (ქართ. ყურძენი) ჯიში გამოყვანილ იქნა XX ს-ში, აფხაზებმა მოგვიანებით სახელი შეუცვალეს – აბსუაჟ აფხ. "აფსუური ყურძენი".

აფხაზეთში ღვინის პირველი მრეწველები ქართველები (მეგრელები) იყვნენ. XX საუკუნეში ქართველებისაგან აფხაზებმა არყის გამოხდის ტექნოლოგიაც შეითვისეს.

სახნავი იარაღები. პირველი ტიპის სახნავი იარაღი – აბჟუის აფხაზებში „აწაჰა-ცმათა" (სიტყვა-სიტყვით „უკუღმა ტრიალებს, შლის, არღვევს") და ბზიფურში აცამათა („ხარზე ჩამოსაცმელი") იყო. მეორე ტიპის სახვნელი, „აკუათან"-ის ტექნიკური მოწყობილობა და ტერმინი (გუთანი, მიწის კვეთა, საკვეთელი) ქართულიდან იყო ნასესხები. აფხაზური თოხი სამკუთხა ფორმისა და მცირე, უფრო იმერულ თოხს ჩამოგავდა. ნამგალი აფხაზურში ორი სახელით იხსენიება – აჩალაა და ამაგანა. ორივე ქართულიდან არის ნასესხები.

ნაჯახი – აფხ. აიხა (რკინა) აფხაზებში ორი ფორმის გვხვდება. ჩერქეზულის მსგავსი, მომრგვალებული პირით და „წალდი" – აფხაზურად აიგშ. დაწნული კალათები, მათ შორის გიდელის სახელწოდება ქართულიდან არის ნასესხები – აკალათ, და სხვ.

სამოსი. არქაული კოსტიუმების უდიდესი ნაწილი შალის, ქურქის და ქეჩისაგან მზადდებოდა. ვაჭრობის განვითარებამ ასორტიმენტი გააფართოვა. ძველთაგან აბრეშუმის ჭია და მისი ნაწარმიც აფხაზებში უსუფთაოდ ითვლებოდა, რადგან მატლის პარკისგან იყო დამზადებული. ამიტომ მათი გამოყენება XX ს-ის 40-იანი წლების შემდგომ დაიწყეს. ქალისა და მამაკაცის უძველესი კოსტიუმი პარალელს მონათესავე ადიღეელი ხალხის სამოსთან ნახულობდა. თავსაბურავი, ჩოხა და ნაბადი საერთო კავკასიური მოვლენა იყო. „ჩერკესკა" ძველად, გარემო პირობებისა და ტრადიციული საქმიანობის გამო, თითქმის კოჭებამდე აღწევდა. თუმცა, გეოგრაფიული და მეურნეობრივი პირობების შეცვლის, ქართველურ მოსახლეობასთან კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის შედეგად მას სიგრძე და მხრების ფორმა სვანურ-მეგრულ-იმერული ფორმის გაუხდა. საწესჩვეულებო სამოსიდან საქორწინო უმეტესად ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის (ჩერქეზული) მოსახლეობის ტანსაცმელთან პოულობდა პარალელს, სამგლოვიარო სამოსმა კი ძირფესვიანად დასავლურ-ქართული ტანსაცმლის ფორმა და ფერი (ძაძა, შავი ფერი) შეიძინა.

აფხაზურმა ბევრი ტერმინი ქართულიდან ისესხა: მაგ. ქართული კაბა (ქართულში არაბულიდან არის გავრცელებული) აფხ.: აკაბა; ქურქის მსგავსი თექის ჩასაცმელი. ქართ.: გვაბანაკი – აფხ.: აგვაბანაკ; ქალის კაბის მოსართვები (სამკაულები, ღილები) ქართულში შესულია თურქულიდან ჩაფრასტ, ხოლო სვანურიდან (ჩაფრასტალი) ნასესხებია აფხაზურში – აჩაფრაზ; მამაკაცის სამოსის აქსესუარი, საბრძოლო იარაღის (სატევარი, ხანჯალი) ტერმინი აფხ.: ამაყა ნასესხებია ქართ.-მეგრული – ყამა-დან: საბრძოლო აკაზმულობა აბჯარი შემოსულია ქართულში სპარსულიდან, ხოლო ქართულიდან აფხაზურში და სხვ.

პატრონიმია – აბიფარა. აბიფარა (პატრონიმია) ახლო ნათესაური ჯგუფია, რომლის ამოსავალი პოზიცია დიდი ოჯახი იყო. იგი ერთი წინაპრის, ერთი საერთო მამის შვილებს აღნიშნავს.

მასში თავს იყრიდნენ ერთი რეალური წინაპრისგან წარმოშობილი ხუთი, ექვსი და ზოგჯერ მეტი თაობის გაუყრელი ჯგუფები. ერთი დიდი ოჯახის გაზრდისა და შემდეგ სეგმენტაციის შედეგად წარმოიშობოდა ახლო ნათესაური ჯგუფი – პატრონიმია – თავისი მკაცრად დაცული ეგზოგამიით, რიგი ერთობლიობის ნიშნით სოციალურ, სამეურნეო და იდეოლოგიურ სფეროში, მემკვიდრეებისა და მემკვიდრეობის მკაცრი რეგლამენტაციით, ტერიტორიული კომპაქტური განსახლებით, დიდი მამის ძირი სახლის გვერდით ან მის გარშემო. პატრონიმია XX ს. პირველ ნახევარშიც მოქმედ ინსტიტუტს წარმოადგენდა. ამ სოციალური ინსტიტუტის საზოგადოებრივი წყობა და საკუთრების ფორმა უმთავრესად კავკასიელი მთიელების მსგავსი იყო.

თემი და სახალხო კრება. აფხაზური საზოგადოების უმაღლესი ორგანო იყო სახალხო კრება, რომელსაც საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ფუნქცია ჰქონდა. სოციალური ურთიერთობები, საზოგადოებისა და ცალკეული ინდივიდების ქცევის ნორმები ადათობრივი სამართლის კანონებით რეგულირდებოდა. სახალხო კრებას „უხუცესთა საბჭო“ მართავდა, რომლის წევრები დემოკრატიული პრინციპით იყვნენ არჩეული. ის არეგულირებდა ურთიერთდახმარების ფორმებს, ქცევის სტერეოტიპს, სოციალურ ნორმებს და სხვ.

ოჯახი და საოჯახო ყოფა. აფხაზური ოჯახის ორი ძირითადი ფორმაა დადასტურებული. რთული, მრავალსულიანი, დიდი ოჯახი, რომელიც საოჯახო თემის განვითარებულ სახეს წარმოადგენდა და ინდივიდუალური, მარტივი ანუ ნუკლეარული, პატარა ოჯახი. დიდი ოჯახის ფორმამ XX საუკუნის 30-იან წლებამდე მიაღწია და განსაკუთრებული ფუნქციაც შეასრულა. აფხაზური ოჯახი პოლიგამიური იყო. მამაკაცს უფლება ჰქონდა, ერთდროულად ორი ან სამი ცოლი ჰყოლოდა, იქნებოდა ის ქრისტიანი თუ მუსლიმი.

ეგზოგამია – აფხაზებში ეგზოგამიის მკაცრი დაცვა სავალდებულო ნორმას წარმოადგენდა. სისხლით, მოყვრობით და ხელოვნურ ნათესავებში ქორწინება აკრძალული იყო. ქორწინება ასევე იკრძალებოდა მოსისხლე გვარებსა და სოციალურად განსხვავებულ ფენებს შორის. წესების დამრღვევი მკაცრად ისჯებოდა სოფლიდან მოკვეთით. ქორწინება აკრძალული იყო მამამძუძეობით დანათესავებულ ოჯახებს შორისაც.

ქორწინება – აფხაზებში ქორწინება სხვადასხვა საშუალებით ხორციელდებოდა: მოლაპარაკებებით, „ტყვიის შეგდებით“, გარიგებით, მოტაცებით და სხვ. თავდაპირველად, სავარაუდო მოყვრებს შორის მატერიალური ურთიერთობის, სასიძოს მიერ საცოლის ოჯახის მიმართ აუცილებელი გადასახადი, ურვადი („აჩმა“) დგინდებოდა. „აჩმა“ მოლაპარაკების შედეგად განისაზღვრებოდა. XIX საუკუნეში ურვადი ქართულ-აფხაზური კულტურულ-ისტორიული ურთიერთობების შედეგად მზითვის („აიხრაწარას“) ინსტიტუტით შეიცვალა.

ქორწილის („აჩარა“) დღეს სასიძოს უახლოეს ნათესავების მხრიდან მცირერიცხოვანი ამალა ქალის წამოსაყვანად მიდიოდა. ნეფე ქორწილში მონაწილეობას არ იღებდა. საქმროს სახლში პატარძალს ორი მეგობარი ქალი და სიძის სამი მეგობარი ვაჟი აცილებდა. ქორწილის სუფრა ნეფის ოჯახის ეზოში, სპეციალურად აგებულ ფარდულში იმართებოდა. სუფრასთან მხოლოდ მამაკაცები სხდებოდნენ.

აფხაზური ჩვეულებით, ახალდაქორწინებული ვაჟი მხოლოდ ღამით იპარებოდა თავის ცოლთან და გამთენიისას ისევ მიდიოდა. ასე გრძელდებოდა, სანამ რელიგიურ-მაგიური პროცესი – პატარძლის „ამჰარიდან“ გამოყვანა და ქმრის საოჯახო კერასთან ზიარება, ცეცხლთან განწმენდის ჩვეულება არ ჩატარებოდა. ეს ჩვეულება აფხაზებს ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის (ჩერქეზების, აბაზების) ხალხთან აკავშირებდა.

გლოვისა და დაკრძალვის ჩვეულებები. თანამედროვე აფხაზების ქართველებთან ურთიერთობამ დაკრძალვის კავკასიური ტრადიციული ფორმების ტრანსფორმაცია გამოიწვია. აფხაზური გლოვისა და დაკრძალვის რიტუალში ქართული კულტურის მრავალი ელემენტი შეიჭრა. ადამიანის გარდაცვალებიდან გლოვის მთავარ და ბოლო (წლისთავი) ეტაპამდე ჭირისუფლებს რამდენიმე საფეხურის გავლა უხდებოდათ: 1. მიცვალებულის „შეცხადება“; 2. დატირების

პროცესი; 3. დაკრძალვა; 4. „ფეხის გახსნა“; 5. „ორმოცი“; 6. წლისთავი. დაკრძალვის წესებთან ერთად, გლოვის გარეგნული გამოხატულებაც (ტანსაცმლის ფერი, ფორმა) ქართული ელემენტებით შეიცვალა. სასაფლაოს („აფსიჟირთა“) აფხაზები ყოველთვის განცალკევებით, საკუთარ საკარმიდამო ტერიტორიაზე, ამაღლებულ კორდებზე აწყობდნენ. აფხაზებით კომპაქტურად დასახლებულ სოფლებსა და უბნებში საერთო სასოფლო ან საუბნო სასაფლაოები არ ჰქონდათ.

ჩვეულებითი სამართალი. ჩვეულებითი სამართლის აღსრულება ამორჩეულ მედიატორებს შეეძლოთ. მედიატორების (აფხ. „აძბავცვა“) ჯგუფი ხუთი კაცისაგან შედგებოდა. 1. წინამძღოლი ანუ „თავში მდგომი“; 2. თანამოაზრე ანუ „გვერდში მდგომი“; 3. ბჭე, მსაჯული ანუ „საქმის დამჭერი“; 4. შემტყობინებელი, შუამავალი ანუ „ჯოხის მქნეველი“; 5. საქმის ხმამაღლა გამომცხობი ანუ „სიტყვის ოსტატი“.

საქმის გარჩევა უკაცრიელ, სოფლიდან მოშორებულ ადგილზე, მრავალწლოვანი ხეების ქვეშ ხდებოდა. აქ თავს იყრიდნენ დაპირისპირებული გვარების მოწმეები, რომლებიც დაკითხვის დროს ფიცს დებდნენ, რომ სიმართლეს იტყოდნენ. სიცრუის თქმას ხატების განრისხების და დასჯის შიშით ერიდებოდნენ. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან მედიატორები დაპირისპირებულ მხარეებს შერიგებაზე ითანხმებდნენ.

ეტიკეტი. აფხაზებისა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიელთა ტრადიციული ეტიკეტის გაცნობამ შ. ინალ-იფას (XX ს. აფხაზი ეთნოლოგი) ათქმევინა: „აფხაზურ-ადიღეური პარალელები იმდენად მსგავსი და გამომსახველობითია, რომ ადიღეების ეტიკეტზე დაწერილი წიგნისათვის აფხაზური ქცევის მოდელები რომ გვეწოდებინა, ძირითადად, არაფერი შეიცვლებოდაო“.

რწმენა-წარმოდგენები. თანამედროვე აფხაზების წარმართულ პანთეონში წამყვანი ადგილი სიცოცხლის ძალის, ნაყოფიერების, საოჯახო, პატრონიმულ, სასოფლო, სათემო ღვთაებებს ეკავა. ეს უძველესი რწმენა-წარმოდგენები აფხაზთა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობამ, საზოგადოებრივი და სოციალური განვითარების დონემ განაპირობა. ბუნების მოვლენების, მიწის, სამეურნეო საქმიანობის – მესაქონლეობის, მიწათმოქმედების, მონადირეობის, მეფუტკრეობის, სამჭედლოს და წმინდა ადგილების ყველა კულტს საკუთარი ღვთაება ედგა სათავეში. ამ ღვთაებების კეთილგანწყობის მოსაპოვებლად თემი, სოფელი, ოჯახი, პატრონიმია (მამაკაცის გენეტიკური ხაზის ახლო ნათესაობა) კოლექტიურად მართავდა მაგიურ რიტუალებს. ყოველი სალოცავის საკულტო “ცენტრად“ ბუნებრივი ობიქტები – მთა, ტყის პირები, ჭალები და ცალკეული ხეები იყო. მხოლოდ საოჯახო კულტის „ცენტრი“ იყო „ახუშთარა“ და საკიდი ჯაჭვი “არხნშნა“, რომლის ხელის ხლება მხოლოდ ოჯახის წევრებისთვის იყო დაშვებული.

მესაქონლეობის ღვთაება ცნობილია „აითარ“-ის სახელით, რომელიც შვიდნაწილიანი – „ჟვაბრან“ (ძროხების დედა), „აჩშაშანა“ (ცხენების დედა), „ალშკნტრ“ (ძაღლების), „ამზა“ (მთვარის), „ამრა“ (მზის), „ანაფა-ნაგა“ (ნათესების და პირუტყვის) მცირე ღვთაებისაგან შედგებოდა და მას საქონლისა და მოსავლის ნაყოფიერების გაზრდა-გამრავლებაზე ზრუნვა ევალებოდა.

ძველი, პატარა მონოგენური დასახლების ერთეულის „აცთუა“-ს საზოგადოებრივი სალოცავი იყო „აცუნჰვარა“. მას გვალვის დროს წვიმას, ხოლო მუდმივი წვიმის დროს კარგ ამინდს შესთხოვდნენ და ლოცვის დროს ზვარაკს სწირავდნენ. სამიწათმოქმედო ღვთაებათა სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი, ქართულ-აფხაზური კულტურულ-ისტორიული ურთიერთობების შედეგად, ღვთაება „ჯაჯამ“ დაიკავა. იგი დაბალტანიან, მხარბეჭიან ქალად ჰყავდათ წარმოდგენილი. მას დათესილი მინდვრებისა და სხვა ჭირნახულის როგორც გაზრდა-გამრავლება, ისე ზარალის გამოწვევაც შეეძლო. ამიტომ მის სახელზე ზვარაკს სწირავდნენ და ლოცულობდნენ.

აფხაზების-წარმოდგენათა პანთეონში, ისევე როგორც ადიღეში, გამორჩეული ადგილი „აფ“-ს (ჭექა-ქუხილის) ღვთაებას ეკავა. აფხაზების წარმოდგენით, ჭექა-ქუხილით იგი ეშმაკის შეშინებასა და ბოროტი სულების დასჯა-დამარცხებას ცდილობდა. მისთვის ყოველწლიური მსხვერპლშეწირვა და ლოცვა გაზაფხულზე სავალდებულო იყო. მეხის დაცემის შედეგად დაღუპული ადამიანის ნეშტს აფხაზები ტყეშივე, ოთხ მაღალ ბოძზე გაკეთებულ ფიცარნაგზე მოათავ-

სებდნენ. რადგან ამ ადამიანის დატირება არ შეიძლებოდა, ისინი რამდენიმე დღის მანძილზე რიტუალურ სიმღერებსა და ცეკვებს ასრულებდნენ და შემდეგ იმავე ადგილზე კრძალავდნენ.

ბ) ქართველები

დასახლების ფორმები. დასახლების უძველესი ფორმებისა და სამშენებლო კულტურის თვალსაზრისით, სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთი და კოლხეთი (თანამედროვე დასავლეთ საქართველო) ტრადიციების ერთ წრეში თავსდება.

კოლხების ქვის ხანის გამოქვაბულ-სადგომები, ქართველი არქეოლოგის გ. ნიორაძის მიერ იქნა გამოვლენილი ქვაჭარაში, ამტყელში, აჩქითიძგაში (აფხ. **ოთაფ**). ძველი წლთაღრიცხვის II ათასწლეულისა და I ათასწლეულის პირველი ნახევრისათვის კოლხები უკვე ბორცვებზე, „ზვინურ საყრდენებზე“ (მეგ.: „ნაოხვამუ“, „დიხაგუძუბა“...) ცხოვრობდნენ. ბორცვებს გარშემო თავდაცვის მიზნით ზღუდეები და განიერი თხრილები უკეთდებოდა, სადაც წყალი იდგა. მოსახლეობის სიჭარბემ ჭაობიანი ადგილების ათვისებაც გამოიწვია.ბორცვები ერთმანეთთან არხებით ყოფილა დაკავშირებული. გორის თავზე, ოვალურ ფართობზე საკარმიდამო ეზო იყო გამართული. ნაკვეთში კოლხური, წრიული მოყვანილობის, ხელოვნური წნული წოწოლა ფაცხები იდგა. სამოსახლოებს მეგრულად „**ოხორი**“, სვანურად – „**ლახორი**“ ანუ „**ლალხორი**“ ეწოდებოდა. წერილობითი წყაროების თანახმად, ასეთ დასახლებულ ერთეულს „**სოფელი**“ ერქვა, VIII ს-დან კი – „**დაბა**“. ბორცვებზე დასახლებული მოსახლეობის სოციალური ყოფა უფრო დაწინაურებული იყო. გვარები შედარებით მცირე სოციალურ ერთეულებად იყოფოდა.

საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების ტიპები ძველი დასახლების ფორმა და კოლხური სასახლის აღწერილობა. “*...ფილირებს ზემოთ მაკრონებია, მაკრონებს იქით-ბექირთა გვარი, ფართო მხარეში განლაგებულა იმათი მოდგმის ურიცხვი ტომი. მერე მიჰყვება იმავე რიგზე საპირთა ტომის საბრძანებელი, გვერდით ცხოვრობენ ბიძერები და ზემოთ – მეომარ კოლხთა ტომები...*

...იქ, კუტაიის მიწაზე მოჩქეფს, ამარანტების თეთრი მთებიდან და კირკეონის ველზე მდინარი, შორით მოსული შორეულ ზღვაში ზვირთთა შრიალით ჩადის ფაზისი, ტრიალებს მისთა მორევთა წყება. გემს ამ მდინარის დიდ შესართავში რომ შეაცურებთ, თქვენ იქ იხილავთ არესის ჭალაკს, კოშკსა და ქალაქს კუტაიელი აიეტისას...“ (აპოლონიოს როდოსელი. არგონავტიკა).

აპოლონიოს როდოსელი „არგონავტიკაში“ წერს, რომ ანტიკურ ხანაში ქართველებს უკვე მეფეები ჰყავდათ და ქალაქები ჰქონდათ – „ ...შესცქეროდნენ გაოცებულნი კოლხთა მბრძანებლის მზიურ სასახლეს, ციხეს, გალავანს, ფართო კარიბჭეს და მშვენიერი სვეტების სარტყელს, კედლებს გარშემო რომ ევლებოდა მოჩუქურთმებულ, მჭიდრო რკალადა. სასახლის ზემოთ, ლავგარდნის თავზე, მყარი სპილენძის მძიმე ფილებზე აღმართულიყო ქვის კოხტა კოშკი, დიდოსტატური ზრუნვით ნაგები... “

ძველად მეგრელები ფაცხებში ცხოვრობდნენ, რომელიც ხის წნული ფიჩხისაგან მზადდებოდა. ეს პრიმიტიული საცხოვრებელი მიწური იყო. იგი „კუნჭულა“-ს სახელით იყო ცნობილი. მას მრგვალი და წოპიანი სახურავი ჰქონდა. დასახურად ჩვეულებრივ გვიმრას იყენებდნენ.

„ჯარგვალი“ – ამ საცხოვრებლის კედლები ნაგები იყო გაჩორკნილი გრძელი ხის, მრგვალი მორებით, მიწური იატაკით. ჯარგვალი ოთხკუთხედი იყო. სახურავი ორფერდა ჰქონდა. მას ისლით ხურავდნენ. მრგვალი ხის ძელის თავები ერთმანეთში იყო ჩამჯდარი, ოთხკუთხედად, ამიტომ მას ლურსმანი არ ჭირდებოდა (**ჯა=ხე; რგვალი=მრგვალი**). ამ სახლის გასაკეთებლად მხოლოდ კოლხური ცული გამოიყენებოდა.

„განიშ ყუდე“ (განში გაზრდილი სახლი) **–** საცხოვრებელი ნაგებობის წრიული ფორმიდან ოთხკუთხოვან ფორმაზე გადასვლის პერიოდში ფართოდ ვრცელდება. ეს საცხოვრებელი წაგრძელებულია და სწორკუთხა. სახლს შუაში ზოგჯერ ღია ფარდული-დერეფანიც ჰქონდა. გადა-

ხურვა ერთიანი და ორფერდა იყო, ისლით გადახურული. მისი სიგრძე დამოკიდებული იყო ოჯახში საქორწინო ვაჟების რაოდენობაზე.

„გოდორი“ ანუ „პიტაფიცარა“ სახლი. ეს საცხოვრებელი უფრო რთულია და აშენების თვალსაზრისით ცოდნასა და მეტ შრომას მოითხოვდა. მას მოკლე, გათლილი, განიერი ფიცრებით კრავდნენ. უმეტესად მუხის ხის მასალას იყენებდნენ. ფიცრებს ერთმანეთში მწყობრად აწყობდნენ. ამ საცხოვრებლის იატაკი მიწური იყო. ოთხმხრივ დაფერდებული სახურავისათვის ისლს და ყავარს იყენებდნენ. „პიტაფიცარა“-ს არ ჰქონდა არც ბუხარი და არც ფანჯარა. ამ სამივე ტიპის პრიმიტიული საცხოვრებლის ცენტრალურ ნაწილში შუაცეცხლი ენთო. კერია საცხოვრებლის წმინდა ადგილად ითვლებოდა.

ოდა სახლი. სამშენებლო ტექნიკის განვითარებამ, გრძელი საცხოვრებლების ერთმანეთთან შეწყვილებამ, უფრო განვითარებული და საცხოვრებლად მოხერხებული ტიპი – ოდა სახლი – წარმოქმნა. ოდა სახლი რამდენიმე ოთახისაგან შედგებოდა, ფიცრული იატაკი და ჭერი ჰქონდა. არსებობს კოლხური ოდა სახლის ექვსი ტიპი – ერთოთახიანი, ოროთახიანი, სამოთახიანი, ოთხოთახიანი, ხუთოთახიანი და რვაოთახიანი. დასავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველაზე მეტად ხუთოთახიანი ოდა სახლები იყო გავრცელებული. ეს საცხოვრებელი რთული ასაგები იყო და ოსტატურ ცოდნას და ხარჯებსაც მოითხოვდა. ოდისათვის აუცილებელი იყო კარგი და გამძლე ხის (წაბლი, მუხა, ფიჭვი, თელა) მასალა. მასალას მთიან რაიონებში მოიპოვებდნენ. ოდა სახლი აფხაზეთისა და მთელ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველებისათვის ყველაზე განვითარებული და გავრცელებული ტიპია.

ოდა სახლის განვითარებულმა ტიპმა, მოგვიანებით, ქვის მასალის გამოყენებით ერთსართულიანი, ორსართულიანი და მეტ სართულიანი საცხოვრებლებიც შექმნა. ისინი მთელ დასავლეთ საქართველოში გავრცელდა, მათ შორის, დალის სვანეთში, ე.ი. კოდორის ხეობაში. ამ საცხოვრებლისათვის, ქვის გარდა, ხეც იყო გამოყენებული. ქვის სახლებს წინკარი და ღია დერეფნები ამშვენებდა. ოდა სახლისათვის გამოყენებული მაღალმხატვრული გემოვნებით დამუშავებული ულამაზესი აივნების დეკორატიულობა ქვით ნაშენი საცხოვრებლის აივნებზეც მეორდება.

სვანურ-მეგრული ტიპის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობა. საცხოვრებელი ნაგებობის ეს ტიპი ძველთაგან გავრცელებული იყო კოდორის (საკენის) ხეობის სოფლებში. აქ მოსახლეობა ხე-ტყის მასიურ დამუშავებასა და მესაქონლებას მისდევდა. სახელწოდება პირობითია. ამ სახლის კონსტრუქცია აფხაზეთის ორი ქართველური მოსახლეობის სამშენებლო მემკვიდრეობის უძველესი ტრადიციების შერწყმის მაგალითს წარმოადგენდა, რომელიც ძირითადად გეოგრაფიული და კლიმატური გარემოებით იყო განპირობებული. იგი მორებისაგან აგებული ორსართულიანი ნაგებობა იყო. რთული რელიეფის გამო ჩრდილო-დასავლეთით მესამე სართული ჰქონდა ამოყვანილი, რომელიც ორივე მხრივ მიწაში იყო ჩამჯდარი და ადამიანს სარდაფის სართულს მოაგონებდა.

პირველი სართული ორი ნაწილისაგან შედგებოდა – საცხოვრებლისა და საქონლის სადგომისაგან (სვან. **გუალ-გომური**; მეგრ: აგარა – ბოსელი). საცხოვრებელი შეიცავდა – კვადრატული მოყვანილობის მთავარ და ვრცელ ოთახს “შინა“-ს (ოთახი 36 კვ.მ.), რომელიც, თავისი დანიშნულებით სვანური “მაჩუბისაგან“ არაფრით განსხვავდებოდა (სვან. „მაჩუბი“ – სვანური საცხოვრებლის პირველი სართული, მიწური იატაკით) და საცხოვრებელი ოთახი. საცხოვრებელი ოთახები მცირე ზომის თაღურად ამოჭრილი სასინათლო ორ-ორი ხვრელით (სვან. „ლახურა“) და დამოუკიდებელი შესასვლელებით. პირველ საცხოვრებელს თიხატკეპნილი იატაკი, ხოლო მეორეს გათლილი ფიცრის იატაკი ჰქონდა. “შინას“ გვერდით საცხოვრებელი ოთახიდან ხვრელით სარდაფის სართულს უკავშირდებოდა, რომელიც სურსათ-სანოვაგის მარაგისათვის იყო გამოყენებული. სარდაფის კედლებიც მორებით ამოყვანილი იყო. საჰაერო ჭუჭრუტანების გარდა, სხვა კარი და სარკმელი არ ჰქონდა. „შინაში“, ცენტრალურ ადგილზე კერა იყო გამართული. ზემოთ დირეებზე ჩამოკიდებული მეორე ჭერი (სვან. „**შგილ**“), კერიისათვის ერთგვარი სახურავი იყო.

„შინას“ ორ მხარეზე კუთხური დერეფნის მსგავსად მსხვილფეხა საქონლისათვის გომური ჰქონდა გამოყოფილი. მის გაგრძელებაზე სახბორე სათავსო და გუალიდან (გომურიდან) შესასვლელი არსებობდა. მას ერთი სასინათლო სარკმელი (სვან. „ლეხურა“) ჰქონდა.

მეორე სართული ვრცელ დარბაზს წარმოადგენდა. მისი ფართი 100 კვ.მ. აღწევდა. საცხოვრებლად იგი ზაფხულში გამოიყენებოდა, ზამთარში იქ საქონლის საკვებს ინახავდნენ. დარბაზის წინ, მთელ სიგრძეზე ღია აივანი იყო გამართული. იგი დარბაზს ერთი კარით უკავშირდებოდა. აივანი პირველ სართულს ჩასაძრომი ხვრელით უკავშირდებოდა და თივისათვის იყო განკუთვნილი. იქვე მიდგმული იყო დაკიბული მორი – ე.წ. „**ტკვაჯა**“. მეორე სართულს გარედან მიდგმული ჰქონდა მორის კონსტრუქციის დიდი პანდუსი, საიდანაც თივა და ჩალა შეჰქონდათ.

ნაგებობა ოვალური, კონუსურ, ცილინდრული, წკნელკედლებიანი, მსუბუქი კონსტრუქციის იყო, რომელიც მაღალ ბოძებზე იყო შემდგარი. უფრო განიერი და ფართო ზომის „მარაკას“, ზემოდან დაფენილი წნული ლასტები და დახრილად მიბჯენილი კედლები, იატაკი ფიცრული ან ჯარგვალური ჰქონდა. მარაკებში ასასვლელად მისადგმელი დაკიბული მორები გამოიყენებოდა. „აგვარა“||“აგარა“-ს (მეგრ. ბოსელი) გადახურვა არ ჰქონდა და იგი საზაფხულო სადგომად გამოიყენებოდა და მეგრულად “მრავალგვარ საქონელს“, ე.ი. ერთად მდგარ ჯოგს აღნიშნავდა. აფხაზეთის ქართული (სვანურ-მეგრული) მოსახლეობისათვის ასევე ცნობილი იყო ტერმინი “ქართა“, რომელიც ირგვლივ შემოზღუდულ, უსახურავო, საქონლის სადგომს აღნიშნავდა.

მეგრ. „ამბურა“||“აბურა“ ბოსელი, საძროხე იყო, რომელსაც ჰქონდა სახურავი და კარი. ნაგებობა, ამბურაც სამეურნეო ეზოში იდგა. ისლით ან ყავრით დახურული. ჩვეულებრივ ჯარგვალზე უფრო დაბალი იყო. საქონლის სხვადასხვა სახე ერთმანეთისაგან წნული ლასკების კედლით იყო გამოყოფილი. გარდა ხბორებისა, ყველა სახეობა დაბმული იყო. თუ საქონელი ოჯახს მრავლად ჰყავდა, სასაქონლე „ამბურა“-ს განში ზრდიდნენ.

საღორე, ჩვეულებრივ, საკარმიდამო ნაკვეთის ბოლოს, ღობის ძირში იმართებოდა, მას შემოსასვლელი უკანა მხრიდან ჰქონდა. რაც შეეხება ქათმებს, ისინი უმეტესად საკარმიდამო ნაკვეთის სამეურნეო ეზოს ღობესთან მდგარ სხვადასხვა ჯიშის ხეების ტოტებზე ათევდნენ ღამეს, ხოლო საბუდრები სამეურნეო სათავსოში, უმეტესად, ბოსელში ჰქონდათ.

მარცვლეულის ბეღელი – კასრები, მეგრ.: „ბუყუნები“ და „მაღაზა“ ბოძებზე იყო შემდგარი, წნული კედლებითა და უფრო მჭიდრო წნული (ან ჯარგვალური) იატაკით, მსუბუქი კონსტრუქციის ისლით ან ყავრით გადახურული, ორფერდა სახურავით, ნაგებობები მარცვლეულის გასაშრობადაც და შესანახადაც გამოიყენებოდა. მოგვიანებით მესრულ-კედლებიანი, ლარტყებისაგან გაკეთებული, ჯარგვალური და პიტა-ფიცრული მარცვლეულისა და ფქვილის შესანახიც ჩნდება.

მარანი დასავლეთ საქართველოში ორგვარი გვხვდება – ცალკე ნაგებობა „მარანი“ და „ოლაგვანე“ – ქვევრების ადგილი ღია ცის ქვეშ. „ოლაგვანე“ საკარმიდამო ნაკვეთში ამაღლებულ ადგილზე, ჩრდილიანი ხეების ქვეშ იმართებოდა. ქვევრები მიწაში იყო ჩამარხული, მათ ისეთი სახურავები უკეთდებოდა, რომ წყალი არ ჩასულიყო. ღია მარნის არსებობა ბუნებრივ-კლიმატურ პირობებთან იყო დაკავშირებული. ღვინის დასაყენებელი ინვენტარი და საწნახელი “ოჭინახუ“ გადახურულ სათავსოში ინახებოდა. ქართული ოდა სახლის გავრცელების შემდეგ, ორპალატიან ოდა სახლში ერთი მთლიანად მარანს ჰქონდა დათმობილი. საწნახელი მთლიანი ცაცხვის ხის მორისაგან კეთდებოდა. ოდიშსა და აფხაზეთში ქვითკირის, ცემენტის და მთლიანი ქვის ლოდისაგან დამზადებული საწნახელები არის დამოწმებული. ჩვეულებრივ, „ოლაგვანე“ოჯახისათვის „ოხვამერის“ (სამლოცველოს) დანიშნულებასაც ასრულებდა. იგი წმინდა ადგილად ითვლებოდა. წმინდანების სახელზე დაწურული და ქვევრებში შენახული ღვინო მხოლოდ იმ დღესასწაულზე იხსნებოდა, რომლისთვისაც განკუთვნილი იყო ეს ზედაშე.

სამოსი. აფხაზეთის ქართველებში სამოსის ის სახეობა იყო გავრცელებული, რომელიც მთელი დასავლეთ და, საერთოდ, საქართველოს მოსახლეობისათვის იყო დამახასიათებელი. მამაკაცები შინ დამზადებულ ბამბის ძაფისაგან მოქსოვილ გრძელ პერანგს – „ხამლენიშ ოსარე“-სთან

ერთად, ბამბის მუქი ქსოვილისაგან შეკერილ შარვალს – „ძიქვას“ ატარებდნენ. პერანგზე ზემოდან, წელთან დაგრეხილი ბამბისავე თოკი ჰქონდათ შემოჭერილი. სადღესასწაულო სამოსი იყო ჩოხა-ახალუხი, მხრებზე ნაბადსაც ისხამდნენ. თავზე მაღალი ქუდი ეხურათ, ყაბალახი მხრებზე ეფინათ. წელზე ტყავის ქამარი ერტყათ, რომელიც ვერცხლით იყო გაწყობილი და ვერცხლისავე ხანჯლით იყო დამშვენებული.

მიწათმოქმედება, მესაქონლეობა. დასავლეთ საქართველოს ეთნო-ყოფაში შემორჩენილია მრავალფეროვანი სამიწათმოქმედო ენდემური კულტურები და მრავალფეროვანი სამეურნეო იარაღები. გუთნური მიწათმოქმედება ადრებრინჯაოს ხანიდან უკვე განვითარებული ჩანს. აქ სახნავი ველების გაფართოება ძველთაგან ახოს გატეხვის ხარჯზე მიმდინარეობდა. სახვნელი იარაღები ნიადაგის ფენას ღრმად ამუშავებდა და სარეველებსაც სპობდა. მიწათმოქმედების განვითარებისათვის სარწყავ სისტემებსაც გამოიყენებდნენ. მოჰყავდათ ხორბალი, ღომის-ღომი, ფეტვი, ქერი და სხვ. ძველთაგანვე განვითარებული დარგები იყო მემინდვრეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა. კარგად ფლობდნენ ნასვენი, ყამირი და მარცვლეულის მონაცვლეობის კულტურას.

ძველთაგან მთაში და ბარშიც განვითარებული ჩანს მესაქონლეობა, როგორც სვანურ, ისე მეგრულ მოსახლეობაშიც. სვანები და მეგრელები საძოვრებად მდინარეების – ბზიფის (აუადჰარას და რიწის ტბის მიდამოებში), კოდორის, ქლუხორის, ცხენისწყლის, საკენის, ჩხალთის და სხვ. საძოვრებს იყენებდნენ. ასევე კარგი საძოვრები იყო ჩხალთის შუა ნაწილში, შოუდიდსა და წებელდაში. სამურზაყანოელებსა და ოდიშის მოსახლეობის ნაწილს საძოვრები მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირზეც ჰქონდათ. ქართველი მესაქონლეებიდან მეგრელ მწყემსებს მეურნეობაში თხა, ცხვარი, მსხვილფეხა საქონელი, კამეჩი ჰყავდათ. გადასაადგილებლად და ტვირთის გადასატანად ცხენსაც და ვირსაც მოიხმარდნენ.

კვების სისტემა. დასავლეთ საქართველოს ტრადიციული კვების სისტემა მოსახლეობის მთავარ სამეურნეო საქმიანობასთან – მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობასთან იყო დაკავშირებული. წლიური და დღიური რაციონი მრავალფეროვანი იყო: ბოსტნეული, ტყის ნობათი (ბალახეული, სოკო, კენკრა და სხვ.), ხორცეული და ამასთან ერთად, ნოყიერი რძის ნაწარმი. გამორჩეულად უნდა დავასახელოთ მეგრული ტრადიციული *„სიჲოგინი“*, რომელიც ჭყინტი ყველისაგან მზადდებოდა. ახალ ამოყვანილ ყველს ადუღებულ რძეში ჩაყრიან, ჯოხით მოურევენ. როცა ყველი წელვადი გახდება, მაშინ მას ხონჩაზე გადმოიტანენ და ხელით ზელენ. როცა კარგად გაიზილება, გუნდებს მოწყვეტენ და ბურთივით დაამრგვალებენ. მერე გუნდას გააბრტყელებენ და ხის კალაპოტში ჩადებენ, რომელშიც ერთი დღე-ღამე გააჩერებენ. შემდეგ მარილიანი წყლით სავსე დერგში გადაიტანენ. კარგად გაკეთებული სულგუნი 6-7 თვე ინახება.

ძველად რამდენიმე სახეობის ღომის-ღომის მარცვლეულის ჯიში იყო ცნობილი, რომლისაგან ღომი კეთდებოდა. ღომის-ღომის მარცვალი, რომელიც ძალიან ძნელი მოსავლელი იყო, XVIII ს-დან სიმინდის მარცვალმა შეცვალა. ძველთაგან გამოიყენებოდა ასევე ფეტვი და ხორბალი.

ოჯახი და საოჯახო ყოფა. ისტორიულად ჩამოყალიბებული ქართული დიდი ოჯახი, რომელიც ნათესაური და საქორწინო ურთიერთობებით იყო დაკავშირებული, XX საუკუნემდე შემორჩა, უმეტესად მთიან რეგიონებში. ამ ერთეულში თავს იყრიდა რამდენიმე თაობის (5-6) საქორწინო წყვილები, მათი შვილები, შვილიშვილები და ა.შ. მათ საერთო მფლობელობაში ჰქონდათ უძრავი და მოძრავი ქონება. საოჯახო საქმიანობაში ოჯახის ყველა მოზრდილი წევრი იყო ჩართული. განვითარების უფრო გვიან ეტაპზე, მაგალითად ფეოდალურ საზოგადოებაში, ქართულ მოსახლეობაში უმეტესად ინდივიდუალური ოჯახები ჭარბობდა.

ჩვეულებითი სამართლის კანონებით, ოჯახის რღვევის დროს ქალები ეკონომიკური და იურიდიული თვალსაზრისით მემკვიდრეობის თანაბარ განაწილებაში მონაწილეობას არ იღებდნენ. საოჯახო ქონების მემკვიდრეებად უფროსი თაობის მამაკაცები – ძმები ითვლებოდნენ. ქალების საკუთრებას მზითვი და სათავნო შეადგენდა. ოჯახის გაუთხოვარი ქალი მამისეულ სახ-

ლში ერთ-ერთი ძმის ოჯახში რჩებოდა, რომელიც მასზე მეურვეობას კისრულობდა. დიდი ოჯახის ტრანსფორმაცია ინდივიდუალური ოჯახების როლის გაზრდასა და გავრცელებას იწვევდა.

პატრონიმიის, როგორც სოციალური ორგანიზაციის გარკვეული ტიპის, საფუძველი დიდი ოჯახის ერთობლივი საკუთრების ფორმა და მმართველობის სისტემა იყო. ეს სოციალური ორგანიზაცია აფხაზეთის მეგრელებში „თურის“, ხოლო სვანებში „სამხუბ||ლამხუბის“ სახელით იყო ცნობილი. იგი საერთო წინაპრისაგან წარმოშობილ ხუთ, ექვს და მეტი თაობის აგნატურ ჯგუფს მოიცავდა, რომლებიც ერთი დიდი ოჯახის გაზრდისა და სეგმენტაციის შედეგად ჩნდებოდა. მისთვის დამახასიათებელი იყო ეგზოგამია, რიგი საერთო ნიშნები სოციალურ, სამეურნეო, იდეოლოგიურ-რელიგიურ სფეროში, მემკვიდრეებისა და მემკვიდრეობის მკაცრი რეგლამენტაცია, ტერიტორიულად კომპაქტური განსახლება.

სახალხო კრება – მმართველობის სტრუქტურა. დასახლების ერთეულს აფხაზეთისა და კოდორის ხეობის ქართულ მოსახლეობაში „სოფელი“ წარმოადგენდა. სვანურად მას „ჴეუ“||„სოფელ“, მეგრულად „სოფელი“ ეწოდებოდა. ეს დასახლება საზოგადოებრივი გაერთიანების აღსანიშნავადაც გამოიყენებოდა. სოფელს საკუთარი მმართველობის სისტემა და საკრებულო ჰქონდა. საკრებულოში სოფლის ოჯახის მამაკაცი ხელმძღვანელები, მეთაურები იყრიდნენ თავს. მათგან ყველაზე გამორჩეულ და პატივცემულ პირებს მმართველ სტრუქტურაში ირჩევდნენ. ისინი ჩვეულებითი სამართლის ნორმებით სასოფლო საკუთრების ფორმას, ნაკვეთების გამოყენების საოჯახო პრინციპს, მოსახლეობის მორალურ-ზნეობრივი ქცევის წესებს იცავდნენ; კონფლიქტებს არეგულირებდნენ; ერთ-ერთ მთავარ ვალდებულებად ურთიერთდახმარების ფორმის გამოყენება ითვლებოდა – სოფლის შიგნით ყველაზე გაჭირვებულ ოჯახებს ხელს უმართავდნენ; ნორმებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების და ვალდებულებების რღვევის შემთხვევაში, დანაშაული სახალხო განხილვისა და დასჯის სანქციას ექვემდებარებოდა. სახალხო კრებას თავმჯდომარე და დამხმარე პირები ჰყავდა. თუმცა, დიდი მნიშვნელობა “უხუცესთა საბჭოს“ ე.ი. მმართველ ორგანოს გადაწყვეტილებას ენიჭებოდა, უმეტესად საკითხი ყოველთვის კენჭისყრით სრულდებოდა.

სოფელში, სახალხო კრებისათვის (სვან. „ლანყავ“ – სალაყბო; მეგრ. „ოშაყარუე“ -თავშეყრის ადგილი) ადგილი გამორჩეულ, ლამაზ, მრავალწლიანი ხეების ჩრდილქვეშ გამოიყოფოდა. ზამთარში საკრებულოს წევრები თავმჯდომარის საცხოვრებელში იყრიდნენ თავს. საკრებულოს წევრები მამაკაცები იყვნენ, მაგრამ თუ კრებაზე ქალის მოწმობა გახდებოდა საჭირო, მისი მისვლა და კრებაზე გამოსვლა პრობლემა არ იყო.

ნიშნობა და ქორწილი. ძველად, ქალ-ვაჟის დაქორწინება მთლიანად მშობლების გადაწყვეტილებით ხდებოდა. აუცილებელი იყო ნიშნობამდე ქალ-ვაჟის და მათი მშობლების ვინაობის, ოჯახის ქონებრივი მდგომარეობის გარკვევა. ამისათვის შუაკაცებს ანუ „მარებლებს“ ირჩევდნენ. შუამავლები ქალის მზითვის – „ოჭყუდური“-ს საქმესაც აგვარებდნენ. მზითვის სიდიდე-სიმცირეს ქალის მშობლების შეძლება განსაზღვრავდა. მარებლები ცდილობდნენ, ყველაფერი კარგად მოეგვარებინათ, რომ საკუთარი გასამრჯელო – „ნამარებუ“ მიეღოთ. ეგზოგამია როგორც მამის, ისე დედის ნათესავებში იყო დაცული. აკრძალული იყო “ძიძეშქუას“ ე.ი. ძიძისშვილის ნათესავის შერთვა და მასზე გათხოვება. ასევე არ შეიძლებოდა „ჩაფილის“ ე.ი. დედის, მამის, შვილის, დის ან ძმის გარდაცვალების შემდეგ მის „მაგიერად მიღებულის“, „მოგებულის“ ან „ნაცვალის“ (თმის მოჭრით) დანათესავებულისა და ახლობელის შერთვა ან მასზე გათხოვება.

სამეგრელოში ძველად „ონწეშ-იკოდგუმა“ ანუ აკვანში დანიშვნა იცოდნენ. ამას ორი მეგობრული ოჯახი აკეთებდა, რომელთაც დანათესავება უნდოდათ. მშობლები ვაჟს ქალის ოჯახში აკვნით მიიყვანდნენ. ერთად დადგამდნენ. ვაჟის მშობლები ქალის აკვანზე რაიმე ნიშნობის სამკაულს ჩამოჰკიდებდნენ. პირობის დარღვევა გამორიცხული იყო, რადგან იგი ორ ოჯახს შორის შურისძიების, სისხლ-მესისხლეობის ჩვეულებას წარმოშობდა.

ნიშნობის წინ ქალის „გინოძირაფა“ ანუ გადანახულება, ე.ი. გასინჯვა იცოდნენ. ჩვეულებრივ, ეს წესი გვიან ღამით ეწყობოდა, რომ ქალის დაწუნების შემთხვევაში, მას სახელი არ გატეხოდა. გადასანახულებლად ვაჟს დედ-მამა და ბიძა მიჰყვებოდა. თუ საქმე კარგად გადაწყდებოდა, მაშინ ქალის ოჯახში სადილი გაიმართებოდა და ვაჟი, ბიძისა და ძმის ხელით, სანიშნო ტანისამოსსა და სამკაულებს – „შანას“ გაუგზავნიდა საცოლეს. ნიშნობის ერთი წლის შემდეგ ორივე ოჯახში ქორწილი იმართებოდა. პატარძლის, „მოჭყუდუს“ წამოსაყვანად ისევ ვაჟი, დადეს, მამის, ბიძის და მაყრების თანხლებით მივიდოდნენ. სტუმრებს სუფრაზე მიიწვევდნენ. როცა წასვლის დრო დადგებოდა, ქალს თავისი დადე და მაყრები მიჰყვებოდნენ. ქალს თან ატანდნენ მზითევს, რომლის სია უკვე შედგენილი იყო და რომლის მიხედვითაც ვაჟის მხარეს ყველაფერს უკლებლივ ჩააბარებდნენ. ქალ-ვაჟის ჯვრისწერა მამაკაცის, ქმრის სოფელში ეწყობოდა. ჯვრისწერის შემდეგ „კუჩხა ბედნიერას“ (ფეხბედნიერი) სიმღერით ყველა ქმრის ოჯახისაკენ გასწევდა. ქორწილის დროს შესაწევარი – „გინოყ ოთამა“ ეწყობოდა. ეს პატარძლის შესაწევარი იყო. მამაკაცის ახლობელი ნათესავი, ახალგაზრდა კაცი ცოლ-ქმრის წინ სინით დგებოდა, სტუმრები სინზე სხვადასხვა საჩუქრებს, ფულს, მონეტებს, სამკაულებს და სხვ. აწყობდნენ. მეორე დღეს ნეფე ქალის მაყარს შეძლებისდაგვარად დაასაჩუქრებდა და ისე გაისტუმრებდა.

რწმენა-წარმოდგენები. აფხაზეთის ქართველების ძველ რელიგიურ მრწამსზე ღია ან დახურული მარანი გვაძლევს წარმოდგენას. მარანში მიწაში ჩაფლულ ქვევრებში, სხვადასხვა სალოცავის სახელზე, ზედაშე ინახებოდა. მარანზე, მის სისუფთავესა და იქ არსებულ ჭურჭელზე მხოლოდ ოჯახის უხუცესი მამაკაცი, ოჯახის მეთაური ზრუნავდა. მის გარდა, მარანში მხოლოდ უფროს ვაჟს შეეძლო შესვლა, რომელიც მამის საქმიანობას მისი გარდაცვალების შემდეგ კიდებდა ხელს. მარანი ოჯახისათვის წმინდა ადგილი იყო, სადაც სალოცავი რიტუალი ეწყობოდა. ძველად ქალი სამლოცველოსა და მარანში არ დაიშვებოდა.

წმინდა სალოცავებისა და ოჯახის სახელზე მარანში რიტუალები იმართებოდა, რომელსაც მხოლოდ ოჯახის მამაკაცი წევრები და გაუთხოვარი ქალები ესწრებოდნენ.

მთავარი სალოცავი „ფუძეშ ოხვამერი“ ანუ ფუძის სალოცავი იყო. მას „საღმრთო საოხორო“, ანუ ადგილის საღმრთო მოჰყვებოდა. შემდეგ იყო „საოცოდინარო“ (სრულდებოდა ნააღდგომევს, ოჯახის უფროსი თვით განსაზღვრავდა რიცხვს), „შქვითული“ (საგვარეულო ლოცვა ჭირნახულის დაბინავების შემდეგ, ამ დღეს შვიდი სამსხვერპლო ცხოველი და ფრინველი იკვლებოდა), „სამგარიო“ (საქონლის სალოცავი. იგივე მიქელ გაბრიელ მთავარანგელოზის ლოცვა), „სადაბადო“ (ოჯახის სალოცავი ქვევრი), „ოდუდია-სამგარიო“ (ოჯახის უფროსი მამაკაცისა და მისი უფროსი ვაჟიშვილის სალოცავი). ოჯახის უფროსის გარდაცვალების შემდეგ ოჯახის უფროსის პიროვნული ქვევრი „ბენი“, ანუ თავისუფალი ხდებოდა და მას უფროს ვაჟს მიუჩენდნენ. მამა ვაჟიშვილს ასწავლიდა ყველა სალოცავის წების დაცვას და რიტუალის შესრულებას.

XIX საუკუნეში, რუსეთის იმპერიის მმართველობის დამკვიდრების შემდეგ, როცა აფხაზეთის ეკლესიებში რუსმა მღვდელმთავრებმა წირვის ქართულად ჩატარება აკრძალეს, ქართველები იქ აღარ შედიოდნენ. მათ გამოსავალი იმაში ჰპოვეს, რომ ჯვრისწერის რიტუალს ახალგაზრდებს მარანში უტარებდნენ. ეკლესიაში მისვლის ნაცვლად კი მოსახლეობის დიდი ნაწილი თავის ქრისტიან წმინდანებს გაჭირვებაში დახმარებას მარანში ლოცვის დროს შესთხოვდა.

გლოვისა და დაკრძალვის ჩვეულებები. ადამიანის სული მეგრელებს ჩიტის სახით ჰყავდათ წარმოდგენილი, რომელსაც ხელი არ უნდა შეშლოდა საიქიოში მოსახვედრად. ამიტომ ძველად ადამიანის გარდაცვალებისთანავე კარ-ფანჯრებს აღებდნენ. შემდეგ მიცვალებულს ხის ტახტზე დაასვენებდნენ. ახლო-მახლო ნათესავებს თავისი მწუხარების მიზეზს წივილ-კივილით ატყობინებდნენ (უმეტესად ქალები). შორს მცხოვრებ ნათესავებში კი „მაგინაფალს“ ანუ შემტყობინებელს აგზავნიდნენ. ცხენზე მჯდომ „მაგინაფალს“ ტომარა ჰქონდა ზურგზე მოკიდებული, ხოლო ხელში ჯამი ეჭირა. იგი ფრთხილად ატყობინებდა სიკვდილის ამბავს ახლობლებს და თან გამყოლსაც იხმარდა.

მიცვალებულის საცხოვრებელში ჭირისუფლებისთვის საკვებ-საჭმელი არ კეთდებოდა. ამიტომ, ჩვეულების თანახმად, ჭირისუფლებისათვის მეზობლად მცხოვრებ ნათესავებსა და მეზობლებს მოჰქონდათ სადილ-ვახშამი. ამავე დროს, ახლო მცხოვრებ ნათესავ-მეზობლებს, ურთიერთდახმარების ჩვეულების წესის დაცვით, მოჰქონდათ და აგროვებდნენ ქელეხისათვის საჭირო სანოვაგეს.

ეზოში „სეფა“-ს აგებდნენ, რომელიც გადახურული იყო და მის განიერ სივრცეში, ფიცრებით გრძელ სკამებსა და მაგიდებს აწყობდნენ. დაკრძალვის დღეს მიცვალებულის ეზოში, მოფარებულ ადგილა, დაანთებდნენ ცეცხლს და ქელეხისათვის სამარხვო საჭმელებს ამზადებდნენ. ხორცის ჭამა ამ დღეებში აკრძალული იყო. დაკრძალვის დღისათვის “მოზარეებსაც“ მოიპტიჟებდნენ – 4-5 კაცს, რომლებიც დახელოვნებული იყვნენ მოტირალი ხმით მიცვალებულის ცხოვრების მნიშვნელოვანი მომენტების გახმოვანებაში.

დასაფლავება სოფლის სასაფლაოზე ხდებოდა, რომლებიც აფხაზეთის სოფლებში არსებულ ტაძრებისა და ეკლესიების ეზოებში იყო გამართული. ამ სასოფლო სასაფლაოებზე მხოლოდ ქართული მოსახლეობა კრძალავდა თავის მიცვალებულს. ადამიანის გარდაცვალებიდან გლოვის ბოლო ეტაპამდე (წლისთავამდე) ჭირისუფლებს რამდენიმე საფეხურის გავლა უხდებოდათ: 1. გარდაცვალებიდან მეცხრე დღეს „ფეხის გახსნა“; 2. ორმოცი და 3. წლისთავი.

გ) დალის ხეობის ტრადიციული ყოფა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ერთ-ერთი მხარე – დალი – დასახლებულია სვანებით. დალი, რომელსაც კოდორის ხეობასაც უწოდებენ, უძველესი საისტორიო წყაროებით მისიმიანეთის სახელითაა ცნობილი.

ძველი კოლხეთის „ოქრომრავალ“ სამეფოში ოქროს წარმოების ერთ-ერთ უძველეს კერად ითვლებოდა დალის ხეობის მეზობლად მდებარე თემი – ჭუბერი, რომელზეც გადიოდა ჩრდილოეთ კავკასიისაკენ მიმავალი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები.

დალის ანუ აფხაზეთის სვანეთის სოფლები, ძირითადად, საკუთრივ კოდორის და მისი სათავეების (საკენი, გვანდრა) ნაპირებზე მდებარეობს. მდინარე საკენის ხეობაში ყველაზე მაღლა მდებარე სოფელია საკენი, მდინარე გვანდრას ხეობაში სოფელი გვანდრაა გაშენებული. საკუთრივ მდინარე კოდორზე ყველაზე მაღლა სოფლები – მარჯვენა და მარცხენა გენწვიში მდებარეობს.

დასახლების ტიპი, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი

დალის ამა თუ იმ სოფლის დასახლების ტიპი და კარ-მიდამო გაფანტული სახისაა. საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი ერთმანეთისაგან განცალკევებით, ჰორიზონტალურ ჭრილშია წარმოდგენილი. კარმიდამოს ცენტრში ჩვეულებრივ საცხოვრისია, რომლის წინ საგანგებოდ მოვლილი მინდორია რამდენიმე საჩრდილობლით (ძირითადად, კაკლის ხეები). საცხოვრისის უკან კი სამეურნეო ნაგებობებია განლაგებული. საცხოვრებელთა ძველი სახეობები კოდორის ხეობაში თითქმის არ შემოგვრჩა. მოსახლეობა ერთმანეთისაგან საკმაოდ დაცილებულ მანძილზე ცხოვრობს.

სახლები დალის მხარეში, ძირითადად, ხისაა. ტყით მდიდარ (ნაძვი, წაბლი, სოჭი, ფიჭვი, მუხა, რცხილა, იფანი, წიფელი, თელა, ცაცხვი) კოდორის ხეობაში არსებობდა ხითხუროობის განვითარების შესანიშნავი პირობები, რის გამოც აქ სვანეთისაგან განსხვავებული საცხოვრებლის ნაირსახეობა ჩამოყალიბდა. ხე-ტყით მდიდარ კოდორის ხეობაში ძველად, ძირითადად, მორებისაგან შეკრული სახლები იგებოდა, თანდათანობთ დაიწყეს თლილი ფიცრებით მშენებლობა. დამხმარე სამეურნეო ნაგებობები კი ისევ მორებისაგან შენდებოდა. ქვის სახლების ტრადიცია დალის ხეობაში არ ჩამოყალიბდა.

სამეურნეო ნაგებობები. საქონელი განთავსებული ჰყავთ ხის მორებისაგან აგებულ ბოსლებში. თივის მარაგი ინახება ე. წ. დარბაზებში, რომლებიც, უმრავლეს შემთხვევაში, ბოსლების მეორე სართულზეა აგებული. ზოგჯერ დარბაზი დამოუკიდებელი ნაგებობის სახითაც არის წარმოდგენილი. სიმინდის შესანახად აგებული აქვთ ე. წ. მაღაზ-ები. Mმაღაზა ნალიის მსაგვსია, ხის ნაგებობაა და შედგმულია მაღალ სვეტებზე.

მდინარეებით უხვად დაქსელილ დალის სოფლებში გამართული იყო წყლის წისქვილები, კარმიდამოებს ამკობდა ბაღები, რომლებშიც გაშენებული იყო ხეხილი და ბოსტნები. ბაღებში არის კაკლის, მსხლის, ვაშლის, ქლიავის, კომშის ხეები,Aგაშენებული აქვთ ვენახი, თხილის ბუჩქები, ტყემალი, მცირე რაოდენობით ატამი. ტყეებში ხარობს პანტა მსხლისა და მაჟალო ვაშლის, მწარე ბლის სხვადასხვა ჯიშები. ტყისპირებში კრეფენ კენკრას: მოცვს (მაღალი, დაბალი), ჟოლოს, მაყვალს, მოცხარს, აგროვებენ წაბლს, გარეულ თხილს.

დალის მხარე განთქმულია სათიბებისა და საძოვრების სიმრავლით. თითქმის ყველა სოფელს ჩამოუდის სგიმ-ები, მინერალური წყლები, რომელთა დიდი ნაწილი სამკურნალო თვისებებითაც არის გამორჩეული (აძგარა, საკენი, ხეცქვარა, ბასქასარა, ყულუჩი...).

დალის ქართველთა კულტურულ-სამეურნეო ყოფა დასავლურ-ქართული მთიური სამურნეო კულტურის ნაწილია. მეურნეობის მთავარ დარგებს წარმოადგენდა მესაქონლეობა და მიწათმოქმედება. განვითარებული იყო მეურნეობის დამხმარე დარგები: მეფუტკრეობა, მონადირეობა, მეთევზეობა.

მესაქონლეობა. დალის ხეობაში არსებული მდიდარი საძოვრები და სათიბები შესაძლებლობას იძლეოდა ყოველ ოჯახს ჰყოლოდა როგორც მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ასევე წვრილფეხაც. მესაქონელობის პროდუქცია მთელი წლის განმავლობაში უზრუნველყოფდა ოჯახს ხორცით, რძის პროდუქტებით, ცხოველური ცხიმით, მატყლით, ტყავით, ტრაქტორების გავრცელებამდე მუშა პირუტყვს ხარი წარმოადგენდა. ძველად დიდი რაოდენობით ჰყოლით ცხენები, ჯორები, ვირები, რომელთაც ტრანსპორტირებისა და ტვირთის გადაზიდვისთვის იყენებდნენ.

ყოველ სოფელს ჰქონდა თავისი „მთა“, ტყისა და ალპური ზონის საზღვარზე, სადაც გამართული იყო საზაფხულო სადგომები – ჯარგვლები (კარვები). ილაღებზე ამზადებდნენ დიდი რაოდენობით სულგუნს, ასევე ინახავდნენ ყველს ზამთრისათვის („ნარჩვ“). ზაფხულობით, საჭიროების შემთხვევაში, საქონელი გადმოჰყავდათ დალის ხეობაში ან გადაჰყავდათ სვანეთში ჯერილისა და ხვარის უღელტეხილებით.

მიწათმოქმედება. დალის მხარე მდიდარია სახნავ-სათესი სავარგულებით. ძველად, ყველაზე დიდი ადგილი ეკავა პურეულ კულტურებს (აქ თორმეტამდე სხვადასხვა ჯიშის ხორბალი ითესებოდა). შემდეგ დიდ ფართობებზე მოჰყავთ სიმინდი და კარტოფილი. თესავდნენ ფეტვს, ბარდას, ცერცვს, ოსპს, შვრიას, ჭვავს, ქერს, მუხუდოს. ითესებოდა კანაფი, რომლისგანაც იგრიხებოდა თოკები, ძაფები, ხოლო ზეთს სამკურნალო დანიშნულება ჰქონდა. ბოლო დროისათვის თითქმის გაქრა ფეტვის კულტურა.

მონადირეობა. დალის მხარე ცნობილი იყო სანადირო სავარგულებით. ნადირიც მრავალფეროვანი იყო და მონადირეობის წესებიც. დალის ხეობელები განთქმული მონადირეები იყვნენ. საუკეთესო სანადირო ადგილად ითვლება აძგარის მიდამოები. ნადირობდნენ სეზონურადაც, ჯგუფურადაც და ინდივიდუალურადაც, სათანადო აღჭურვილობითა და წეს-ჩვეულებებით. ტყეებსა და კლდეებში ბინადრობდა არჩვი, ჯიხვი, დათვი, მგელი...

ცნობილია, რომ მონადირეობა ძველ საქართველოში მამაკაცის აუცილებელ „ხელობად“ ითვლებოდა, იგი ქართული არისტოკრატიის ერთ-ერთ ძირითად საქმედ, აღზრდისა და გაწვრთნის საშუალებად, ასევე გართობის ნაირსახეობად მიიჩნეოდა. ვაჟკაცობის ერთ-ერთ გამოხატულებად დალის მოსახლეობაში ბოლო დრომდე სწორედ ნადირობა ითვლებოდა. მონადირეები ჯიხვზე და არჩვზე ნადირობდნენ. მგელზე ნადირობდნენ, ძირითადად, ზამთრობით, ამ დროს

მშიერი ნადირი სოფლის შემოგარენს ეჩვეოდა და მოსახლეობას დიდ ზარალს აყენებდა. დათვზე აგვისტოსა და სექტემბერში ნადირობდნენ. ნადირობდნენ ფრინველებზეც.

მედიცინა. ეთნოგრაფიულ ყოფაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ტრადიციულ მედიცინას, რომელიც დღემდე ეთნოგრაფიული სახით შემორჩა აფხაზეთის სხვადასხვა დასახლებებში, განსაკუთრებით კი დალის ხეობაში. „აქიმი“ განსაზღვრულ გასამრჯელოს იღებდა. იგი საზოგადოების პატივისცემით სარგებლობდა. „აქიმებს“ ჰქონდათ ხალხური სამედიცინო ინსტრუმენტები, მალამოები, ბალახეულისა და მინერალებისაგან, ან სხვადასხვა ცხოველური ნივთიერებისაგან დამზადებული წამლები.

დალის ხეობაში იცნობდნენ კანის დაავადებათა მკურნალობის მეთოდებს. მკურნალობდნენ როგორც კანის გადამდებ, ინფექციურ დაავადებებს, ასევე ორგანული ავადმყოფობით გამოწვეულ კანის დაავადებებს (სირსველი, ეგზემა, მუნი//ბღერი//მღერ//ქეცი, ფსორიაზი, წითელი ქარი, მეჭეჭი, კანის გამონაყარი, ძირმაგარა, დაჩირქება, საწერელი და ა. შ.). შინაგან დაავადებათა სამკურნალოდ იყენებდნენ მცენარეულ, მინერალურ (სამკურნალო ქვები, წყლები) და ორგანული (ცხიმები, ნაღველი...) ნივთიერებებს, რომელთაგანაც ამზადებდნენ როგორც მარტივ, ასევე რთული შემადგენლობის წამლებს. „აქიმთა“ ცოდნა ემპირიულ გამოცდილებასთან ერთად წიგნიერ სამედიცინო სწავლებასაც ემყარებოდა (ქართული კარაბადინები, „წიგნი სააქიმოჲ“...). ბავშვთა ინფექციურ დაავადებებს (სახადი, ბატონები) მკურნალობდნენ რელიგიური, მაგიური რიტუალებითაც. სახადებთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები ბატონების კულტის შესახებ გავრცელებილი იყო დალშიც. მასში გამოიყოფოდა არქაულისა და ქრისტიანული რწმენის ზოგიერთი დანაშრევი.

ნათესაობა. ქართველებში ნათესაობის ოთხი ძირითადი სახეა ცნობილი: მამის ხაზით ნათესაობა (აგნატიკური), დედის ხაზით ნათესაობა (კოგნატიკური), სულიერი ნათესაობა (ნათელ-მირონი) და ხელოვნური ნათესაობის ტიპები. ყველა ეს სახე შენარჩუნებულია აფხაზეთის ქართველებში და დალის ხეობის ქართველებში. საქართველოში, ტრადიციულად, ნათესაური ორგანიზაციები ეგზოგამიურია. ნათესაურ ჯგუფებს შიგნით ქორწინების აკრძალვა ახასიათებს თითქმის ყველა ქართულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ თემს/ჯგუფს და იგი აქტუალურია დალის მხარის ქართველებისათვის.

ქართველთა ტრადიციულ ყოფაში (ცხადია, აფხაზეთის ქართველებშიც) ქორწინება აკრძალული იყო არა მხოლოდ მოგვარეთა შორის, არამედ დედის და ბებიების მოგვარეებთანაც კი, აგრეთვე, ნათელ-მირონით და ხელოვნური გზით დანათესავებულთა შორის.

ქართველთა მამის ხაზით ნათესაობა მოიცავს გვარით ნათესაობას, მამის დედის საგვარეულოს, ბებიების საგვარეულოებს და ა. შ. აგრეთვე, ყველა სხვა სანათესაო ჯგუფს (მამიდაშვილები, პაპიდაშვილები, მამის დეიდაშვილები, პაპის დეიდაშვილები, ბებიის ძმები, დები, მათი შთამომავლები, ბებიის დედის სანათესაო წრეები და ა. შ.). ყველა ეს ნათესაური ჯგუფი ურთიერთვალდებული და პასუხისმგებელია ურთიერთობათა ბევრ სფეროში.

მამის ხაზით ნათესაობა უმთავრესად საგვარეულოს მოიცავს მთელი მისი განშტოებებითურთ. ტერმინ თემ-ს სვანები ნათესაური დაჯგუფების აღსანიშნავადაც იყენებენ, იგი საგვარეულოს, საძმოს *(სახუბ/სამხუბ/ლამხუბ)* გამომხატველი სიტყვაცაა, გარდა იმისა, რომ ტერიტორიულ ერთეულსაც გულისხმობს.

ჩვეულებითი სამართალი. დალის მხარეში ჩვეულებითი სამართალი ამჟამადაც სახელმწიფო კანონების პარალელურად მოქმედი ინსტიტუტია, სადავო საქმეებს დღესაც მედიატორები („მოურავ/მორევ“) განიხილავენ წინაპართაგან მომდინარე სამართლებრივი ნორმების მიხედვით და მხოლოდ ჩვეულებითი სამართლით გამოტანილი „განაჩენის“ შემდეგ ითვლება ესა თუ ის პრობლემა გადაწყვეტილად.

დალის ტრადიციულ ყოფაში შემონახული სასჯელები (მძიმე ზნეობრივი შეცოდებისათვის), რომელთა ჩამდენებს ეკლესიებთან (ლოცვის, მსხვერპლის შეწირვის, დღეობებზე დასწრების აკ-

რძალვა) ურთიერთობა აღეკვეთებოდათ, სათავეს კანონიკური „უზიარებლობისა“ სასჯელიდან იღებს და მის ხალხურ ინვარიანტს წარმოადგენს. ჩვეულებითი სამართლით რეგულირდებოდა საოჯახო ყოფის სამართლებრივი საკითხებიც. ტრადიციულმა ყოფამ შეინარჩუნა საოჯახო ცხოვრების წარმართვის ძველქართული სამართლიდან მომდინარე ნორმები.

ჩვეულებით სამართალს ე. წ. **მოურავი/მორავი** – მსაჯულ-მედიატორი წარმართავდა. **მორავი,** ტრადიციული რწმენით, „ღვთის კაცია“, რადგან „საღვთო საქმეს“ – მშვიდობის დამყარებას, მესისხლეობის აღკვეთას ემსახურება. იგი ფლობს ტრადიციულ ცოდნას, ერკვევა სამართლებრივ ნორმებში, იცნობს ძველ სადავო საქმეებს.

კანონიკური სამართლის გარკვეული ნორმების გავლენა ნათლად იკვეთება ჩვეულებითი სამართლის აღსრულების პროცესში და მის აღმსრულებელთა მენტალობაში: აღსანიშნავია ცოცხალი ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ყოველი სადავო საქმე ამჟამადაც ეკლესიასთან ან მის ეზოში განიხილება. დღესაც მომჩივანი (დაზარალებული) მსაჯულებად შერჩეულებს ეკლესიასთან მიიყვანს და იქ გააცნობს თავის საწუხარს. მოპასუხე მხარეც, თავის მხრივ, შეარჩევს ზუსტად იმდენივე მსაჯულს, რამდენიც ბრალმდებელს ჰყავს წარმოდგენილი. ამის შემდეგ ორივე მხარის მედიატორები ეკლესიას მიაშურებენ და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების ფიცს დებენ. საქმის განხილვას ხშირად დიდი დრო სჭირდება: პრობლემას საფუძვლიანად იკვლევენ, დაკითხავენ მონაწილეებს, შეაჯერებენ მონათხრობს, გაიხსენებენ მსგავს ძველ საქმეებს და გამოიტანენ „განაჩენს“. ორივე მხარე წინასწარ იფიცებს, რომ აღიარებს და ცნობს „განაჩენს“. ამის შემდეგ „განაჩენი“ ცხადდება („ლიგცხადი“). აღსრულების გარანტად გვევლინება ფიცი, რომლის შემდეგაც კონფლიქტი ამოწურულია და იგი განმტკიცდება ე. წ. „ერთგულების ფიცით“: ამიერიდან მოსარჩლე წყენას ივიწყებს, ბრალდებული კი „განაჩენით“ გამოტანილ „საურავს“ გადაიხდის. მტრობა დასრულებულია და საზოგადოების სიმშვიდე და წესრიგი აღდგენილია.

„მორავები“, რომლებსაც განსაკუთრებით ბევრი სასისხლო საქმე მოუგვარებიათ, დიდი პატივისცემით სარგებლობენ საზოგადოებში. ფიცი, როგორც დამამტკიცებელი საბუთი, ქართული სამართლისთვის უძველესი დროიდანაა ცნობილი. ძველ ქართულ სამართალში ამ სახით არსებულმა ფიცის ინსტიტუტმა თითქმის უცვლელი სახით მოაღწია დალის მოსახლეობის დღევანდელობამდე. ფიცს „ნაბან“, ხოლო დაფიცების პროცესს „ლიმბანლ/ლინბანლ“ ჰქვია. ფიცს დებენ იმ ეკლესიაში რომლის მრევლსაც შეადგენენ მოდავეები. მაგრამ, თუ ბრალდებული და ბრალმდებელი სხვადასხვა თემებს და, შესაბამისად, სხვადახსვა ეკლესიებს ეკუთვნიან, მაშინ სადავო საქმე ორივე თემის „მთავარი“ საყდრების მეშვეობით წყდება.

დღესასწაულები. სადღესასწაულო წლიური ციკლი ტრადიციულ ქართულ ყოფაში ბარბაროობით იწყებოდა. 4 (17) დეკემბერი – ბარბალობაა და ის განსაკუთრებით აღინიშნებოდა დალის მხარეში. ამ დღეს წმიდა ბარბარეს თვალის სინათლეს და ზოგადად, ჯანმრთელობას, ასევე საქონლის გამრავლებას შესთხოვდნენ.

25 დეკემბერს (7 იანვარს) ქრისტეშობას – „ქრისდეშ“ – ზეიმობდნენ. წინა საღამოდან დაწყებული რიტუალები მთელი დღე გრძელდებოდა. მოსახლეობა ასრულებდა ალილოზე ჩამოვლის ტრადიციასაც. მეალილოეები ქრისტეშობის წინ ჩამოივლიდნენ სოფელს, ყველა ჭიშკართან გაჩერდებოდნენ და გალობით ლოცავდნენ მასპინძლებს. მასპინძელი მეალილოეებს ტკბილეულს, არაყს, ფულს მიაწვდიდა. შობის დღეს კი ეს მეალილოეები შეწირულობისგან ტრაპეზს გამართავდნენ. სრულდებოდა მიცვალებულთა მოხსენიებაც – „ლიფანე“.

31 დეკემბერს (13 იანვარს) მოსახლეობა წინასაახალწლო რიტუალებით ეგებებოდა. მოქმედებდა მეკვლის ინსტიტუტი. 1 (14) იანვარს ახალი წელი აღინიშნებოდა. D5 (18) იანვარი მძიმე მარხვა და უქმე იყო. მეორე დღეს ნათლისღების დღესასწაული შემობრძანდებოდა – 6 (19) იანვარი. 2 (15) თებერვალი – მირქმაა. დიდმარხვის შუა კვირის ოთხშაბათს მარხვის განზოგების რიტუალები სრულდებოდა. 25 მარტს (7 აპრილს) ხარებას ზეიმობდნენ. Aმას „ბაიობა“//ბზობა მოჰყვებოდა. ვნების კვირა მძიმე კვირეული იყო. სჩვეოდათ ეზო-კარმიდამოს მორთვა. აღდგომა

უდიდესი დღესასწაული იყო და ის მასშტაბურად აღინიშნებოდა. აღდგომის მეორე დღით კი საფლავების კურთხევის რიტუალი სრულდებოდა.

23 აპრილს (6 მაისს) – გაზაფხულის გიორგობა აღინიშნებოდა. აღდგომიდან მეორმოცე დღეს ამაღლებას ზეიმობდნენ. სულიწმიდის გარდამოსვლის წინა შაბათს ხვამლის წმიდა გიორგის სახელზე ლოცულობდნენ. სულიწმიდის გარდამოსვლის დღესასწაული – სულთმოფენობის დღეობა – მიცვალებულთა სულების მოხსენიებით აღინიშნებოდა. 24 ივნისი (7 ივლისი) – იოანე ნათლისმცემლის შობის დღესასწაული იყო. ამ დღეობაზე ბავშვების ჯანმრთელობას და თვალის ჩინის დაცვას ავედრებდნენ. 29 ივნისს (12 ივლისსს) პეტრე-პავლობა აღინიშნებოდა, ამ დღისათვის საკლავი იკვლებოდა, ყველისგულიანი დიდი ზომის ხაჭაპურები ცხვებოდა და ზედაშესთან ერთად შეიწირებოდა. მთელი სოფელი ერთობლივ ლოცვას მართავდა.

გარდა ამისა, არსებობდა ხალხური დღესასწაულები და რიტუალები, რომელთაც საჭიროების მიხედვით ატარებენ: პირველი ხნულის გავლების რიტუალი ადრე გაზაფხულზე სრულდებოდა, ხვნა-თესვის დაწყების წინ. სრულდებოდა სასურველი დარ-ავდრის „გამოწვევის“ რიტუალები და სხვ.

დ) აფხაზური სამზარეულო

ამა თუ იმ ერის ტრადიციული სამზარეულოს ჩამოყალიბება მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ ბუნებრივ-გეოგრაფიულ და ეკოლოგიურ პირობებთან, რომელშიც ამ ხალხმა გაატარა თავისი ისტორიული წარსულის დიდი ნაწილი. აქედან გამომდინარე, საკვები რაციონის ჩამოყალიბება მთლიანად დამოკიდებულია ამ ხალხის სამეურნეო საქმიანობის ძირითად დარგებთან. ტრადიციული აფხაზური სამზარეულო მთლიანად მეურნეობის იმ დარგების განვითარებაზე მიუთითებს, რომელსაც აფხაზები ოდითგანვე მისდევდნენ.

წარსულში აფხაზთა საქმიანობაში დიდი როლი ეკავა ნადირობას, შესაბამისად, გარეული მცენარეების ნაყოფი და ნადირის ხორცი მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა აფხაზთა კვების რაციონში. მოგვიანებით, მესაქონლეობის განვითარების კვალობაზე, აფხაზურ სამზარეულოში დიდი ადგილი დაიკავა ხორციანმა საკვებმა და ფრინველის ხორცმა. მიუხედავად ამისა, დღეს აფხაზური სამზარეულოს მნიშვნელოვანი ნაწილი სამიწათმოქმედო კულტურების განვითარებასთან არის დაკავშირებული, რაც ქართული სამზარეულოს უძველესი ტრადიციების გავლენით აიხსნება.

ტრადიციული აფხაზური სამზარეულოს კვების რაციონში შედის 30-40 დასახელების სურსათი, რომელშიც დიდი რაოდენობით არის ცილები, კვერცხი, ხორცი, რძის პროდუქტები, ცხიმი, ბოსტნეული და ხილი. მთელი აფხაზური საკვები ორი დასახელებით აღინიშნება: *აგუხუ* – ცომეული საკვები, რომელშიც შედის ღომი, მჭადი, ფქვილეული და *აციფა* – ყველაფერი დანარჩენი რასაც მოიხმარენ.

აფხაზთა ნაციონალურ თავისებურებას წარმოადგენს მცენარეული საკვების დიდი რაოდენობით გამოყენება. მცენარეულობიდან უპირატესობას ანიჭებდნენ ღომის კულტურას, რომელიც დამახასიათებელი იყო მთელი დასავლეთ საქართველოსათვის და აქედან გავრცელდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) მოსახლეობაში. ღომის კულტურისაგან ამზადებდნენ ღომს. დღეს ეს კულტურა შეცვალა სიმინდმა, რომელიც XVIII_XIX საუკუნეებში შემოვიდა საქართველოში, ხოლო საკუთრივ აფხაზეთში მისი მოყვანა XX საუკუნიდან გაფართოვდა.

ღომი – აბისტა. აფხაზთა ყოველდღიურობაში პურის მაგივრობას ღომი ასრულებდა. XIX საუკუნეში მას ფეტვისგან, ხოლო დღეს სიმინდისგან ამზადებენ. ღომისგან სხვადასხვა სახის კერძებს ამზადებენ: *აშლარქუნთა* – თხელი ღომი, შეზავებული თხილის ზეთით; *აილაჯ* – ღომი, შეზავებული მომჟავო ყველით, დამზადების ტექნოლოგიით იგი ძალზე ახლოსაა ქართულ ელარჯთან და სახელიც მისგან მოდის. *აჩამიქვა* – ღომი, მომზადებული რძეზე და ყველზე.

მჭადი მზადდება სიმინდის ფქვილისგან, შეზავებულია თაფლით, ყველით ან ნიგვზით. ასევე სიმინდის ფქვილისგან ამზადებენ *კვერებს – ახამპალ.*

ფხალეულის – აჩაფა – უმეტესობა მზადდება აფხაზურ სამზარეულოში ძალზე პოპულარული გარეული მცენარეებისაგან, ძირითადად გამოიყენება ჭინჭარი, ეკალა, გარეული ოხრახუში, პიტნა. XX საუკუნიდან ჩანს ლობიოს, ჭარხლისა და კომბოსტოსაგან დამზადებული ფხალეულობა, შეზავებული აჯიკითა და. უძველესი დროიდან აფხაზების საყვარელ კერძად ითვლება *ახაჩაფა* – მოხარშული წაბლი, გასრესილი აჯიკაში და ნიგოზში.

მცენარეულიდან მზადდება ერთადერთი წვნიანი კერძი აფხაზურ სამზარეულოში, რომელსაც ლობიოს სუპს უწოდებენ. ეს კერძი, ბუნებრივია, გვიანი პერიოდის (XX საუკუნის დასწყისი) საკვები უნდა იყოს.

აფხაზურ საკვებ რაციონში წამყვანი ადგილი უჭირავს ხორციან საკვებს. განსაკუთრებულ პატივშია თხის, ცხვრისა და საქონლის, ასევე გარეული ნადირისა და ფრინველის ხორცი. ტრადიციულ კერძად არის მიჩნეული შამფურზე შემწვარი წიწილა და დედალი, ან მოხარშული დედალი აფხაზური აჯიკით, *აქუთი ეიცარში* – ქათამი ნიგვზის სანელებლით.

აფხაზური სამზარეულოს დელიკატესად მიიჩნევა შამფურზე შემწვარი მთლიანი თხა და თიკანი შეზავებული შიგნეულობით, მაწვნით, აჯიკით, პიტნით და სხვა სანელებლებით. *ამგვუაჩაფა* – მოხარშული შიგანი, შეზავებული აჯიკით, პიტნით და სხვა სანელებლებით. დელიკატესად ითვლება რძეში მოხარშული მთლიანი თხა და თიკანი. განსაკუთრებით დახელოვნებული არიან ალზე და ნაკვერჩხალზე ხორცის დამზადებაში, რომლის მომზადებისას ხის სარებს იყენებენ. აფხაზური ხალხური ანდაზა ამბობს: "შამფურიც მთელია და ხორციც შეიწვაო". მსგავსი ტექნოლოგია ქართულ ტრადიციულ სამზარეულოშიც არსებობს, თუმცა ქართველები ხორცს წინასწარ აზავებენ სხვადასხვა სანელებლებით და შემდეგ ნაკვერჩხალზე წვავენ. ქართული ანდაზა ამბობს: "არც მწვადი დაიწვა და არც შამფურიო".

აფხაზები განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენენ სოკოსა და თევზეულის კერძებთან, რომელსაც დასავლეთ საქართველოს და, მათ შორის, აფხაზეთის ქართველთა საკვებ რაციონში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს.

აფხაზურ სამზარეულოში რძეს და მის ნაწარმს მთავარი ადგილი უკავია. რძის ნაწარმი აფხაზთა ყოველდღიურ სავალდებულო რაციონად არის მიჩნეული. ისინი ხშირად მიირთმევენ მაწონს, რომელიც თხის, ძროხის და კამეჩის რძისაგან მზადდება. მასში დიდი რაოდენობითაა ცხიმები და სხვა სასარგებლო ნივთიერებები. *ახარცვი* – მაწონი თაფლთან ერთად ძალიან სასარგებლოა და პოპულაროობით სარგებლობს როგორც პატარებში, ასევე ასაკოვან მოსახლეობაში.

რძის პროდუქტებისაგან ამზადებენ ყველს და მის სხვადასხვა სახეობას: *აშვლაგუან* – სულგუნი; *აშვაძა* – ყველი. *აშვჩაფან* – სულგუნი შეზავებული პიტნითა და მაწვნით, *აჩიაურ* ან *ახათა* – გუდისა და მდნარი ყველი, *ახჩათ* – ნაღები, *ახაჭა* – ხაჭო და სხვა.

ხორბლის ფქვილს აფხაზები იშვიათად მოიხმარდნენ, მაგრამ ქართულ სამზარეულოსთან ურთიერთობების საფუძველზე ჩამოყალიბდა ხორბლის ფქვილის მოხმარების გარკვეული ტრადიციები. დღეს მისგან ამზადებენ ხაჭაპურს, სხვადასხვა სახის ღვეზელსა და ხორბლის ფქვილის კვერებს, ასევე ტკბილეულობას. ზოგიერთი ტკბილეული, მაგალითად ხალვა და ფაჰლავა აფხაზებმა და ქართველებმა აღმოსავლეთის ქვეყნებიდან გადმოიღეს. თუმცა მათ მიერ ინტერპრირებული ვერსია განსაკუთრებულ გემოსა და არომატს ღებულობს.

ისევე როგრიც ქართულ ტრადიციულ სამზარეულოში, აფხაზურ სამზარეულოში ყველა კერძი იკაზმება სანელებლებით: განსაკუთრებული ადგილი უკავია მწვანე ტყემალს, აჯიკას, ქონდარს, კამას, ოხრახუშს, ქინძსა და სხვა სახის სანელებლებს.

აფხაზური აჯიკა მზადდება წითელი ცხარე წიწაკისაგან, რომელიც შეზავებულია ნივრით, მწვანილით, მარილითა და სხვადასხვა სანელებლით. დამზადების ტექნოლოგიით იგი ახლოს არის ქართულ აჯიკასთან, თუმცა ქართული აჯიკა რამდენიმე სახისაა და მწვანე წიწაკისგანაც შეიძლება დამზადდეს. აფხაზები მარილის ნაცვლად ხშირად აჯიკას იყენებენ, რომელსაც მოხარშულ, ან შემწვარ ხორცთან ერთად მიირთმევენ.

აფხაზური სამზარეულო წარმოუდგენელია ცხარე ტყემლის – *ასიზბალ* – გარეშე. ტრადიციულად მზადდებოდა ალუჩის, კოწახურის, მაყვლისა და სხვადასხვა სანელებლისაგან. ახლა მას უმატებენ მწვანე ყურძენს და პომიდვრის სოუსს.

აფხაზები ნიგვზისა და მაწვნისაგან ამზადებენ სხვა ცხარე საწებლებსაც, რომელსაც ღომთან და ცომეულთან, ხოლო ხილის ტყემალს მხოლოდ ხორცთან მიირთმევენ.

აფხაზურ სამზარეულოში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სასმელებს, მათ შორისაა უალკოჰოლო და ალკოჰოლიანი სასმელები. უალკოჰოლო სასმელებიდან ძალზე პოპულარულია თაფლიანი წყალი, ყურძნის წვენი, მაწონი, – აძარცვი, აძარცვიძუა, წყალნარევი მაწონი, რომელიც განსაკუთრებით სასიამოვნოა ცხელ ზაფხულში და კლავს წყურვილს.

ალკოჰოლური სასმელებიდან პოპულარულია არაყი და ჭაჭა, შემდეგ ღვინო, რომელიც ქართველთა და აფხაზთა კვების ყოველდღიურ რაციონში შედის.

აფხაზური სამზარეულოს ატრიბუტიკაში ყველაზე გავრცელებულია თუჯის დიდი, საშუალო და პატარა ზომის ქვაბები, ხის ჩოგანი – *ამხაბისტა* ღომის მოსაზელად, *აკუდრშიგა* – ლობიოს ხის სალესი, *ახაქა* – ნიგვზისა და აჯიკის სანაყი ქვა, კათხები ღვინისათვის, ნადირის დამუშავებული რქა ღვინის დასალევად და ა. შ. ეს უკანასკნელი ქართული ღვინის დასალევი ატრიბუტიკაა და ქართულის გავლენით არის გავრცელებული აფხაზთა შორის.

მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, აფხაზთა დღეგრძელობის საიდუმლოში მთავარ როლს სწორედ ჯანსაღი კვება თამაშობს.

§3. ენობრივი სიტუაცია აფხაზეთში: აფხაზეთში გავრცელებული ენები; აფხაზური ენის შესწავლისა და სწავლების საკითხები

საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუციის თანახმად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სახელმწიფო ენებია ქართული და აფხაზური.

ა) ქართული ენა და დამწერლობა.

შუა საუკუნეების აფხაზეთში ღმრთისმსახურებისა და სახელმწიფო ენა ქართული იყო, როგორც აფხაზთა სამეფოს ეპოქაში (VIII სს. 90-იანი წლები – X საუკუნე), ასევე გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოსა (X-XV სს.) და საქართველოს სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, როცა აფხაზეთი ჯერ იმერეთის სამეფოს, ხოლო შემდეგ ოდიში სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა. XVII საუკუნის 80-იან წლებში, ოდიშის სამთავროდან აფხაზეთის სამთავროს გამოყოფის შემდეგაც აფხაზეთის სამთავროსა და მისი მთავრების ოფიციალური ენა ქართული იყო, რასაც ადასტურებს აფხაზეთის მთავრების მიერ შეწირული სხვადასხვა საეკლესიო ნივთები, პირადი მიმოწერა, ოფიციალური დოკუმენტები და ა. შ. შეიძლება ითქვას, რომ ამის ყველაზე ნათელი დადასტურებაა აფხაზეთის მთავრებისა და დიდებულების შეწირულობათა აღმნუსხველი წიგნები, მემორიალური წარწერები, სულის მოსახსენიებლები და საფლავის ქვის ეპიტაფიები, რომლებიც შემორჩენილია სხვადასხვა ეკლესია-მონასტრებში.

დღევანდელი აფხაზეთის, როგორც მთლიანად დასავლეთ საქართველოს (ისტორიულ „აფხაზთა“ სამეფოს) ტერიტორიაზე შემორჩენილი წერილობითი ძეგლები ოთხ ენაზე გვხვდება: ქართულ, ბერძნულ, ლათინურ და თურქულ ენებზე. ბერძნული, თურქული და ლათინურენოვანი ძეგლები შემორჩენილია მხოლოდ წარწერების სახით. მკვლევართა აზრით, თანამედროვე აფხაზეთში ისევე, როგორც დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, მოპოვებული ბერძნული ეპიგრაფიკული ძეგლები, ძირითადად, IX საუკუნემდელია და ეკუთვნის იმ ეპოქას, როცა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ნაწილი (ალბათ უფრო ზღვისპირა ზოლი) ჯერ კიდევ კონსტანტინოპოლის სამწყსოს ეკუთვნოდა. აფხაზეთის ძველი წერილობითი ძეგლების დიდი უმრავლესობა ქართულია და შესრულებულია ქართული ანბანით. ქართულენოვან წერილობით ძეგლებს შორის არის როგორც ეპიგრაფიკული ძეგლები (წარწერები), ასევე რბილ მასალაზე შესრულებული ხელ-

ნაწერები. აფხაზეთის ხელნაწერებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული ასომთავრულითა და ნუსხა-ხუცური ანბანებით შესრულებულ ბიჭვინთისა და მოქვის ოთხთავებს, ბიჭვინთის იადგარს, ბედიის გულანს და სხვა ხელნაწერებს, რომლებიც აფხაზეთის სხვა წერილობით ძეგლებთან ერთად ქართული კულტურის უმნიშვნელოვანეს საგანძურს წარმოადგენენ.

აფხაზეთის წერილობით ძეგლებში ასახულია ქართული ანბანის განვითარების სამივე საფეხური: ასომთავრული, ნუსხა-ხუცური და მხედრული. დამწერლობის განვითარების გარკვეულ ეტაპზე საქართველოს წერილობითი ძეგლებისათვის დამახასიათებელი გახდა ხელოვნებითი დამწერლობანი: კიდურწაისრულობა, კიდურყვავილოვნება და კიდურწერტილოვნება, მათ შორის კიდურწაისრულ კალიგრაფიულ სკოლას სწორედ, აფხაზეთში ჩაეყარა საფუძველი და აქედან გავრცელდა დანარჩენ საქართველოში. რეგიონში გვხვდება როგორც კიდურწერტილოვანი, ასევე კიდურყვავილოვანი ხელოვნებითი დამწერლობის ძეგლები.

ქართულმა ენამ, XIX საუკუნეში, რუსეთის მიერ აფხაზეთის სამთავროს გაუქმებისა და გარუსების პოლიტიკის პირობებშიც არ დაკარგა თავისი მნიშვნელობა და ფუნქციები. რაზეც მეტყველებს აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შარვაშიძის ქართული ეპიტაფია მოქვის ტაძარში.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.) აფხაზეთის ავტონომიასთან ერთად, კონსტიტუციით გარანტირებული იყო ადგილობრივი მოსახლეობის დედაენის – ქართულისა და აფხაზურის უფლებები. ხოლო საბჭოთა ოკუპაციის პირობებში, 1921-1991 წლებში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენები იყო ქართული, აფხაზური და რუსული.

თანამედროვე საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუციამ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში სახელმწიფო ენების სტატუსი ქართულ და აფხაზურ ენებს მიანიჭა.

ბ) აფხაზური ენა და დამწერლობა

აფხაზური (აფსუური) ენა ქართული ენის მონათესავეა და შედის იბერიულ-კავკასიურ, ანუ პალეოკავკასიურ ენათა ოჯახის აფხაზურ-ადიღურ (ჩრდილო-დასავლურ) ჯგუფში აბაზურ, ადიღეურ, ყაბარდოულ და აწ უკვე მკვდარ უბიხურ ენებთან ერთად. აფხაზური ენაზე მოლაპარაკეთა კომპაქტური ჯგუფები ამჟამად წარმოდგენილია საქართველოში, თურქეთის რესპუბლიკასა და სირიაში, არაკომპაქტურად კი რუსეთის ფედერაციის, პოსტსაბჭოთა ქვეყნებისა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების დიდ ქალაქებში.

საქართველოში აფხაზური ენა შედარებით მასობრივადაა გავრცელებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოჩამჩირის, გუდაუთისა და გაგრის მუნიციპალიტეტებში, აგრეთვე ქალაქ სოხუმში (ამ ენაზე მოლაპარაკეთა რაოდენობა რეგიონში 1989 წლისათვის არ აღემატებოდა 90 000 კაცს).

აფხაზურ ენას აქვს 2 დიალექტი: *აბჟუური* და *ბზიფური*. აბჟუური დიალექტი გავრცელებული იყო ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში, ხოლო ბზიფური – გუდაუთისა და გაგრის მუნიციპალიტეტში. აბჟუური დიალექტი საფუძვლად უდევს აფხაზურ სამწიგნობრო (სალიტერატურო) ენას და ხასიათდება ბზიფურ დიალექტთან შედარებით უფრო მარტივი ბგერითი სისტემით (ბზიფურ დიალექტში, აბჟუური კილოსგან განსხვავებით, 9 სპეციფიკური თანხმოვნით მეტია წარმოდგენილი).

ბგერითი შემადგენლობის თვალსაზრისით, აფხაზური ენა მეტად მდიდარია. სამწიგნობრო ენაში დასტურდება 62 დამოუკიდებელი ფონემა (ბგერა), რომელთაგან 33 სრულად ემთხვევა ქართულ სამწიგნობრო ენაში არსებულ ყველა ბგერას. სხვაობას ქმნიან ის სპეციფიკური რთული ბგერები, რომლებიც არა აქვს ქართულს: ლაბიალიზებული, პალატალიზებული, ინტენსიური და სხვა ტიპის ფონემები.

აფხაზური ენის ლექსიკა იყოფა ძირეულ (აფხაზური წარმოშობის) და სხვა ენათაგან ნასესხებ სიტყვებად. ამ ენას უხვად მოეპოვება საკუთრივ აფხაზური წარმომავლობის სიტყვათა

ჯგუფები, ნასესხებ ლექსიკაში დიდ წილს ქმნის ქართულ-ქართველური წარმოშობის, ან ქართველიზებული აღმოსავლური (არაბულ-სპარსულ-სირიული) და ბერძნული სიტყვები. მართალია, რუსულ ენასთან კონტაქტი აფხაზურ ენას მხოლოდ მე-19 საუკუნის დასაწყისიდან აქვს, მაგრამ ამ მცირე დროში რუსულმა ენამ აფხაზურ ენაზე წამლეკავი გავლენა მოახდინა, რაც ასახულია დიდი რაოდენობის რუსიზმებში, სოვეტიზმებსა და ინტერნაციონალიზმებში, რომლებმაც განდევნეს ძირეული აფხაზური სიტყვების საგრძნობი ნაწილი.

აფხაზურ ენას ქართულ და რუსულ ენებთან ერთად აფხაზეთის ავტონომიის სახელმწიფო ენის იურიდიული სტატუსი მიენიჭა 1926 წელს, მაგრამ არც აფხაზურსა და არც ქართულს ამ სტატუსიდან გამომდინარე ფუნქციები სრულად არასოდეს შეუსრულებიათ – რეალურად რეგიონში სახელმწიფო ენის ფუნქციებს მხოლოდ რუსული ენა ასრულებდა. ამჟამად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზურ მოსახლეობაში ძალზე დაბალია დედაენის ცოდნის ხარისხი: ახალგაზრდობამ და საშუალო ასაკის პირთა უმრავლესობამ ან სუსტად იცის ეს ენა, ან საერთოდ ვერ ფლობს მას, რაც გაქრობის რეალურ საფრთხეს უქმნის არა მარტო აფხაზურ ენას, არამედ თვით აფხაზ ხალხსაც.

აფხაზური დამწერლობა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, ისევე როგორც საქართველოს სხვა ისტორიულ რეგიონებში, მთელი შუა საუკუნეების მანძილზე „აფხაზთა“ სამეფოს (დასავლეთ საქართველოს), გაერთიანებული ქართული სახელმწიფოსა და აფხაზეთის საერისთავოს არსებობის პირობებში, წერილობითი კულტურა ქართული იყო. ქართული ენითა და დამწერლობით სარგებლობდნენ „აფხაზთა“ მეფეები, აფხაზთა ერისთავები და ბოლოს აფხაზეთის სამთავრო სახლის წარმომადგენლები. ამ ფაქტს ადასტურებს რეგიონის წერილობითი ძეგლები, როგორც ხელნაწერები, ასევე ეპიგრაფიკული მასალა.

XIX საუკუნის დასაწყისში, რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ, საიმპერატორო კარის წინაშე მწვავედ იდგა საქართველოში ხელისუფლების დამკვიდრების, დამპყრობთა წინააღმდეგ მებრძოლი ეროვნული ძალების დაქსაქსვის პრობლემა.

1862 წელს რუსეთის არმიის გენერალმა პეტრე უსლარმა შეისწავლა აფხაზური ენის მეცნიერული საფუძვლები. კვლევის შედეგად პ. უსლარი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კავკასიაში გავრცელებული ენებისათვის *„ქართული ანბანი ლამის ყველაზე სრულყოფილია არსებულ ანბანთა შორის... ყველა ევროპულ ენაში არსებობს დაბრკოლება – ესაა ორთოგრაფია; ქართველებს მათი ანბანის სრულყოფილების წყალობით, ეს სირთულე თითქმის არა აქვთ... აქედან ჩანს, რომ ქართული საანბანო სისტემა შეიძლება აღებულ იქნეს აქამდე დამწერლობას მოკლებული ყველა კავკასიური ენისათვის საერთო ანბანის საფუძვლად; მაგრამ თუ ჩვენ ქართველებისაგან ვისესხებთ არა მარტო სადამწერლობო სისტემას, არამედ ასოთა მოხაზულობასაც, მაშინ სრულიად უნებურად შევქმნით სირთულეებს, რომლებიც მით უფრო საგრძნობი გახდება, რაც უფრო მეტად გავრცელდება კავკასიაში რუსული ენა. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენს ვრისკავთ, რომ ქართული ავტონომიის გარდა წარმოვქმნათ აფხაზურიც“*. მიუხედავად ამისა, პ. უსლარმა იმპერიული მოსაზრებებით აფხაზური ენისათვის შექმნა დამწერლობა რუსულ გრაფიკაზე (კირილიცაზე) დაყრდნობით. პარალელურად, აფხაზური საანბანო წიგნის შექმნაზე გენერალ ი. ბართოლომეის ხელმძღვანელობით მუშაობდა სპეციალური კომისია, რომელშიც შედიოდნენ აფხაზი, რუსი და ქართველი მოღვაწენი: ვ. ტრიროგოვი, დ. ფურცელაძე, გ. ქურციკიძე, ი. გეგია, ს. ეშბა, ჰ. მარღანია, კ. შარვაშიძე და გ. შარვაშიძე. კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, აფხაზური სიტყვების გადმოსაცემად გამოეყენებინა ქართული გრაფიკა (მხედრული), მაგრამ პ. უსლარმა ხელისუფლებას ააკრძალინა ქართული დამწერლობის გამოყენება. საინტერესოა, რომ პ. უსლარი იძულებული იყო, თავის დამწერლობაში შეეტანა 3 ქართული ასო (წ, ჭ და ჯ), რომლებიც მოგვიანებით, პ. უსლარის მიერ შედგენილი აფხაზური ენის გრამატიკის ხელახლა გამოცემის დროს, სხვა ასოებით შეცვალა რუსმა მოხელემ მიხეილ ზავადსკიმ.

პ. უსლარის მიერ რუსული გრაფიკის საფუძველზე შედგენილ დამწერლობაში გამორჩენილი იყო რამდენიმე სპეციფიკური აფხაზური ბგერის აღმნიშვნელი ასოები, რის გამოც 1892 წელს აფხაზური სასკოლო სახელმძღვანელოს შედგენის დროს ქართველმა პედაგოგმა კონსტანტინე მაჭავარიანმა და მისმა მოწაფემ, შემდგომში აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელმა და კლასიკოსმა დიმიტრი გულიამ ჩაამატეს სათანადო ნიშნები პ. უსლარის მიერ შედგენილ დამწერლობაში.

აფხაზური დამწერლობა ნაკლებად გამოიყენებოდა 1912 წლამდე (დაიბეჭდა მხოლოდ რამდენიმე რუსულიდან ნათარგმნი სასულიერო, სამეურნეო და სასწავლო შინაარსის წიგნი), როცა დიმიტრი გულიამ თბილისში გამოსცა თავისი ლექსების პირველი კრებული. რუსი მოხელის ე. ვეიდენბაუმის სიტყვებით, „აფხაზური დამწერლობა თვითმიზანი კი არ უნდა იყოს, არამედ ის, ეკლესიისა და სკოლის მეშვეობით, უნდა გახდეს ქართული ენისადმი მოთხოვნილების დასუსტებისა და მისი სახელმწიფო /რუსული/ ენით თანდათანობითი შეცვლის იარაღი“.

1919 წელს დ. გულიას თაოსნობით დაარსდა პირველი აფხაზურენოვანი გაზეთი „აფსნი“ („აფხაზეთი“). ქართველი საზოგადო მოღვაწეების მხარდაჭერით, დაიწყო მზადება აფხაზური სკოლების ორგანიზებისა და აფხაზური ენის სწავლების გასაუმჯობესებლად. XX საუკუნის 20-იან წლებში მთელ საბჭოთა კავშირში მიმდინარეობდა ახლადშექმნილი დამწერლობების მასობრივი ლათინიზაცია, ანუ ლათინურ გრაფიკაზე გადაყვანა. 1926 წელს აფხაზური ენა გადაიყვანეს ნ. მარის მიერ შექმნილ ლათინიზებულ „ანალიზურ დამწერლობაზე“, 1928 წელს – ნ. იაკოვლევის, ე. პოლივანოვის, ს. ჭანბასა და მ. ჰაშბას მიერ შედგენილ უნიფიცირებულ ლათინურ დამწერლობაზე. 1938 წელს საბჭოთა კავშირში არსებული ახალი დამწერლობის მქონე ენები გადაიყვანეს კირილიცას რუსულ გრაფიკაზე, ხოლო აფხაზური გადაიყვანეს ქართულ გრაფიკაზე (მხედრულზე), რომელიც ყველაზე უკეთ შეესაბამებოდა ისტორიულად ქართულთან ახლოს მდგომ აფხაზურ ენას. ქართული გრაფიკის საფუძველზე ახალი აფხაზური დამწერლობის შეჯერებული პროექტი შეადგინეს დ. გულიამ, ს. ჯანაშიამ და ა. შანიძემ, რაც დამტკიცდა 1937 წლის 5 დეკემბერს ქ. სოხუმში გამართულ აფხაზური ინტელიგენციის საგანგებო თათბირის მიერ.

1938 წელს საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილება ეროვნულ სკოლებში სწავლების სათანადო მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე გადაყვანის შესახებ აფხაზეთში ძალაში შევიდა 1945 წელს. იმ დროს აფხაზურ სკოლებში ქართულმა ენამ რუსული ენის ადგილი დაიკავა. აფხაზური ენისა და ლიტერატურის სწავლება სკოლებში არ აუკრძალავთ.

ქართულ გრაფიკაზე გადაყვანილი აფხაზური დამწერლობა, აგრეთვე აფხაზთა სკოლებში რუსული ენის ქართული ენით ჩანაცვლება 1954 წლამდე მოქმედებდა, რის შემდეგაც დამწერლობა მ. ზავადსკის, კ. მაჭავარიანისა და დ. გულიას მიერ მოდერნიზებულ პ. უსლარისეულ რუსულ გრაფიკას დაუბრუნდა, სკოლებში სწავლება კი – რუსულ ენას. აფხაზური დამწერლობის კიდევ ერთი ცვლილება მოხდა 1994 წელს, როცა მოქმედ ანბანში შეიცვალა 6 ბგერის გადმოცემის წესი. დღეს სწორედ ეს დამწერლობა მოქმედებს აფხაზეთში, თუმცა აფხაზური სკოლა რეალურად რუსულენოვანი სკოლაა, სადაც V კლასიდან, აფხაზური ენისა და ლიტერატურის გარდა, ყველა საგანი რუსულ ენაზე ისწავლება.

გ) აფხაზური ენის შესწავლისა და სწავლების საკითხები

საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუციის თანახმად, აფხაზური ენა მეორე სახელმწიფო ენაა (აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში). აფხაზოლოგია, როგორც მეცნიერება, XX საუკუნეში ჩამოყალიბდა. აფხაზოლოგია კომპლექსური სამეცნიერო მიმდინარეობაა და მოიცავს ენათმეცნიერების, ეთნოლოგიის, ფოლკლორისტიკის, ლიტერატურათმცოდნეობის, აფხაზეთის ისტორიის, არქეოლოგიის, კულტურისა და ანთროპოლოგიის კვლევას. აფხაზოლოგიის ცენტრებს თავდაპირველად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შემდეგ – არნოლდ ჩიქობავას სახელობის თბილისის ენათმეცნიერების ინსტიტუტი და სოხუმში დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტები წარმოადგენდნენ. მიუხედავად იმისა, რომ 1992-

1993 წლების საომარი მოქმედებების შედეგად, აფხაზეთიდან სეპარატისტების მიერ გამოდევნილი იქნა 300 ათასამდე ადამიანი, მათ შორის 250.000 ქართველი, საქართველოში აფხაზური ენის დაცვის, განვითარებისა და შესწავლის თვალსაზრისით საქმიანობა არ შეჩერებულა. ამჟამად, აფხაზოლოგიის ცენტრებს წარმოადგენენ სოხუმში ჰუმანიტარული კვლევების ინსტიტუტი, ხოლო თბილისში – დევნილობაში მყოფი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

აფხაზოლოგიის, როგორც სამეცნიერო კვლევითი მიმართულების ჩამოყალიბება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებასთან (1918) არის დაკავშირებული. აფხაზური ენის სწავლებისა და აფხაზეთის კომპლექსურ შესწავლის საქმეს აქ ჩაეყარა საფუძველი. ივ. ჯავახიშვილის აზრით, „ყოველი განათლებული ქართველი ვალდებულია, ისე შეისწავლოს და იცოდეს ამ ხალხთა ენა და ისტორია, როგორც საკუთარი ერისა და ქვეყნისა“.

საბჭოთა პერიოდში თბილისის სამეცნიერო ცენტრებს შორის, აფხაზეთის კვლევის თვალსაზრისით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად, საყრდენი იყო ენის, მატერიალური კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტი (ენიმკი), რომლის ბაზაზეც ჩამოყა-ლიბდა: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი; ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი და არქეოლოგიის ინსტიტუტი. აღნიშნულ ცენტრებში მიზანმიმართულად მიმდინარეობდა აფხაზი ახალგაზრდების მომზადება აფხაზოლოგიის მიმართულებით, რათა ისინი სწავლის დასრულების შემდეგ დაბრუნებულიყვნენ აფხაზეთში და იქ შეექმნათ საფუძვლიანი ბაზა აფხაზოლოგიისათვის. ასე ჩამოყალიბდა აფხაზ ისტორიკოსთა, ენათმეცნიერთა, არქეოლოგთა, ეთნოგრაფთა მთელი პლეადა, რომლებმაც დიმიტრი გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი (ახალა ჰუმანიტარული კვლევების ინსტიტუტი) შექმნეს. ასე იყო საბჭოთა პერიოდში, ხოლო 1992-1993 წლების ომის შემდეგ, სოხუმიდან თბილისში დევნილობაში მყოფი უნივერსიტეტშიც ჩამოყალიბდა აფხაზოლოგიის შესწავლის ერთ-ერთი გამორჩეული კერა.

1918 წელს უნივერსიტეტის დაარსებისას ივანე ჯავახიშვილს განზრახული ჰქონდა, შემოეღო აფხაზური ენის სალექციო კურსი და მოეწვია *პეტრე ჭარაია*, მაგრამ ამ უკანასკნელს არ დასცალდა, იგი გარდაიცვალა. 1924-1926 წლებში აფხაზური ენის კურსს კითხულობდა *დიმიტრი გულია*. 1927-1937 წლებში ამ საქმეს უძღვებოდა სიმონ ჯანაშია, რომელიც 1937 წლიდან შეცვალა მაშინ სრულიად ახალგაზრდა (შემდეგში აკადემიკოსმა) ქეთევან ლომთათიძემ. მარტო 1949-64 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიური ენების განყოფილებაზე სწავლობდა 43 აფხაზი სტუდენტი„ რომელთა უმრავლესობა შემდეგ ცნობილი მეცნიერი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე გახდა.

აკად. ქეთევან ლომთათიძეს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის აფხაზური ენის, ქართულ-აფხაზური ენობრივი ურთიერთობების, სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებთან აფხაზურის გენეტიკური მიმართების კვლევაში: „არ არსებობს აფხაზური ენის არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი საკითხი, ქ. ლომთათიძეს რომ არ გამოეთქვას მის შესახებ საყურადღებო მოსაზრება. თუ დღეს აფხაზური ენა მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის ერთ-ერთ ყველაზე უკეთ შესწავლილ ენად ითვლება, ეს სწორედ ქ. ლომთათიძის მრავალრიცხოვანი ნაშრომების შედეგიც არის“. აკად. ქ. ლომთათიძის აფხაზი და ქართველი მოწაფეები დღესაც წარმატებით აგრძელებენ დიდი მასწავლებლის საქმეს.

საბედნიეროდ, თანამედროვე მეცნიერებმა, ერთი მხრივ, შეინარჩუნეს აფხაზოლოგიის კვლევის პოზიტიური ტრადიციები, მეორე მხრივ კი გამოავლინეს ახალი წყაროები, შეავსეს, გაამდიდრეს და ახლებური ინტერპრეტაციით დასვეს საკითხთა წყება.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებობს **ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ცენტრი,** მის ბაზაზე შეისწავლება აფხაზური ენა, ქვეყნდე-

ბა ლექსიკონები, მხატვრული ლიტარტურა და ა. შ. ცენტრის წევრები ჩადიან სოხუმში, ეწევიან მთარგმნელობით საქმიანობას სახელმწიფო კანცელარიისათვის, უკანასკნელ ხანს ცენტრმა გამოსცა „აფხაზური ზეპირმეტყველების გაკვეთილები“, „ქართულ-აფხაზური ენციკლოპედია“ და ფოტოალბომი „აფხაზეთი XIX საუკუნე“.

აფხაზოლოგიის ერთ-ერთი გამორჩეული ცენტრია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც 2008 წელს დაარსდა **აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტი**. ინსტიტუტის დირექტორია პროფ. თეიმურაზ გვანცელაძე. აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტში განხორციელებულმა საქმიანობამ არსებითად განსაზღვრა აფხაზოლოგიის განვითარება საქართველოში. ინსტიტუტის მიერ შექმნილმა მნიშვნელოვანმა გამოკვლევებმა, ჩატარებულმა მრავალფეროვანმა სამუშაომ გადაახალისა და ახალი სუნთქვა შესძინა მეცნიერების ამ ახალ დარგს. აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტის ძირითადი მიმართულებებია აფხაზური ენის, აფხაზური კულტურის, იდენტობისა და აფხაზურ-ქართულ ენობრივ და კულტურულ ურთიერთობათა კვლევა, აგრეთვე ამ კვლევის შედეგების პოპულარიზაცია არა მარტო საქართველოს, არამედ საერთაშორისო მასშტაბით. 2008 წლიდან სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტის ბაზაზე არსებობს აფხაზური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, სადაც როგორც ძირითად (mainor), ისე დამატებით (minor) სპეციალობაზე სტუდენტები სწავლობენ შემდეგ სავალდებულო და არჩევით საგნებს: აფხაზური ენა; აფხაზური ფოლკლორი; აფხაზური ლიტერატურის ისტორია (მოკლე მიმოხილვა); კავკასიოლოგიის შესავალი; აფხაზი ხალხის ეთნოლოგია; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ისტორია; ქართულ-აფხაზური ლინგვოკულტურული კონტაქტები; ქართულ-აფხაზური ეთნოლოგიური თანხვედრები; აფხაზეთის წერილობითი ძეგლები; ქართულ-აფხაზური ლიტერატურული ურთიერთობანი; ენობრივი სიტუაცია აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში; იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია; აფხაზურ-აბაზური დიალექტოლოგია; თანამედროვე კავკასიის ენობრივი და ეთნიკური სიტუაცია; აბაზური ენა.

აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტში განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო პროექტი, რომელთაგან ზოგიერთი შესრულდა სოხუმის უნივერსიტეტის ქართული ენისა და კულტურის ინსტიტუტთან ერთად: დაარსდა სამეცნიერო კრებული „*ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები*“. გამოიცა მონოგრაფიები და სასწავლო დანიშნულების წიგნები; აფხაზურ-ქართული და ქართულ-აფხაზური ლექსიკონების ორტომეული. აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტი შეძლებისდაგვარად ეხმიანება ყველა მნიშვნელოვან თარიღს, რომელიც უკავშირდება აფხაზეთის თემას. ინსტიტუტი ამზადებს სამეცნიერო კადრებს, კერძოდ, დოქტორანტებს. ინსტიტუტს აქვს ბლოგი http://abkhazology.wordpress.com, სადაც განსაზღვრული პერიოდულობით თავსდება ახალი გამოკვლევები, აფხაზოლოგიისა და კავკასიოლოგიის კლასიკური მემკვიდრეობისა და თანამედროვე მდგომარეობის ამსახველ გამოკვლევათა ელექტრონული ვერსიები, რათა მეტი ადამიანისთვის გახდეს ხელმისაწვდომი ახალი ლიტერატურა; მასვე აქვს facebook-ის ოფიციალური გვერდიც, რომელსაც იგივე ფუნქციები აკისრია, რაც ზემოხსენებულ ბლოგს. მას დაახლოებით 5000-მდე მეგობარი ჰყავს.

უკანასკნელ ხანს ინსტიტუტმა საერთაშორისო გრანტის საფუძველზე შექმნა აფხაზოლოგიის ელექტრონული ბიბლიოთეკა, ამ საქმეში ჩართული არიან სოხუმელი მეცნიერებიც.

აფხაზეთის ა/რ მთავრობას, კერძოდ, აფხაზეთის განათლების სამინისტროს, თავისი წვლილი შეაქვს აფხაზოლოგიის განვითარებაში. სამინისტროში შეიქმნა სპეციალური „აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამა“, რომლის ფარგლებში გამოიცა მონოგრაფიები აფხაზეთის თემაზე, ჩატარდა კონფერენციები, აფხაზური ენის სწავლებისა და პოპულარიზაციის მიზნით სამინისტრომ განახორციელა აფხაზური ენის შემსწავლელი აუდიოპროგრამა „ვისწავლოთ აფხაზური ენა“.

§4. ქართულ-აფხაზური კულტურული ურთიერთობები

ა) მატერიალური კულტურის ძეგლები[42]

ტოპონიმ „აფხაზეთის“ გეოგრაფიული საზღვრები საუკუნეების მანძილზე იცვლებოდა, აფხაზეთად ჯერ დასავლეთ საქართველოს მოიაზრებდნენ, ხოლო მოგვიანებით, მთელ საქართველოსაც უწოდებდნენ. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია გაერთიანებულ ქართულ სამეფოში აფხაზთა საერისთავოს, ცხუმის საერისთავოსა და ოდიშის საერისთავოს ნაწილს მოიცავდა. მოგვიანებით, XV საუკუნეში, საქართველოს სამეფოს დაშლის შემდეგ, აფხაზთა საერისთავო იმერეთის სამეფოს ემორჩილებოდა, ხოლო ცხუმსა და მის შემოგარენს ოდიშის ერისთავთ-ერისთავი და იმერეთის კარის მანდატურთუხუცესი დადიანები აკონტროლებდენ. XVI საუკუნის 50-იან წლებში, ოდიშის სამთავროს ჩამოყალიბების შემდეგ, თანამედროვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ოდიშის სამთავროს შემადგენლობაშია. მოგვიანებით, XVII საუკუნის 80-იან წლებში, აფხაზეთის სამთავროს გაძლიერებულმა ხელისუფლებამ შეძლეს აფხაზეთის სამთავრო საზღვრების გაფართოება ჯერ მდინარე კოდორამდე, შემდეგ ღალიძგამდე, ბოლოს კი საზღვარი მდინარე ენგურამდე გადმოიტანეს. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინ „აფხაზეთის“ გეოგრაფიული და პოლიტიკური მნიშვნელობა და საზღვრებიც ხშირად იცვლებოდა და თანამედროვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული შუა საუკუნეების ქართული კულტურის კერების დიდი ნაწილი რეალურად ოდიშის საერისთავოს, ხოლო მოგვიანებით ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში იყო და ამ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებმა მნიშვნელოვანი კვალი გაავლეს, როგორც ქართველთა, ასევე აფხაზთა სულიერ ცხოვრებაში.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის კვლევის თანამედროვე ეტაპზე, აფხაზეთის რეგიონის მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მატერიალური კულტურა, ზოგადად, შეიძლება ოთხ ძირითად ჯგუფად დაიყოს:

I. არქიტექტურული ძეგლები;
II. წერილობითი კულტურის ძეგლები;
III. საეკლესიო დანიშნულების ნივთები;
IV. არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე მოძიებული მასალა;

აღნიშნული კლასიფიკაცია პირობითია, თუმცა რეალურად ასახავს ამ ეტაპზე აფხაზეთის მატერიალური კულტურის ძეგლების საერთო სურათს.

I. არქიტექტურული ნაგებობები აფხაზეთის მატერიალური კულტურის ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს წარმოადგენს. მათი რაოდენობა დაახლოებით ასზე მეტია. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ძეგლების დიდი ნაწილი დღეს დაზიანებული სახით არის მოღწეული, ყველა მათგანს განვითარების თავისი ისტორია აქვს. არქიტექტურული ნაგებობები თავის მხრივ

---

42 Л. Рчеулишвили, Купольная архитектура VIII – X веков в Абхазии, Тбилиси, 1988; ***Г. Чубинашвили,*** Грузинское чеканное искусство: исследование по истории грузинского средневекового искусства. Тбилиси, 1959; ***Г. Чубинашвили.*** Грузинское чеканное искусство с VIII по XVIII, в. Тбилиси, 1957; ***Л. Шервашидзе***, Средневековая монументальная живопись в Абхазии, Тб.1980; ***Л. Г. Хрушкова***,Скульптура раннесредневековой Абхазии V-X вв, Тб.1980; ***ლ. ახალაძე.*** თანამედროვე აფხაზეთის მატერიალურიკულტურისძეგლები http://expertclub.ge/portal/cnid__6484/alias__Expertclub/lang__kaGE/tabid__2546/default.aspx ;***ლ. ახალაძე.*** აფხაზეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, ლაპიდარული და ფრესკული წარწერები, ტ. I. თბ., 2005; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა, აფხაზეთი, ტ. I., აფხაზეთი (ქართულ-რუსულ-ინგლისურ ენებზე). რეადაქტორი ***სალომე კაპანაძე,*** ავტორები: ***ლია ახალაძე, ბეჟან ხორავა, ელენე კავლელიშვილი*** და სხვ. თბ., 2007; ***ვ. სილოგავა.*** სამეგრელო-აფხაზეთის ეპიგრაფიკა. თბ., 2004; ***თ. ყაუხჩიშვილი,*** საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, მეორე შევსებული გამოცემა, თბ., 2004; ***Л. Ахалаадзе***, Эпиграфические памятники Абхазии, в кн. Разыскания по истории Абхазии/ Грузия, Тбилиси, 1999. с. 363-374; ***Х. С. Бгажба***, Из истории письменности в Абхаз¬ии, Тб.1967; ***А. К. Кация,*** Илори (памятник XI века),Сухуми,1963;; ***L. Akhaladze,*** Inscriptions of the Kings of Egris-Abkhazeti, Informational –analytical journal “Abkhazeti“ I.Tbilisi, 2004. c. 61-64;

აერთიანებს აფხაზეთის მატერიალური კულტურის ორ ყველაზე მრავალრიცხოვან ქვეჯგუფს: ***ა) საკულტო დანიშნულების (საეკლესიო) ხუროთმოძღვრების ძეგლები და ბ) საერო დანიშნულების ძეგლები.*** მათ შორის, პირველ ქვეჯგუფში შედის სამონასტრო კომპლექსები, ტაძრები, პატარა ეკლესიები და სამლოცველოები; ხოლო მეორე ქვეჯგუფში ერთიანდებიან საფორტიფიკაციო ნაგებობები, ხიდები, სამეთვალყურეო ნაგებობანი, საერო და მსხვილ სასულიერო ფეოდალთა სასახლეები და ა. შ.

ცნობილია, რომ ძველი არქიტექტურა კარგად ასახავს ეროვნული კულტურის შემოქმედების პოტენციალს. ბუნებრივია, იგი არ არის ჩაკეტილი მხოლოდ თავის საზღვრებში და გარედან შემოტანილი თემებითაც საზრდოობს. ამავე დროს ადგილობრივი ხუროთმოძღვრული ტრადიციების გათვალისწინების გარეშე, სხვა კულტურის გამოცდილების გადმოტანა შეიძლება მხოლოდ ზედაპირულ მიმბაძველობად იქცეს. აფხაზეთის ა/რ ტერიტორიაზე დაცული შუასაუკუნეების არქიტექტურული ძეგლები დახვეწილი ხუროთმოძღვრული ფორმებითა და მრავალფეროვანი დეკორით საქართველოს არქიტექტურული ძეგლების ერთიან გალერეაში გამორჩეულ ადგილს იკავებს. რეგიონის ხუროთმოძვრებიდან უძველეს საეკლესიო ძეგლებს მიეკუთვნება ბიჭვინთის, ბედიის, მოქვის, ილორის, ლიხნის, დრანდის, გაგრის, ბზიფის, წკელიკარის, გუდავის, ლაშქენდარის და ა. შ. ეკლესიები და სამონასტრო კომპლექსები. შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთი, ისევე, როგორც საქართველოს ყველა რეგიონი მოფენილია სხვადასხვა დანიშნულების ქრისტიანული საეკლესიო ნაგებობებით.

საერო ხასიათის ძეგლებიდან დღემდე მოღწეულია, როგორც თავდაცვითი ხასიათის ძველი საფორტიფიკაციო ძეგლების ნაშთები: ციხეები, სამეთვალყურეო კოშკები, ხიდები და ა. შ. ასევე, მსხვილ ფეოდალთა სასახლეები, რომელთა უმრავლესობა დღეს ნანგრევების სახით არის შემორჩენული, თუმცა არ დაუკარგავს თავისი ისტორიული ღირებულება და მნახველზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს.

მრავალი საუკუნის მანძილზე საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ საზღვრის დაცვის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ასრულებდა ანაკოფიის ციტადელი, ბაგრატის ციხე სოხუმთან, სოხუმის აკროპოლისი, კელასურის ზღუდე, ბზიფის, გაგრის, ანუხვის, კოდორის, ლიძავის, ჩხალთის, ამტყელის, ხაშუფსეს, მჭიშთის, ბიჭვინთის, აზანთას, კოდორის, დურიფშის, ლიხნის, სათამაშიას ციხეები. თავდაცვითი ზღუდეების რაოდენობა თანამედროვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე 70-მდე აღწევს.

მსხვილ საერო და საეკლესიო ფეოდალთა სასახლეებიდან განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ლიხნის, მერხეულის, ბედიის, ანუხვისა და წებელდის სასახლეთა ნანგრევები, რომლებიც შარვაშიძეების, მარშანიების, ჟვანისძეებისა და ბასილიძეთა ფეოდალურ გვარებს ეკუთვნოდა.

საქართველოს უძველს ხიდებს შორის ერთ-ერთი თვალსაჩინოა „თამარის ხიდი“ სოხუმთან ახლოს მდინარე ბესლეთზე. მსგავსი ხიდები დამახასიათებელია X, XI, XII, XIII საუკუნეების საქართველოსათვის და შემორჩენილია ქართლში, აჭარაში, სამცხე-ჯავახეთსა და ისტორიულ ტაო-კლარჯეთში. ხიდი უნიკალურია იმ თვალსაზრისით, რომ მის თაღს მიუყვება ძველი ქართული ასომთავრული წარწერა, რომელშიც გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III ბაგრატიონი (978-104 წწ) არის დასახელებული. მიუხედავად ამისა, ადგილობრივი მოსახლეობა მას საქართველოს მეფის თამარის (1184-1213 წწ) სახელს ეძახის.

II. წერილობითი კულტურის ძეგლები აფხაზეთის კულტურულ მემკვიდრეობაში ერთ-ერთ ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს შეადგენენ, რომლებიც, თავის მხრივ, სამ ჯგუფად იყოფა: ***ა) ეპიგრაფიკული ძეგლები,*** ანუ მყარ მასალაზე შესრულებული წარწერები; ***ბ) ხელნაწერები*** **(**რბილ მასალაზე შესრულებული წერილობითი ძეგლები) და **გ) *ნუმიზმატიკური მასალა***.

ა) *ეპიგრაფიკული ძეგლებიდან* გვაქვს: ლაპიდარული (ქვაზე ღრმა კვეთით შესრულებული წარწერები), ჭედური (ხატებზე, ჯვრებზე, სხვადასხვა სახის საეკლესიო ნივთებზე ამოკვეთილი)

და ფრესკული (საღებავით შესრულებული) წარწერები. ეპიგრაფიკული ძეგლები შესრულებულია ქართულ, ბერძნულ, ლათინურ, თურქულ (არაბული დამწერლობით) ენებზე. მათგან, ქართული წარწერა ასზე მეტია; ბერძნული – ოცდაათზე მეტი, ექვსი – თურქულ-არაბული და სამიც ლათინური. ისტორიული მნიშვნელობის ქართული წარწერების ქრონოლოგია VIII-XIX საუკუნეებს მოიცავს. ბერძნული წარწერები, ძირითადად, IX საუკუნემდელია, თუმცა გვხვდება XI საუკუნის ბერძნული გრაფიტოებიც. თურქულ-არაბული წარწერები XVI-XVIII, ხოლო ლათინური – II-III საუკუნეებით თარიღდება.

აფხაზეთის ტერიტორიაზე სამიოდე ლათინურენოვანი წარწერაა აღმოჩენილი. მათ შორის ერთ-ერთი XIX საუკუნის 90-იან წლებში სოხუმში იპოვეს, რომელშიც იმპერატორი ადრიანე (ახ. წ. 117-138 წწ.) და მისი მოხელე ფლავიუს არიანეა დასახელებული. წარწერა მოგვითხრობს არიანეს ინიციატივით სოხუმში საფორტიფიკაციო ნაგებობის მშენებლობის ამბავს. როგორც ცნობილია, ფლავიუს არიანემ იმპერატორის ბრძანებით სამხრეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომაული გარნიზონების საინსპექციო აღწერა ჩაატარა. გარდა აღწერისა, რომაელმა მოხელემ ციხესიმაგრეთა სარესტავრაციო სამუშაოებიც ჩაატარა ტრაპეზუნტში, აფსაროსში, ფაზისსა და სებასტოპოლისში. სოხუმში ნაპოვნი ლათინურენოვანი წარწერა სწორედ ამ ფაქტის – სებასტოპოლისის ციხის შეკეთება-მშენებლობის შესახებ მოგვითხრობს (მსგავსი საამშენებლო წარწერა დაცულია ტრაპიზონშიც). ანუ წარწერა ახ. წ. II საუკუნით, კერძოდ 117-138 წწ. თარიღდება.

მეორე ლათუნურენოვანი წარწერა აღმოჩნდა ბიჭვინთაში, რომლის ფრაგმენტიდან შემორჩენილია მხოლოდ სამი გრაფემა „ლეგ“. მკვლევართა დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ აქ სიტყვა „ლეგიონი“, ან „ლეგიონერი“ იკითხებოდა. ეს წარწერა ახ. წ. II – IV სს. შეიძლება დათარიღდეს.

მესამე წარწერა 2011 წელს სოხუმის ციხის გათხრების დროს აღმოჩნდა და მასში რომის იმპერატორი ვალერიანუსი იხსენიება. ვალერიანუსი რომის იმპერატორი III საუკუნეში, 253–260 წლებში იყო. 260 წელს ვალერიანუსი შეიპყრეს სპარსელებმა და ტყვეობაში გარდაიცვალა. აქედან გამომდინარე, წარწერა 253-260 წწ. თარიღდება.

სამივე წარწერის შინაარსზე დაყრდნობით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ ახ. წ. II –III საუკუნეებში სებასტოპოლისი, ანუ ცხუმი/სოხუმი რომის იმპერიის მნიშვნელოვან დასაყრდენს წარმოადგენდა. აქ იდგა რომაელთა გარნიზონები, რისთვისაც იმპერატორ ადრიანეს დავალებით მისი მოხელე ფლავიუს არიანე სებასტოპოლისის (ცხუმი/სოხუმის) ციხეში საფორტიფიკაციო-საამშენებლო საქმიანობას ეწეოდა. ხოლო III – IV საუკუნეების მიჯნაზე, ლაზთა სამეფოს წარმოშობის პირობებშიც, რომი სებასტოპოლისში ინარჩუნებდა სამხედრო გარნიზონს.

ბ) *წერილობითი კულტურის ძეგლების მეორე ჯგუფი – ხელნაწერები* მხოლოდ ქართულენოვანია და ისინი აფხაზეთის ქართული სკრიპტორიუმების ბიჭვინთის, მოქვისა და ბედიის კულტუ;რულ-საგანმანათლებლო ცენტრებშია გადაწერილი. მათ შორის თვალსაჩინოა ბიჭვინთის (XII ს.) და მოქვის (XIII ს.) უნიკალური მინიატურებით მოხატული ოთხთავებები, ბიჭვინთის იადგარი (XVI ს.), ბედიის გულანი (XVII ს.), მოქვის ომოფორი (XVI ს.), აფხაზ მეფეთა დივანი (X ს.) და ა. შ.

ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი კერები მოქვი, ბედია, ბიჭვინთა, ილორი, ლიხნი, წებელდა, წარჩე და ა. შ. საუკუნეების მანძილზე ქმნიდნენ იმ სულიერ ღირებულებებს, რომლითაც უნდა ამაყობდეს არამარტო ქართველი, არამედ აფხაზი ხალხიც. ქრისტიანული კულტურის ამ ცენტრებში განთავსებული იყო ძველი წიგნთსაცავები, სადაც დაიწერა ორიგინალური ქართული თხზულებები, ბერძნულიდან ქართულზე ითარგმნა სასულიერო დანიშნულების წიგნები, შეიქმნა ახალი ხელნაწერები. ამ წიგნთსაცავებიდან ჩვენამდე მოღწეული უნიკალური ხელნაწერები ქართული წერილობითი კულტურის განვითარების ისტორიისთვის ფასდაუდებელ საგანძურს წარმოადგენს და დღეს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება.

აქვე გვერდს ვერ ავუვლით „აფხაზთა სამეფოს“ (VIII-X სს) დროინდელ წერილობით ძეგლებს, რომლებიც „აფხაზთა მეფეთა“ დაკვეთით არის შესრულებული, ან საკტიტორო საქმიანობისთვის

თავად არიან წარწერებში მოხსენიებულნი. სულ მოღწეულია 20-მდე ეპიგრაფიკული ძეგლი და ერთი ისტორიული ქრონიკა – „აფხაზ მეფეთა დივანი“. ყველა მათგანი, (გარდა ერთი ბერძნული წარწერისა) შესრულებულია ქართულ ენაზე, ძველი ქართული დამწერლობით.

საგულისხმოა, რომ „აფხაზთა მეფეთა“ წარწერების უმრავლესობა გვხვდება თანამედროვე აფხაზეთის ფარგლებს გარეთ, საქართველოს სხვა ისტორიულ რეგიონებში – ისტორიული „აფხაზთა სამეფოს“ ტერიტორიაზე, კერძოდ: სამეგრელოში, ქართლში, იმერეთსა და ჯავახეთში.

გ) *აფხაზეთის ტერიტორიაზე ნაპოვნია მრავალრიცხოვანი ნუმიზმატიკური* ნიმუში (სოხუმში, ანაკოფიის ციხეში (ივერიის მთაზე), ლიხნში და სხვ.). მონეტების აბსოლუტური უმრავლესობა ქართული და ბიზანტიური ლეგენდითაა. ქართული მონეტები მათზე ამოკვეთილი წარწერების მიხედვით ეკუთვნის საქართველოს მეფეებს ბაგრატ IV – ს (1027-1072), გიორგი II – ს (1072-1089), დავით IV აღმაშენებელს (1089-1125) და ა. შ. გარდა ამისა, აღმოჩენილია ვერცხლის ფული, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ცხუმურ თეთრს“, ხოლო გენუელები „სებასტოპოლისის ასპრას“ უწოდებდნენ (ძველ საქართველოში სოხუმი იწოდებოდა როგორც ცხუმი, ლათინურენოვანი წყაროები მას, რომაელთა მსგავსად, სებასტოპოლისს უწოდებდნენ). „ცხუმურ თეთრს“ ოდიშის ერისთავთ-ერისთავი და საქართველოს სამეფო კარის მანდატურთუხუცესი ვამეყ I დადიანი (1384-1396) მეფის ნებართვით, სწორედ, ცხუმის ზარაფხანაში ჭრიდა. ქართული მონეტების დღემდე მოღწეული რაოდენობა 50-ზე მეტია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ 1927 წელს სოხუმში აღმოჩენილი მონეტების განძის დიდი ნაწილი დაიკარგა, მათი რაოდენობა გაცილებით მეტი იქნებოდა.

ბიზანტიური მონეტები მოჭრილია იუსტინიანე I-ის, კონსტანტინე მონომახოსის (1042-1055), კონსტანტინე დუკას (1059-1067), რომანოზ IV დიოგენეს (1067-1071) და ა. შ. სახელით, მათი რაოდენობა 30-მდე აღწევს და ნაპოვნია, სოხუმში, ლიხნში და სხვა ადგილებში. როგორც ჩანს აფხაზეთში, ისევე როგორც დანარჩენ საქართველოში, ქართულ ფულთან ერთად ბიზანტიური (მათ შორის ტრაპიზონული) ფულიც იყო მიმოქცევაში.

III. საეკლესიო ნივთებიდან ყველაზე ცნობილ ნიმუშებს მიეკუთვნება ბედიის ოქროს ბარძიმი, ილორის ვერცხლის ბარძიმი, წებელდის წმ. ეკატერინეს, იოანე ნათლისმცემლისა და ანდრია პირველწოდებულის ხატები, გიორგი II აფხაზთა მეფის სამწერობელი, ლეონ III აფხაზთა მეფის ხატი, დავით VI ნარინის ილორის ტაძრისადმი შეწირული ხატი, აფხაზეთის კათალიკოსის ევდემონ ჩხეტიძის ბიჭვინთის ღმრთისმშობლის ხატი და საწინამძღვრე ჯვარი, მოქვის ეპისკოპოს ანდრია საყვარელიძის დაკვეთით მოქვის ღმრთისმშობლის ტაძრისადმი შეწირული კარედი, აფხაზეთის კათალიკოსის ეფთვიმე საყვარელიძის მოქვის საწინამძღვრე ჯვარი, ბედიელი მთავარეპისკოპოსის კირილე ჟუანისძის ილორის წმ. გიორგისადმი შეწირული ხატი, ოდიშის ერისთავთ-ერისთავებისა და მთავრების ილორის წმ. გიორგისადმი შეწირული ხატები, მათ შორის განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია ოდიშის მთავრის ლევან II დადიანის (1511-1557 წწ) მიერ ილორის წმ. გიორგის და ბიჭვინთის ღმრთისმშობლისადმი შეწირული ხატები. ზემოთდასახელებულ ყველა ძეგლზე ამოკვეთილია ძველი ქართული ასომთავრული წარწერები, რომლებიც მოგვითხრობენ ძეგლის კტიტორთა და ოსტატთა შესახებ, ან წარმოადგენენ მემორიალურ წარწერებს.

რაც შეეხება **არქეოლოგიური გათხრების** საფუძველზე მოძიებულ მდიდარ და მრავალფეროვან მასალას, რომლებიც ჩვენს კლასიფიკაციაში ცალკე ჯგუფს ქმნიან, აქ გვხვდება როგორც ქვის, ბრინჯაოსა და რკინის ხანის, ასევე შუასაუკუნეების ძეგლებიც.

ქვემოთ მოგვყავს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რამდენიმე მნიშვნელოვანი ძეგლი, რომლებიც აღიარებულია საქართველოს ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის კულტურის ძეგლად[43] და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიის საკუთრებად.[44]

43 საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 7 ნოემბრის № 665 ბრძანებულება;

44 აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს სესიის 2003 წლის 7 აგვისტოს დადგენილება;

1. გაგრის ბაზილიკა VI ს.-ის ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უძველესი ნიმუშია. ის გაგრის ტერიტორიაზე, *ძველი ციხესიმაგრის* ნარჩენების ცენტრში მდებარეობს. ტაძარი აგებულია ტლანქად დამუშავებული ქვის კვადრებით და VI-VIIII საუკუნეებში საქართველოში გავრცელებული სამნავიანი ბაზილიკების ერთ-ერთ უძველეს ნიმუშს წარმოადგენს. შესრულების ტექნიკური დონით გაგრის ბაზილიკა ძალიან ჰგავს აღმოსავლეთ საქართველოში ამ ეპოქაში აგებული ბაზილიკების არქიტექტურას. ტაძრის შიდა ინტერიერში სვეტების ნაცვლად კედლებია აღმართული, რაც მიუთითებს მომდევნო საუკუნეებში მის რესტავრაციაზე. დღეს გაგრის ეკლესიის არც გარეთა ფასადებზე და არც ინტერიერში წარწერები არ არის შემორჩენილი. ხელოვნებათმცოდნეობითი თვალსაზრისით საყურადღებოა ეკლესიის თაღოვან საბჯენთან გამოსახული რელიეფური ჯვარი.

2. გაგრის ციხე (V-VI სს.) ქალაქ გაგრის შემოგარენში მდებარეობს. ციხის შიგნით შემორჩენილია გაგრის ზემოთაღნიშნული ტაძარი, რომელიც შედარებით კარგად არის მოვლილი, ვიდრე თავად გაგრის ციხე.

3. განთიადის ბაზილიკა (VI-VII სს.) გაგრის ჩრდილო-დასავლეთით, დაბა განთიადში ზღვის სანაპიროზე მდებარეობს. ტაძარი სამნავიან ბაზილიკას წარმოადგენს. აგებულია საშუალო ზომის კირქვის კვადრებით, გამოყენებულია სხვადასხვა ზომის ბრტყელი აგური. ტაძარში მიკვლეულია მარმარილოს ფრაგმენტები. არსებობს მოსაზრება, რომ ეს სწორედ ეს ტაძარი ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანე I-მა (527-565) აბაზგებს – აფხაზთა წინაპარ ტომს აუგო მათი გაქრისტიანებისას. ბაზილიკის ნანგრევებში აღმოჩნდა თეთრი მარმარილოს საფლავის ქვის ფრაგმენტი, რომელზეც ბერძნული ასომთავრული წარწერა იკითხება „აბაზგიას“. როგორც ჩანს წარწერა აფხაზეთის საერო ან სასულიერო წარჩინებული პირის საფლავს განეკუთვნებოდა. წარწერა თარიღდება VI საუკუნით.

4. **დრანდის ღმრთისმშობლის ეკლესია** (VIII ს.) გულრიფშის მუნიციპალიტეტის სოფელ დრანდაში მდებარეობს. დრანდის ღმრთისმშობლის ეკლესია აგურით და რიყის ქვით ნაგები ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ნიმუშია, რომელიც არქიტექტურული თავისებურებებით განსხვავდება სხვა ქართული საეკლესიო ნაგებობებისაგან. VI-VII საუკუნეების ბიზანტიაში ფართოდ იყო გავრცელებული მსგავსი – ოთხსაყრდენიანი ჯვარგუმბათოვანი ტიპის საეკლესიო ნაგებობა, მაგრამ დრანდის ეკლესიის ხუროთმოძღვართ ზოგი რამ ქართული ხუროთმოძღვრების ნიმუშებიდანაც აუღიათ, კერძოდ მცხეთის ჯვრის ტაძრის მსგავსად, აქაც საკურთხევლის თავზე აღმართული ნახევარწრიული უბეები პატარ-პატარა თაღებითაა გადაბმული.

XVIII საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „დრანდაში დგას დიდი და მშვენიერი გუმბათიანი ეკლესია. აქ იჯდა ეპისკოპოსი, რომელიც კოდორსა და ანაკოფიას შორის მოქცეულ ქვეყანას მართვადა“. თუმცა, 1737 წელს ოსმალო დამპყრობლების შემოსევის დროს ტაძარი დაიწვა, თაღი მთლიანად ჩამოინგრა და განადგურდა ფრესკული მხატვრობა. 1871 წელს დრანდის ეკლესიაში საეკლესიო ღმრთისმსახურება განახლდა. 1900 წელს რუსეთის სინოდის მონდომებით დრანდის ეკლესიის გუმბათი აამაღლეს და მას რესტავრაცია ჩაუტარდა, მაგრამ იმავდროულად ტაძრიდან გაქრა ძვირფასეულობა და მარმარილოს სამარხები.

ეკლესიაში კარგად არის შემონახული გუმბათის თაღთან გამოსახული უფლის სახება, დასავლეთის კარების ზემოთ მოხატული მიქაელ მთავარანგელოზის ფრესკული სახე და ხარების ფრაგმენტი დაჩოქილ ღმრთისმშობლის სახებასთან ერთად. დრანდის ეკლესია ქართული და ბიზანტიური საეკლესიო ხუროთმოძღვრების ნაზავს წარმოადგენს. წარწერები შემორჩენილი არ არის.

4. მსიგხვას მიქაელ მთავარანგელოზის ტაძარი (VIII-IX სს.). სოფელი მსიგხვა გუდაუთის მუნიციპალიტეტში, შავი ზღვიდან 3 კილომეტრზე, მდ. წკუარას ხეობაში შემაღლებულ ადგილზე მდებარეობს. აფხაზი ხელოვნებათმცოდნის ა. კაციას მიხედვით მსიგხვას ტაძარი წარმოადგენს VIII – IX საუკუნეების ქართული ხელოვნების ნიმუშს, რომელსაც ფასადი შესანიშნავი დეკორა-

ტიული ფრაგმენტებით ჰქონდა მორთული. მსიგხვას ტაძარში აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ყველაზე ძველი ქართული ასომთავრული წარწერების ნიმუშები (სულ 46 წარწერა). წარწერების შინაარსში იკითხება, რომ ტაძარი იმთავითვე მიქაელ მთავარანგელოზის სახელზე იყო აგებული.

5. ახალი ათონის სვიმონ კანანელის ტაძარი სოფელ ახალ ათონში, ივერიის მთაზეs (გუდაუთის მუნიციპალიტეტი) აღმართული. ტაძრის თავდაპირველი მშენებლობა VII-VIII საუკუნეებით, ხოლო დღევანდელი ნაგებობა IX- X საუკუნეებით თარიღდება.

ძველი ქართველი და უცხოელი მემატიანეების ცნობით ქრისტეს მოციქულებმა სვიმონ კანანელმა (წარმოშობით იგი ქანაანიდან იყო) და ანდრია პირველმოციქულმა სამხრეთ და დასავლეთ საქართველოში, მათ შორის აფხაზეთში, პირველებმა იქადაგეს ქრისტიანობა.

წმინდა მამათა გადმოცემით, ახ. წ. აღ-ის 55 წელს ქრისტეს მოციქული სვიმონი წარმართებმა ქრისტეს დარად ჯვარზე გააკრეს და დაასაფლავეს ახალ ათონში, მდინარე ფსირცხის სანაპიროზე. არსებობს თვალსაზრისი, რომ იგი დაასაფლავეს ნიკოფსიაში – ისტორიული საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარზე. „სვიმონ კანანელის საფლავი არს ნოკოფს ქალაქში, რომელი არს აფხაზეთს“ – წერს „ქართლის ცხოვრება“.

IV საუკუნეში ახალ ათონში მოციქულის საფლავზე პატარა ეკლესია ააგეს, რომელიც სავარაუდოდ ხის უნდა ყოფილიყო, მაგრამ მომდევნო საუკუნეებში აქ თეთრი თლილი ქვისგან დამზადებული ტაძარი აიგო, რომელსაც რესტავრაცია რამდენჯერმე ჩაუტარდა, მათ შორის XIX საუკუნეშიც. ტაძრის ფრესკული მოხატულობა შემორჩენილი არ არის. არქიტექტურული დეკორიდან ყურადღებას იქცევს ქრისტიანული სიმბოლოების: თევზის, ლომისა და ჯვრის რელიეფური გამოსახულებანი. ტაძარზე შემორჩენილი ქართული და ბერძნული წარწერები დღეს აღარ იკითხება.

6. ჩხორთოლის დარბაზული ტიპის ეკლესია მდებარეობს სოფელ ჩხორთოლში, ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში. ეკლესია IX-X საუკუნეებით თარიღდება. ჩხორთოლის ეკლესია დარბაზული ეკლესიების ჯგუფს განეკუთვნება, რომელიც კომპოზიციური სქემითა და ხუროთმოძღვრული ნიშნებით, ანალოგიებს პოულობს საქართველოს სხვა რეგიონების არქიტექტურულ ნიმუშებთან. ადრე შუა საუკუნეების (V-X სს.) მსგავსი კომპოზიციის მქონე დარბაზული ეკლესიები საქართველოს ყველა კუთხეში გვხვდება, კერძოდ, ერედვის, ხეითის, დისევის, კუსირეთის, ლაშქენდარის, ილორის ეკლესიების სახით.

ჩხორთოლის დარბაზული ტიპის ეკლესია გარდამავალი ძეგლია და როგორც ამ დროის ძეგლებს შეეფერებათ მოკლებულია ქანდაკებასა და ჩუქურთმას. შიგა და გარე პირისათვის გამოყენებული შირიმი, წყობის წესიერი სისტემა, სამშენებლო ხერხების ხარისხობრივი დონე, როცა მთელი ყურადღება გადატანილია ახალი, სივრცითი მომენტებისაკენ, აშკარად მიუთითებს მისი აშენების დროსა და ეპოქაზე. იგი ორგანულადაა დაკავშირებული ქართული ხუროთმოძღვრების ევოლუციასთან, ზუსტადაა ჩაწერილი ქართული ეროვნული საეკლესიო ხუროთმოძღვრების საერთო ხაზში და გამოხატავს ერთიან შემოქმედებით ძიებებსა და მიმართულებებს ქართულ ხუროთმოძღვრებაში. ტაძრის არქიტექტურული სტილისა და ანალოგიების გათვალისწინებით ეკლესია აგებული უნდა იყოს კონსტანტინე „აფხაზთა მეფის“ (893-922წწ.) ზეობისას.

7. **ბზიფის ეკლესია** (IX-X სს.) მდებარეობს სოფელ ბზიფში, გუდაუთის მუნიციპალიტეტში. ეკლესია ბზიფის ციხის ხუროთმოძღვრული კომპლექსში შედის. თავად ბზიფის ციხე ორი ნაწილისაგან შედგება. ციხის ზედა ნაწილში მდებაროებდა ტაძარი, ქვედა ნაწილის ეზოში გადიოდა ძველი საქარავნე გზა.

ბზიფის ციხის ეკლესია ჯვარგუმბათოვანი, „ჩაწერილი ჯვრის“ ტიპისაა, სამი შვერილი აფსიდით. თლილი ქვით მოპირკეთებული კედლები შემორჩენილია მთელ სიმაღლეზე, მაგრამ უგუმბათოდ. ეკლესიის კარ-სარკმლები თავსართებითაა შემკული, რაც დამახასიათებელია ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრებისთვის. ბზიფის ტაძრის აღმოსავლეთით ჩანს კიდევ ერთი, უფრო ძველი ტაძრის ნანგრევები.

ბზიფის ციხეს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა გაერთიანებული საქართველოს თავდაცვით სისტემაში. იგი კეტავდა ჩრდილოეთ კავკასიის მეტად მნიშვნელოვანი გადასასვლელებისაკენ მიმავალ გზებს. ციხის გალავანი აგებულია კარგად დამუშავებული კირქვის კვადრებით, დატანებული აქვს ოთკუთხა და ნახევარწრიული კოშკები, კონტრფორსები და კარიბჭე.

8. **ბიჭვინთის ღმრთისმშობლის ტაძარი** (X-XI სს.) მდებარეობს დაბა ბიჭვინთაში, გაგრის მუნიციპალიტეტში. ის საქართველოს ქრისტიანული არქიტექტურის ძეგლებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ძეგლია. ბიჭვინთის ტაძრის თავდაპირველი მშენებლობა ანდრია მოციქულის სახელს უკავშირდება, რომელმაც ახ. წ. აღ-ის I საუკუნეში, აქ ქრისტიანობა იქადაგა და საყდარიც ააგო. საუკუნეების მანძილზე აქ საეპისკოპოსო კათედრა არსებობდა, რომელსაც „წმ. ანდრიას საყდრად“ მოიხსენიებდნენ. დღევანდელი გუმბათიანი ტაძარი X-XI საუკუნეების ხუროთმოძღვრულ ნიმუშს წარმოადგენს. III საუკუნის ბოლოსა და IV საუკუნის დასაწყისში ბიჭვინთა მნიშვნელოვან საეკლესიო ცენტრად იქცა, რასაც მოწმობს ბიჭვინთის ეპისკოპოსის სტრატოფილეს მონაწილეობა 325 წლის ნიკეის პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე. საუკუნეების მანძილზე ბიჭვინთაში მდებარეობდა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრი, რომელიც XVI საუკუნის შუახანებში, მთიელთა შემოსევების შემდეგ, გელათში გადმოვიდა. XVII საუკუნეში ბიჭვინთის ტაძარი მიტოვებული იყო და არ ფუნქციონირებდა. XVIII საუკუნეში ტაძარს მეხი დაეცა და ძლიერ დაზიანდა. XIX საუკუნის 30-იან წლებში რუსეთის იმპერატორის ბრძანებით ტაძარი შეაკეთეს, შეიცვალა გუმბათის ფორმა, შელესეს და შეათეთრეს ფასადები, რის გამო ნაგებობამ სახე იცვალა და დამახინჯდა. XX საუკუნის 60-იან წლებში აკადემიკოს გ. ჩუბინაშვილის რეკომენდაციით ტაძარში ჩატარდა სარესტავრაციო სამუშაოები, მოიხსნა ნალესი, გუმბათს დაუბრუნდა პირვანდელი სახე, გამოიცვალა სახურავი, მოწესრიგდა ეზო და აღდგა ტაძრის თავდაპირველი სახე. დღეს ბიჭვინთის ღმრთისმშობლის ტაძარი უმნიშვნელოვანეს საკულტო დანიშნულების ძეგლებს მიეკუთვნება.

ერთი რუსული ცნობის თანახმად, XIX საუკუნის დასაწყისში რუსული ჯარების ბიჭვინთაში შესვლის დროს, როცა გაიწმინდა ტაძართან მისასვლელი გზა, საკურთხეველზე გადაშლილი იდო შუა საუკუნეების ხელნაწერი ქართული სახარება.

ბიჭვინთის წერილობითი სიძველეებიდან ფასდაუდებელია ტაძარში აღმოჩენილი რამდენიმე ბერძნულენოვანი წარწერა, XII საუკუნის ბიჭვინთის ქართული სახარება, რომელიც მოხატულია მინიატურებით და შემკულია ორნამენტებით, XVI საუკუნის ბიჭვინთის ქართული იადგარი, ბიჭვინთის ღმრთისმშობლის ხატი (XVI ს) და ა. შ.

ბიჭვინთის ღმრთისმშობლის ხატი ევდემონ ჩხეტიძის წარწერით (1568). 1568 წელს „ყოვლისა ჩრდილოეთისა და აფხაზეთის კათალიკოზმან“ ევდემონ ჩხეტიძემ მოაჭედინა ბიჭვინთის ღმრთისმშობლის კარედი ხატი, რომლის “თავი ხატი“ გააკეთებინა ოქროსი, ხოლო სახატე ვერცხლისა და დაასვენა ბიჭვინთის ღმრთისმშობლის ტაძარში. ბიჭვინთის საკათლიკოზო რეზიდენციის გელათში გადმოტანის შემდეგ სხვა ნივთებთან ერთად ხატიც გელათში აღმოჩნდა. ხატის უკანა მხარეს მოთავსებულია ქართული წარწერა რომელიც მოგვითხრობს მისი შექმნის ისტორიას. წარწერაში დასახელებულია აფხაზეთის კათალიკოზი ევდემონ ჩხეტიძე, ოდიშის მთავრები მამია და ლევან დადიანები. კარედი ხატიდან დღეს შემორჩენილია მხოლოდ “თავი ხატი“, სახატე კი არ არსებობს. ხატი ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.

9. ბედიის სამონასტრო კომპლექსი X-XI საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების უმნიშვნელოვანესი ძეგლია. ის ოჩამჩირის მუნიციპალიტეტის სოფელ ბედიაში მდებარეობს. ბედიის სამონასტრო კომპლექსში დღეისთვის შედის ღმრთისმშობლის სახელობის ტაძარი, საეპისკოპოსო პალატი და სამრევლო. ისტორიული ცნობების თანახმად, ბედიის კომპლექსი X საუკუნის მიწურულს ააგო გაერთიანებული საქართველოს პირველმა მეფემ ბაგრატ III ბაგრატიონმა (978-1014 წწ) – მშენებლობა, დაახლოებით, 999 წელს დასრულდა. ქართველი მემატიანის მიხედვით, ბაგრატ მეფემ ბედია „შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ“.

სამონასტრო კომპლექსის მთავარ ნაგებობას წარმოადგენს ეზოს ცენტრში აგებული ბედიის ღმრთისმშობლის ტაძარი. მისგან დასავლეთით, 40 მეტრზე კარიბჭეა, სადაც მდებარეობს ტაძრის სამრეკლო, ხოლო ტაძრის სამხრეთიდან კარიბჭეს ებჯინება ბედიელ მიტროპოლიტთა სასახლე, რომელიც ორსართულიან ნაგებობას წარმოადგენს.

ტაძარი მნიშვნელოვნად გადაკეთებულა XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე და XV საუკუნეებში. სამრეკლო XIII-XIV საუკუნეების ნაგებობას წარმოადგენს, ხოლო საეპისკოპოსო პალატა XVI საუკუნეში აუშენებია ბედიელ მიტროპოლიტს ანტონ ჟუანისძეს, რაც დასტურდება პალატის ტიმპანზე ამოკვეთილი ქართული ასომთავრული წარწერით**.** ტაძრის ინტერიერში შემორჩენილია ფრესკული მხატვრობის სამი ფენა, რომლებიც X-XI, XIII-XIV და XVI საუკუნეებით თარიღდება.

ბედიის ტაძრის ფასადებზე, ინტერიერში, ფრესკებზე და საეკლესიო ნივთებზე შემორჩენილია ლაპიდარული, ფრესკული და ჭედური წარწერები, რომლებიც შესრულებულია ქართული ასომთავრული დამწერლობით და მოგვითხრობენ ტაძრის მშენებლობისა და განახლება-რესტავრაციის ამბავს. მათგან სრული სახით იკითხება თერთმეტი წარწერა. დანარჩენის მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი. წარწერებში დასახელებულია ბედიის ტაძრის ხუროთმოძღვარი სჯმეონ გალატოზთუხუცესი, კათალიკოზი ნიკოლოზ გონგლიბაჲსძე, ბედიელი მიტროპოლიტები: სოფრონ გონგლიბაჲსძე, ანტონ ბედიელი (ჟუანისძე), გერმანე ჩხეტიძე, ბედიის ტაძრის ქტიტორები მისი მშენებლობისა და შემდგომი რესტავრაციის დროს, გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III ბაგრატიონი (978-1014 წწ), ლიხთიმერეთის მეფე კონსტანტინე დავით ნარინის ძე (1293-1327 წწ), ოდიშის „დიოფალთ დიოფალი“ მარიხი და მისი ძე, ერისთავთ-ერისთავი და მანდატურთუხუცესი გიორგი დადიანი, „დიოფალი“ როდაბი და ძე მისი კახაბერი და აშ. წმინდანთა ფრესკულ გამოსახულებებთან შემორჩენილია ქართული ასომთავრული წარწერები: წმ. კონსტანტინე, წმ. ელენე, წმ. ბასილი, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი, წმ. სტეფანე, წმ. ზაქარია, წმ. ნიკოლოზი და ა. შ.

ბედიის საეპისკოპოსო შუა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს საეკლესიო და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს წარმოადგენდა. დავით აღმაშენებელმა საქართველოსა და ქართული ეკლესიის ერთიანობის სიმბოლოდ ბედიელ მთავარეპისკოპოსს სვიმეონს – ბედიელ-ალავერდელის საპატიო წოდება მიანიჭა.

მთავარეპისკოპოსმა ანტონ ჟუანისძემ ბედიის სამონასტრო კომპლექსში შექმნა შესანიშნავი წიგნთსაცავი, სადაც მიმდინარეობდა ძველ ხელნაწერთა განახლება-რესტავრაცია, საღვთისმეტყველო წიგნების თარგმნა და წიგთსაცავის შევსება ახალი ხელნაწერებით. მიტროპოლიტმა გერმანე ჩხეტიძემ ბედიის წიგთსაცავში სპეციალურად მოიწვია გამოცდილი კალიგრაფები სამხრეთ საქართველოდან. ბედიის წიგთსაცავში მოღვაწეობდნენ ცნობილი ქართველი კალიგრაფები გაბრიელ ლომსანიძე, ამბროსე კარგარეთელი და სვიმეონ ევფრატელი, იგივე გიორგისძე, რომელთა ხელნაწერების ერთმა ნაწილმა დღემდე მოაღწია.

ბედიის სამონასტრო კომპლექსი წარმოადგენს საქართველოს ერთიანობისა და განუყოფლობის სიმბოლოს. აქ დასაფლავებულია გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III და დედამისი – დედოფალი გურანდუხტი.

მონასტრის დღევანდელი მდგომარეობა: აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების მიერ ბედიის ტაძარში ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების დროს განადგურდა ბაგრატ III ბაგრატიონის ფრესკა ქართული წარწერით, რომელიც 999 წლით არის დათარიღებული.

ბედიის ბარძიმი (999 წელი). ბედიის ტაძრის კუთვნილ საეკლესიო ნივთებს შორის უმნიშვნელოვანეს ძეგლს წარმოადგენს ქართული ოქრომჭედლობის შესანიშნავი ნიმუში – ბედიის ბარძიმი. ბედიის ბარძიმი არის მრგვალი ფორმის ბავჭაღლო ოქროს თასი. მისი სიმაღლე – 12,5 სანტიმეტრი, ხოლო დიამტრი – 14 სანტიმეტრია. თასის გარე ზედაპირი დაყოფილია 12 არედ. თითოეული თაღის ქვეშ გამოსახულია წმინდანები, რომელთა შუაში ერთ მხარეს – ტახტზე მჯდომი ქრისტე ჩანს, ხოლო მეორე მხარეს ღმრთისმშობელი ყრმით ხელში. ბარძიმის შექმნისა და

რესტავრაციის ისტორია მოთხრობილია მის წარწერებში, რომლებიც ორ სხვადასხვა ეპოქას მიეკუთვნებიან. ბარძიმზე გამოქანდაკებული წმინდანებისა და მაცხოვრის გამოსახულებებთან მოთავსებულია გამოსახულების განმარტებითი ქართული წარწერები. ბარძიმის ზედა ნაწილში ამოკვეთილია ერთსტრიქონიანი ქართული ასომთავრული წარწერა**,** რომელიც მოგვითხრობს გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-ისა და გურანდუხტ დედოფლის მიერ ბედიის ტაძრისადმი ამ ძვირფასი ნივთის შეწირვის ამბავს.

ბარძიმთან კიდევ ერთი წარწერაა დაკავშირებული. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, ბარძიმს ასევე ბაჯაღლო ოქროსგან დამზადებული ფეხი – სადგარი ჰქონდა, რომელიც დაიკარგა. ბარძიმის ფეხზე ამოკვეთილი ქართული ასომთავრული წარწერა მოგვითხრობდა, რომ ოქროს ფეხი XVII საუკუნეში ბედიელი მიტროპოლიტის გერმანე ჩხეტიძის დაკვეთით გაუკეთებიათ. როგორც ჩანს, ბედიის ბარძიმისთვის სადგარი ორჯერ შემოუძარცვავთ – პირველად, XVII საუკუნეში, ხოლო მეორედ – XIX საუკუნეში. ბარძიმის ზედა მრგვალი ფორმის ნაწილი – თასი ამჟამად დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში.

10. **ლიხნის ღმრთისმშობლის მიძინების ტაძარი (**X ს.) მდებარეობს გუდაუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხნში. ტაძარი ჯვარ-გუმბათოვან ნაგებობას წარმოადგენს, რომელსაც აღმოსავლეთით სამი შვერილი აფსიდი აქვს. მოგვიანებით, ტაძრისთვის დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით ღია ეგვტერები მიუშენებიათ. ტაძრისა და ეგვტერის შიდა კედლები მთლიანად მოხატული ყოფილა. ტაძარი გარეგუნლად გამოირჩევა ფაქიზი კოლორიტით, რამდენადმე წაგრძელებული ფიგურების დინამიურობითა და ექსპრესიულობით. ლიხნის ტაძარში შემორჩენილია, როგორც X-XI საუკუნეების, ასევე გვიანი პერიოდის მოხატულობის კვალი და ქართული წარწერები. ლიხნის ტაძრის სიძველეები პირველად აღწერა ცნობილმა ფრანგმა ქართველოლოგმა მარი ბროსემ, რომელმაც ტაძრის კედლებიდან გადმოიწერა რამდენიმე ქართული წარწერა, მათ შორის, 1066 წლით დათარიღებული ცნობილი ტექსტი ჰალეის კომეტის გამოჩენის შესახებ, რომელზეც კიევის სამთავროს მატიანე და ერთ-ერთი ჩინური ქრონიკაც მოგვითხრობს. შეიძლება ითქვას, რომ ლიხნის ტაძარი ეპიგრაფიკული ძეგლების კრებულს წარმოადგენს, რადგან მის მხატვრობაში დაცულია 17-ზე მეტი ქართული ასომთავრული და მხედრული დამწერლობით შესრულებული ფრესკული წარწერა**.** წარწერებში დასახელებულია სხვადასხვა ისტორიული მოვლენები, მაღალი საერო და სასულიერო პირები, ბიბლიურ სიუჟეტთა და წმინდანთა ფრესკების განმარტებითი წარწერები. მათ შორის გაერთიანებული საქართველოს მფეები: ბაგრატ IV (1027-172), გიორგი II (1072-1089); სასულიერო პირები: ვაჩე პროტოისპათარი და იპატოსი, მწიგნობართუხუცესი და ჭყონდიდელი და ა. შ.

11.მოქვის ღმრთისმშობლის ტაძარი (X ს. სოფ, მოქვი, ოჩამჩირის მუნიციპალიტეტი) სამნავიან გუმბათოვან ეკლესიას წარმოადგენს. XI საუკუნის ქართველი მემატიანის ცნობით, აფხაზთა მეფე ლეონ III-მ (957-967 წწ) „აღაშენა ეკლესია მოქჳსა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ“.

მოქვში საუკუნეების მანძილზე არსებობდა ქართული კულტურის ძლიერი კერა, სადაც მიმდინარეობდა ხელნაწერთა გამრავლება, ძველი ნუსხების განახლება. დღემდე მოღწეულია მოქვის წიგნთსაცავის ხელნაწერები, რომლებიც გვამცნობენ მოქველ მოღვაწეთა სახელებს. მოქვის სიძველეებიდან განსაკუთრებით მაღალი ღირებულება აქვს დანიელ მოქველის თაოსნობით 1300 წელს გადაწერილ მოქვის ცნობილ ოთხთავს, რომელიც მოხატულია მდიდრულად და შემკულია მაღალი ოსტატობით შესრულებული ორნამენტებით. მოქვის ოთხთავის გადამწერი და გამფორმებელია ბერი ეფრემი**.**

მოქვის ეკლესია, რომელიც ქართული კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კერას წარმოადგენდა, მდიდარი იყო ქართული ეპიგრაფიკული ძეგლებითაც, მაგრამ დღეს მოქვის წარწერებიდან შემორჩენილია მხოლოდ სამრეკლოს XII ს. წარწერა, რომელშიც მოქველი ეპისკოპოსი გრიგოლი არის დასახელებული**.** ფრესკული წარწერებიდან ცნობილია 1659 წელს იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის მიერ მოქვის მონასტერში ნანახი წარწერა, რომელშიც საქართველოს

მეფე დავით IV აღმაშენებელი (1089 – 1125 წწ) და ბიზანტიის იმპერატორი ალექსი კომნენოსი (XII ს.) არის დასახელებული.

მოქვის ტაძარი დავით აღმაშენებლის ხანაშიც საფუძვლიანად შეუკეთებიათ და მოუხატავთ, მაგრამ ფრესკული მოხატულობის კვალი დღეს ძლივს შეიმჩნევა. წყაროები ადასტურებენ, რომ ქართული წარწერები აქ მრავლად იყო, მაგრამ ისინი მომდევნო საუკუნეებში განადგურდა. 1902 წელს თ. ჟორდანია გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ „აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის დროს განახლებულ, ან უკეთ რომ ვთქვათ გაფუჭებულ მოქვის ტაძარში უჩინონი გახდნენ ქართული წარწერანი... ქართულ წარწერას თუ სადმე მოიხელთებდნენ, ჰშლიდნენ, რყვნიდნენ და კედლებზე ჯღაბნიდნენ ბერძნულ წარწერათა“.

მოქვის საეპისკოპოსო კათედრა X საუკუნეში დაარსდა, მაგრამ მოქვი, როგორც ქართული კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი განსაკუთრებით XIII საუკუნიდან დაწინაურდა. ქართულმა წყაროებმა შემოინახეს,მოქველი ეპისკოპოსების სახელები, რომლებმაც დიდი ამაგი დასდეს ქართულ კულტურას. აქ მოღვაწეობდნენ ცნობილი ქართველი საეკლესიო პირები: გრიგოლ მოქველი, დანიელ მოქველი, აბრაამ მოქველი, ეფთვიმე საყვარელიძე, ფილიპე ჩხეტიძე და სხვები.

ღმრთისმშობლის ხატი ლეონ III აფხაზთა მეფის წარწერით (957-967). ლეონ III აფხაზთა მეფის დაკვეთით შესრულებულია წმ. ღმრთისმშობლის ხატი, რომელზეც დედა ღვთისა გამოსახულია ვედრების პოზაში. მისი ვედრება მიმართულია მაცხოვარისაკენ, რომელიც ხატის მარჯვენა კუთხეში იკითხება. მარცხენა კუთხეში გამოსახულია მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზები. ღმრთისმშობლის ფერწერული სახე XIX საუკუნეშია რესტავრირებული. ხატის ორნამენტირებული ჩარჩო მორთულია წმინდანების მინანქროვანი მედალიონებით. ხატის ქვედა არშიაზე ქართული ასომთავრული წარწერაა, სადაც მოხსენიებულია აფხაზთა მეფე ლეონ III (957-967 წწ).

მოქვის ღმრთისმშობლის ხატი ანდრია საყვარელიძის წარწერით. XVII საუკუნის 50-60-იანი წლებით დათარიღებული მოქვის ვერცხლის კარედი, რომელშიც მოთავსებულია ოქროთი შეჭედილი ღმრთისმშობლის ხატი, ჩვილედი, წარმოადგენს გვიანშუასაუკუნეების ქართული ჭედური ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშს. ხატის შუაში გამოსახულია ფეხზე მდგომარე ღმრთისმშობელი, მარჯვნივ იოანე წინამორბედი, მარცხნივ კი სტეფანე მთავარ დიაკონი. ხატი ჩასვენებულია დიდ ვერცხლით შეჭედილ კარედ ბუდეში, რომელსაც თან ახლავს მრავალრიცხოვანი ქართული წარწერები, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ხატის კტიტორის, ანდრია საყვარელიძის – მოქველი მთავარეპისკოპოსის სავედრებელი წარწერა, რომელშიც მოთხრობილია ღმრთისმშობლის ხატის მოქვის წმინდა ტაძრისადმი შეწირვის ამბავი.

12. ილორის წმიდა გიორგის ტაძარი (XI ს. I მეოთხედი; სოფელი ილორი, ოჩამჩირის მუნიციპალიტეტი) დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საეკლესიო ცენტრსა და სალოცავს წარმოადგენს. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით – „ზღვის კიდეზედ... არს ილორის ეკლესია წმიდის გიორგისა. უგუმბათო, მცირე, მდიდარი და შემკული.“

ილორის ტაძარი აგებულია ადგილობრივი ფეოდალის გიორგი გურგენისძის მიერ, რაზეც მოგვითხრობს ტაძარზე შემორჩენილი ერთ-ერთი წარწერა. აფხაზი ხელოვნებათმცოდნის ა. კაციას სიტყვებით, ილორის ეკლესია დარბაზული ტიპის ნაგებობაა, პროპორციათა მოხდენილობითა და შესრულების ტექნიკური დონით იგი ექცევა ნაგებობათა იმ წრეში, რომელშიც კარგად იკვეთება შუა საუკუნეების საქართველოს ხუროთმოძღვრულ-მხატვრული მისწრაფებანი. იგი აფსიდით დასრულებული ერთნავიანი ნაგებობაა, რომელსაც ჩრდილოეთით, სამხრეთით და დასავლეთის მხრიდან სხვადასხვა სახის მიშენება აქვს. ეკლესია ნაგებია თლილი ქვის წყობით, მას აქვს კარები დასავლეთიდან და სამხრეთიდან, ხოლო შიდა სივრცე – ინტერიერი განათებულია ექვსი სარკმელით.

ილორის ეკლესიის ფასადებზე დღემდე შემორჩენილია ქართული დამწერლობით შესრულებული ხუთი ლაპიდარული წარწერა, ხოლო მეექვსე წარწერა გადაშლილია და მხოლოდ რამდე-

ნიმე გრაფემა იკითხება. ფრესკული მოხატულობა აქ დაცული არ არის, რადგან XVII საუკუნეში ოდიშის მთავრის ლევან II დადიანის მიერ შეკეთებული და მოხატული ილორის ეკლესია, 1736 წელს ოსმალო დამპყრობლებმა დაწვეს. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ტაძრის მოხატულობა მაშინ განადგურებულა.

ილორის ტაძრის წარწერების მიხედვით, ეკლესია თავიდანვე წმინდა გიორგის სახელზე ყოფილა აგებული, ტაძრის ქტიტორები იყვნენ ადგილობრივი ფეოდალი გიორგი გურგენისძე, მთავარეპისკოპოსი გიორგი და მღვდელი გიორგი ქოჩოლავა, ტაძრის მშენებელთა შორის დასახელებულია გიორგი გალატოზი, საერო პირი მიქაელი და ა. შ.

ტაძრის დღევანდელი მდგომარეობა: ტაძარი რესტავრირებულია აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების დროს, რის შედეგად ტაძარმა დაკარგა ავთენტურობა – დაადგეს ე. წ. რუსული გუმბათი, შეთეთრებულია, როგორც ინტერიერი, ასევე ექსტერიერი, რის შედეგად აღარ იკითხება ქართული წარწერები.

ილორის ბარძიმი Xს. ილორის ვერცხლის ბარძიმი XIX საუკუნის ბოლოს იპოვეს ილორის წმიდა გიორგის ეკლესიაში. გარეგნულად ძალზე წააგავს ბედიის ბარძიმს – ზედაპირი ისევე, როგორც ბედიის ოქროს ბარძიმისა, დაყოფილია რვა ნაწილად/თაღად. თითოეულ თაღში მოთავსებულია წმინდანის ფიგურა. შუა თაღში გამოსახულია აღსაყდრებული მაცხოვარი მაღლა აღმართული მაკურთხებელი მარჯვენით, მარცხენა ხელში – სახარებით. გვერდით თაღედში გამოსახულია ქრისტესაკენ გადახრილი მთავარანგელოზები მიქაელი და გაბრიელი ბარძიმითა და ფეშხუმით ხელში. ილორის ვერცხლის ბარძიმის პირს შემოუყვება ქართული ასომთავრული წარწერა. ილორის ბარძიმის ადგილსამყოფელი უცნობია.

ილორის წმინდა გიორგის სახელობის ხატი (1572-1582 წწ). გვიან შუასაუკუნეების ქართული ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს ილორის წმინდა გიორგის ხატი, რომელიც მასზე დაცული ქართული წარწერის მიხედვით ბედიელი მთავარეპისკოპოსის კირილე ჟუანისძისა და ოდიშის მთავრის გიორგი III დადიანის (1572-1582 წწ) დაკვეთით არის დამზადებული. ხატზე აღბეჭდილია წმ. გიორგის პირველი სასწაულმოქმედების სცენა.

ხატი თავდაპირველად ბედიის მონასტერში დააბრძანეს, მაგრამ მალე ილორის წმ. გიორგის ეკლესიაში გადაასვენეს. სწორედ აქედან იწყება ამ ხატის სასწაულმოქმედების ისტორია, რომელიც დაკავშირებული იყო ხეიბრის განკურნებასთან, ბრმისთვის თვალის ახელასთან, ყრუსთვის სმენის დაბრუნებასთან და ა. შ.

1925 წელს ილორის წმ. გიორგის ხატი ტაძრიდან გაიტაცეს, მაგრამ უკან დააბრუნეს. 1936 წელს ხატი საბოლოოდ დაიკარგა, მაგრამ მისი ფოტო შენარჩუნებულია.

ილორის წმინდა გიორგის ხატი (XVII ს. 60-70 წწ.) ვერცხლის დასაკეცი, სამფრთიანი და ძეწკვით შემკობილ ხატი, რომლის წინა ნაწილზე გამოსახულია წმ. თევდორე და წმ. დემიტრი განმარტებითი წარწერებითურთ. ხატი იხსნება და შიგნით გამოსახულია ფეხზე მდგომი, საომარ ტანსაცმელში გამოწყობილი წმინდა გიორგი, რომლის გამოსახულების მარჯვნივ ვედრების ფორმაში გამოქანდაკებულია ბედიელი მიტროპოლიტი კირილე ჟუანისძე. ყველა გამოსახულებას თან ახლავს განმარტებითი წარწერა. ხატის ჩასასვენებელზე მოთავსებულია 15 სტრიქონიანი ქართული ასომთავრული წარწერა, რომელიც მოგვითხრობს ბედიელი მიტროპოლიტის კირილე ჟუანისძის მიერ ილორის ტაძრისადმი წმინდა გიორგის ხატის შეწირვის ისტორიას.

წარწერაში კირილე ჟუანის ძესათან ერთად დასახელებული არიან საერო პირები, კერძოდ, მხარის გამგებელი – ოდიშის მთავრი გიორგი დადიანი და მისი თანამეცხედრე დედოფალი თამარი. ხატი დაცულია ზუგდიდის მუზეუმში.

ანუხვის მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების ეკლესია XI საუკუნის ხუროთმოძღვრული ძეგლია. ანუხვის ეკლესიის ნანგრევებში აღმოჩენილი XI-XIV საუკუნეების ქართული ასომთავრული წარწერები მოგვითხრობენ ტაძრის მშენებლობის ისტორიის, ქტიტორებისა და, მომდევნო ეპოქებში, მისი რესტავრაციის შესახებ. ერთ-ერთი წარწერის მიხედვით ანუხვის ტაძარი

მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების სახელზე ყოფილა აგებული. XI საუკუნით დათარიღებულ ულამაზეს ქართულ კიდურწაისრულ წარწერაში, რომელიც ამოკვეთილია ანუხვის სვეტზე, დაფიქსირებულია ამ ეპოქის აფხაზეთის მსხვილი ფეოდალური სახლის წარმომადგენლები, ანუხვის ტაძრის ქტიტორები: გიორგი ბასილის ძე, მისი მამა – ბასილი, ძმები თეოდორე, დემეტრე და მერკილე, რომლებმაც აღმართეს ჯვარი და ააგეს ანუხვის ტაძარი თავისი ოჯახის წევრების სულის საოხად.

ანუხვის ტაძრის შესანიშნავი ხუროთმოძღვრული სტილი, ორნამენტები, ჩუქურთმა და წარწერების ფორმები მეორდება საქართველოს სხვა რეგიონების არქიტექტურაში. საყურადღებოა ულამაზესი ხელოვნებითი დამწერლობით შესრულებული გიორგი ბასილის ძის კიდურწაისრული წარწერა, რომლის ანალოგები გვაქვს სვეტიცხოვლის, სამთავისის, ალავერდის, ნიკორწმინდისა და შიომღვიმის ლაპიდარულ წარწერებში.

14. *თამარის (ბესლეთის) ხიდი* *(X- XI სს. მიჯნა)* მდებარეობს სოხუმის მახლობლად, მდინარე ბესლეთის კალაპოტზე. ის ერთმალიანი თაღოვანი ხიდია, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები თამარის ხიდს უწოდებენ. ხიდის საერთო სიგრძე არის 35 მეტრი, სიგანე – 8 მეტრი. იგი აგებულია კირქვის ფილებით, მოპირკეთებულია ქვის თლილი ბლოკებით, მათ შორის დაყოლიებულია ბრტყელი აგურის შრეები. ნ. ჩუბინაშვილის განცხადებით, ხიდი წარმოადგენს შუა საუკუნეების ქართულ ნაგებობას, რომლის ხუროთმოძღვარს კარგად ჰქონდა შესწავლილი ამ მდინარის თვისება. ეს ძველი ხიდი თანამედროვე ხიდთამშენებლობის კანონებსაც კი სრულიად აკმაყოფილებს და 8 ტონიანი მანქანების უწყვეტი რიგის სიმძიმის ატანაც კი შეუძლია. ასეთი მძლავრი და ტექნიკურად მაღალხარისხოვანი ხიდი დიდ სავაჭრო და პოლიტიკური მნიშვნელობის გზაზე უნდა მდგარიყო. ბესლეთის ხიდის ანალოგები საქართველოს სხვა კუთხეებშიც გვაქვს. კერძოდ, რკონის თაღოვანი ხიდი ქართლში, დონდალოს ხიდი აჭარაში, თაროვანი ხიდების მთელი კასკადი ისტორიულ სამხრეთ საქართველოში (ტაო-კლარჯეთში). თაღოვანი ხიდის დასავლეთ კიდეზე მოთავსებულია ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, რომელიც მოგვითხრობს: „ქ(რისტ)ე [მეუფ(ე)ო] ყ(ოველთ)ა [ად]იდე ორთავე ს(უ)ფ(ე)ვათა უ[ძლეველი] [მეფეთა მეფე ბაგრატ]“**.** მიუხედავად იმისა, რომ წარწერაში დასახელებულია მეფე ბაგრატი, ხალხმა, თამარ მეფისადმი დიდი სიყვარულის დასტურად, მას თამარის ხიდი შეარქვა. წარწერაცა და ხიდიც X საუკუნის მიწურულითა და XI საუკუნის დასაწყისით თარიღდება.

ძეგლის დღევანდელი მდგომარეობა: ხიდი გასუფთავებულია მცენარეული საფარისაგან. ქართული ასომთავრული წარწერის ნაშთის ნაწილი შენარჩუნებულია.

15. დიხაზურგის ეკლესია (XI ს.; სოფ. დიხაზურგა, გალის მუნიციპალიტეტი) აფხაზეთის მთისწინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. სოფელი დიხაზურგა, რომელსაც 1952 წლამდე „დიდი წიფური“ ეწოდებოდა, მოხსენიებულია იტალიელი კათოლიკე მისიონერის არქანჯელო ლამბერტის ისტორიულ თხზულებაში და 1654 წლის რუკაზე. ამავე რუკაზე დატანილია სოფლის ეკლესიაც. „წიფურიას მონასტერი – წერდა ლამბერტი, – აშენებულია ვაკეზე, ენგურის ნაპირად. ეს მონასტერი ახლა ჩვენების ხელშია. აქ არის ორი ეკლესია ერთად შეერთებული, რომელთაგან ერთი ღმრთისმშობლის სახელობაზეა და მეორე წმინდა გიორგისაზე“.

ამჟამად დიხაზურგაში არსებული ეკლესიის ნანგრევებს წმ. ბარბარეს ეკლესიას უწოდებენ. XX საუკუნის დასაწყისში ამ ეკლესიის ნანგრევებში გლეხებმა იპოვეს ქვის ორი ფილა. ერთ-ერთზე გამოსახულია ჯვარი, რომლის მარცხენა მხარეს ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ მკლავებს შორის მთელი ტანით წარმოდგენილია მამაკაცის გამოსახულება. მამაკაცს ხელები ვედრების ნიშნად ჯვრისაკენ აქვს მიმართული. ჯვრის ვერტიკალური მკლავების ზემოთ და მარჯვენა უბეში ამოკვეთილია მხედრული ანბანით შესრულებული წარწერა, რომელშიც დიხაზურგის ტაძრის ხუროთმოძღვარი გრიგოლ გალატოზთუხუცესია დასახელებული. წარწერა წარმოადგენს მხედრული დამწერლობის ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ ნიმუშს დასავლეთ საქართველოში.

16. გუდავის ეკლესია (გალის მუნიციპალიტეტი). ბიზანტიური წყაროების თანახმად, გუდავა უძველესი დროიდან წარმოადგენდა მნიშვნელოვან საეკლესიო ცენტრს. აქ მდებარეობდა ზიგანისის ციხე, რომელიც ლაზიკის სამეფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს სიმაგრეს წარმოადგენდა. VII-X საუკუნეებში ლაზიკის 4 საეპისკოპოსო კათედრიდან ერთ-ერთი გუდავაში იყო. ცნობილია, რომ გაერთიანებული საქართველოს პირველმა მეფემ ბაგრატ III ბაგრატიონმა (978-1014 წწ) მოშალა გუდავის საეპისკოპოსო, როგორც ბერძნული საეკლესიო ცენტრი და შექმნა ბედიის ქართული საეპისკოპოსო კათედრა.

გუდავის ეკლესია თავდაპირველად აგებული უნდა იყოს VII-X საუკუნეებში, მაგრამ განვითარებულ და გვიან შუასაუკუნეებში რამდენჯერმე მნიშვნელოვანი გადაკეთება – რესტავრაცია განიცადა. გუდავის ეკლესიის რესტავრაცია XV საუკუნეში დაკავშირებულია ადგილობრივი ფეოდალის რაბაჲასა და მისი მეუღლის ნიგამწირას სახელთან, რომლებიც დასახელებული არიან გუდავის ეკლესიის ეზოში აღმოჩენილ საამშენებლო ქვის ორნამენტირებულ ფილაზე. ფილის მეორე მხარეს ჯვარი ყოფილა გამოსახული. ორნამენტის შიგნით მოთავსებულია სამსტრიქონიანი ქართული ასომთავრული წარწერა, რომელშიც ეკლესიის ქტიტორები რაბაჲ და ნუგამწირა იხსენიებიან. იქვე ამოკვეთილია მეორე წარწერა, რომელშიც ტაძრის დეკანოზის სახელი იკითხება. ორივე წარწერა და ეკლესიის რესტავრაციაც დათარიღებულია XV საუკუნით.

17. ანაკოფიის ციხე. სოხუმიდან 20 კმ. დაშორებით, ივერიის მთის ერთ მონაკვეთზე მდებარეობს ისტორიული ანაკოფია, რომელსაც XIX საუკუნეში ახალი ათონი უწოდეს. ამ მთაზე, ზღვის დონიდან 350 მეტრზე, აღმართულია ანაკოფიის ციხე-სიმაგრის ციტადელი. ქართველი მემატიანის ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვებით: „ზღვის კიდეზე არს ქალაქი ანაკოფია... იყო ქალაქი კეთილი შუენიერი ზღვასა ზედა აშენებული და შემდგომად ბაგრატიონთაგან განდიდებული“.

ანაკოფიის ციხე-სიმაგრე ქვის გალავნით შეკრულ, შეუვალ თავდაცვით ნაგებობას წარმოადგენდა. დღემდე შემორჩენილია ციხის გრანდიოზული კედლები სამეთვალყურეო კოშკებით, საალყო აუზითა და კირის გამოსახდელი ღუმელით. ციხე-სიმაგრის მნიშვნელოვან ნაგებობას წარმოადგენს ანაკოფიის ტაძარი, რომელიც VII-VIII საუკუნეებით თარიღდება. მის ნანგრევებში ახლაც შეინიშნება შედარებით გვიანი პერიოდის შესანიშნავი ჩუქურთმის ნაკვალევი.

VIII საუკუნის 80-იან წლებამდე ანაკოფია აფხაზთა საერისთავოს ცენტრს წარმოადგენდა. 735-38 წლებში, ქართლის ერისმთავრების მირისა და არჩილის და აფხაზთა ერისთავის ლეონ I-ის გაერთაინებულმა ლაშქარმა ანაკოფიასთან დაამარცხა არაბი სარდალი მურვან-ყრუ (იგივე, მერვან იბნ-მუჰამედი. შემდეგში, ომაიანთა დინასტიის უკანასკნელი ხალიფა – 744-750 წწ.), რომელიც იძულებული გახდა საქართველოდან წასულიყო. VIII საუკუნის მიწურულს აფხაზთა ერისთავმა ლეონ II-მ თავი ჯერ მთავრად, ხოლო შემდეგ აფხაზთა მეფედ გამოაცხადა. მან მთელი დასავლეთ საქართველო გააერთიანა და აფხაზთა სამეფოს დედაქალაქი ანაკოფიიდან ქუთაისში გადმოიტანა.

საქართველოს გაერთიანების შემდეგ ანაკოფიის ციხე-სიმაგრე ქვეყნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფორტიფიკაციო ნაგებობას წარმოადგენდა და რამდენჯერმე განახლდა ხელისუფლების მიერ. აქ საქართველოს სამეფო ჯარი იდგა, რომელიც ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ საზღვარს იცავდა. ანაკოფიის ციხე-სიმაგრის გათხრების დროს აღმოჩდა საქართველოს მეფის გიორგი II-ის (1072-1089 წწ.) მონეტა წარწერით: „ქრისტე! ადიდე გიორგი აფხაზთა და ქართველთა მეფე და კეისარი“. გიორგი II-ის დროს ანაკოფიის ციხესიმაგრემ საფუძვლიანი განახლება განიცადა. ანაკოფიის ციხიდან ცნობილია რამდენიმე ბერძნული წარწერა, მათ შორის არის რამდენიმე შუასაუკუნეების გრაფიტო, რომლებსაც, ძირითადად, საკულტო დანიშნულება აქვთ.

მას შემდეგ, რაც XV საუკუნის მიწურულს საქართველოს სახელმწიფო სამეფო-სამთავროებად დაიშალა ანაკოფია ჯერ აფხაზთა ერისთავების, ხოლო მოგვიანებით აფხაზთა მთავრების რეზიდენციას წარმოადგენდა. XVIII საუკუნეში ანაკოფიას თურქები დაეუფლნენ და აფხაზთა

მთავრების რეზიდენციამ ლიხნში გადაინაცვლა. ამის შემდეგ ანაკოფია ნანგრევებად იქცა და მას აფხაზებმა „ფსირცხა“ უწოდეს.

1876-1900 წლებში, რუსული მმართველობის დროს, ისტორიული ანაკოფიის ტერიტორიაზე აიგო წმ. პანტელეიმონის სამონასტრო კომპლექსი, როგორც ათონის მთის რუსული მონასტრის ფილიალი. სწორედ ამ დროს ეწოდა ანაკოფიას ახალი ათონი.

როგორც ვხედავთ, ზემოთ ჩამოთვლილი კულტურის ძეგლები შექმნილია *ეგრის-აფხაზეთის („აფხაზთა“) სამეფოს* (VIIIს. 90-იანი წწ. – X ს. 70-იანი წწ.) და *გაერთიანებული საქართველოს* (X-XV სს.) სახელმწიფოებრივი აღმავლობის ხანაში და წარმოადგენს ქართველი და აფხაზი ხალხის საერთო კულტურულ მემკვიდრეობას.

ბ) ქართულ-აფხაზური ლიტერატურული ურთიერთობები[45]

XX საუკუნის აფხაზეთის ლიტერატურა წარმოდგენილია, როგორც ქართული, ასევე აფხაზური მწერლობითა და პოეზიით. 1992-1993 წლების ომამდელ აფხაზეთში ეს იყო ორი მძლავრი შტო ერთი დიდი დინებისა, რომელსაც ამ ეპოქის საქართველოს მწერლობა ჰქვია.

საუკუნეების მანძილზე აფხაზი და ქართველი ხალხების თანაცხოვრების წესმა, საერთო კულტურულ-ისტორიულმა სივრცემ, კულტურული მემკვიდრეობის საერთო მონაპოვარმა საფუძველი ჩაუყარა აფხაზურ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობებს, კულტურული ფასეულობების ერთიან ისტორიულ სივრცეში აღქმასა და შეფასებას. ბუნებრივია, ახლად ჩამოყალიბებულმა აფხაზურმა ლიტერატურამ ბევრი რამ აიღო მრავალსაუკუნოვანი და მრავალფეროვანი ქართული ლიტერატურისაგან, რომლის წიაღში ფაქტობრივად იშვა აფხაზური ლიტერატურა. ის გავლენა, რომელსაც ძველი ქართულისგან განიცდიდა აფხაზური ლიტერატრა განპირობებული იყო მრავალი ფაქტოროთ, უპირველესად კი, საერთო კულტურულ-ისტორიული ფესვებით, ქართული ლიტერატურისა და მთლიანად ქართული კულტურის დიდი გავლენით აფხაზური საზოგადოების თვითიდენტიფიკაციის პროცესში. ეს ღიად ჩანდა, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში – გიორგი შარვაშიძის პოეზიასა და პროზაში, დავით ჩქოტუას შემოქმედებაში, არზაყან ემხვარის პუბლიცისტიკაში და ა. შ. მათი შემოქმედება ქართული ლიტერატურის ბუნებრივ და ღვიძლ ნაწილად ითვლება. მომდევნო პერიოდის აფხაზმა მწერლებმა დიმიტრი გულიამ, ბაგრატ შინქუბამ, ივანე თარბამ, ბორის გურგულიამ, ნელი თარბამ, იუა კოღონიამ და სხვებმა განათლება თბილისში მიიღეს. ბუნებრივია, რომ მათ შემოქმედებაზე დიდი გავლენა იქონია უძველესმა ქართულმა მწერლობამ და ქართულმა კულტურამ. საქართველოსა და თბილისის თემატიკას, როგორც მათი სამშობლოს განუყოფელ ნაწილს, ფართო ადგილი უჭირავს აღნიშნული პოეტების შემოქმედებაში. აფხაზურ ლიტერატურას ამშვენებენ ისეთი სახელები როგორიცაა მუშნი ლასურია, ივანე პაპასქირი, ტაიფ ავჯბა, შალოდია აჯინჯალი, გიორგი გუბლია, ალექსი გოგუა, ჯუმა ახუბა, პლატონ ბებია, დაურ ზანთარია და ა. შ. მნიშვნელოვანია ეთნიკურად აფხაზი რუსულენოვანი მწერლების გიორგი გულიასა და ფაზილ ისქანდერის შემოქმედებაც.

აფხაზური ლიტერატურის წარმოქმნას, ისევე, როგორც ყველა კავკასიელი ხალხების ლიტერატურასას, წინ უსწრებდა მეტად მდიდარი და მრავალფეროვანი ზეპირსიტყვიერების არსებობა, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ცნობილი აფხაზი მწერალი და ენათმეცნიერი ხუხუტი ბღაჟბა წერდა: „ ყველაზე დიდი როლი აფხაზური ლიტერატურის აღმოცენებაში ითამაშა თვით აფხაზეთის ცხოვრებამ თავისი ნაციონალური ტრადიციებით, ეპოსით, სიმღერებით, ზღაპრებით, ლეგენდებით, და გადმოცემებით“.. „ნართული ეპოსიდან, აბრსკილზე ლეგენდიდან საისტორიო – საგმირო სიმღერებიდან ნასესხები ფოლკლორულის სიუჟეტები და მოტივები გამოყენე-

45 **აფხაზური ლიტერატურა** (მოკლე ნარკვევი) თბ., 1975; **ტ. მოსია,** ნარკვევები აფხაზური ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 2013; აფხაზეთის ქართული მწერლობის ისტორიიდან, რედაქტორი ტიტე მოსია, თბ., 2014; **ტ. მოსია,** გიორგი შარვაშიძის ლიტერატურულ-კულტურული მემკვიდრეობა, თბ., 2012; **ო. ჭურღულია,** სიტყვა ფიქრის სხეულია, თბ., 1992.

ბულია აფხაზური ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებში, უფრო მეტად კი პოეზიაში. ამას ადასტურებს *ბაგრატ შინქუბას* რომანი ლექსად „კლდის სიმღერა“, *ჭიჭიკო ჯონუას* პოემა „ნართ სასრიყვი“, *ვლადიმერ ანქვაბის* საყოველთაოდ აღიარებული პოემა „აბრსკილი“ და სხვა.

აფხაზ ხალხს საინტერესო ფოლკლორი მოეპოვება. მასში წარმოდგენილია სხვადასხვა სახისა და ჟანრის ნაწარმოებები, საწესჩვეულებო პოეზია, ნადირობის სიმღერები, ბატონების მოსაოხი და საოჯახო სიმღერები, იავნანა, საქორწილო სიმღერები, შელოცვები, ანდაზები, გამოცანები, ენის გასატეხები და ა. შ. აფხაზებში, ისევე როგორც ყველა სხვა ხალხებში გავრცელებულია მითები სამყაროს შექმნის შესახებ, ბუნებრივი მოვლენებისა და ღმერთების შესახებ. ცნობილია აფხაზური ფოლკლორის ისეთი შედევრები როგორიცაა ნართების საგმირო ეპოსი, იგი გავრცელებულია აფხაზთა უახლოეს მონათესავე ხალხებში (ადიღელებში, ყაბარდოელებში, უბიხებში, ინგუშებსა და ჩეჩნებში. ასევე საინტერესოა აფხაზური აბრსკილის თქმულება, რომელიც ქართული ამირანის მსგავსი გმირის აბრსკილის შესახებ მოგვითხრობს. აფხაზური ფოლკლორითა და ზეპირსიტყვიერებით დღემდე იკვებევა აფხაზური მხატვრული ლიტერატურა.

მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურისა და წერილობითი კულტურის დაბადება ზოგადად ანბანის წარმოშობას უკავშირდება, პირველი აფხაზური ანბანის წარმოქმნა XIX საუკუნის 60-იან წლებში ვერ გახდა აფხაზური ლიტერატურის წარმოქმნის საფუძველი, რადგან აფხაზური ანბანის ფორმირებისა და ცვლილებების ხანგრძლივ პერიოდში აფხაზურ ენაზე, აფხაზური დამწერლობით მხოლოდ რამდენიმე საანბანო წიგნი გამოქვეყნდა.

ითვლება, რომ ეთნიკურად პირველი აფხაზი მწერალი აფხაზეთის სამთავრო სახლის წარმომადგენელი ***გიორგი მიხეილის ძე შარვაშიძე*** იყო, რომელიც სამოღვაწეო ასპარეზზე XIX საუკუნის 60-იან წლებში გამოვიდა. მაგრამ იგი ქართულ ენას, აფხაზურთან ერთად მშობლიურ ენად თვლიდა და მხატვრულ ნაწარმოებებსაც მხოლოდ ქართულ და ზოგჯერ რუსულ ენებზე წერდა. შესაბამისად, იგი ვერ ჩაითვლება აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებლად. აფხაზური ლიტერატურის ნამდვილი ფუძემდებელი არის ***დიმიტრი გულია,*** რომელმაც 1912 წელს თბილისში პირველად აფხაზურ ენაზე გამოსცა ლექსების წიგნი, სწორედ ამ წიგნმა ჩაუყარა საფუძველი აფხაზური ლიტერატურის ისტორიას. დიმიტრი გულიას შემოქმედებაც ემყარებოდა აფხაზურ ზეპირსიტყვიერებას.

დიმიტრი გულია დაიბადა 1874 წელს, სწავლობდა გორის საოსტატო სემინარიაში, რომლის დასრულების შემდეგ ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. წლების მანძილზე თბილისში ცხოვრობდა, მან ბავშვობიდან იცოდა ქართული ენა და კარგად იცნობდა ქართულ ლიტერატურას. მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებასა და მხატვრული გემოვნების განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინეს ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა.

1924-1926 წლებში ივანე ჯავახიშვილის მიწვევით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასწავლიდა აფხაზურ ენას. მან თავის შემოქმედებითა და საქმიანობით დიდი ღვაწლი დასდო აფხაზურ კულტურას. კ. მაჭავარიანთან ერთად რუსული გრაფიკის საფუძველზე შეადგინა „აფხაზური ანბანი“. პირველი ლიტერატურული კრებულები გამოსცა თბილისში (1912, 1913 წწ). 1919-1920 წლებში იყო პირველი აფხაზურენოვანი გაზეთის „აფსნი“-ს დამაარსებელი და რედაქტორი. მის კალამს ეკუთვნის არაერთი მაღალმხატვრული პროზაული ნაწარმოები. ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას, აფხაზურად თარგმნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ლექსები. დ. გულია არის ავტორი შრომებისა აფხაზეთის ისტორიის საკითხებზე. მისი ისტორიული შეხედულებები ჩამოყალიბებულია 1951 წელს გამოცემულ ბროშურაში „ჩემი წიგნის „აფხაზეთის ისტორია“-ს შესახებ,“ სადაც იგი წერდა: *„მრავალრიცხოვანი ისტორიულად შემოწმებული ფაქტები უცილობლად მეტყველებენ, რომ აფხაზები ყოველთვის ქართველებთან ერთად ცხოვრობდნენ საერთო ისტორიული და კულტურული ცხოვრებით, რომ აფხაზები, კაცმა რომ თქვას, იგივე ქართველები არიან“.*

დიმიტრი გულიას უმცროსი თანამედროვე იყო აფხაზი პოეტი ***იუა კოლონია,*** რომელიც 1904 წელს დაიბადა სოფელ კვიტოულში (ახლა ოჩამჩირის მუნიციპალიტეტი), მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აფხაზური ეპიკური ჟანრის პოეზიის განვითარებაში. 1915-1927 წლებში გამოქვეყნდა მისი პოემები „ზოსჰან აჩბა და ჟან ბეთლანის შვილები“, „ნავეი და მზეჭაბუკი“, „მონადირე და ხმიჭი“, ალბათაა ბესლანიჩი“, და სხვა. იუა კოლონიას პოემები გამოირჩევა ჰეროიკული და ოპტიმისტური სულისკვეთებით უსამართლობისა და ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლი, მაღალი სულისკვეთებისა და კეთილშობილებით სავსე ეპიკურ გმირთა სახეებით. მის შემოქმედებაში მხატვრულად არის ასახული აფხაზური და ქართული ფოლკლორის მოტივები.

აფხაზური მწერლობის მიმოხილვისას გვერდს ვერ ავუვლით აფხაზური დრამატურგიის ფუძემდებელსა და საზოგადო მოღვაწეს **სამსონ იაკობის ძე ჭანბას** (1886_1937 წწ.), რომელიც 1919-1921 წლებში იყო აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრი, თუმცა იდგა ანტიქართულ პოზიციაზე და ეწინააღმდეგებოდა დიმიტრი (არზაყან) ემხვარისა და მისი მეგობრების მცდელობას აფხაზეთი ავტონომიის სახით შესულიყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში. სამსონ ჭანბა 1921-1925 და 1930-1932 წლებში იყო საბჭოთა აფხაზეთის განათლების მინისტრი და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე. ხოლო 1934-37 წლებში აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე. იგი ითვლება პირველ აფხაზ დრამატურგად, რომლის ნაწარმოებები დაიდგა სოხუმის ქართული დასის სცენაზე. 1928 წელს სოხუმის ქართულ თეატრში გაიხსნა აფხაზური სექტორი, 1929 წელს ჩამოყალიბდა აფხაზური დრამატული სტუდია, ხოლო 1930 წელს სამსონ ჭანბამ ოფიციალურად გახსნა აფხაზური თეატრი სანდრო შანშიაშვილის პიესით „ანზორი“. მან შექმნა პირველი აფხაზური რევოლუციურ-რომანტიკული დრამა აფხაზურ ლიტერატურაში „ხანუმა -აფხაზეთი“ (ქართული „ხანუმას“ გავლენით). ამას მოჰყვა შემდეგი ნაწარმოებები: „მთის ასული“, „მაჰაჯირები“ „სეიდიყი“ და სხვა. ითვლება, რომ სამსონ ჭანბამ აფხაზური დრამატურგიის გარდა, რომანის ჟანრსაც ჩაუყარა საფუძველი. დღეს მის სახელს ატარებს სოხუმის აფხაზური დრამატული თეატრი.

აფხაზ მწერალთა შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს **ბაგრატ ვასილის ძე შინქუბას.** იგი იყო მწერალი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე, შეიძლება ითქვას აფხაზური პოეზიის ერთერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი. დაიბადა 1917 წლის 29 აპრილს ოჩამჩირის რაიონის სოფ. ჭალაში (ჭლოუ). სწავლობდა სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტში. 1953-1958 წლებში იყო აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა XX საუკუნის 30-იან წლებში: წერდა ლექსებს, პოემებს, მოთხრობებს, რომლებიც გამოირჩეოდა ეროვნული თვითმყოფადობით. მის პოეზიაში დიდი ადგილი უჭირავს ლექსების ციკლს საქართველოზე, ქართველთა და აფხაზთა მრავალსაუკუნოვან ტრადიციულ ურთიერთობებს. მისი შემოქმედებიდან აღსანიშნავია რომანი „უკანასკნელი უბიხი“, რომელშიც მხატვრულად არის აღწერილი XIX საუკუნეში რუსეთის მიერ უბიხთა გადასახლების ტრაგიკული ისტორია. ძალზე პოპულარულია მისი ლექსების ციკლი „ჩემი თანამემამულენი“, „კლდის სიმღერა“, „გაპობილი ქვა“ და სხვები. ბაგრატ შინკუბას შემოქმედება თარგმნილია ქართულად და რუსულად. ბაგრატ შინკუბა 1958-1978 წლებში იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

აფხაზი მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე **ხუხუტ სოლომონის ძე ბღაჟბა** დაიბადა 1914 წლის 15 ოქტომბერს. მისი სამეცნიერო წარმატებები დაკავშირებულია თბილისთან, სადაც ჩამოყალიბდა კვალიფიცირებილ მეცნიერ-აფხაზოლოგად. მან თბილისში დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. არის მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის საყურადღებოა ნაშრომი „დამწერლობის ისტორიიდან აფხაზეთში“, რომელშიც პირველად საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით არგუმენტირებულად დაასაბუთა, რომ აფხაზეთში სადამწერლობო კულტურა მხოლოდ ქართული იყო. ხუხუტი ბღაჟბა წლების მანძილზე სათავეში ედგა აფხაზეთის მწერალთა კავშირს, შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. გულიას სახე-

ლობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტს, იყო ამავე ინსტიტუტის ლიტერატურისა და ფოლკლორის განყოფილების გამგე. ხელმძღვანელობდა გაზეთ „აფსნი ყაფშის“ და ა.შ. ხუხუტი ბღაჟბა იკვლევდა აფხაზურ ლიტერატურას, ფოლკლორსა და აფხაზური ენის დიალექტებს. მან შეკრიბა და გამოსცა აფხაზური ზღაპრები, თქმულებები და იგავები. მის კალამს ეკუთვნის ცნობილი ნაშრომები „აფხაზური ენის ბზიფური დიალექტი“, „დიმიტრი გულია“, „ეტიუდები და გამოკვლევები“ და ა. შ.

აფხაზურ მწერლობასა და ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში განსაკუთრებული კვალი დატოვა ცნობილმა აფხაზმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ, **ივანე თარბამ,** რომელიც 1921 წელს დაიბადა სოფელ ბესლახუბაში (ოჩამჩირის მუნიციპალიტეტი). 1947 წელს დაამთავრა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი და მალევე გამოჩნდა სამწერლო ასპარეზზე. მუშაობდა ჟურნალისტად გაზეთებში „აფსნი ყაფშსა“ და „საბჭოთა აფხაზეთში“. ივანე თარბას პოეზია გამთბარია სამშობლოსადმი განსაკუთრებული სიყვარულითა და სითბოთი, ადამიანისა და ბუნებისადმი გამორჩეული დამოკიდებულებით. ერთ-ერთი ლექსის „მზე ჩვენთანაა მუდამ“ გავლენით , მას „მზის კაცი“ შეარქვეს: ***„მე და მზეს გზები ერთი გვქონია, და კიდევ რაღაც უფრო საერთო,// ჰოდა***, ***მე და მზე***, ***ასე მგონია***, ***ვერსად ვერ გავძლებთ უერთმანეთოდ“***. გალაქტიონ ტაბიძის პოეზიის გავლენითაა შექმნილი ივანე თარბას შესანიშნავი ლექსი „აფხაზეთო ჩემო“, რომელიც განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს საქართველოში და მასზე ცნობილი სიმღერაც კი შეიქმნა: ***„აფხაზეთო ჩემო, ჩემო ტკბილო დედავ,// მაპატიე ისევ თუ სიმღერას ვბედავ.../. სულ პატარა ზღვაო, სულ პატარა მიწავ// შენს დღესა და ღამეს, ჩემი სულთქმით ვიცავ....// აფხაზეთო ჩემო, ჩემო ტკბილო დედავ, ქვეყნის ყოველ კუთხეს შენი თვალით ვხედავ“.*** ივანე თარბა არის ლექსებისა და პოემების კრებულების ავტორი. მისი შემოქმედებიდან ფასდაუდებელია ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა: „ორი ზღვა“, „ლექსები და პოემები“, „აფხაზეთო ჩემო“, „მთიდან მთამდე“, „ლექსები“, „შუადღის გზებზე“, „სიმღერიდან სიმღერამდე“. ივანე თარბას კალამს ეკუთვნის რომანები „ცნობილი კაცი“ და „მზე ჩვენთან იღვიძებს“, „დედის თვალები“. ივანე თარბა ცნობილია, როგორც საბავშვო – საყმაწვილო პოეზიის ავტორიც – მისი საბავშვო ლექსები პოპულარობით სარგებლობს ქართველ მკითხველშიც. ივანე თარბა წლების მანძილზე იყო აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, აფხაზეთის განათლების მინისტრი და ა. შ. შემოქმედება თარგმნილია ქართულ და რუსულ ენებზე. გარდაიცვალა 1994 წელს სოხუმში.

საქართველოს რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მოღვაწე, ცნობილი აფხაზი მწერალი **ივანე პაპასკირი დაიბადა** დაიბადა ოჩამჩირის რაიონის სოფ. კვიტოულში. 1928-1929 წლებში სწავლობდა ლენინგრადის (ახლა სანკტ-პეტერბურგის) აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ მუსაობდა გაზეთ „აფსნი ყაფშში“. პარალელურად ეწეოდა სამწერლო მოღვაწეობას. ითვლება, რომ მან თავისი რომანებითა და პუბლიცისტური წერილებით სათავე დაუდო აფხაზური სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებას, რადგან იგი არის აფხაზურ მხატვრულ ლიტერატურაში არის სოციალური თემატიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი. აფხაზურ ლიტერატურაში ცნობილია მისი რომანები „ტემირი“, „ხანგრძლივი სიცოცხლისათვის“, „ერცახუს ფეხქვეშ“, „ქალის ღირსება“ და სხვა. იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი. გარდაიცვალა 1980 წელს. 1981 წელს მისი სახელი მიენიჭა აფხაზეთის ა/რ ბიბლიოთეკას.

აფხაზურ ლიტერატურაში გამორჩეული ადგილი უჭირავს პოეტსა და მთარგმნელს **მუშნი ლასურიას,** იგი ცნობილია, როგორც შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ აფხაზურად მთარგმნელი. დაიბადა 1938 წელს. 1979 წლიდან იყო აფხაზეთის ა/რ-ის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, დღეს არის აფხაზეთის პოეტთა ასოციაციის თავმჯდომარე. მისი პოეტური კრებულებიდან აღსანიშნავია: „იმედი“, „აბრეშუმის სახლი“, „წყალთა მეუფე“, „ჩანჩქერების დილა“, „მთესველი“ და ა.შ. მისი პოეზიის ძირითადი თემებია სამშობლო, ბუნება, სიყვარული. მუშნი ლასურიას პოეზია გამოირჩევა ფორმათა მრავალფეროვნებით. განსაკუთრებით

მრავალრიცხოვანი ლექსები მიუძღვნა მან საქართველოს, რომელსაც ერთ-ერთ ლექსში „საფიცარ სამშობლოს“ უწოდებს. „ვეფხისტყაოსნის“ თაგმანისათვის, დაჯილდოვებულია საქართველოს ერთ-ერთი უმაღლესი ჯილდოთი – შოთა რუსთაველის სახელობის პრემიით. მუშნი ლასურიას კალამს ეკუთვნის ირაკლი აბაშიძის, გიორგი ლეონიძის, შოთა ნიშნიანიძის, პოეზიის აფხაზური თარგმანები. მანვე თარგმნა ჯორჯ ბაირონის, ალექსანდრე პუშკინისა და მიხეილ ლერმონტოვის შემოქმედება აფხაზურ ენაზე. მუშნი ლასურიას პოეზია თარგმნილია ქართულ, რუსულ და სხვა ენებზე.

რაც შეეხება აფხაზეთის ქართველ მწერალთა შემოქმედებას, ბუნებრივია, ისევე როგორც აფხაზური ლიტერატურა, ის სათავეს მრავალსაუკუნოვანი და მრავალფეროვანი ქართული მწერლობიდან იღებს. როგორზ ზემოთ აღვნიშნეთ აფხაზეთის ქართული მწერლობის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი არის ეთნიკურად აფხაზი გიორგი შარვაშიძე, რომელიც საქართველოს ***„ჩემს სამშობლო ივერიას“*** უწოდებდა და ბუნებრივია ჩვენ, XX საუკუნეში ვერ შევცვლით ამ ღირსეული ადამიანის კულტურული იდენტობის მაჩვენებლებს. ერთ-ერთი პირველი ვინც აფხაზეთიდან სამწერლობო ასპარეზზე გამოდის არის სამურზაყანოელი ივანე გეგია, რომლის ლექსები ცნობილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ ზაქარია ჭიჭინაძემ შეიტანა 1885 წელს გამოქვეყნებულ კრებულში „ციცინათელა“, 1890 წელს ივანე გეგიამ თბილისში გამოაქვეყნა საკუთარი კრებული „ლექსთა კონა, თქმული ივანე გეგიას მიერ“, რომელშიც შევიდა პოეტის ლექსები, და თარგმანები, ეს. იყო მის სიცოცხლეში გამოქვეყნებული პირველი და უკანასკნელი კრებული. თუმცა წერდა ლექსებს, მოგინებებს, ანდაზებს, და აფორიზმებს. 2011 წელს მისი კრებული „გაზაფხულის მოლოდინში“ გამოსცა პროფესორმა ოთარ ჟორდანიამ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს აფხაზეთელი ქართველი ლიტერატორი, ეთნოგრაფი და პედაგოგი **პეტრე გიორგის ძე ჭარაია**, რომელიც დაიბადა 1861 წლის 12 ივნისს სოფ. ეშქეთში (იოჩამჩირის მუნიციპალიტეტი). სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომლის დამთავრების შემდეგ სამუზაყანოში მასწავლებლად მუშაობდა. რუსეთის მიერ დაწყებული ანტიქართული პოლიტიკის დროს აფხაზეთსა და მთელ საქართველოში იცავდა ქართული ენის ინტერესებს და მიუხედავად დევნა-შევიწროებისა, ბავშვებს მაინც ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას. ზოგიერთ სკოლაში მან საკუთარი სახსრებით გახსნა ქართული ბიბლიოთეკა. აქტიურად თანამშრომლობდა ილია ჭავჭავაძესთან და მის „ივერიაში“ აქვეყნებდა სტატიებს სამურზაყანოსა და აფხაზეთში არსებულ საკითხებზე: აშუქებდა სასკოლო პრობლემებს, აფხაზეთში არსებული კულტურის ძეგლების მდგომარეობას, ქართული ენის სწავლების პრობლემას აფხაზეთში. პეტრე ჭარაიას ეკუთვნის წერილების სერია აფხაზეთის ეთნოგრაფიაზე: ყოფასა და ტრადიციებზე. მისი წერილების დიდი ნაწილი გამოქვეყნებულია ფსევდონიმით „პ. გიორგიძე“. პ. ჭარაიას ეკუთვნის სამეცნიერო გამოკვლევები ქართული ენის სიტყვათა განმარტებებზე, იყო ერთ-ერთი პირველი მეცნიერი, რომელიც იკვლევდა აფხაზურ ენას. საგულისხმოა, რომ მან კარგად იცოდა აფხაზური ენა და მას ეკუთვნის პირველი მონოგრაფია აფხაზური ენის შესახებ, რომელიც 1912 წ. ნიკო მარის რედაქტორობით პეტროგრადში გამოიცა. გარდაიცვალა 1919 წლის 2 დეკემბერს მშობლიურ სოფელში.

აფხაზეთში ქართული და აფხაზური მწერლობის განვითარებაზე დიდი როლი ითამაშა გაზეთმა „აფხაზეთის საბჭოთა მწერლები“, რომელიც აფხაზეთის ა/რ-ის მწერალთა კავშირის ორგანოს წარმოადგენდა. ამ პერიოდის საბჭოთა პოეტებისა და მწერლების თაობას ეკუთვნის გ. ბასილია, მ. ეხვაია, ნ. მიქავა, ა. ფირცხალაიშვილი და სხვები.

ქართული მწერლობის განვითარების თვალსაზრისით განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს XX საუკუნის მეორე ნახევარს. ამ დროს სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდიან გენო კალანდია, ჯანო ჯანელიძე, ეთერ სამხარაძე -ჯღამაძე, ნოდარ ხუნდაძე, რენე კალანდია, გივი ბერაია, გული ზუხბა, სოთა აკობია, რამაზ კუპრავა, ციალა არდაშელია, თუმცა მოღვაწეობას აგრძელებდნენ

ძველი თაობის წარმომადგენლები: ფუცუ დგებუაძე ფულარია, ალექსანდრე ჯიქია, ევგენი აქუბარდია და სხვები.

მწერალი **მარიამ – ფუცუ დგებუაძე – ფულარია** 1887 წელს დაიბადა სოფელ ჩუნეში. 1906 წელს დაამთავრა ქუთაისი ქალთა გიმნაზია, მალევე დაქორწინდა აფხაზეთელ დავით ფულარიაზე. მარიამ ფულარიას პირველი მოთხრობა 1907 წელს გამოქვეყნდა. 1927 წელს გამოქვეყნდა მისი ცნობილი მოთხრობა „გრძნობათა ნანგრევებზე“, 1951 წელს დაბეჭდა მოთხრობების პირველი კრებული. მის კალამს ეკუთვნის გახმაურებული რომანი „ტყვარჩელის ლამპიონები“ . მარიამ-ფუცუ დგებუაძე ფულარიას ნამდვილი აღიარება მოუტანა რომანმა „ოქროს ბეჭედი“, რომელიც 1952 წელს გამოქვეყნდა. გარდაიცვალა 1969 წელს სოხუმში.

ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე **შოთა აკობია** დაიბადა 1920 წელს, სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიასა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე. სწავლის დასრულების შემდეგ მუშაობდა აფხაზეთის მწერალთა კავშირში, სადაც ხელმძღვანელობდა ქართულ განყოფილებას. არის არაერთი შესანიშნავი ნაწარმოების ავტორი, რომელთა შორის აღსანიშნავია: „სამშობლოს დილა“, „წყაროს დაბადება“, „გზები და შეხვედრები“, „შენ გამახსენდი“, „თეთრი ჩრდილი“, „სიყვარული და სინათლე“, „როცა ქვეყანა თბილი იყო“ და სხვა. მისი შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია ლატვიურ, აფხაზურ, რუსულ, უკრაინულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და სხა ენებზე. 1984 წელს მიენიჭა დიმიტრი გულიას სახელობის სახელმწიფო პრემია. 2001 წელს, გარდაცვალების შემდეგ წიგნისათვის „დრო-ჟამი საბედისწერო“ მიენიჭა გიორგი სარვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემია.

აფხაზეთის მწერალთა შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს **გენო კალანდიას.** დაიბადა 1940 წელს, განათლება სოხუმსა და მოსკოვში მიიღო, სწავლის დასრულების შემდეგ მუსაობდა ჟურნალისტად, მისი ლექსების პირველი კრებული 1966 წელს გამოვიდა, ხოლო პირველი პიესები „მთვარის საათი“, „ადგილის დედა“, და „ძე შეცთომილი“ დაიდგა სოხუმის სამსონ ჭანბას სახელობის სახელმწიფო აფხაზური თეატრის სცენაზე. გენო კალანდიას ეკუთვნის 40-მდე პოეტური კრებულისა და დრამატული პიესის ავტორია, მათ შორის აღსანიშნავია „ფესვები“, „მიწის ჭრილობა“, „ასი სონეტი“, „მესამე თვალი“, „რექვიემი“, „ისევ რექვიემი“, „მწუხრის არაბესკები“, და ა. შ. 2002 წელს ლექსების ციკლისთვის „მაქსიმები მიენიჭა გიორგი სარვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემია.

გენო კალანდია ეწევა მთარგმნელობით საქმიანობასაც. განსაკუთრებული სიყვარულით თარგმნის აფხაზი პოეტების ლექსებს. ქართველი მკითხველი მისი თარგმანებით გაეცნო ი. თარბას, ა. ჯონუას, კ. გერხელიას, კ. აჩბას, ს. სამგულიას, ბ. გურგულიას, პ. ბებიას პოეზიას. გენო კალანდიამ რუსულიდან თარგმნა ნ. პოგოდინის, ი. დრუცეს, ი. სოლოვიჩის და სხვათა პიესები. გენო კალანდიას პოეზია თარგმნილია რამდენიმე უცხო ენაზე. სხვადასხვა დროს იყო აფხაზეთის თეატრალური საზოგადოებისა და დემოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარე, მწერალთა კავშირის მდივანი, ალმანახ „„ეგრისის“ რედაქტორი, ჟურნალ „რიწის პასუხისმგებელი მდივანი, ამჟამად არის აფხაზეთის შემოქმედთა კავშირის თავმჯდომარე, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრი. არის II, III და IV მოწვევის პარლამენტის წევრი. თანამედროვე ქართულ მწერლობაში შეტანილი წვლილისათვის დაჯილდოვებულია ღირსების ორდენით. არის საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

აფხაზეთში ქართული მწერლობის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელია ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე **ჯანო ჯანელიძე.** დაიბადა 1933 წელს. წლების მანძილზე იყო აფხაზეთის ა/რ-ის განათლების მინისტრი, მისი თაოსნობით სოხუმში დაარსდა გაზეთები „ოქროს საწმისი“ და „კოლხური დიადემა“. არის ორმოცამდე პოეტური და პროზაული კრებულის ავტორი. განათლების დარგში განსაკუთრებული დამსახურებისათვის მიღებული აქვს იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედალი. ჯ. ჯანელიძის ლექსები თარგმნილია რუსულ, უკრაინულ, მოლდავურ, სომხურ, აზერბაიჯანულ და სხვა ენებზე. ორგზის იყო შეტანილი უკრაინულ ენაზე გამოცემული

პოეზიის ქართულ ანთოლოგიაში. მკითხველი დღესაც სიამოვნებით ეცნობა მისი პოეზიის შესანიშნავ ნიმუშებს: „თიბათვე“, „ოქროსფერი ქვაფენილები,“ „სიზმრის სარკმელი“, „არდავიწყება“, „უკვდავების მრავალწერტილი“, „კამარა“, „ეკლიანი გვირგვინი“, „გაცვეთილი ნიღბები“, „ღვთისმშობლის ფრესკასთან“, „ჯვარცმიდან ამაღლებამდე“; მოთხრობებს: „სისხლიანი მინდორი“, „როცა გამარჯვებულთ ასამართლებენ“, და სხვა; გამოსცა ტყვარჩელელი უცნობი აფხაზი გოგონას დღიურები- „ტყვარჩელის ტრაგედია“. გამოსაცემად მზად არის მისი უკანასკნელი პოემა „მელოდიები ოქროს ბუდიდან“. აქტიური შემოქმედებითი საქმიანობისათვის მიენიჭა გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემია. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ტრაგიკული ბედის ქართველი, პოეტი **ეთერ სამხარაძე-ჯღამაძე** აფხაზეთის მწერალთა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. იგი იმერეთში დაიბადა, მაგრამ აფხაზეთში ოჯახი შექმნა და მთელი თავისი ცხოვრება და მოღვაწეობა საქართველოს ამ ულამაზეს კუთხეს დაუკავშირა. პირველი შემოქმედებითი აღიარებაც აფხაზეთში მოიპოვა, აქ ეზიარა მრავალ სიხარულსა და გამარჯვებას და სამუდამო განსასვნებელიც აქ ჰპოვა. პოეტესა, რომელიც მთელი თავისი შემოქმედებით სათნოებას და სიყვარულს უმღეროდა 1993 წელს სიძულვილისა და ბოროტების მსხვერპლი შეიქნა. მოკლეს „რამეთუ ქართული ზეცის სადღეგრძელო შესვა“ და ვერ დასთმო „მშობლიური ცა და ხმელეთი.“

ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის ლექსები დღესაც აღაფრთოვანებს მკითხველს. მისი იდუმალი სევდა და გაუსაძლისი ტკივილი... ძალზე მახლობელია ყველა აფხაზეთელისათვის. . . თითქოს წინასწარ გრძნობდა თავის ტრაგიკულ აღსასრულს: **„მე დავდუმდები და გულის ძახილს შენამდე ლექსი მოიტანს თვითონ**“- ამბობდა პოეტი. **„შენს სიყვარულში თუნდაც გავთავდეო“**- და მართლაც აუხდა ნაწინასწარმეტყველევი: მან არ დატოვა მშობლიური ქალაქი და დაეცა **„სამშობლოს სიყვარულით გამთბარი“** სოხუმის კარიბჭესთან **„არა იარაღით, არა მახვილით, არამედ ლექსებით ხელში“.**

აფხაზეთის ქართველი მწერლები დღეს დევნილობაში აგრძელებენ საქმიანობას. არა მარტო მწერლები, აფხაზეთის შემოქმედებითი საზოგადოების (მხატვრები, მსახიობები, მუსიკოსები, სპორტსმენები და ა. შ) დიდი ნაწილი (მათ შორის ქართველები, აფხაზები, ბერძნები, ებრაელები, და სხვ.) დღეს დევნილობაშია და საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში აგრძელებენ მოღვაწეობას.

და ბოლოს, სევდა იმ თბილი ურთიერთობებისა, რომელიც ტრადიციული იყო ქართველთა და აფახაზთა ყოფაში თავს იჩენს, როგორც მკაცრი ოკუპაციის პირობებში მცხოვრები აფხაზი პოეტების შემოქმედებაში, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მიმოფანტული აფხაზეთელი პოეტების შემოქმედებაში. ამის ნათელი დასტურია აფხაზი პოეტის შამილ ფილიას ლექსი, რომელიც ავტორმა ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვწეს ნოდარ დუმბაძეს მიუძღვნა: ვხედავ, ჩვენს შორის ტყვია ჩამდგარა, ერთურთს ამაგი ვერ დავუფასეთ,

მაგრამ რა ვუყო ამ გულს, რომელიც ვერ დაივიწყებს ნოდარ დუმბაძეს.

ასევე მრავლისმეტყველი და იმედისმომცემია ალექსი ჯონუას აფხაზური სიმღერა თბილისზე: რისი სტუმარი, ნუ მეტყვით სტუმარს, მოვდივარ როგორც დედასთან შვილი,

მიმოვიხედავ ირგვლივ და ... უმალ ამიცისკროვნებს სახეს ღიმილი.

მსგავსი პოეტური რეფრენები ნაწილია იმ დიდი კულტურულ-შემოქმედებითი ტრადიციებისა, რომლის აღორძინება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ორივე ერის ცხოვრებაში.

საქართველოს მუდმივი მოსახლეობა ცალკეული ეროვნების მიხედვით

	2002	1989	მოსახლეობის ზრდის ტემპი		წილი მტელ მოსახლეობაში (პროცენტები)	
			კაცი	%	2002	1989
ა	1	2	3	4	5	6
სულ მოსახლეობა	4371535	5400841	-1029306	80,9	100.0	100.0
მათ შორის:						
ქართველი	3661173	3787393	-126220	96,7	83,8	70,1
აზერბაიჯანელი	284761	307556	-22795	92,6	6,5	5,7
სომეხი	248929	437211	-188282	56,9	5,7	8,1
რუსი	67671	341172	-273501	19,8	1,5	6,3
ოსი	38028	164055	-126027	23,2	0,9	3,0
აფხაზი	3527	95853	-92326	3,7	0,1	1,8
იეზიდი	18329		18329	-	0,4	-
ბერძენი	15166	100324	-85158	15,1	0,3	1,9
ქისტი	7110		7110	-	0,2	0,0
უკრაინელი	7039	52443	-45404	13,4	0,2	1,0
გერმანელი	651	1546	-895	42,1	0.0	0.0
თათარი	455	4099	-3644	11,1	0.0	0,1
ბელორუსი	542	8595	-8053	6,3	0.0	0,2
თურქი (ოსმანი)	441	1375	-934	32,1	0.0	0.0
პოლონელი	870	2014	-1144	43,2	0.0	0.0
ქურთი*	2514	33331	-30817	7,5	0,1	0,6
ჩეჩენი	1271	609	662	208,7	0.0	0.0
მოლდოველი	864	2842	-1978	30,4	0.0	0,1
ებრაელი	3772	24720	-20948	15,3	0,1	0,5
ბოშა	472	1744	-1272	27,1	0.0	0.0
ასირიელი	3299	6206	-2907	53,2	0.1	0,1
სხვა	4651	27753	-23102	16,7	0.1	0,5

* 1989 წ. აღწერისას „იეზიდი“ ეროვნების მოსახლეობა აღირიცხა „ქურთი“ ეროვნების შემადგენლობაში.

მუდმივი მოსახლეობის განაწილება ცალკეული ეროვნების მიხედვით ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების (მხარეების), ქალაქებისა და რაიონების ჭრილში

(კაცი)

		მათ შორის:									
მხარეები	მოსახლეობა სულ	ქართველი	აფხაზი	ოსი	სომეხი	რუსი	აზერბაიჯანელი	ბერძენი	უკრაინელი	ქისტი	იეზიდი
საქართველო – სულ	**4371535**	**3661173**	**3527**	**38028**	**248929**	**67671**	**284761**	**15166**	**7039**	**7110**	**18329**
ქ. თბილისის მერია	**1081679**	**910712**	**471**	**10268**	**82586**	**32580**	**10942**	**3792**	**3328**	**73**	**17116**
აფხაზეთის არ – (კოდორის ხეობა)	**1956**	**1912**	**9**	**2**	**1**	**23**	**6**	**-**	**2**	**-**	**-**
აჭარის არ	**376016**	**351132**	**1558**	**208**	**8848**	**9073**	**542**	**2168**	**1056**	**8**	**76**
ქ. ბათუმი	121806	104313	800	142	7517	6300	301	587	770	8	69
ქედის რ-ნი	20024	19958	15	2	8	26	7	-	3	-	-
ქობულეთის რ-ნი	88063	83367	50	36	958	1692	79	1487	176	-	7
შუახევის რ-ნი	21850	21796	25	5	5	14	1	1	2	-	-
ხელვაჩაურის რ-ნი	90843	88321	645	19	355	1029	151	91	103	-	-
ხულოს რ-ნი	33430	33377	23	4	5	12	3	2	2	-	-
გურია	**143357**	**138942**	**78**	**152**	**2134**	**1558**	**91**	**49**	**194**	**2**	**23**
ლანჩხუთის რ-ნი	40507	39868	7	33	160	345	33	18	28	-	-
ოზურგეთის რ-ნი	78760	75142	59	103	1944	1133	55	29	159	2	23
ჩოხატაურის რ-ნი	24090	23932	12	16	30	80	3	2	7	-	-
იმერეთი	**699666**	**689490**	**388**	**639**	**1890**	**4924**	**274**	**242**	**636**	**-**	**56**
ქ. ქუთაისი	185965	181465	92	245	613	2223	132	127	293	-	52
ტყიბულის რ-ნი	31132	30656	29	35	41	282	6	10	40	-	-
წყალტუბოს რ-ნი	73889	72885	48	58	130	576	55	16	73	-	2
ჭიათურის რ-ნი	56341	55802	17	22	217	190	10	40	20	-	-

		მათ შორის:										
მხარეები	მოსახლეობა სულ	ქართველი	აფხაზი	ოსი	სომეხი	რუსი	აზერბაიჯანელი	ბერძენი	უკრაინელი	ქისტი	იეზიდი
ბაღდათის რ-ნი	29235	29073	7	10	22	91	5	1	7	-	-
ვანის რ-ნი	34464	34279	24	13	8	96	18	9	9	-	-
ზესტაფონის რ-ნი	76208	75412	53	56	141	370	7	6	72	-	-
თერჯოლის რ-ნი	45496	45220	29	13	38	150	4	1	15	-	-
სამტრედიის რ-ნი	60456	58883	33	39	615	635	24	22	80	-	-
საჩხერის რ-ნი	46846	46591	11	117	20	84	-	5	8	-	1
ხარაგაულის რ-ნი	27885	27728	7	22	20	85	8	2	5	-	-
ხონის რ-ნი	31749	31496	38	9	25	142	5	3	14	-	1
კახეთი	**407182**	**341503**	**175**	**6109**	**3789**	**3844**	**40036**	**285**	**222**	**6997**	**495**
ახმეტის რ-ნი	41641	31237	10	1961	100	134	152	6	6	6928	2
გურჯაანის რ-ნი	72618	71148	32	463	484	350	58	16	36	-	6
დედოფლისწყაროს რ-ნი	30811	27441	8	102	1286	701	1019	153	21	6	5
თელავის რ-ნი	70589	60370	38	412	460	381	8373	20	63	58	357
ლაგოდეხის რ-ნი	51066	35376	15	2239	561	1204	11392	16	48	-	25
საგარეჯოს რ-ნი	59212	39409	21	125	231	377	18907	27	21	4	33
სიღნაღის რ-ნი	43587	42226	26	45	419	539	118	16	15	-	60
ყვარელის რ-ნი	37658	34296	25	762	248	158	17	31	12	1	7
მცხეთა-მთიანეთი	**125443**	**116476**	**60**	**3977**	**532**	**757**	**2248**	**163**	**143**	**5**	**96**
ახალგორის რ-ნი	7703	6520	6	1110	37	20	2	2	1	-	1
დუშეთის რ-ნი	33636	32229	31	1167	43	103	5	19	18	3	-
თიანეთის რ-ნი	14014	13777	3	147	20	37	4	13	6	-	1
მცხეთის რ-ნი	64829	58808	20	1464	427	583	2236	129	113	1	94
ყაზბეგის რ-ნი	5261	5142	-	89	5	14	1	-	5	1	-

		მათ შორის:									
მხარეები	მოსახლეობა სულ	ქართველი	აფხაზი	ოსი	სომეხი	რუსი	აზერბაიჯანელი	ბერძენი	უკრაინელი	ქისტი	იეზიდი
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	**50969**	**50565**	**36**	**121**	**28**	**109**	**47**	**8**	**16**	**-**	**-**
ამბროლაურის რ-ნი	16079	15991	10	6	9	46	-	3	8	-	-
ონის რ-ნი	9277	9093	7	108	13	19	4	1	2	-	-
ცაგერის რ-ნი	16622	16539	10	5	6	29	22	4	4	-	-
ლენტეხის რ-ნი	8991	8942	9	2	-	15	21	-	2	-	-
სამეგრელო-ზემო სვანეთი	**466100**	**459614**	**423**	**163**	**476**	**4163**	**142**	**86**	**528**	**-**	**2**
ზუგდიდის რ-ნი	167760	166039	172	44	90	1142	47	13	109	-	-
აბაის რ-ნი	28707	28474	32	14	11	124	10	-	15	-	-
მარტვილის რ-ნი	44627	44399	37	8	16	131	8	6	14	-	-
სენაკის რ-ნი	52112	51532	36	19	92	263	10	5	41	-	-
ჩხოროწყუს რ-ნი	30124	29895	36	2	30	127	1	1	20	-	-
წალენჯიხის რ-ნი	40133	39764	42	5	26	224	7	7	42	-	-
ხობის რ-ნი	41240	40929	29	6	6	216	16	1	21	-	-
მესტიის რ-ნი	14248	14168	12	3	11	52	-	-	1	-	-
ქ. ფოთი	47149	44414	27	62	194	1884	43	53	265	-	2
სამცხე-ჯავახეთი	**207598**	**89995**	**42**	**822**	**113347**	**2230**	**59**	**740**	**162**	**-**	**1**
ადიგენის რ-ნი	20752	19860	13	28	698	101	17	7	20	-	-
ასპინძის რ-ნი	13010	10671	4	9	2273	34	-	8	5	-	-
ახალქალაქის რ-ნი	60975	3214	3	10	57516	157	3	51	14	-	-
ახალციხის რ-ნი	46134	28473	12	52	16879	410	13	129	42	-	-
ბორჯომის რ-ნი	32422	27301	10	719	3124	585	24	540	75	-	1
ნინოწმინდის რ-ნი	34305	476	-	4	32857	943	2	5	6	-	-
ყაზბეგის რ-ნი											

		მათ შორის:										
მხარეები	მოსახლეობა სულ	ქართველი	აფხაზი	ოსი	სომეხი	რუსი	აზერბაიჯანელი	ბერძენი	უკრაინელი	ქისტი	იეზიდი
ქვემო ქართლი	497530	222450	183	2184	31777	6464	224606	7415	527	22	463
ქ. რუსთავი	116384	102151	44	1410	2809	3563	4993	257	395	15	293
ბოლნისის რ-ნი	74301	19926	35	80	4316	414	49026	438	14	-	-
გარდაბნის რ-ნი	114348	60832	48	412	1060	994	49993	236	65	6	162
დმანისის რ-ნი	28034	8759	9	12	147	156	18716	218	7	-	-
მარნეულის რ-ნი	118221	9503	29	47	9329	523	98245	396	29	1	6
ტეთრი წყაროს რ-ნი	25354	18769	16	205	2632	689	1641	1281	14	-	-
წალკის რ-ნი	20888	2510	2	18	11484	125	1992	4589	3	-	2
შიდა ქართლი	**314039**	**288382**	**104**	**13383**	**3521**	**1946**	**5768**	**218**	**225**	**3**	**1**
გორის რ-ნი	148686	137957	45	6405	1972	1136	607	97	123	-	-
კასპის რ-ნი	52217	44162	13	3479	254	271	3962	27	35	-	-
ქარელის რ-ნი	50422	45593	25	2755	542	217	1183	52	21	-	-
ხაშურის რ-ნი	62714	60670	21	744	753	322	16	42	46	3	1

გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტ რესურსები

1. „რელიგიები საქართველოში“. წიგნი მომზადებულია საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ. თბილისი, 2008
2. „ეთნოსები საქართველოში“. წიგნი მომზადებულია საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ. თბილისი, 2008
3. ს. ჯანაშია, გ. შარვაშიძე, კულტურულ-ისტორიული ნარკვევი, შრომები, ტ. VI, თბ., 1988
4. გ. სულაძე, ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები, თბ., 2010
5. ნ. მარშანია, ქედუხრელი რაინდი, თბ., 2012
6. დ. ფირბარი, მ. კომახია, ქურთები საქართველოში, თბ., 2008
7. თ. აბულაშვილი, ბორის კუფტინი და საქართველოს არქეოლოგია, თბილისი, 2009.
8. სტურუა გ. ჩვენი სუფრა ქართული. თბ., 2006
9. ნაჭყებია კ. ქართული ხალხური ცხენოსნური თამაშობანი. თბ., 1964
10. ნოვიკი ბენიამინ, ტოლერანტობის რელიგიურ-ფილოსოფიური საფუძვლები. „სოლიდარობა“, საქართველოს სახალხო დამცველის ყოველთვიური ჟურნალი, 2006 წ. N 3’06
11. ს. ბახია-ოქრუაშვილი, აფხაზთა ეთნიკური ისტორიის პრობლემები, თბ., 2010
12. ს. ბახია-ოქრუაშვილი, აფხაზთა ეთნოლოგია, თბ., 2011
13. რ. გუჯეჯიანი, დალის ხეობის ტრადიციული ყოფა, აფხაზეთი ჩემი სამშობლოა, პროექტი 2008-2015 (ხელნაწერი)
14. ლ. ახალაძე. აფხაზეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, ლაპიდარული და ფრესკული წარწერები, ტ. I. თბ., 2005; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა, აფხაზეთი, ტ. I., აფხაზეთი (ქართულ-რუსულ-ინგლისურ ენებზე). რეადაქტორი სალომე კაპანაძე, ავტორები: ლია ახალაძე, ბეჟან ხორავა, ელენე კავლელიშვილი და სხვ. თბ., 2007
15. ვ. სილოგავა. სამეგრელო-აფხაზეთის ეპიგრაფიკა. თბ., 2004
16. თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, მეორე შევსებული გამოცემა, თბ., 2004
17. აფხაზური ლიტერატურა (მოკლე ნარკვევი) თბ., 1975
18. ტ. მოსია, ნარკვევები აფხაზური ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 2013
19. აფხაზეთის ქართული მწერლობის ისტორიიდან, რედაქტორი ტიტე მოსია, თბ., 2014
20. ტ. მოსია, გიორგი შარვაშიძის ლიტერატურულ-კულტურული მემკვიდრეობა, თბ., 2012
21. ო. ჭურღულია, სიტყვა ფიქრის სხეულია, თბ., 1992
22. L. Akhaladze, Inscriptions of the Kings of Egris-Abkhazeti, Informational –analytical journal “Abkhazeti” I.Tbilisi, 2004. c. 61-64
23. Cultural Theory. The Key Concepts. Andrew Edgar, Peter Sedgwick (eds.). Routledge, 2008, p. 114
24. О. Джапаридзе, К 100 летию со дня рождения акад. Б. А. Куфтина, Россиская Археология, N 3, 1993. с . 246-249.
25. Л. Рчеулишвили, Купольная архитектура VIII - X веков в Абхазии, Тбилиси, 1988
26. Г. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство: исследование по истории грузинского средневекового искусства. Тбилиси, 1959
27. Г. Чубинашвили. Грузинское чеканное искусство с VIII по XVIII, в. Тбилиси, 1957
28. Л. Шервашидзе, Средневековая монументальная живопись в Абхазии, Тб.1980

29. Л. Г. Хрушкова,Скульптура раннесредневековой Абхазии V-X вв, Тб.1980
30. Л. Ахаладзе, Эпиграфические памятники Абхазии, в кн. Разыскания по истории Абхазии/ Грузия, Тбилиси, 1999. с. 363-374
31. Х. С. Бгажба, Из истории письменности в Абхаз¬ии, Тб.1967
32. А. К. Кация, Илори (памятник XI века),Сухуми,1963
33. http://www.constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=248
34. http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68
35. http://www.tcc.gov.ge/uploads/kanonebi/sisxlis_samartlis_kodeqsi.pdf
36. http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1661.pdf
37. http://www.cesko.ge/ge/saarchevno-administracia-2-ge/samartlebrivi-aqtebi-27-ge/kanonebi-43-ge/saqartvelos-saarchevno-kodeqsi-813.page
38. http://static.mrdi.gov.ge/5326b29e0cf287919443293a.pdf
39. http://www.cesko.ge/files/2012/KANONEBI/SXVA%20KANONEBI
40. http://sao.ge/legislation/organic-law-of-georgia-on-political-unions-of-citizens
41. http://www.khobi.ge/files/files/new/30.pdf
42. http://idfi.ge/ge/freedom-of-expression
43. http://www.gncc.ge/
44. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567
45. http://meca.gov.ge/itst/index.php?module=Content-House&action=view&id=1628&lang=geo
46. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717
47. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370
48. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1205118
49. http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1195.pdf
50. ttp://www.mes.gov.ge/old/index.php?module=text&link_id=196
51. http://www.mes.gov.ge/uploads/Licenzireba/kanoni%20zogadi%20ganatlebis%20shesaxeb.pdf
52. http://mes.gov.ge/content.php?id=3923
53. http://bntu.edu.ge/uploads/liceum/masc_etikis_kodeqsi.pdf
54. http://www.mes.gov.ge/
55. http://www.tpdc.ge/?action=page&p_id=100&lang=geo
56. http://www.geostat.ge/
57. ებრაელები საქართველოში http://www.georgianjews.org/stat.php?id=85&lang ;=gr&PHPSESSID=f6f845c7b542945192d170954ce79d72 –
58. საქართველოს ებრაელთა ისტორია. http://ge.shater-izhaka.ru/judaism/georgia/
59. ქართული გენეალოგია, ქურთები http://www.geogen.ge/ge/main nationalities_georgia/kurds/
60. საქართველოს ეზიდები. http://www.sarhad.ge/home.php?cat=4&sub=5&id=2177&mode=blog&lang=ge#.VN30WSzfjIU
61. ლ. ახალაძე. თანამედროვე აფხაზეთის მატერიალური კულტურის ძეგლები http://expertclub.ge/portal/cnid__6484/alias__Expertclub/lang__kaGE/tabid__2546/default.aspx